



**ქართული ქრისტიანული თემი
წმინდა მიწაზე**

**GEORGIAN CHRISTIAN COMMUNITY
IN THE HOLY LAND**

ედვნება თამილა მგალობლიშვილის ხსოვნას
In Memory of Tamila Mgaloblishvili



**TAMILA MGALOBlishVILI CENTRE FOR THE EXPLORATION OF
GEORGIAN ANTIQUITIES**

GEORGIAN CHRISTIAN COMMUNITY IN THE HOLY LAND

Concept by

Tamila Mgaloblishvili †

Compiled by:

**Giorgi Gagoshidze, Nino Kvirikashvili, Tinatin Tseradze,
Lela Khoperia, Mzia Janjalia**

Tbilisi
2022



თამილა მგალობლიშვილის სახელობის ქართულ სიკვდილთა
მოძიებისა და კვლევის ცენტრი

ქართული ქრისტიანული თემი წმინდა მიწაზე

იდეის ავტორი
თამილა მგალობლიშვილი †

შემდგენლები:
გიორგი გაგოშიძე, ნინო კვირიკაშვილი, თინათინ ცერაძე,
ლელა ხოფერია, მზია ჯანჯალია

თბილისი
2022



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
International Charitable Foundation of the
Catholicos-Patriarch of all Georgia



წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი
St Andrew Georgian University



გამოცემა განხორციელდა პროექტის „ქართული ქრისტიანული
თემი წმინდა მიწაზე“ – ფარგლებში შოთა რუსთაველის საქარ-
თველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით
(საგრანტო ხელშეკრულება – №217484).

Published within the project “Georgian Christian community in the Holy
Land” with the financial support of the Shota Rustaveli National Science
Foundation of Georgia (Grant agreement №217484).

თარგმანი: ნინო გაბუნია, თამარ მოსიაშვილი

Translated by: Nino Gabunia, Tamar Mosiashvili

ფოტოები: დავით ცხადაძე, ზურაბ ცერცვაძე, გიორგი გაგოშიძე, ნიკოლოზ ვაჩიშვილი

Photos by: David Tskhadadze, Zurab Tsertsvadze, Giorgi Gagoshidze, Nikoloz Vacheishvili

დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი ბაგრატიონი

Design and layout: Giorgi Bagrationi

წიგნში გამოყენებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკისა და
ისრაელის სიძველეთა სამსახურის არქივის ფოტოები.

Photos from digital collections of the Library of Congress, Prints and Photographs Division, G. Eric and
Edith Matson Photograph Collection, Frank and Frances Carpenter Collection, <https://www.loc.gov/collections/> and the Israel Antiquities Authority, Archive of the Department of Antiquities of Mandato-
ry Palestine (1919-1948), <http://www.iaa-archives.org.il/> are used in publication.

გარეკანზე: სიონის მთა, 1940-1946, LC-DIG-matpc-14677, დეტალი.

Cover: Mt. Zion, 1940-1946, LC-DIG-matpc-14677, detail.

ყველა უფლება დაცულია

All rights reserved

© თ. მგალობლიშვილის სახელობის ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი, 2022

© T. Mgaloblishvili Centre for the Exploration of Georgian Antiquities, 2022

შინაარსი

წინასიტყვაობა	7
ქართველები წმინდა მინაზე	11
ქართულ ქრისტიანულ თემთან დაკავშირებული	
ეკლესია-მონასტრები ძველ იერუსალიმში	15
წმ. აბრაამის მონასტერი	17
წმ. ანას (საიდნაიას) დედათა მონასტერი	23
წმ. ბასილის მონასტერი	27
წმ. გიორგის მონასტერი (ურიათუბნის)	33
წმ. დიმიტრის მონასტერი	39
წმ. ეკატერინეს მონასტერი	43
წმ. თევდორეს მონასტერი	47
წმ. თეკლას მონასტერი	57
წმ. იაკობის მონასტერი	63
წმ. იოანე ღვთისმეტყველის (მახარობლის) მონასტერი	69
წმ. მთავარანგელოზთა (ანგელოზთა) მონასტერი	75
წმ. ნიკოლოზის მონასტერი	77
პრეტორიუმის ეკლესია	83
უფლის წმ. საფლავის ეკლესია	89
ქართულ ქრისტიანულ თემთან დაკავშირებული არალოკალიზებული	
ეკლესია-მონასტრები ძველ იერუსალიმში	115
დევეთუბნის მონასტერი	117
დერთუფას მონასტერი	121
დერტავის (დელტავის) დედათა მონასტერი	125
იბერთა მონასტერი (დავითის კოშკთან)	131
კაპათა (კაპპათა)	137
სამწირო, ახალი დედათა მონასტერი	145
ქართულ ქრისტიანულ თემთან დაკავშირებული ეკლესია-მონასტრები	
ძველი ქალაქის გალავნის გარეთ და იერუსალიმის შემოგარენში	151
წმ. თევდორეს მონასტერი ბირ ელ-კუთში	153
წმ. ნიკოლოზის მონასტერი (ჯვრის მონასტრის მეტოქე)	159
წმ. სამოელის მონასტერი	161
წმ. სვიმეონ მართლის მონასტერი ახალ იერუსალიმში (კატამონის)	165
უმ ლეიზუნის მონასტერი იერუსალიმის მახლობლად	171
ღვთისმშობლის საფლავის ეკლესია ზეთისხილის მთასთან (გეთსიმანია)	177
წმ. ჯვრის მონასტერი ახალ იერუსალიმში	185

ქართულ ქრისტიანულ თემთან დაკავშირებული	
ეკლესია-მონასტრები იუდეის უდაბნოში	233
ნმ. თეოდოსის მონასტერი.	235
ნმ. საბა განწმედლის მონასტერი (საბანმიდა)	239
ნმ. ხარიტონის ლავრა (პალავრა).	259
ქართულ ქრისტიანულ თემთან დაკავშირებული	
ეკლესია-მონასტრები იერიქონის მახლობლად	265
ნმ. გერასიმეს მონასტერი	267
ნმ. იოანე ოქროპირის მონასტერი	271
ცტუნების მთის მონასტერი	273
ქართულ ქრისტიანულ თემთან დაკავშირებული	
ეკლესია-მონასტრები იორდანეს მახლობლად	279
ნმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი	281
ქართულ ქრისტიანულ თემთან დაკავშირებული	
ეკლესია-მონასტრები ბეთლემში	285
შობის ეკლესია	287
ქართულ ქრისტიანულ თემთან დაკავშირებული	
ეკლესია-მონასტრები ნაზარეთში	293
ხარების ეკლესია	295
ქართულ ქრისტიანულ თემთან დაკავშირებული	
ეკლესია-მონასტრები იორდანიაში	299
შეჰანის მონასტერი	301
საძიებლები	309
ხელნაწერთა საძიებელი კერების მიხედვით	311
ხელნაწერთა საძიებელი კოლექციებისა და	
საფონდო შიფრების მიხედვით	316
Georgian Christian Community in the Holy Land	321
გამოყენებული ლიტერატურა და ბიბლიოგრაფიული	
შემოკლებები/Bibliography	503
დანართები/Appendices	521
I. წმინდა მიწის ქართული წარწერები	
II. Georgian inscriptions in the Holy Land	
III. სურათები/Illustrations	

წინასიტყვაობა

წმინდა მინაზე ისტორიულად მიმდინარე კულტურული, რელიგიური და პოლიტიკური პროცესების შესახებ შეუძლებელია სრული წარმოდგენა გვექონდეს ქართული სამონასტრო კოლონიის როლის გათვალისწინების გარეშე. ქართულ ქრისტიანულ თემს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სხვადასხვა ეთნოსისა და კონფესიის წარმომადგენლების მიერ შექმნილ იმ უნიკალურ ერთობაში, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. წმინდა მინაზე ქართული სამონასტრო კოლონია არსებობის 13 საუკუნეს (IV-XVIII სს.) ითვლის და მასთან არაერთი ისტორიული წყარო და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშია დაკავშირებული.

წმინდა მინის ქართული სიძველეების სისტემური სამეცნიერო კვლევების ისტორია XVIII საუკუნიდან იღებს სათავეს (ტიმოთე გაბაშვილი) და ამ პერიოდიდან მოყოლებული, წმინდა მინის ქართული კულტურული მემკვიდრეობა და მისი ცალკეული ნიმუშები არაერთხელ გამხდარა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შესწავლის საგანი (ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, აკაკი შანიძე, რობერტ ბლეიკი, ჟერარ გარიტი, ილია აბულაძე, ელენე მეტრეველი, მიშელ ვან ესბროკი, თინათინ ვირსალაძე და სხვ.). ამ მეცნიერთა კვლევებმა საფუძველი შეუქმნა ჩვენს ცოდნას წმინდა მინაზე დაცული ქართული კულტურის ძეგლების შესახებ.

თუმცა, წმინდა მინაზე ქართული სიძველეების ხელმისაწვდომობა დღემდე რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად. კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ადგილებზე მოკვლევასა და ფიქსაციას აფერხებს აღნიშნულ რეგიონში არსებული სპეციფიკური პირობები: დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია (ხშირად საომარი მდგომარეობაც), მნახველთათვის დახურული საცავები, არაკატალოგიზირებული კოლექციები და სხვა.

წმინდა მინის ქართული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენისა და შესწავლის მიზნით მრავალი წელია სისტემურ კვლევებს ახორციელებს თამილა მგალობლიშვილის მიერ დაფუძნებული „ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი“, რომელიც აერთიანებს არქეოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის, ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის დარგებში მომუშავე სპეციალისტებს.

ცენტრმა არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია ჩაატარა ისტორიულ წმინდა მინაზე – ისრაელში, იორდანიაში და პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე 2001-2015 წლებში თამილა მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით, და მისი გარდაცვალების შემდეგ 2018-2019 წლებში.

მოძიებული იქნა მასალა 40-მდე მონასტრის შესახებ, 90-მდე ეპიგრაფიკული ნიმუში (მათგან ათობით აქამდე უცნობი), რამდენიმე ათეული ნაქარგობა და ხატი, XV-XVI საუკუნეების, მანამდე უცნობი, მინიატურებით მდიდრულად შემკული ხელნაწერი, რომელიც ტექსტშივე „ოქროს ოთხთავად“ იწოდება.

თუმცა, ქართველ მეცნიერთათვის, მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო V-VI საუკუნეების, მანამდე უცნობი ქართული მონასტრის აღმოჩენა სოფ. უმ ლეიზუნში, იერუსალიმის მახლობლად ულამაზესი კრიპტითა და მშვენიერი ქართული წარწერით.

აღნიშნული მასალა წმინდა მიწაზე ქართველთა კოლონიის ისტორიის უამრავ პრობლემას ჰფენს ნათელს და ერთხელ კიდევ დაგვანახებს, თუ რა იყო იერუსალიმი და წმინდა მიწა საქართველოსთვის და რანი იყვნენ იქ მოღვაწე ქართველები.

წინამდებარე პუბლიკაცია წმინდა მიწის საკითხებზე ცენტრის მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილებას ემყარება.

აღსანიშნავია, რომ პროექტის მიმდინარეობისას განმახორციელებელი გუნდი არაერთი სირთულის წინაშე აღმოჩნდა. 2018 წელს გარდაიცვალა „ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი და პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი **თამილა მგალობლიშვილი**. ქალბატონი თამილას გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია არა მხოლოდ პროექტისთვის, არამედ ზოგადად, ქართული და საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისათვის. თამილა მგალობლიშვილის გარდაცვალების შემდეგ პროექტმა შეიცვალა წამყვანი ორგანიზაცია. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი ახალმა წამყვანმა ორგანიზაციამ – სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა ჩაანაცვლა.

პროექტის ამოცანებისა და მიზნების სრულად განხორციელებას მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი ასევე ბოლო პერიოდში პანდემიით გამოწვეულმა ვითარებამ, რის გამოც ვერ მოხერხდა წმინდა მიწაზე დაგეგმილი ბოლო მივლინების ჩატარება და ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო ცენტრებში სრულფასოვნად მუშაობა.

მიუხედავად ყველა ამ სირთულისა, პროექტის განმახორციელებელმა გუნდმა შეძლო შეექმნა წინამდებარე პუბლიკაცია, რომელშიც თავმოყრილი და გაანალიზებულია მრავალფეროვანი ინფორმაცია წმინდა მიწის ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

ნაშრომში წარმოდგენილია ინფორმაცია წმინდა მიწის 37 სავანის შესახებ, რომლებიც სხვადასხვა დროს ეკუთვნოდათ ქართველებს, ან

რომლებშიც ქართველები მოღვაწეობდნენ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან ერთად.

თითოეულ კერასთან დაკავშირებული სტატია მოიცავს ინფორმაციას ამ კერის ისტორიის შესახებ, აგრეთვე ამ კერაში ქართველთა მოღვაწეობის და/ან ქართველთა მფლობელობის შესახებ. წარმოდგენილია აგრეთვე ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღნიშნულ კერასთან დაკავშირებული ქართული ეპიგრაფიკული წარწერების, ხელნაწერების, კედლის მხატვრობის, ხატების თუ სხვა საეკლესიო დანიშნულების ნივთების შესახებ.

კერები ნაშრომში დაჯგუფებულია გეოგრაფიული პრინციპით: ძველი იერუსალიმი, ახალი იერუსალიმი და მისი შემოგარენი, იუდეის უდაბნო, იერიქონის მახლობლად მდებარე კერები, იორდანეს მახლობლად მდებარე კერები, ბეთლემი, ნაზარეთი, იორდანია; ხოლო გეოგრაფიული სექციის შიგნით კერების შესახებ სტატიები დალაგებულია ანბანურად.

წიგნის ვრცელი დანართი, პრაქტიკულად, დამოუკიდებელი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშრომია, რომლის ავტორია გიორგი გაგოშიძე. დანართი შეიცავს წმინდა მიწის ქართული ეპიგრაფიკული წარწერების კორპუსს. აღსანიშნია, რომ წმინდა მიწის ქართული ეპიგრაფიკული წარწერების კორპუსი პირველად ქვეყნდება და მასში წარმოდგენილი წარწერების დიდი ნაწილი აქამდე გამოუქვეყნებელი იყო.

გამოცემას ერთვის ხელნაწერთა ინდექსი წარმომავლობისა და კოლექციათა მიხედვით, ასევე სრული ბიბლიოგრაფია.



უპირველეს ყოვლისა უდიდესი პატივისცემით ვუხდით მადლობას უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს, რომლის შეწვევითა და თანადგომით განხორციელდა წიგნის ავტორთა ყველა სამეცნიერო ექსპედიცია წმინდა მიწაზე.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ ეკლესია-მონასტრებსა და საპატრიარქოს წიგნსაცავში მუშაობის შესაძლებლობა. ამისთვის გვსურს გულწრფელი მადლიერება გამოვხატოთ წმინდა ქალაქ იერუსალიმის და სრულიად პალესტინის პატრიარქის უნეტარესი თეოფილე III-ის მიმართ. ასევე გვსურს აღვნიშნოთ იერუსალიმის საპატრიარქოს გენერალური მდივნის, კონსტანტინის მთავარეპისკოპოსის, ყოვლადუსამღვდელოესი არისტარქოსის განუელი დახმარება საპატრიარქოს წიგნსაცავში მუშაობისას – მისი თანადგომის გარეშე ჩვენი კვლევის განხორციელება ძალიან რთული იქნებოდა.

მადლობას ვუხდით იერუსალიმში სომხური ეკლესიის პატრიარქს, არქიეპისკოპოსს ნურჰანს სომხური საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ ეკლესია-მონასტრებში მუშაობის შესაძლებლობისთვის.

გულითადი მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ Studium Biblicum Franciscanum, ნაზარეთის წმინდა მიწის მუზეუმი, დახმარებისა და მასალის გამოქვეყნების ნებართვისათვის. ასევე დიდ მადლობას მოვასხენებთ ბიბლიურ და არქეოლოგიურ კვლევათა იერუსალიმის ფრანგულ სკოლას თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

ჩვენი საგანგებო მადლობა ეკუთვნის ისრაელის სიძველეთა სამსახურს, როკფელერის არქეოლოგიურ მუზეუმს და ისრაელის მუზეუმს ღირებული დახმარებისათვის, მათ საცავებში მუშაობისა და მასალის გამოქვეყნების შესაძლებლობისათვის.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ საქართველოს საელჩოს ისრაელის სახელმწიფოში და პირადად საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბატონ ლაშა ჟვანიას, უწყვეტი მხარდაჭერისა და ქმედითი დახმარებისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდს და წმ. ანდრიას ქართულ უნივერსიტეტს თანადგომისათვის.

დაბოლოს, მადლობას მოვასხენებთ ჩვენ კოლეგებს როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში, რომლებიც არაერთხელ დაგვეხმარნენ წინამდებარე წიგნზე მუშაობისას ფასეული კონსულტაციებითა და რჩევებით.

ქართველები წმინდა მიწაზე¹

თამილა მგალობლიშვილი

საქართველოსა და წმინდა მიწას შორის ურთიერთობები ჯერ კიდევ ნაბუქოდონოსორ დიდის დროიდან იწყება, როდესაც ებრაელთა პირველი ტალღა შემოვიდა ქართლში – იბერიაში. ქართული წერილობითი წყაროების თანახმად, შემდეგში ებრაელთა კიდევ რამდენიმე ნაკადი მოსულა და დასახლებულა საქართველოში. თუმცა, ებრაული თემის საქართველოში არსებობის დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაცემები, ჯერჯერობით, მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან მოიპოვება.

აღსანიშნავია, რომ უძველესი ქართული წყაროების – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ (VII-XI საუკუნეები) – ცნობით, ელია წინასწარმეტყველის ხალენი და უფლის კვართიც მცხეთაშია დაფლული. ისინი მცხეთაში მოსულმა დევნილმა ებრაელებმა წმინდა მიწიდან ჩამოიტანეს.

IV საუკუნის 20-იანი წლებიდან, საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ, სრულიად გამორჩეულია ქართველთა დამოკიდებულება წმინდა მიწისადმი, განსაკუთრებით კი წმინდა ქალაქ იერუსალიმისადმი. ამ პერიოდიდან მოყოლებული ქართველ მეფეთა, არისტოკრატთა, ეკლესიის მოღვაწეთა, განსაკუთრებით კი პეტრე იბერის დიდი მცდელობით, წმინდა მიწაზე არსდება მონასტრები და სავანეები, იქმნება ქართული სამწერლობო კერები. ჩვენს დრომდე მოღწეული ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები, რომლებიც IV-V საუკუნეებით თარიღდება, სწორედ წმ. მიწაზეა აღმოჩენილი. აქვე V-VI საუკუნეებში დასტურდება პირველი დამონმება ქართული ქრონოლოგიისა – „დასაბამითგან“ და ეთნონიმ „ქართველისაც“, რომლებიც საქართველოში მხოლოდ VIII-IX საუკუნეებიდან გვხვდება.

IV საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე ქართველები წმინდა მიწაზე ორმოცზე მეტ ეკლესია-მონასტერს ფლობდნენ, მათ შორის მთელს საქრისტიანოში სახელგანთქმულ იერუსალიმის წმ. ჯვრის მო-

1 წმ. მიწაზე ქართული ქრისტიანული თემის მოკლე მიმოხილვა წარმოადგენს შესავალ ნაწილს თამილა მგალობლიშვილის სტატიიდან „ქართველები წმინდა მიწაზე“, ძველი ხელოვნება დღეს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ჟურნალი, 2011, 57-63 იხ. მისივე: „ქართველ მეცნიერთა ექსპედიცია წმ. მიწაზე“, Academia, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი, ტ. 5, თბილისი, 2003, 411; Georgians in the Holy Land, Iberica-Caucasica, vol. II, London, 2014, 15-20

ნასტერს. ქართველ ბერებს ვხვდებით არა მარტო იერუსალიმსა და მის შემოგარენში, არამედ ისტორიული პალესტინის უდაბნოებში, არა მხოლოდ საკუთრივ ქართველთა მიერ დაარსებულ სავანეებში, არამედ იმ დროისათვის უკვე დაფუძნებული მონასტრებისა და ლავრების მრავალეროვან საკრებულოებში.

წმინდა მინაზე მოღვაწე ქართველებს უთარგმნელი და აუთვისებელი არ დარჩენიათ პალესტინური მწერლობისა და კულტურის არც ერთი მონაპოვარი, რომელიც შექმნილი იყო ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხთა ერთობლივი ძალისხმევით. V-VI საუკუნეებში ქართულად უკვე ნათარგმნი იყო პირველი ლიტურგიკული წიგნები: ლექციონარი, იადგარი და მრავალთავი, რომელთაც ქართული ეკლესია ღვთისმსახურებისას, ბუნებრივია, მშობლიურ ენაზე იყენებდა. ვფიქრობ, თვით მეფე ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგიც ქართლში ღვთისმსახურების იერუსალიმური, ქრისტეს საფლავის ეკლესიის, პრაქტიკისა და ეკლესიაში საღვთისმსახურო ენად ქართულის დამკვიდრება იყო. მნიშვნელოვანია, რომ ქართველები ღვთისმსახურებას თავიანთ მშობლიურ ენაზე აღავლენდნენ არა მარტო იბერიაში, არამედ პალესტინაშიც, წმინდა საბასა და წმინდა თეოდოსის ლავრებში, რასაც მოწმობს როგორც წმინდა საბა განწმედილის ანდერძი (532 წ.), ასევე წმინდა თეოდოსის ბიოგრაფიაც (VI საუკუნე).

წმინდა მინაზე დღემდე შემორჩენილია ქართველთა მიერ დაარსებული თუ აგებული ტაძრები და მონასტრები, მათი შემამკობელი მოხატულობები, მათთვის შეწირული ჯვარ-ხატები, ლიტურგიკული დანიშნულების ნივთები, ნაქარგობები, მდიდრულად დასურათებული ხელნაწერები. ეს ყოველივე ადგილობრივ ოსტატებთან თანამშრომლობით იქმნებოდა და ამ მასალის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია არა მხოლოდ ისტორიული პალესტინისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის, არამედ მსოფლიო კულტურის ისტორიის კვლევა და სრულად წარმოდგენა.


უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი საქართველოსა და წმინდა მიწის ურთიერთობებისა და წმინდა მინაზე შემორჩენილი ქართული სიძველეებისადმი. დღეისათვის ნათელია, რომ წარსულისა თუ დღევანდელი მრავალი პრობლემის ჯეროვნად გაგება შეუძლებელია ამ ურთიერთობათა შესწავლის გარეშე. საქართველოსა და წმინდა მიწის კავშირები ურთულესი და მთლიანი მოვლენის – მსოფლიო კულტურის შემადგენელი ნაწილია და, შესაძლოა, ერთ-ერთი საუკეთესო მოდელიც მის შესასწავლად.

როგორც ქართველთა კვალი წმინდა მინაზე, ასევე იერუსალიმურ-პალესტინური კვალი საქართველოში, საუკეთესო საშუალებას გვაძლევს

დავინახოთ კულტურული მსოფლიოს ერთიანობა და მასში შემავალი ქვეყნების წვლილი, თვალი გავადევნოთ კულტურულ მიღწევათა გაცვლა-გამოცვლას, იდეათა გავრცელებისა და ურთიერთგადაკვეთის გზებს.

აგერ უკვე თითქმის ორი საუკუნეა, რაც ქართველებმა მთლიანად დაკარგეს თავიანთი კუთვნილი ქონება და აღარ მკვიდრობენ წმინდა მინაზე. დღეს ქართული სიძველენი სხვა მფლობელთა (ბერძენთა, სომეხთა, ლათინთა და ა.შ.) ხელშია, ამის გამო მათი კვალი თანდათან ქრება. უდიდესი ნაწილი იმისა, რაც XVIII და XIX საუკუნის მოგზაურებმა და მეცნიერებმა ნახეს და აღწერეს, დღეს უკვალოდ არის გამქრალი. არის ქართულ სიძველეთა უნებლიე თუ განზრახ ხელყოფისა და ზოგჯერ მოსპობის ფაქტებიც. XX საუკუნის დასაწყისში ქართველ და უცხოელ მეცნიერთაგან დადასტურებული 400 ქართული ხელნაწერიდან, რომლებიც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ინახებოდა, დღეისათვის დაახლოებით 161 ერთეულია შემორჩენილი. დაიკარგა და დაზიანდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ასე რომ, უაღრესად მნიშვნელოვანი და საჩქაროა წმინდა მინაზე არსებული ქართული კულტურის ძეგლების სრული აღრიცხვა, შესწავლა და გადარჩენა იმისა, რაც ჯერ კიდევ შემოგვრჩა.



იერუსალიმი, ხედი ზეთისხილის მთიდან, 1898-1914, დეტალი (LC-DIG-matpc-06719)



**ქართულ ქრისტიანულ თემთან
დაკავშირებული ეკლესია-მონასტრები
ქველ იარუსალიმში**



იერუსალიმი, ჯვრის გზა, 1900-1920 (LC-DIG-matpc-00024)

წმ. აბრაამის მონასტერი

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. აბრაამის მონასტერი მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში, წმინდა საფლავის ეკლესიის ატრიუმის აღმოსავლეთ (მარჯვენა) მხარეს. მონასტერი ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

წმ. აბრაამის მონასტერი, ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, აშენებულია იმ ადგილზე, სადაც ებრაელთა მამამთავარმა, აბრაამმა დააპირა თავისი ძის, ისააკის უფლისადმი მსხვერპლად შეწირვა.² მონასტრის დასავლეთ კედელთან, გადმოცემით, ის ბუჩქი იზრდებოდა, რომელშიც აბრაამმა რქებით გახლართული ვერძი იხილა. სწორედ ეს ვერძი შესწირა მან უფალს თავისი ძის ნაცვლად (დაბადება, 22: 1-13). მონასტრიდან პირდაპირი გასასვლელია გოლგოთისა და აღდგომის ეკლესიის საკურთხეველში (გასასვლელით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ სასულიერო პირებს).

ქართველებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს წმ. აბრაამის მონასტრის ისტორიაში. მონასტრის რესტავრაცია და განახლება ქართველი დიდებულების, აბაშიძეების საგვარეულოსთან არის დაკავშირებული; კერძოდ, 1599 წელს აბრაამის მონასტერი განუახლებია იოანე აბაშიძეს,³ 1700 წელს კი – გიორგი ლეონის ძე აბაშიძეს,⁴ რაც დასტურდება ეპიგრაფიკული წარწერებით (იხ. ქვემოთ).

არქიტექტურა

წმ. აბრაამის მონასტერი სწორკუთხა გეგმარების დარბაზული ნაგებობაა, რომელიც ჯვრული კამარებითაა გადახურული. შესასვლელი კარი გაჭრილია სამხრეთ კედელში. ნაგებობის იატაკის დონე შესასვლელი კარიდან რამდენიმე საფეხურით დაბლა მდებარეობს. სწორკუთხა ფორმის საკურთხეველი სამი სარკმლითაა განათებული; საკურთხევლის

2 აღსანიშნავია, რომ იუდეური ტრადიციის მიხედვით, მსხვერპლშეწირვის ადგილი არის მორიას მთა (מוריאה ה), იგივე ტაძრის მთა (תלמוד ה), ადგილი, სადაც ადრე იუდეველთა პირველი და შემდგომ – მეორე ტაძარი იდგა, ამჟამად ამ ადგილას კლდის გუმბათის მეჩეთი (مسجد قبة الصخرة) დგას.

3 ავალიშვილი გ., მგზავრობა, 211

4 გაბაშვილი, მიმოსლვა, 81, 123; Цагарели, Памятники, 122

წინ აღმართულია მაღალი იკონოსტასი. მონასტრის კედლები დაფარულია XIX საუკუნის მიწურულს შესრულებული მხატვრობით.

ეპიგრაფიკული წარწერები⁵

წმ. აბრაამის მონასტერთან დაკავშირებულია ორი მნიშვნელოვანი ქართული წარწერა, კერძოდ:

გიორგი აბაშიძის 1700 წლის საექტიტორო ქართულ-ბერძნული წარწერა, ამოკვეთილია ქვის ფილაზე ეკლესიის სამხრეთ შესასვლელთან. წარწერა გვაუწყებს, რომ აბრაამის მონასტერი საკუთარი ხარჯით განუახლებია გიორგი აბაშიძეს:

„ქ(რისტე) ეს აბრ(ა)ჰ(ა)მის მ(ო)ნასტ(ე)რი განვა(ა)ხლე აბ(ა)შიძე| გ(იო) რგი იმერელმა იმის თეთრით. ქ(ორონი)კ(ონ)ს ჩლ (1700)“⁶

იგივე ცნობა მეორდება ქართული წარწერის თავზე მოთავსებულ ბერძნულ წარწერაშიც, რომელიც იმავე ქვათილიზეა ამოკვეთილი.

აღნიშნული წარწერა 2015 წელს ჩატარებული სარემონტო სამუშაოების დროს, დაცვის მიზნით, გამოიღეს კედლიდან და შემდგომ დააბრუნეს თავის ადგილას.

მეორე ქართული წარწერა დღეისათვის განადგურებულია. 1820 წელს აღნიშნული წარწერა უნახავს და ამოუკითხავს ქართველ დიპლომატსა და მოგზაურს გიორგი ავალიშვილს. მისი სიტყვებით, ეს წარწერა ეკუთვნოდა აზნაურ გიორგი ჩიკოიძეს – იოანე აბაშიძის (XVI-XVII სს.) ქვეშევრდომს, რომელსაც, თავისი ბატონის დავალებითა და მისივე მატერიალური დახმარებით (საფასით), განუახლებია მონასტრის სამწირველო. წარწერა თარიღდებოდა 1599 წლით:

„მე, მონამან ღმრთისა და მსახურ|მან ბატონისა ჩემისა თავადისა იოანე აბაშიძისამან გიორგი ჩიკოიძე, წარმო|ვლენილმან ქართლით მის მიერ საფასეათა მისითა, განსაახლებლად წმიდისა ამის მამათმთავრისა აბრაჰამის ტაძრისა ხარჯსა ზედა მისსა, აღვასრულე მრძა|ნებული თავადის მის ბატონისა ჩემისა, განმაახლებელმან სამწირუ|ლოვსა ამის საუკუნოდ საჭსენებლად სულისა მისისა, სახლეულთა და ერთისხლთა მისთა, ხოლო საოჯადცა ჩემ ცოდვილისათჳს სულისა. გევედრებით ყოველთა მართმა|დიდებელთა ხრისტეანეთა, აღმომკითხუ|ლთა წერილისა ამის, ლოცუათა შო|რის თქუენთა დაუვიწყებლობასა თავადისა იოანე აბაშიძისა და ყმისა მისისა აზნაურისა გიორგი ჩიკოიძესა. 1599-სა წელსა, სეკდემბერსა 11-სა დღეს“⁷

5 ვრცლად წმ. აბრაამის მონასტრის ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ იხ. დანართი

6 წარწერა ასევე წაკითხული აქვთ ნ. ჩუბინაშვილს (იხ. Цагарели, Сведения, 47) და ა. ცაგარელს (იხ. Цагарели, Памятники, 250)

7 ავალიშვილი გ., მგზავრობა, 211

ხელნაწერები

წმ. აბრაამის მონასტერს იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნსაცავში დაცული ორი ქართული ხელნაწერი უკავშირდება, ესენია: XVII საუკუნის ოთხთავი Jer.Geo.160 და XIII საუკუნის ფსალმუნი Jer. Geo.161 – ორივე ხელნაწერი აბრაამის მონასტერს ეკუთვნოდა და სწორედ ამ მონასტრიდან შესულა საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში 1914 წელს. ფსალმუნის ანდერძ-მინაწერებში მოიხსენებიან ქართლის კათალიკოსი მიქაელი, წიგნის მკაზმველი ნაომი, ასევე ჯვარის მამები: ბენა ჩოლოყაშვილი და ნიკოლოზი.⁸


8 იხ. Blake, Catalogue, 1925-1926, 153; ქართული ხელნაწერი წიგნი, 117; Jer.Geo.161-ში დაცული ტექსტი გათვალისწინებულია ფსალმუნის გამოცემაში: შანიძე, მზ., ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები



იერუსალიმი, წმ. აბრაამის მონასტერი, გიორგი აბაშიძის წარწერა, 1700 (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. აბრაამის მონასტერი, ინტერიერი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. უფლის საფლავის ეკლესიის ეზო (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, ქუჩა ძველ ქალაქში (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. ანას (საიდნაიას) დედათა მონასტერი

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. ანას (საიდნაიას) დედათა მონასტერი მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში (As-Sayyida №4) და ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

წმ. ანას (საიდნაიას) მონასტერი ასევე მოიხსენიება როგორც მირქმის მონასტერი და მცირე ყოვლადწმინდა (Mikra Panagia). რაც შეეხება სახელს – საიდნაია (*Ṣaydnāyā*, სირ. ܣܝܕܢܝܐ არაბ. سينيا), იგი უკავშირდება დამასკოს მახლობლად მდებარე ამავე სახელწოდების მონასტერს, რომელიც იმპერატორ იუსტინიანე I-ის მიერ 547 წელს უნდა იყოს დაარსებული. გადმოცემის თანახმად, ამ მონასტერში განისვენებს ლუკა მახარებლის მიერ დახატული ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი.⁹ სწორედ აღნიშნული ხატის სირიიდან იერუსალიმში გადატანას უნდა უკავშირდებოდეს წმ. ანას მონასტრისათვის საიდნაიას დარქმევა.

მონასტრის შესახებ ყველაზე ადრეულ ცნობას ვხვდებით 1187 წლის შემდგომი პერიოდის ანონიმ ბერძენ მოგზაურთან, რომელიც აღდგომის ტაძრის დასავლეთით მდებარე 13 მართლმადიდებლურ მონასტერს შორის წმ. ანას მონასტერსაც მოიხსენიებს.¹⁰

1517 წლით დათარიღებულ სულტან სელიმ I-ის ფირმანში წმ. ანას მონასტერი ბერძენთა საკუთრებადაა გამოცხადებული.¹¹ ოსმალთა ხანის 1685 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში წმ. ანას მონასტერი დასახელებულია იმ ქართულ მონასტერთა შორის, რომლებიც ვალებისა და დარბევების გამო თითქმის დაცარიელებული და ძლიერ შელახული იყო.¹²

ცნობილია, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმის სამმა პატრიარქმა: თეოფანემ (1608-1644 წწ.), პაისიმ (1645-1660 წწ.) და დოსითეოს

9 ვრცლად აღნიშნული მონასტრის შესახებ იხ. Pringle, *The churches*, vol. II, N 198, 219-221

10 Anonymus Graecus, *De Locis Hierosolymitanus*, 981; Pringle, *Pilgrimage to Jerusalem and the Holy Land*, 383-384; ა. ცაგარლის თანახმად, წმ. ანას მონასტერი მოიხსენიება VI საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანე I-ის მიერ განახლებულ ტაძრებს შორის (Цагарели, Памятники, 123) თუმცა, თავად პირველწყაროსთან გადამოწმებამ აჩვენა, რომ აღნიშნული მონასტერი წმ. მინაზე იმპერატორის მიერ განახლებულ მონასტერთა ჩამონათვალში არ იხსენიება (Procopius, *De aedificiis*, 358-359), წმ. ანას სახელობის ერთადერთი მონასტერი, რომელიც იმპერატორმა იუსტინიანემ განაახლა კონსტანტინოპოლში მდებარეობს (Procopius, *De aedificiis*, 40-41). შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, თუ რა ცნობას ეყრდნობოდა ა. ცაგარელი.

11 Pringle, *The churches*, vol. III, N 306, 156; ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 161

12 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 179

II-მ (1669-1707 წწ.) რამდენჯერმე იმოგზაურეს საქართველოში წმ. მინაზე ქართული მონასტრების აღდგენისა და ვალების დასაფარად თანხების შესაგროვებლად.

მოღწეულია ეპისკოპოს დოსითეოს II-ის 1706 წლის სიგელი, რომელშიც წმ. ანას მონასტერი სახელდება იმ ქართულ სავანეთა შორის, რომელთა გამოსყიდვა და შეკეთება ქართველ მეფეთა და დიდებულთა ფინანსური შემწეობითა და იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს მცდელობით მოხერხდა.¹³

საიდნაიას მონასტერთან დაკავშირებით საინტერესო მოგონება აქვს გრიგოლ ფერაძეს, რომელმაც 1936 წელს წმ. მინასა და სირიაში მოგზაურობის დროს მოინახულა ტაძარი. თავის დღიურში იგი წერს: „ეპისკოპოს პორფირი უსპენსკის (1804-1885 წწ.) ცნობით, იქ იყო 1755 წელს შესრულებული მაცხოვრის გამოსახულება, რომელსაც ქართული წარწერა ჰქონდა. ნახატი კი ვნახე, მაგრამ წარწერა ბერძნული აღმოჩნდა, თანაც არ იკითხებოდა.“¹⁴

ტიმოთე გაბაშვილის თანახმად, მირქმის დედათა მონასტერი აგებული (სავარაუდოდ, შეკეთებული) ყოფილა რაჭის ერისთავთა მიერ – „ყოვლად წმიდისა რაჭის-ერისთავთა, ჩხეტიც გვართა“.¹⁵ მონასტერში დანესებული იყო მათი ხსენებაც. სამწუხაროდ, ტიმოთე გაბაშვილი არ აკონკრეტებს მონასტრის აგების (განახლების) თარიღს, თუმცა ცნობილია, რომ ჩხეტიძეები რაჭის ერისთავებად XV საუკუნიდან გვხვდებიან.¹⁶

არქიტექტურა

წმ. ანას დედათა მონასტერი დარბაზული ნაგებობაა. შესასვლელი კარი ჩრდილოეთ კედელშია გაჭრილი და XX საუკუნეში აგებულ თაღოვან კარიბჭეშია მოქცეული. ეკლესიის ინტერიერი ჩრდილო სამხრეთის ღერძზეა ნაგრძელებული და დასავლეთით დიდი თალითაა გახსნილი. ეკლესიის ცენტრალური მონაკვეთი ჯვრული კამართაა გადახურული. საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდა დაბალი სატრიუმფო თალითაა გამოყოფილი; აფსიდა დიდი იკონოსტასითაა დაფარული, აფსიდის ორივე მხარეს მცირე ნიშებია. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჯვრის გეგმის ემბაზია აგებული. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილია ორნამენტული სახეები – წრეების და რომბების ხლართში ჩანწული ზოლები, რომლებიც, ნიკოლოზ ვაჩეიშვილისა და დავით ხოშტარის აზრით, ქართველი ოსტატების ნახელავი უნდა იყოს.¹⁷ მონასტრის ეზოში, ქვედა დონეზე შემორჩენილია ძველი მონასტრის თაღოვან-კამაროვანი

13 Цагарели, Памятники, 80-81

14 ფერაძე, იერიქონის ვარდები, 93

15 გაბაშვილი, მიმოსლვა, 81, 123

16 ვრცლად რაჭის საერისთავოების შესახებ იხ. სოსელია, ნარკვევები, 34

17 ვაჩეიშვილი, ხოშტარია, ქართველთა აღმშენებლობა, 18-19; Khoshtaria, Vacheishvili, Building Activities, 29



იერუსალიმი, წმ. ანას მონასტერი (საიდნაია), საერთო ხედი (ფოტო ნ. ვაჩეიშვილის)



იერუსალიმი, წმ. ანას მონასტერი (საიდნაია), ორნამენტული ფრიზი ჩრდილოეთ ფასადზე (ფოტო ნ. ვაჩეიშვილის)



იერუსალიმი, წმ. ანას მონასტერი (საიდნაია), ინტერიერი (ფოტო ნ. ვაჩეიშვილის)

წმ. ბასილის მონასტერი

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. ბასილი დიდი კაბადოკიელის სახელზე აგებული მონასტერი მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში, ახალი კარიბჭის მახლობლად, (St. Basil Alley 2). მონასტერი ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ცნობა წმ. ბასილის მონასტრის შესახებ 1187 წლის შემდგომი პერიოდით თარიღდება და ეკუთვნის ანონიმ ბერძენ ავტორს, რომელიც აღდგომის ტაძრის სიახლოვეს მდებარე 13 მართლმადიდებლურ მონასტერს შორის, წმ. ბასილის მონასტერსაც მოიხსენიებს.¹⁸

როგორც ჩანს, წმ. ბასილის მონასტერი, სხვა მონასტრებთან ერთად, ქართველების საკუთრებაში XIII-XIV საუკუნიდან უნდა ყოფილიყო.¹⁹ 1200-1308 წწ-ის ბერძნული საპატრიარქოს ოფიციალური ანგარიშების თანახმად, ქართველებმა, ბერძნული საპატრიარქოსთვის განეული დახმარებისა და თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო, ბერძნებისგან სხვადასხვა დროს მიიღეს 9 მონასტერი, რომელთა შორის წმ. ბასილის მონასტერიცაა დასახელებული.²⁰

როგორც სულტან ალ-მუ'აიად საიფ ად-დინ შაიხის 1414 წლის ბრძანებულების შესავალი ნაწილიდან ირკვევა, ქართველი ბერები გამოცხადებულან სულტანის კარზე და წარუდგენიათ უფრო ადრეული – სულტან ბარკუკის 1387 წლის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, წმ. ბასილის ეკლესია, სხვა მონასტრებთან ერთად, მათ მფლობელობაში იყო.²¹

1517 წლის სულტან სელიმ I-ის მიერ გაცემული ფირმანის მიხედვით, აღნიშნული მონასტერი იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს გამგებლობაში გადავიდა.²²

18 Anonymus Graecus, De Locis Hierosolymitanus, 981; Pringle, Pilgrimage to Jerusalem and the Holy Land, 383-384

19 Janin, Les Géorgiens à Jérusalem, №98, 34; ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, 17-18; Vincent, Abel, Jérusalem, 985

20 Peradze, Account, 188

21 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 90-91

22 Pringle, The churches, vol. III, N 308, 157; ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 161

წმ. ბასილის მონასტრის კავშირს **ქართულ ქრისტიანულ თემთან** წარმოაჩენს ქართული ხელნაწერი თვენი, რომელიც ამჟამად იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაშია დაცული (Jer.Geo.40). მონასტერთან დაკავშირებული ანდერძი მოთავსებულია ხელნაწერის 278r-ზე. მისი ავტორი ხელნაწერის ადგილსამყოფლად ასახელებს წმ. ბასილის მონასტერს, შემდეგ უშუალოდ მიმართავს წმინდა მამას და სთხოვს, საკადრისი მიუზღოს მას, ვინც ხელნაწერს მონასტრიდან გაიტანს. ხელნაწერი ამ მინაწერზე ადრეულია, ის მონასტრისადმი მისი აშენებისთანავე (განახლებისთანავე) უნდა ყოფილიყო შეწერილი. (ვრცლად აღნიშნული ხელნაწერის შესახებ იხ. ქვემოთ, სექცია: ხელნაწერები).

მონასტრის ხელახლა აშენების (განახლების) შესახებ ცნობებს გვანვდის ტიმოთე გაბაშვილი. მისი სიტყვებით, იერუსალიმის წმ. ბასილის მონასტერი დედათა სავანეს წარმოადგენდა და აშენებული იყო ქართული წარჩინებული საგვარეულოს – ამილახვრების მიერ: „აღუშენებია ამირახორს ამირინდოს და თაყას, დედათ მონასტერი არის“.²³ ტიმოთე არაფერს გვეუბნება მონასტრის აშენების (სავარაუდოდ, განახლების) თარიღზე, მაგრამ აღნიშნული საკითხის გარკვევაში გვეხმარება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპები. ამ წერილობითი ძეგლების ე.წ. ტიშენდორფისეულ ნუსხაში დაცულია აღაპი დადებული ამირინდო ამირახორის (ამილახვრის) სახელზე (T 85). ტექსტის თანახმად, ამირინდო ამილახვრისთვის დაწესებული ყოფილა აღაპი წმ. ბასილის დღესასწაულზე, დღესასწაულის მეორე დღეს კი – აღაპი მისი მეუღლე თამარისთვის. ამავე აღაპის თანახმად, განწესებული იქნა ისიც, რომ გეტსიმანიაში ერთი კანდელი ყოფილიყო დანთებული ამირინდო ამილახვრისთვის. აღაპის ბოლოს ნათქვამია, რომ წმ. ბასილის მონასტერი დაუმკვიდრებიათ ამილახვრისთვის და მისი ნათესავებისთვის, ანუ მისი საგვარეულოსთვის. ისტორიულ საბუთებში მოძიებული მონაცემების საფუძველზე, აღაპების გამომცემელი ელენე მეტრეველი ამირინდოს XV ს-ის 60-იანი წლების მოღვაწედ მიიჩნევს და აღაპსაც შესაბამისი ეპოქით ათარიღებს. ამავე პერიოდის მოღვაწეა თაყა ამილახვარიც, რომელიც ამირინდოს მამობილი ყოფილა.²⁴ შესაბამისად, წმ. ბასილის მონასტრის ხელახლა აშენების (განახლების) დროდ XV ს-ის მეორე ნახევარი უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ქართული სამონასტრო თემი საკმაოდ რთულ მატერიალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვითარება განსაკუთრებით

23 გაბაშვილი, მიმოსლვა, 81, 122

24 ვრცლად იხ. მეტრეველი, მასალები, 25, 76, 190; მეტრეველი, იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, 228-230

დამძიმდა XVII საუკუნეში, როცა შემცირდა ფულადი შემონიროება და გაიზარდა ვალები.

ოსმალთა ხანის 1685 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ნმ. ბასილის მონასტერი დასახელებულია იმ ქართულ მონასტერთა შორის, რომლებიც ვალებისა და დარბევების გამო თითქმის დაცარიელებული და ძლიერ შელახული იყო.²⁵

ცნობილია, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმის სამმა პატრიარქმა: თეოფანემ (1608-1644 წწ.), პაისიმ (1645-1660 წწ.) და დოსითეოს II-მ (1669-1707 წწ.) რამდენჯერმე იმოგზაურეს საქართველოში ნმ. მიწაზე ქართული მონასტრების აღდგენისა და ვალების დასაფარად თანხების შესაგროვებლად. მოღწეულია ეპისკოპოს დოსითეოს II-ის 1706 წლის სიგელი, რომელშიც ნმ. ბასილის მონასტერი სახელდება იმ ქართულ სავანეთა შორის, რომელთა გამოსყიდვა და შეკეთება ქართველ მეფეთა და დიდებულთა ფინანსური შემწეობითა და იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს მცდელობით მოხერხდა.²⁶

არქიტექტურა

ნმ. ბასილი დიდის ძველი ეკლესიიდან დღეს აღარაფერია შემორჩენილი. ამჟამინდელი სახით ეკლესია XIX ან XX საუკუნის დასაწყისშია აგებული; უკანასკნელი რეკონსტრუქცია 1958 წლით თარიღდება.²⁷ მცირე ერთნავიანი ეკლესია გარემოცულია საცხოვრებელი ბინებით. ეკლესიაში მოხვედრა შესაძლებელია სამხრეთით მდებარე სადარბაზოდან, ამავე შესასვლელს იყენებს მოსახლეობაც. ეკლესია ორი წყვილი მზიდი თალით სამ მონაკვეთადაა დაყოფილი, ჯვრული კამარებითაა გადახურული და თეთრადაა შეფეთილი. საკურთხევლის ნიშისებრ აფსიდს ცილინდრული ტეხილი მოყვანილობის თალი ევლება; მარცხნივ (ჩრდილოეთით) მდებარე მცირე ზომის ნიშა – სამკვეთლოს ფუნქციას ასრულებს. საკურთხეველსა და სამკვეთლოში ზეთის საღებავით შესრულებული ფერწერაა (საკურთხეველში – „საიდუმლო სერობა“, სამკვეთლოში – „შობა“). საკურთხევლის ზონა სამრეკლო სივრცისგან ერთი საფეხურითაა შემადლებული. ეკლესიას ჩრდილოეთ კედელში დატანებული სამი სარკმელი ანათებს, დასავლეთი კედლის სარკმელი ამოქოლილია. კარი სამხრეთი კედლის დასავლეთ კიდეშია გაჭრილი. საკურთხევლის წინ იკონოსტასია აღმართული, რომელშიც გვიანდელი ბერძნული ხატებია განთავსებული.

25 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 179

26 Цагарели, Памятники, 80-81

27 Pringle, The churches, vol. III, №308, 157-158

ხელნაწერები

წმ. ბასილის მონასტერს უკავშირდება ხელნაწერი Jer.Geo.40, თვენი. იგი შეიცავს მასალას სექტემბერ-იანვრის თვეებისათვის.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№66 – ათარილებს XIV-XVI სს-ით)²⁸, ნ. მარს (№33 – ათარილებს XII ს-ით)²⁹ და რ. ბლეიკს (ათარილებს XIII ს-ით).³⁰

ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერიდან ცხადი ხდება, რომ ის წმ. ბასილის მონასტერს ეკუთვნოდა:

*„...წ(მიდის)ა ბასილის მონ[ა]სტერსა, და ვინცა შეუცვალოს, შე-მცა-იცვ(ა)ლების სჯულისაგან ქრისტიანთასა, აწ, და ნუ გამოღებად იკადროს ამა მონ(ა)სტრით, წმიდაო ბასილი, შენ კითხე მას მეორედ მოსლვასაჲ“ (278r).*³¹


ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

28 Цагарели, Памятники, 167

29 მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, 71

30 Blake, Catalogue, 1924/1, 205-206

31 გამოქვეყნებული აქვს ნ. მარს, იხ. მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, 71



იერუსალიმი, ნმ. ბასილის მონასტერი, შესასვლელი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ბასილის მონასტერი, ინტერიერი (ფოტო დ. ცხადაძის)

ნმ. გიორგის მონასტარი (ურიათუბნის)

იდენტიფიცირების საკითხი

ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ქართველებს აუშენებიათ იერუსალიმში ნმ. გიორგის ურიათუბნის მონასტერი.³² იერუსალიმში ნმ. გიორგის სახელობის რამდენიმე ეკლესია არსებობს. არ არის დაზუსტებით ცნობილი, მათგან რომელს გულისხმობდა ტიმოთე გაბაშვილი, რადგან წყაროებში ქართველებთან დაკავშირებული ყველა სხვა მონასტერი მოიხსენიებოდა ადგილმდებარეობის მითითების გარეშე; უბნის („ურიათუბანი“) დაზუსტება იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ნმ. გიორგის მონასტერი მათგან მოშორებით, სხვა უბანში მდებარეობდა.

აღნიშნულის საფუძველზე ალექსანდრე ცაგარელი ვარაუდობს, რომ ქართველთა მიერ აგებული ნმ. გიორგის მონასტერი უნდა გაიგივდეს ებრაულ უბანში, სიონის მთაზე, მღვდელმთავარ ანას სახლის სიახლოვეს მდებარე ნმ. გიორგის ტაძართან, რომელიც დღეს იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს ეკუთვნის³³ (ე.წ. სომხურ უბანში, ნმ. იაკობის სომხური საპატრიარქო ტაძრის აღმოსავლეთით, დაახლოებით ასი მეტრის მანძილზე – Ararat rd., 11, ჩიხი).

საგულისხმოა, რომ ხსენებული ეკლესია შუა საუკუნეების სხვა ქრისტიანულ წყაროებშიც მოიხსენიება როგორც „ურიათა მონასტერი“ (იგივე – ურიათა უბნის მონასტერი).³⁴

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ადრეული ჩვენთვის ცნობილი წყარო, რომელშიც ძველ იერუსალიმში მდებარე ნმ. გიორგის მონასტერია მოხსენიებული, 1187 წლის შემდგომი პერიოდით თარიღდება და ეკუთვნის ანონიმ ბერძენ ავტორს. ბერძენი პილიგრიმი მოიხსენიებს ნმ. საფლავის ეკლესიის დასავლეთით, ნმ. მიქაელისა და ნმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტრებს შორის, ნმ. გიორგის სახელზე აგებულ მონასტერს. დენის პრინგლის ვარაუდით, ანონიმი პილიგრიმის მიერ ნახსენები ნმ. გიორგის მონასტერი უნდა გულისხმობდეს ამჟამინდელ ნმ. გიორგის ბერძნულ ტაძარს, რომელიც მდებარეობს ნმ. ფრანცისკეს ქუჩაზე (ნმ. მიქაელისა და ნმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტრებს შორის) – ე.წ. ნმ. გიორგის დიდი ტაძარი. თუმცა, მკვლევარი იმასაც დასძენს, რომ შესაძლოა, ბერძენი ანონიმი გულისხმობდეს ნმ. გიორგის მეორე მონასტერს, რომელიც პატრიარქის (იეზიკიელის) აუზის სიახლოვეს მდებარეობს (St. George in the

32 გაბაშვილი, მიმოსლვა, 81, 123

33 Цагарели, Памятники, 122

34 Ben-Arieh, Jerusalem, 222, 320

market). პრინგლი უთითებს, რომ ამ ორთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს ის, რომელიც მამლუქთა პერიოდში ქართველებს ეკუთვნოდა.³⁵

თუმცა, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის თანახმად, უფრო სარწმუნო უნდა იყოს ალექსანდრე ცაგარლის ვარაუდი.

ისტორია

ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ურიათუბნის წმ. გიორგის მონასტერი აშენებული იყო სამეგრელოს მთავრების – დადიანების მიერ; მონასტერში დაწესებული ყოფილა მათი ხსენება: „ურიათ უბანში დადიანთა აღშენებული და მოსახსენებელი მისი მუნვე არს.“³⁶

სამწუხაროდ, ტიმოთე არ აკონკრეტებს მონასტრის აგების (სავარაუდოდ, განახლების) დროს და თავად აღმშენებლების (განმაახლებლების) ვინაობას. თუმცა, ქართული წერილობითი წყაროები უეჭველად გვიდასტურებს, რომ სულ მცირე, XIII საუკუნიდან მოყოლებული, დადიანების საგვარეულოს არაერთხელ გაუნევია ფინანსური დახმარება იერუსალიმის ქართული მონასტრებისთვის. ჯვრის მონასტრის სვინაქსარში 20-მდე ალაპია დაწესებული დადიანებისთვის. მათგან ყველაზე ადრეული ალაპები XIII საუკუნით თარიღდება, ყველაზე გვიანდელი – XVII საუკუნით.³⁷

როგორც ჩანს, წმ. გიორგის მონასტერი, სხვა მონასტრებთან ერთად, ქართველების საკუთრებაში XIII-XIV საუკუნეებიდან უნდა ყოფილიყო.³⁸ ფრანცისკელი მამის, ფრანჩესკო სურიანოს (დაახლ. 1485 წ.) თანახმად, წმ. გიორგის ეკლესიაში მის დროს ქართველები ცხოვრობდნენ.³⁹

1517 წლის სულტან სელიმ I-ის მიერ გაცემული ფირმანის მიხედვით, აღნიშნული მონასტერი ბერძენთა კუთვნილებაში გადავიდა.⁴⁰

ცნობილია, რომ მოგვიანებით, 1567 წ. იერუსალიმში მოსალოცად ჩასულ ფილიპე შაქარაშვილს უზრუნია წმ. გიორგის ეკლესიის განახლებაზე: „წ(მიდ)ის გ(იორ)გის ეკლესია შიგნით და გ(ა)რეთ და სამოძლ(უ)რო ს(ა)ხლი გაგლისაჲ. ეკლესია კრეტსაბმლითა, კანდლებითა, ს(ა)ს(ა)ნთლითა გ(ა)მართაჲ და ერთი კ(ა)რი წ(მიდ)ის გ(იორ)გის კარის ბჭეს შეაბ(ა)ჲ“.⁴¹ აღნიშნული ცნობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ დროს მონასტერში ქართველები მოღვაწეობდნენ. 1593 წელს მონასტერში

35 Pringle, The churches, vol. III, №315, 165

36 გაბაშვილი, მიმოსლვა, 81, 123

37 აღნიშნული ალაპების შესახებ ვრცლად იხ. მეტრეველი, მასალები, 20-21, 26, 73, 77, 80, 85, 88, 91-98, 101-107, 118-119, 128, 138, 141, 146, 153-154, 157-158, 165, 170-177

38 Janin, Les Géorgiens à Jérusalem, №98, 34; ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, 17-18; Vincent, Abel, Jérusalem, 985

39 Suriano, Terra Santa, 74. ამავე წყაროს უთითებს გრ. ფერაძე, იხ.: Peradze, Account, 196, 227

40 Pringle, The churches, vol. III, №315, 165; ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 110, 161

41 მეტრეველი, მასალები, 89

ცხოვრობდა წინამძღვარი და 7 ბერი. 1620-იან წლებში კი სამოქალაქო პირები ქართველ ბერებს იჯარის ფულს უხდიდნენ.⁴²

ოსმალთა ხანის 1685 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში წმ. გიორგის მონასტერი დასახელებულია იმ ქართულ მონასტერთა შორის, რომლებიც ვალებისა და დარბევების გამო თითქმის დაცარიელებული და ძლიერ შელახული იყო.⁴³

ცნობილია, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმის სამ-მა პატრიარქმა: თეოფანემ (1608-1644 წწ.), პაისიმ (1645-1660 წწ.) და დოსითეოს II-მ (1669-1707 წწ.) რამდენჯერმე იმოგზაურეს საქართველოში წმ. მიწაზე ქართული მონასტრების აღდგენისა და ვალების დასაფარად თანხების შესაგროვებლად.

მოღწეულია ეპისკოპოს დოსითეოს II-ის 1706 წლის სიგელი, რომელშიც წმ. გიორგის მონასტერი სახელდება იმ ქართულ სავანეთა შორის, რომელთა გამოსყიდვა და შეკეთება ქართველ მეფეთა და დიდებულთა ფინანსური შემწეობითა და იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს მცდელობით მოხერხდა.⁴⁴

არქიტექტურა

ურიათუბნის წმ. გიორგი მოზრდილი დარბაზული ეკლესიაა, მისი სამხრეთი ფასადი შიდა ეზოში გამოდის, სადაც ბინებია განთავსებული. ეკლესიის სამხრეთ კედელში ოთხი სარკმელია გაჭრილი. ტაძარში შესასვლელიც სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთშია, მას ეზოში შესასვლელი კამაროვანი პორტიკი ფარავს. მეორე, აღმოსავლეთი კარი, უშუალოდ საკურთხეველში – სადიაკვნეში შედის. ეკლესიის შიდა სივრცე ოთხი წყვილი პილასტრითაა დაყოფილი; ნახევარწრიული საკურთხევის აფსიდის ორივე მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნეა. ეკლესიის არდაბაგი ორი საფეხურითაა შემადგენელი და ორსაფეხურიანი მოზრდილი ამბიონი აქვს. ეკლესიის გადახურვა ბრტყელი – ბანურია, მის სამხრეთ აღმოსავლეთ კიდეში ოთხ მრგვალ სვეტზე დამყარებული ფანჩატური სამრეკლოა. დასავლეთი კარის ზემოთ მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი ბერძნული წარწერის მიხედვით, ძველი ეკლესია არაბ-ისრაელის ომის დროს 1948 წელს დაქცეულა. მის სანაცვლოდ, 1950 წელს ეს ახალი ეკლესია აშენდა.

წმ. გიორგის ძველი ეკლესია ახალთან შედარებით მოკრძალებული ზომის დარბაზული ეკლესია იყო, იგი აღმოსავლეთით შვერილი ნახევარწრიული აფსიდით ბოლოვდებოდა; ჩრდილოეთი კედლის პილასტრსა და სამხრეთი

42 Панченко, Ближневосточное Православие, 214

43 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 179

44 Цагарели, Памятники, 80-81


კედლის კონსოლზე დამყარებული მზიდი თალი ერთმანეთისგან აცალკევებდა ორ ჯვრულ კამარას, რომლითაც გადახურული იყო ეკლესია. შენობას სამი კარი ჰქონდა: ორი სამხრეთ კედელში, მესამე – დასავლეთი კედლის ცენტრში. საკურთხევლის ჩრდილოეთით კედლის სისქეში არსებული ნიშა – სამკვეთლო უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, ამ ძველი ეკლესიის ფორმები გარკვეულწილად შემორჩენილია ახალი ეკლესიის დასავლეთ მონაკვეთში, რომელიც ნყვილი ჯვრული კამარითაა გადახურული. 1950 წელს, როგორც ჩანს, ახალი ეკლესია აღმოსავლეთით ნაუგრძელებიათ.



იერუსალიმი, წმ. გიორგის მონასტერი, შესასვლელი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. გიორგის მონასტერი, ეზო (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. გიორგის მონასტერი, ინტერიერი (ფოტო დ. ცხადაძის)

ნმ. დიმიტრის მონასტარი

მდებარეობა და კუთვნილება

ნმ. დიმიტრის (არაბ. მარ მიტრი) მონასტერი მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში (Greek Orthodox Patriarchate st. 2) და ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

ნმ. დიმიტრის მონასტერს აკავშირებენ ქსენადუქთან (xenodocheion – სასტუმრო სახლი), რომელიც ნმ. საბა განწმედილმა ააგო პილიგრიმი ბერებისა და მომლოცველებისთვის.⁴⁵ 1187 წლის შემდგომი პერიოდის ანონიმი ბერძენი მოგზაური აღდგომის ტაძრის სიახლოვეს მდებარე 13 მართლმადიდებლურ მონასტერს შორის ნმ. დიმიტრის მონასტერსაც ასახელებს.⁴⁶

როგორც ჩანს, ნმ. დიმიტრის მონასტერი, სხვა მონასტრებთან ერთად, ქართველების საკუთრებაში XIII-XIV საუკუნიდან უნდა ყოფილიყო.⁴⁷ 1200-1308 წწ-ის ბერძნული საპატრიარქოს ოფიციალური ანგარიშების თანახმად, ქართველებმა ბერძნული საპატრიარქოსთვის გაწეული დახმარებისა და თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო, ბერძენებისგან სხვადასხვა დროს მიიღეს 9 მონასტერი, რომელთა შორის ნმ. დიმიტრის მონასტერიცაა დასახელებული.⁴⁸

ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ნმ. დიმიტრის მონასტერი აგებული იყო შალვა ქსნის ერისთავისა და ივანე ვირშელის მიერ, მონასტერში კი დაწესებული ყოფილა მათი ხსენება.⁴⁹ სამწუხაროდ, ტიმოთე არ აკონკრეტებს მონასტრის აგების (სავარაუდოდ, განახლების) დროს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული პირები მოხსენიებული არიან ჯვრის მონასტრების აღაპებშიც. აღაპთა ე.წ. ტიშენდორფისეულ ნუსხაში სამარიტელის კვირის ოთხშაბათს დადებული ყოფილა აღაპი ერისთავ შალვა ქვენიფნეველისთვის, მისი ძის, პიპასთვის და პიპას მეუღლე თამარისთვის: „სამარიტელისა ოთხშაბათსა წირვაჲ და აღაპი საუკუნო ერისთვისა შ(ა)ლვ(ა)ს ქენიფნვ(ე)ლსა, შვილსა პიპასი და მისისა მეუღლ[ი]–

45 Pringle, The churches, №312, 160

46 Anonymus Graecus, De Locis Hierosolymitanus, 982; Pringle, Pilgrimage to Jerusalem and the Holy Land, 383-384

47 Janin, Les Géorgiens à Jérusalem, №98, 34; ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, 17-18; Vincent, Abel, Jérusalem, 985

48 Peradze, Account, 188

49 გაბაშვილი, მიმოსლვა, 81

სა თამარისი.“⁵⁰ ამავე ნუსხაში დასტურდება ალაპი შალვას ძე პიპასთვის (XIV ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწე), რომელიც ცალკე დაუნესებიათ ახალ-კვირიაკის ორშაბათს.⁵¹ ჯვრის მონასტრის სვინაქსარში ვხვდებით ასევე ვირშელ ერისთავის სახელზე დადებულ ალაპს.⁵² პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, ელენე მეტრეველი ვირშელ ერისთავის ალაპს XIV-XV საუკუნეებით ათარიღებს და ამის მიხედვით ასკვნის, რომ ალაპში მოხსენიებული უნდა იყოს XIV საუკუნის მიწურულისა და XV საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწე ერისთავი ვირშელ III.⁵³ გამომდინარე იქიდან, რომ წმ. დიმიტრის ეკლესიის შესახებ ცნობები უფრო ადრინდელ წყაროებშიც გვხვდება, სავარაუდოდ, ტიმოთე გულისხმობდა შალვა ქსნის ერისთავისა და ივანე ვირშელის მიერ უკვე არსებული მონასტრის განახლებას და არა აშენებას.

1517 წლით დათარიღებული სულთან სელიმ I-ის ფირმანში წმ. დიმიტრის ეკლესია ბერძენთა საკუთრებადაა გამოცხადებული.⁵⁴ მოგვიანებით, 1669-1707 წლებში იერუსალიმის მართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსი და სრულიად პალესტინის პატრიარქი დოსითეოს II წმ. დიმიტრის მონასტერს ასახელებს იმ მონასტრებს შორის, რომლებიც ივერიელებს დაუბრუნდა.⁵⁵

არქიტექტურა

წმ. დიმიტრის ეკლესია იერუსალიმის თეთრი კირქვის ცუდად ფორმირებული სხვადასხვა ზომის ქვათლილებითაა ნაგები; ეკლესია სწორკუთხა გეგმისაა; ცენტრში თავსუფლად მდგომ ოთხკუთხა კვეთის ოთხ სვეტზე გუმბათია აღმართული; გუმბათს ცილინდრული ყელი აქვს და ექვსი სარკმლით ნათდება. სარკმელთა ნაწილი მოგვიანებითაა გაჭრილი, XIX ს-ში გუმბათს მხოლოდ ოთხი სარკმელი ჰქონდა. შენობის ინტერიერი ძლიერ ჩაბნელებულია, იგი ჯვრული კამარებითაა გადახურული. ეკლესიას ორი კარი აქვს, სამხრეთ კედელსა და ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში – ამ კარით უშუალოდ საკურთხეველში შეიძლება შესვლა; საკურთხეველი სწორკუთხა გეგმისაა და ჩრდილო-სამხრეთის ხაზზეა წაგრძელებული, მას მოგვიანო ხანის ბერძნული ხატებით გამშვენებული იკონოსტასი ფარავს. ტაძრის ნაგებობა სრულად განახლებულია. ეკლესიის იატაკის დონე ქუჩის ზედაპირიდან 1,5 მეტრითაა დაწეული. ჩრდილოეთი კარის წინ ადრე შუა საუკუნეების სვეტების ფრაგმენტებია დალაგებული.⁵⁶

50 მეტრეველი, მასალები, 75

51 იქვე, 55

52 იქვე, 96

53 იქვე, 162. იხ. ასევე: ძეგლი ერისთავთა, 314-316

54 Pringle, The churches, №312, 160-161; ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 112

55 Цагарели, Памятники, 121

56 ვრცლად იხ. Pringle, The churches, №312, 161



იერუსალიმი, წმ. დიმიტრის მონასტერი, შესასვლელი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. დიმიტრის ქუჩა (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. ეკატერინეს მონასტარი

მდებარეობა და კუთვნილება

წმინდა ეკატერინეს მონასტერი მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში (Ar-Rusul-ის ქუჩაზე) და ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ცნობა წმ. ეკატერინეს მონასტრის შესახებ 1187 წლის შემდგომი პერიოდით თარიღდება და ეკუთვნის ანონიმ ბერძენ ავტორს, რომელიც აღდგომის ტაძრის დასავლეთით მდებარე მართლმადიდებლურ მონასტრებს შორის, წმ. ეკატერინეს მონასტერსაც მოიხსენიებს.⁵⁷

როგორც ჩანს, წმ. ეკატერინეს მონასტერი, სხვა მონასტრებთან ერთად, ქართველების საკუთრებაში XIII-XIV საუკუნეებიდან უნდა ყოფილიყო.⁵⁸ 1200-1308 წწ-ის ბერძნული საპატრიარქოს ოფიციალური ანგარიშების თანახმად, ქართველებმა, ბერძნული საპატრიარქოსთვის განუეული დახმარებისა და თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო, ბერძნებისგან სხვადასხვა დროს მიიღეს 9 მონასტერი, რომელთა შორის წმ. ეკატერინეს მონასტერიცაა დასახელებული.⁵⁹

როგორც სულტან ალ-მუ'აიად საიფ ად-დინ შაიხის 1414 წლის ბრძანებულების შესავალი ნაწილიდან ირკვევა, ქართველი ბერები გამოცხადებულან სულტანის კარზე და წარუდგენიათ უფრო ადრეული – სულტან ბარკუკის 1387 წლის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, წმ. ეკატერინეს მონასტერი (არაბ. ღაზრ ქათრინ), სხვა მონასტრებთან ერთად, მათ მფლობელობაში იყო.⁶⁰

1517 წლის სულტან სელიმ I-ის მიერ გაცემული ფირმანის მიხედვით, აღნიშნული მონასტერი ბერძენთა კუთვნილებაში გადავიდა.⁶¹

ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, წმ. ეკატერინეს მონასტერი აშენებული (სავარაუდოდ, განახლებული) ყოფილა ქართველი დიდებულების – ამირლამბარ (ამილლაბარ) ფანასკერტელ-ციციშვილისა და მაჩაბლების

57 Anonymus Graecus, De Locis Hierosolymitanus, 982; Pringle, Pilgrimage to Jerusalem and the Holy Land, 383-384

58 Janin, Les Géorgiens à Jérusalem, №98, 34; ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, 17-18; Vincent, Abel, Jérusalem, 985

59 Peradze, Account, 188

60 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 90-91

61 Pringle, The churches, vol. III, №309, 158; ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 161

მიერ: „მონასტერი დედათი წმიდისა ეკატერინესი – ფარასკენტელისა-ციციშვილისა ამილღაბარისა და მაჩაბელთ, მოწესენება მუნ (არს). ესე მონასტერიცა დედათი არს“.⁶² აღნიშნულ პირთა იდენტიფიცირება შესაძლებელია ჯვრის მონასტრის სვინაქსარების მიხედვით, კერძოდ, აღნიშნულ სვინაქსარებში ვხვდებით სხვადასხვა პერიოდიდან მომდინარე ალაპებს, რომლებშიც დაცულია ფანასკერტელ-ციციშვილების საგვარეულოს წარმომადგენლების წმინდა მიწაზე საქველმოქმედო და საქტიტორო საქმიანობის ამსახველი ცნობები.⁶³ მათ შორის 3 ალაპია განწესებული ამირლამბარ ფანასკერტელ-ციციშვილის სახელზე: ალაპი №105,⁶⁴ ალაპი №136 და ალაპი №138.⁶⁵

პირველი ალაპის (№105) განმანესებლის ვინაობა ტექსტში დაზუსტებული არ არის, ხოლო ბოლო ორი ალაპი (№136 და №138) განწესებულია ჯვარის მამა პიმენ მოძღვრის მიერ. ელენე მეტრეველის მითითებით, აქ ორ სხვადასხვა პირთან უნდა გვექონდეს საქმე: №105 ალაპში მოხსენიებული ამირლამბარი XIV საუკუნის მოღვაწეა, №136 და №138 ალაპების ამირლამბარი კი, რომლის ხსენების დადებაც პიმენის ჯვარის მამობის ხანას უკავშირდება, XV საუკუნის ათიანი წლებისა.⁶⁶

XV საუკუნეში მოღვაწე ამირლამბარის ალაპებში მოხსენიებული არიან მისი ოჯახის წევრები – რიფსიმე, ამირლამბარის ცოლ-ყოფილი, რომელსაც გაუღია შესანიშნავი და მათი შვილი ზაქარია.⁶⁷ ამირლამბარის ცოლყოფილი რიფსიმესთან დაკავშირებით გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი შესაძლებელია იერუსალიმის ერთ-ერთ დედათა მონასტერში, კერძოდ, ფანასკერტელ-ციციშვილთა მიერ დაარსებულ წმ. ეკატერინეს მონასტერში იყო მონაზვნად აღკვეცილი.⁶⁸

ელენე მეტრეველის აზრით, ძნელია დაზუსტებით იმის თქმა, თუ კონკრეტულად რომელი ამირლამბარი უნდა მივიჩნიოთ წმ. ეკატერინეს მონასტრის ამშენებლად – XIV საუკუნის მოღვაწე თუ XV საუკუნისა და, აქედან გამომდინარე, წმ. ეკატერინეს მონასტრის განახლების ხანად შემოსაზღვრავს XIV-XV სს.⁶⁹

ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, მის მიერ წმ. ეკატერინეს დედათა მონასტერში ყოფნისას (1757 წ.) იქ ცხოვრობდა ხუთი ქართველი მონაზონი ქალი. ერთი მათგანი – ხარიტინ ანჩაფიშვილი, წმ. ეკატერინეს

62 გაბაშვილი, მიმოსლვა, 81, 123

63 მეტრეველი, მასალები, 73, 75, 90-91

64 იქვე, 88

65 იქვე, 92

66 იქვე, 37, 145, 154

67 იქვე, 154

68 კლდიაშვილი, ფანასკერტელ-ციციშვილთა, 219


69 მეტრეველი, მასალები, 146

მონასტრის ილუმენია ყოფილა, დანარჩენ მონაზვნებთან დაკავშირებით ტიმოთე გაბაშვილი მხოლოდ სადაურობას აკონკრეტებს მათი ვინაობის დასახელების გარეშე: ორი მონაზონი ქალი კახეთიდან („კახი“), ერთი – რუისელი, ერთი იმერელი და ერთიც გურული.⁷⁰

არქიტექტურა

დღევანდელი სახით წმ. ეკატერინეს მონასტრის შენობა XIX საუკუნის ბოლოს, ან XX საუკუნის დასაწყისშია აგებული. მონასტერი Ar-Rusul-ის ქუჩიდან რამდენიმე საფეხურით დაბლა მდებარეობს. გალავანში შესული, ეკლესიის მხოლოდ დასავლეთ და ნაწილობრივ სამხრეთ ფასადს ხედავს; ფასადის სამხრეთი ნაწილი განსხვავებულადაა ნაგები, იგი წმ. ეკატერინეს მონასტრის სტრუქტურის ძველი ნაწილი უნდა იყოს. დასავლეთი კედლის შუაში კაპიტელებიანი სვეტებითა და ფრონტონით გაფორმებული დიდი კარია დატანებული. კედლების რეგულარული წყობა, მცირე, თანაბარი, ზედაპირდაკეჭნილი ქვებითაა განხორციელებული. სწორკუთხა გეგმის ეკლესია აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდითა და მიმდებარე ორი აფსიდური ნიშით მთავრდება; აფსიდიცა და ნიშებიც კონქებითაა დასრულებული; ეკლესიის სამრევლო სივრცე ბრტყლადაა გადახურული. გრძივი კედლები პილასტრებითაა დანაწევრებული; ინტერიერს ფართო სარკმლები ანათებს, საკურთხევლის პირზე გვიანდელი ხატებით შემკული იკონოსტასი დგას.

70 გაბაშვილი, მიმოსლვა, 81



იერუსალიმი, წმ. ეკატერინეს მონასტერი (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. თევდორეს მონასტარი

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. თევდორეს მონასტერი (არაბ. მარ თადრუს/ დაარ თადრუს) მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში, სასტუმრო სახლის, „კაზა ნოვას“ (Casa Nova) სიახლოვეს და ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

უძველეს ცნობებს იერუსალიმში მდებარე წმ. თევდორეს მონასტრის შესახებ ვხვდებით იერუსალიმის ქართულ ლექციონარსა და წმ. საბას „ცხოვრებაში“. მონასტრის განმარტებლად, ან დამაარსებლად მოხსენიებულია პატრიარქი იოანე, რომელიც, შესაძლებელია, ალექსანდრიის პატრიარქი იოანე მოწყალე (VII ს.), ან იერუსალიმის პატრიარქი იოანე III (516-524 წწ.) იყოს.⁷¹ 808 წელს შედგენილ წმ. მიწის მონასტრების ჩამონათვალში (“Commemoratorium”) მითითებულია, რომ წმ. თევდორეს მონასტერში მსახურობდა ორი მღვდელი.⁷²

როგორც ჩანს, წმ. თევდორეს მონასტერი, სხვა მონასტრებთან ერთად, ქართველების საკუთრებაში XIII-XIV საუკუნეებიდან უნდა ყოფილიყო.⁷³ 1200-1308 წწ-ის ბერძნული საპატრიარქოს ოფიციალური ანგარიშების თანახმად, ქართველებმა, ბერძნული საპატრიარქოსთვის განეული დახმარებისა და თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო, ბერძნებისგან სხვადასხვა დროს მიიღეს 9 მონასტერი, რომელთა შორის წმ. თევდორეს მონასტერიცაა დასახელებული.⁷⁴

მონასტრის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის არაბული დოკუმენტური წყაროებიც, კერძოდ, როგორც სულტან ალ-მუ'აიად საიფ ად-დინ შაიხის 1414 წლის ბრძანებულების შესავალი ნაწილიდან ირკვევა, ქართველი ბერები გამოცხადებულან სულტანის კარზე და წარუდგინათ უფრო ადრეული – სულტან ბარკუყის 1387 წლის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, წმ. თევდორეს მონასტერი (არაბ. დაარ თადრუს), სხვა მონასტრებთან ერთად, მათ მფლობელობაში იყო. აღნიშნული მონასტერი ქართველთა მფლობელობაშია სულტან ინალის 1453 წლის ბრძანებულების მიხედვითაც.⁷⁵

71 Pringle, The churches, vol. III, №363, 383-384

72 Commemoratorium de Casis Dei vel monasteriis, 25

73 Janin, Les Géorgiens à Jérusalem, №98, 34; ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, 17-18; Vincent, Abel, Jérusalem, 985

74 Peradze, Account, 188

75 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 90-92

წმ. თევდორეს მონასტერი არ არის მოხსენიებული 1517 წლით დათარიღებულ სულტან სელიმ I-ის ფირმანში იმ მონასტერთა შორის, რომლებიც ბერძენთა საკუთრებად გამოცხადდა. თუმცა, მოგვიანებით, სელიმ I-ის მემკვიდრემ, სულეიმან კანუნიმ 1526 წელს დაამტკიცა მამის ბრძანებულება და ბერძენთა მფლობელობაში გადაცემულ სავანეებს წმ. თევდორეს მონასტერიც დაუმატა.⁷⁶

ოსმალთა ხანის 1685 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში წმ. თევდორეს მონასტერი დასახელებულია იმ ქართულ მონასტერთა შორის, რომლებიც ვალებისა და დარბევების გამო თითქმის დაცარიელებული და ძლიერ შელახული იყო.⁷⁷

ცნობილია, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმის სამმა პატრიარქმა: თეოფანემ (1608-1644 წწ.), პაისიმ (1645-1660 წწ.) და დოსითეოს II-მ (1669-1707 წწ.) რამდენჯერმე იმოგზაურეს საქართველოში წმ. მინაზე ქართული მონასტრების აღდგენისა და ვალების დასაფარად თანხების შესაგროვებლად.

მოღწეულია ეპისკოპოს დოსითეოს II-ის 1706 წლის სიგელი, რომელშიც წმ. თევდორეს მონასტერი სახელდება იმ ქართულ სავანეთა შორის, რომელთა გამოსყიდვა და შეკეთება ქართველ მეფეთა და დიდებულთა ფინანსური შემწევობითა და იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს მცდელობით მოხერხდა.⁷⁸

წმ. თევდორეს მონასტერზე საინტერესო და საგულისხმო ცნობებს გვანვდიან ქართული წერილობითი წყაროებიც. ტიმოთე გაბაშვილის თანახმად, წმ. თევდორეს მონასტერი აგებული ყოფილა ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილების მიერ: „*ქ. წმიდის თევდორეს მონასტერი ბეჟანისაგან და ბაადურ ჩოლოყაშვილისა არს აღშენებული*“.⁷⁹ ტიმოთეს ეს ცნობა უნდა მომდინარეობდეს ამ მონასტრის ორი სამშენებლო წარწერიდან, რომლებიც დღეისათვის დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ: ერთ-ერთი წარწერა მოიხსენიებდა ბენა ირუბაქისძე ჩოლოყაშვილს როგორც წმ. თევდორე მონასტრის აღმშენებელს (აღნიშნული წარწერა 1635 წლით ყოფილა დათარიღებული), ხოლო მეორე წარწერა მოიხსენიებდა ბაადურ ჩოლოყაშვილს, მის ძმასა და ძმისწულებს, ასევე ჩოლოყაშვილების ყმა შიოს.⁸⁰ ბაადურ ჩოლოყაშვილის მიერ მონასტრისადმი განეულ ფინანსურ დახმარებაზე მეტყველებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარში დაცული ალაპიც (N 87), საიდანაც ვიგებთ, რომ ბაადურს იერუსალიმში

76 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 162

77 იქვე, 179

78 Цагарели, Памятники, 80-81

79 გაბაშვილი, მიმოსღვა, 81, 123

80 Цагарели, Сведения, 47

გაუგზავნია ორასი „ველენტიური“ ფლური.⁸¹ იქიდან გამომდინარე, რომ წმ. თევდორეს მონასტერი უფრო ადრინდელ წყაროებშიც არაერთხელ მოიხსენიება (იხ. ზემოთ), საფიქრებელია, რომ 1635 წ. ჩატარებული ყოფილა აღდგენითი სამუშაოები. ამდენად, ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილები უნდა მივიჩნიოთ წმ. თევდორეს მონასტრის განმაახლებლებად და არა აღმშენებლებად.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ბენა ჩოლოყაშვილის ანდერძიც, რომელიც იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს XV საუკუნის ხელნაწერშია დაცული (Jer. Geo.132, თვენი, 344v). აღნიშნული ანდერძით დასტურდება, რომ წმ. თევდორეს ეკლესია („თევდორე წმიდა“) განუახლებია ბენას, რომელსაც უზრუნია მის მიერ აღდგენილი ეკლესიის ბიბლიოთეკის შესავსებადაც – ჩაუტარებია საგანგებო მოკვლევა წმ. თევდორეს ეკლესიის კუთვნილი ხელნაწერების მოსაძიებლად და დაუბრუნებია ისინი ძველი მფლობელისთვის, ანუ წმ. თევდორეს მონასტრის კრებულისთვის. ერთ-ერთი ასეთი მოძიებული და ძველ ადგილზე დაბრუნებული ნუსხა ყოფილა ხელნაწერი Jer.Geo.132.⁸²

წმ. თევდორეს ეკლესია-მონასტრის არსებობის უფრო ადრეულ პერიოდზე ცნობებს გვანჯდის ამავე ხელნაწერის (Jer.Geo.132) გადამწერის, მიქაელ ხუცესმონაზვნის ორი ანდერძი, რომლებიც დაცულია 343 r-v-ზე. პალეოგრაფიული მონაცემებით, ანდერძები ხელნაწერის თანადროული უნდა იყოს და XIV-XV სს-ებით შეიძლება დათარიღდეს. წმ. თევდორეს მონასტრის ისტორიისთვის განსაკუთრებით საინტერესოა მიქაელის მეორე კოლოფონი, საიდანაც ირკვევა, რომ ხელნაწერი Jer.Geo.132 მიქაელს შეუწირავს წმ. თევდორეს ეკლესიისა და ტკებნარის დარისათვის (მონასტრისათვის):⁸³

*„სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდისა თეოდორე მთავარმონაზმისაჲთა, მე, გლახაკმან მიქაელ, შევსწირენ წმიდანი ესე წიგნი მონასტერსა ტკებნარის დარსა, ეკლესიასა წმიდისა თეოდორესსა სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა. ან ვინცა რაჲცა მიზეზითა, რამანცა გუარმან კაცმან გამოაჭუას, კანონსამცა ქუეშე არს წმიდათა მამათასა, კრულმცა არს პირითა ღმრთისაჲთა და ნაწილიმცა მისი არს იუდას და თევდას და ყოველთა ღმრთისა უვარის მყოფელთა თანა“ (343 r-v).*⁸⁴

წმ. თევდორეს მონასტერთან არის დაკავშირებული ასევე იერუსალიმის

81 მეტრეველი, მასალები, 86-87

82 ცერაძე, ტკებნარის მონასტერი, 282-285

83 ვრცლად იხ. ქვემოთ სტატია: ტკებნარის მონასტერი

84 ცერაძე, ტკებნარის მონასტერი, 282-285

ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ხელნაწერი Jer.Geo.17 (XII-XVII სს.), რომელიც ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკურ კრებულს წარმოადგენს. ხელნაწერის 22r-ზე მოთავსებულია ყანჩელი მღვდელმონაზვნის, ნიკოლოზის მხედრულით შესრულებული მინაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ ეს ნუსხა წმ. თევდორეს მონასტრის კუთვნილი ყოფილა: „*შეინყალეთ ფრიად ცოდვილი ყანჩელი მღვდელმონაზონი ნიკოლოზ. ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქვენცა შეგინდნეს ღმერთმან. ესე მეტაფრასი წმიდის თევდორეს მონასტრისა არის.*“⁸⁵

ჩვენს ხელთ არსებული ქართული წერილობითი წყაროების საფუძველზე წმ. თევდორეს მონასტრის ქართული სამონასტრო თემის ისტორიაში შეიძლება გამოიყოს 3 ეტაპი:

- I ეტაპი – XIV-XV სს. (Jer.Geo.132, 343rv, გადამწერი მიქაელის ანდერძი) – იქიდან გამომდინარე, რომ ხელნაწერის გადამწერი მიქაელი თავის ანდერძში წმ. თევდორეს უკვე არსებულ ეკლესიაზე საუბრობს, საფიქრებელია, რომ ეს უნდა იყოს პირველი ეტაპის ზედა ზღვარი.
- II ეტაპი – XVI საუკუნის 10-იანი წლები – წმ. თევდორეს ეკლესია განაახლა ბენა ჩოლოყაშვილმა (Jer.Geo.132, 344v). ცნობილია, რომ ბენა ჩოლოყაშვილი 1511-1514 წწ-ში მოღვაწეობდა იერუსალიმში.
- III ეტაპი – 1635 წ. (წმ. თევდორეს ეპიგრაფიკული წარწერები – იხ. ქვემოთ) – წმ. თევდორეს ეკლესია განაახლეს ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილებმა.

არქიტექტურა

წმ. თევდორეს მონასტერში Les Freres-ის ქუჩის მხრიდან დაბალი კარით არის შესასვლელი. სანამ შიდა ეზომდე მიაღწევს, გვირაბისებრი გასასვლელი, მარჯვნივ იტოტება, სადაც გამოქვაბულისებრი ჩაბნელებული სენაკებია განთავსებული. შიდა ეზოს აღმოსავლეთ კიდეში ეკლესიაში შესასვლელი კარია. დღეს აქვე მდებარეობს მოქალაქეთა ბინები, რომლებიც, უდავოდ, მონასტრის ძველი სენაკებისა თუ სხვა დანიშნულების სათავსებს მოიცავს; შიდა ეზოში ახლადაგებული შენობებიცაა, მაგალითად, ეკლესიას დასავლეთიდან, სავარაუდოდ XX საუკუნის დასაწყისში, მიადგეს საცხოვრებელი სახლი. ეზოში მოსახლეთა ბინები სხვადასხვა ყაიდაზეა გადაკეთებული, რაც ძველ სამონასტრო სივრცეს გარკვეულწილად უკარგავს იერს, თუმცა აშკარაა, წმ. თევდორეს მონასტერს შემორჩენილი აქვს იერუსალიმის პატარა მონასტრებისათვის დამახასიათებელი თავდაპირველი სახე. ეკლესია ორდონიანი ნაგებობაა.

85 მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, 40

მასში შესვლისას პირველად ნართექსისმაგვარ სივრცეში ვხვდებით, რომლის აღმოსავლეთით და ეკლესიის მთავარი სივრცის სამხრეთით წმ. სპირიდონის სამლოცველოა; ჩრდილოეთით ექვსი საფეხურით წმ. თევდორეს ეკლესიაშია ასასვლელი. იგი ნახევარწრიული აფსიდით დასრულებული გეგმით კვადრატს მიახლოებული ნაგებობაა, რომლის სივრცე ჯვრული კამარითაა გადახურული, კამარა დასავლეთით და აღმოსავლეთით მძლავრ პილასტრებს ეყრდნობა, დენის პრინგლის აზრით, ძველად ამ პილასტრებზე გუმბათი უნდა ყოფილიყო აღმართული.⁸⁶ საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს თითო მცირე აფსიდიოლია, რომლებიც სამკვეთლოს და სადიაკვნოს ფუნქციას ასრულებენ. დასავლეთ კედელზე ამოქოლილი კარია, სავარაუდოდ, ძველად ეკლესიის მთავარი შესასვლელი აქედან იყო, დღევანდელი კარი და წმ. სპირიდონის სამლოცველო მოგვიანო ხანის მინაშენებია.

ეპიგრაფიკული წარწერები⁸⁷

წმ. თევდორეს ეკლესიაში ერთ დროს დაცული იყო ორი ქართულენოვანი სამშენებლო წარწერა, რომლებიც დღეისათვის დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ. ნიკოლოზ ჩუბინაშვილის ცნობით, რომელმაც 1845 წელს იმოგზაურა იერუსალიმში, წმ. თევდორეს მონასტრის ერთი, მხედრული ანბანით შესრულებული წარწერა მოთავსებული იყო მონასტრის ეკლესიაში, „საკურთხევლის პირდაპირ, დასავლეთის კედელზედ, ფანჯარის ქვეშე დატანებულს ქვაზედ“. თუმცა მკვლევარი აღნიშნავს, რომ დაზიანების გამო წარწერის ბოლომდე წაკითხვა და თარიღის იდენტიფიცირება ვერ შეძლო. მისი სიტყვებით, წარწერა მოიხსენიებდა ბენა ირუბაქისძე ჩოლოყაშვილს, როგორც წმ. თევდორე მონასტრის აღმშენებელს. რაც შეეხება მეორე წარწერას, ნიკოლოზ ჩუბინაშვილის ცნობით, იგი მოთავსებული იყო „დასავლეთის კარს გარედამ ზევით“ დატანებულ მარმარილოს ქვაზე და მოიხსენიებდა ბაადურ ჩოლოყაშვილს, მის ძმასა და ძმისწულებს, ასევე ჩოლოყაშვილების ყმა შიოს.⁸⁸

აღნიშნული წარწერები 1883 წ. უნახავს ალექსანდრე ცაგარელსაც. იგი აღნიშნავს, რომ პირველი, მხედრულით შესრულებული წარწერა 1635 წლით იყო დათარიღებული, ხოლო მონასტრის აღმშენებლის სახელი, წარმოდგენილი წარწერაში, შესაძლებელია ყოფილიყო „ბუჟანა“; მეორე, ნუსხურით შესრულებული წარწერა კი მოიხსენიებდა ყადორ ჩოლოყაშვილს.⁸⁹

86 Pringle, The churches, vol. III, №363, 385

87 ვრცლად წმ. თევდორეს მონასტრის ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ იხ. დანართი

88 Цагарели, Сведения, 47

89 Цагарели, Памятники, 251

იქიდან გამომდინარე, რომ წარწერა 1635 წლით არის დათარიღებული, ელენე მეტრეველის სამართლიანი დასკვნით სწორად უნდა მივიჩნიოთ ცაგარლისეული წაკითხვა „ბეჟანა“ (და არა ჩუბინაშვილისეული „ბენა“), რადგან ბენა ჩოლოყაშვილი XV საუკუნის მიწურულისა და XVI საუკუნის დასაწყისის მოღვაწეა. რაც შეეხება მეორე წარწერას, საფიქრებელია, რომ ცაგარლისეული წაკითხვა – „ყადორ“ მცდარია და შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო წარწერაში ნუსხური „ბ“-ს დაზიანებით.⁹⁰ სახელების ამგვარ წაკითხვას მხარს უჭერს ტიმოთე გაბაშვილიც, რომელიც მონასტრის აღმშენებლებად ასახელებს ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილებს (იხ. ზემოთ).

წმ. თევდორეს მონასტრის წარწერები იერუსალიმის ეკლესიების სხვა ქართულ წარწერებთან ერთად მოხსენიებული აქვს ბერ ლავრენტი გოგელაძესაც თავის კოლოფონში, რომელიც 1807 წლით თარიღდება და დაცულია ათანასე ალექსანდრიელის „ფსალმუნთა თარგმანების“ შემცველ XII-XIII სს. ხელნაწერში: „აქ იერუსალიმს იხილეთ ... და მით სცანთ წმინდისა ამის ქალაქისა იერუსალიმისა საქმე და ამბავი. წმინდისა ნიკოლოზის ეკლესია და წმინდისა თეოდორეს ეკლესია და მამათმთავრის აბრაჰამის ეკლესია და ყველგან ქვები და წერილები აცხადებს ჩვენის ქვეყნის ნაჭირნახულევს, და თუ ვის გაუკეთებია და ხარჯი უქნია...“.⁹¹

ხელნაწერები

წმ. თევდორეს მონასტრის უკავშირდება ორი ქართული ხელნაწერი:

Jer. Geo. 17. ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული, XII-XVII სს.

ხელნაწერი წმ. თევდორეს მონასტრის კუთვნილი ყოფილა, რასაც ადასტურებს 22r-ზე მოთავსებულია ყანჩელი მღვდელმონაზონის, ნიკოლოზის მინაწერი.

კრებული აღწერილი აქვთ ნ. მარს (N 15) და რ. ბლეიკს (N 17), რომლებიც ამ ნუსხას საკმაოდ ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ათავსებენ – კერძოდ, მიუთითებენ, რომ იგი გადანერილი უნდა იყოს XII-XVII სს-ში.⁹²

დამატებით ამ ხელნაწერებისა და მათი კოლოფონების შესახებ იხ. ამავე სტატიაში სექცია: ისტორია.

ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

90 მეტრეველი, იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, 232

91 ცურაძე, ხოფერია, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 369, ხელნაწერი H 18

92 მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, 38; Blake, Catalogue, 389

Jer. Geo. 132. გიორგი ათონელის თვენი (მთელი წლისთვის), XV ს.

ხელნაწერს აქვს გადამწერის, მიქაელ ხუცეს-მონაზვნის ორი ანდერძი (343 r-v) მეორე ანდერძიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი მიქაელს შეუწირავს წმ. თევდორეს ეკლესიისათვის (ტკებნარის დარისათვის). ხელნაწერს ასევე ახლავს ბენა ჩოლოყაშვილის ანდერძი (344v), რომლის თანახმად ბენას განუახლებია წმ. თევდორეს მონასტერი, ასევე მოუძიებია და მონასტრისთვის დაუბრუნებია მისი კუთვნილი ხელნაწერები.

ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ბლეიკს.⁹³ მოკლე აღწერილობა იხ. ასევე გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁹⁴

ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

93 Blake, Catalogue, 136-137

94 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 140



იერუსალიმი, წმ. თევდორეს მონასტერი, შესასვლელი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. თევდორეს მონასტერი, ეზო (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. თევდორეს მონასტერი, ინტერიერი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. თეოდორეს მონასტერი, ეზო (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. თეკლას მონასტარი

მღებარეობა და კუთვნილება

წმ. თეკლას მონასტერი მღებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში, ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ტერიტორიაზე და ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

ანონიმი ბერძენი ავტორის ცნობით, რომელიც 1187 წლის შემდგომი პერიოდით თარიღდება, აღდგომის ტაძრის დასავლეთით მღებარე მართლმადიდებლურ მონასტრებს შორის იყო წმ. თეკლას მონასტერიც, რომელიც წმ. ნიკოლოზისა და წმ. ანას მონასტრებს შორის მღებარეობდა.⁹⁵ როგორც ჩანს, წმ. თეკლას მონასტერი, სხვა მონასტრებთან ერთად, ქართველების საკუთრებაში XIII-XIV საუკუნეებიდან უნდა ყოფილიყო.⁹⁶ 1200-1308 წწ-ის ბერძნული საპატრიარქოს ოფიციალური ანგარიშების თანახმად, ქართველებმა, ბერძნული საპატრიარქოსთვის განეული დახმარებისა და თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო, ბერძნებისგან სხვადასხვა დროს მიიღეს 9 მონასტერი, რომელთა შორის წმ. თეკლას მონასტერიცაა დასახელებული.⁹⁷

მონასტრის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდიან არაბული დოკუმენტური წყაროებიც, კერძოდ, როგორც სულთან ალ-მუ'აიად საიფად-დინ შაიხის 1414 წლის ბრძანებულების შესავალი ნაწილიდან ირკვევა, ქართველი ბერები გამოცხადებულან სულტნის კარზე და წარუდგენიათ უფრო ადრეული – სულთან ბარკუკის 1387 წლის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, წმ. თეკლას მონასტერი (არაბ. დაჰრ თაკლა), სხვა მონასტრებთან ერთად, მათ მფლობელობაში იყო.⁹⁸

წმ. თეკლას მონასტერი მოხსენიებულია 1517 წლით დათარიღებულ სულტთან სელიმ I-ის ფირმანში, იმ მონასტერთა შორის, რომლებიც ბერძენთა საკუთრებად გამოცხადდა.⁹⁹

იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოს II-ის (1669-1707 წწ.) თანახმად, XVII ს-ის დამდეგს ქართველებმა მონასტრის ნაწილი დაუთმეს იერუსალიმის პატრიარქ თეოფანე III-ს (+1646), ხოლო მონასტრის მეორე – სამხრეთი

95 Anonymus Graecus, De Locis Hierosolymitanus, 981; Pringle, Pilgrimage to Jerusalem and the Holy Land, 383-384

96 Janin, Les Géorgiens à Jérusalem, №98, 34; ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, 17-18; Vincent, Abel, Jérusalem, 985

97 Peradze, Account, 188

98 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 90-91

99 იქვე, 161

ნანილი – კოპტებისაგან შეიძინა პატრიარქმა პაისიმ (+1660), რომელსაც ეკლესია, ბალი და ეზო XVII ს-ის შუა ხანებში აღუდგენია.¹⁰⁰

მონასტრის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვანვდიან ქართული წყაროებიც. ტიმოთე გაბაშვილის თანახმად, იერუსალიმის წმ. თეკლას მონასტერი აშენებული ყოფილა ჯვარის მამა ქრისტეფორე ზედგინიძისა და მისი ნათესავების მიერ.¹⁰¹ მონასტრის სამშენებლო წარწერების მიხედვით, ტაძრის აგების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ყოფილა ქაიხოსრო დოლარსლანის ძე ზედგინიძე – იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი XV ს-ის პირველ ნახევარში. როგორც ჩანს, აქ საუბარია მონასტრის განახლებაზე და არა მის აშენებაზე, რადგან მონასტრის შესახებ ცნობებს გაცილებით ადრეულ პერიოდში ვხვდებით.

დარეჯან კლდიაშვილის აზრით, სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატთანეში მოხსენიებული ქაიხოსრო დოლარსლანიშვილი იგივე ქაიხოსრო დოლარსლანის ძე ზედგინიძეა. მისივე დაკვირვებით, ტიმოთე გაბაშვილთან ნახსენები წმ. თეკლას მონასტრის მამაშენებელი ჯვარის მამა – ქრისტეფორე ზედგინიძე და ქაიხოსრო ზედგინიძე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს, რადგან შესაძლებელია, ქაიხოსროს საბერო სახელი სწორედ ქრისტეფორე ყოფილიყო.¹⁰²

ცნობილია, რომ ზედგინიძეთა საგვარეულო XV-XVI სს-ში აქტიურად ეხმარებოდა იერუსალიმის სამონასტრო კოლონიის წევრებს სხვა შენობებისა და ადამიანების დასახელებს. ამას ადასტურებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ალაპები, დადებული ზედგინიძეების საგვარეულოს სხვადასხვა წევრების (ავთანდილ, მამისა, თაყა და ჯანიბეგ ზედგინიძეები) სახელზე, რომლებსაც ჯვრის მონასტრის საალაპე ნიგნებში ვხვდებით.¹⁰³

არქიტექტურა

მონასტრის დარბაზული სივრცე წყვილ პილასტრზე დაფუძნებული ორი ჯვრული კამარითაა გადახურული. აღმოსავლეთით ნახევარწრიული

100 Цагарели, Памятники, 120

101 გაბაშვილი, მიმოსლვა, 81, 123

102 კლდიაშვილი, ზედგინისძეთა მოსახსენებელი, 261-262

103 ზედგინიძეთა ალაპები წარმოდგენილია იერუსალიმური ალაპების შემცველ ორ ხელნაწერ ნუსხაში, ესენია: იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის №24-25 ხელნაწერი, რომელიც გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილ დიდი სვინაქსარის ტექსტს შეიცავს და ე.წ. ტიშენდორფისეული ნუსხა (Cod.Ms.V1095.UB) – ეტრატიის ოთხ ფურცელზე დანერული ფრაგმენტი, რომელიც ამჟამად ლაიფციგის უნივერსიტეტში, ტიშენდორფისეული კოლექციის ქართულ ხელნაწერთა შორის ინახება. ამ ხელნაწერებში ვხვდებით ავთანდილ, მამისა, თაყა და ჯანიბეგ ზედგინიძეთა სახელზე დადებულ ალაპებს. ვრცლად იხ. მეტრეველი, მასალები, 37, 76, 77, 153

აფსიდაა, რომელსაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ორი მცირე აფსიდა აკრავს. დასავლეთის მთავარი კარი სამი ჯვრული კამარით გადახურულ გასასვლელში გადის, გასასვლელის სამხრეთი და ჩრდილოეთი ბოლო გახსნილია. ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლების დასავლეთ კიდეებში თითო კარია გაჭრილი, რომელთაგან სამხრეთის დღეს ამოქოლილია. ჩრდილოეთ კარს შემორჩენილი აქვს ძველი ფორმები, იგი არქიტრავითაა გადახურული, თავზე კი ამჟამად ამოქოლილი ლუნეტი; ლუნეტს ევლება მუზარადისებრი მოყვანილობის დეკორატიული თალი. დენის პრინციპის მოსაზრებით, ეკლესიას შემორჩენილი აქვს ძველი ფორმები, შუა საუკუნეებში იგი ტრომპებზე დამყარებული გუმბათით ისევე ყოფილა გადახურული, როგორც ამას უფლის საფლავის კომპლექსის სამების ეკლესიაში ვხედავთ.¹⁰⁴

ეპიგრაფიკული წარწერები¹⁰⁵

ზედგინიძეების მიერ წმ. თეკლას ეკლესია-მონასტრის აგების ამბავს გადმოგვცემს ორი ქართულენოვანი სამშენებლო წარწერა.

წმ. თეკლას ეკლესიის აღმოსავლეთით ზღუდის კედელზე მდებარეობდა ასომთავრული წარწერა, რომელშიც იხსენიებოდა ამ ზღუდისა და სენაკის აღმშენებელი ქაიხოსრო ზედგინიძე (XV-XVI სს-ის მიჯნა).¹⁰⁶ აღნიშნული წარწერა აღარაა შემორჩენილი. როგორც ჩანს, იგი ბერძნული საპატრიარქოს ნაგებობათა ერთ-ერთ რემონტს შეეწირა.

მეორე ქართული ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილი კირქვის ფილაზე საპატრიარქოს ტერიტორიაზე, წმ. თეკლას მონასტრის სიახლოვეს მდებარე ერთ-ერთი სენაკის სარკმლის ნირთხლში უკუღმაა ჩადგმული. პალეოგრაფიული მონაცემებით წარწერა XV-XVI საუკუნისა უნდა იყოს.¹⁰⁷

ამ წარწერაშიც დოლარსლანის ძე ქაიხოსრო ზედგინიძე იხსენიება.

„აღვ(ა)შენე ზედგი/ნისძემ დოლარსნ(ა)ლ/(ი)ს შვილმ(ა)ნ [ქ]აიხოს[რომ] [ჩ]ემისა/ ს(უ)ლისა და ჩ(ე)მთა მშობელთა ს[უ]ლისათჳს რვა ს(ა)ხლი და/ ოცდარვა კ(ა)მარა ვინც/ შ(ე)ნდ(ო)ბა ბრძ(ა)ნ(ო)ს [თ]უქ(უ)ნცა შ(ე)გინდ(ვ)ნეს ღ(მერთმ)ან.“

ეს წარწერა პირველ წარწერაზე ადრეულია და იქამდე უნდა იყოს გაკეთებული, ვიდრე ქაიხოსრო ჯვარის მამა გახდებოდა. წარწერა

104 Pringle, The churches, vol. III, №362, 382

105 ვრცლად წმ. თეკლას მონასტრის ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ იხ. დანართი

106 ვრცლად აღნიშნული წარწერის შესახებ იხ.: მიქაძე, იერუსალიმის უცნობი ქართული სამშენებლო წარწერა, 236-242

107 წარწერა აღმოაჩინა ქართველ მკვლევართა ექსპედიციამ წმინდა მინაზე, რომელიც 2001-2002 წწ-ში განხორციელდა თ. მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით. წარწერის ტექსტი ამოიკითხა გ. გაგოშიძემ. იხ. გაგოშიძე გ., წმინდა მინის ქართული წარწერები, 38-39

ცხადყოფს, რომ ქაიხოსროს დიდად უზრუნია წმ. თეკლას მონასტრის ძლიერებისთვის და მისთვის რვა სახლი და ოცდარვა კამარა აუგია (კამარა – ქულბაქების მაგვარ ღია სავაჭრო შენობას უნდა ნიშნავდეს, რვა სახლი კი, შესაძლოა, მონასტერთან არსებულ სასტუმრო სახლებს გულისხმობდეს).¹⁰⁸

წმ. თეკლას მონასტერში დაცული ქართული ნაქარგობა

წმ. თეკლას ეკლესიაში ინახება ქართული დაფარნა. ნაქარგობის ზომები: 54, 3 X 78, 8 სმ. ფონი: მწვანე აბრეშუმი. მასზე დაცული წარწერის თანახმად, დაფარნა დაუმზადებიათ 1743 წელს.

დაფარნა სამი კომპოზიციისაგან შედგება: 1. მთავარი კომპოზიცია – ქრისტეს დატირების სცენა, რომელიც მოთავსებულია ნაქარგობის შუა ნაწილში; 2. გოლგოთის კომპოზიცია, წარმოდგენილი ნაქარგობის მარცხენა ზემო ნაწილში; 3. ქალაქის (იერუსალიმის) ხედი, წარმოდგენილი ნაქარგობის მარჯვენა ზემო ნაწილში.

დაფარნა მოჩარჩოებულია წარწერიანი არშიით. არშია, განსხვავებით მიწარისაგან, მოწითალო-ღვინისფერი ქსოვილისაა. მსგავს მოვლენას (მიკერებულის, სხვა ფერის არშია) საკმაოდ ხშირად ვხვდებით XVIII საუკუნის ქართულ ნაქარგობებზე (დაფარნა, კრეტსაბმელი, ენქერი).

დაფარნის არშიაზე მოთავსებული ვერცხლით შესრულებული, საქტიტორო ასომთავრული წარწერა გარს უვლის ნაქარგობას. წარწერის სიტყვები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორწერტილებით. არშიის ოთხივე კუთხეში ვხვდებით კვადრატულ ჩარჩოებში მოთავსებულ ექვსფრთიანი სერაფიმის გამოსახულებებს.

მოგვყავს წარწერის ტექსტი:

„ქ: დაგვიფარენ: ჩ(ვე)ნ: საფარველითა: ფრთეთა: შენ(თა)თა: შემამკობელნი: სინმი(დ)ისა: შ(ე)ნის(ა)ნი: ბ(ა)ტონის: შვილი: მ(ა)მუკა: და: თ(ა)ნა: მეცხედრე: ჩ(ვე)ნი: დადიანის: ასული: დარეჯან: ძით: და: ასულით: ჩ(ვე)ნ: ორთავ: და: წარსდევნე: ჩ(ვე)ნგ(ა)ნ: ყ(ოვე)ლნი მტ(ე)რნი: და: მბრძოლნი: ჩ(ვე)ნნი: და: დაამშვიდე: ცხორება: ჩ(ვე)ნი: უფალო: შეგვიწყალებ: ჩვენ: და: სოფ(ე)ლი: შენი: და: აცხოვნენ: სულნი: ჩვენნი: ვითარცა: ს(ა)ხიერ: ხარ: და: კაცთ: მოყვარე: ქ(რისტე)ს: აქეთ: ჩ ღ მ გ“.

წარწერაში მოხსენიებული პირები იმერეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წევრები არიან, კერძოდ:

მამუკა ბატონიშვილი – მეორე ვაჟი იმერეთის მეფის, გიორგი VI-ისა (1703-1711, 1713, 1716-1720) და იმერეთის მეფის, ალექსანდრე V-ის (1720-1740, 1741-1752) უმცროსი ძმა და დარეჯან დადიანის ასული –

108 გაგოშიძე გ., წმინდა მინის ქართული წარწერები, 39

ოდის მთავრის, ოტია დადიანისა და და მამუკა ბატონიშვილის მეუღლე. დაფარნის წარწერაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი ეკლესიისა ან მონასტრისათვის იყო გამიზნული ამ ნაქარგობის შეწირვა; უცნობია ისიც, თუ როგორ, ან როდის მოხვდა იგი იერუსალიმის წმ. თეკლას ეკლესიაში. თუმცა საფიქრებელია, რომ ქართული დაფარნებისათვის უჩვეულო კომპოზიციების – გოლგოთისა და იერუსალიმის – გამოსახვა იმით იყო გამონვეული, რომ ნაქარგობა საგანგებოდ დამზადდა იერუსალიმში გასაგზავნად.



იერუსალიმი, წმ. თეკლას მონასტრის ქტიტორის,
ქაიხოსრო ზედგინიძის ქართული წარწერა, XV-XVI სს. (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. იაკობის მონასტერი

ადგილმდებარეობა და კუთვნილება

წმ. იაკობის მონასტერი მდებარეობს ძველი იერუსალიმის სომხურ უბანში, სიონის კარიბჭის მახლობლად. იგი წარმოადგენს იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს საკათედრო ტაძარს.

ისტორია

შუა საუკუნეებში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, წმ. იაკობის¹⁰⁹ მონასტერი აგებულია იმ ადგილას, სადაც მას თავი მოჰკვეთეს.

ახალი აღთქმის თანახმად, წმ. იაკობის სიკვდილით დასჯა მეფე ჰეროდე აგრიპა I-მა ბრძანა (საქმე მოციქულთა 12:1-3), თუმცა ტექსტში არანაირი ცნობა არ მოიპოვება მოციქულის მონამებრივი აღსასრულის ზუსტი ადგილის შესახებ. ადრეული ქრისტიანული ტრადიცია მას იერუსალიმს უკავშირებს. მაგალითად, ანონიმი პილიგრიმი პიაჩენცადან (ქალაქი ჩრდ. იტალიაში), რომელმაც 570-იან წლებში იმოგზაურა წმინდა მინაზე წმ. იაკობის საფლავს ზეთისხილის მთაზე მოიხსენიებს.¹¹⁰

მოგვიანებით, XII საუკუნიდან მოყოლებული, წმ. იაკობის თავისკვეთის ადგილად უკვე სიონის მთა სახელდება. როგორც დენის პრინგლი ვარაუდობს, ამის მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს იმ გარემოებას, რომ „საქმე მოციქულთას“ იმავე მე-12 თავში ნახსენები პეტრე მოციქულის დილეგი და იოანე მარკოზად წოდებულის სახლი სწორედ სიონის მთაზე მდებარეობდა.¹¹¹

ერთი-ერთი ვარაუდით, იმ ადგილას, სადაც ამჟამად წმ. იაკობის საკათედრო ტაძარია, დაახლოებით 444 წელს რომაელმა დიდგვაროვანმა ქალბატონმა – ბასამ დააარსა წმ. მინას სახელობის ეკლესია და დედათა მონასტერი.¹¹²

ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, წმ. იაკობის მონასტერი მეფე გიორგი კურაპალატს აუშენებია.¹¹³ დაუზუსტებელია, კონკრეტულად რომელ

109 იაკობ ზებედეს ძე, იოანე მახარებლის ძმა, ქრისტეს 12 მოციქულთაგან ერთ-ერთი, ასევე მოიხსენიება როგორც იაკობ უფროსი

110 Pringle, The churches, vol. III, №318, 168

111 იქვე, 169

112 Vincent, Abel, Jérusalem, 521-2. აღსანიშნავია, რომ წმ. მინასა და კურთხეული ბასას მოსახსენებელი გვხვდება იერუსალიმურ ლექციონარში, სადაც საუბარია ბასას მიერ აგებულ ეკლესიაში ჩასატარებელ მსახურებებზე (იხ. Le Grand Lectionnaire, 15 (1032), 22 (1084), 59 (1335), 62 (1357))

113 გაბაშვილი, მიმოსლვა, 81, 122

მეფე გიორგის გულისხმობს ტიმოთე. აღნიშნულთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ საუბარია გიორგი II-ზე, რადგან მას ჰქონდა კურაპალატის ტიტული, შესაბამისად, ქართველთა მიერ მონასტრის დაარსების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს გიორგი II-ის ზეობის პერიოდში – 1072-1088 წლებში სვამენ.¹¹⁴ გრიგოლ ფერაძის აზრით კი, შესაძლებელია, ტიმოთე მეფე გიორგი I-ს გულისხმობდეს (1014-1027 წწ.), რომელსაც, მართალია, არ ჰქონდა კურაპალატის ტიტული, მაგრამ, სავსებით შესაძლებელია, მოგვიანო პერიოდში შეცდომით მოეხსენიებინათ ასე.¹¹⁵ ნებისმიერ შემთხვევაში, ქართველთა მიერ მონასტრის დაარსების პერიოდად XI საუკუნე უნდა მივიჩნიოთ.

იმას, რომ წმ. იაკობის მონასტერი ქართველთა მფლობელობაში იყო, ასევე ადასტურებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული წმ. იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური კრებულის – „მარგალიტი“ XI საუკუნის ხელნაწერის არაბული მინაწერი, რომელიც პალეოგრაფიული მონაცემებით ხელნაწერის თანადროული უნდა იყოს. მინაწერში აღნიშნულია, თუ როგორ გააკეთებინა ქართველმა მეფემ (სახელი ნახსენები არ არის) ქართული ოთხთავის ორი ნუსხა – ერთი თავისთვის, ხოლო მეორე – იერუსალიმის წმ. იაკობის მონასტრისთვის შესაწირად.¹¹⁶

XII საუკუნეში, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, ქართველები იძულებულნი გამხდარან აღნიშნული ეკლესია და მონასტერი სომხური თემისთვის დაეთმოთ. ყველაზე ადრეულ ცნობებს იმის შესახებ, რომ წმ. იაკობ დიდის სახელზე აგებულ ეკლესიაში სომეხი ბერები ცხოვრობდნენ, გვანვდის გერმანელი პილიგრიმი – იოანე ვიურცბურგელი, რომელმაც 1160-იან წლებში იმოგზაურა წმინდა მინაზე. იაკობის მონასტერში სომეხ ბერებს იხსენიებენ აგრეთვე XIV-XVI საუკუნეების რუსი და ევროპელი პილიგრიმები.¹¹⁷

ცნობილია, რომ ქართულ და სომხურ თემს შორის დავა წმ. იაკობის მონასტერზე მომდევო საუკუნეებშიც გაგრძელდა, თუმცა, ყველა მათგანი ქართველების წარუმატებლობით დასრულდა.¹¹⁸

114 Vincent, Abel, Jérusalem, 522; Pringle, The churches, vol. III, №318, 169

115 Peradze, Account, 224; იხ. ასევე Цагарели, Памятники, 116-117

116 ცერაძე, ხოფერია, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 683 №4. იხ. ასევე Frantsou-zoff, Arabic notes in a Georgian manuscript, 147-155; Цагарели, Памятники, 118


117 ვრცლად იხ. Pringle, The churches, vol. III, №318, 169

118 სომხური საპატრიარქოს კოლექციაში ინახება ამ დავის ამსახველი არაერთი საბუთი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება წმ. იაკობის მონასტერზე იერუსალიმის ორი ქრისტიანული თემის ბრძოლის ეტაპების დასადგენად. აღნიშნულ საკითხზე იხ. ასევე: ჯეჯელავა, წმინდა იაკობის ქართული მონასტერი იერუსალიმში, 266-282


არქიტექტურა

ამჟამინდელი არქიტექტურული სახე ეკლესიამ მიიღო სომხების მიერ მისი რამდენჯერმე გადაკეთების შედეგად ჯერ XII, ხოლო შემდგომ XVIII-XX საუკუნეებში. ეკლესია წარმოადგენს „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის ნაგებობას, რომელსაც აქვს ოთხ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათი. ეკლესიას ეკვრის სხვადასხვა დროს აგებული სამლოცველოები, მათ შორის ჩრდილოეთიდან – წმ. სტეფანეს XI საუკუნის ეკვდერი, რომელიც, შესაძლოა, ქართველების აშენებული იყოს.¹¹⁹

119 ვაჩეიშვილი, ხოშტარია, ქართველთა აღმშენებლობა, 16; Khoshtaria, Vacheishvili, Building Activities, 27-28



იერუსალიმი, წმ. იაკობის მონასტრის შესასვლელი, 1900 (LC-DIG-matpc-00852)



იერუსალიმი, წმ. იაკობის მონასტერი, ინტერიერი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. იაკობის მონასტერი, ინტერიერი (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. იოანე ღვთისმეტყველის (მასხარაბლის) მონასტერი

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი (ახლანდელი მაცხოვრის მონასტერი, St. Salvator) მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში, უფლის საფლავის ეკლესიის დასავლეთით. იგი ეკუთვნის რომის კათოლიკური ეკლესიის ფრანცისკელთა ორდენს.

ისტორია

იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი ცნობილია ასევე როგორც იოანე მასხარაბლის და სვეტის (სუეტის)¹²⁰ ანუ 'ამუდის (არაბ. Deir-*l* 'Amud) მონასტერი.¹²¹ ამჟამად იწოდება ფრანცისკელთა სალვატორეს მონასტრად. ერთ-ერთი ვარაუდით, მონასტერი დაარსებულია იმ ადგილას, სადაც დაიბადა იოანე მასხარაბელი.¹²²

ალექსანდრე ცაგარელი წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერს იერუსალიმში ქართველთა ერთ-ერთ უძველეს მონასტრად მიიჩნევს.¹²³ გრიგოლ ფერაძე იმონებებს ტობლერს და მას იმ იბერთა მონასტერთან აიგივებს, რომლის დაარსებაც წმ. მინაზე ქართული სამონასტრო ცხოვრების დამფუძნებლის, პეტრე იბერის (411-491 წწ.) სახელს უკავშირდება.¹²⁴

სომეხი პილიგრიმის – ანასტას ვარდაპეტის ცნობით (VII-VIII სს.), აღდგომის ეკლესიის კარიბჭესთან არსებობდა წმ. იოანეს ქართველთა მონასტერი.¹²⁵ პილიგრიმი არ აკონკრეტებს, თუ რომელ წმ. იოანეს მონასტერს გულისხმობს – შესაძლებელია, ეს ყოფილიყო იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, რომელიც ასევე აღდგომის ეკლესიის სიახლოვეს მდებარეობდა¹²⁶, თუმცა სომეხი მომლოცველის ცნობა შეიძლება მიემართებოდეს ჩვენთვის საინტერესო წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერსაც.

120 სუეტის (სუეტ) ანუ სვეტის მონასტერი მოხსენიებულია XII ს-ის იერუსალიმის ქართული „მარხუანის“ ხელნაწერის ანდერძში (ანდერძის ტექსტი იხ. Цагарели, Памятники, 168-169)

121 მონასტრის არაბული სახელწოდება – დაარ აღ-‘ამუდი (دير العمود) ქართულად სვეტის მონასტერს ნიშნავს. სწორედ ამგვარადაა იგი მოხსენიებული არაბულენოვან წყაროებში (ვრცლად იხ. ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 99)

122 Peradze, Account, 222

123 Цагарели, Памятники, 116

124 Peradze, Account, 222; Tobler, Topographie von Jerusalem, 335

125 Peradze, Account, 184

126 იხ. სტატია: დერტავის (დელტავის) მონასტერი

წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერს მოიხსენიებს 1187 წლის შემდგომი პერიოდის ანონიმი ბერძენი ავტორი, რომელიც მიუთითებს, რომ იგი მდებარეობდა წმ. საფლავის ეკლესიის დასავლეთით.¹²⁷ ბერძნული საპატრიარქოს ე.წ. ოფიციალური ანგარიშების (1200-1308 წწ.) მიხედვით, ქართველებმა, სხვა ეკლესია-მონასტრებთან ერთად, ბერძნებისგან წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერიც მიიღეს.¹²⁸

მონასტრის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის არაბული დოკუმენტური წყაროებიც, კერძოდ, როგორც სულტან ალ-მუ'აიად საიფ ად-დინ შაიხის 1414 წლის ბრძანებულების შესავალი ნაწილიდან ირკვევა, ქართველი ბერები გამოცხადებულან სულტანის კარზე და წარუდგენიათ უფრო ადრეული – სულტან ბარკუკის 1387 წლის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, სუეტის მონასტერი (არაბ. დაარ. ალ-'ამუდ), სხვა მონასტრებთან ერთად, მათ მფლობელობაში იყო.¹²⁹ როგორც გოჩა ჯაფარიძე აღნიშნავს, ეს არის ყველაზე ადრეული პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ მამლუქთა ხანაში წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერს ქართველები ფლობდნენ.¹³⁰

ამავე წლით დათარიღებული 30 ოქტომბრის ბრძანებულება კი კრძალავდა სუეტის მონასტრის ბერებთან მათ მფლობელობაში არსებულ ბაღსა და მინაზე შედავებას. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, მონასტერს ჰქონია წისქვილი და თორნეც.¹³¹

აღნიშნული მონასტერი ქართველთა მფლობელობაშია სულტან ინალის 1453 წლის ბრძანებულების მიხედვითაც.¹³²

წმ. იოანე მახარებლის მონასტერში ქართველების ყოფნას ადასტურებს ფრანჩესკო სურიანოს ცნობაც, რომელიც 1481-1484 და 1512-1514 წლებში იერუსალიმში წმინდა მინის მეურვე იყო.¹³³

ტიმოთე გაბაშვილის თანახმად, იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი აშენებული იყო საათაბაგოელთა და ათაბაგის მიერ, თუმცა მათი ვინაობა დაკონკრეტებული არ არის.¹³⁴ ეს შეიძლება იყოს სერაპიონ კუმურდოელი, რომელიც მოიხსენიება Jer.Geo.13 ხელნაწერის XIV-XV სს-ის კრებულზე ხელით მინაწერში და დასახელებულია ჯვრის მონასტრის სვინაქსარის სააღაპე ჩანაწერში, როგორც ჯვრის მონასტრის ტრაპეზისა და იოანე მახარებლის საყდრის მეორედ აღმშენებელი (ანუ, განმაახლებელი).¹³⁵

127 Anonymus Graecus, De Locis Hierosolymitanus, 982

128 Peradze, Account, 230

129 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 90-91

130 იქვე, 101

131 იქვე, 130, 208-209

132 იქვე, 92

133 Peradze, Account, 196, 222. Suriano, Terra Santa, 74

134 გაბაშვილი, მიმოსღვა, 81

135 მეტრეველი, მასალები, 81, №21 (M-20), 121

1517 წელს ოსმალთა სულტნის სელიმ I-ის მიერ გაცემული ფირმანის მიხედვით, აღნიშნული მონასტერი დაუმტკიცდა ბერძენთა პატრიარქს, თუმცა იგი კვლავ ქართული სამონასტრო თემის მფლობელობაში რჩებოდა.¹³⁶

ამ პერიოდის შემდეგ იოანე ღვთისმეტყველის მონასტრის ხელში ჩაგდებას აქტიურად ცდილობდნენ ფრანცისკელები, რასაც ბოლოს წარმატებით მიაღწიეს. აღნიშნული დაპირისპირებისათვის თვალის გადავხედვის საშუალებას იძლევა იერუსალიმში ფრანცისკელთა არქივსა და ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული დოკუმენტები, რომელთა ნაწილიც გოჩა ჯაფარიძემ შეისწავლა.

ცნობილია, რომ 1551 წ. ოსმალებმა ფრანცისკელები სიონის მონასტრიდან განდევნეს და აუკრძალეს სიონის მთაზე ცხოვრება. სულტან სულეიმან კანუნში 1558 წ. ბრძანებულებით უფლება მისცა ფრანცისკელებს, იჯარის საფუძველზე შესახლებულიყვნენ იოანე ღვთისმეტყველის მონასტერში.¹³⁷

1559 წ. იერუსალიმის შარიათის სასამართლოს ოქმის თანახმად ირკვევა, რომ 1558 წლის აღნიშნული ბრძანებულება საგანგებოდ განუხილავთ შარიათის სასამართლოზე მომჩივანი მხარეების თანდასწრებით. ქართველთა ჯვარის მამამ – იოაკიმე დავითის ძემ – წარმოადგინა სულტან ინალის ბრძანებულება (იხ. ზემოთ), რომელიც სვეტის მონასტერს ქართველთა საკუთრებად აცხადებდა. ფრანცისკელ წმ. მიწის მეურვეს უღიარებია, რომ სვეტის მონასტერი ქართველთა ვაკფს წარმოადგენდა, ქართველთა ჯვარის მამა კი დამორჩილებია სულტან სულეიმანის ბრძანებას და მონასტერი ფრანცისკელთა მეთაურისა და მისი 24 ბერისთვის მიუქირავებია. სანაცვლოდ მას გადაუხადეს 2 წლის ქირა, 200 სულტანი.¹³⁸

მიუხედავად იმისა, რომ შარიათის სასამართლოზე სვეტის მონასტრის კუთვნილების საკითხი გაირკვა, სულტან სულეიმანის 1559 წ. ბრძანებულებაში ნათქვამია, რომ სულტან ინალის ბრძანებულებაში სვეტის მონასტერი ნახსენები არ იყო. ფრანცისკელმა ბერებმა მოწმეთა დახმარებით დაამტკიცეს, რომ სვეტის მონასტერი უძველესი დროიდან მათ საკუთრებაში იყო და რომ წინამორბედმა ხელისუფლებამ ის მათ უკანონოდ ჩამოართვა.

იგივე განმეორდა 1561 წ. უკვე სულტან სულეიმანის კარზე გამართულ სასამართლოზე: მოსამართლემ მუსლიმთა მოწმობით დაადგინა, რომ სვეტის მონასტერი ოდესღაც ქართველებმა ფრანცისკელებს უკანონოდ

136 Pringle, The churches, vol. III, №325, 209. იხ. ასევე ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 172

137 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 172-173

138 იქვე, 174-175

ნაართვეს, შესაბამისად, 1561 წლის ბრძანებულებით, სულტანმა მონასტერი ფრანცისკელებს საბოლოოდ დაუკანონა.¹³⁹

როგორც ჩანს, მომდევნო წლებშიც ფრანცისკელები აგრძელებდნენ ქართველებისთვის ქირის გადახდას შენობებისა და მიმდებარე ბაღის სანაცვლოდ, თუმცა არსებობს 1562, 1568 და 1576 წლების ცნობები ქირასთან დაკავშირებული დავების შესახებ.¹⁴⁰

გორა ჯაფარიძე ასევე საუბრობს 1658 წლის იერუსალიმის შარიათის სასამართლო ოქმზე, სადაც აღნიშნულია, რომ სვეტის მონასტერი ქართველთა საკუთრება იყო და რომ ფრანცისკელებმა ის ხანგრძლივი იჯარით, კერძოდ, 200 წლის ვადით აიღეს; იჯარის ხელშეკრულება კი შარიათის სასამართლოზე მხარეებს შორის ყოველ წელს უნდა განახლებულიყო.¹⁴¹

ბუნებრივია, XVII საუკუნეში სამეფო-სამთავროებად ქცეულ პოლიტიკურად და ეკონომიკურად დასუსტებულ ქვეყანას აღარ შეეძლო სათანადო დახმარება გაენია წმ. მინაზე ქართული სამონასტრო თემისათვის, რამაც ქართველთა მფლობელობაში არსებული ეკლესია-მონასტრების თანდათანობით დაკარგვა გამოიწვია, მათ შორის აღმოჩნდა წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერიც.

არქიტექტურა

მონასტრის ეკლესია ძირეულადაა გადაკეთებული XIX საუკუნეში. მონასტრის უკან, ეზოში, დგას სამრეკლო. XIX საუკუნის ზოგიერთი ავტორის ცნობით, ფრანცისკელთა მიერ ჩატარებული რამდენიმე საფუძვლიანი რეკონსტრუქციის მიუხედავად, სამრეკლო იმ დროს ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელ გარკვეულ ნიშნებს. დღეისთვის იგი მთლიანადაა გადამოსილი. ქართულ კვალზე შესაძლოა მინიშნებდეს მონასტრის ეზოს სიღრმეში მდგარი სამსართულიანი (მესამე სართული მოგვიანებით დააშენეს) შენობის ფანჯრების ლიობების ზემოთ ჩატანებული ქვების დეკორი. ცენტრალურ სამ ლიობს ზღუდარებზე ამოკვეთილი აქვთ ჯვრები. მათგან მარცხენა წარმოადგენს სადგარზე აღმართულ ჯვარს ქვედა მოგრძო მკლავითა და გვერდით მკლავებზე ჩამოკიდებული ხვეული ლილვებით, რომლებიც ქართულ ნიმუშებს მოგვაგონებს, მითუმეტეს, რომ მათი ზედაპირი ადრეული ხანიდან გავრცელებული ჩანაჭდეებითაა დამუშავებული. ასეთივეა სულ მარჯვენა ფანჯრის ზემოთ ჩასმული რელიეფური შემკულობა, რომელიც კედლიდან ამოზიდული და გვერდიდან ჩაჭდეული რომბებითაა დამუშავებული.¹⁴²

139 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 174-175

140 იქვე, 209

141 იქვე, 176-177

142 ვაჩეიშვილი, ხოშტარია, ქართველთა აღმშენებლობა, 17; Khoshtaria, Vacheishvili, Building Activities, 24-25



იერუსალიმი, მაცხოვრის მონასტერი (St. Salvatore) (ფოტო დ. ცხადაძის)



ძველი იერუსალიმი (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. მთავარანგელოზთა (ანგელოზთა) მონასტერი

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. მთავარანგელოზთა (ანგელოზთა) მონასტერი მდებარეობს ძველი იერუსალიმის სომხურ უბანში, სომხური საპატრიარქოს ტერიტორიაზე, წმ. იაკობის საკათედრო ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ეკუთვნის იერუსალიმის სომხურ საპატრიარქოს.

ისტორია

შუა საუკუნეებში ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, მონასტერი აგებულია იმ ადგილზე, სადაც თავის დროზე იდგა მღვდელმთავარ კაიაფას სიამარის, ანას სახლი. სახარების მიხედვით, თავდაპირველად სწორედ აქ მიიყვანეს დატყვევებული იესო (იოანე: 18: 13). აღნიშნული ტრადიციიდან გამომდინარე, მონასტერს ხშირად მოიხსენიებენ ანას სახლად. მას ასევე უწოდებდნენ ზეთისხილის, იგივე ზეთუნის მონასტერს (არაბ. დაჰრ აზ-ზაჰთუნ), რადგან მიიჩნევდნენ, რომ იესო მონასტრის ეზოში მდგარ ზეთისხილის ხეს მიაჯაჭვეს.¹⁴³

არსებობს განსხვავებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ზეთუნის მონასტერში შეიძლება იგულისხმებოდეს ვაშლის მონასტერი (არაბ. დაჰრ ათ-თუფფაჰ), რადგან ზოგიერთი პილიგრიმი ანას სახლის ტერიტორიაზე მოიხსენიებს არა ზეთისხილის ხეებს, არამედ წმინდა ვაშლის ხეს, რომელზედაც იესო მიაჯაჭვეს.¹⁴⁴

გრიგოლ ფერაძის ვარაუდით, შესაძლებელია, მიწა ამ მონასტრის ასაშენებლად ჯერ კიდევ პეტრე იბერს შეეძინა და იგი მის მიერ დაარსებული იბერთა მონასტრის საკუთრებაში ყოფილიყო.¹⁴⁵

XIV-XVI სს-ის წყაროებში საკმაოდ ძრულ სურათს ვხვდებით მთავარანგელოზთა მონასტრის მფლობელებთან დაკავშირებით. რთულია გადაჭრით იმის თქმა, ვისი დაარსებული იყო მონასტერი – ქართველების თუ სომხების, თუმცა დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ 1314 წლიდან, თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე, მთავარანგელოზთა ეკლესია სომეხთა მფლობელობაში იყო; ამაზე მიუთითებს 1314, 1316-1341 და 1367-1369 წლებში იქ გადანერილი სომხურენოვანი ხელნაწერები.¹⁴⁶

143 Peradze, Account, 225, იხ. ასევე Pringle, The churches, vol. III, №296, 112

144 ვრცლად იხ. დერთუფას მონასტერი

145 Peradze, Account, 225-226

146 Pringle, The churches, vol. III, №296, 112

XV-XVI საუკუნეების სხვადასხვა ევროპელი პილიგრიმის ცნობებსა და გადმოცემებში ეკლესიის მფლობელებად დასახელებული არიან ან ქართველები (1483, 1493, 1507, 1533-1534, 1519 წწ. ცნობები), ან სომხები (1496-1499, 1512, 1532, 1561 წწ. ცნობები).¹⁴⁷

სულთან სელიმ I-მა 1517 წელს გაცემული ფირმანით აღნიშნული მონასტერი ბერძნებს და სომხებს დაუმტკიცა.¹⁴⁸

როგორც გრიგოლ ფერაძე აღნიშნავს, 1602-1603 წწ-ში ქართველებმა ანას სახლი ისევ დაიბრუნეს და ინარჩუნებდნენ მას 1688 წლამდე.¹⁴⁹

არქიტექტურა

ეკლესია წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას, რომლის კამარა ეყრდნობა ოთხ მართკუთხა ბურჯს. აღმოსავლეთით სამივე ნავი მომრგვალებული აფსიდებით სრულდება. ტაძარი დიდი ზომის ქვებით არის ნაგები.

147 Peradze, Account, 225, იხ. ასევე Pringle, The churches, vol. III, №296, 112

148 Pringle, The churches, vol. III, №296, 112; ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 114

149 Peradze. Account, 225

ნმ. ნიკოლოზის მონასტერი

მდებარეობა და კუთვნილება

ნმ. ნიკოლოზის მონასტერი მდებარეობს ძველი იერუსალიმის ქრისტიანულ უბანში, ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს გვერდით (ის გადის ბერძნული საპატრიარქოს ბაღში) და ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

გადმოცემის თანახმად, მონასტერი აგებულია იმ ადგილზე, სადაც იერუსალიმში მოსალოცად ჩასული ნმ. ნიკოლოზ მირონლუკიელი ცხოვრობდა.

ნმ. ნიკოლოზის მონასტრის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ცნობა 1187 წლის შემდგომი პერიოდით თარიღდება და ეკუთვნის ანონიმ ბერძენ ავტორს, რომელიც აღდგომის ტაძრის დასავლეთით მდებარე მართლმადიდებლურ მონასტრებს შორის, ნმ. ნიკოლოზის მონასტერსაც მოიხსენიებს.¹⁵⁰

მონასტრის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვანვძიან არაბული წარატიული და დოკუმენტური წყაროები.¹⁵¹ ჩვენს ხელთ არსებული უძველესი დოკუმენტი, რომელიც მონასტრის ქართველთა მფლობელობაში ყოფნას ადასტურებს, 1189 წლით დათარიღებული სალაჰ ად-დინის ვაკუფიაა.¹⁵²

როგორც ჩანს, ნმ. ნიკოლოზის მონასტერი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა ქართველთა მფლობელობაში, კერძოდ, როგორც სულტან ალ-მუ'აიად საიფ ად-დინ შაიხის 1414 წლის ბრძანებულების შესავალი ნაწილიდან ირკვევა, ქართველი ბერები გამოცხადებულან სულტანის კარზე და წარუდგენიათ უფრო ადრეული – სულტან ბარკუკის 1387 წლის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, ნმ. ნიკოლოზის მონასტერი (არაბ. დაარ სანიქულ), სხვა მონასტრებთან ერთად, მათ მფლობელობაში იყო.¹⁵³

აღნიშნული მონასტერი ქართველთა მფლობელობაშია სულტან ინალის

150 Anonymus Graecus, De Locis Hierosolymitanus, 981; Pringle, Pilgrimage to Jerusalem and the Holy Land, 383-384

151 აღსანიშნავია, რომ არაბულ წყაროებში მონასტერი იწოდება როგორც ას-სანიქულ (السنكل), რაც გამოწვეულია ორი სიტყვის „სან/Sant“ – წმინდა და „ნიქულ“ – ნიკოლოზი – შერწყმით. გვხვდება სხვაგვარი დაწერილობაც – აზ-ზანიქულ سنكلა და ასევე მარნიქულა (ვრცლად იხ. ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 89, სქოლიო 190)

152 Peradze, Account, 228, Pringle, The churches, vol. III, №347, 338, ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 88-89, 102-103, Pahlitzsch, The transformation, 48, შენ. 4

153 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 90-91

1453 წლის ბრძანებულების მიხედვითაც.¹⁵⁴

1457 წ. არაბული საბუთის თანახმად, „ქართველთა რელიგიური თემის მეთაურმა იერუსალიმში“ – იოანემ, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ავაზაკების შეპარვის შემდეგ, იერუსალიმის ნაცვალს მონასტრის აღმოსავლეთ და დასავლეთის კარებს შორის დამცავი ზღუდის აშენება სთხოვა, რაზეც მთავარი ყადის ნებართვა მიიღო.¹⁵⁵

1517 წელს ოსმალთა სულტნის სელიმ I-ის მიერ გაცემული ფირმანის მიხედვით, აღნიშნული მონასტერი ბერძენთა კუთვნილებაში გადავიდა.¹⁵⁶ თუმცა, სავარაუდოდ, აღნიშნული ფაქტის შემდეგ ქართველები კვლავ რჩებოდნენ წმ. ნიკოლოზის მონასტერში. ამ მხრივ საინტერესოა ტიმოთე გაბაშვილის ცნობა, რომლის თანახმადაც, წმ. ნიკოლოზის ეკლესია აუშენებია კახთა დედოფალ ელენე-ყოფილ ელისაბედს XVII ს-ში.¹⁵⁷

მიუხედავად იმისა, რომ ტიმოთე გაბაშვილთან ელენე დედოფალი ეკლესიის მაშენებლად დასახელებული, სავარაუდოა, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ეკლესიის განახლება და არა აგება. მასვე უკავშირდება მონასტრის ერთ-ერთი სამშენებლო წარწერაც, რომელიც ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზეა ამოკვეთილი და რომელშიც მოიხსენიება კახთა დედოფალი ელენე, ყოფილი ელისაბედი (იხ. ქვევით).

წმ. ნიკოლოზის მონასტერში ქართველი ბერების ყოფნას ადასტურებს გრიგოლ ფერადის მიერ თავის „ანგარიშში“ მოყვანილი ნაზარეთის მთავარეპისკოპოსის, გაბრიელის ცნობა, რომლებიც 1651 წლით თარიღდება.¹⁵⁸

ოსმალთა ხანის 1685 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში წმ. ნიკოლოზის მონასტერი დასახელებულია იმ ქართულ მონასტერთა შორის, რომლებიც ვალებისა და დარბევების გამო თითქმის დაცარიელებული და ძლიერ შელახული იყო.¹⁵⁹

ცნობილია, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმის სამმა პატრიარქმა: თეოფანემ (1608-1644 წწ.), პაისიმ (1645-1660 წწ.) და დოსითეოს II-მ (1669-1707 წწ.) რამდენჯერმე იმოგზაურეს საქართველოში წმ. მინაზე ქართული მონასტრების აღდგენისა და ვალების დასაფარად თანხების შესაგროვებლად.

მოღწეულია ეპისკოპოს დოსითეოს II-ის 1706 წლის სიგელი, რომელშიც წმ. ნიკოლოზის მონასტერი სახელდება იმ ქართულ სავანეთა შორის, რომელთა გამოსყიდვა და შეკეთება ქართველ მეფეთა და დიდებულთა

154 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 92

155 იქვე, 124, 126

156 Pringle, The churches, vol. III , 338. იხ. აგრეთვე: ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 103, 161

157 გაბაშვილი, მიმოსღვა, 81, 122

158 Peradze, Account, 203

159 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 179

ფინანსური შემწეობითა და იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს მცდელობით მოხერხდა.¹⁶⁰

არქიტექტურა

ნმ. ნიკოლოზის ეკლესიას მონასტრის სწორკუთხა გეგმის შიდა ეზოს ჩრდილოეთი მხარე უკავია. ეზოს აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეს საცხოვრებელი ბინებია. ძველად, შიდა ეზოს პერიმეტრი მუზარადისებრი ფორმის თალებით იყო გახსნილი. ეკლესია ორსართულიანი ნაგებობაა, ქვედა სართულზე სხვადასხვა სათავსო და საპატრიარქოს მუზეუმის შენობაა, თავად ეკლესია კი მეორე სართულზე მდებარეობს. ეკლესიაში შესასვლელად სამხრეთ კედელთან მიშენებული დიდი ქვის კიბეა, კარი დასავლეთ კედელშია დატანებული. კარის მარცხნივ (სამხრეთით), სარკმლის ქვეშ, კედელში ჩამონტაჟებულია ქვის ფილა, რომელზეც კახთა დედოფლის ელენე ყოფილი ელისაბედის ასომთავრული წარწერაა (იხ. ქვემოთ).

ეკლესიის დასავლეთი კარის წინ ნახევართალის ფორმის კამარით გადახურული გალერეაა, ეკლესიის დასავლეთი ფასადი ძველად მუზარადისებრი ორი თალით იყო გახსნილი, რომელიც მოგვიანებით ამოუქოლავთ. გეგმით ჩანერილი ჯვრის ტიპის ეკლესიის ინტერიერი განივად განვითარებული სივრცეა, თალებით მოსაზღვრული ცენტრალური მონაკვეთი დღეს ჯვრული კამარითაა გადახურული, სავარაუდოდ, ძველად აქ გუმბათი უნდა ყოფილიყო აღმართული.¹⁶¹

ეპიგრაფიკული წარწერები¹⁶²

ნმ. ნიკოლოზის ორიარუსიანი ეკლესიის კედლებზე, განსაკუთრებით დასავლეთის ფასადზე, დაცულია ქართველ პილიგრიმთა და მომლოცველთა მრავალრიცხოვანი წარწერები. მათი უმეტესობა XV-XVII საუკუნეებით თარიღდება. წარწერებს შორის აღსანიშნავია ანყურის ღვთისმშობლის ეკლესიის კანდელაკის ნიკოდიმოსის ასომთავრული წარწერა (XVI-XVII სს.):

„ანყურისა ღ(მრ)თის/მშობლისა კ(ა)ნდელ(ა)კსა/ ნას(ი)ძესა ნიკოდიმოს(ს)/ შ(ეუნდე)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ და მ(ი)სთა დედ/ მ(ა)მ(ა)თა შ(ეუნდე)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ.“

როგორც ჩანს, კანდელაკ ნიკოდიმოსს XVI საუკუნის მინურულს ან XVII საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში მოუხდა ჩასვლა: ჯვრის მონასტრის ალაპებში დაცულია ცნობა ნიკოდიმე კანდელაკის შესახებ, რომელსაც

160 Цагарели, Памятники, 80-81

161 ვაჩიშვილი, ხოშტარია, ქართველთა აღმშენებლობა, 19. Khoshtaria, Vacheishvili, Building activities, 30

162 ვრცლად ნმ. ნიკოლოზის მონასტრის ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ იხ. დანართი

მათესა და ანტონთან ერთად ჯვრის მონასტრისთვის შეუწირავს ამბროსაული ვენახის ზედა ვენახი – ალაპის ჩანაწერებს ელენე მეტრეველი პალეოგრაფიულად XVI საუკუნით ათარიღებს.¹⁶³

ასევე ყურადსაღებია საბა ყოფილი სოფრონის გრაფიკული წარწერა, რომელიც ამოკვეთილია ეკლესიის დასავლეთ ფასადის სამხრეთ კედელში, კედლის თაღზე (XV ს.):

„ცოდვ(ი)ლს ს(ა)ბა ყოფ(ი)ლს/ სოფრ(ო)ნს შ(ე)უნდვ(ნ)ეს ღ(მ)ერთმა)ნ.“

საბა ყოფილი სოფრონი XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე იერუსალიმში მოღვაწე ცნობილი წიგნების „შემოსველი“ და „შემკაზმველი“ იყო: მისი მინაწერები მსგავსი ფორმულირებით დაცულია Jer.Geo.119 და Jer.Geo.77 ხელნაწერებში და ორივეგან იგი იხსენიება ასე: *„ცოდვილი საბა ყოფილი სოფრონი“*.¹⁶⁴

ძალზე საყურადღებოა კახთა დედოფალ ელენეს ორსტრიქონიანი, ასომთავრულით შესრულებული სამშენებლო წარწერა, რომელიც მდებარეობს წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ქვედა სართულზე, სადაც განთავსებულია იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს მუზეუმი.¹⁶⁵ წარწერაში ვკითხულობთ (ტექსტი მოგვყავს ქარაგმების გახსნით):

„წმიდაო ნიკოლოზ, მეოხ ექმენ წინაშე ქრისტესა კახთა დედოფალსა ელენე ყოფილსა ელისაბედს“.

წმ. ნიკოლოზის ეკლესიის კედლებზე დაცულ დანარჩენ წარწერებში მოიხსენიებიან შემდეგი პირები: ვაჟინარი მათე (XV-XVI სს-ის წარწერა), ვარძელი თაყა და მისი მეუღლე მარიაში (XVII ს-ის წარწერა), თადგირიძე ფარემუზ და მისი მეუღლე ეკატერინე (XVI-XVII სს-ის წარწერა), ნიკოლოზი (XV-XVI სს.).

არქიმანდრიტ ლეონიდის ცნობით, 1858 წელს მას უნახავს ბერძენთა საპატრიარქოს ბალის მხარეს გამავალი მონასტრის კედელში ჩატანებული საფლავის ქვები ქართულენოვანი წარწერებით. მოგვიანებით, 1936 წელს, წმინდა მინაზე მოგზაურობის დროს, გრიგოლ ფერაძემ აღნიშნული წარწერებიდან მხოლოდ ერთი წარწერა ნახა, რომლის ნაწილობრივ ამოკითხვა და ჩაწერა იყო შესაძლებელი.¹⁶⁶

163 მეტრეველი, მასალები, 94, №161, 158, №161

164 კარანაძე, ქართული წიგნის ყდის ისტორია, 41, 42, 44

165 2002 წლის მარტში წარწერა ვანდალურად იყო მომტვრეული. ამავე წლის სექტემბერში მოქანდაკე პაატა გიგაურმა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში არსებულ ამავე ქვაზე, წარწერის ადგილას ამოკვეთა ამ ისტორიული წარწერის ზუსტი ასლი

166 Peradze, Account, 228



იერუსალიმი, წმ. ნიკოლოზის მონასტერი, დასავლეთი ფასადი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ნიკოლოზის მონასტერი, შესასვლელი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ნიკოლოზის მონასტერი, აღმოსავლეთი ფასადი (ფოტო ნ. ვაჩეიშვილი)

პრეტორიუმის ეკლესია

ლოკალიზაციის საკითხი

სახელწოდება პრეტორიუმს არაერთგვაროვანი მნიშვნელობა ჰქონდა. წყაროებში იგი რომაელი ან ბიზანტიელი მმართველის, ანდა მხედართმთავრის რეზიდენციასაც აღნიშნავდა და ავაზაკებისთვის მოწყობილ დილეგსაც (ბერძნ. *Φυλακai*).¹⁶⁷

ქრისტიანული ტრადიცია პრეტორიუმს, ძირითადად, მარკოზის სახარების კვალად, პილატე პონტოელის სასახლედ მოიაზრებს, სადაც იესო განკითხვისთვის მიიყვანეს.¹⁶⁸ „და შეჰმოსეს მას ძონეული და დაადგეს მეთხზული ეკალთაგან გვირგვინი და იწყეს მოკითხვად მისა და იტყოდეს: გიხაროდენ მეუფეო ჰურიათაო! და სცემდეს მას თავსა ლერწმითა და ჰნერწყვიდეს მას და დაიდგინან მუჯლნი და თაყუანის-სცემედ მას. და ოდეს განკიცხეს იგი, განსძარცუეს მას ძონეული და შეჰმოსეს თვისივე სამოსელი და განიყვანეს იგი რაითა ჯუარს-აცუან“ (მარკოზი 15:17-20).¹⁶⁹

მეცნიერთა შორის პრეტორიუმის ადგილად ანტონიუსის ციხე-სიმაგრესა და ჰეროდეს სასახლეს შორის უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება, მისი მდებარეობა კი ციტადელის, დღევანდელი დავითის კოშკის, სიახლოვეს ივარაუდება¹⁷⁰.

პილიგრიმები ადრეული IV საუკუნიდან პილატეს სახლს, რომლის ადგილას V საუკუნის შუა ხანისთვის ტაძარი იყო აგებული, მორიასა და სიონის მთებს შორის არსებულ ტიროპეონის დაბლობში უთითებდნენ; მას პილატეს ტაძრად ან წმიდა სოფიად (წმინდა სიბრძნედ) იხსენიებდნენ. ეკლესია სახარებაში მოთხრობილი ქრისტეს განკიცხვის ამბის ამსახველი სცენებით იყო მოხატული. იქვე, პილიგრიმებს უჩვენებდნენ ქვას იესოს ნატერფალით, იმ ადგილს, სადაც იგი იდგა და პილატეს სამსჯავრო ტახტს¹⁷¹:

167 Wilkinson, Jerusalem Pilgrims before the Crusades, 49; The Oxford Dictionary of Byzantium, 256, 860, 1723, 2223

168 Wilkinson, Pilgrims before the Crusades, 168; The Oxford Dictionary, 1035

169 მათეს სახარებაში თხრობის რიგი იგივეა, თუმცა პრეტორიუმის მდებარეობა დაზუსტებული არ არის (მათე 27:27-29). იოანეს მიხედვით, პრეტორიუმში იესო კაიაფასგან მიიყვანეს. იქ დაჰკითხა იგი პილატემ, იქვე შემოსეს ჯარისკაცებმა ძონეულითა და ეკლის გვირგვინით (იოანე 18:28-33, 19:1-13)

170 The Oxford Dictionary, 1035; Wilkinson, Pilgrims before the Crusades, 168; Benoit, Pretoire, Lithostroton et Gabattha, 531-550; Gibson, The Trial of Jesus at the Jerusalem Praetorium, 97-118

171 The Oxford Dictionary, 1035; Pringle, The churches, vol. III, 93; Wilkinson, Pilgrims before the Crusades, 168, 66, 81, 84

„ხოლო პილატეს რაე ესმა სიტყუაჲ ესე, გამოიყვანა იესუ გარე და დაჯდა იგი საყდართა ზედა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან ქვაფენილ, ხოლო ებრაელებრ კაპპათა“ (იოანე 19, 13).

ვარაუდობენ, რომ 614 წელს ტაძარი დაინგრა და მის ნაცვლად ახალი ტაძარი აიგო, რომლის კურთხევა იერუსალიმის ლექციონარის ქართულ ხელნაწერში 21 სექტემბერს არის განწესებული „სოფია ნიას სატფური, სადა იგი იყო სახლი პილატესი“¹⁷². ფიქრობენ, რომ სოფიას ახალი ტაძარი სიონის ტაძართან ახლოს, მასსა და დავითის კოშკს შორის მდებარეობდა.¹⁷³ სიონის ტაძართან მითითებული პილატეს სახლი, იგივე პრეტორიუმი და წმ. სოფია, ბიზანტიურ ხანაშიც და მოგვიანებით ჯვაროსნების დროსაც, წყაროებში ზოგან lithostroton-თან (ქვაფენილი, გაბატა, კაპპათა) არის გაიგივებული.¹⁷⁴

ჯვაროსნების დროიდან სიონის მთის პარალელურად, პრეტორიუმის კიდევე ერთ ლოკაციას უთითებენ ბეთესდას აუზთან, ნეაპოლის (დამასკოს), ან სტეფანეს კარიბჭისკენ დღევანდელ მუსლიმურ უბანში.¹⁷⁵

პრეტორიუმის ადგილის გადანაცვლებას უფლის საფლავის ეკლესიასთან უკავშირებენ მაცხოვრის ვნებების მოსახსენიებელი მოკლე პილიგრიმული მარშრუტის საჭიროებასა და XII საუკუნეში ტამპლიერების მიერ ჯვრის გზის ტრადიციის დაფუძნებას.¹⁷⁶ ჯვრის გზამ, რომლის პირველი წერილობითი ხსენება 1231 წლის ფრანგულ მეგზურში დასტურდება, გარკვეული ცვლილებები განიცადა საუკუნეების მანძილზე სადგურების რაოდენობისა თუ ზუსტი ლოკალიზაციის მხრივ. თუმცა, არსებითად, ის დღევანდელი ჯვრის გზის წინამორბედი და ანალოგია.¹⁷⁷

დღეს სწორედ სტეფანეს კარიბჭის სიახლოვეს მდებარეობს რომის კათოლიკური ეკლესიის საკუთრებაში მყოფი სინმინდეები, რომლებიც სახარების ზემოხსენებულ ეპიზოდებს უკავშირდება. იქვეა დილეგად გააზრებული პრეტორიუმის სახელწოდებით ცნობილი ეკლესია, რომელიც ბერძნულ მართლმადიდებელ საპატრიარქოს ეკუთვნის.¹⁷⁸

172 Wilkinson, Pilgrims before the Crusades, 168; Pringle, The churches, vol. III, 93; Le Grand Lectionnaire, 47

173 Wilkinson, Pilgrims before the Crusades, 168

174 Wilkinson, Pilgrims before the Crusades, 168, 201; Wilkinson, Hill, Ryan, Jerusalem Pilgrimage, 256

175 Wilkinson, Hill, Ryan, Jerusalem Pilgrimage, 87, 102 (ზეველფი), 131 (არქიმანდრიტი დანიელი)

176 იქვე, 73-76, 81

177 იქვე, 76; Thurston, The Stations of the Cross, 20-61, 96-135

178 Pringle, The churches, vol. III, 93-95; Murphy-O'Connor, The Holy Land, 35-38


ქართველები პრეტორიუმში

არქიმანდრიტი აგრეთენიოსი, რომელმაც 1370 წელს იმოგზაურა იერუსალიმში, უფლის საფლავთან ახლოს, ქუჩის ბოლოს ახსენებდა პრეტორიუმს, დილეგს, სადაც კაიაფასგან მიიყვანეს იესო და აღნიშნავდა, რომ იქ საკურთხეველი იბერიელებს ეკუთვნოდათ და წირვას აღავლენდნენ.¹⁷⁹

პრეტორიუმს ქართველების კუთვნილ სავანეთა შორის იხსენიებს ბერძნული საპატრიარქოს ოფიციალური ანგარიშები.¹⁸⁰

179 Хожделение Архимандрита Агрефенья, 5

180 Peradze, Account, 230. ი. ჩეხანოვეცის აზრით, ქართველების კუთვნილი უნდა ყოფილიყო დღევანდელი პრეტორიუმის სიახლოვეს მდებარე ე.წ. მცირე პრეტორიუმი – ნმ. ნიკოდემოსის ბერძნული მართლმადიდებლური მონასტერი, რომელიც აგებულია ჰეროდე ანტიპას სასახლის ადგილზე და ცნობილია ასევე როგორც ოსპის მონასტერი. უკანასკნელი სახელწოდება (ოსპის მონასტერი) წარმომდგარია ტრადიციიდან, რომელიც მიიჩნევს, რომ ამ ადგილზე ამზადებდნენ საქმელს აღდგომის ეკლესიის მშენებლებისთვის. იხ. Чехановец, Грузинская Церковь, 56



იერუსალიმი, პრეტორიუმის ეკლესია (ქრისტეს დილეგი) (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, ჯვრის გზა, ეკლის გვირგვინის დადგმის სამლოცველო, 1900-1920 (LC-DIG-matpc-05430)



იერუსალიმი, ჯვრის გზის მეორე სადგური, 1900-1920 (LC-DIG-matpc-07603)

უფლის წმ. საფლავის ეკლესია

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. საფლავის ეკლესია ამჟამად ძველი იერუსალიმის შუაგულში მდებარეობს. დღესდღეობით წმინდა საფლავის ტაძარი ეკუთვნის ექვს ქრისტიანულ ეკლესიას: იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს, რომის კათოლიკურ ეკლესიას (ფრანცისკელთა ორდენს), იერუსალიმის სომხურ საპატრიარქოს, კოპტურ, ეთიოპურ და სირიულ ეკლესიებს.

წმინდა საფლავის ტაძრის მთელი სივრცე – ზედა იარუსებზე მდებარე ბერების საცხოვრებელი სენაკების ჩათვლით – ამ ეკლესიებს შორისაა დანაწილებული. ნაგებობის ამგვარ დაყოფას საფუძვლად უდევს XIX საუკუნეში მიღებული კანონი (ე.წ. სტატუს-კვოს პრინციპი). წმინდა საფლავის ტაძრის ძირითადი მფლობელია იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქო.

ისტორია

წმ. საფლავის ეკლესია დღევანდელი სახით აგებულია იერუსალიმის ლათინი მმართველების, ჯვაროსნების მიერ XII საუკუნეში.

გოლგოთის ადგილზე პირველი ნაგებობა აიგო ახ. წელთ. 135 წ. ეს იყო წარმართული ვენერას ტაძარი, რომელიც ააგეს რომის იმპერატორის, ადრიანეს ბრძანებით.¹⁸¹

325 წელს, იმპერატორ კონსტანტინეს დედის, ელენე დედოფლის თაოსნობით, აქ დაიწყო გათხრები მაცხოვრის ჯვრის აღმოსაჩენად. გათხრების დროს მიაკვლიეს კლდეში ნაკვეთ უფლის საფლავს, საფლავის შორიანხლოს კი, ღრმა ორმოში, აღმოჩნდა მაცხოვრის ჯვარი – ძელი ქეშმარიტი და მაცხოვართან ერთად ნაწამები ავაზაკების ჯვრები. 326 წელს, ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე დიდის გადაწყვეტილებით, ამ ადგილას დაიწყო დიდი ეკლესიის მშენებლობა, რომელსაც იმთავითვე „ყოვლისა სოფლისა“ ეწოდა. მშენებლობა საბოლოოდ დასრულდა 335 წ.¹⁸²

ქრისტეს საფლავის ოთახი აკლდამა (კუფუკლია), რომელსაც შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონდა, მოციქულთა რაოდენობის შესაბამისად, თორმეტი სვეტით შეამკეს; ამ სვეტებს ეყრდნობოდა სალხინებელი (ფანჩატური). საფლავის აღმოსავლეთით აიგო გრანდიოზული ხუთნავიანი ბაზილიკა (მარტირიუმი). იგი ორიენტირებული იყო ქრისტეს საფლავისაკენ,

181 Pringle, The churches, vol. III, №283, 6

182 იქვე, 7, 9

ანუ დასავლეთისაკენ. ბაზილიკას აღმოსავლეთიდან ეკვროდა ვრცელი შიდა ეზო – ატრიუმი, რომელიც კიბეებით იერუსალიმის მთავარ ქუჩაზე გადიოდა.

ბაზილიკასა და ქრისტეს საფლავს შორის, რომელიც დიდ მრგვალ შენობაში – როტონდაში მოექცა, მდებარეობდა სამი მხრიდან კარიბჭეებით გაფორმებული შიდა ეზო, რომელსაც ტრიპორტიკოს (სამკარიბჭიანს) უწოდებდნენ. სწორედ ამ ადგილზეა განლაგებული „კათოლიკონი“ – ამჟამინდელი წმინდა საფლავის ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე მართლმადიდებლური ტაძარი. ბაზილიკის სამხრეთ კედლისა და კუეუკლიის სიახლოვეს, ღია ცის ქვეშ წამომართულ კუბური ფორმის კლდეზე – გოლგოთაზე, იყო მაცხოვრის ჯვარი.

კონსტანტინე დიდის დროინდელი ტაძრის ეზოს (ატრიუმის) და კარიბჭის ნაშთები დღესაც არის დაცული რუსული მართლმადიდებლური მისიის შენობაში, რომელიც წმინდა საფლავის ეკლესიის მეზობლად მდებარეობს.

614 წელს სპარსეთის მეფემ, ხოსრო II-მ ააოხრა იერუსალიმი და დაანგრია კონსტანტინეს მიერ აგებული ტაძარი. წმინდა საფლავის ეკლესია VII საუკუნის ოციან წლებში აღადგინა წმ. თეოდოსის მონასტრის (იუდეის უდაბნო) წინამძღვარმა მოდესტიმ; მოდესტისეული ტაძარი – მარტირიუმი აიგო ძველი სამკარიბჭიანი ეზოს ადგილზე და ორიენტირებული იყო აღმოსავლეთისაკენ; იგი ზომით დიდად ჩამოუვარდებოდა IV საუკუნეში აშენებულ ნაგებობას. გოლგოთის კლდე ამ დროს ნახევრად ღია ნიშაში მოექცა, ეკლესიის მთავარმა შესასვლელმა კი სამხრეთით მდებარე ატრიუმში გადაინაცვლა.¹⁸³

1009 წელს უფლის საფლავის ეკლესია მთლიანად დაანგრია ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმმა (996-1021 წწ.). XI საუკუნის ორმოციან წლებში ნაგებობა აღადგინა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა (1000-1055 წწ.).¹⁸⁴

XII საუკუნეში ჯვაროსნებმა რეკონსტრუქცია ჩაუტარეს უფლის საფლავის ეკლესიას, განაახლეს და გააფართოვეს იგი. ჯვაროსნების მიერ განახლებული ტაძარი 1149 წელს იკურთხა. ამ ტაძარმა თითქმის უცვლელი სახით მოაღწია ჩვენამდე.¹⁸⁵

1517 წელს იერუსალიმი დაიპყრეს ოსმალებმა, რომლებმაც ააოხრეს აღდგომისა და გოლგოთის ეკლესიები. მოგვიანებით, XVI ს-ის 30-იან წლებში, ორივე ეკლესია აღადგინეს კახეთის მეფის, ლევან II-ის მიერ გაღებული შესანიშნავით.

183 Pringle, The churches, vol. III, №283, 9

184 იქვე, 11

185 იქვე, 20-21

1808 წელს უფლის საფლავის ეკლესიაში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზიანა ნაგებობა და გაანადგურა ეკლესიაში დაცული მრავალი სიძველე, მათ შორის ქართული სიძველეებიც. ხანძრის შედეგად დაზიანებული ნაგებობის აღდგენა-განახლება დასრულდა XX საუკუნეში.¹⁸⁶

ქართველები წმინდა საფლავის ეკლესიაში

იერუსალიმის მაცხოვრის საფლავის ეკლესიის წმინდა ადგილები საუკუნეების მანძილზე ეკუთვნოდათ ქართველებს და იქ წირვა-ლოცვა ქართულად აღესრულებოდა. ქართული და უცხოური წერილობითი ძეგლებიდან (ხელნაწერები, საბუთები, საისტორიო თხზულებები, მომლოცველებისა და მოგზაურების ჩანაწერები) ჩანს, რომ თავის დროზე ქართველებს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი ეჭირათ წმინდა საფლავის ეკლესიაში.

აქ სხვადასხვა დროს (XI-XVII საუკუნეებში) მოღვაწეობდნენ ქართველი დეკანოზები და დიაკვნები, რომელთა საერთო ზედწოდება იყო „აღდგომელი/აღდგომელა“. ქართველ აღდგომელებს შორის მრავლად იყვნენ ჩინებული მწიგნობრები და კალიგრაფები. ჩვენამდე მოღწეულია არაერთი ხელნაწერი, რომელიც გადანერილია უფლის საფლავის ეკლესიაში/გოლგოთაზე, აგრეთვე ხელნაწერები, რომლებიც წმინდა მიწის სხვა სავანეებშია გადანერილი საგანგებოდ უფლის საფლავის ეკლესიის ქართული საძმოსათვის.

XI საუკუნის ქართველი მწიგნობრის, იოვანე გოლგოთელის დაკვეთით, 1049 წელს გოლგოთაზე გადანერილი ივლის-აგვისტოს თვენი (H 2337), რომელიც არის ახალი რედაქციის თვენი – შუალედური საფეხური ტაო-კლარჯული რედაქციიდან გიორგი ათონელის რედაქციამდე, გვაფიქრებინებს, რომ გოლგოთაზე ხდებოდა არა უბრალოდ არსებული ხელნაწერების გადანერა, არამედ მნიშვნელოვანი მწიგნობრული საქმიანობაც – ახალი რედაქციების მომზადება. თავის დროზე აქვე, აღდგომის ეკლესიაში, ყოფილა დაცული ქართული ხელნაწერების მთელი კოლექცია.

აღსანიშნავია, რომ წმინდა საფლავის ეკლესიის კარიბჭის მარმარილოს სვეტებზე დღესაცაა შემორჩენილი ქართველ მომლოცველთა ოცამდე სავედრებელი წარწერა, რომლებიც XIII-XVII საუკუნეებით თარიღდება და ნაწერია ასომთავრულითა და ნუსხურით. ცნობილია ასევე, რომ თავის დროზე წმინდა საფლავის ეკლესიის ხის კარებზე ამოჭრილი ყოფილა ქართული წარწერები. ეს ხის კარები განადგურდა 1808 წელს ეკლესიაში გაჩენილი ხანძრის დროს.

არსებობს ცნობა, რომლის თანახმადაც, იერუსალიმის კლიტეებს

186 Murphy-O'Connor, The Holy Land, 54

ფლობდნენ ქართველები. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ცნობაში უნდა იგულისხმებოდეს საფლავის ეკლესიის გასაღები. მეორე მოსაზრების თანახმად კი – უფლის საფლავის მღვიმის გასაღები. როგორც XIV-XV საუკუნეების ცნობებით დასტურდება, ქართველ ბერებს ჰქონდათ ეკლესიის კარიბჭის დაკეტვისა და გაღების პრივილეგია და მომლოცველები მათგან იღებდნენ ეკლესიაში ღამით დარჩენის ნებართვას.¹⁸⁷

წმინდა საფლავის ეკლესიის სხვა თანამფლობელებთან შედარებით, ქართველები გარკვეულ პრივილეგიებსაც ფლობდნენ აღდგომის ეკლესიაშიც: XV საუკუნის ცნობის თანახმად, კვირიაკეებსა და დღესასწაულებზე მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ კარზე ჯვრის დასვენების უფლება; 1514 წელს კი აღდგომის ეკლესიისათვის კარი შეუბამს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამძღვარს, ბენეა ჩოლოყაშვილს.¹⁸⁸

XVII საუკუნეში, წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის რიტუალის დროს, იერუსალიმის პატრიარქთან ერთად ქრისტეს საფლავის სამლოცველოში იმყოფებოდა ხოლმე ქართველი ბერიც.¹⁸⁹

დროთა განმავლობაში ქართველებმა თანდათან დაკარგეს წმ. საფლავის ეკლესიაში თავიანთი საკუთრება და უფლებები, მათი ადგილი სხვა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

ევროპელი მოგზაურებისა და მომლოცველების ცნობების თანახმად, საუკუნეთა მანძილზე ქართველთა მფლობელობაში იყო წმინდა საფლავის ეკლესიის სხვადასხვა სამლოცველოები, კერძოდ: გოლგოთა, ადამის სამლოცველო, წმ. მარიამ მაგდალელის სამლოცველო, ღვთისმშობლის სამლოცველო, იგივე ქრისტეს დილეგის სამლოცველო, წმ. ელენეს სამლოცველო, ჯვრის აღმოჩენის სამლოცველო, წმ. საფლავის ეკლესიის თაღები (გალერეა).

გოლგოთა

ადგილი, სადაც მაცხოვარი აცვეს ჯვარს ორ ავაზაკთან ერთად (მათე, 27: 33-50; მარკოზი, 15: 22-37; ლუკა, 23: 33-46; იოანე, 19: 17-30). გოლგოთა არამეული სიტყვაა და ითარგმნება როგორც თხემის ადგილი (მათე, 27: 33; მარკოზი, 15: 22; ლუკა, 23: 33; იოანე, 19: 17). გოლგოთის თხემი წმინდა საფლავის ეკლესიის იატაკის დონეზე რამდენიმე მეტრით მაღლაა და მასზე ეკლესიის კარიბჭიდან მარჯვნივ მდებარე კიბით ავდივართ.

გოლგოთის კუბური ფორმის კლდე დღეს მთლიანად ნათალი ქვითაა

187 Peradze, Account, 189, 193-4, 217

188 საფიქრებელია, რომ აქ იგულისხმება წმინდა საფლავის ეკლესიაში შესასვლელი კარიბჭე; ვრცლად იხ. ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 286-289

189 Peradze, Account, 202

მოპირკეთებული. აქ დასავლეთიდან გახსნილი ორი კამაროვანი სამლოცველო მდებარეობს. სამხრეთ (მარჯვენა) ნაწილში მდებარეობს ფრანცისკელთა ორდენის კუთვნილი ქრისტეს განმსჭვალვის სამლოცველო. გადმოცემის თანახმად, ესაა ადგილი, სადაც იესოს სამოსელი გახადეს და ჯვარზე მიამსჭვალეს. სამლოცველოს კამარაზე გამოსახულია მოზაიკით შესრულებული ქრისტეს ამალღების სცენა, რომელიც XII საუკუნით თარიღდება.

გოლგოთის ჩრდილოეთ (მარცხენა) ნაწილში მდებარეობს ჯვრის აღმართვის სამლოცველო (ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს). ჯვრის აღმართვის ადგილი მდიდრულად არის შემკული მოოქროვილი ხატებითა და კანდელებით. მარმარილოს მაგიდისებრი, ოთხფეხა ტრაპეზის ქვემოთ ჩანს ღრმული – ადგილი, სადაც კლდეში ჩაამაგრეს მაცხოვრის ჯვარი. აქვე მოჩანს გოლგოთის კლდე, რომელიც მინით არის დაფარული. საკურთხეველის უკან დგას ვერცხლით შემკული ბრტყელი ხატი გამოსახულებები ჯვარცმული მაცხოვრისა (ცენტრში), ღვთისმშობლისა (მარცხნივ) და იოანე მახარებლისა (მარჯვნივ).

ყველაზე ადრეული წყარო, რომელიც ადასტურებს, რომ გოლგოთა ქართველთა მფლობელობაში იყო, არის 1049 წლით დათარიღებული ხელნაწერი – ივლის-აგვისტოს თვენი – საგალობელთა კრებული (ხელნაწერი H 2337). ხელნაწერის მინაწერიდან ვიგებთ, რომ კრებული განკუთვნილი იყო გოლგოთის ქართველთა საძმოსთვის. მისი დამკვეთი გახლდათ ილუმენი იოანე გოლგოთელი.

შემორჩენილია ცნობა, რომ XI საუკუნეში მეფე ბაგრატ IV კურაპალატმა (1027-1072 წწ.) ბიზანტიის იმპერატორისგან – კონსტანტინე მონომახისაგან მიიღო გოლგოთის ნახევარი და იქ ქართველი ეპისკოპოსი დაადგინა. ცნობილია ასევე, რომ იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი იმავდროულად ატარებდა გოლგოთის არქიმანდრიტის წოდებასაც.¹⁹⁰

1056 წელს იერუსალიმს ეწვია გიორგი მთაწმინდელი. მან ანტიოქიიდან წმინდა მინაზე ბაგრატ IV კურაპალატის დედის – დედოფალი მარიამისგან დიდძალი შესანიერი ჩაიტანა, რომლის ნაწილი, სხვა წმინდა ადგილებთან ერთად, საფიქრებელია, რომ გოლგოთასაც მოხმარდებოდა.¹⁹¹

1200-1308 წწ-ის ბერძნული საპატრიარქოს ოფიციალური ანგარიშების თანახმად, ქართველებმა, ბერძნული საპატრიარქოსთვის განუული დახმა-

190 Dowling, The Georgian church in Jerusalem, 185; Janin, Les Géorgiens à Jérusalem, №98, 33; ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, 14; Peradze, Account, 184, 200; Хождение Трифона Коробейникова, 96

191 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი II, 143-145; იხ. ასევე მენაბდე, კერები, II, 81-84; Цагарели, Памятники, 112

რებისა და თავიანთი მრავალრიცხოვნების გამო, ბერძნებისგან სხვადასხვა დროს მიიღეს 9 მონასტერი, მათ შორის სახელდება გოლგოთაც, რომელიც ქართველებს გადაეცათ სულთან ან-ნასირ ად-დინ მუჰამადის 1308 წლის 5 აპრილის დადგენილებით.¹⁹²

საუკუნეთა მანძილზე გოლგოთა ხელიდან ხელში გადადიოდა და რამდენჯერმე გამოიცვალა მესაკუთრე. XIV-XVI საუკუნეებში ქართველებმა არაერთგზის აღიდგინეს უფლებები და ეს წმინდა ადგილი დაიბრუნეს (გამოიხსნეს) ფრანცისკელებისა თუ სომხებისაგან.

ცნობილია, რომ 1366 წ. გოლგოთას სომხები ეუფლებიან, თუმცა 1433 წლიდან სამცხის ათაბაგის ივანეს (1391-1444 წწ.) ძალისხმევითა და სულთან ალ-აშრაფ საიფ ად-დინ ბარსბაის თანხმობით, ქართველები იბრუნებენ წმინდა ადგილს.¹⁹³

ქართველებსა და სომხებს შორის დაპირისპირება გოლგოთის გამო კიდევ რამდენჯერმე უნდა მომხდარიყო, როგორც ეს სხვადასხვა წერილობითი წყაროებიდან ჩანს, თუმცა, როგორც ეს სულთან ბარსბაის 1433 წლისა და სულთან ჯაკმაკის 1439 წლის ბრძანებულებებით ირკვევა, აღნიშნული დავები ქართველთა სასიკეთოდ გადაწყდა.¹⁹⁴

ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, გოლგოთა არაბთაგან დიდძალი საფასურის სანაცვლოდ გამოუსყიდა მეფე ალექსანდრეს ძმისწულ ბაგრატს.¹⁹⁵ იგულისხმება ალექსანდრე I-ის ძმისშვილი ბაგრატ VI (ზოგჯერ მოიხსენიება როგორც ბაგრატ II – იმერეთის მეფე 1463-1466 წწ.; ქართლ-იმერეთის მეფე 1466-1478 წწ.). ჯვრის მონასტრის ალაპის თანახმად, 1476 წ. მეფე ბაგრატს გუმბათი განუახლებია.¹⁹⁶

თავიანთი საკუთრების დასაცავად ქართველებს უსაფრთხოების საგანგებო ზომებიც კი ჰქონიათ დანესებული – 1483 წ. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, გოლგოთაზე, საკურთხეველში, მუდმივად იყო ჩაკეტილი ერთი ქართველი ბერი ამ ადგილისთვის თვალყურის სადევნებლად.¹⁹⁷ ამავეს ადასტურებს 1602-1603 წლების ცნობაც.¹⁹⁸

გოლგოთის დაუფლებას სომხებთან ერთად ფრანცისკელებიც აქტიურად ცდილობდნენ. ფრანცისკელებსა და ქართველებს შორის გოლგოთის ირგვლივ დავის შესახებ არაერთი სამეფო ბრძანებულება თუ შარიათის სასამართლოს დადგენილებაა ცნობილი. 1491 წელს ქართველებს გოლგოთის ჩრდილოეთი, ფრანცისკელებს კი მისი სამხრეთი ერგოთ, თუმცა,

192 Peradze, Account, 188; ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 118

193 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 119

194 იქვე, 119

195 გაბაშვილი, მიმოსლვა, 80-81; Цагарели, Памятники, 112

196 Khoshtaria, Vacheishvili, Building Activities, 23-24

197 Peradze, Account, 193

198 იქვე, 201

1493 წლის შარიათის სასამართლოს გადანყვეტილებით, ქართველებმა ვერ შეძლეს სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა და მთლიანად დაკარგეს სამლოცველო.¹⁹⁹

გოლგოთის ხელახლა დაბრუნება უკავშირდება ბენა ჩოლოყაშვილის სახელს. ის წლების განმავლობაში იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი (ჯვარის მამა) და აქტიურად ზრუნავდა არა მარტო ჯვრის მონასტერზე, არამედ ქართველთა კუთვნილ სხვა სავანეებზეც. ბენა ჩოლოყაშვილის აქტიური ჩარევით ქართველებმა დაიბრუნეს გოლგოთა და 1513 წელს დავა დასრულდა კომპრომისით, კერძოდ, ქართველებს დარჩათ გოლგოთის ჩრდილოეთი, ფრანცისკელებს კი – სამხრეთი.²⁰⁰

აღსანიშნავია ისიც, რომ სულთან კანსუჰ ალ-ლურის 1513 წ. 17 მაისის ბრძანებულებით, ქართველ და ეთიოპელ ბერ-მონაზვნებს, რომლებიც იერუსალიმში მოსალოცად მიდიოდნენ, აღდგომის ტაძარში გადასახადები არ უნდა გადაეხადათ.²⁰¹

წმინდა საფლავის ეკლესიასა და, კერძოდ, გოლგოთას, საუკუნეთა მანძილზე არაერთხელ მიუღია მდიდრული შესანიშნავი ქართველი მეფეებისა და დიდებულებისაგან. უმნიშვნელოვანესია კახეთის მეფის, ლევანის (ლეონის) (1520-1574 წწ.) წვლილი: როდესაც 1517 წ. ოსმალებმა დაიპყრეს იერუსალიმი, მეფე ლევანმა გამოისყიდა მათგან ქრისტეს საფლავი, გოლგოთა და სხვა წმინდა ადგილები; აღადგინა ოსმალებისაგან დანგრეული აღდგომისა და გოლგოთის ტაძრები და მარმარილოთი მოაპირკეთებინა ისინი (1533-1536 წწ.). ლევან მეფის დამსახურების უკვდავსაყოფად გოლგოთის შუა ნაწილში, საპატრიარქო ტახტის მარმარილოს საფეხურზე ამოკვეთილი იყო ქართული წარწერა, რომელიც მკითხველებს აუწყებდა, რომ მეფე ლევანმა გამოაგზავნა იოაკიმე ჯვარის მამა (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი) შეწირულობით და ააშენებინა დაქცეული უფლის საფლავი და გოლგოთა. ეს ქართულწარწერიანი ქვა უკვალოდ განადგურდა 1808 წელს, როდესაც ეკლესიაში ხანძარი გაჩნდა.²⁰²

გოლგოთაზე ქართველთა შესახებ ცნობებს გვანჯდის XVI საუკუნის ვენეციელი პილიგრიმი ბარბონე მოროზინი, რომელმაც 1514 წელს იმოგზაურა წმინდა მინაზე. კერძოდ, მისი გადმოცემით, ქართველებს ეკუთვნოდათ გოლგოთის მთაზე ის ადგილი, რომელსაც ამჩნევია ქრისტეს ჯვარცმის დროს გაჩენილი ღრმა ბზარი, მაცხოვრისა და არამონანი

199 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 248-255

200 იქვე, 120, 284-285

201 ვრცლად აღდგომის ტაძარში დაწესებული გადასახადებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით სულთანთა ბრძანებულებების შესახებ იხ.: ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 134-135, 238-239, 260-263

202 Цагарели, Памятники, 112-113; გაბაშვილი, მიმოსლვა, 73, 78-9, 81, 90

ქურდის ჯვრების ადგილთა შორის; ქართველებს ასევე თავიანთი საცხოვრებელი ჰქონდათ გოლგოთის მთასთან.²⁰³

ქართველი მეფის ღვანლი კარგად ჰქონდა გაცნობიერებული იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსაც – XVIII საუკუნის შუა წლებში ლევან კახთა მეფის ხსენება დასტურდება ქრისტეს საფლავის ეკლესიის ბერძნულ მოსახსენებლებში.²⁰⁴

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთა გაბატონების შემდეგ ქართული სამონასტრო თემი კვლავაც ინარჩუნებდა საკუთარ პოზიციებს წმინდა მინაზე, დავა ფრანცისკელებთან გოლგოთის გამო კვლავ განახლდა. კერძოდ, სადაო გახდა გამყოფი ხაზი, რომელიც მიჯნავდა გოლგოთის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილს. 1541 წ. შარიათის სასამართლომ განიხილა ფრანცისკელთა სარჩელი, რომელიც თალებს შორის გამყოფ ზოლზე აცხადებდა პრეტენზიას და გადაწყვეტილება ქართველთა სასარგებლოდ გამოიტანა. თუმცა დაპირისპირება მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა.²⁰⁵

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე გვიანდელი ცნობა, რომელიც ქართველ ბერებს გოლგოთის მესაკუთრეებად მოიხსენიებს, 1646 წლით თარიღდება.²⁰⁶

XVII საუკუნეში ქართველთა შემწეობა წმ. მინის ქართველთა მონასტრებისადმი შემცირდა. შემორჩენილია იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქის პარტენიუსის (1737-1766 წწ.) 1755 წლის წერილი ანტონ კათოლიკოსის მიმართ, რომელშიც ნათქვამია, რომ ბოლო 25 წლის მანძილზე უფლის საფლავის ეკლესიას ქართველი მეფეებისაგან შემწეობა არ მიუღია.²⁰⁷

ადამის სამლოცველო

გადმოცემის თანახმად, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც დაკრძალულია ადამი – კაცთა მოდგმის მამამთავარი. სამლოცველო ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან თაღოვანი კარებითაა გახსნილი. მის საკურთხეველში ჩანს მინით დაფარული გოლგოთის კლდის ნაწილი, რომელზედაც მოჩანს მაცხოვრის ჯვარცმისას მომხდარი მინისძვრის დროინდელი ნაპრალები (მათე, 27: 51).

ევროპელი მოგზაურები და პილიგრიმები ადამის სამლოცველოს სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ, როგორცაა: სამლოცველო გოლგოთის მთის ძირში, სამლოცველო, სადაც დაკრძალულნი არიან

203 ნანობაშვილი, ბორბონე მოროზინის „მოგზაურობა წმინდა მინაზე“, 150

204 გაბაშვილი, მიმოსლვა, 85

205 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 171

206 Peradze, Account, 203, სქოლიო 1

207 Цагарели, Памятники, 82

ლათინთა მეფეები,²⁰⁸ ასევე ღვთისმშობლისა და წმ. იოანე მახარებლის სამლოცველო (გადმოცემის თანახმად, ღვთისმშობელი და წმ. იოანე მახარებელი ამ ადგილიდან უმზერდნენ ჯვარზე გაკრულ ქრისტეს).

ადამის სამლოცველოს იბერიელთა მიწადაც მოიხსენიებდნენ, რადგან აქ ქართული წირვა-ლოცვები სრულდებოდა. გრიგოლ ფერაძე იმონებს უცხოელ მოგზაურთა და პილიგრიმთა XIV-XVI სს. არაერთ ცნობას (1370, 1391, 1389-1405, 1422, 1461, 1479, 1479-1480, 1480-1483, 1494, 1496-1499, 1507, 1517, 1542, 1615 წლების ცნობები)²⁰⁹. მკვლევრის ხელთ არსებული ბოლო წერილობითი წყარო, რომელიც გოლგოთის ძირში მდებარე სამლოცველოს ქართველების კუთვნილად მოიხსენიებს, 1615 წლით თარიღდება.²¹⁰

ამჟამად სამლოცველო ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლ-მადიდებლურ საპატრიარქოს.

წმ. მარიამ მაგდალელის სამლოცველო

სამლოცველო მდებარეობს კუფუკლიის ჩრდილოეთით, როტონდის სვეტებს მიღმა. სახარების თანახმად, ესაა ადგილი, სადაც მკვდრეთით აღმდგარი იესო ეჩვენა მარიამ მაგდალელს და შეაჩერა ამ სიტყვებით: „ნუ შემეხები“ (იოანე, 20: 11-17).

ტობლერის თანახმად, აღნიშნული სამლოცველო ქართველთა მფლობელობაში იყო XVI საუკუნეში,²¹¹ თუმცა, გრიგოლ ფერაძე იმონებს უფრო ადრეულ, კერძოდ, 1440 წლის ცნობას, რომლის მიხედვითაც, მარიამ მაგდალელის სამლოცველო ქართველებს ეკუთვნოდათ.²¹²

ამჟამად სამლოცველო რომის კათოლიკური ეკლესიის ფრანცისკელთა ორდენის მფლობელობაშია.

ღვთისმშობლის სამლოცველო, იგივე ქრისტეს დილეგის (Carcera Christi) სამლოცველო ნიში

სამლოცველო დაბალი და ვიწრო კამაროვანი ნაგებობაა, რომელიც მდებარეობს „ღვთისმშობლის თაღების“ შემდეგ, გალერეის ბოლოში. მისი ინტერიერი ნათლად ასახავს რომაული ხანის იერუსალიმის სატუსალოს ვითარებას – მსჯავრდებულთათვის განკუთვნილ კლდეში ნაკვეთ მკაცრ საკნებს. გადმოცემით, აქ იმყოფებოდა იესო ორ ავაზაკთან ერთად

208 იგულისხმება იერუსალიმის ჯვაროსანთა მმართველები – გოტფრიდ ბულონელი (†1100 წ.) და მისი ძმა, იერუსალიმის პირველი ჯვაროსანი მეფე ბოლდუინ I (†1118), რომელთა საფლავებიც დაიკარგა 1810 წელს ჩატარებული რესტავრაციის შემდეგ

209 ვრცლად იხ. Peradze, Account, 198, 219

210 იქვე, 202

211 Tobler, Golgotha, 317

212 Peradze, Account, 191

მანამდე, სანამ მოამზადებდნენ ჯვარცმის ადგილს. სამლოცველოში არის ქვის ფილა ორი ნახვრეტი, რომლებიც პატიმრების ფეხების შესაბოჭად იყო განკუთვნილი.

1602-1603 წლების ცნობების მიხედვით, აღნიშნული სამლოცველო ქართველებს ეკუთვნოდათ.²¹³ მოგვიანებით, 1649-1653 წლების ცნობის თანახმად, იგი უკვე ბერძენთა ხელში გადავიდა.²¹⁴

ამჟამად ქრისტეს დილეგის სამლოცველო ნიში ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

წმ. ელენეს სამლოცველო

წმ. ელენეს სამლოცველო საკმაოდ მოზრდილი ოთხსვეტიანი გუმბათოვანი ნაგებობაა. იგი ნახევრად კლდეშია გამოკვეთილი და ორი ნახევარწრიული საკურთხეველი აქვს აღმოსავლეთით. ჩრდილოეთი საკურთხეველი იმ მონანიე ავაზაკის სახელობისაა, რომელიც უფლის გვერდით გააკრეს ჯვარზე (ლუკა, 23: 40-43), სამხრეთი საკურთხეველი კი – წმ. ელენე დედოფლის სახელობის. სამლოცველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დგას ქვის სკამი. გადმოცემით, აქ იჯდა ელენე დედოფალი და პირადად ადევნებდა თვალს წმ. ჯვრის აღმოსაჩენად მიმდინარე სამუშაოებს.

გრიგოლ ფერაძე იმონებებს რამდენიმე ცნობას, რომელთა თანახმადაც, წმ. ელენეს სამლოცველო ქართველთა მფლობელობაში იყო. მათგან ყველაზე ადრეული 1370 წლით თარიღდება და ეკუთვნის არქიმანდრიტ აგრეთენიოსს.²¹⁵ უფრო გვიანდელი, 1464 და 1494 წლების ცნობებიც ადასტურებენ, რომ აღნიშნული სალოცავი ქართველთა კუთვნილებაში იყო.²¹⁶

ამჟამად წმ. ელენეს სამლოცველო ეკუთვნის იერუსალიმის სომხურ საპატრიარქოს.

ჯვრის აღმოჩენის სამლოცველო

ეს კლდეში ნაკვეთი, არასწორი ფორმის მცირე ზომის სამლოცველო გადმოცემის მიხედვით ის ადგილია, სადაც IV საუკუნეში აღმოაჩინეს ქრისტეს ჯვარცმის დროს გამოყენებული ჯვარი – „ძელი ჭეშმარიტი“. სამლოცველოში მოხვედრა შესაძლებელია წმ. ელენეს სამლოცველოდან ქვემოთ ჩამავალი კიბით.

ტობლერის თანახმად, აღნიშნული სამლოცველო ქართველთა კუთვ-

213 Peradze, Account, 201

214 იქვე, 218

215 Хожделение Архимандрита Агрефенья, 4-5

216 Peradze, Account, 192, 195

ნილებში იყო XVI საუკუნის დასაწყისიდან.²¹⁷ თუმცა, გრიგოლ ფერაძე იმონებებს უფრო ადრეულ ცნობებსაც, რომელთა მიხედვითაც, ჯვრის აღმოჩენის სამლოცველო ქართველებს ეკუთვნოდათ; მათ შორისაა 1370 წლის არქიმანდრიტ აგრეთენიოსის ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ დედოფალ ელენეს მიერ სამი ჯვრის აღმოჩენის ადგილას ქართველთა საკურთხეველი იყო.²¹⁸ ამავეს ადასტურებენ XV-XVII საუკუნეების სხვა პილიგრიმთა ცნობებიც.²¹⁹

ამჟამად სამლოცველოს მარჯვენა ნაწილი იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს ეკუთვნის, მარცხენა კი – რომის კათოლიკური ეკლესიის ფრანცისკელთა ორდენს.

წმ. საფლავის ეკლესიის თაღები (გალერეა)

კათოლიკონის ჩრდილოეთით შუა საუკუნეების სვეტები და ჯვაროსნების დროინდელი მსხვილი ბურჯები გრძელ თაღოვან გალერეას ქმნიან. ეს სივრცე, რომელიც სამლოცველოების გასწვრივ არის, ხშირად გამოიყენებოდა ტაძარში მსახური სხვადასხვა ეროვნების ბერების საცხოვრებელ და მოსასვენებელ ადგილად. როგორც გრიგოლ ფერაძე სამართლიანად აღნიშნავს, რამდენიმე მათგანი ქართველთა მფლობელობაშიც უნდა ყოფილიყო, რადგან წმ. საფლავის ტაძარში ქართველებს არაერთი სამლოცველო ეკუთვნოდათ. აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად მკვლევარს მოჰყავს XV-XVI საუკუნეების ორი ცნობა პილიგრიმული ლიტერატურიდან. როგორც 1700 წლის გადმოცემით ირკვევა, ქართველებს იმ დროისთვის გალერეის სივრცეები უკვე დაკარგული ჰქონდათ.²²⁰

ეპიგრაფიკული წარწერები²²¹

სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციის ხელნაწერის H 18-ის მინაწერით (ფსალმუნთა თარგმანება, XI-XII სს.), რომელიც XIX საუკუნის პილიგრიმს, ლავრენტი ოკრიბელს ეკუთვნის, დასტურდება, რომ იერუსალიმის წმ. საფლავის ეკლესიაში, გოლგოთის საპატრიარქო ტახტზე და უფლის საფლავის სამლოცველოს (კუფუკლიის) კედელზე დაცული იყო ქართული წარწერები. ისინი დღეს განადგურებულია. „აქ იერუსალიმს იხილეთ წ~ს გოლგოთას [შუ]აზე

217 Tobler, Golgotha, 317

218 Peradze, Account, 189

219 ვრცლად იხ. Peradze, Account, 219

220 ვრცლად იხ. Peradze, Account, 220

221 ვრცლად უფლის წმ. საფლავის ეკლესიის ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ იხ. დანართი

ეპისკოპოსის დასაჯდომი სკამი და ქვა, თავქვეით არის სცნობთ ჰამბავს; და წმინდა და დიდი შესავალი კარი, ქვედა კარი ნათელი მხიარულისავე, თუ რა სწერია და მით სცანთ წმინდისა ამის ქალაქისა იერუსალიმისა საქმე და ამბავი. წმინდის ნიკოლაოზის ეკლესია და წმინდის თეოდორეს ეკლესია და მამათმთავრის აბრაჰამის ეკლესია და ყველგან ქვები და წერილები აცხადებს ჩვენის ქვეყნის ნაჭირნახულებს, და თუ ვის გაუკეთებია და ხარჯი უქნია; და ვინც ამ ჯვარის მონასტერში მოხვიდეთ, „გოლგოთის სვინაქსარი“ აქ არის და დასაწყის თავში იხილეთ და ნახეთ, თუ ვისია გოლგოთა; და აქ ჯვარის მონასტერში მხედრულა დაწერილი მოსახსენებელი სახელები განიხილეთ – დოსითეოს პატრიარხის დროს, და მით სცნობთ ამ წმინდის ალაგის ამბავს; და ვინაც ეს აღმოიკითხოთ, ღირსნოდაპატიოსანო, ფრიად ცოდვილისა მონაზონისა ლავრენტისათვის შენდობა ბრძანეთ, საყვარელნო. ჩყზ“ [=1807 წ.] (391r).²²²

ქართული წარწერა-მინაწერები დღემდეა შემორჩენილი ქრისტეს საფლავის ეკლესიის სამხრეთ კედელში გაჭრილი მთავარი კარის ორსავე მხარეს ჩაშენებულ მარმარილოს სვეტებზე. აღნიშნული სვეტები ძველი ნაგებობიდანაა შემორჩენილი; მომლოცველთა მიერ სხვადასხვა ენაზე ნაკანრ და საღებავით შესრულებულ წარწერებს შორის ჩვიდმეტი ქართული ასომთავრული და ნუსხახუცური მინაწერიც მოჩანს. არც ერთს არ აქვს თარიღი. მათი ამოკვეთის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი XII საუკუნის ორმოციანი წლებია (ეკლესია ეკურთხა 1149 წ.), როდესაც ძველი ნაგებობის მარმარილოს სვეტებით ახლად აგებული ეკლესიის კარი შეამკეს. პალეოგრაფიული მონაცემებით წარწერები XIII-XVII საუკუნეებით ისაზღვრება.

ხელნაწერები

H 2337. თენი, 1049 წელი

ხელნაწერი გადაწერილია გოლგოთაზე, XI საუკუნის ქართველი მწიგნობრის, იოვანე გოლგოთელის დაკვეთით. გადამწერი – მიქაელი, შემოსველები – ნისტერიონი და ბასილი აღდგომელი. გადამწერს ასევე დახმარებია პავლე: „...დაესრულნეს თთუენი წელიწდისანი ბრძანებითა და მოღუანებითა ღ(მერ)თშემოსილისა და სახიერისა მამისა და ტკპილისა მოძღურისა იოვანე გოლგოთელისაათა ...დაინერნეს და განსრულდეს ქორონიკონსა სთ ჴელითა საწყალობელისა და ყოვლად განწირულისა და უმეტესად ყოველთა ადამიანთა შეცთომილისა მიქაელისითა...ვინ ესე წიგნი რაჲცა მიზეზითა გოლგოთისაგან გამოაჴუას, შე-მცა-ჩუენებულ არს ...შეიმოსა ჴელითა კურთხეულისა ძმისა ნისტერიონისითა, ღმერთმან

222 ცერაძე, ხოფერია, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 369, ა/მ 33

აკურთხენ და მადლი მიეცინ სულსა მისსა. პავლესთჳსცა ლოცვა-ყავთ, დიად ამაშენა დანაისა ლესვითა“ (285 r).

„შეიკაზმა სულთა განმანათლებელი ესე თუენი ჴელითა ფრიად ცოდვილისა ბასილი აღდგომელისაჲთა ...“ (283r).

ხელნაწერი შემდგომში ჯვრის მონასტრის მფლობელობაში გადასულა, საიდანაც გაუტაცებიათ, ხოლო მეფე დავითის მოძღვარს, ილარიონ ოპიზარს შეუსყიდია და კვლავ ჯვრის მონასტრისთვის შეუწირავს, რაც ილარიონ ოპიზარის მინაწერიდან ირკვევა: „ქ. ესე წიგნი ჯუარისა პატრონისა დავით მეფისა სალოცავად მე, მისმან მოძღვარმან ილარიონ ვიყიდე სპარსთაგან მას ჟამსა, ოდეს ჯუარი სპარსთა დაიჭირეს ...ესე წიგნი ოპიზარმან ილარიონ იყიდა მეფისა მოძღვარმან, შეუნდენ ღმერთმან...“ (2v). ილარიონ ოპიზარს, როგორც ჩანს, არა ერთი ხელნაწერი გამოუხსნია ტყვეობიდან (იხ. მისი ანალოგიური მინაწერები ხელნაწერებზე Jer.Geo.21 და H 2336).

ხელნაწერი ჯვრის მონასტრიდან რუსეთში წაიღო გიორგი ავალიშვილმა 1820 წელს, ხოლო 1923 წელს იგი გადაეცა საქართველოს.

ხელნაწერის სამეცნიერო აღწერილობა შესულია H კოლექციის აღწერილობის V ტომში.²²³ მოკლე აღწერილობა აგრეთვე წარმოდგენილია გამოცემაში: უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები.²²⁴

ამჟამად ხელნაწერი ინახება საქართველოში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

Sin.Geo.O.5. მარხვანი, 1052 წ.

ხელნაწერი იოვანე გოლგოთელის შეწვევით არის გადაწერილი საბანშიდაში, რასაც გადამწერის ანდერძი მოწმობს (414r).

უფრო დანვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. სტატია: წმ. საბა განწმედილის მონასტერი, სექცია: ხელნაწერები.

S 383. გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების კრებული, XI ს.

ხელნაწერი შეიცავს ნაზიანზელის თხზულებათა ეფთვიმე მთაწმიდელის და დავით ტბელის თარგმანებს.

გადაწერის ადგილი და გადამწერი უცნობია. მომგებელი – აღდგომის ეკლესიის დიაკვანი კვირიკე: „...წმიდანო და ყოვლად ქებულნო, დიდებულნო მღდელთმოდუარნო, ბასილი და გრიგოლი, მეოხ-ეყვენით წინაშე ქრისტესა მონასა და მადიდებელსა თქუენსა კვრიკეს, აღგომისა დიაკუანსა, რომელმან დიდითა სურვილითა მოიგო წმიდაჲ ესე წიგნი...“ (434v).

²²³ H კოლექცია, V, 232-233. აქვეა გამოქვეყნებული დამონმებული ანდერძ-მინაწერები სრულად

²²⁴ უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები, 38

ხელნაწერი რამდენჯერმეა აღწერილი.²²⁵

ამჟამად დაცულია თბილისში, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

Jer. Geo. 98. თვენი, XI-XII სს.

შეიცავს ივნისის თვის მასალას. ხელნაწერი ეკუთვნოდა იერუსალიმის უფლის საფლავის ეკლესიას; ახლავს გიორგი ათონელის ანდერძი. ა. ცაგარელი ხელნაწერს XII-XIII სს-ით ათარიღებს.²²⁶

დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

H 1661. გიორგი მთაწმიდელის დიდი სვინაქსარი (ე.წ. გოლგოთის სვინაქსარი), 1156 წ.

ხელნაწერი გადაწერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, გადამწერი – გიორგი დოდოსი (338 v).

ხელნაწერს ახლავს გიორგი მთაწმიდელის ანდერძი (263v-264r), ასევე გადამწერის ანდერძი, საიდანაც ცხადი ხდება ხელნაწერის გადამწერის ადგილი და თარიღი (338v). ხელნაწერი აღდგომის ეკლესიას ეკუთვნოდა (მინაწერები 2v, 339 r). კერძოდ, ხელნაწერი წარმოადგენს ე.წ. გოლგოთის სვინაქსარს, რომელშიც დაცულია მნიშვნელოვანი ცნობები იერუსალიმის ქართველთა ქრისტიანული თემის საკუთრებათა და უფლებათა შესახებ. ამ კუთხით უმნიშვნელოვანესია XV-XVI სს. ალაპები, ასევე აღდგომელა მახარებლის მინაწერი, რომელიც თარიღდება 1401-1407 წლებით (3r).

ხელნაწერი აგრეთვე შეიცავს ჯვაროსანთა, მათ შორის ტამპლიერების ორდენის წევრთა მოსახსენებლებს (XII ს-ის II ნახ.).

სავარაუდოდ, 1812 წელს ხელნაწერი იერუსალიმიდან საქართველოში ჩამოიტანა ლავრენტი ოკრიბელმა, ინახებოდა ჯრუჭის მონასტერში, საიდანაც 1919 წელს თბილისში ჩამოიტანა ექვთიმე თაყაიშვილმა და გადასცა მუზეუმს.

ხელნაწერი შესწავლილი აქვს ე. მეტრეველს.²²⁷ ხელნაწერის აღწერილობა შედგენილი აქვს ასევე სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა ჯგუფს. ამ უკანასკნელში ხელნაწერის გადამწერის თარიღად მითითებულია 1156 წ.²²⁸

ხელნაწერი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

225 S კოლექცია, I, 454-461 (იქვეა გამოქვეყნებული დამონებები მინაწერი); ბრეგაძე, აღწერილობა, 83-90; იხ. ასევე: უცხოეთში გადამწერილი ქართული ხელნაწერები, 44

226 Blake, Catalogue, 1924/2, №98; Цагарели, Памятники, 165, №41. ქართული ხელნაწერი ნიგნი საზღვარგარეთ, 138

227 მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, 127-138

228 H კოლექცია, IV, 82-86. იხ. ასევე: უცხოეთში გადამწერილი ქართული ხელნაწერები, 48

ლაჰილის ოთხთავი, XIV ს.

გადამწერი – იოვანე, ქსცხიანის შვილი, გადანერის ადგილი – იერუსალიმის აღდგომის ეკლესია (172 v). ხელნაწერი საგანგებოდ გადანერეს აღდგომის ეკლესიაში ზემო სვანეთის სოფელ მუხერის ეკლესიაში გასაგზავნად: „აღდგომისა ეკლესიასა შინა, წინაშე საფლავისა ქრისტესა, მე, ცოდვილმან და უმეცარმან და უცბად მჩხრეკელმან, იოვანე ქსცხიანისა შვილმან ჴელვეყავ აღწერად წმიდათა ამათ ოთხთავთა და შევსწირე სუანეთს წმიდასა მთავარანგელოზსა მუხერისა“. გადამწერის იმავე ანდერძის მიხედვით, მან ხელნაწერი ფხოტლერი დეკანოზის ხელით გაუგზავნა თავის ძმა მიქაელს ეკლესიისთვის გადასაცემად.

შემდგომში ეს ხელნაწერი გადაიტანეს სვანეთის სოფელ ლაჰილის ეკლესიაში. ხელნაწერი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია როგორც ლაჰილის ოთხთავი. ხელნაწერის რამდენიმე აღწერილობა არსებობს.²²⁹

ხელნაწერი ამჟამად ინახება მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში, №620 (კ-75).

Jer. Geo. 135. თენი, XIV სს.

შეიცავს აპრილის თვის ჰიმნოგრაფიულ კანონებს.

გადამწერილია იერუსალიმის აღდგომის მონასტერში, გადამწერი – თევდა. ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ბლეიკს.²³⁰

დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 76. პავლენი, გიორგი ათონელის რედაქციისა, XIV ს. (XIII-XVI სხვადასხვა მოსაზრებით)

გადამწერილია იერუსალიმის წმინდა საფლავის აღდგომის ეკლესიაში. გადამწერი – აღდგომის დეკანოზი იო(ან)ე ვარძიელი (241v-242r). ხელნაწერი შეწერილი იყო ჯვრის მონატრისათვის (242r).

გადამწერი კოლოფონი ცნობებს გვანჯდის აღდგომის ეკლესიაში მიმდინარე სამნიგნობრო სამუშაოების, ასევე იქ მოღვაწე პირების შესახებ. ანდერძიდან ირკვევა, რომ სამნიგნობრო საქმიანობა არ შეწყვეტილა ოსმალთა მიერ დიდი შევიწროებების მიუხედავად. საინტერესოა, რომ გადამწერს გაუთვალისწინებია მოხუცებული ბერების საქიროებები და საგანგებოდ მსხვილი ასოებით გადაუწერია ხელნაწერი.

229 სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, 56-57; რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები, 286; უცხოეთში გადამწერილი ქართული ხელნაწერები, 58

230 Blake, Catalogue, 1925-1926, 135; იხ. ასევე: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 140

„...დაინერა წინაშე წმიდისა საფლავისა წელსა ლბ თურქთა ქონებისასა ოდეს კლიტენი მათ აქუნდეთ სანურთელად ცოდვათა ჩუენთათჳს. არცა ვის შესლვად უტევებდეს თჳნიერ დიდისა ჭირისა და სასყიდ(ე)ლის. და არცა ჩუენ მოსლვად უტევებდეს კჳრილე მტბევერისა, გამზრდელისა, მზრუნველისა და მოლუანისა ჩუენისა ... ესე მსხუილი მით დავნერეთ, რომელ ზოგნი ძმანი მოხუცებულნი იყუნენ...“ (242r).

გადამწერის ანდერძის ტექსტი სრულად არის გამოქვეყნებული.²³¹

ხელნაწერი აღწერილი აქვთ რ. ბლეიკს, ასევე ნ. ჩუბინაშვილსა და ა. ცაგარელს.²³²

ხელნაწერის გადაწერის თარიღზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ა. ცაგარელი მას XI საუკუნით ათარიღებს, ხოლო ანდერძს – XIII ან XVI საუკუნით²³³, რ. ბლეიკი ხელნაწერს და ანდერძს XVI საუკუნით ათარიღებს²³⁴; ე. მეტრეველი პალეოგრაფიული მონაცემებით ხელნაწერს XIII საუკუნის მეორე ნახევარში ან XIV საუკუნის პირველ ნახევარში გადაწერილად მიიჩნევს.²³⁵ დ. კლდიაშვილი 1305 წლის ახლო პერიოდით ათარიღებს,²³⁶ ხოლო ვ. კეკელია ამ საკითხის საგანგებო შესწავლის საფუძველზე ხელნაწერის გადაწერის თარიღად 1332 წელს მიიჩნევს.²³⁷

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

ოქროს ოთხთავი, XV-XVI სს.

შეიცავს ოთხთავის გიორგი ათონელის რედაქციის ტექსტს, ხელნაწერი მდიდრულად არის შემკული: შეიცავს ოქროს ფონზე შესრულებულ 48 მინიატურას, რომლებიც შესრულებულია ორი სხვადასხვა, ძალზე განსხვავებული სტილის მქონე მხატვრის მიერ, სათაურები და საზედაო ასოები, ასევე ცალკეული მუხლები და ეპიზოდები ოქრომელნითაა ნაწერი.

ხელნაწერის გადაწერის ადგილი და თარიღი მითითებული არ არის, დათარიღებულია პალეოგრაფიული მონაცემებით და მინიატურების მხატვრული თავისებურებების გათვალისწინებით.

ხელნაწერის გადამწერია: დიმიტრი: „აღინერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ

231 კლდიაშვილი, სულთა მატიანე, 109-110; იხ. ასევე: კეკელია, Jer.Geo. №76 ხელნაწერის ანდერძის თარიღისათვის, 696-707.

232 Blake, Catalogue, 1924/2, 409; Цагарели, Памятники, 155-156, №15

233 Цагарели, იქვე

234 Blake, იქვე

235 მეტრეველი, მასალები, 46-47

236 კლდიაშვილი, უცნობი საალაპე წარწერა, 146-152

237 კეკელია, Jer.Geo. №76 ხელნაწერის ანდერძის თარიღისათვის, 696-707

ჯელითა ფრიად ცოდვილისა უღირსისა დიმიტრისითა. დედაჲ ბნელ იყო და თუ რამე დავაშავე, წყევასა ნუ ჰყოფ, უფალნო“ (412 v).

მომგებელი – ბაგრატი: „უფალო, ღმერთო, მოუკლებელ ყავ ჯსენებაჲ პატიოსნის ბაგრატისი, რომლისა ბრძანებითა აღინერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ, რამეთუ ფრიად მოსურნე არს სიტყჳთა საღმრთოთა“ (389 r). ბაგრატი ასევე მოიხსენება კიდევ ორ მინაწერში (105v, 182r).

ხელნაწერის ბოლოს (საცავ ფურცელზე) დართული ანდერძიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი მაცხოვრის საფლავის ეკლესიისათვის შეუწირავს ქართველ დიდგვაროვანს, გიორგი აბაშიძეს (XVII-XVIII სს.).²³⁸ ანდერძში ხელნაწერი „ოქროს ოთხთავად“ მოიხსენება: „მონა ღმრთისაჲ აბაშიძემ გიორგი და თანამეცხედრემან ჩემმან, ლორთქიფანიძის ასულმან გულქან შემოგწირეთ ქრისტეს საფლავს პატიოსანი ოქროს ოთხთავი ჩუენის ცოდვილის სულის საოხად და ძისა ჩუენისა, ლევან, ბეჟან და მალაქიას აღსაზდელად წარსამართებლად....“ (414r).

ხელნაწერს 2001 წელს მიაკვლია ქართველ მკვლევართა სამეცნიერო ექსპედიციამ წმინდა მინაზე (ისრაელში), თამილა მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით.

ხელნაწერი აღწერილი და გამოცემულია ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრის მეცნიერთა მიერ.²³⁹

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის უფლის საფლავის ეკლესიის საგანძურში.

H 1348. გამოკრებილი სახარება და სამოციქულო, 1546 წ.

გადაწერის ადგილი – გოლგოთა; გადამწერი – დიმიტრი ოჯიკისძე (271v) – იხ. გადამწერის ანდერძი და მინაწერები.

ხელნაწერის აღწერილობა გამოქვეყნებულია H კოლექციის აღწერილობის III ტომში.²⁴⁰

ხელნაწერი 1917 წელს გადაეცა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დარიის (ამჟამად თბილისის ფერისცვალების დედათა) მონასტრიდან. ამჟამად დაცულია თბილისში, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

238 გიორგი აბაშიძე ისტორიიდან კარგად ცნობილი ქართველი ფეოდალია, რომლის დაკვეთით შექმნილია არაერთი ქართული ხელნაწერი. 1700 წელს გიორგი აბაშიძის ფინანსური შემწეობით განაახლეს იერუსალიმის წმ. აბრაამის ეკლესია, რასაც ადასტურებს ადგილზე დაცული ქართული სამშენებლო წარწერა (იხ. სტატია: წმ. აბრაამის მონასტერი, სექცია: ეპიგრაფიკული წარწერები)

239 ცერაძე, ცხადაძე, ოქროს ოთხთავი. იქვეა გამოქვეყნებული დამოწმებული ანდერძ-მინაწერების სრული ტექსტები (გვ. 68)

240 H კოლექცია, III, 302-303. იხ. ასევე: უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები, 60

Jer. Geo. 125, თვენი, XVII ს.

შეიცავს სექტემბრის თვის ჰიმნოგრაფიულ კანონებს.

გადანერის ადგილი – გოლგოთა, გადამწერი – იოაკიმე ხუცეს-მონაზონი (რ. ბლეიკის ცნობით, შეიცავს რამდენიმე ქართულ მოსახსენებელ მინაწერს, ასევე ერთ სომხურ და ერთ არაბულ მინაწერს).

ა. ცაგარელი ხელნაწერს 1502 წლით ათარიღებს, თუმცა, რ. ბლეიკი აღნიშნავს, რომ ვერ მიაგნო აღნიშნულ ცნობას ხელნაწერში და პალეოგრაფიული ნიშნებით ხელნაწერს XVII ს-ში გადანერილად მიიჩნევს.²⁴¹

დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

უფლის საფლავთან დაკავშირებული სინძინდები²⁴²

იერუსალიმის წმინდა საფლავის ეკლესიის საგანძურში დაცული მარიამ დედოფლის ომოფორი

იერუსალიმის წმინდა საფლავის ეკლესიის საგანძურში დაცულ ნაქარგობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მარიამ ქართლის დედოფლის დაკვეთით შესრულებულ ომოფორს, რომელიც გამოირჩევა თავისი მდიდრული გაფორმებითა და შესრულების მაღალი დონით.

ნაქარგობა შესრულებულია ოქროს ძაფებით, სარჩულად მიკერებული აქვს წითელი ფერის ატლასი.

განმარტებითი წარწერები რელიეფურია, მათთვის გამოყენებულია ვერცხლის ძაფი. შესრულებულია წარწერები ასომთავრულით (თუმცა, ხშირ შემთხვევებში, ასომთავრულ ასოებთან ერთად ნახმარია მხედრული ასოებიც). წარწერებში სიტყვები ერთმანეთისაგან გამოყოფილია სამწერტილებით. ადგილის უკმარობის გამო წარწერების სიტყვები ხშირად დასრულებული არ არის, რიგ შემთხვევებში ნახმარია ამ თუ იმ სიტყვის სანყისი ერთი-ორი ასო.

ომოფორის დამკვეთების ვინაობა ცნობილი ხდება სავედრებელი წარწერიდან, რომელიც წარმოდგენილია ნაკეთობის მარჯვენა (მარცხენა) კალთაზე, ბოლო ვერტიკალური რიგის პირველ სვეტში. მოვიყვანთ ამ წარწერის ტექსტს ქარაგმების გახსნით: „*მამაო, ძეო და სულო წმიდაო, შემწე ეყავ ორსავე ცხოვრებასა დადიანის ასულს დედოფალს მარიამს, რომლისა ბრძანებითა შეიკერა ომოფორი ესე. ა~ნ. ჩვენ, ყოვლად უღირსმან ტფილელ მთავარეფისკოპოსმან იოსებ სააკაძემ შევაკერვინეთ ომოფორი*

241 Blake, Catalogue, 1925-1926, 135-136; Цагарели, Памятники, 166, №52; იხ. ასევე: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 140

242 ვრცლად უფლის საფლავთან დაკავშირებული ქართული სინძინდების შესახებ იხ. დანართი

ესე სულისა ჩემისა სახსარად და საოხად. ან.“ (მარიამ დედოფლისა და იოსებ სააკაძის წარწერების ტექსტები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ჰორიზონტალური ხაზით).

1883 წელს მარიამ დედოფლის ეს ნაქარგობა უნახავს ა. ცაგარელს, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს ნაკეთობა შემკული იყო ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით. სამწუხაროდ, დღეისათვის ნაქარგობა ამ შემკულობის გარეშეა დარჩენილი. გაურკვეველია, ვინ ან როდის მოაცილა ძვირფასი ქვები ამ ქართულ ომოფორს.


ომოფორის ზედა ნაწილში, ნაკეთობის მარჯვენა და მარცხენა კალთები ერთმანეთს ებმის რელიეფურ ჩარჩოში ჩასმული ქრისტეს დატირების სცენით.

ნაქარგობის მარცხენა ნაწილში, ჯვრის ვერტიკალური მკლავის ხელმარცხნივ, წარმოდგენილია სამი მოტირალი ქალის ფიგურა. ჯვრის ვერტიკალური მკლავისაგან მარჯვნივ გამოსახულია სამი მწუხარე მამაკაცის ფიგურა. ნაქარგობის მარცხენა და მარჯვენა მხარეებზე გამოსახულია წითელი ფერის ყვავილის მქონე თითო-თითო მცენარე (სულ ორი ასეთი მცენარეა), რომლებიც გოლგოთის კლდოვან რელიეფს მიუყვება.

ქრისტეს დატირების სცენის კუთხეებში წარმოდგენილია მახარებელთა ტრადიციული სიმბოლური გამოსახულებები, რომლებიც მედალიონებშია ჩასმული. ოთხივე მათგანი გამოსახულია წიგნით.



იერუსალიმი, უფლის წმ. საფლავის ეკლესია, სამხრეთი ფასადი (ფოტო დ. ცხადაძის)




იერუსალიმი, უფლის წმ. საფლავის ეკლესია (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, უფლის წმ. საფლავის ეკლესიის კარიბჭის სვეტები (ფოტო დ. ცხადაძის)




იერუსალიმი, უფლის წმ. საფლავის ეკლესია, მირონცხების ქვა (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, უფლის წმ. საფლავის ეკლესია, გოლგოთა (ფოტო დ. ცხადაძის)




იერუსალიმი, უფლის წმ. საფლავის ეკლესია,
წმ. ჯვრის აღმოჩენის სამლოცველო (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, უფლის წმ. საფლავის ეკლესია, ადამის სამლოცველო (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, უფლის წმ. საფლავის ეკლესია,
როტონდა და კუეუკლია (ფოტო დ. ცხადაძის)



**ქართულ ქრისტიანულ თემთან დაკავშირებული
არალოკალიზებული ეკლესია-მონასტრები
ქველ იერუსალიმში**



იერუსალიმი, ჯვრის გზა, 1898-1914 (LC-DIG-matpc-04868)

დევეთუბნის მონასტარი

ისტორია

დევეთუბნის დედათა მონასტერზე ცნობები წარმოდგენილია ქართულ წერილობით წყაროებში – სვინაქსარსა და ხელნაწერთა კოლოფონებში. ჯვრის მონასტრის სვინაქსარში (ხელნაწერი Jer.Geo.24-25) დაცულია ერთი ალაპი (№278), რომელიც დადებულია ვინმე მარინა დევეთუბნელის სახელზე 24 ივლისს: „თუესა ივლისსა კდ. ამასვე დღესა პანაშვიდი და ალაპი მარინა დევეთუბნელისაჲ. დაუკლებელად აღმასრულებელთა შეუნდვენ, უფალო“.²⁴³ იერუსალიმური ალაპების ტექსტების გამომცემელი ელენე მეტრეველი მიუთითებს, რომ მარინა დევეთუბნელის ალაპი დაწერილია XIV საუკუნის ნუსხურით და რომ სხვა დამატებითი ცნობები მარინა დევეთუბნელის შესახებ არ მოიპოვება.²⁴⁴

დევეთუბნის შესახებ დამატებით მასალას გვანვდის ორი ქართული ლიტურგიკული ხელნაწერი, რომლებიც დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში: Jer.Geo.62 და Jer.Geo.65.

ხელნაწერი Jer.Geo.62 რ. ბლეიკის მითითებით, გადაწერილი უნდა იყოს XVII საუკუნეში.²⁴⁵ ხელნაწერის 174 v-ზე მოთავსებულია მინაწერი: „ესე წიგნი დევეთუბნური არს. აღდგომელს მახარებელს და მისთ(ა) მშობელთა შეუნდოს ღმერთმან. ამინ“ (ნუსხურით).²⁴⁶

მინაწერის ავტორის – აღდგომელა მახარებლის ზედწოდება „აღდგომელა“ მიგვითითებს, რომ იგი მოღვაწეობდა იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში. ესაა საკმაოდ ცნობილი ისტორიული პირი, რომლის სახელიც ხშირად გვხვდება იერუსალიმის ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი, ე.წ. „გოლგოთის სვინაქსარი“. სვინაქსარში დაცული კოლოფონი, დასახელებული ისტორიული პირების მიხედვით, 1401-1407 წლებით თარიღდება,²⁴⁷ შესაბამისად, აღდგომელა მახარებლის მოღვაწეობის ხანად უნდა განისაზღვროს XIV ს. ბოლო ხანები – XV ს. დასაწყისი. აღდგომელა მახარებლის მოღვაწეობის ხანა ეჭვქვეშ აყენებს ხელნაწერის Jer.Geo.62 ბლეიკისეულ დათარიღებას (XVII ს.) – ხელნაწერში აღდგომელა

243 მეტრეველი, მასალები, 104

244 იქვე, 174

245 Blake, Catalogue, 1924/2, 398

246 ცერაძე, დევეთუბანი, 180

247 მეტრეველი, მასალები, 133

მასარებლის მინანერის არსებობის საფუძველზე, მისი გადაწერის ზედა ზღვრად XV საუკუნის დასაწყისი უნდა მივიჩნიოთ.

ხელნაწერი Jer.Geo.65 (XIII ს.). ხელნაწერის დასაწყისში, 1v-ზე, წარმოდგენილია ნუსხურით შესრულებული მინანერი, რომელიც პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, XIII-XIV საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მინანერში ვკითხულობთ: „ქ. დევთუბნური არა არის ესე პარაკლიტონი. ჯუარმან პატიოსანმან იცოდით“²⁴⁸ ამავე გვერდზე, დამონმებული მინანერის ცოტა ზევით, მოთავსებულია იმავე ხელით შესრულებული მეორე მინანერი: „ქ. დიონოსეს მოძღუარსა ჯუარისას შ(ე) უნდოს ღმერთმან. ა(მი)ნ.“²⁴⁹ ამ ორი მინანერის პალეოგრაფიული მახასიათებლების იდენტიურობის საფუძველზე შესაძლებელია დევთუბანთან დაკავშირებული მინანერის ავტორად დიონოსე (=დიონისე) ჯვარის მოძღვარი მივიჩნიოთ. დიონისეს სტატუსი – ჯვარის მოძღვარი – მიგვითითებს, რომ იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საძმოს ავტორიტეტული პირი უნდა ყოფილიყო.

ორივე ხელნაწერის (Jer.Geo.62, Jer.Geo.65) მინანერთა საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ: 1) მონასტერი მოქმედებდა XIII-XV სს-ში; 2) დევთუბანი წარმოადგენდა დედათა მონასტერს; 3) დევთუბანში იყო წიგნსაცავი, სადაც ინახებოდა ქართულ ხელნაწერთა კოლექცია; 4) დევთუბნის ხელნაწერებით სარგებლობდნენ სხვა წმინდა ადგილებზე (ჯვრის მონასტერში, აღდგომის ეკლესიაში) მოღვაწე სასულიერო პირები და პირიქით. მეტიც, Jer.Geo.62-სა და Jer.Geo.65-ში დაცული მინანერები ცხადყოფს, რომ ხელნაწერთა გაცვლა-გამოცვლას იმდენად ინტენსიური ხასიათი ჰქონდა, რომ ზოგ შემთხვევაში გარკვეული ცილობისა თუ პრეტენზიების მიზეზიც შეიძლებოდა გამხდარიყო. ამაზე მიგვითითებს დიონისეს გაფრთხილება – იცოდეს ჯვარმა პატიოსანმაო (=ჯვრის მონასტრის საძმომ).

ლოკალიზაციის საკითხი

დევთუბანთან დაკავშირებული ქართული წერილობითი წყაროები არ იძლევა მონასტრის ზუსტი ლოკალიზების საშუალებას. კორნელი კეკელიძის ვარაუდით, სახელი დევთუბანი შეიძლება ყოფილიყო დამახინჯებული „დერთუფა“ – მკვლევარი უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ ქართული ქრისტიანული თემის წარმომადგენლებს პალესტინის ერთ-ერთი ადგილისთვის ქართული სახელი – „დევთუბანი“ – დაერქმიათ.²⁵⁰ გოჩა ჯაფარიძის მიერ არაბულენოვანი ნარატიული და დოკუმენტური

248 ცერაძე, დევთუბანი, 179

249 იქვე, 179

250 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 214, შენ. 2

წყაროების შესწავლამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ დერთუფა (იხ. ქვემოთ) და დევთუბანი ორი სხვადასხვა მონასტერია.

მონასტრის ლოკალიზაციის დადგენას იანა ჩეხანოვეცი ამ საკმაოდ უჩვეულო სახელზე – დევთუბანი – დაყრდნობით შეეცადა. დევები (სახელი მომდინარეობს ირანული ფალაურიდან) ქართული მითოლოგიისა და ფოლკლორის ტრადიციული პერსონაჟები არიან, სადაც გვევლინებიან ბოროტ გოლიათებად. ჩეხანოვეცი დევებს აკავშირებს ქანაანტური პანთეონის რეფაიმებთან, რომელთა შესახებ ცნობებს ვხვდებით ძველი ალთქმის ტექსტებში. ძველი ალთქმის მიხედვით, რეფაიმები, ქანაანის ადრეული მცხოვრებლები, იყვნენ უზარმაზარი გოლიათები, რომლებიც გამოირჩეოდნენ არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალით. მკვლევრის ვარაუდით, ქართული მონასტრის სახელწოდება წარმოადგენს თარგმანს იერუსალიმთან მდებარე „რეფაიმთა ხევისა“, რომელიც იწყებოდა ძველი იერუსალიმის გალავნის სამხრეთ-დასავლეთი კუთხიდან. ი. ჩეხანოვეცი დამატებით შენიშნავს იმასაც, რომ გვიან შუა საუკუნეებში რეფაიმთა ხევის სოფლების უშუალო სიახლოვეს მდებარეობდა ქართული ეკლესიის კუთვნილი მალხა და კატამონი.²⁵¹ უფრო კონკრეტულად, მკვლევარი ვარაუდობს, რომ „დევეთუბანი“ მდებარეობდა ე.წ. გერმანულ კოლონიაში, დღევანდელი წმ. გრიგოლ განმანათლებლის სომხური ეკლესიის ტერიტორიაზე.²⁵²

ხელნაწერები

Jer. Geo. 65. პარაკლიტონი, XIII ს.

ხელნაწერი საგანგებოდ დერტავის მონასტრისთვის არის გადწერილი (მომგებლის ანდერძი 1r-ზე). როგორც ჩანს, ერთ დროს ინახებოდა დევთუბნის მონასტერში, შემდეგ გადატანილ იქნა ჯვრის მონასტერში (მინაწერი 1v-ზე, რომელიც პალეოგრაფიული მონაცემებით XIII-XIV საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს).²⁵³

პირველ ფურცელზე დაცულია XIII-XIV ს-ის ხელით შესრულებული მინაწერი: „ქ. დევთუბნური არა არის ესე პარაკლიტონი. ჯუარმან პატიოსანმან იცოდით.“

უფრო დანვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. სტატია: დერტავის მონასტერი, სექცია: ხელნაწერები.

251 Tchekhanovets, Georgian „Devtabani“ Monastery, 503-504, 506

252 იქვე, 507; Чехановец, Грузинская Церковь, 54

253 ცერაძე, დევთუბანი, 179

Jer. Geo. 62. შერეული კრებული, XV ს.

კრებულში შესულია: ივლის-აგვისტოს სადღესასწაულო, იოანე ოქროპირის შესხმები, ბასილი კესარიელის, იოვანე დამასკელის, გერმანე კონსტანტინოპოლელის საკითხავები. ნაწერი რამდენიმე სხვადასხვა ხელით, გადამწერთა ვინაობა უცნობია.

ხელნაწერი XV საუკუნის დასაწყისისთვის დაცული იყო დევთუბნის მონასტერში, რაც ცხადი ხდება აღდგომელა მახარებლის მინაწერიდან (174v), რომელიც იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის XIV ს-ის ბოლოსა და XV ს-ის დასაწყისის ცნობილი მოღვაწეა: „ესე წიგნი დევთუბნური არს. აღდგომელს მახარებელს და მისთ(ა) მშობელთა შეუწდოს ღმერთმან. ამინ.“

ბლეიკი, რომელსაც აღწერილი აქვს ეს ხელნაწერი, მას XVII ს-ით ათარიღებს,²⁵⁴ თუმცა აღდგომელა მახარებლის მინაწერის საფუძველზე ხელნაწერის გადანერის ზედა ზღვრად XV საუკუნის დასაწყისი უნდა მივიჩნიოთ.²⁵⁵

ხელნაწერი ამჟამად დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

254 Blake, Catalogue, 1924/2, N 62, 397-398

255 ცერაძე, დევთუბანი, 180

დერთუფას მონასტარი

ისტორია

ერთადერთი ქართული წერილობითი წყარო, რომელიც ცნობებს გვანდის დერთუფას მონასტრის შესახებ, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული K 181 ხელნაწერია. ხელნაწერი გადანერილი უნდა იყოს XI საუკუნის შუა წლებში. ხელნაწერის დასაწყისში მოთავსებული ანდერძიდან ირკვევა, რომ მისი აღმწერი ყოფილა მონესე (ბერი) გრიგოლი, რომელსაც ხელნაწერი შეუწირავს დარი²⁵⁶ დერთუფისათვის ვაჩე მცუელის ასულის, თებრონიას ნიაფორობის²⁵⁷ დროს, რათა იქ მყოფ ქართველ მონაზონ ქალებს გამოეყენებინათ ეს ნუსხა საკითხავად და სალოცავად. ანდერძიდან ცნობილი ხდება ისიც, რომ დერთუფას მონასტრის ეკლესია აშენებული იყო ღვთისმშობლის სახელზე.²⁵⁸

გადამწერის მეორე ანდერძი (256v) კი გვამცნობს, რომ გრიგოლი პალესტინაში მდებარე წმ. ხარიტონის ლავრაში, იგივე პალავრაში მოღვაწეობდა და ხელნაწერიც იქვე ყოფილა გადანერილი.²⁵⁹

256 ვრცლად აღნიშნული სიტყვის შესახებ იხ. სქოლიო 286

257 სიტყვა „ნიაფორი“ დასტურდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში რამდენიმე სახით და მას სხვადასხვაგვარად განმარტავენ, კერძოდ, კ. კეკელიძე და ე. მეტრეველი იზიარებენ კონიბერის (Conybear) მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „ნიაფორი“ სირიული სიტყვაა, ნიშნავს ტაძრის ზედამხედველს, ტაძარში წესის დამცველს და წარმომდგარი უნდა იყოს ბერძნული სიტყვიდან νεακτόρι, რომელიც მიღებულია სირიულ ნიადაგზე კ-სა და ფ-ს აღრევის გამო (კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 212-213; მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, 264-266). კ. კეკელიძის თანახმად, ნიაფორი უნდა ნიშნავდეს ტაძრის წინამძღვარს, ანუ ფებრონია ყოფილა ქართული დედათა მონასტრის წინამძღვარი (კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 213), იმ ფორმიდან გამომდინარე, რომლითაც ანდერძში გვხვდება ეს სიტყვა („ნიაფორობასა“, ანუ ნიაფორობის დროს), ე. მეტრეველი მიუთითებს, რომ ეს სიტყვა უდავოდ აღნიშნავს თანამდებობას და გრიგოლმა ხელნაწერი K 181 შესწირა დერთუფას მონასტერს იმ პერიოდში, როდესაც ფებრონიას ეკავა ნიაფორის თანამდებობა. მისი დასკვნით, „ნიაფორი“ უნდა ნიშნავდეს ტაძრის ზედამხედველს დედათა მონასტერში (მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, 26). ვ. ახვლედიანის მოსაზრებით, ნიაფორი ნიშნავს „ახლად მოქცეულს“ და შეესატყვისება ბერძნულ νεαφορα-ს (ახვლედიანი, ტერმინ „ნიაფორის“ მნიშვნელობისათვის, 42). სხვა თვალსაზრისით, მინაფორი სომხური წარმომავლობის სიტყვაა (miawor/minawor/menawor) და ნიშნავს „განმარტოებულს“ (Aleksidze, Miapori, Niapori ou Minapori, 49); ერთ-ერთი ვარაუდით კი ეს სიტყვა წარმომავლობაზე უნდა მიგვიითიბდეს და უნდა წავიკითხოთ როგორც სარა მიაფორიდან. კერძოდ, ბეთლემში მცხოვრები სარა წარმოშობით იყო სომეხი მიაფორის კანიონიდან, რომელიც სევანის ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარეობს (Lerner, Sara Miapor, 117)

258 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 212; მეტრეველი, დერტავისა და დერთუფას ხელნაწერების ირგვლივ, 263

259 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 212

ელენე მეტრეველის აზრით, გრიგოლ ხარიტონლავრელი, H 1662-ის მომგებელი და შემწირველი დერტავის მონასტრისადმი იგივე პირია, ვინც Kut. 181 ხელნაწერი შესწირა დერთუფას მონასტერს. ანუ გრიგოლ ხარიტონწმიდელმა პალავრაში მისივე ინიციატივით გადაწერილი ორი ხელნაწერი შესწირა პალესტინის დედათა ორ მონასტერს – დერტავსა და დერთუფას, სადაც ქართველი დედები ცხოვრობდნენ.²⁶⁰

ლოკალიზაციის საკითხი

დერთუფას მონასტრის ადგილმდებარეობის საკითხი წყაროთა სიმწირის გამო ვერ დგინდება. ქართულ ხელნაწერში დაცული ცნობები არ იძლევა მისი ზუსტი ლოკალიზაციის საშუალებას.²⁶¹

იერუსალიმის ისლამური სასამართლოს არქივსა და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული XII-XVII საუკუნეების აიუბიანთა, მამლუქებისა და ოსმალთა პერიოდის ხუთი არაბულენოვანი ისტორიული საბუთის შესწავლის შედეგად, გოჩა ჯაფარიძე ქართულ „დერთუფას“ აიგივებს აღნიშნულ დოკუმენტებში მოხსენიებულ „დაარ თუფაჰასთან“, სხვაგვარად: „დაარ ათ-თუფაჰასთან“, ერთ შემთხვევაში „დაარ თუფასთან“, (არაბ. ვაშლის მონასტერი **أيد التاف**).²⁶² აღნიშნული არაბულენოვანი დოკუმენტებიდან ყველაზე ადრეული სალაჰ ად-დინის მიერ ახალშექმნილი სუფიების ხანაკისადმი ბოძებული ვაკფიაა (გაცემის თარიღი – 1189 წ.). მასში დეტალურადაა ჩამოთვლილი ხანაკისადმი ბოძებული ქონება. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ხანაკას საკუთრება მდებარეობდა იერუსალიმში, პატრიარქის უბანში და მოიცავდა „პატრიარქის სახლს“ და სამ ნაწილს. პირველი ნაწილი უშუალოდ ეკვროდა პატრიარქის სახლსა და აღდგომის ეკლესიას და ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ქართველთა მონასტერს (არაბ. დაარ ქურჯ), რომელიც ცნობილი იყო თუფაჰა-ს სახელწოდებით.²⁶³

ის, რომ ათ-თუფაჰა ქართველთა მონასტერია, ეს დასტურდება XIV-XV საუკუნეების არაბული დოკუმენტებითაც, მათ შორის, სულტან ინალის 1453 წ. ბრძანებულებით, რომელშიც ის დასახელებულია ქართველთა 7

260 მეტრეველი, დერთუფასა და დერთუფას ხელნაწერების ირგვლივ, 268

261 სამწუხაროდ, ამ მონასტრის შესახებ ცნობებს ვერც გრ. ფერადის მიერ შეკრებულ უცხოელ პილიგრიმთა ცნობებში ვხვდებით. აღნიშნული სავანის თაობაზე უცხოელი ავტორიტეტული მკვლევრების ნაშრომებშიც პრაქტიკულად არაფერია ნათქვამი. ე. მეტრეველის ვარაუდით, დერთუფას მონასტერი დიდად არ უნდა ყოფილიყო დაშორებული ხარიტონის ლავრისგან, რადგან გრიგოლ პალავრელი მას სწირავს ხელნაწერებს და მის გამდიდრებაზე ზრუნავს. (ვრცლად იხ. მეტრეველი, დერთუფასა და დერთუფას ხელნაწერების ირგვლივ, 268)

262 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 88-91

263 იქვე, 89

მონასტერს შორის. უკანასკნელად, დღეისთვის ცნობილ წყაროებში, ის მოხსენიებულია 1687 წ. ოსმალთა ხანის ჰუჯათში იმ მონასტერთა შორის, რომლებიც დანგრევის პირას იყო და შესაძლოა, არც აღუდგენიათ.²⁶⁴

თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული შეხედულება დერთუფას მონასტრის მდებარეობასთან დაკავშირებით, კერძოდ, ამ მოსაზრების თანახმად, ვაშლის მონასტერში შეიძლება იგულისხმებოდეს იგივე ზეითუნის მონასტერი, ანუ ანას სახლი.²⁶⁵ კერძოდ, ოსმალთა პერიოდის მმართველის, სულტან აჰმედ I-ის 1606 წ. საბუთში (ხატი შერიფში) „ვაშლის მონასტერი“ (Deir el-Tuffah), სხვაგვარად განონის (Gannion) ან ანას (Hanan) სახლი, დასახელებულია იმ ქართულ მონასტრებს შორის, რომლებიც ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს დაცვისა და ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ზოგიერთი პილიგრიმი კი ანას სახლის ტერიტორიაზე მოიხსენიებს არა ზეთისხილის ხეებს, არამედ წმინდა ვაშლის ხეს, რომელზედაც იესო მიაჯაჭვეს.²⁶⁶

მართალია, მასალათა სიმწირის გამო, რთულია დერთუფას მონასტრის ზუსტი ლოკალიზება, მაგრამ არაბულენოვანი დოკუმენტების საფუძველზე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ქართველთა საკუთრებაში იყო.

ხელნაწერები

Kut.181. მაკარი მეგვიპტელის ეპისტოლენი და სწავლანი, XI საუკუნის შუა წლები

შეიცავს წმ. მაკარი მეგვიპტელის ეპისტოლეებსა და საკითხავების ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანებს.

ხელნაწერი გადაწერილია წმ. ხარიტონის ლავრაში (პალავრაში). გადამწერი – ბერი გრიგოლი: „...დაესრულა და დაინერნეს ეპისტოლენი ახალთარგმნილნი წმიდისა მაკარი მეგვიპტელისანი ჴელითა უღირსისა გრიგოლისითა ლავრასა წმიდისა მამისა ხარიტონისსა, წმიდანო მამანო, რომელნი იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთჳს“ (256v).

გადამწერის მეორე ანდერძიდან ცხადი ხდება, რომ გრიგოლს ეს ხელნაწერი შეუწირავს დერთუფას მონასტრისთვის ვაჩე მცუელის ასულის, თებრონიას ნიაფორობის დროს: „მე... გრიგოლ ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა მაკარის ეპისტოლეთა და სარწმუნოებით შევსწირენ ღმრთისა ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა დარსა დერთუფას ნიაფორობასა თებრონიასსა ასულისა ვაჩე მცუელისსა – ადიდენ ღმერთმან წმიდაჲ და უბინო სული მათი აქა და უმეტეს საუკუნესა, –

264 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 90, 94

265 ვრცლად იხ. მთავარანგელოზთა (ანგელოზთა) მონასტერი

266 Tchekhanovets, The Caucasian Archaeology of the Holy Land, 226, შენ. 39

სალოცავად და საკითხავად ყოველთა დათა ქართუელთა, რომელნი მყოფ არიან ქრისტეს მსახურნი მას დარსა შინა, მოსაჯსენებელად სულისა ჩემისა ცოდვილისა, მშობელთა და ძმათა და ყოველთა თვსთა ჩემთა და ყოველთა შემოვედრებულთა და მონაფეთა და შვილთა ჩემთა სულიერთა და ან ცრემლითა გვედრები, წმიდანო ღმრთისანო, ვინცა იმსახურებდეთ წმიდათა ამათ წიგნთა, წმიდათა ლოცვათა შინა თქუენთა მოგკესენენით“ (2r).

ხელნაწერი აღწერილია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა მიერ.²⁶⁷

ხელნაწერის კოლოფონები შესწავლილი აქვთ ე. მეტრეველს, კ. კეკელიძეს.²⁶⁸

ამჟამად ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

267 ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1, 334-335

268 მეტრეველი, დერტავისა და დერთუფას ხელნაწერების ირგვლივ, 260-272; კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 202-216

დერტავის (დელტავის) დედათა მონასტერი

ისტორია

დერტავის (დელტავის) დედათა მონასტრის შესახებ ცნობებს გვანჯდის XI-XIV საუკუნეებით დათარიღებული ოთხი **ქართული ხელნაწერი**:

1040 წელს გადანერილი იოანე ოქროპირის სწავლათა კრებული (H 1662), რომელიც გრიგოლ ხარიტონწმინდელს გადაუწერია წმ. ხარიტონის ლავრაში და შეუწირავს დერტავის დედათა მონასტრისთვის: „სახელითა ღმრთისაჲთა მე, ბერმან გრიგოლ, შევწირე წმიდაჲ ესე წიგნი თქუმიული წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ მონასტერსა დედათასა დერტავს სალოცველად სულისა ჩემისა, მშობელთა და შვილთა სულიერთა და ყოველთა თვისთა ჩემთა...“ (274r);

XI ს-ის 30-იან წლებში ხახულის ლავრაში გადანერილი იოანე ოქროპირის „იოანეს თვის თარგმანება“ (Jer. Geo. 32) – ხელნაწერის ბოლო ფურცელზე, XII-XIV სს-ის მხედრულით შესრულებული მინაწერიდან ირკვევა, რომ ხელნაწერი ინახებოდა დერტავის (დელტავის) მონასტერში;

XII-XIV საუკუნეებში გადანერილი ლიტურგიკულ-ჰაგიოგრაფიული კრებული (Jer. Geo. 33), რომელიც დელტავის დედათა მონასტრისთვის შეუწირავთ. მისი მომგებელი ყოფილა ეკატერინე შტოის ასული და სხვა დელტაველი დები (324v);

XIII ს-ში გადანერილი პარაკლიტონი (Jer. Geo. 65), რომლის ანდერძ-მინაწერები იერუსალიმის დედათა ორი საგანის შესახებ გვანჯდის ცნობებს – დევთუბნის მონასტრისა და დერტავის მონასტრის შესახებ. ამ ხელნაწერში დაცულია დერტავის მონასტერში მოღვაწე ქართველი მონაზვნის, დუდა აბაზაისძე ტბელის ასულის ანდერძი (1r), რომელიც ხელნაწერის მომგებელი ყოფილა და საგანგებოდ დერტავისთვის გადაუწერიანებია ეს ხელნაწერი (ვრცლად აღნიშნული ხელნაწერების შესახებ იხ. ქვემოთ რუბრიკაში: ხელნაწერები).

მონასტრის სახელწოდება XI ს-ის ხელნაწერის მოწმობის მიხედვით არის „დერტავი“. მოგვიანებით ამ სახელს მცირეოდენი ცვლილება განუცდია – XIII-XIV სს-ით დათარიღებული ხელნაწერების მიხედვით, მას უკვე „დელტავი“ ეწოდება. ცნობილია აგრეთვე „დელტავიდან“ ნაწარმოები ფორმები: „დელტაველი“, „დელტალველი“, „დელტაორი“ (=დელტავური). როგორც ელენე მეტრეველი აღნიშნავს, „დელტავი“

არის „დერტავის“ გვიანდელი და დამახინჯებული ფორმა.²⁶⁹ ამავე აზრს იზიარებენ სხვა მკვლევარებიც.²⁷⁰

მონასტრის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვანვდის იერუსალიმის ისლამური სასამართლოს არქივსა და იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული XIV-XVI საუკუნეების მამლუქთა და ოსმალთა ხანის არაბულენოვანი ნარატიული და დოკუმენტური წყაროები.

აღნიშნულ დოკუმენტურ წყაროებში დასახელებულია „დაარ ატ-ტავს“ (ან მრავლობითის ფორმით „დაარ ატ ტავავის“). გოჩა ჯაფარიძის აზრით, არაბული „ტავს“, რომელიც შეცდომით წერია, არის „ტავუს“ – რაც არაბულად „ფარშევანგს“ ნიშნავს. ეჭვგარეშეა, რომ დერტავის სახელწოდების პირველი ნაწილი – „დერ“ არის იგივე „დაარ“,²⁷¹ შესაბამისად, „დაარ ატ-ტავს“/„დაარ ატ-ტავავის“ (أيد الطواويس), ქართულ წყაროებში დადასტურებულ დერტავად უნდა მივიჩნიოთ.²⁷²

როგორც სულტან ალ-მუჰაიად საიფ ად-დინ შაიხის 1414 წლის ბრძანებულების შესავალი ნაწილიდან ირკვევა, ქართველი ბერები გამოცხადებულან სულტანის კარზე და წარუდგენიათ სულტან ბარკუკის 1387 წლის ბრძანებულება, რომელიც იცავდა მათ უფლებებს. დოკუმენტში დასახელებულ ათ მონასტერს შორის არის დაარ ტავავის (დერტავის) მონასტერიც.²⁷³

სულტან ინალის 1453 ბრძანებულებაში დაარ ტავავის მონასტერი იხსენიება ქართველთა მფლობელობაში მყოფ შვიდ მონასტერს შორის, შესაბამისად, ეჭვგარეშეა, რომ იგი ქართველთა მონასტერს წარმოადგენდა.

დერტავის მონასტერი აღარ იხსენიება 1687 წ. ოსმალთა ხანის ჰუჯათში იმ მონასტერთა შორის, რომლებიც დანგრევის პირას იყო. როგორც გოჩა ჯაფარიძე ვარაუდობს, ის მანამდე დაინგრა და გაუქმდა.²⁷⁴

269 მეტრეველი, დერტავისა და დერთუფას ხელნაწერების ირგვლივ, 260-264

270 მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 356, შენ. 543; ჯაფარიძე, ქართველთა სავანები, 84

271 პალესტინის (აგრეთვე ერაყის, ჩრ. მესოპოტამიის, სირიისა და ეგვიპტის) შუა საუკუნეების ტოპონიმებში ხშირად გვხვდება არაბულ ენაში სირიულიდან შესული სიტყვა „დაარ“, რაც ქრისტიანულ მონასტერს აღნიშნავს. შესაბამისად, K 181 ხელნაწერი გრიგოლს შეუწირავს ღვთისმშობლის ეკლესიასთან არსებული დერთუფას სავანისათვის. ეჭვგარეშეა, რომ ამ ეკლესიის სახელწოდების პირველი ნაწილი – „დერ“ არის იგივე „დაარ“ (იხ. მეტრეველი, დერტავისა და დერთუფას ხელნაწერების ირგვლივ, 262-264; იხ. ასევე: ჯაფარიძე, ქართველთა სავანები, 87)

272 ჯაფარიძე, ქართველთა სავანები, 90

273 როგორც გოჩა ჯაფარიძე აღნიშნავს, რთულია იმის დაშვება, რომ დერტავის მონასტერი ჩამოთვლილი სავანეებიდან გამონაკლისს წარმოადგენდა. ის აშკარად იერუსალიმში მდებარეობდა, თუმცა კონკრეტულად სად, ეს დაუდგენელია. იხ. ჯაფარიძე, ქართველთა სავანები, 90-91

274 იქვე, 90, 94

ლოკალიზაციის საკითხი

დერტავის მონასტრის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა წმინდა მინაზე წყაროთა სიმწირის გამო ვერ ხერხდება. იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ხელნაწერის Jer.Geo.65-ის მომგებლის – დელტავის მონასტერში მოღვაწე ქართველი მონაზვნის, დედა აბაზაისძე ტბელის ასულის XIII საუკუნის ანდერძის თანახმად, დერტავის მონასტერი მდებარეობდა იერუსალიმში, მისი ეკლესია კი ამენებული იყო იოანე ნათლისმცემლის სახელზე.²⁷⁵

იერუსალიმის დელტავის მონასტრის ადგილმდებარეობის დადგენის თვალსაზრისით საინტერესო ცნობას გვანვდის ევროპელი პილიგრიმი იოანე პოლონერი. 1421 წლის ცნობაში იოანე პოლონერი წერს, რომ იერუსალიმში, ეპისკოპოსის ქუჩაზე, მდებარეობდა ქართველების კუთვნილი წმ. ზაქარეას სახლი და რომ იქვე იყო წმ. იოანე ნათლისმცემლის ლამაზი სამლოცველო.²⁷⁶

ხელნაწერები

H 1662. ჰომილიათა კრებული, 1040 წ.

ხელნაწერი შეიცავს იოანე ოქროპირის და სხვა წმიდა მამათა საკითხავებს. ხელნაწერის გადამწერია ბერი გრიგოლ ხარიტონწმინდელი, გადწერილია წმ. ხარიტონის ლავრაში (პალავრაში) (273v-274r). ხელნაწერის გადამწერის ანდერძიდან ირკვევა, რომ მას (გრიგოლს) ეს ხელნაწერი შეუწირავს დერტავის დედათა მონასტრისთვის (274r). გვიანდელი მინაწერების მიხედვით, ხელნაწერი XVI საუკუნეში ჯვრის მონასტერში ყოფილა. 1765 წელს ხელნაწერი გენათელ მიტროპოლიტს იოსებ ბატონიშვილს ჯრუჭის მონასტრისთვის შეუწირავს (269v). 1919 წელს ხელნაწერი ჯრუჭის მონასტრიდან ჩამოიტანა ექვთიმე თაყაიშვილმა და გადასცა მუზეუმს. ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ხელნაწერი შესწავლილი აქვს ე. მეტრეველს²⁷⁷, ხელნაწერის აღწერილობა შესულია H ფონდის კოლექციის აღწერილობის IV ტომში.²⁷⁸

275 აღნიშნულ ანდერძს 2001-2002 წლებში ქართული სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობის დროს მიაკვლია თინა ცერაძემ, ვრცლად იხ. ცერაძე, ახალი მონაცემები, 46-49, ასევე: ცერაძე, ახალი ცნობა იერუსალიმის დელტავის მონასტერზე ხელნაწერ იერ. 65-ის მიხედვით, 337-343

276 Peradze, Account, 205

277 მეტრეველი, დერტავის და დერთუფას ხელნაწერების ირგვლივ, 266-269, 271-272. ხელნაწერის შესახებ იხ. აგრეთვე: კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 202-216; მენაბდე, კერები, II, 43; M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, execute en 1847-1848 par M. Brosset, St. Petersbourg, XII rapports, 86.; უცხოეთში გადწერილი ქართული ხელნაწერები, 32

278 H კოლექცია, IV, 86-89.

Jer. Geo. 32. იოანე ოქროპირი.

„იოანეს თავის თარგმანება“, ეფთვიმე ათონელის თარგმანი. გადაწერილია XI ს-ის 30-იან წლებში სახულის ლავრაში, დავით ტფილელის მიერ, საგანგებოდ პალავრისთვის: „შევწირე პალავრას, რომელ არს ხარიტონწმინდა“ (151v).

როგორც ხელნაწერის ბოლო ფურცელზე დაცული მინაწერიდან ჩანს, შემდგომში ხელნაწერი ინახებოდა დელტავის მონასტერში. მინაწერი XII-XIV სს-ის მხედრულითაა შესრულებული.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ნ. მარს, ა. ცაგარელს (3119), რ. ბლეიკს. ხელნაწერი ასევე გამოკვლეული აქვს ე. მეტრეველს.²⁷⁹

ხელნაწერი ამჟამად დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 33. შერეული კრებული, XII-XIV სს.

კრებული შეიცავს ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს, საგალობლებს, „იერუსალიმის წარტყვევნას“. გადამწერი – ბასილი მჩხრეკელი, საათური, დერტაველი დების გაზრდილი: „დელტაველთა დათა ყოველთა შეუნდვენ, უფალო. დაინერა საფასოთა მათითა. მეცა მომიწსენეთ ცოდვილი ბასილი მჩხრეკელი“ (197v), „დანო პატიოსანნო, გვედრები გაზრდილი თქუენი ბასილი საათური, უცბად ჩხრეკისათვს შემინდევით“ (324v).

ხელნაწერის ანდერძიდან ირკვევა, რომ მისი მომგებელი ყოფილა ეკატერინე შტროის ასული და სხვა დელტაველი დები. ხელნაწერი შეუწირავთ დელტავის დედათა მონასტრისათვის: „...მე ცოდვილი და უღირსი ეკატერინე, შტროის ასული, ღირს ვიქმენ აღწერად წმიდისა ამის და სულთა განმანათლებელისა სვეთონის ცხოვრებისა. აწ წმიდათა მენელსაცხებლეთა სწორნო დანო დელტაველნო, ქრისტეს სიყუარულისათვს, ვინცა ღირს იქმნეთ წარკითხვად წმიდისა ამის ცხოვრებისაა სვეთონისსა, სულთა და ჯორცთა განმანათლებელისა, თქუთ წმიდითა პირითა თქუენითა მოტევებაჲ ცოდვათა ჩემთაჲ და თქუენ ყოველთა მკითხველთა და მსმენელთა ქრისტემან მადლი მოგანიჭენ. ამინ. ეკატერინეს შეუნდვენ, უფალო. თქუთ ყოველთა „ამინი“ (324r-v).

კ. კეკელიძის ვარაუდით, ეკატერინე შტროის ასული უნდა ყოფილიყო დელტავის მონასტრის წინამძღვარი, ბასილი კი – პალესტინის რომელიმე

279 მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, №30, №67- 68; Цагарели, Памятники: 178-179, №119; Blake, Catalogue, 1922-1923, 411-412; მეტრეველი, დერტავისა და დერთუფას ხელნაწერების ირგვლივ, 260-272

მონასტრის მოღვაწე. მისი მითითებით, სავარაუდოდ, ეს იყო ადგილი, რომელსაც „საიდი“ ან „საიდა“ ერქვა, შეიძლება „ბეთსაიდა.“²⁸⁰

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ნ. მარს (№26),²⁸¹ რ. ბლეიკს (№33).²⁸²

ხელნაწერი ამჟამად დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 65. პარაკლიტონი, XIII ს.

გადაწერის ადგილი და გადამწერის ვინაობა უცნობია. როგორც ჩანს, ხელნაწერი ერთ დროს ინახებოდა დევთუბნის მონასტერში, შემდეგ გადატანილ იქნა ჯვრის მონასტერში (მინაწერი 1v-ზე).²⁸³

ხელნაწერის პირველი ფურცლის recto-ზე დაცულია დელტავის მონასტერში მოღვაწე ქართველი მონაზვნის, დუდა აბაზაისძე ტბელის ასულის ანდერძი. ანდერძიდან ირკვევა, რომ დუდა ყოფილა ამ ხელნაწერის მომგებელი და რომ მას დელტავის მონასტრისთვის გადაუწერიანებია ეს ხელნაწერი. ანდერძის საფუძველზე უეჭველად დასტურდება, რომ დელტავის მონასტერი მდებარეობდა იერუსალიმში და ის აგებული ყოფილა იოანე ნათლისმცემლის სახელზე. ანდერძი აგრეთვე შეიცავს საგულისხმო ცნობებს აბაზაისძეებისა და ჯაყელების საგვარეულოების შესახებ.

ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ბლეიკს.²⁸⁴ მისი მომგებლის ანდერძი შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს თ. ცერაძეს.²⁸⁵

ხელნაწერი ამჟამად დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

280 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 211

281 მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, №26, 63-65. მასვე აქვს გამოქვეყნებული ანდერძი

282 Blake, Catalogue, 1922-1923, 412-413; ხელნაწერის შესახებ და მასში დაცულ ცნობებთან დაკავშირებით იხ. ასევე: მეტრეველი, დერტავისა და დერთუფას ხელნაწერების ირგვლივ, 260-272; მენაბდე, კერები, II, 146-147; კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 210-211; ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 129

283 ცერაძე, დევთუბანი, 179

284 Blake, Catalogue, 1924/2, N 65, 400. ბლეიკი ხელნაწერს XIII-XV სს-ით ათარიღებს, თუმცა ხსენებული მინაწერის დათარიღება ხელნაწერის ზედა ზღვარს XIV ს-ით შემოფარგლავს

285 თ. ცერაძე, ახალი ცნობა იერუსალიმის დელტავის მონასტერზე ხელნაწერ იერ. 65-ის მიხედვით, 337-343



იერუსალიმი, ქუჩა ძველ ქალაქში (ფოტო დ. ცხადაძის)

იპირთა მონასტარი (ღაჰითის კოჰკთან)

იდენტიფიციცირების საკითხი

წმინდა მინაზე ქართული სამონასტრო ცხოვრების დაწყება V საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწის, თეოლოგისა და ფილოსოფოსის პეტრე იბერის სახელს უკავშირდება (411/417-491 წწ.). ერისკაცობაში ქართველი უფლისწული მურვანოსი (სირიულენოვან ვერსიაში – ნაბარნუგიოსი), მეფე ბუზმარის/ბუზმარიოსის ძე, ბაკურ დიდის შვილიშვილი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის თეოდოს II-ის კარზე აღიზარდა როგორც მძევალი, დაახლოებით 20 წლის ასაკში საიდუმლოდ ტოვებს სასახლეს იოანე (მითრიდატე) ლაზთან ერთად და წმინდა მინისაკენ მიემართება, სადაც ბერად აღიკვეცება და აქტიურ სამონასტრო მოღვაწეობას იწყებს. მოგვიანებით იგი მიაუმის ეპისკოპოსი ხდება.

პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ძირითად წყაროს წარმოადგენს მისი ორი დამოუკიდებელი ბიოგრაფია – სირიული (რომელიც შექმნილია მისი მოწაფის იოანე რუფუსის მიერ V ს-ის ბოლოს თუ VI ს-ის დასაწყისში; ცხოვრება ბერძნულად შეიქმნა, მაგრამ ბერძნული დედანი დაიკარგა და ჩვენამდე მხოლოდ მისმა სირიულმა თარგმანმა მოაღწია)²⁸⁶ და ქართული, რომელიც XIII-XIV სს-ში არის ნათარგმნი სირიულიდან მაკარი ხუცესის მიერ, როგორც ჩანს, ბევრად უფრო ადრეულ წყაროებზე დაყრდნობით. მაკარი ხუცესის თანახმად, ცხოვრების ავტორია ზაქარია ქართველი, „სიყრმიტგან პეტრეს თანა მყოფი“.²⁸⁷

პეტრეს შესახებ გარკვეული ცნობები აგრეთვე შემოგვინახა იოანე რუფუსის მეორე თხზულებამ – „პლეროფორია“/*Plerophoriae* და ასევე ზაქარია რიტორის „ქრონიკამ“ (V-VI სს.).

წყაროების თანახმად, პეტრემ წმინდა მინაზე დააფუძნა რამდენიმე მონასტერი როგორც იერუსალიმში, ისე წმინდა ქალაქის გარეთ, ასევე

286 სირიული ვერსიის პუბლიკაცია და გერმანული თარგმანი: Raabe (ed. and transl.), *Petrus der Iberer. Ein Charakterbild zur Kirchen- und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts: Syrische Übersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie*, Leipzig, 1895. ამ ვერსიის ქართული თარგმანი ეკუთვნის ივანე ლოლაშვილს: ცხოვრება პეტრე იბერისა /ასურული რედაქცია გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებელი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი, 1988. სირიული ვერსიის ინგლისური თარგმანი: Horn C.B. – Phenix R.R., Jr. (ed. and transl.). *John Rufus: The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and the Monk Romanus*, Atlanta GA (English translation), 2008

287 ქართული ცხოვრება ორი რედაქციითაა მოღწეული – ვრცელი, რომელიც დაცულია ერთადერთ ხელნაწერში და მოკლე, რომელიც რამდენიმე ხელნაწერითაა მოღწეული – იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი. აბულაძის რედაქციით, II ტ. თბ. 1967, 213-263 (ორივე რედაქცია).

სასტუმრო სახლი ქართველი და ბერძენი ბერებისთვის. ამ მონასტერთა ნაწილი ჯერ კიდევ არ არის ლოკალიზებული.²⁸⁸

ერთ-ერთი მონასტერი, რომელიც პეტრეს ცხოვრების მიხედვით, წმ. მამას იერუსალიმში დაუფუძნებია, „იბერთა მონასტრის“ სახელით იყო ცნობილი. წმინდა მამის „ცხოვრების“ სირიული ტექსტის თანახმად, მონასტერი მდებარეობდა სიონის მთაზე, დავითის კოშკის სიახლოვეს, მარცხენა მხარეს.²⁸⁹

იბერთა მონასტერთან დაკავშირებით საინტერესოა VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორის, პროკოპი კესარიელის ცნობა – თავის ნაშრომში „ნაგებობათა შესახებ“ პროკოპი აღნიშნავს, რომ იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527-565 წწ.) იერუსალიმში განაახლა „იბერთა მონასტერი“.²⁹⁰

შემდგომი პერიოდის ცნობები იბერთა მონასტრის შესახებ ძალზედ მწირია. აღმოჩენილია რამდენიმე ეპიგრაფიკული წარწერა, რომელშიც იბერთა მონასტერი მოიხსენება (იხ. ქვემოთ).

მეცნიერთა შორის განსხვავებული შეხედულებებია „იბერთა მონასტრის“ იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ვარაუდით, შესაძლებელია, ეს იყოს **წმ. იაკობ სპარსის (დაჭრილის)** ყოფილი ეკლესია, რომელიც დღეს მუსლიმურ სამლოცველოდაა გადაკეთებული და ცნობილია, როგორც ალ-იაკუბია (არაბ. al- Ya'qubiyya).²⁹¹

ამ ვარაუდს მხარს უჭერს რამდენიმე გარემოება, კერძოდ:

- 1) **მდებარეობა** – ალ-იაკუბია მდებარეობს ძველი იერუსალიმის სომხურ უბანში, დავითის კოშკთან; ანგლიკანური ეკლესიის – Christ Church-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით (Maronit Convent st. 4).
- 2) **სპარსი მონაშის წმინდა ნაწილები** – მონასტრის სახელწოდება წმ. იაკობ სპარსის მიხედვით სავარაუდოდ უკავშირდება იაკობ სპარსს, იმ ერთ-ერთ სპარსელ მონაშეს, რომელიც ეწამა სასანიდთა დინასტიის მეფე ბაჰრამ V-ის მმართველობის ხანაში 422 წ. ცნობილია, რომ კონსტანტინოპოლიდან იერუსალიმში გამგზავრებისას ქართველმა უფლისწულმა თან წაიღო სპარსელ მონაშეთა წმინდა ნაწილები.²⁹² ქართულ „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ სპარსელ მონაშეთა წმინდა ნაწილები სპარსეთში მყოფმა ქრისტიანებმა გამოაგზავნეს მეფე

288 ერთ-ერთი იდენტიფიცირებული მონასტერი, რომელიც პეტრეს სახელს უკავშირდება, არის ვ. კორბოს გათხრილი ბირ ელ-კუთის მონასტერი ქართული წარწერებით, რომლებშიც თავად პეტრე (მურვანოსი) და მისი ოჯახის წევრები მოიხსენებიან (იხ. ქვემოთ, სტატია: წმ. თევდორეს მონასტერი ბირ ელ-კუთში)

289 Horn, The career of Peter the Iberian, 66-67

290 Procopius. De aedificiis, 358-359; იხ. ასევე: გეორგიკა, ტ. II, 223

291 Vincent, Abel, Jérusalem, 516-518; Pringle, The Identification, 310-315

292 Horn, The career of Peter the Iberian, 32

ვარაზ-ბაკურთან. მან, თავის მხრივ, ისინი წარუგზავნა პეტრეს, რომელიც დიდი მოწინებით მსახურებდა მათ.²⁹³

808 წელს შედგენილ წმ. მიწის მონასტრების ჩამონათვალში ("Commemoratorium") მითითებულია, რომ წმ. იაკობის მონასტერში ერთი სასულიერო პირი ცხოვრობდა.²⁹⁴

მოგვიანებით, წმ. იაკობ სპარსის ეკლესია მაჰმადიანთა ხელში აღმოჩნდა, თუმცა ამისდა მიუხედავად, შეინარჩუნა სახელდება. სიონის მთის სიახლოვეს შეიხ იაკობის სამლოცველოს (არაბ. zāwiyā) არსებობაზე მიგვითითებს 1394 წლით დათარიღებული ერთი არაბული დოკუმენტი. მუჯირ ად-დინის (XV ს.) თანახმად, დავითის კოშკის სიახლოვეს არსებობდა შეიხ ალ იაკობ სპარსის (არაბ. Shaykh Ya'qūb al-'Ajāmī) სამლოცველო (არაბ. zāwiyā). მუჯირ ად-დინი აზუსტებს, რომ თავის დროზე ეს იყო ბიზანტიელების (არაბ. Rūm) მიერ აგებული ეკლესია.²⁹⁵

აღსანიშნავია, რომ შენობის დასავლეთი ფასადის ქვედა ნაწილები – სამხრეთი და ჩრდილოეთი კუთხე დიდი ზომის რუსტირებული ბლოკებითაა (ბლოკების მიახლოებითი ზომებია 1X 0,5 მ.) ნაგები, რაც აშკარად ადრეულ შუა საუკუნეებზე მიანიშნებს, თუმცა ხუროთმოძღვრული ფორმებითა და კედლის მთავარი მასის წყობის ქვათა კვეთის სპეციფიკური მანერით შენობა ჯვაროსნების პერიოდით (XII ს.) თარიღდება.²⁹⁶

არსებობს მოსაზრება, რომ შეიხ იაკობის სამლოცველო აგებული უნდა იყოს XII საუკუნეში მართლმადიდებელი ბერძნების, ან სირიელი იაკობიტების მიერ, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის გაიგივებას პეტრე იბერის მონასტერთან.²⁹⁷

ეპიგრაფიკული წარწერები

სიონის მთაზე პეტრე იბერის მიერ აგებულ მონასტერსა და სხვა ნაგებობებს სავარაუდოდ უკავშირდება სამუელ ეპისკოპოსის ბერძნულენოვანი ეპიტაფია, რომელიც 1934 წელს იქნა აღმოჩენილი იერუსალიმის ახალგაზრდობის ქრისტიანული საერთაშორისო ასოციაციის კუთვნილ ტერიტორიაზე, ძველი იერუსალიმის დასავლეთით. ეპიტაფია V-VI სს. უნდა იყოს შესრულებული, მასში ვკითხულობთ, რომ საფლავი ეკუთვნის სამუელს, იბერთა ეპისკოპოსს და მის მონასტერს, რომელიც მათ, ანუ ქართველებმა, იყიდეს დავითის კოშკის სიახლოვეს.²⁹⁸

293 ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 2, 220

294 Commemoratorium de Casis Dei vel monasteriis, 25

295 Pringle, The churches, vol. III, N 321, 189-190

296 იქვე, 191

297 იქვე, 192

298 Iliffe, Cemeteries and „Monastery“, 78-79

მეორე ბერძნულენოვანი საფლავის წარწერა, რომელიც დავითის კოშკთან მდებარე მონასტრის ქართულ ქრისტიანულ თემს უკავშირდება, გეთსიმანიის ღვთისმშობლის საფლავის ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იქნა მიკვლეული. წარწერა ბიზანტიური პერიოდისაა და გვამცნობს, რომ საფლავი ეკუთვნის აღდგომის ეკლესიის ორ დიაკონს: აბ... და კერიკოსს, იბერთა საერთო მემკვიდრეებს, დასასრულს კი წერია: „დავითის კოშკის საფლავი“. საფიქრებელია, რომ წარწერაში მოხსენებული დიაკვნები, შესაძლოა, თავის დროზე იყვნენ იბერთა მონასტრის საძმოს წევრები და ამგვარად იქნა გაცხადებული მათი უფლება, დაკრძალულიყვნენ მონასტრის კუთვნილ სამარხში.²⁹⁹

დავითის კოშკთან მდებარე მონასტერთან უნდა იყოს დაკავშირებული სიონის მთის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარე ეკლესიის – ე.წ. პეტრე გალიკანტუს – ტერიტორიაზე ნაპოვნი მაგარი ქვისგან გამოთლილი 12,5 სმ-ის დიამეტრის მქონე დისკო, რომელზეც მოთავსებულია ბიზანტიური ხანის ბერძნული წარწერა: „იბერთა მონასტრის“.³⁰⁰

299 Di Segni, Tsafir, The Ethnic Composition, 438

300 Tchekhanovets, The Caucasian Archaeology of the Holy Land, 199-200



იერუსალიმი, როკფელერის მუზეუმი, სამუელ იბერთა ეპისკოპოსის ბერძნული ეპიტაფია, V-VI სს. (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, ალ იაკუბიას მეჩეთი (ფოტო დ. ცხადაძის)

კაპათა (კაპკათა)

ისტორია და ლოკალიზაცია

კაპათას დედათა მონასტერი ცნობილია მხოლოდ ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით.

ეს სახელი მოხსენიებულია რამდენიმე ქართულ ხელნაწერში (ხელნაწერთა აღწერილობა იხ. ქვემოთ), ამასთან, სხვადასხვა ხელნაწერის ანდერძებში მონასტრის სახელი მცირეოდენი ვარიაციებით არის გადმოცემული: კაპკათი, კაპაპი, კაპაპთა, კაპკათა. ცნობილია აგრეთვე მონასტრის სახელწოდებიდან ნაწარმოები ფორმაც – „კაპაპიერი“ (მაგ. კაპაპიერი ხელნაწერი. იხ. Jer.Geo.88)³⁰¹; „კაპათასაგან“ ნაწარმოებ ფორმას – „კაპპეთი“ ვხვდებით 1759 წელს გადაწერილ ერთ ქართულ ხელნაწერში (H 2262). კაპპეთი აქ ე.წ. ჯვრის გზის³⁰² პირველ პუნქტად არის მოხსენიებული³⁰³ (იოან. 19, 13).

XIV ს. ცნობით, რომელსაც ხელნაწერ Sin. 91-ის გადამწერი, იოანე ანჩელის დისწული, ოქროპირი გვანჯდის, კაპათას მონასტერი აშენებული (ან განახლებული) იყო მთავარანგელოზთა სახელზე დედოფლების – მართასა და ბორენას მიერ. ოქროპირის ამავე ანდერძიდან ირკვევა, რომ მას კაპათას მონასტრისათვის დაუმზადებია 14 სახელწოდების 26 წიგნი.

ბორენა და მართა დედოფლები მეფე ბაგრატ IV-ის ოჯახის წევრები არიან. ბორენა ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მეორე ცოლი იყო. ცნობები მის შესახებ ჩანს XI ს-ის 80-იან წლებამდე. მართა, ბაგრატ IV-ისა და ბორენას ქალიშვილი, 1071 წელს ცოლად შეირთო ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილ დუკამ (1071-1078 წწ.). მისი სიკვდილის შემდეგ მართა მითხოვდა იმპერატორ ნიკიფორე ბოტანიაცს (1078-1081 წწ.). ნიკიფორეს დამხობის შემდეგ მართა ცხოვრობდა თავის სასახლეში მანგანას მონასტერთან, 1088 წელს იგი მონაზვნად აღიკვეცა მარიამის სახელით. 1093 წელს მონაწილეობდა შეთქმულებაში კომნენოსების წინააღმდეგ. ამის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, 1103 წელს მართა ჯერ კიდევ ცოცხალია, როგორც ამას რუის-ურბნისის კრების აქტები მოწმობს.³⁰⁴

კ. კეკელიძის მითითებით, მონასტერი აშენებული (ან განახლებული) უნდა იყოს 1071-1080 წლებში, კერძოდ არა უგვიანეს 1080-იანი წლების

301 ნომერი მითითებულია ა. ცაგარლის კატალოგით. უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ, სექციაში: ხელნაწერები.

302 გზა, რომელიც გაიარა ქრისტემ ჯვრით მხრებზე, პილატეს პრეტორიუმიდან გოლგოთამდე

303 H კოლექცია, V, 190

304 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 205

დასაწყისისა, როდესაც ბორენა უკვე გარდაცვლილი ჩანს და არაუადრეს 1071 წლისა, როცა მართა ბიზანტიის დედოფალი გახდა, საფიქრებელია, ბაგრატის სიკვდილის შემდეგ, რადგან ანდერძში პირველად დასახელებულია არა ბორენა, მართას დედა, არამედ მართა, ალბათ, როგორც ბიზანტიის დედოფალი; ბაგრატი კი კაპათასთან დაკავშირებულ წყაროებში სულ არ ჩანს.

კაპათას მონასტერი და მისი ბიბლიოთეკა სერიოზულად დაზარალდა 1244 წელს, იერუსალიმზე ხვარაზმელ თურქთა თავდასხმის დროს.

კ. კეკელიძე პირველი იყო, ვინც ყურადღება მიაქცია, რომ მონასტრის სახელწოდება უკავშირდება იმ ადგილს, სადაც პილატემ განიკითხა მაცხოვარი – პილატეს სასახლესა და მის წინ მდებარე ქვაფენილს (გაბატა, ლითოსტროტონი): „*იესო ქრისტე მიიყვანეს ტაძრად (pretorion) პილატჷსა*“ (იოან. XVIII:28). „*ხოლო პილატე ... გამოგუარა იესუ გარე და დაჯდა საყდარსა მას ზედა, ადგილსა მას ზედა რომელსა ერქუმის ქვაფენილ (lithostroton), რომელ არს ებრაელებრ კაპათა*“ (იოანე XIX:13).³⁰⁵

ამის საფუძველზე მეცნიერმა დაასკვნა, რომ მონასტერი კაპათა აგებული უნდა ყოფილიყო პილატეს სასახლის, ბერძნულად – პრეტორიონის (პრეტორიუმის) სიახლოვეს და რომ ქართული მონასტრის სახელი არამეული გაბატადან მომდინარეობდა.

პრეტორიუმს IV საუკუნიდან 614 წლამდე პილიგრიმები ტირეპეონის ველზე უთითებდნენ, მოგვიანებით კი – სიონის მთაზე (იხ. სტატია: პრეტორიუმი).³⁰⁶ სიონის მთაზე პრეტორიუმის, ანუ პილატეს სასახლისა და მის ადგილას აგებული წმ სოფიას ახალი ეკლესიის (ნეა სოფია) მდებარეობას პილიგრიმთა ჩანაწერებიც ადასტურებს და ლიტურგიკული წყაროებიც.

დავითის კოშკსა და წმინდა სიონს შორის ქვაფენილის მცირე ეკლესიას, წმინდა სიონთან კი პილატეს მიერ მაცხოვრის განკითხვის ადგილს ახსენებს ეპიფანიუსი, VII საუკუნის მოგზაური.³⁰⁷ VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს კალანკატვაცი წერს: წმინდა სიონი (სიონის ბაზილიკა) იმყოფება მარჯვნივ პილატეს სახლისა, რომელსაც კაპათა ეწოდება.³⁰⁸ გაბატას სიონის მარჯვნივ უთითებს X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს დასხურანცი.³⁰⁹ გერმანელი პილიგრიმი იოანე ვურცბურგელი, რომელმაც წმინდა მიწაზე 1160-იან წლებში იმოგზაურა, წერს, რომ სიონის მთაზე

305 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 203-216

306 მის ადგილას წმ. სოფიას ეკლესია იყო აგებული. ეს ეკლესია სავარაუდოდ 614 წელს, სპარსელების შემოსევის დროს უნდა დაანგრეულიყო, რადგან ამ პერიოდის შემდეგ ეკლესიის შესახებ ცნობები არ შემორჩენილა

307 Wilkinson, Jerusalem pilgrims before the Crusades, 117

308 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 207

309 Wilkinson, Jerusalem pilgrims before the Crusades, 201

მდებარეობდა პილატეს პრეტორიუმში, რომელსაც ლითოსტროტოსი, ანუ ებრაულად გაბატა ეწოდებოდა.³¹⁰

X საუკუნის ბერძნულ ტიპიკონში ნათქვამია: „ლიტანია წმიდა სოფიაში ლითოსტროტონზე“; იერუსალიმის განჩინებაში კი: „მოვიდენ სოფიანმიდას, სადა იგი იყო სახლი პილატუსი“.³¹¹

კ. კეკელიძე აგრეთვე მიიჩნევდა, რომ კაპათა გაიგივებული უნდა იყოს რამდენიმე ქართულ ხელნაწერში დასახელებულ იერუსალიმის სამწიროს, ანუ ახალ დედათა მონასტერთან.³¹² ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება გამოთქვეს გ. ჯაფარიძემ, და თ. ჯოჯუამ (დანვრილებით იხ. სამწიროს მონასტერი).

ხელნაწერები

Jer. Geo. 67. ზატიკი, XII ს.³¹³

ხელნაწერი გადანერილია ნიკოლოზ კატარანისძის მიერ (გადამწერის ანდერძი: „სრულ იქმნეს წმიდანი ესე მარხვანი ჴელითა ნიკოლოზ კატარანისძითა“ (259rv).

გადანერის ადგილი უცნობია, ინახებოდა კაპაათის მონასტერში, რაც ცხადი ხდება ხელნაწერის მომგებლის, გიორგის ანდერძიდან, რომელიც მოგვითხრობს, თუ რა ზარალი მიუყენებიათ მონასტრებისათვის ხვარაზმელებს 1244 წელს იერუსალიმის დარბევის დროს. გიორგიმ კაპათას მონასტრიდან გატაცებული ხელნაწერი გამოისყიდა და ხელახლა შესწირა კაპათისავე მონასტერს: „სახელითა ... მე სულითა სანყალობელი მიწაჲ უღირსი წმიდათა და პატიოსანთა მამათა ჯუარელთა ძმობისაჲ გ(იორგ)ი ღირს მყო მოგებად წმიდათა ამათ მარხვათა დიდსა სიგლახაკესა შინა შემდგომად ტყულობით გამოსვლისა ხუარაზმელთაგან. ესე ყოველთა შემდგომითი-შემდგომად მოგეთხრას მაშინდელნი ყოველთა ქრისტეანეთა ჭირნი და განსაცდელნი, აოჯრებანი მონასტერთა და ეკკლესიათანი, რომელ არსადა დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცელი: იწრუსალიმს შუკათა შინა შთასულმან ვნახენ ესე ორნი წიგნნი ერთი ესე და ერთი სანინასწარმეტყულოჲ სპარსსა კაცსა ჰქონდეს. მისგან თელაველსა სპარსსა კაცსა ეყიდნეს: მატებითა და მატებითა ძლივ ნაუხუჴნ ესე სადღესასწაულოჲ წარილო მე სყიდისა ღონე აღარ მქონდა. ან მოვაჴსენე

310 Wilkinson, Hill, Ryan, Jerusalem Pilgrimage, 256

311 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 207

312 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 203-205. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ლ. მენაბდე (მენაბდე, კერები, II, 146) აგრეთვე იხ.: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 450

313 ა. ცაგარელი ხელნაწერს XI-XII სს-ით ათარილებს. Цагарели, Памятники, 169

მასვე მონასტერსა კაპკათისსა რომლისაჲსა პირ(უე)ლ ყოფილიყო. აქ გინა თუ კაპკათსა შინა, გინა სუჭტსა შინა, ანუ თუ ჯჷარსავე შინა იყენენ, ვინცა მიემთხვენეთ და იმსახურებდეთ...“ (261v).³¹⁴

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№77), რ. ბლეიკს (რ. ბლეიკი, №67).³¹⁵ ა. ცაგარელი აქვეყნებს ხელნაწერზე არსებულ ვლასი ურბნელისა და ბარნაბა ტფილელის 1570 წლით დათარიღებულ ანდერძსაც, რომელიც ამჟამად დაკარგულია.³¹⁶

ხელნაწერში დაცული ცნობები შესწავლილი აქვთ კ. კეკელიძესა და ე. მეტრეველს.³¹⁷

ამჟამად ხელნაწერი ინახება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

A 143. ასკეტიკური კრებული, XII ს.

კრებული შეიცავს იოანე ოქროპირის „ასკეტიკონის“ თეოფილე ხუცესმონაზვნისეულ თარგმანსა და პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანს. გადამწერის ვინაობა და გადანერის ადგილი ცნობილი არაა.

ხელნაწერის გადამწერის ხელით შესრულებული ერთ-ერთი მინაწერიდან ირკვევა, რომ ეს ნუსხა ინახებოდა კაპათას მონასტერში: „დედოფლისა მართაჲს მონასტრისაჲ კაპკათისი. კრული არს, ვინცა გამოაჭყუას“ (362-363 ff).

XVII-XVIII სს-ის მხედრულით შესრულებული მინაწერიდან კი ირკვევა, რომ ამ დროისათვის ხელნაწერი უკვე ჯვრის მონასტრის საკუთრება ყოფილა: „ესე წიგნი ჯვარის მონასტრისა არის, ღმერთი არის მონამე სიტყვსა ჩემისა. ვინც გამოსწიროს, ისიმც რისხვას და ერთი მისი ათნა(!“ (375f).

ხელნაწერის აღწერილობა შესულია A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I₂ ტომში.³¹⁸

ამჟამად დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

314 ანდერძი გამოქვეყნებული აქვთ ა. ცაგარელსა და რ. ბლეიკს: Цагарели, Памятники, 168-169, Blake, Catalogue, 1924/2, 401

315 Цагарели, Памятники, 168-169; Blake, Catalogue, 1924/2, 401

316 Цагарели, Памятники, 169

317 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 203-204; მეტრეველი, ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნი, 198-221

318 A კოლექცია, I₂, 178-184. მინაწერების ტექსტი გამოქვეყნებულია აქვე, 182-183 (მინაწ. 1 და 15).

Jer. Geo. 68. თენი, XII-XIII სს.

ხელნაწერი შეიცავს სექტემბრის და ოქტომბრის თვის მასალას. ხელნაწერი გადაწერილია კაპათას მონასტერში კვირიკე მოძღვრისა და მისი მონაფე მარკოზის მიერ (283r).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№57), რ. ბლეიკს (რ. ბლეიკი, №68).³¹⁹

ამჟამად ხელნაწერი ინახება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

№88 ა. ცაგარლის კატალოგით. პარაკლიტონი, გიორგი ათონელის რედაქციისა, XII-XIV სს.

ხელნაწერი აღწერილი აქვს ა. ცაგარელს (№88). რ. ბლეიკის კატალოგში ამ ხელნაწერის აღწერილობა შესული არ არის.

ა. ცაგარლის კატალოგის მიხედვით, ეს არის ეტრატზე ნაწერი ხელნაწერი, რომელიც 348 ფურცელს შეიცავს. ბოლოში დართული აქვს საყურადღებო მინაწერი ხელნაწერის დაცულობის ადგილის შესახებ, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ხელნაწერი კაპათას მონასტერს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ ჯვრის მონასტრისთვის შეუწირავთ (ანდერძის ტექსტი ა. ცაგარელთან სრულად არ არის მოყვანილი, მხოლოდ სიტყვები: „კაპაპიერი იყო ესე წიგნი“). ხელნაწერს აგრეთვე აქვს 1856 წლის ბესარიონ გოგინაშვილის მინაწერი „იმერელი ბერი ბესარიონ გოგინაშვილი“.³²⁰

H 2338. XIII ს. თენი (გიორგი მთაწმინდელის რედაქცია).

ხელნაწერი ინახებოდა კაპათას მონასტერში, რასაც მოწმობს მინაწერი: „დედოფლისა მართაჲსა მონასტრისა კაპკათისაჲ. კრულ არს, ვინცა გამოაჭუას“ (279v-280r).

როგორც ჩანს, შემდგომში ხელნაწერი ჯვრის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა, საიდანაც 1820 წელს ჩამოიტანა გიორგი ავალიშვილმა და გადასცა სანკტ-პეტერბურგის სააზიო მუზეუმს, ხოლო 1923 წელს ხელნაწერი გადაეცა საქართველოს.

ხელნაწერი აღწერილია სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა მიერ (H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის ტ. V)³²¹ და დათარიღებულია XVI საუკუნით. ხელნაწერის აღწერილობა შესულია ასევე გამოცემაში:

319 Цагарели, Памятники, 166; Blake, Catalogue, 1924/2, 401-402. ა. ცაგარლის აღწერილობა მხოლოდ ხელნაწერის რაობას და თარიღს უთითებს, იგი ხელნაწერს XIV-XVI სს-ით ათარიღებს. იხ. ასევე: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 138

320 Цагарели, Памятники, 170 (№88). იხ. აგრეთვე: კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 204

321 H კოლექცია, V, 233

უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები.³²² ხელნაწერი და მასში დაცული ცნობები შესწავლილი აქვთ კ. კეკელიძეს,³²³ ლ. მენაბდეს.³²⁴

ამჟამად დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

Sin. Geo. O. 91. ჰაგიოგრაფიული კრებული. სხვადასხვა დათარიღებით XIII-XIV სს.

ხელნაწერი შეიცავს სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, იანვრის თვეების 29 საკითხავს, მეტწილად მეტაფრასული რედაქციისას.

ხელნაწერი აღწერილია ა. ცაგარლის (№49) და ნ. მარის (№91) მიერ, ასევე ჟ. გარიტის მიერ.³²⁵

ა. ცაგარელი ხელნაწერს XIV-XVI სს-ებით ათარიღებს, ნ. მარი და ჟ. გარიტი – XIV ს-ით. ხელნაწერის აღწერილობა აგრეთვე წარმოდგენილია წიგნში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, სადაც ხელნაწერი XIII საუკუნის I მესამედით არის დათარიღებული.³²⁶

გადამწერი – იოვანე ანჩელის დისწული ოქროპირი; გადამწერის მიერ შეწერილია იერუსალიმის კაპათას მონასტრისადმი (იხ. გადამწერის ანდერძი, 323 r-v). ოქროპირი გვამცნობს, რომ თავისი ხელნაწერის გადამწერის დროს ერთდროულად ოთხი-ხუთი ხელნაწერით სარგებლობდა, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა, ამასთან, ხშირად მას ხელი არ მიუწვდებოდა დედანზეც: „...ოთხისა თუ ხუთისა დედისაგან ვსწერდი, ნათხოვისა სხვისა და სხვისა მონასტრისაგან და ჯამსა თვისსა ვერ ვიპოვნი დედა.“

ანდერძში ნახსენები არიან ასევე ქართველი დედოფლები: მართა და ბორენა, კაპათის მონასტრის აღმშენებლები: „მე ცოდვილსა და-მიჩხრეკიან ამის სანატრელთა დედოფალთა მართა და ბორენას აღშენებულისა და სამლოცველოჲსა მონასტრისა კაპკათაჲსა, სახელსა ზედა წმიდათა მთავარანგელოზთაჲსათჳს, სალოცავად ამის მონასტრისა აღმშენებელთა დედოფალთათჳს“ (323 r-v).

ამავე კოლოფონიდან ირკვევა, რომ ოქროპირს კაპათის სავანისთვის დაუმზადებია 14 სახელწოდების 26 წიგნი (ანდერძი გამოქვეყნებული აქვთ ა. ცაგარელს, ნ. მარს). იხ. ასევე მინაწერი: „დედოფლისა მართაჲს მონასტრისა კაპკათისაჲ. კრული არს ვინცა გამოაწუას“ (318r).

ხელნაწერს ახლავს მრავალრიცხოვანი მინაწერები.

ამჟამად დაცულია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში.

322 უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები, 54

323 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 203

324 მენაბდე, კერები, II, 146

325 Цагарели, Памятники, 216 (№49), Март, Описанте грузинских рукописей синайского монастыря, 255-264; Garitte, Catalogue, 263-282

326 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 87, იხ. ასევე: მენაბდე, კერები, II, 146; Garitte, Les feuillets géorgiens, 239-259

Jer. Geo. 21. ეგზეგეტიკური და ჰომილეტიკური საკითხავების კრებული, XIII-XVI სს.

კრებული შეიცავს იოანე ოქროპირის მათეს თავის სახარების თარგმანების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის მე-2 ნაწილს, იოვანე ქართველის ანდერძს და რამდენიმე ჰომილეტიკურ საკითხავს.

გადამწერისა და გადაწერის ადგილის შესახებ ცნობები არ არის. ხელნაწერის თარიღის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია – რ. ბლეიკი და ნ. მარი ხელნაწერს XIV-XV სს-ით ათარიღებენ, ა. ცაგარელი – XIV-XVI სს-ით, ხოლო კ. კეკელიძე – 1292-1310 წლებამდე.³²⁷

ხელნაწერი წარმოადგენდა იერუსალიმის კაპათას მონასტრის საკუთრებას (1r; 7v-8r), ამ მონასტრის დარბევის შემდეგ გატაცებულ იქნა მონასტრიდან; გატაცებული ხელნაწერი შეისყიდა და ისევ კაპათის მონასტერს შესწირა ანტონიმ: „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა და ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲთა, ესე წიგნი, თარგმანი სახარებისაჲ, კაპაპ-თური, წარტყუწნილი სპარსთაგან, მე ანტონი, ფრიად ცოდვილმან, ვიწსენ ჩემითა საფასოთა და შევსწირე მუნვე კაპაპათას“ (332r).

შემდგომში ხელნაწერი ინახებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წიგნსაცავში (1r; 2v; 5v, 332v). როგორც მეორე მინაწერიდან ირკვევა, აქედანაც გაუტაციათ ხელნაწერი, ხოლო ბერ ილარიონ ოპიზარს იგი ჯვრის მონასტრისთვის დაუბრუნებია: „ესე წიგნი ჯუარისაჲ მეფეთ მეფისა დავითის ცოდვათა შესანდობელად მე, მისმან მოძღუარმან ოპიზარმან ბერმან ილარიონ დავიწსენი სპარსთაგან მას ჟამსა, ოდეს ჯუარის მონასტერი სპარსთა დაეჭირა“ (332v).

ხელნაწერი შეიცავს მრავალრიცხოვან მინაწერებს, რომლებშიც მოიხსენიებიან შემდეგი პირები: დედოფალი მართა (7v-8r); მონაზონი მართა ყოფილი მაკრინა (ყდის შიდა მხარეს დანებებულ ფურცელზე); ბენა ჩოლოყაშვილი, ჯვრის მონასტრის წინამძღვარი (5v); სერაპიონ კუმურდოელი, კუმურდოს ეპისკოპოსი (4r); მეფეთ-მეფე დავით (5v); ილარიონ ოპიზარი, მეფეთ-მეფე დავითის მოძღვარი (5v); ბენა ჩოლოყაშვილი, მეფის სახლთუხუცესი (2v; 5v); ანტონი, ფრიად ცოდვილი (1r); სვიმონიშვილი საბა (2v); ციციშვილი მერაბ (2v); მეფეთ-მეფე ალექსანდრე (2v); ციციშვილი მროველ ყოფილი შიო (2v).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№135), ნ. ჩუბინაშვილს (№6), ნ. მარს (№13) რ. ბლეიკს (№21).³²⁸ ხელნაწერში დაცულ ცნობებს

327 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 204-205

328 Цагарели, Памятники, 180-181; მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, 34-36; Цагарели, Сведения, 48-49; Blake, Catalogue, 1922-1923, 397-398.

განიხილავს კ. კეკელიძე,³²⁹ ე. მეტრეველი.³³⁰ ბლეიკის მიხედვით, Jer. Geo.21 ხელნაწერის ორივე ნაწილი ორი დამოუკიდებელი ხელნაწერის სახით ინახება ამავე კოლექციაში, ესენია: ხელნაწერები: Jer.Geo.28 და Jer. Geo.29.³³¹

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

329 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 204-205

330 მეტრეველი, ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნი, 204

331 Blake, Catalogue, 1922-1923, 408

სამწირო, ახალი დედათა მონასტერი

ისტორია

სამწიროს დედათა მონასტრის ხსენება გვხვდება სამ ქართულ ხელნაწერში, ესენია: XII ს-ის ოთხთავი (Jer.Geo.153), XVI-XVII ს-ის ხელნაწერი – იოანე სინელის „კლემაქსი“ (Jer.Geo.27) და 1167 წელს გადაწერილი პარაკლიტონი (Jer.Geo.63).

Jer. Geo. 153-ის მინაწერში (101r)³³², რომელიც იოსებ ნალკელს ეკუთვნის, გადმოცემულია ამ ხელნაწერთან დაკავშირებული საინტერესო ამბავი, საიდანაც ირკვევა, რომ სამწირო იერუსალიმში მდებარე მცირე დედათა მონასტერი იყო. მინაწერის თანახმად, ხელნაწერი მისმა მფლობელებმა, პავლემ და ბასილიმ მიჰყიდეს მიქაელ ხუცესს და ღირებულების ნახევარი აიღეს იმ პირობით, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, ხელნაწერი ოპიზის მონასტერს გადაეცემოდა „წ(მიდა)ჲ ესე [ოთხთ]ა[ვ]ი | ნახევარ ფასად მ(ი)ც(ე)მ(უ)ლ იყო [მ(ი)ქ(ა)ე]ლ ხუცისადა პ(ა)ვლეს და ბ(ა)ს(ი)ლის მ[(ი)ქ]რ [---], | რ(ა)თა შ(ემდგომა)დ ს(ი)კ(უ)დ(ი)ლისა ოპიზასა დაუტ[ე]კ[ოს].“ მიქაელი წმინდა მინაზე პილიგრიმოზისას გარდაიცვალა, რის შემდეგაც ხსენებული მინაწერის ავტორმა, იოსებ ნალკელმა, ოპიზის მონასტერს სთხოვა ნებართვა, რომ ოთხთავი წმინდა მინაზე დარჩენილიყო და იგი სამწიროს დედათა ქართული მონასტრისათვის შეენიერთ: *მიუწერე წ(მიდა)სა მ(ო)ნ(ა)სტ(ე)რსა ოპიზას, ვითარმედ, ენებოს თუ და ბრძ(ა)ნონ, არა ნაიღონ წ(მიდ)ით ქ(ალა)ქით, ა(რამე)დ ერთსა უმცი(რ)ესსა მ(ო)ნ(ა)სტ(ე)რსა უბოძონ, ს(ა)ხელითცა სამწიროსა.*³³³

სამწიროს მონასტრისთვის იყო ასევე შეწირული XVI-XVII სს-ში გადაწერილი იოანე სინელის „კლემაქსი“ (Jer.Geo.27). ხელნაწერს ახლავს მონაზონ ანას ანდერძი, რომელმაც ხელახლა შეამოსინა ხელნაწერი: „სამწიროს შეწირულია ესე წიგნი და ვინცა გამოაჭუას, წმიდათა მოციქულთა კანონსამცა ქუცშე არს სული მისი“ (348v). ანდერძის მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ XVI-XVII სს-ში მონასტერი ჯერ კიდევ არსებობდა.

1167 წ. გადაწერილი პარაკლიტონის (Jer.Geo.63) ანდერძიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ხელნაწერი მისმა მომგებელმა შესწირა იერუსალიმის

332 მინაწერი აქამდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. იგი 2021 წელს გამოაქვეყნა თ. ჯოჯუამ. იხ. ჯოჯუა, იერუსალიმის სამწიროს დედათა ქართული მონასტრისათვის შეწირული ოთხთავი. ამავე სტატიის თ. ჯოჯუა ასაბუთებს, რომ ხელნაწერი Jer. Geo.153 იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში არ გადაუწერიათ, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული

333 მინაწერის ტექსტს ვიმონებთ თ. ჯოჯუას პუბლიკაციის მიხედვით

ახალ დედათა მონასტერს, რომელიც ადრე იმ ადგილას მდებარე სამწიროს, ანუ პილიგრიმთა სასტუმრო სახლის მასალით იყო აშენებული „... და შევსწირენ იერუსალმს პატიოსანსა დედათა მონასტერსა ახალსა, რომელი იცვალნეს პიტალთაგან ძუჭლისა სამწიროჲსა მიერ...“ (161v).

თ. ჯოჯუას ვარაუდით, პარაკლიტონში ნახსენები ახალი დედათა მონასტერი სწორედ Jer.Geo.27-ისა და Jer.Geo.153-ის იოსებ ნალკელის მინაწერში ნახსენები სამწიროს დედათა მონასტერი უნდა იყოს. მისი აზრით, მონასტრის სახელწოდება „სამწირო“ იმ ძველი, დანგრეული სასტუმრო სახლის სახელწოდებიდან არის წარმომდგარი, რომლის ქვებით და რომლის ადგილასაც ის ააშენეს.

თ. ჯოჯუა ვარაუდობს, რომ სამწიროს მონასტერი 1167 წლის პარაკლიტონის (Jer.Geo.63) გადანერის წინარე ახლოხანებში უნდა იყოს აგებული, რადგან ხელნაწერის გადამწერი თავის ანდერძში მას „ახალ“ ანუ ახლად დაარსებულ მონასტრად მოიხსენიებს და „მტკიცე და უქცეველ“ ყოფას უსურვებს. შესაბამისად, თ. ჯოჯუა გამორიცხავს კ. კეკელიძის მიერ გამოთქმულ ვარაუდს სამწიროს მონასტრისა და კაპათას მონასტრის იგივეობის შესახებ,³³⁴ რადგანაც კაპათა, კ. კეკელიძის ვარაუდით, 1071-1080 წლებს შორის უნდა ყოფილიყო აგებული (უფრო ვრცლად იხ. სტატია: კაპათა).³³⁵

ამ მხრივ საგულისხმოა წმ. საფლავის მგალობლის – ანსელუსის ცნობა, რომელიც, შესაძლოა, სწორედ ხსენებულ ახალ დედათა მონასტერს უკავშირდებოდეს. კერძოდ, ანსელუსის მიერ პარიზში გაგზავნილი ეპისტოლეებიდან³³⁶ ირკვევა, რომ მან პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს გაუგზავნა ქრისტეს ვნების ჯვრის ნაწილი, რომელიც ქართველთა მეფის დავითის (დავით IV-ის) ნაქონი იყო და მის პირველ მეუღლეს ჩამოეტანა იერუსალიმში მონაზვნად აღკვეცის შემდეგ. ამ წერილის თანახმად, საქართველოს დედოფალყოფილმა მრავალი საბოძვარი დაურიგა წმინდა ქალაქის მონასტრებს და შემდეგ იერუსალიმის ლათინი პატრიარქის, გიბელინის (1108/9-1112) ხელდასხმით, დააარსა ქართველ დედათა მონასტერი, ხოლო იერუსალიმში 1116-1119 წლებში დამდგარი შიმშილობის გამო იძულებული გამხდარა მონასტრის საჭიროებებისათვის გაეყიდა

334 კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, 203-216

335 გოჩა ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ Jer.Geo.63-ის ანდერძში დასახელებული მონასტერი, რომელსაც სახელად „ახალი“ (არაბულად – დაარ აღ-ჯადიდ) ეწოდებოდა, უნდა იყოს ის სავანე, რომელიც 1189 წელს ეგვიპტის სულტანმა სალაჰ ად-დინმა იერუსალიმის პატრიარქთა უბანში მდებარე სხვა ნაგებობებთან ერთად სუფიების ახლადშექმნილ ხანაკას გადასცა (ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 96-98). თუ გ. ჯაფარიძის ვარაუდი სარწმუნოა, მონასტერი მოგვიანებით კვლავ ქართველთა ხელში უნდა გადასულიყო, რადგანაც Jer.Geo.27-ში დაცული ანდერძის თანახმად, სამწიროს მონასტერი XVI-XVII სს-ში ჯერ კიდევ არსებობდა

336 Richard, Quelques textes sur les premiers temps de l'église latine de Jérusalem, 729-32

წმინდა ჯვრის ნაწილი, რომელიც ანსელუსმა შეიძინა და 1120 წელს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში გააგზავნა.³³⁷ არ არის გამორიცხული, რომ მონაზვნად აღკვეცილი ქართველთა დედოფლის მიერ 1109-1112 წლებში³³⁸ დაარსებული დედათა მონასტერი სწორედ ზემოხსენებულ ახალ დედათა მონასტერს, სამწიროს გულისხმობდეს.³³⁹

ხელნაწერები

Jer. Geo. 63. პარაკლიტონი, 1167 წ.

გადაწერის ადგილი მითითებული არ არის. გადაწერილია ონოფრეს, კვირიკესა და მარკოზის მიერ (ონოფრეს გადაწერილია პარაკლიტონის I წიგნი, ხოლო კვირიკეს და მარკოზის მიერ – პარაკლიტონის II წიგნი): „ღირს ვიქმენ მე, ყოვლად უღირსი ონოფრე, მოგებად წმიდათა ამათ პარაკლიტონთა რვათავე წმთა სრულთა ორ წიგნად. პირველი თვთველითა ჩემითა დავწერე და მეორე სანატრელთა მამათა კვირიკეს მიერ, პატიოსნისა მღუდელისა და მარკოზ ცონცორიკაჲს ასულისა წულისა კელითა...ოდეს დაიწერა, ქორონიკონი იყო ტაზ...“ (161r).

გადაწერის, ონოფრეს ანდერძიდან ცხადი ხდება, რომ მან ხელნაწერი შესწირა ახალ დედათა მონასტერს: „ღირს ვიქმენ მე, ყოვლად უღირსი ონოფრე, მოგებად წმიდათა ამათ პარაკლიტონთა რვათავე წმთა სრულთა ორ წიგნად... და შევსწირენ იერუსალჴმს პატიოსანსა დედთა მონასტერსა ახალსა, რომელი იცვალნეს პიტალთაგან ძუჭლისა სამწიროჲსა მიერ...“ (161v).

როგორც ჩანს, ხელნაწერი შემდგომში გადაუტანიათ ჯვარში. ა. ცაგარლის მითითებით, ხელნაწერი ვილაცას შქონია გატანილი ჯვრის მონასტრიდან, მაგრამ მერე მონასტრისთვის დაუბრუნებია ვინმე გიორგის³⁴⁰ (იხ. მინაწერი ბოლოს: „ესე პარაკლიტონი თურქთაგან წაღებული კა...ა მამამან გ...ი კ...დ დაიწსნა კ...დ ადგილსა ვ... მაქცია. შ...ნ ო...ნ.“ (161 v).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№86) და რ. ბლეიკს (№63).³⁴¹ ამჟამად დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

337 წურწუმია, ყივჩაღთა საკითხისათვის, 172-179. იხ ასევე: ავალიშვილი ზ., ერთი ჯვრის გარშემო, 5-26, Avalishvili, The Cross from overseas, 3-11, Pringle, The churches, vol. III, 97-98

338 ქრონოლოგიის მითითებისას ვეყრდნობით მ. წურწუმიას, 179

339 განსხვავებულ ვარაუდს გამოთქვამს გრ. ფერაძე ქართველთა დედოფლის მიერ დაარსებული დედათა მონასტრის თაობაზე და მას ანას სახლს უკავშირებს (იხ. Peradze, Account, 213-214; 221)

340 Цагарели, Памятники, 170

341 Цагарели, Памятники, 170; Blake, Catalogue, 1924/2, 398

Jer. Geo. 153. ოთხთავი, XII ს.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№12 – იგი ხელნაწერს XI ს-ით ათარიღებს),³⁴² რ. ბლეიკს.³⁴³ მოკლე აღწერილობა წარმოდგენილია წიგნში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.³⁴⁴ ხელნაწერი და მისი მინაწერები შესწავლილი აქვს თ. ჯოჯუას.³⁴⁵

უკანასკნელ ხანებამდე მიჩნეული იყო, რომ ხელნაწერის გადაწერის ადგილი იერუსალიმის აღდგომის ეკლესია იყო. ეს მოსაზრება გამოთქმული აქვს რ. ბლეიკს ხელნაწერის 46v-ზე მოთავსებული იოვანეს მინაწერის საფუძველზე, რომელიც ბლეიკმა გადამწერის ანდერძად მიიჩნია.

თ. ჯოჯუა 2021 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში³⁴⁶ ასაბუთებს, რომ აღნიშნული მინაწერი უფრო მოგვიანო პერიოდს – XIV-XV საუკუნეებს მიეკუთვნება და ის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარ იოვანეს სავედრებელი მინაწერი უნდა იყოს და არა გადამწერის ანდერძი. შესაბამისად, ხელნაწერის გადამწერის ვინაობა და გადაწერის ადგილი უცნობია.

101r-ზე ხელნაწერის ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით შესრულებულია ვრცელი მინაწერი, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით XII საუკუნით თარიღდება.³⁴⁷ მინაწერის ავტორია იოსებ წალკელი (სავარაუდოდ, წალკის ყოფილი ეპისკოპოსი), რომელსაც იმხანად წმიდა მინის ერთ-ერთი ქართული მონასტრის მოურავის ანუ იკონომოსის თანამდებობა ეკავა „მე, უნდოჲ და ფ(რია)დ ც(ო)დვ(ი)ლ/ი წალკელი, მ(ა)ს ჟ(ამს)ა მოურავად ვიყ(ა)ვ“.³⁴⁸ მინაწერი მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავს (იხ. ზემოთ, მონასტრის ისტორია).

ხელნაწერი ამჟამად დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 27. იოანე სინელის „კლემაქსის“ ეფთვიმე ათონელისეული რედაქცია და „სწავლანი“, XVI-XVII სს.

გადამწერი და გადაწერის ადგილი უცნობია. შემოსილია მონაზონ ანას დაკვეთით და შეწირულია სამწიროსთვის: „სამწიროს შეწირულია

342 Цагарели, Памятники, 155

343 Blake, Catalogue, 1925-1926, 150-151

344 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 116

345 ჯოჯუა, იერუსალიმის სამწიროს დედათა ქართული მონასტრისათვის შეწირული ოთხთავი

346 ჯოჯუა, იერუსალიმის სამწიროს დედათა ქართული მონასტრისათვის შეწირული ოთხთავი

347 მინაწერი პირველად გამოაქვეყნა და შეისწავლა თ. ჯოჯუამ 2021 წელს: ჯოჯუა, იერუსალიმის სამწიროს დედათა ქართული მონასტრისათვის შეწირული ოთხთავი

348 თ. ჯოჯუა ვარაუდობს, რომ იოსებ წალკელი შესაძლოა ჯვრის მონასტრის მოურავი ყოფილიყო.

ესე წიგნი და ვინცა გამოაჭუას, წმიდათა მოციქულთა კანონსამცა ქუცშე არს სული მისი, ამინ. სახელითა ღმრთისაჲთა ესე წიგნი და მარხვანი მე, ვანის დედამან ბერმან ანნა შევაკაზმიენ და შევმოსე ახლად დია დაფუშვილი. ჩემისა სულისათჳს და შენდობასა ჰყოფდეთ. მკითხველნო, წმიდანო მამანო, ანნას და მისთა მშობელთა და გამზრდელთა შეუნდენ ღმერთმან“ (348r). შემმოსველი – მწერალი ნიკოლოზი: „სულსა ამა წიგნისა შემკაზმავისა და შემმოსელისა მწერლისა ნიკოლოზისა და მისთა მშობელთასა შუნ ღუნ“ (348v).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№136 ან №137), ნ. მარს (№23), რ. ბლეიკს (№27).³⁴⁹

ამჟამად ხელნაწერი ინახება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

349 Цагарели, Памятники, 181; მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, 51-52; Blake, Catalogue, 1922-1923, 4-7-408. აქ მოყვანილი ორივე მინაწერი გამოქვეყნებული აქვთ ბლეიკს და მარს




იერუსალიმი, ანტონიუსის კოშკი, 1900-1920 (LC-DIG-matpc-00881)



**ქართულ ქრისტიანულ თემთან
დაკავშირებული ეკლესია-მონასტრები**

**ქველი ქალაქის გალავნის გარეთ
და იერუსალიმის შემოგარენში**



იერუსალიმი, წმ. სტეფანეს კარიბჭე, 1898-1914 (LC-DIG-matpc-06678)

ნმ. თევდორეს მონასტერი ბირ ელ-კუთში

მდებარეობა

ბირ ელ-კუთის³⁵⁰ არქეოლოგიური კომპლექსი – ადრეული შუასაუკუნეების მონასტრის ნანგრევები, ქ. ბეთლემის ჩრდილოეთით ერთი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

ისტორია

ბირ ელ-კუთის არქეოლოგიური გათხრები იტალიელი მეცნიერის – ფრანცისკელი ბერის ვირჯილიო კორბოს ხელმძღვანელობით 1952-1953 წლებში წარმოებდა. კვლევის შედეგად გამოვლინდა მცირე სამონასტრო კომპლექსი და ოთხი მოზაიკური ქართული ასომთავრული წარწერა, რომელთაგან ერთი იმდენად დაზიანებულია, რომ მხოლოდ ორი ასოს გარჩევაა შესაძლებელი. სამი მეტ-ნაკლებად შემონახული წარწერიდან ორი V საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება და ცნობილია როგორც ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუში, ხოლო მესამე – VI საუკუნით (წარწერების შესახებ დანვრილებით იხ. ქვემოთ).³⁵¹

ეპიგრაფიკული წარწერების, გათხრების შედეგად აღმოჩენილი კერამიკის დათარიღებისა და სხვა არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, მონასტრის ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოები V-VII საუკუნეებით განისაზღვრა. ვირჯილიო კორბო არაბთა მარბიელი ლამქრის მიერ სამონასტრო კომპლექსის განადგურებას VII საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებს.³⁵²

განსხვავებული შეხედულება აქვს კორნელი კეკელიძეს, რომელიც მიიჩნევს, რომ მონასტერი 614 წელს, სპარსელთა შემოსევის დროს დაინგრა, თუმცა ის მალევე აღადგინეს, რაზეც მიუთითებს იქ აღმოჩენილი ეპიგრაფიკული წარწერები. მკვლევრის აზრით, მონასტერი საბოლოოდ XI საუკუნის დასაწყისში, ხალიფა ალ-ჰაქიმის მმართველობის დროს განადგურდა, გაიზიარა რა წმინდა მინაზე სხვა ეკლესია-მონასტრების ბედი.³⁵³

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრის თანახმად, ბირ ელ-კუთში აღმოჩენილი მონასტერი ნმ. თეოდორეს სახელზე უნდა

350 კომპლექსის აღსანიშნავად ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება სხვა სახელწოდებებიც: ბირ ელ-ყუთი და ბირ ელ-კათი (არაბ. بئر القوت)

351 წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 12, 14, 17, 19

352 Corbo, Gli scavi di Khirbet Siyar al-Gbanam, 113-139

353 კეკელიძე, უძველესი ქართული მონასტერი იერუსალიმის მახლობლად, 73

ყოფილიყო აგებული. ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა მონასტრის ერთ-ერთი წარწერა: „შენწენითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორესითა...“. წმინდანი მოხსენიებულია მონასტერში აღმოჩენილ მეორე წარწერის ფრაგმენტშიც: „წმიდაო თეოდორე მარუან და ბურზნ...“ კორნელი კეკელიძის აზრით, ამ ფრაზაში კონკრეტულად თეოდორეს დასახელება წმინდანთა უამრავი რიცხვიდან სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მონასტერი მის სახელს ატარებდა. მკვლევრისავე დაკვირვებით, საუბარია თეოდორე ტირონზე, რომელიც IV საუკუნის დასაწყისში ეწამა და რომლის კულტიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთში, მათ შორის იერუსალიმშიც.³⁵⁴

ბირ ელ-კუთის წარწერებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციის საფუძველზე დადგინდა, რომ მონასტრის აგება პეტრე იბერის სახელს უნდა უკავშირდებოდეს. კერძოდ, V საუკუნით დათარიღებულ ორ წარწერაში მოიხსენიებიან პეტრე იბერის – ერისკაცობაში ქართველი უფლისწულის, მურვანოსის ოჯახის წევრები ბაკურ (პეტრეს ბაბუა) და გრი-ორმიზდ (პირველ წარწერაში), ხოლო მეორეში – მარუან (თავად პეტრე) და ბურზენ (პეტრეს მამა).³⁵⁵ ცნობილია, რომ პეტრე იბერმა იოანე ლაზთან ერთად არაერთი მონასტერი ააგო და დააარსა წმინდა მიწაზე, სავარაუდოდ, ერთ-ერთი მათგანია ბირ ელ-კუთში მდებარე კომპლექსი. ვირჯილიო კორბო ვარაუდობდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო პეტრეს მიერ დაარსებული ლაზთა მონასტერი, რომელსაც პროკოპი კესარიელი ახსენებს იუსტინიანე იმპერატორის მიერ VI საუკუნეში განახლებულ მონასტერთა შორის.³⁵⁶

მესამე მოზაიკური წარწერა შედარებით მოგვიანო პერიოდისაა – თარიღდება VI საუკუნით და მოიხსენიებს მოზაიკის მომსხმელ იოსიას და მონასტრის წინამძღვარ ანტონი აბაჟს, რომელმაც განაახლა და მოზაიკით შეამკო ტაძარი.

წარწერაში ნახსენები ანტონი აბაჟ წმ. მამა ანტონი უნდა იყოს, რომელიც მოიხსენება წმ. სვიმეონ მესვეტე-უმცროსის დედის, მართას „ცხოვრებაში“ როგორც მღვდელი, ხუცესი და ამბა (იგივე აბბა).³⁵⁷ „მართას ცხოვრების“ თანახმად, აბბა ანტონი 552 წელს იერუსალიმიდან ანტიოქიის საკვირველ მთაზე ასულა და სვიმეონ მესვეტისთვის გადაუცია ოქროს სანანილე ჯვარი ჯვარპატიოსნის ნაწილით. მოგვიანებით, 553

354 კეკელიძე, უძველესი ქართული მონასტერი იერუსალიმის მახლობლად, 73

355 წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 23-24. ი. ჩეხანოვეცის აზრით, ბირ ელ-კუთის მონასტრის ნაგებობა და ყველა წარწერა VI საუკუნისაა, რის საფუძველზეც იგი გამორიცხავს მონასტრის კავშირს პეტრე იბერთან (იხ. Tschekhanovets, The Caucasian Archeology of the Holy Land, 148-149)

356 Corbo, Gli scavi di Khirbet Siyar al-Gbanam, 130

357 თარხნიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართული მონასტერი ბეთლემში, 14

ნელს, სვიმეონ მესვეტემ აბბა ანტონი სელევკიის ეპისკოპოსად აკურთხა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი წერეთელი აბბა ანტონის წარწერას ათარილებს არა უგვიანეს 552 წლისა, როდესაც ნმ. ანტონმა მოინახულა ნმ. სვიმეონ მესვეტე.³⁵⁸

ეპიგრაფიკული წარწერები³⁵⁹

როგორც აღინიშნა, ბირ ელ-კუთის კომპლექსი უაღრესად მნიშვნელოვან კერას წარმოადგენს აქ აღმოჩენილი მოზაიკური წარწერების გამო. სამონასტრო კომპლექსის იატაკის მოზაიკაზე გამოვლინდა ოთხი ქართული ასომთავრული წარწერა, კერძოდ:

ბაკურისა და გრი-ორმიზდის მოზაიკური წარწერა, V ს.

ორ კვადრატულ ჩარჩოში შავი კენჭებით შედგენილი რვასტრიქონიანი ასომთავრული მოზაიკური წარწერა მდებარეობდა მონასტრის შიდა ეზოს გალერეის დასავლეთ ნაწილში. წარწერა ფრაგმენტულია, იგი ამოღებულია იატაკიდან და გადატანილია იერუსალიმის Studium Biblicum Franciscanum-ის მუზეუმში.

წარწერის ყოველი სტრიქონი მუქი კენჭებით შედგენილი ზოლითაა გამოყოფილი.

*და ძუძ|ეულნი მ|ათნი ბა|კურ და|
|გრი ორმ|იზდ და ნ|აშობნ[ი]| მათნი ქ(რისტ)ე| [შეინყალენ. ამენ]*

მარუანის და ბურზენის მოზაიკური წარწერა, V ს.

ოთხსტრიქონიანი ძლიერ ფრაგმენტირებული მოზაიკური წარწერა ეკლესიის ეზოში დღეს აღარ არსებობს, სავარაუდოდ, გათხრების შემდგომ მისი კონსერვაცია ვერ მოხერხდა, წარწერა ადგილზე დარჩა, რამაც მისი განადგურება გამოიწვია. წარწერას ევლებოდა მუქი კენჭებისგან გაკეთებული მოჩარჩოება, ე.წ. tabula ansata ერთი მხრიდან შემორჩენილი „სახელურით“. წარწერის ყოველი სტრიქონი ასევე შავი კენჭებით შექმნილი ხაზით იყო გამოყვანილი.

წმიდაო თეოდორ|ე მარუან და [ბო|რზენ ენ ამი]

ქ

358 წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 17. თუმცა აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს კ. კეკელიძე, მისი ვარაუდით, მონასტრის განახლება და მოზაიკით შემკობა 614-620 წლებში უნდა მომხდარიყო (იხ. კეკელიძე, უძველესი ქართული მონასტერი იერუსალიმის მახლობლად, 72-80)

359 ვრცლად ბირ ელ-კუთის მონასტრის ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ იხ. დანართი

ანტონი აბბას და იოსიას მოზაიკური წარწერა, VI ს.

მოზაიკის კენჭებით შედგენილი ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა გამოსახული იყო მონასტრის სატრაპეზოს იატაკის აღმოსავლეთ მონაკვეთზე. წარწერა მუქი ფერის კენჭებით შედგენილი ორი ხაზით იყო მოჩარჩოებული და „სახელურებიც“ გააჩნდა ე.წ. tabula ansata; დღეს წარწერა ამოჭრილია იატაკიდან და დაცულია იერუსალიმის Studium Biblicum Franciscanum-ის მუზეუმში.

შენევნითა ქ(რისტ)ჴ(ს)ითა და მ/ეობებითა წმიდისა თე(ოდორე)ასითა / შ(ეინყალე)ნ ანტონი აბაჲ და იოსია მო/მსხმელი ამის სეფისაჲ და მა/მა დედაჲ იოსიაჲსი ამენ

დაზიანებული ფრაგმენტული წარწერა

შიდა ეზოს გალერეის აღმოსავლეთით აღმოაჩინეს კიდევ ერთი მოზაიკური წარწერა. ტექსტი ფრაგმენტულია და მხოლოდ ორი ასოს გარჩევაა შესაძლებელი:

[--]
ზ ---
ი ----

არქიტექტურა

ნანგრევებად ქცეული სამონასტრო კომპლექსი სწორკუთხა ეზოს გარშემო განლაგებული ნაგებობებისგან შედგებოდა, მონასტრის პერიმეტრი ასევე სწორკუთხა გეგმარების იყო, შენობები ერთმანეთთან მიჯრით ისე იყო განლაგებული, რომ გარე სივრცისკენ მიქცეული მათი კედლები ერთიან სათავდაცვო ზღუდეს წარმოადგენდა. ამ კომპლექსის ჩრდილოეთი ნაწილი დარბაზულ ეკლესიას ეკავა, ნაგებობის გეგმა საძირკვლის დონეზე იკითხება. კედლები ნაწილობრივ დასავლეთითაა შემორჩენილი.

მოზაიკით მოპირკეთებულ ეზოს სვეტები და მათზე დამყარებული გადახურვა შემოუყვებოდა; ეზოს ქვეშ თაღოვანი ვრცელი წყალსატევი იყო მოწყობილი, რომლიდანაც წყლის ამოღება ეზოში არსებული ორი ჭიდან იყო შესაძლებელი. ეზოს დასავლეთიდან სატრაპეზო ემიჯნებოდა.

მონასტრის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი სენაკებისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი სამეურნეო დანიშნულების სათავსებს ეკავათ – აქ აღმოჩენილია კლდეში ნაკვეთი საწინახელი, ზეთსახდელი, მარცვლეულის შესანახი ორმოები, ბოსელი და სხვ.

მონასტერში შესასვლელი ორი კარი აღმოსავლეთით იყო გაჭრილი, მის ორსავე მხარეს კი კარის მცველის ოთახები იყო.

მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი კლდეში ნაკვეთ აკლდამებს

ეთმობოდა, სამაროვნის ჩრდილოეთი ნაწილი ეკლესიის საკურთხევლის აფსიდის ქვეშ იყო განთავსებული; ნეკროპოლის დასავლეთით ეკლესიასთან მიჯრით საპანაშვიდო ოთახი იყო, რომლიდანაც უშუალოდ ეკლესიაში იყო შესაძლებელი შესვლა.

ბირ ელ-კუთის ეკლესია წმ. მიწის მცირე სამონასტრო ეკლესიების სტანდარტულ ვარიანტს წარმოადგენდა, ეს იყო წაგრძელებული დარბაზული შენობა, რომელსაც აღმოსავლეთიდან ნახევარწრიული აფსიდა ეკვროდა (აფსიდა ნეკროპოლის ქერის ჩანგრევის გამო განადგურდა), შენობა, სავარაუდოდ, ძელურად უნდა ყოფილიყო გადახურული, მისი იატაკი მოზაიკით იქნებოდა შემკული.



იერუსალიმი, წმ. თევდორეს მონასტერი ბირ ელ-კუთში, ანტონი აბბას მოზაიკური წარწერა, V-VI სს., ტერა სანქტას მუზეუმი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. თევდორეს მონასტრის ნაშთი ბირ-ელ კუთში (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. ნიკოლოზის მონასტარი (ჯვრის მონასტრის მეტოქი)

ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ჯვრის მონასტრის მახლობლად პაატა წულუკიძესა და ქაიხოსროს წმ. ნიკოლოზის მონასტერი აღუშენებიათ, რომელიც ჯვრის მონასტრის მეტოქე იყო. ტიმოთე არ აკონკრეტებს, თუ როდის აიგო მონასტერი,³⁶⁰ თუმცა ცნობილია, რომ პაატა წულუკიძე იმერეთის მეფე გიორგი III-ის (1604-1639 წწ.) თანამედროვე იყო. ცნობილია ისიც, რომ პაატა წულუკიძე მატერიალურად არაერთხელ დახმარებია იერუსალიმის ჯვრის მონასტერს.³⁶¹ სავარაუდოდ, სწორედ ამ პირზე საუბრობს ტიმოთე გაბაშვილი.

აღსანიშნავია, რომ ჯვრის მონასტრის მეტოქის წმ. ნიკოლოზის მონასტრის შესახებ ცნობებს ვხვდებით უფრო ადრეულ წყაროებშიც, კერძოდ: პილიგრიმი ვასილი (1465-1466 წლები) ახსენებს წმ. ნიკოლოზის ქართულ მონასტერს, სადაც ინახებოდა წმ. ბარბარეს მკლავი.³⁶² თუმცა, XV საუკუნის სხვა პილიგრიმების, მაგალითად, სებალტ რაიტერის, ფელიქს ფაბრისა და ჰანს ფონ ციმბერის ცნობით, წმ. ბარბარეს მკლავი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ინახებოდა.³⁶³

წმ. ნიკოლოზის მონასტერი, როგორც ჯვრის მონასტრის მეტოქე, მოხსენიებული აქვს ასევე ტრიფონ კორობეინიკოვს 1584 წლის ცნობაში³⁶⁴ და დიაკონ იონას 1651 წელს.³⁶⁵

შესაბამისად, ტიმოთე გაბაშვილის მიერ დამოწმებულ ცნობაში პაატა წულუკიძის მიერ მონასტრის აღდგენა და არა აშენება უნდა იგულისხმებოდეს.

ალექსანდრე ცაგარელს 1883 წელს წმინდა მიწაზე მოგზაურობისას ამ ადგილას მხოლოდ ნანგრევები დახვდა.³⁶⁶

მასალის სიმწირის გამო ვერ დგინდება, თუ როდის შეწყვიტა მონასტერმა არსებობა და რა გახდა ამის მიზეზი. უცნობია ისიც, თუ როდის დაარსდა მონასტერი და მისი ზუსტი ადგილმდებარეობა.

360 გაბაშვილი, მიმოსლვა, 81

361 ქსე, ტ. 11, 349

362 Peradze, Account, 192

363 იქვე, 192-194

364 იქვე, 200, სქოლიო 6

365 იქვე, 203

366 Цагарели, Памятники, 123



იერუსალიმი, ჯვრის ველი, ხედი წმ. ჯვრის მონასტრიდან (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, ჯვრის ველი (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. სამოელის მონასტერი

მდებარეობა

სამოელ წინასწარმეტყველის მონასტერი მდებარეობდა იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით 7,5 კმ-ში, ნაბი სამვილის (არაბ. წინასწარმეტყველი სამოელის) კლდეზე. ერთ-ერთი ტრადიციით, აღნიშნული ადგილი მიჩნეული იყო რამას კლდედ, სადაც დაკრძალეს სამოელ წინასწარმეტყველი (პირველი მეფეთა, 25:1). დღეს ამ ადგილას მეჩეთი დგას.

ისტორია

წმ. სამოელის მონასტერი ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ სავანეს წარმოადგენდა წმინდა მიწაზე; პირველი მონასტერი რამას კლდეზე ჯერ კიდევ V საუკუნეში უნდა აეგოთ. პროკოპი კესარიელის ცნობით, 553-554 წლებში, იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით, მონასტერს გალავანი შემოარტყეს. ამავე პერიოდში აქ ჭაც ამოუთხრიათ.³⁶⁷

მუსლიმთა ბატონობის ადრეულ პერიოდში მონასტრის არსებობაზე მიუთითებს აქ აღმოჩენილი ომაიანთა პერიოდის (661-750 წლები) კერამიკული ჭურჭელი არაბული წარწერით „დაჰრ სამუელ“ – სამოელის მონასტერი.³⁶⁸

წმ. სამოელის მონასტერი არაა მოხსენიებული „Commemoratius“-ში (808 წ.).

სამეცნიერო წრეებში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, IX–XI საუკუნეებს შორის პერიოდში მონასტერი დაინგრა და მიტოვებულ იქნა.³⁶⁹ თუმცა ამ საკითხზე მნიშვნელოვან ცნობებს გვანჯდის ქართული წერილობითი წყაროები. მოღწეულია XI საუკუნის ორი ქართული ხელნაწერი, რომლებიც იმ პერიოდში წმ. სამოელის მონასტერში ქართველთა ყოფნას ადასტურებს, ესენია სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი E16, რომელშიც გადანერის ადგილად წმ. სამოელის მონასტერია ნახსენები და იმავე საუკუნის მეორე ხელნაწერი Jer.Geo.149 (ჰაგიოგრაფიული კრებული), რომელიც იერუსალიმის სამოელის მონასტრისათვის შეუწირავთ. აქედან ცხადი ხდება, რომ XI საუკუნეში ჯერ კიდევ არსებობდა წმ. სამოელის ბიზანტიური მონასტერი.

367 Procopius, De aedificiis, 9, 15. XX საუკუნის ბოლოს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ბიზანტიური პერიოდის მონასტრის ღვინის სანური, კერამიკის ფრაგმენტები, იატაკის მოზაიკის დეტალები და ა.შ. (იხ. Magen, Kagan, Corpus of Christian Sites, 289-291)

368 Magen, Kagan, Corpus of Christian Sites, 291

369 Pringle, The churches, vol. II, 86; Digital Corpus, En-Nebi Samwil

ამ მხრივ საგულისხმოა X საუკუნის არაბი გეოგრაფის ალ-მუკადდასის ცნობა, რომელიც იხსენიებს „დაარ სამუელს“.³⁷⁰ ქართული წყაროების გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ არაბი გეოგრაფი გულისხმობს სამოელის მონასტერს და არა ამავე სახელწოდების დასახლებას, როგორც ეს წმ. მიწის მკვლევართა შორისაა მიჩნეული.

ბიზანტიური მონასტრის ადგილას ახალი სავანის დაარსება იერუსალიმის მეფის ბოლდუინ II-ის (1118-1131 წწ.) სახელს უკავშირდება, რომელმაც მონასტრის ასაგებად დიდძალი შესანიერი გაილო. ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის დროს ქრისტიან მეომრებს წმინდა ქალაქი პირველად სწორედ აქედან უხილავთ, რის გამოც რამას მთისთვის სიხარულის მთა (Mons Gaudii) უწოდებიათ. 1157 წელს სიხარულის მთაზე უკვე არსებობდა პრემონსტრელთა ორდენის (Ordo Praemonstratensis) მონასტერი.

1187 წელს, იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, სიხარულის მთა სალაჰ ად-დინმა აიღო და ლათინთა ეკლესიის გვერდით მეჩეთი ააგო.³⁷¹ 1219 წელს ეკლესია დანგრეულ იქნა აიუბი სულტნის – ალ-მუაზამის მიერ. მონასტრის ნაშთებზე XVII საუკუნეში მეჩეთი აშენდა. იერუსალიმისათვის ბრძოლისას 1917 წელს მეჩეთი ძლიერ დაზიანდა, თუმცა ბრიტანეთის მანდატის დროს სალოცავი აღადგინეს.³⁷²

ხელნაწერები

სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი E16. იოანე ოქროპირის „მარგალიტი“ და სხვა თხზულებები, XI ს.

ხელნაწერი შეიცავს ეფთვიმე ათონელის თარგმანებს. გადანერილია დანიელის მიერ (47r, 176v, 168r, 243r, 330r), იოსებ შავის ხელშეწყობითა და მონაწილეობით (79r, 176v, 192r, 329r, 330r).

გადანერის ადგილი პალესტინის წმ. სამოელის მონასტერი, შეწირულია პალესტინის წმ. სამოელის მონასტრისთვის: „...ღირს-მყო ღმერთმან გლახაკი ესე და ფრიად ცოდვილი და ყოველთა მონესეთა უნარჩევეჴსი და არა მსგავსად ცოდვათა ჩემთა შეწყალებული დანიელ, და დავწერე წმიდაჲ ესე წიგნი უცხოებასა და მწირობით სიგლახაკესა შინა ჩემსა პალესტინისსა, სანახებთა წმიდისა ადგომისათა, მონასტერსა წმიდისა სამოელ წ წყლისსა, სალოცველად და მოსაჴსენებელად სულისა ჩემისა, ...და შევწირე წ(მიდა)სა წ წყლსა სამოელს მამობასა იოვანე უჴამურისასა. ... დაიწხრიკა ჴელითა იოსებ შავისა. ილ~ცეთ. ა~წ“ (329r-330r).

მოგვიანებით ხელნაწერი ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა, საიდანაც 1820 წელს სანკტ-პეტერბურგში ჩაიტანა გიორგი ავალიშვილმა.

370 Le Strange, Palestine under the Moslems, 433

371 Pringle, The churches, vol. II, 86; Цагарели, Памятники, 124-125

372 Murphy-O'Connor, The Holy Land, 419

ხელნაწერი აღწერილი აქვთ მ. ბროსეს (№6),³⁷³ ა. ცაგარელს (№147),³⁷⁴ თ. ცერაძესა და ლ. ხოფერიას (№64).³⁷⁵

ხელნაწერში დაცულია სამი არაბული მინაწერი, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდიან იერუსალიმის იაკობის მონასტრის შესახებ. არაბული მინაწერები შესწავლილი აქვს ა. ფრანცუზოვს.³⁷⁶

ამჟამად ხელნაწერი დაცულია სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში.

Jer. Geo. 149. ჰაგიოგრაფიული კრებული, XI ს.

შეიცავს კიმენური რედაქციის ცხოვრებებს.

გადამწერი: ანტონი, მომგებელი: ლახტარა. გადანერის ადგილი არ არის მითითებული. ხელნაწერი შეწერილია იერუსალიმის სამოელის მონასტრისთვის: „...ღირს-ვიქმენ მე, გლახაკი ანტონი ლახტარა მოგებად წმიდასა ამას წიგნსა წმიდათა მონაშეთასა ...და დავედვ წმიდასა საყდარსა სამოელისსა...“ (147r-148v).³⁷⁷

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№107),³⁷⁸ რ. ბლეიკს.³⁷⁹

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

373 Brosset, Notice des manuscrits géorgiennes, 631-632

374 Цагарели, Памятники, 191-192. ა. ცაგარლის თანახმად, გადამწერ დანიელს აღნიშნული ხელნაწერი გადაუწერია იოსებ შავის კურთხევით (სიტყვასიტყვით: ლოცვით). ამ დასკვნის საფუძველს წარმოადგენდა დანიელის ანდერძი, რომელსაც ა. ცაგარელი კითხულობდა შემდეგნაირად: „დაიწხრიკა იოსებ შავისა ლოცვითა“ (იხ. დასახელებული გამოცემა, 192). ანდერძზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ტექსტი იკითხება სხვაგვარად: „დაიწხრიკა ჴელითა იოსებ შავისა“, რაც ადასტურებს, რომ იოსები უშუალო მონაწილეობას იღებდა (როგორც რედაქტორი?) ხელნაწერის გადანერაში.

375 ცერაძე, ხოფერია, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 671- 685. აქვე არის გამოქვეყნებული ზემოთ მოცანილი გადამწერის ანდერძის სრული ტექსტი, 684-685

376 Frantsouzoff, Arabic notes in a Georgian manuscript, 147-155

377 ანდერძის ეს ფრაგმენტი გამოქვეყნებული აქვს ა. ცაგარელსა და რ. ბლეიკს

378 Цагарели, Памятники, 174

379 Blake, Catalogue, 1925-1926, 145-146



სამოელ წინასწარმეტყველის მეჩეთი იერუსალიმთან (ფოტო დ. ცხადაძის)



სამოელ წინასწარმეტყველის მონასტრის ნაშთები (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. სვიმეონ მართლის მონასტერი ახალ იერუსალიმში (კატამონი)

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. სვიმეონ მართლის მონასტერი (იგივე კატამონი/კატამუნი) მდებარეობს ახალი იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჯვრის მონასტრის სიახლოვეს და ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

მონასტერი ორი სახელითაა ცნობილი – წმ. სვიმეონ მართლისა და კატამონის.

წმ. სვიმეონ მართალი, რომლის სახელზეც არის აგებული ეკლესია, ახალი აღთქმიდან არის ცნობილი. ლუკას სახარების თანახმად, სწორედ მან მიიჩქვა (ხელში აიყვანა) უფლის ტაძარში ჩვილი იესო (ლუკა, 2:25-35). ქრისტიანული ეკლესია ყოველწლიურად ზეიმით იხსენებს მირქმის დღესასწაულს.

რაც შეეხება მეორე სახელწოდებას, სიტყვა „კატამონი“ ბერძნულიდან არის წარმომდგარი (ბერძნ. κατὰ μόνη) და ნიშნავს „მონასტერთან ახლოს“, „მონასტერთან“. მონასტერში, რომლის სიახლოვესაც კატამონი მდებარეობდა, უნდა იგულისხმებოდეს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერი: ჯერ ერთი, ეს ორი მონასტერი ტერიტორიულად მართლაც საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან; მეორეც, კატამონის მონასტრის ტერიტორია თავის დროზე ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა.

ეკლესიის მთავარი სიწმინდეა აკლდამა, რომელიც წმ. სვიმეონ მართლის სამარხად მიიჩნევა. საფლავის ადგილი უკვე IV ს-ში იყო ლოკალიზებული. მოგვიანებით, XIV ს-ში ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომლის თანახმადაც, მონასტრის ტერიტორიაზე იყო წმ. სვიმეონის სახლიც. XVII ს-ში აქ ყველას უჩვენებდნენ წმ. სვიმეონ მართლის ნასახლარსა და კოშკს. კოშკი წარმოადგენდა ოთხსართულიან ნაგებობას, სადაც იყო 10 ოთახი და წყლის შესაგროვებელი ცისტერნა.³⁸⁰

ადგილი, სადაც ამჟამად კატამონის ბერძნული ეკლესია-მონასტერი დგას, 1859 წელს შეიძინა ბერძნულმა საპატრიარქომ. 1870 წ. აქ აშენდა იერუსალიმის პატრიარქის საზაფხულო რეზიდენცია. 1881 წელს სვიმეონის სახლის ნანგრევები ეკლესიის შიგნით მოაქციეს.³⁸¹

380 Pringle, The churches, vol. II, 166-167

381 იქვე, 167

ქართველები კატამონის მონასტერში

ქართველი ბერები კატამონში უკვე X საუკუნიდან ჩანან. ცნობილია მიქაელ კათამონელი (=კატამონელი), რომელიც კატამონიდან, როგორც ჩანს, სინას მთაზე გადასულა და იქ ზრუნავდა ხელნაწერთა განახლებაზე. იგი მოიხსენიება ხანმეტ ლექციონარზე დართულ იოვანე-ზოსიმეს 983 წლის ანდერძში, რომელშიც საუბარია ხელნაწერის ახალ ყდაში ჩასმის (შემოსვის) თაობაზე (უფრო დანვრილებით იხილეთ ქვემოთ, სექცია: ხელნაწერები).

XII ს-ში კატამონში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ვენახები იყო გაშენებული, სადაც მონასტრისათვის მოჰყავდათ ღვინო, კერძოდ, როგორც 1169 წლის არაბული საბუთიდან ირკვევა, ჯვრის მონასტრის წინამძღვარმა, სახელად მახარებელმა, ქრისტიანი არაბისგან მონასტრისათვის შეიძინა ვენახიანი მთა, რომელსაც სახელად ალ-კატამუნი ერქვა.³⁸²

1200-1308 წწ-ის ბერძნული საპატრიარქოს ოფიციალური ანგარიშებიდან, სადაც ჩამოთვლილია პალესტინის ქართველ ბერთა მფლობელობაში არსებული სავანეები, დასახელებულია წმ. სვიმეონის მონასტერიც კატამონში.³⁸³

ქართველები კატამონის მონასტერს XV საუკუნეშიც ფლობდნენ, რაც დასტურდება როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური წყაროებით, კერძოდ: სულტან ალ-მუ'აიად საიფ ად-დინ შაიხის 1414 წლის ბრძანებულების თანახმად, რომელიც იმონმებს უფრო ადრინდელ, 1386-1387 წლის ბრძანებულებას, კატამონის მონასტერი ქართველთა კუთვნილებას წარმოადგენდა.³⁸⁴

ფრანჩესკო სურიანოს ცნობით, სვიმეონ წინასწარმეტყველის ეკლესია ეკუთვნოდათ ქართველებს, რომლებმაც მის ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე მიატოვეს იგი.³⁸⁵ აღნიშნული ცნობა დამატებულია სურიანოს ტრაქტატის მოგვიანო, 1524 წლის გამოცემაში, რომლის გამომცემელი ბინდონი (Bindoni, Alessandro) შენიშნავს, რომ ჯვრის მონასტრის ქართველი ბერები გარკვეულ ხანს მართავდნენ წმ. სვიმეონის ეკლესიას, მაგრამ მიატოვეს იმის გამო, რომ ბედუინებმა მოკლეს 19 მათგანი და გაძარცვეს მონასტერი.³⁸⁶ ბინდონის მიერ აღწერილი მოვლენები შესაძლოა მომხდარიყო 1515 წლის შემდეგ, როდესაც პალესტინაში ოსმალთა მმართველობის დამყარებასთან ერთად ზოგადად გაუარესდა ქართველთა მდგომარეობა.³⁸⁷

382 Müller, Pahlitzsch, Sultan Baybars I and the Georgians, 260-261, სქოლიო 7

383 Peradze, Account, 230

384 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 104

385 Peradze, Account, 227, სქოლიო 7

386 სურიანოს ტრაქტატი წმ. მინის შესახებ პირველად 1515 წელს გამოიცა. Suriano, Terra Santa, 132.

387 Abu-Manneh, The Georgians in Jerusalem, 102-112

არქიტექტურა

წმ. სვიმეონის ეკლესია-მონასტერი და მისი დიდი ეზო ქვის გალავნითაა შემოსაზღვრული. აქვე დგას ეკლესიის მაღალი სამრეკლოც.

წმ. სვიმეონის ეკლესიაში შევდივართ სამხრეთ კედელში გაჭრილი კარიდან. ესაა გუმბათით დასრულებული მოგრძო დარბაზი, რომლის აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდს იკონოსტასი ფარავს. დარბაზს ჩრდილოეთიდან მოკლე და ვიწრო ნავი აქვს მიდგმული, რომელიც ასევე საკურთხევლის აფსიდითა და იკონოსტასით ბოლოვდება. იკონოსტასის წინ, იატაკში ბალდახინით (სალ-ხინებლით) დაბურული სვიმეონ მართლის აკლდამაა გამართული.

ეპიგრაფიკული წარწერები³⁸⁸

1859 წ. კატამონის რესტავრაციის დროს აღმოჩენილ იქნა ქართულ-წარწერიანი ქვა, რომელიც საკურთხეველში, ტრაპეზის მარცხნივ იატაკში იყო ჩადგმული. ალექსანდრე ცაგარელმა წარწერის მხოლოდ ცალკეული ასოების გარჩევა შეძლო.³⁸⁹

გრიგოლ ფერაძე, რომელმაც 1936 წელს იმოგზაურა წმ. მიწაზე, გადმოგვცემს, რომ მონასტრის წინამძღვარმა მას სამი ქართულწარწერიანი ქვა უჩვენა, რომელსაც სამსხვერპლოს მაგიდის ქვეშ ინახავდა: ერთი დიდი და ორი მომცრო. წარწერები კარგად იკითხებოდა. ფერაძის აზრით, ისინი საფლავის ქვის ნაწილები უნდა ყოფილიყო, რადგან წინათ იმ ადგილას სასაფლაო იყო.³⁹⁰

დღეისთვის შემორჩენილია მხოლოდ ერთი ფრაგმენტი, რომელიც ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში ძევს. მასზე ამოკვეთილი სამსტრიქონიანი წარწერა შესრულებულია ასომთავრული ასოებით:

„...თ ცხ[ოვე]ლსმე[ო]ფ[ე]ლისა ჯ[უარი]თა ... [დიდე]ბ[უ]ლმ[ან] ქ[უ]თათ[ელ]მ[ან] ქ[რ]?... {ღ}თსა. ჩ[უენ]ისა დი...“³⁹¹

გიორგი გაგოშიძის აზრით, აღნიშნული წარწერა XII-XIII სს-ით თარიღდება. მასში ნახსენები „დიდებული ქუთათელი“ შესაძლებელია ქუთაისის ეპისკოპოსი იყოს, რომელიც შეენია კატამონის მონასტერს, რაც წარწერაშიც სათანადოდ უნდა ასახულიყო. მკვლევრისავე დაკვირვებით, თუ „ქუთათელი“ ნამდვილად ეპისკოპოსს აღნიშნავს, კატამონის წარწერა ქუთაისის საეპისკოპოსოს არსებობის ერთ-ერთ ადრეულ დოკუმენტურ დადასტურებად უნდა ჩაითვალოს.³⁹²

388 ვრცლად კატამონის მონასტრის ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ იხ. დანართი

389 Цагарели, Памятники, 123-124; Peradze, Account, 227, სქოლიო 7

390 ფერაძე, იერიქონის ვარდები, 87

391 გიორგი გაგოშიძის წაკითხვა

392 გაგოშიძე გ., წმინდა მიწის ქართული წარწერები, 41-42; Gagoshidze G., Georgian Inscriptions in the Holy Land, 87

ხელნაწერები

ჩვენთვის არ არის ცნობილი კატამონის მონასტერში გადაწერილი, განახლებული, ან საგანგებოდ ამ მონასტრისთვის შეკვეთილი ხელნაწერები, თუმცა მოღწეულია ერთი ადრეული ხელნაწერი, რომლის ანდერძშიც მიქაელ კათამონელი (=კატამონელი) მოიხსენიება. ეს არის კარგად ცნობილი ხანმეტი ლექციონარი, რომელიც 983 წელს სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ხელახლა შეუმოსავს (ყდაში ჩაუსვამს) იოვანე-ზოსიმეს, მიქაელ კათამონელის დავალებით, რაც ხელნაწერის ბოლოს შემონახულ იოვანე-ზოსიმეს ანდერძიდან ხდება ცხადი:

„კკრიელეისონ. სახელითა ღმრთისაათა შეიმოსა მესამედ წმიდაჲ ესე წიგნი სინა წმიდას ჴელითა იოვანე ფრიად ცოდვილისათა. ბრძანებითა და მოლუანებითა მიქაელ პატოსნისა მღვდლისა კათამონელისაათა. დღეთა ოდენ უგუნურად და ბოროტად მოხუცებულობისა ჩუენისათა სალოცველად ჩუენდა, დასაბამითგანთა წელთა ქართულად ხფპზ-სა და ქორონიკონი იყო ქართულად სგ...“

ხელნაწერი პირველად უნახავს ა. ცაგარელს 1883 წლის თებერვალში და მანვე გამოაქვეყნა ანდერძი არასრული სახით და გარკვეული უზუსტობებით.³⁹³ ცაგარელმა ხელნაწერი შეცდომით იოანეს სახარებად მიიჩნია და IX-X სს-ით დაათარიღა. შემდგომში დაზუსტდა, რომ ხელნაწერი წარმოადგენს ლექციონარის უძველეს ქართულ თარგმანს – VII ს-ის ხანმეტ ლექციონარს.³⁹⁴

ეს ხელნაწერი სინაზე აღარ დახვედრია ნ. მარს და ი. ჯავახიშვილს 1902 წელს – იგი სინას მთიდან საუკუნის მიწურულს გაუტანიათ და წაუღიათ ევროპაში.

ამჟამად ხელნაწერის ნაწილები სამ სხვადასხვა წიგნსაცავშია დაცული – ძირითადი ნაწილი (27 ფურცელი) გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (Graz. Geo. 2058/1), პირველი ფურცელი – პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (Geo. 30),³⁹⁵ ხოლო ფურცელი, რომელზეც

393 Цагарели, Памятники, №9, 199-200

394 ხელნაწერი გამოკვლეული და ტექსტი გამოქვეყნებული აქვს ა. შანიძეს (გრაცში დაცული ძირითადი ნაწილი): შანიძე, ა., ხანმეტი ლექციონარი; იხ. ასევე: შანიძე ა., ქართული ხელნაწერები გრაცში, 313-353. ტექსტი თარიღდება პალეოგრაფიული და ენობრივი ნორმების მიხედვით.

395 ამ ფრაგმენტის იდენტიფიცირება შეძლო ფრანგმა ქართველოლოგმა ბერნარ უტიემ: Outtier., Un feuillet du lectionnaire hanmeti, 399-402. ასევე: უტიე, ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში, 173-175.

აღნიშნული ნომრით პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის საცავში გატანილია ხუთი ფურცლისგან შემდგარი ორი სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტი (რომლებიც ერთადაა აკინძული), მათგან პირველი ფურცელი წარმოადგენს სწორედ ხანმეტი ლექციონარის ფრაგმენტს, ხოლო მეორე ფრაგმენტი, სირიულ-ქართული პალიმფსესტი, იოვანე-ზოსიმეს გადაწერილი იადგარის ნაწილია.

იოვანე-ზოსიმეს ანდერძია მოთავსებული – ბირმინგემის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მინგანას კოლექციაში (Mingana.Geo.7).³⁹⁶

ა. ცაგარელი, როგორც აღინიშნა, შეცდომით ათარილებდა ხელნაწერს IX-X საუკუნეებით და შესაბამისად, ვარაუდობდა, რომ თავად მიქაელ კატამონელმა წაიღო ხელნაწერი პალესტინიდან, სადაც იგი გადაიწერა, სინას მთაზე.³⁹⁷

აკაკი შანიძე, რომელმაც ხელნაწერის რაობა და თარიღი დააზუსტა, ასევე ვარაუდობდა, რომ ხანმეტი ლექციონარი სინაზე პალესტინიდან უნდა მიეტანათ, როგორც ბევრი სხვა ხელნაწერი.³⁹⁸ შანიძის ვარაუდით, მიქაელ კატამონელი მეტად განათლებული კაცი უნდა ყოფილიყო, რადგან კარგად ესმოდა უკვე ხმარებიდან გამოსული ხანმეტი ხელნაწერის ისტორიული მნიშვნელობა და მისი შემოსვა ბრძანა, რათა გადაეჩინა ის და მომავლისთვის შეენახა.³⁹⁹

შემდგომში გამოითქვა მოსაზრება, რომ იოვანე-ზოსიმეს ანდერძს, რომელიც სხვა ზომის პალიმფსესტურ ფურცელზეა დანერილი, არ აქვს კავშირი ხანმეტ ლექციონართან, ის სხვა ხელნაწერზე დართული ანდერძი უნდა ყოფილიყო და ცაგარელმა შეცდომით აღიქვა ხანმეტი ლექციონარის ნაწილად.⁴⁰⁰

როგორც არ უნდა იყოს, ამ ანდერძიდან ცხადი ხდება, რომ სინაზე X ს-ის ბოლოს მოღვაწეობდა კატამონიდან წამოსული ქართველი ბერი მიქაელ კატამონელი, რომელიც ხელნაწერთა განახლებაზე ზრუნავდა.

396 ეს ანდერძი შეისწავლა და სრული სახით გამოაქვეყნა ჟ. გარიტმა: Garitte, Les feuillets géorgiens, 239-259

397 Цагарели, Памятники, 199-200

398 შანიძე ა., ხანმეტი ლექციონარი, 019-020

399 იქვე, 017

400 იმნაიშვილი ვ., კიდევ ერთხელ ხანმეტი ლექციონარის შესახებ, 16-17. იხ. ასევე: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 56-57. აღსანიშნავია, რომ ა. შანიძის ვარაუდით, აღნიშნული ფურცელი იოვანე-ზოსიმემ დაუროთ ხელნაწერს შემოსვისას. შანიძე, ა., ხანმეტი ლექციონარი, 017



იერუსალიმი, სვიმეონ მართლის მონასტერი (კატამონი) (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, სვიმეონ მართლის მონასტერი (კატამონი),
ასომთავერული წარწერის ფრაგმენტი, XII-XIII სს. (ფოტო დ. ცხადაძის)

უმ ლეიზუნის მონასტერი იერუსალიმის მახლობლად

მდებარეობა

არქეოლოგიური კომპლექსი – ადრებიზანტიური ხანის პატარა ბაზილიკისა და მონასტრის ნანგრევები – მდებარეობს იერუსალიმიდან სამხრეთ-დასავლეთით, ძველი იერუსალიმის იაფოს კარიბჭიდან 4,5 კმ. მანძილზე, არაბულ სოფელ უმ ლეიზუნში (khirbet Umm Leisun).

ისტორია

ისრაელის სიძველეთა დაცვის სამსახურის თაოსნობით, 1996 წლიდან არაბულ სოფელ უმ ლეიზუნში წარმოებულ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეულ იქნა ადრებიზანტიური ხანის პატარა ბაზილიკა მოზაიკის იატაკით და სამონასტრო კომპლექსი – სენაკები. აქვე აღმოჩენილ იქნა საკმაოდ დიდი ზომის რეზერვუარიც. გათხრები რამდენიმე ეტაპად წარიმართა. 2002 წელს სამლოცველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით რამდენიმე მეტრის მანძილზე მიკვლეულ იქნა მიწისქვეშა თალოვანი ნაგებობა – კრიპტა, რომელშიც რამდენიმე სამარხია გამართული. კრიპტის დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა სამარხი – სარკოფაგი, ხუთსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ნაკვეთი წარწერით⁴⁰¹ (ვრცლად იხ. ქვემოთ).

უმ ლეიზუნის მონასტერი იყო ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვანი ადრებიზანტიური ხანის კვინობიტური მონასტრებიდან, რომლებიც მდებარეობდნენ იერუსალიმს, ბეთლემსა და საბა განწმედილის მონასტრებს შორის.

არქეოლოგიური მონაცემებით, მონასტერი V-VII საუკუნეებით თარიღდება. სავარაუდოდ, მონასტრის მშენებლობა წარმოებდა ორ ფაზად. მონასტრის ადგილმდებარეობის, ასევე სხვა იდენტიფიცირებულ მონასტრებთან მისი გეოგრაფიული მიმართების საფუძველზე თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო წმ. ევსტათის მონასტერი.⁴⁰²

შემდგომი გათხრების საფუძველზე მოკვლევულმა მასალებმა, კერძოდ კი სარკოფაგის სარქველზე ამოტვიფრულმა, ასომთავრულით შესრულებულმა ხუთსტრიქონიანმა ქართულმა წარწერამ ცხადყო, რომ ეს იყო ქართველთა მონასტერი.

სარკოფაგის სარქველის წარწერაში მოხსენიებულია **ეპისკოპოსი იოჰანე ქართველი, ფურტაველი**. პალეოგრაფიული მონაცემებით, წარწერა

401 Seligman, Excavations at the Georgian Monastery, 129-131

402 Seligman, A Georgian Monastery, 145

V საუკუნის დასასრულით ან VI საუკუნის დასაწყისით თარიღდება.⁴⁰³ წარწერაში დადასტურებული სახელის ფორმა „იოჰანე“ აგრეთვე მიუთითებს მის სიძველეზე. როგორც თამილა მგალობლიშვილი აღნიშნავს, ქართულ წერილობით წყაროებში ფორმა „იოჰანე“ დასტურდება V საუკუნიდან VII საუკუნის პირველ ნახევრამდე. მოგვიანო პერიოდში მის ნაცვლად გამოიყენებოდა „იოვანე“.⁴⁰⁴ საკუთარი სახელის ასეთი ფორმაც მხარს უჭერს წარწერის დათარიღებას V-VI საუკუნეებით.

შესაბამისად, ბირ ელ-კუთის წარწერებთან ერთად, უმ ლეიზუნის წარწერაც წმინდა მინაზე არსებული ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ქართული ეპიგრაფიკული წარწერაა.

მონაცემთა ერთობლიობის საფუძველზე მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ეს ქართული მონასტერი იყო (და არა ერთ-ერთი იმ მრავალეროვან მონასტერთაგან, სადაც სხვებთან ერთად ქართველი ბერებიც მოღვაწეობდნენ).⁴⁰⁵

აკლდამაში იოჰანე ფურტაველის საფლავის განთავსების ადგილი და მისი წარწერით აღნიშვნის საკითხი გვაფიქრებინებს, რომ იოჰანე ქართველი – ფურტავის ეპისკოპოსი ამ მცირე ქართულ მონასტერში მოღვაწე გამორჩეული პირი, სავარაუდოდ, მონასტრის დამაარსებელი იყო.

თამილა მგალობლიშვილის აზრით, ტოპონიმი „ფურტავი“ შესაძლებელია წარმოდგებოდეს არამეული სიტყვიდან $\chi\tau\alpha\upsilon\upsilon$ (ფურთა), რომელიც ნიშნავს „დიდის ნაწილს“, ან ებრაული სიტყვისგან $\pi\alpha\upsilon$ (ფურა), რომელიც „ღვინის სანურს“ ნიშნავს. მკვლევრის მითითებით, ტოპონიმი „ფურტავი“ შედგენილი უნდა იყოს არამეულ/ებრაულ ძირზე ქართული სუფიქსის „-ავ“ დართვით. არამეული სიტყვის მნიშვნელობა – „დიდის ნაწილი“ იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ეს პატარა მონასტერი მიეკუთვნებოდა მეორე, უფრო დიდ მონასტერს და მის ნაწილს წარმოადგენდა.⁴⁰⁶

უმ ლეიზუნის მონასტერი, ცხადია, ქართველთა სავანე იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ ამოკვეთეს მონას-

403 Gagoshidze G., A Georgian inscription of Umm Leisun, 126-127

404 Mgaloblishvili, An unknown Georgian Monastery, 117; Gagoshidze G., A Georgian inscription of Umm Leisun 123-124

405 Mgaloblishvili, An unknown Georgian Monastery, 118-119; Gagoshidze G., A Georgian inscription of Umm Leisun 127

406 Mgaloblishvili, The Inscription from Khirbat Umm Leisun, 189; Mgaloblishvili, An unknown Georgian monastery, 121-122. ტოპონიმ „ფურტავთან“ დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ი. ჩეხანოვეცს, რომელიც ვარაუდობს, რომ იოჰანე იყო კავკასიის ალბანეთში მდებარე ქალაქ ფარტავის ეპისკოპოსი (იხ. Tchekhanovets, The Caucasian Archaeology, 15, 154-155). ეს მოსაზრება ქართველ მკვლევართა მიერ არ არის გაზიარებული.

ტრის საძვალეში არსებული სარკოფაგის სარქველზე ეპისკოპოს იოჰანე ფურტაველის წარწერა ქართულად, თუ ამ წარწერას წამკითხველი არ ეყოლებოდა. წარწერაში დადასტურებული ეთნონიმი „ქართველი“ – „იბერიელის“ შესატყვისია. ეს ფორმა ადრეულ წერილობით წყაროებში არ გვხვდება. უმ ლეიზუნის წარწერა ამ ეთნონიმის ჯერჯერობით უძველეს დადასტურებას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ უმ ლეიზუნის მონასტერი ძალზე ახლოს მდებარეობს ბირ ელ კუთის წმ. თევდორეს მონასტერთან (მისგან 3,5 კმ-ის დაშორებით). როგორც ჯონ ზელიგმანი აღნიშნავს, ამ ორი მონასტრის სიახლოვე უნდა მიუთითებდეს ქართველ ბერთა მცდელობაზე შემოზღუდულ გეოგრაფიულ არეალში ყოფილიყვნენ თავმოყრილი – ამ ვარაუდს მხარს უჭერს იმავე პერიოდში, VI საუკუნის პირველ ნახევარში, მრავალრიცხოვანი ქართველი ბერების მოღვაწეობა საბა განწმედილის მონასტერში.⁴⁰⁷

ეპიგრაფიკული წარწერები⁴⁰⁸

იოჰანე ფურტაველი ეპისკოპოსის ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია სარკოფაგის სარქველზე:

ესე სამარხოჲ | იოჰანე ფურ | ტაველ ეპისკოპო | სისაჲ ქართვე | ლისაჲ †
წარწერა ტოლმკლავა ჯვრით ბოლოვდება. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არა აქვს. სიტყვები ერთმანეთისგან არ არის დაცილებული.

წარწერის ასო-ნიშნების მოხაზულობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგი V საუკუნის მიწურულს, ან VI საუკუნის დასაწყისში ამოუკვეთავთ.

ამჟამად იოჰანე ფურტაველის საფლავის ქვა დაცულია ისრაელის სიძველეთა დაცვის სამსახურის ლაპიდარიუმში.

არქიტექტურა

უმ ლეიზუნის სამონასტრო კომპლექსი მიჰყვება ბიზანტიური ხანის კვინობის ტიპის მონასტრების ტიპურ სტრუქტურას. მთელი სავანე ერთიან, შეკრულ კომპლექსს წარმოადგენს, შენობები მიჯრით ისეა განლაგებული, რომ გარკვეულწილად თავდაცვითი ზღუდე იქმნება. ეკლესია წაგრძელებული ერთნაგვიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთიდან დამხმარე სათავსო უნდა ჰქონოდა. ეკლესიის მოზაიკურ იატაკზე ტალღოვანი მეანდრით მოზღუდულ ფართობზე გეომეტრიული

407 Seligman, Excavations at the Georgian Monastery, 144-145

408 ვრცლად უმ ლეიზუნის მონასტრის ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ იხ. დანართი

ორნამენტები – ოქტაგონებისა და კვადრატების მოტივია გამოსახული; საკურთხევლის აფსიდი აღარ შემორჩა, მოზაიკითვე იყო შემკული ჩრდილოეთის სადგომიც. ცენტრალური შიდა ადგილი იყო ღია ეზო, რომელშიც გამოდიოდა ცალკეული სენაკები. ადრებიზანტიური ხანის კვინობებში შიდა ეზო წარმოადგენდა რიტუალების ჩატარების ადგილს, რაც ძალზე ზრდიდა მის მნიშვნელობას.⁴⁰⁹

ეზოს ჩრდილოეთით გაითხარა ორი მინისქვეშა სამარხი კრიპტა, განლაგებული ეზოს ჩრდილოეთით და სამხრეთით, მინიდან 3,1 მ-ის სიღრმეზე, მათში ჩამავალი კიბეებით. კრიპტების დაცულობის ხარისხი სხვადასხვაგვარია. ჩრდილოეთ კრიპტის ფართობია 8.3×4.1 მ. სულ ჩრდილოეთის კრიპტაში მიკვლეულ იქნა 7 თანაბარი ზომის სწორკუთხა ფორმის სამარხი, ზომით 1.80-1.90×0.70-0.75 მ. მისგან ძალზე განსხვავებულია სამხრეთი კრიპტა თავისი სტილისტური მახასიათებლებით და სამშენებლო ტექნიკით. მისი ზომაა: 1.85×0.50 მ. სამწუხაროდ, სამხრეთი კრიპტა მხოლოდ ნაწილობრივ გაითხარა.⁴¹⁰

409 Seligman, Excavations at the Georgian Monastery, 131-133

410 Seligman, A Georgian Monastery, 156-157



უმ ლეიზუნის ქართველთა მონასტერი იერუსალიმთან, კრიპტა (ფოტო დ. ცხადაძის)



უმ ლეიზუნის ქართველთა მონასტერი იერუსალიმთან, არქეოლოგიური ნაშთები (ფოტო დ. ცხადაძის)



უმ ლეიზუნის ქართველთა მონასტერი იერუსალიმთან,
არქეოლოგიური ნაშთები (ფოტო დ. ცხადაძის)

ღვთისმშობლის საფლავის ეკლესია ზეთისხილის მთასთან (გეთსიმანია)

მდებარეობა და კუთვნილება

ღვთისმშობლის საფლავის ეკლესია მდებარეობს ძველი იერუსალიმის გალავნის ფარგლებს გარეთ, ზეთისხილის მთის ძირას, გეთსიმანიის ბაღთან, კედრონის (იგივე იოსაფატის) ხეობაში.

XVIII ს-დან დღემდე ღვთისმშობლის საფლავის ეკლესია ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს, რომელიც იყოფს ეკლესიას იერუსალიმის სომხურ საპატრიარქოსთან. ამავე ეკლესიაში აქვთ თავიანთი საკურთხევლები კოპტური, სირიული და ეთიოპური ეკლესიების წარმომადგენლებსაც, თუმცა მათ შედარებით ნაკლები უფლებები გააჩნიათ.

ისტორია

მართალია, ახალი აღთქმის კანონიკური წიგნები არაფერს გვეუბნება ღვთისმშობლის გარდაცვალების შესახებ, მაგრამ უკვე ახალი წელთაღრიცხვით II-III სს-დან დამკვიდრებული შეხედულების თანახმად ღვთისმშობელი მიიცვალა სიონის მთაზე, მისი დაკრძალვის ადგილად კი იოსაფატის ველი იყო მიჩნეული.⁴¹¹ ეკლესიის სახელწოდება ამ ტრადიციას ეფუძნება. ყველაზე ადრეული ცნობა გეთსიმანიაში ქალწულ მარიამის საფლავის შესახებ თარიღდება 395 წლით. მასში ლაპარაკია, რომ გეთსიმანიაში მდებარეობს ბაზილიკა, რომელშიც არის ქალწულ მარიამის საფლავი. გეთსიმანიაში ღვთისმშობლის საფლავს მოიხსენიებენ ეკლესიის მამებიც: ეპიფანე კვიპრელი (IV ს.), სოფრონ იერუსალიმელი (VII ს.), ანდრია კრიტელი (VII-VIII სს.), იოანე დამასკელი (VII-VIII სს.), გერმანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.).⁴¹²

ამ ადგილზე უკვე V-VI სს-ში აიგო ტაძარი, რომელიც დაინგრა 614 წელს, სპარსელების მიერ იერუსალიმის აღების დროს. დანგრეული ტაძარი, როგორც ჩანს, მალევე იქნა აღდგენილი, რადგან უკვე 680 წლის აღწერის თანახმად, იოსაფატის ხეობაში იდგა მარიამის ორსართულიანი ტაძარი, რომლის ზედა ეკლესია მრგვალი ფორმის იყო.⁴¹³

411 ამგვარად მოგვითხრობს ღვთისმშობლის სიკვდილისა და დაკრძალვის შესახებ ახალი წელთაღრიცხვის II-III სს-ში შექმნილი აპოკრიფული თხზულება „მარიამის გარდაცვალება“ (Transitus Mariae)

412 The Catholic Encyclopedia, vol. 14, 774-775

413 Pringle, The churches, vol. III, 288

ღვთისმშობლის საფლავის ეკლესია დღევანდელი სახით აიგო ჯვაროსნების ხანაში, კერძოდ, რომის კათოლიკური ეკლესიის წმ. ბენედიქტეს ორდენის წევრების მიერ დაახლოებით 1130 წ. ამ ტაძრის მშენებლობისას ჯვაროსნებმა გამოიყენეს ადრეული, V ს-ში აგებული ბიზანტიური ტაძრის ნაშთები. სწორედ ეს ბიზანტიური ნაშთები წარმოადგენს ჯვაროსნული ტაძრის მთავარ ბირთვისა და საფუძველს, რომელზედაც დაშენდა ახალი ეკლესია.⁴¹⁴

ჯვაროსნების ეკლესია და მონასტერი ძალიან სერიოზულად დაზიანდა სალაჰ ად-დინის ლაშქრობის (1187 წ.) დროს. ცნობილია, რომ ქალწულ მარიამის საფლავის ეკლესიისა და მონასტრის ქვები გამოიყენეს ქალაქის დაზიანებული გალავნის აღსადგენად. ამ დროს, ფაქტობრივად, მთლიანად განადგურდა მონასტერი და ეკლესიის ზედა ნაწილი.⁴¹⁵

მოგვიანო პერიოდის პილიგრიმთა ცნობების თანახმად, ღვთისმშობლის საფლავი მუსლიმთა მფლობელობაში იყო, რომლებიც დიდი კრძალვითა და პატივით ეპყრობოდნენ სინმინდეს. გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ, ქრისტიანებს ტაძარში შესვლა და წირვის ჩატარებაც შეეძლოთ. ცნობილია, რომ ნეაპოლის დედოფალმა ჯოვანა I-მა 1363 წ. მიმართა თხოვნით სულტან ალ-მანსურ სალაჰ ად-დინ მუჰამმადს, რათა ფრანცისკელი ბერებისათვის ტაძარში შესვლისა და ღვთისმშობლის საფლავის ადგილას კანდელის დანთების ნება მიეცა. საბოლოოდ 1392 წელს ფრანცისკელებმა მოიპოვეს ეს უფლება და ეკლესიის მახლობლად მონასტერიც დააარსეს. უკვე XV საუკუნიდან ღვთისმშობლის საფლავის ეკლესიას ფრანცისკელებთან ერთად ინაწილებდნენ ბერძნები, ქართველები, სომხები, სირიელები და ეთიოპელები.⁴¹⁶

1517 წელს, სულტანმა სელიმ I-მა ღვთისმშობლის საფლავი დაუმტკიცა როგორც ბერძენ, ისე სომეხ პატრიარქს. როგორც ჩანს, ამით არ შეზღუდულა სინმინდეზე ფრანცისკელთა უფლება, რომელსაც, თავის მხრივ, 1620 წლიდან არაერთი ფირმანი იცავდა.

1755 წელს, ძლიერი წყალდიდობის დროს, ეკლესია დაიტბორა ისე, რომ წყალმა სრულად დაფარა საკურთხევლები. მომდევნო წელს ფრანცისკელებს ოსმალმა სულტანმა ტაძრის აღდგენისა და შეკეთების უფლება მისცა. ფრანცისკელებმა ტაძარი შეაკეთეს, თუმცა მალევე მოუწიათ მისი დატოვება, რადგან იგი ბერძენთა და სომეხთა მფლობელობაში გადავიდა.⁴¹⁷

414 Murphy-O'Connor, The Holy Land, 148

415 იქვე, 148-149

416 Pringle, The churches, vol. III, 293-294

417 იქვე, 295

ქართველები ღვთისმშობლის საფლავის მონასტერში

ქართველები გეთსიმანიაში უკვე IX საუკუნიდან ჩანან. 808 წ. შედგენილ წმ. მიწის მონასტრების ჩამონათვალში (“Commemoratorium”) ნათქვამია: “ზეთისხილის მთაზე ოთხი ქართველი ბერი ცხოვრობს. გეთსიმანიაში, განცალკევებულ კლდესთან სამი განდევნილი ცხოვრობს: ბერძენი, სირიელი და ქართველი”.⁴¹⁸

XI ს-ის გეთსიმანიელ ქართველ ბერებს, როგორც ჩანს, საკმაოდ ფართო სამნიგნობრო ინტერესები გააჩნდათ. შემორჩენილია ამ პერიოდში გეთსიმანიაში გადანერილი რამდენიმე ქართული ხელნაწერი: 1044 წელს გადანერილი პარაკლიტონი (სამარხვო საგალობლების კრებული), რომელიც 5 გადამწერის მიერ არის შექმნილი (Sin.Geo.O. 13, Sin.Geo.N.14); მიქაელ მწირის მიერ გადანერილი ოთხთავი (1048 წ., H 1741); სტეფანე დვალის მიერ გადანერილი ჟამისწირვა (XII ს., Sin.Geo.O. 89).

ღვთისმშობლის საფლავის ტაძარში ქართველთა საკურთხევლისა და მათ მიერ ამ წმინდა ადგილას აღვლენილ წირვაზე მოგვითხრობენ XIV-XVI სს-ის მოგზაურები და მომლოცველები, კერძოდ: არქიმანდრიტ აგრეთენოსის ცნობის თანახმად (1370 წ.), ქალწულ მარიამის საფლავის აღმოსავლეთით საკურთხეველი ბერძნულ საპატრიარქოს ეკუთვნოდა, ხოლო ქართველების საკურთხეველი ღვთისმშობლის საფლავის სამხრეთით იყო.⁴¹⁹ ამავეს ადასტურებს ეგნატე სმოლენსკელის ცნობაც, რომელიც 1308-1404 წლებით თარიღდება.⁴²⁰

იოანე პოლონერის 1421 წლის გადმოცემის მიხედვით, ქართველების საკურთხეველი რიგით მეორე იყო ღვთისმშობლის საფლავიდან და იდგა ბნელი თალის ქვეშ. XVI-XVII საუკუნეების ცნობის თანახმად, ქართველები ფლობდნენ ბოლო საფეხურთან მდებარე საკურთხეველს.⁴²¹

საფიქრებელია, რომ ქართველები თავიანთ კუთვნილ საკურთხეველს ინარჩუნებდნენ სულ მცირე XVIII ს-ის 60-იან წლებამდე. ტიმოთე გაბაშვილი, რომელიც იერუსალიმში იმყოფებოდა 1757 წელს, მოგვითხრობს, რომ ქართველებს საკურთხეველი („სამწირვალო“) ეკუთვნით ღვთისმშობლის ეკლესიაში, თუმცა კი მის ადგილმდებარეობას არ აკონკრეტებს.⁴²²

არქიტექტურა

ღვთისმშობლის საფლავის ეკლესია დღევანდელი სახით აიგო ჯვაროსნების ხანაში – XII საუკუნეში. ეკლესიამ თითქმის უცვლელი სახით

418 Commemoratorium De Casis Dei Vel Monasteriis, 79

419 Pringle, The churches, vol. III, 294

420 Peradze, Account, 190

421 Peradze, Account 227, Pringle, The churches, vol. III, 295

422 გაბაშვილი, მიმოსლვა, 82

მოაღწია ჩვენამდე. მისი ფასადი იერუსალიმის ჯვაროსნული არქიტექტურის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად არის მიჩნეული.

ეკლესიის შესასვლელი წარმოადგენს შეისრულ პორტალს, რომლის თაღები 8 მარმარილოს სვეტს ეყრდნობა.

პორტალიდან 10.6 მეტრ სიღრმეზე 47-საფეხურიანი კიბე ეშვება ჯვრის ფორმის ეკლესიაში, რომელიც IV ს-ში აგებული ბიზანტიური ტაძრიდანაა დარჩენილი. ხელმარცხნივ კოპტების კუთვნილი საკურთხეველი დგას, ხელმარჯვნივ კი, აღმოსავლეთ აფსიდის ცენტრში, ღვთისმშობლის საფლავია.

ღვთისმშობლის საფლავზე აღმართულია პატარა, სწორკუთხა სამლოცველო. მისი გარეთა მხარე მდიდრულად არის შემკული ხატებით, შანდლებითა და ყვავილებით. სამლოცველოს ორი შესასვლელი (დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან) აქვს. შესასვლელების ზედა ნაწილებში ჯვაროსანთა პერიოდის არქიტექტურული დეტალებია შემორჩენილი.

საფლავის უკან, სამხრეთის მხარეს მოთავსებული ნიშა წარმოადგენს ე.წ. მიჰრაბს. მისი დანიშნულებაა, მაჰმადიანებს ლოცვის წარმოქმნის დროს მექის მიმართულება უჩვენოს. ეს ადგილი საგანგებოდ იყო გამოყოფილი მუსლიმთათვის სალოცავად, რადგანაც მარიამის საფლავს ისინიც სცემდნენ თაყვანს.

ხელნაწერები

Sin. Geo. O. 13. პარაკლიტონი, 1044 წ.

გამოიყოფა ხუთი გადამწერის ხელი – სამი ანონიმისა, ასევე პეტრესი და გაბრიელის.

გადანერის ადგილი – გესმანია, მომგებელი – პეტრე, მოძღვარი – ზაქარია: „...მე, გლახაკმან მწირმან და ფრიად ცოდვილმა პეტრე, მოვაგე წმიდაჲ ესე პარაკლიტონი საფლავსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა წმიდასა გესმანიასა“ (270v).

შენიშნულია სინას მთისთვის: „სახელითა ღმრთისაჲთა მე, პეტრე, შევედ მთასა წმიდასა სინას, მოვიხილე და ესე პარაკლიტონი არა იყო მუნ შინა. მოვედ მუნით და დავენერე ჩემითა სიგლახაკითა და აწ შევენერე წმიდასა მთასა სინასა...“ (271r).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ალექსანდრე ცაგარელს (№60)⁴²³, ივანე ჯავახიშვილს (№13),⁴²⁴ ასევე ლალი ჯღამაიას (შესულია სინას მთის ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის მე-2 ტომ-

423 Цагарели, Памятники, 223-224

424 ჯავახიშვილი, აღწერილობა, 32-33

ში. იქვეა გამოქვეყნებული აქ მოხმობილი გადამწერის/მომგებლის ანდერძების სრული ტექსტი).⁴²⁵ ხელნაწერი ასევე შესწავლილი აქვს პავლე ინგოროყვას.⁴²⁶

ამჟამად ხელნაწერი დაცულია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში.

Sin. Geo. N. 14. პარაკლიტონი, 1044 წ.

Sin.Geo.O.13 ნაკლულია. მის ნაწილს წარმოადგენს 1975 წელს სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი კოლექციის ხელნაწერი ფრაგმენტი Sin.Geo.N.14, რომელიც 10 ფურცელს შეიცავს და ნაწილობრივ ავსებს Sin.Geo.O.13-ის დანაკლისს დასაწყის ნაწილში. აღნიშნული ფრაგმენტი აღწერილია, მისი რაობა და Sin.Geo.O.13-ისთვის მიკუთვნება დადგენილია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა ჯგუფის მიერ.⁴²⁷

H 1741. ოთხთავი, 1048 წ.

ხელნაწერის ბოლო ნაწილი პალიმფსესტია.

გადამწერი – მწირი მიქაელი (გადამწერის ანდერძი და მინაწერები: 297r, 1v, 80v, 130v), გადანერის ადგილი – გეთსიმანია (გესმანია), ღვთისმშობლის საფლავის ეკლესია: „დაინერა წ(მიდას)ა ადგილსა გესმანიას, საფლავსა წ(მიდ)ისა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბელის(ა)სა, დედისაგან საბან(მიდ)ისა, განგებასა ზედა ბერძულსა, დიად ხარკებითა ჴელითა საწყალობელისა მიქაელ მწირისა მცხეთისვე მინისაგან...“ (297r).

ხელნაწერის მომგებელი – სტეფანე პალავრელი: „...მე, გლახაკი სტეფანე, ხუცესი პალავრელი, მნათეყოფილი, ყოველთა მონესეთა ნარჩევი, მინა და მტუერი, შვილი მცხეთისაჲ, ღირს-მყო ღმერთმან ... მოვიწიე წმიდასა ქალაქსა იერუსალჴმსა, აღდგომასა უფლისა ჩუენისა... და წმიდასა გოლგოთასა და მოვილოცენ ყოველნი წმიდანი ადგილნი ... და დამანასეს მწირველად ქართლისა კათალოკოზისა ოქროპირისა და მოვიგე წმიდაჲ ესე ოთხთავი... ქრონიკონი იყო სჲ“ (296r-297r).

ხელნაწერი აღწერილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელთა მიერ (H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის ტ. IV), იქვეა გამოქვეყნებული ხელნაწერის ანდერძები.⁴²⁸

425 Sin. II, 79-82

426 ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია, 370, 486, 576

427 Sin. New, 2005, 259-260

428 H კოლექცია, IV, 173-174

Sin. Geo. O. 89. ჟამისწირვა წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე ოქროპირისა და წმ. იაკობ მოციქულისა, XII ს.

გადამწერი: სტეფანე დვალი (31r, 36v, 45v, 62r, 69v); გადაწერის ადგილი: გე[თ]სამანია: „დაესრულა წმიდაჲ ჟამისწირვაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ ჴელითა ფრიად ცოდვილისა იო(!) სტეფანე დვალისაჲთა..... დავნუსხე გესმანიას, საფლავსა წმიდისა და ყოვლად დიდებულისა ღმრთისმშობელისასა“ (69v).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ნ. მარს⁴²⁹, ლ. ჯღამაიას (შესულია სინას მთის ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის მე-3 ტომში. იქვეა გამოქვეყნებული აქ მოხმობილი გადამწერის ანდერძის სრული ტექსტი).⁴³⁰

ამჟამად ხელნაწერი დაცულია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში.

429 Март, Описание, 250-251

430 Sin. III, 201-202



იერუსალიმი, ღვთისმშობლის საფლავის ეკლესია ზეთისხილის მთასთან
(ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, ღვთისმშობლის საფლავის ეკლესია ზეთისხილის მთასთან,
საფლავის სამლოცველო (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, გეთსემანის ბაღი (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. ჯვრის მონასტერი ახალ იერუსალიმში

ადგილმდებარეობა და კუთვნილება

წმ. ჯვრის მონასტერი მდებარეობს ახალი იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ისრაელის პარლამენტისა და ისრაელის მუზეუმის სიახლოვეს, დაბლობზე, რომელიც ცნობილია რეჰავიას პარკისა და ჯვრის ველის სახელით. მონასტერი ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

წმ. ჯვრის მონასტერი აშენებულია იმ ადგილზე, სადაც, გადმოცემის თანახმად, იზრდებოდა ხე, რომლისგანაც გამოჭრეს მაცხოვრის ჯვარი. ზოგადად, ჯვრის ხის ლეგენდებში ორი განსხვავებული ტრადიციაა ასახული ხის აღმოცენების ადგილისა და მისი დამრგველის ვინაობასთან დაკავშირებით: ა) ხე დარგო ბიბლიურმა ადამმა ცოდვის მონანიების მიზნით გოლგოთაზე – ადგილზე, სადაც შემდგომში იგი დაკრძალეს. ბიზანტიურ სამყაროში ამ საკმაოდ გავრცელებული ლეგენდის დამონმებებს ვხვდებით I-XII სს-ის წყაროებში. მათ შორის ყველაზე ადრეულია ტერტულიანეს ნაშრომი (I ს.); ბ) ხე დარგო ბიბლიურმა ლოტმა ცოდვის მონანიების მიზნით იმ ადგილზე, სადაც ჯვრის მონასტერია აშენებული. ეს უნდა იყოს პალესტინური წარმოშობის ლეგენდა, რომელმაც XI საუკუნიდან მოყოლებული დომინანტური პოზიცია დაიკავა.⁴³¹

ეს ტრადიციაა ასახული XII-XIII და მომდევნო საუკუნეების უცხოელ პილიგრიმთა ტექსტებსა⁴³² და გვიანდელი პერიოდის ქართველ მოგზაურთა ჩანაწერებში: ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაში“ (XVIII ს.), გიორგი ავალიშვილისა (XIX ს.) და პეტრე კონჭოშვილის (XX ს.) „მოგზაურობებში“.⁴³³

XI საუკუნემდე ჯვრის მონასტრის შესახებ წერილობითი წყაროები არ შემორჩენილა. დღეს დამკვიდრებული ბერძნული ტრადიცია ამ ადგილზე მონასტრის დაარსებასა და მის ადრეულ ისტორიას უკავშირებს

431 Mgaloblishvili, The Monastery of the Holy Cross, 34, 36

432 Pringle, The churches, vol. II, 33; Peradze, Account, 220-222

433 Mgaloblishvili, The Monastery of the Holy Cross, 33. საინტერესოა ასევე 1948 წელს იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში მცხოვრები ვინმე დოქტორ შმიდტის მიერ ფრანცისკელი ბერის სილვესტერ სელერისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ჯვრის მონასტრის ეზოში ზედაპირიდან 10 საფეხურის სიღრმეზე მდებარეობდა წმ. ლოტის სახელთან დაკავშირებული მღვიმე, რომელიც ერთ დროს სამლოცველო-დაც გამოიყენებოდა და იმ დროისათვის ქვებით იყო ამოქოლილი (იხ. Mgaloblishvili, The Monastery of the Holy Cross, 38)

იმპერატორ კონსტანტინე დიდის დედას, ელენე დედოფალს (IV ს.), იმპერატორ იუსტინიანეს (VI ს.) და იმპერატორ ჰერაკლეს (VII ს.)⁴³⁴; ქართული ტრადიცია მონასტრის დაარსებას მეფე მირიანსა (IV ს.) და მეფე ვახტანგ გორგასალს (V ს.) უკავშირებს.⁴³⁵ ტიმოთე გაბაშვილსა და ალექსანდრე ცაგარელს უნახავთ ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის დასავლეთ კედელზე გამოსახული ქართველი მეფეების: მირიანის, ვახტანგ გორგასლისა და ბაგრატ კურაპალატის პორტრეტები და მათ თავზე განთავსებული წარწერა, რომლებიც დღეს აღარაა შემორჩენილი: „ქ. მირიან ... კონსტანტინე... მეფემ ეს ჯვარი ... მოვიდეს .. და დაიჭირა იერუსალიმი და ააშენა ესე ჯვარი.“⁴³⁶

ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, რომელიც დღეისათვის უცნობ წყაროებს და იერუსალიმურ ტრადიციას იმონებებს, ჯვრის მონასტრის ადგილი მეფე მირიანს მოუპოვებია იმპერატორ კონსტანტინე დიდთან შეხვედრის შემდეგ: „რამეთუ პირველი ქრისტიანე ქმნილი მეფე საქართველოსა მირიან ხოსროიანი ნინოს მიერ წარმოვლენილ არს, მეფე კონსტანტინე უხილავს და იერუსალიმად მისრულ არს და ჯვარისა მონასტრის ადგილი მას უმოვნია... მირიან ხოსროიანის მოსლვის შემდგომად მოსრულ არს დიდად სახელოვანი საქართველოთ მეფე ვახტანგ გორგასლან.“⁴³⁷

ვახტანგ გორგასლის მემკვიდრე იუანე მოგვიტხრობს, რომ ვახტანგს დედასთან და დასთან ერთად უმოგზაურია იერუსალიმში, მოულოცავს წმინდა ადგილები და უხვი შეწირულობა გაუღია.⁴³⁸

ზემოხსენებული ცნობების საფუძველზე, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ვახტანგ გორგასალს მირიან მეფის მოგებულ ადგილას აუგია ეკლესია, ან განუახლებია და განუვრცია მირიანის მიერ აგებული ტაძარი.⁴³⁹

საინტერესოა, რომ ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, მეფე ვახტანგ გორგასალმა სოფელ მალხაში საგანგებოდ ჩაასახლა ქართველი მეომრები, რომელთაც ევალებოდათ იქვე მდებარე ჯვრის მონასტრის, წმ. ნიკოლოზის მონასტრისა და კატამონის ეკლესიის დაცვა.⁴⁴⁰

1883 წელს ალექსანდრე ცაგარელმა ნახა სოფელ მალხაში მცხოვრები 600-ამდე არაბი, რომლებსაც ახსოვდათ თავიანთი წარმომავლობა შორეული ჩრდილოეთიდან და თავიანთ თავს გურჯებს (ქართველებს) უწოდებდნენ,

434 Tzaferis, The Monastery of the Holy Cross, 7, 8

435 გაბაშვილი, მიმოსლვა, 77-78

436 იქვე, 82, 84, 85; Цагарели, Памятники, 245

437 გაბაშვილი, მიმოსლვა, 77,78

438 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, 186

439 მენაბდე, კერები, ტ. II, 72. აქვე იხ. საკითხთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფია გვ. 327-328

440 გაბაშვილი, მიმოსლვა, 78; Цагарели, Памятники, 124

თუმცა კი მთლიანად ჰქონდათ დავიწყებული წინაპრების ენა და რწმენა. მალხელეები თავიანთი იერით, ადათ-წესებითა და, ნაწილობრივ, სამოსით განსხვავდებოდნენ სოფლის სიახლოვეს მობინადრე სხვა არაბებისგან, რომლებიც მათ (მალხელეებს) მიგრანტებად აღიქვამდნენ. მალხელეები მონინებით ეპყრობოდნენ მათ სოფელში არსებული ეკლესიის ნანგრევებს და ფლობდნენ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კუთვნილი მინდვრებისა და ვენახების დამუშავების პრივილეგიას, რისთვისაც მონასტერს უზღიდნენ შემოსავლის მესამედს.⁴⁴¹

ჯვრის მონასტრის დაარსებას თამილა მაგალობლიშვილი პეტრე იბერის სახელს უკავშირებს. მისი აზრით, მონასტრის ადგილას აგებული პირველი ტაძარი შესაძლოა გაიგივებული იყოს პეტრე იბერის (V ს.) მიერ აშენებულ ერთ-ერთ მონასტერთან. ჯვრის მონასტერთან პეტრე იბერის კავშირზე, მკვლევრის აზრით, აგრეთვე მიუთითებს მთავარი ტაძრის მოხატულობაში პეტრე იბერის გამოსახულების არსებობა. მკვლევარი ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ ისლამური სამართლის ნორმების გათვალისწინებით, წმ. მიწაზე XI ს-ის პირველ ნახევარში გიორგი-პროხორე შავშელს ახალი ტაძრის აგების უფლებას არ მისცემდნენ, თუ ეს ნაკვეთი ქართველთა მფლობელობაში არ იქნებოდა და მასზე არ იარსებებდა ქართველთა საგანე.⁴⁴²

ჯვრის მონასტრის ადგილას ადრეული ტაძრის არსებობას არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს. 1969-1971 წლებში ჯვრის მონასტერში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მთავარი ტაძრის ქვეშ IV-V და VII საუკუნეების ფენები გამოავლინა.⁴⁴³

მონასტრის ბედი VII-X საუკუნეებში წყაროების არარსებობის გამო უცნობია.⁴⁴⁴

ქართული წერილობითი წყაროებიდან ეჭვიმუტანლადაა ცნობილი ის, რომ XI ს-ში ჯვრის მონასტერი აღაშენა/განაახლა ქართველმა ბერმა გიორგი-პროხორემ. პროხორე წარმოშობით შავშეთიდან იყო, განათლება წყაროსთავის მონასტერში მიიღო. აქვე აღკვეცილა იგი ბერად და მოგვიანებით მღვდლად უკურთხებიათ. ამის შემდეგ გიორგი-პროხორე წმინდა მიწაზე გაემგზავრა და მრავალი წელი დაყო საბა განწმედილის ლავრაში. XI საუკუნის 30-იან წლებში პროხორემ ჯვრის მონასტრის მშენებლობა/განახლება წამოიწყო.

გიორგი-პროხორეს ანდერძებიდან ნათელი ხდება, რომ იგი მის მიერ აღდგენილ მონასტერს ჯვრის ხის აღმოცენების ადგილთან აიგივებდა,

441 Zagarelli, Guthe, Grusinische Kolonisten in Palästina, 259-260; Цагарели, Памятники, 140-142

442 Mgaloblishvili, Regarding one unknown ancient feast, 163; ჯაფარიძე, ქართველთა საგანეები, 48-49

443 Economopoulos, Excavation in the Church of the Monastery of the Holy, 378-390

444 Pringle, The churches, vol. II, 33

რასაც ადასტურებს ჯვრის მონასტერში გადაწერილ ხელნაწერთა კოლოფონები (იხ. მაგალითად, გიორგი-პროხორეს ანდერძი 1038 წელს მისივე დაკვეთით საბა განწმედილის მონასტერში გადაწერილ იოანე ოქროპირის იოანეს სახარების თარგმანებაზე: „...ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გ(იორგ)ი-პროხორე, სახელად ოდენ მღდელი, ხოლო საქმით არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდასა ამას ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ადგილსა...“⁴⁴⁵

ჯვრის მონასტრის მშენებლობა XI საუკუნის 50-იან წლების მიწურულს, ან 60-იანი წლების დამდეგს დასრულდა.⁴⁴⁶

ცნობილია, რომ 1056 წელს გიორგი ათონელმა ჩაიტანა იერუსალიმში მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) დედის, დედოფალი მარიამის მიერ გაგზავნილი შეწირულობა და დიდად დაეხმარა საფასით ჯვრის მონასტრის მშენებლობას.⁴⁴⁷

XI საუკუნიდან მოყოლებული, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერს სრულიად გამორჩეული ადგილი ეკავა წმინდა მინის ქართულ ეკლესია-მონასტრებს შორის. ეს იყო წმინდა მინის ქართული კოლონიის ცენტრი, სადაც მიმდინარეობდა აქტიური სამნიგნობრო საქმიანობა.

სავარაუდოდ, ჯვრის მონასტერი დაზიანდა XII საუკუნის დასაწყისში. ინგლისელ მოგზაურ ზევულფს, რომელმაც იერუსალიმი 1102-1103 წლებში მოინახულა, ჯვრის მონასტერი ურწმუნოთა გამო დაცარიელებული დახვდა, თუმცა მონასტრის ნაგებობები მცირედ იყო დაზიანებული.⁴⁴⁸ რამდენიმე წლის შემდეგ ჯვრის მონასტერი მოინახულა რუსმა პილიგრიმმა, ილუმენმა დანიელმა (1106-1107 წწ.), რომელიც წერს, რომ მონასტერში ქართველი ბერები დაბრუნებულიყვნენ. ილუმენი დანიელი ასევე დეტალურად აღწერს მონასტერს, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ნაგებობა იმ დროისათვის სრულად აღდგენილი და მოხატული იყო.⁴⁴⁹

XIII ს-ის მეორე ნახევარში, დაახლოებით 1268 წლიდან, ეგვიპტის სულტანმა ბაიბარს I-მა ჯვრის მონასტერი ჩამოართვა ქართველებს და მისი მეჩეთად გადაკეთება ბრძანა.⁴⁵⁰ 1300 წელს ვახტანგ III-მ სხვადასხვა მონასტერში გაფანტულ ჯვარელ ბერებს მატერიალური დახმარება გაუწია⁴⁵¹, თუმცა მას ჯვრის მონასტერი არ გამოუსყიდია.

445 სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი M 13 – დანვრილებით იხ. ქვემოთ, სექციაში: ხელნაწერები

446 ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, 345-346

447 ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, 143-145; იხ. ასევე: მენაბდე, კერები, ტ. II, 81-84

448 Seawulf, The Palestine Pilgrims' Text Society, 21

449 Житие и хождение Даниила, 82-83

450 გოჩოლეიშვილი, XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, 28-32

451 მეტრეველი, მასალები, 42, ალაპი N 206

არაბულ წყაროთა თანახმად, მონასტრის გათავისუფლება მუსლიმთა ხანგრძლივი ტყვეობისგან 1305-1306, ან 1310-1311 წლებში უნდა მომხდარიყო.⁴⁵²

მონასტრის დაბრუნების შემდეგ ქართველებმა იგი განაახლეს და ახლად მოახატვინეს ეკლესია. ცნობილია მონასტრის მაშინდელ აღმდგენელთა ვინაობაც. ჯვრის მონასტრის აღაპებმა შემოინახა მოსახსენებლები: მონასტრის გამოსხნისა და მეორედ აღშენებისთვის მეფე დავითისთვის (დავით VIII, 1299-1311 წწ.) და მეორედ შეკაზმვისთვის მეფე კონსტანტინესთვის (კონსტანტინე I, 1293-1327 წწ.).⁴⁵³

ჯვრის მონასტრისა და მისი ქონების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანდის XIV საუკუნის არაბი ენციკლოპედისტი ალ 'უმარი, რომელმაც 40-იან წლებში პირადად მოინახულა ჯვრის მონასტერი. ალ 'უმარი აღფრთოვანებით აღწერს მონასტრის ბალებს, მთავარ ტაძარს და მის მხატვრობას, ვრცლად საუბრობს სავანის თავგადასავალზე და იქ მცხოვრებ ქართველ ბერებზე.⁴⁵⁴

XVI საუკუნეში ჯვრის მონასტრისა და, ზოგადად, წმინდა მიწაზე ქართული ქრისტიანული თემის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჯვარის მამა ბენა ჩოლოყაშვილის საქმიანობამ. ბენა ჩოლოყაშვილმა აღადგინა ქართველთა უფლებები გოლგოთაზე, იზრუნა ჯვრის მონასტერსა და მის ბიბლიოთეკაზე, რაც ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებშიც არის ასახული.

1643-1644 წლებში მონასტერი განაახლა და მთავარი ეკლესია ხელახლა მოახატვინა ჯვრისა და გოლგოთის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის დახმარებით, რაც ასახულია მთავარი ტაძრის ქართულ და ბერძნულ ფერწერულ საქტიტორო წარწერებში.⁴⁵⁵

საქართველოს მძიმე ყოფის გამო წმინდა მიწის ქართული ქრისტიანულ თემს ძალზე უჭირდა გადასახადების გადახდა, რომლებიც ოსმალებს ჰქონდათ დაკისრებული მონასტრებისთვის. ჯვრის მონასტერი ვალებში იყო ჩავარდნილი.

ოსმალთა ხანის 1685 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში ჯვრის მონასტერი დასახელებულია იმ ქართულ მონასტერთა შორის, რომლებიც ვალებისა

452 Baybars al-Mansuri, Zubdat al-fikra, 385. XIV-XV საუკუნეების არაბული, მათ შორის, ახლად გამოვლენილი ნარატიული წყაროების შესწავლის შედეგად, გოჩა ჯაფარიძე ასკვნის, რომ მონასტრის დაბრუნების შესახებ გადანყვეტილება არა პირველი, არამედ ელჩების მეორედ ვიზიტის დროს 1310-1311 წლებში გადანყდა (ვრცლად იხ.: ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 69-70)

453 მეტრეველი, მასალები, 41-43, 58-59, 100, 106.

454 ვრცლად იხ. ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 76-81

455 გაბაშვილი, მიმოსლვა, 78, 80; Цагарели, Памятники, 241-242

და დარბევების გამო თითქმის დაცარიელებული და ძლიერ შელახული იყო.⁴⁵⁶

ცნობილია, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში იერუსალიმის სამმა პატრიარქმა: თეოფანემ (1608-1644 წწ.), პაისიმ (1645-1660 წწ.) და დოსითეოს II-მ (1669-1707 წწ.) რამდენჯერმე იმოგზაურეს საქართველოში წმ. მინაზე ქართული მონასტრების აღდგენისა და ვალების დასაფარად თანხების შესაგროვებლად.

მოღწეულია ქართლის მეფე გიორგი XI-ის (1676-1688 და 1703-1709) 1681 წლის საბუთი: „ნიგნი ეს მართალი და ჭეშმარიტი ჩვენგან მორთმეული“, რომელიც წარმოადგენს გარიგებას მეფე გიორგი XI-სა და იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოს II-ს შორის. შეთანხმების თანახმად, ქართულ მხარე ფარავდა წმ. მინაზე ქართული მონასტრების ვალებს; თავის მხრივ, დოსითეოსი კისრულობდა მათ გათავისუფლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარებას.⁴⁵⁷

მოღწეულია ეპისკოპოს დოსითეოს II-ის 1706 წლის სიგელი, რომელშიც ჯვრის მონასტერი სახელდება იმ ქართულ სავანეთა შორის, რომელთა გამოსყიდვა და შეკეთება ქართველ მეფეთა და დიდებულთა ფინანსური შემწეობითა და იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს მცდელობით მოხერხდა.⁴⁵⁸

მიუხედავად ზემოთქმულისა, XVIII საუკუნეში ჯვრის მონასტერი ბერძენთა ხელში გადავიდა.

არქიტექტურა

ჯვრის მონასტერი წარმოადგენს მაღალი გალავნით მოზღუდული ციხე-სიმაგრის მსგავს კომპლექსს. კედლებს მიღმა მთავარი ტაძარი, მცირე სამლოცველოები, სატრაპეზო, სამრეკლო, სემინარიის შენობა და რამდენიმე სართულად განლაგებული სენაკებია.

მთავარი ტაძარი „ჩახაზული“ ჯვრის ტიპისაა, ორ თავისუფლად მდგომ ბურჯსა და აფსიდის კედლებზე დაყრდნობილი გუმბათით. ორი წყვილი სვეტით ეკლესიის სივრცე სამ მონაკვეთად იყოფა, გუმბათი საკურთხევლის შვერილებსა და დასავლეთით მდგარ ორ მასიურ სწორკუთხა ბურჯს ეყრდნობა. გუმბათქვეშა თალებს მუზარადისებრი ფორმა აქვთ. სავარაუდოდ, ეკლესიის ჯვრისებრი კამარები მოგვიანო ხანის უნდა იყოს. ეკლესია გარედან, წმ. მინის მართლმადიდებელთა ეკლესიების უმეტესობის მსგავსად, წარმოადგენს დაუნაწევრებელ

456 ჯაფარიძე, ქართველთა სავანეები, 179

457 Акты, т. I, 26-27

458 Цагарели, Памятники, 80-81

კუბურ მოცულობას, რომელზეც მხოლოდ გუმბათი აღიმართება.⁴⁵⁹

ეპიგრაფიკული წარწერები⁴⁶⁰

სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის კედლებზე შემორჩენილია სხვადასხვა ტიპის ლაპიდარული და საღებავით შესრულებული ქართული წარწერები; აქ გვხვდება, როგორც კედლის მხატვრობის კომპოზიციათა განმარტებითი, ასევე საქტიტორო წარწერები. კედლებზე ოსტატის წარწერა და მლოცველთა მინაწერებიცაა შემორჩენილი.

ჯვრის მონასტერში დაცული ქართული წარწერების უმეტესობა XVII საუკუნის 40-იან წლებში მთავარ ეკლესიაში ჩატარებული რესტავრაციის დროინდელია. არ ჩანს მონასტრის აგების ხანის (XI ს.) წარწერები, რომლებიც, სავარაუდოდ, მრავალი შეკეთების, თუ რემონტის დროს უნდა განადგურებულიყო.

ქართველთაგან პირველმა ჯვრის მონასტრის წარწერებს ყურადღება მიაქცია ტიმოთე გაბაშვილმა, რომელმაც 1757 წელს იმოგზაურა წმინდა მინაზე; ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის დროიდან მოყოლებული დღემდე ჯვრის მონასტერში მრავალი ქართული წარწერა განადგურდა. ქართველ მკვლევართა ყოველ მომდევნო თაობას წინამორბედებთან შედარებით ნაკლები ქართული წარწერა ხვდებოდა ადგილზე. მიუხედავად ამისა, ჯვრის მონასტერში აღნუსხულია 36 ქართული წარწერა, რომელთაგან 25 საღებავითაა შესრულებული, 11 კი ლაპიდარულია.

ჯვრის მონასტერში საღებავით შესრულებული წარწერების უმეტესობა ჯვარის მამა ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მიერ ჩატარებული აღდგენითი სამუშაოს დროინდელია (XVII ს-ის 40-იანი წწ.).

ქვემოთ წარმოდგენილია იმ საქტიტორო, სამშენებლო და სავედრებელი წარწერების მოკლე მიმოხილვა, რომლებშიც მოხსენიებულნი არიან ქართველი ისტორიული პირები.

ნიკიფორე ჩოლოყაშვილის საქტიტორო წარწერა, 1643 წ.

თორმეტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა შესრულებულია შავი საღებავით თეთრ ფონზე დასავლეთი კარის მართკუთხა ტიმპანის მარცხენა (სამხრეთ) მხარეს:

†: დაიხ(ა)ტა: და გ(ა)ნ(ა)თლდა: ნ(მინ)და: ესე: და ყ(ოვლა)დ: პ(ა)ტ(იო)სანი: ტაძა | რი: ჯ(უა)რისა: ც(ხო)ველს: მყოფ(ე)ლისა: ჯერ: ჩინებ(ი)თა: | და შეწვენითა: ყ(ოვლა)დ: სახელ(ო)ვ(ა)ნისა: და ბრწყ(ი)ნვ(ა)ლისა: | დადიანისა:

459 ვაჩიშვილი, ხოშტარია, ქართველთა აღმშენებლობა, 18; Khoshtaria, Vacheishvili, Building Activities, 25-26

460 ვრცლად ჯვრის მონასტრის ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ იხ. დანართი

ლეონისათა: ჳელითა: და ფ(რია)დ. ჭირ : | გ(ა)ნცდილ(ე)ბ(ი)თა: ყ(ოვლა)დ: უღირსისა: ჯ(უარ)ისა: და წ(მინდი)სა: გ(ო)ლგოთისა: მამისა: ნიკიფორესითა: ჩოლ(ა)ყას: შვილისა: ომ(ა)ნის: ძისათა: მსასოე | ბ(ე)ლისა: დ(ა)სარწმუნოსა: ამის: მონასტრის | ასა: რომ(ელ)მ(ა)ნ: გუმბადი: და წ(მინდ)ა: საკურთ | ხევ(ელ)ი: გავაკეთე: ჩემის: ალალითა: სა | ფასითა: ქორანიკ(ო)ნსა: ტკია: (1643 წ.) ა(მე)ნ:†: ჯ(უარ)ო: შ(ე)ინყალ: ც(ოდვილ)ი: დ(ია)კ(ვა)ნი: გრიგოლ: ა(მე)ნ:

კარის ტიმპანი, რომელზეც აღნიშნული ასომთავრული წარწერაა შესრულებული, სამ ნაწილადაა გაყოფილი, კიდურა ნაწილები ქართულ და ბერძნულ ტექსტებს ეთმობა. ბერძნული საქტიტორო წარწერა შინაარსით ქართულის ანალოგიურია, თუმცა მასში ლეონ (ტექსტში ლეონტი) დადიანისა და მღვდელმონაზონი და არქიმანდრიტი ნიკიფორეს (ჩოლოყაშვილი) გარდა, დამატებით, იხსენიება მღვდელმონაზვნები: მოსე, ნეოფიტეს შვილი გრიგოლი და მთავარდიაკონი მინას შვილი გერასიმე, რომელთაც ჯვრის მონასტერში შეუსრულებიათ აღნიშნული სამუშაო. წარწერის ბოლოს თარიღი – 1644 წლის 11 იანვარია. სავარაუდოა, ბერძნულ საქტიტორო წარწერაში მთავარი ქტიტორების (ლევან დადიანი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი) გარდა მოხსენიებული პირები – ბერძნები იყვნენ.

წარწერა ეკლესიის მოხატვის შესახებ, XVII ს.

თეთრი საღებავით შესრულებული ცხრასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა დატანილია სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის დასავლეთი ნახნაგის ზედა ნაწილში. დღეს წარწერა დაზიანებულია, წარწერის მოხსნის მიზნით მასზე მიკრულია დოღბანდი, რის გამოც გრაფემათა გარჩევა გართულებულია. ასომთავრული წარწერის მხედრულ ტრანსლიტერაციას სრული სახით ვაქვეყნებთ ისე, როგორც იგი ა. ცაგარელს აქვს გადმოწერილი.⁴⁶¹

„მ[ე ყოვლა]დ| უღი(რ)სმ(ა)ნ მამამან| ჯ(უარ)ი(ს)ა და წ|(მინდი)სა გოლგ(ო)თი|ს(ა)მან დავ(ა)ხ|ატვინე | მრ(ა)ვლითა | ჭირითა | და შრ(ო)მითა ა[მენ].“

დრანდელი მთავარეპისკოპოსის გაბრიელ პატრიარქის წარწერა, XVI ს.

თეთრი საღებავით შესრულებული თორმეტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის დასავლეთ ნახნაგზე, მოციქულების წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ფიგურებს შორის:

„ამისა| დამხა|ტავსა| პატრა|ძესადრ|ანდელ| მთ(ავარეპის)კ(ოპო)ზსა| გ(ა)ბ(რიე)ლს და| მ(ი)სთა დედ|ა მ(ა)მათა შეუნდვენ| ლ(მერთმ)ან| ა(მე)ნ.“

461 Цагарели, Памятники, 243

თეოდოსე მანგლელი რევისშვილის გამოსახულების განმარტებითი წარწერა, XVII ს.

თეთრი საღებავით შესრულებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის სამხრეთ წახნაგზე, მოხატულობის ქვედა რეგისტრში, თეოდოსე მანგლელის ფიგურის ორსავე მხარეს:

„თეოდოსე მანგლელი რევის შვილი“

თეოდოსე მანგლელი, რევისშვილი ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდა ნიკოფორე ჩოლოყაშვილის დროს.

სამშენებლო წარწერა, 1643 წ.

თეთრი ფერის საღებავით შესრულებული ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა დატანილია ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთი წახნაგის ზედა მონაკვეთზე, წმ. ნიკიტას გამოსახულების ზევით. წარწერა გამოქვეყნებული აქვს ალექსანდრე ცაგარელს,⁴⁶² მის დროს წარწერა სრულად იყო შემორჩენილი; დაკარგულია წარწერის დასაწყისი; ქვემოთ მხედრული გრაფემებით ტექსტის დაკარგული ნაწილიც მოგვაქვს.

[დადიანმან ლეონ მიბოძა და გა]ვაკეთე გუმბადი და გუერდები ორი ათასი ა/სნალი და ე/ქსუი ათასი ჩ(ე)მი დავ/ხარჯე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკ/ია ნიკ(ოლოზ).

შოთა რუსთველის წარწერა, XVI ს., XVII ს.

თეთრი საღებავით შესრულებული ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა დატანილია სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ წახნაგზე, მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელს შორის, მათ ფეხებთან – შოთა რუსთველის ვოტივური გამოსახულების თავზე:

ამ(ი)სა დამხ(ა)ტ/ავსა შოთა(ს)/ შ(ეუნდენე)ს ღ(მერთმა)ნ ა(მე)ნ/ რუსთვ/[ე]ლი

წარწერა XVI ს-ში დაუნერიათ და განუახლებიათ XVII საუკუნეში, ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროს.

შალვა შობასშვილის საქტიტორო წარწერა წმ. ელიასა და წმ. ელისეს გამოსახულებებთან, XVII ს.

წმ. ელიასა და ელისეს წყვილი გამოსახულება დღეს მოხსნილია კედლიდან, ჩარჩოშია ჩასმული და თბილისის სიონის სამკვეთლოს შესასვლელის

462 Цагарели, Памятники, 243

თავზე კიდია,⁴⁶³ ჯვრის მონასტერში იგი სამხრეთ აღმოსავლეთი სვეტის ჩრდილოეთ ნახნაგზე მდებარეობდა. წინასწარმეტყველთა გამოსახულებებს შორის თეთრი საღებავით შესრულებული შვიდსტრიქონიანი ასომთავრული ძლიერ დაზიანებული წარწერაა, რომელშიც რამდენიმე სიტყვის გარჩევაა შესაძლებელი: წარწერაში იხსენიება „შობასშვილი შალვა“, რომელსაც, როგორც ჩანს, გარკვეული შესანიშნავი აქვს გაღებული მონასტრისთვის. ასევე იკითხება სიტყვები – „დიდად“, და „ენირა“.

აღსანიშნავია, რომ შალვა შობასშვილის ექვსსტრიქონიანი ლაპიდარული წარწერა ამავე მონასტრის ნართექსის შესასვლელთან, კედელშია ჩამაგრებული. ამ წარწერიდან ნათელია შობასშვილის საქმიანობა, მას მონასტრისთვის კამარები აუშენებია. სავარაუდოდ, მსგავსი ინფორმაცია უნდა აღენიშნათ ეკლესიის ინტერიერში კედელზეც. საღებავით შესრულებული წარწერა უეჭველს ხდის, რომ შალვა ქტიტორი იყო და არა ხელოსანი.

ომან ჩოლოყაშვილის, მოურავ ქაიხოსროსა და ბარბარას სავედრებელი წარწერა, XVII ს.

შავი საღებავით შესრულებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ჩრდილო-დასავლეთი სვეტის სამხრეთ ნახნაგზე:

† ჯ(უარ)ო პ(ა)ტიოს(ა)ნო და წ(მიდნა)ნო მთავარანგელოზნო მიქა(ე)ლ და გაბრიელ შეინყ(ა)ლეთ ჩოლაყასშვილი ომ(ა)ნ და ძე მათი მო(უ)რავი ქეიხოსრო და თ(ან)ა მეცხედრე მ(ა)თი ბარბარა ა(მე)ნ.

ომან ჩოლოყაშვილი და ბარბარე – ჯვრის მონასტრის წინამძღვრის – ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მშობლები არიან, ქაიხოსრო კი ნიკოფორეს ძმაა, რომელიც ცნობილი მხედართმთავარი იყო.

შალვა შობასშვილის სავედრებელი წარწერა, XVII ს.

მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მოთავსებულია ეკლესიის დასავლეთი ნართექსის სამხრეთი შესასვლელის დიდ თაღთან, კედელში:

†: ს(უ)ლსა ამა. კამ(ა)რათა აღმშენ(ე)ბლისა: შობ(ა)ს: შვ(ი)ლს: შ(ა)ლვ(ა)ს: და დედამამათ(ა) მ(ი)სთ(ა) შ(ე)უნდენე)ს ლ(მერთმ)ან.

სავარაუდოდ, მონასტრის ერთ-ერთი გვიანდელი რემონტის დროს წარწერისთვის ადგილი შეუცვლიათ, რადგანაც ის სტრუქტურა, რომელშიც იგია ჩაშენებული, მონასტერში სემინარიის მოქმედების დროს – XIX საუკუნეში უნდა იყოს აშენებული. ამავე დროს, წარწერაში დამოწმებული

463 დიდებულიძე, ჯანჯალია, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობა, 31; Didebulidze, Janjalia, Wall paintings of the Holy Cross, 61

ობიექტი – „ამა კამარათა“ მიგვითითებს, რომ წარწერაც შალვას მიერ აგებული კამარების სიახლოვეს იყო ჩამონტაჟებული.

ლევან დადიანის წარწერა, XVII ს.

სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია სადიაკვნეს თაღოვანი კარის თავზე დამონტაჟებული ვედრების რიგის სამი ხატის ხის მოჩარჩოების ქვედა ნაწილზე:

„:ქ(რისტ)ე ადიდე დადი(ა)ნი ლეონ“

ნესტან-დარეჯანის წარწერა, XVII ს.

სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის მეუღლის – ნესტან-დარეჯანის ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა გამოკვეთილია სამკვეთლოს თაღოვანი კარის თავზე არსებული ვედრების რიგის სამი ხატის ხის მოჩარჩოების ქვედა ნაწილზე:

„ნისტანდ(ა)რ(ე)ჯ(ა)ნ დ(ედო)ფ(ალ)ი“

წარწერის ფრაგმენტები იატაკის მარმარილოს ფილებზე, XIV-XVI სს.

ეკლესიის იატაკის ორ ფრაგმენტირებულ მარმარილოს ფილაზე ქართული ასომთავრული წარწერა იყო ამოკვეთილი. ეს ფილები ეკლესიის კარის ზღურბლში ჩამონტაჟებული დახვედრია 1960 წელს ირაკლი აბაშიძეს, აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელს.⁴⁶⁴ ამ წარწერის ფოტო გადაღებული in situ, გამოაქვეყნა ჯოშუა პროერმა 1967 წელს.⁴⁶⁵ კარის ზღურბლიდან აღნიშნული წარწერა, როგორც ჩანს, ამოიღეს XX საუკუნის 70-80-იან წწ-ში. წმინდა მიწაზე ქართველ მეცნიერთა 2002 წლის ექსპედიციის დროს შესრულდა ამ წარწერის დოკუმენტირება და წარწერა მოთავსდა მონასტრის მუზეუმში. თუმცა დღეს მისი ადგილმდებარეობა უცნობია.

სპილენძის რგოლის წარწერა, 1643 წ.

ასომთავრული წარწერა ამოკვეთილი სპილენძის რგოლისებრ ფირფიტაზე, რომელიც ეკლესიის გუმბათის ქვეშ, იატაკში იყო ჩამონტაჟებული:

„მ(ა)მ(ა)ნო დეგით მტკიცედ და შეურყევლად და მომიჯსენ(ე)თ მე ც(ოდვილი)ი ჯ(უარი)ს მ(ა)მ(ა) ნიკ(ოლო)ზ⁴⁶⁶ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკია“ (331) (331+1312=1643)

464 აბაშიძე, ფიქრები პალესტინაზე, 16

465 Prawer, The Monastery of the Cross, 59-62

466 ცაგარელი ამ წარწერას შეცდომით კითხულობს: ...ჯვარის მამა ნიკიფორე ნიკოლოზ.

დღეს წარწერიანი რგოლი დაკარგულია.⁴⁶⁷

კედლის მხატვრობა

სადღეისოდ ტაძრის მოხატულობის პროგრამა ძალზე ნაკლებია და ნაწილობრივ არის შემორჩენილი საკურთხეველში, მთავარი სივრცის ბურჯებზე, თაღებში და დასავლეთი კედლის ქვედა მონაკვეთში. შემორჩენილი ნაწილების მხატვრული თავისებურებებით – ფიგურების ხასიათით, მათი მოდელირების წესითა და მხატვრობის ფერადოვნებით – მოხატულობაში სამი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყოფა. ჩრდილოეთ ბურჯებზე და საკურთხევლის აქეთ-იქით (აფსიდის პილასტრებზე) უმეტესად XIV საუკუნის მხატვრობაა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯზე – უმეტესად XVI საუკუნისა, დანარჩენ ადგილებში, ისევე როგორც საკურთხეველში და დასავლეთ კედელზე, მხატვრობა XVII საუკუნისაა.⁴⁶⁸

მოხატულობას მეთვრამეტე, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის დასაწყისის აღწერებსა და 1960 წლის მონაცემებთან შედარებითაც კი დიდი ნაწილი აკლია.⁴⁶⁹ დაკარგული ნაწილების უმეტესობის კვალი არ იძებნება. დღემდე მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტია მიკვლეული სამუზეუმო და კერძო კოლექციებში.⁴⁷⁰

განსაკუთრებით აღსანიშნავი ისაა, რომ არ იძებნება ქართველ ქტიტორთა გამოსახულებები, რომელთა სიმრავლითაც ესოდენ გამორჩეული იყო ჯვრის მხატვრობა. ფერწერულ პორტრეტთა გალერეა მონასტრის მთელ ისტორიას მონიშნავდა მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული მეჩვიდმეტე საუკუნის ჩათვლით, რაც უთუოდ დიდი მნიშვნელობისა იყო მონასტრის მფლობელი ქართული თემისთვის.

ტაძრის კედლებს აღარ შემორჩა დასავლეთ კედელზე გამოსახული წმ. მირიან მეფე, ვახტანგ გორგასალი და ბაგრატ IV; ამავე კედლის კიდურა

467 2021 წელს გ. გაგოშიძის მიერ გაკეთებული ასლისა და დ. ცხადაძის ფოტოების საშუალებით, ფერადი ლითონებისა და ძვირფასი მეტალების ტექნოლოგ-რესტავრატორმა ერმინე მალრაძემ სპილენძის მასალით, თავისივე ხარჯებით, უსასყიდლოდ გააკეთა ძველი წარწერიანი რგოლის ზუსტი ასლი და გადასცა საქართველოს საგანგებო და სრულყოფილიან ელჩს ისრაელში ლაშა ჟვანიას.

468 მოხატულობის დათარიღების საკითხისთვის სრულად იხ.: დიდებულიძე, ჯანჯალია, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოხატულობა, 26-33

469 გაბაშვილი, მიმოსღვა, 80-86; Цагарели, Сведения, 44-46; Baumstark, Die Wandgemälde in der Kirche des Kreuzklosters, 774-780; Вирсаладзе, Роспись иерусалимского Крестного монастыря, 38-53

470 რამდენიმე ნიმუში, კერძო კოლექციებში მოძიებისა და შესყიდვის შემდეგ, საქართველოში ინახება – სვეტიცხოვლისა და სიონის საკათედრო ტაძრებში და ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში: წმ. გიორგი-პროხორე და წმ. ლუკა იერუსალიმელი, წინასწარმეტყველები ელია და ელისე, ელიას ამაღლება, წმ. სებასტიანი. მანამდე, ჯვრის მხატვრობის გაყიდული ფრაგმენტები სამუზეუმო კოლექციებიდან იყო ცნობილი. Kühnel, Monumental Painting from Jerusalem, 253-263

ნაწილებში – პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეები და ჯვრის მონასტრის ძმობის ჯგუფი; სამხრეთ კედელზე – ლევან დადიანი ოჯახით, ჩრდილოეთ კედელზე – ექვთიმე გრძელიძე, არსენ ვაჩესძე, იოანე ჭიმჭიმელი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და სხვ. არ იძებნება არც ნიკიფორე ჩოლოყაშვილის, ელისე თბილელის, მაქსიმე აფხაზეთის კათალიკოსისა და ასურელ მამათა, წმ. იესე ნილკნელის, სტეფანე ხირსელის, ანტონ მარტყოფელისა და აბიბოს ნეკრესელის ფიგურები და მრავალი სხვა.⁴⁷¹

გადარჩენილ ნაწილებში თავდაპირველი ქართული წარწერები დღემდე ბევრგან საღებავით არის დაფარული და ბერძნული წარწერებითაა ჩანაცვლებული.

საფიქრებელია, ტაძარი მეტერთმეტე საუკუნეშივე, გიორგი-პროხორეს მიერ მისი ხელახლად აღშენებისთანავე მოეხატათ სრულად, იმდროინდელ საქართველოსა და ზოგადად სამართლმადიდებლოში დამკვიდრებული ტენდენციების შესაბამისად. მით უფრო, რომ მოხატულობის არსებობას რუსი ილუმენის, დანიელის 1106-1107 წწ. პილიგრიმოზის ტექსტიც ადასტურებს.⁴⁷²

მეორე ისტორიულად დადასტურებული ფაქტი, რომელიც მოხატულობას უკავშირდება 1305-1306/1310-1311 წწ-დან 1327 წ-მდე ქართველი მეფეების მიერ მონასტრის მამლუქთაგან გამოსხნასა და გამშვენებას წარმოადგენს.⁴⁷³

მესამე დოკუმენტურად დადასტურებული მოვლენა მონასტრის წინამძღვრის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მიერ ტაძრის განახლება და მოხატვაა 1643-1644 წწ-ში. ტაძრის დასავლეთ კედელზე, შესასვლელის ტიპპანში დახატულ გრაგნილებზე დიდი ქართული და ბერძნული წარწერებია მოთავსებული. ქართულ წარწერაში ნათქვამია: „ქ. დაიხატა და განათლდა წმიდაი ესე ყოვლად პატიოსანი ტაძარი ჯვარისა ცხოვლის მყოფელისა ჯერჩინებითა და შეწევნითა ყოვლად სახელოვანისა და ბრწყინვალისა დადიანისა ლეონისათა ხელითა და ფრიად ჭირგანცდილებითა ყოვლად უღირსისა ჯვარისა და წმიდისა გოლგოთისა მამისა ნიკიფორესითა ჩოლოყაშვილისა ომანის ძისათა მსასოებელისა და სარწმუნოსა ამის მონასტრისასა, რომელმან გუმბადი და წმიდა საკურთხევი გაგაკეთე ჩემის ალალითა საფასითა ქორონიკონსა ტკია [1643] ამინ. ქ. ჯვარო შეინყალე ცოდვილი დეკანოზი გრიგოლ, ამინ“. ჩრდილოეთ მხარეს მოთავსებული ბერძნული წარწერა დაახლოებით იმავე შინაარსისაა, ოღონდ ქართულისგან განსხვავებით, შემწირველებთან ერთად ის ადა-

471 გაბაშვილი, მიმოსლვა, 80-86; Цагарели, Сведения, 44-46; Baumstark, Die Wandgemälde in der Kirche des Kreuzeklosters, 774-780; Вирсаладзе, Роспись иерусалимского Крестного монастыря, 38-53

472 Житъе и хождение Даниила, 82-23

473 იხ. ზემოთ ისტორიის ნაწილი

მიანებიც იხსენიებიან, რომელთა ხელითაც განახლდა და მოიხატა ტაძარი – მღვდელმონაზონი მოსე, გრიგოლი ნეოფილეს ძე და მთავარდიაკონი გერასიმე, მინას ძე. თარიღად მითითებულია 1644 წლის 11 იანვარი.⁴⁷⁴

ტაძრის თავდაპირველი შემკულობიდან სადღეისოდ რამის მოძიება შეუძლებელია, გარდა მისი სავარაუდო კვალისა ფერწერული ფენის ქვეშ ალაგ-ალაგ არსებული ბათქაშის ფენების სახით.⁴⁷⁵ ის, რომ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დაკვეთით შესრულებული სამუშაოებისას, საიმდროოდ დაუზიანებლად შერჩენილი ადრეული ფრაგმენტები შეუნარჩუნებიათ და ახალ მოხატულობაში ჩაურთავთ, მოხატულობის ზემოხსენებული XIV და XVI ნაწილებით დასტურდება.

ტაძარში ყველაზე თვალსაჩინოდ ბურჯების მხატვრობა აღიქმება.

ჩრდილო-დასავლეთ ბურჯი: დასავლეთ ნახნაგზე მარიამისა და ელისაბედის შეხვედრაა გამოსახული (XIV ს.); სამხრეთ ნახნაგზე – მთავარანგელოზთა კრება და ზემოთ უძილი თვალი (XIV ს.); აღმოსავლეთ ნახნაგზე – წმ. კირილე ალექსანდრიელი და წმ. ათანასე დიდი (XIV ს.), ზემოთ წმ. მოკიასა და წმ. თეოდოტეს ნახევარფიგურები (XVII ს.). ჩრდილოეთ ნახნაგზე გამოსახულია წმ. პახომი ანგელოზის წინაშე, ზემოთ ორი წმიდა დედის ნახევარფიგურა, მათგან ერთი წმ. ანასტასია რომაელი (XVII ს.).

ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯი: დასავლეთ ნახნაგზე – წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი და დანიელ წინასწარმეტყველი (XIV ს.) არიან გამოსახულნი, მათ ქვეშ – წმ. სერაპიონ სინდონიტი (XVII ს.), ზემოთ – დანიელი ლომთა ხაროში (XVII ს.). სამხრეთ ნახნაგზე წინასწარმეტყველები დავით და მოსე (XIV ს.), ზემოთ აბრაამის მსხვერპლშენიერვა (XIV ს.), აღმოსავლეთ ნახნაგზე – წმ. ზაქარია და წმ. იოანე ნათლისმცემელი (XIV ს.), ზემოთ ნათლისმცემლის შობა (XIV ს.). ჩრდილოეთი საბჯენი თაღის დასავლეთის კალთაზე წარმოდგენილია წინასწარმეტყველი სოფონია (XVII ს.). ბურჯის ჩრდილოეთ ნახნაგზე – წმ. ათანასე ათონელისა და წმ. ისიდორე პელუზელის ფიგურები (XVII ს.), მათ ზემოთ – წმ. ქრისტინესა და წმ. მარიამ მაგდალელის ნახევარფიგურები (XVII ს.).

დარბაზისკენ თაღს ზემოთ წმ. სილოანესა და წმ. რუფინუსის ნახევარფიგურებია (XVII ს.).

სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი: დასავლეთ ნახნაგზე – წმ. პეტრე და წმ. პავლეს ფიგურები და გაბრიელ პატრადის ვოტივური გამოსახულება მათ ფერხით (XVI ს.). სამხრეთ ნახნაგზე – ზემოთ წმ. თეოდორე სტუდიელი და წმ. იაკობ სპარსი არიან გამოსახულნი, ქვემოთ უცნობი მარტვილი და თეოდოსი

474 მსგავსი შინაარსის უფრო მოკლე წარწერები ინტერიერში სხვადასხვა ადგილებზე, ბურჯებზე, საკურთხევლისწინა შვერილზე და საქტიტორო პორტრეტებთანაც იყო მოთავსებული. იხ., Вирсаладзе, Роспись иерусалимского Крестного монастыря, 17-18

475 დეტალებისთვის იხ.: დიდებულიძე, ჯანჯალია, ჯვრის მონასტრის მოხატულობა, 26-33

მანგლელი რევიზილი. აღმოსავლეთ ნახნაგზე – წმ. მაქსიმე აღმსარებელი და წმ. იოანე დამასკელი შოთა რუსთაველის ვოტივური ფიგურით მათ ფერხთით (XVI ს.). ზედა ვინრო რეგისტრში – წმ. მიქელ სინელისა და წმ. ნიკიტას ნახევარფიგურები (XVII ს.). ბურჯის ჩრდილოეთ ნახნაგზე, პირით დარბაზისკენ – ზემოთ წმ. გიორგი და წმ. თევდორე ტირონი არიან გამოსახულნი მთელი ტანით, ქვემოთ – წმ. დემეტრე და წმ. ნესტორი (XVII ს.).

XVI საუკუნეში შესრულებული მხატვრობის ფრაგმენტი, რომელიც ახალ საფუძველზე გადატანილი და ლითონის ჩარჩოში ჩასმული ახლა სამხრეთ კედელზე კიდა, სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის მოხატულობის ნაწილს წარმოადგენდა და ჯერ კიდევ 1960 წელს ადგილზე იყო.⁴⁷⁶ გამოსახულია წმ. საბასა და წმ. ექვთიმეს ფიგურები, რომელთა ფერხთით გამოსახულია გრიგოლ არსენიშვილი ძითურთ, ზემოთ კი წმ. ბასილისა და წმ. იოანე ოქროპირის ნახევარფიგურებია.

საკურთხევლის პილასტრების დასავლეთ, დარბაზისკენ მიმართულ ნახნაგებზე გამოსახულია, მარცხნივ – ფეხზე მდგომი ღვთისმშობელი ოდიგიტრია (XIV ს.), მარჯვნივ – ქრისტე პანტოკრატორი (XIV ს.), რომლის ფერხთით მიხატული იყო მარიამ დედოფლის, ამაჟამად ნაწილობრივ „ამოჭრილი“, ვოტივური ფიგურა (XVII ს.). ჩრდილოეთი და სამხრეთი საბჯენი თაღების აღმოსავლეთ კალთებზე, ანუ საკურთხევლის ორსავე მხარეს ხარება იყო გამოსახული, რომლის ნაწილიცაა ღვთისმშობლის ზემოთ გამოსახული ანგელოზის ფიგურა (XVII ს.).

ყურადღებას იქცევს დასავლეთი კედლის ფრაგმენტები:

კარის ტიმპანის ცენტრში, ქართულ-ბერძნულ საქტიტორო წარწერებს შორის, მედალიონში გამოსახულია ღვთისმშობელი ოდიგიტრია, მის ქვემოთ – უფლის ხელი მართალთა სულებით. ტიმპანის თავზე, შესასვლელის ჰორიზონტალურ ნირთხლში მარიამისკენ მფრინავი ორი ანგელოზის ფიგურაა. სამხრეთ ნირთხლში გამოსახულია პოსტიზანტიური ხანის იკონოგრაფიაში დამკვიდრებული ჭეშმარიტი ბერის სიმბოლური გამოსახულება – ორანტის პოზაში სანთლებით ხელში მდგომი ფიგურა ახვეული თვალებით და გოლგოთის ჯვრით თავს უკან.⁴⁷⁷ ჩრდილოეთ ნირთხლში, წინასწარმეტყველი სოლომონის ფიგურაა. იქვე, ჩრდილოეთით, ოდნავ დაბლა, კარის გვერდით, პეტრე იბერის გამოსახულებაა (ყველა ეს გამოსახულება XVII ს.).

დასავლეთი კედლის სამხრეთ პილასტრზე წმ. ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები არიან გამოსახულნი (XVII ს.).

საკურთხეველში არსებული ღვთისმშობლის ციკლის სცენებიდან, ამაჟამად მკრთალად გაირჩევა იოაკიმეს ხარებისა და ანას ხარების სცენები,

476 Вирсаладзе, Роспись иерусалимского Крестного монастыря, 56

477 The Painter's Manuel, 82

ჯვრულ კამარაზე ჩრდილოეთით და საკმაოდ კარგად – ტაძრად მიყვანება, სამხრეთი კედლის ზედა ნაწილში (XVII ს.). ჩრდილოეთ კედელზე, ზედა რეგისტრში მარიამის დიდების სცენა (XVII ს.) ღრუბლების ზოლებზე რამდენიმე რიგად გამოსახული მართალთა ნახევარფიგურებით (XVII ს.). ღვთისმშობელს უკავშირდება საბჯენი თალის სამხრეთ კალთაზე გამოსახული იაკობის კიბე, ღვთისმშობლის ბიბლიური წინასახე (XVII ს.). საკურთხეველში ასევე გამოსახული იყო ჯვრის ისტორიასთან დაკავშირებული რამდენიმე სცენა: ლოტისთვის სამი რტოს გადაცემა აბრაამის მიერ და ელენე დედოფლის მიერ ჯვრის მოპოვება, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს.⁴⁷⁸

აღსანიშნავია, რომ საკურთხეველის აქეთ-იქით პასტოფორიუმების შესასვლელების თავზე შემორჩენილია ლევან დადიანის დაკვეთით, მისი მეუღლის ნესტან-დარეჯანის სულის საოხად შესრულებული ხატები ვედრების გამოსახულებებით.

ხელნაწერები

ჯვრის მონასტერი ქართულ ხელნაწერთა ძალზე მდიდარ კოლექციას ფლობდა. ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკის შეკრებასა და გამდიდრებაზე ზრუნვა XI ს-ის პირველ ნახევარში დაიწყო გიორგი-პროხოვრემ. მისი თაოსნობით ჯვრის მონასტერში, ასევე წმინდა მინის სხვა სავანეებში საგანგებოდ ჯვრის მონასტრისთვის გადაინერა არაერთი ხელნაწერი. მონასტრის კოლექციის გამდიდრება გიორგი-პროხოვრეს შემდეგაც გაგრძელდა. საუკუნეთა მანძილზე აქ თავს იყრიდა ხელნაწერები, რომლებიც წმინდა მინის სხვა ეკლესია-მონასტრებში იყო დაცული და რომლებსაც ქართველები კარგავდნენ. ამის შესახებ ცნობებს გვან-ვდიან ხელნაწერებზე დართული ანდერძ-მინაწერები. ზემოთ აღნიშნული ხელნაწერები, რომლებიც თავის დროზე დერტავის, კაპათას, დევთუბნის, ტკებნარის, შეჰანისა და სხვა მონასტრებში იყო დაცული და შემდგომ კი ჯვრის მონასტერში ინახებოდა, ამის უტყუარ მტკიცებულებებს შეიცავს.

ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა კოლექცია გასული საუკუნის 20-იან წლებამდე მონასტერშივე ინახებოდა, ხოლო ამჟამად ამ კოლექციის უდიდესი ნაწილი დაცულია იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში და 161 ერთეულს მოიცავს.⁴⁷⁹ ამ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები და აღაპები, რომლებიც XI-XVII სს-ით თარიღდება, გვანვდის მნიშვნელოვან კონკრეტულ ინფორმაციას წმინდა მინის ქართული ეკლესია-

478 Baumstark, Die Wandgemälde in der Kirche des Kreuzklosters, 781, ill. 15

479 მათგან ორი ძველნაბეჭდი წიგნია (Jer.Geo.88, Jer.Geo.155) და ერთი – სომხური ხელნაწერი (Jer.Geo. 147). ამ ხელნაწერთა დიდი ნაწილი აღწერილი და შესწავლილია, ხოლო ნაწილი არ ყოფილა საგანგებო კვლევის საგანი და მათი აღწერილობა არ არსებობს.

მონასტრების ისტორიის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ წყაროებში, კერძოდ, ვხვდებით ძალზე ფასეულ ცნობებს მონასტრებში მიმდინარე სამშენებლო, ლიტერატურული და სამნიგობრო სამუშაოების შესახებ. აქვეა წარმოდგენილი საყურადღებო მასალა მონასტრების ყოველდღიური ყოფის, უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის, ბერმონაზვნური ცხოვრების წესის, მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირების, ქართველი და უცხოელი ისტორიული პირების შესახებ. კოლოფონები და მოსახსენებლები ნათლად წარმოგვიჩვენს აგრეთვე პალესტინის სამონასტრო კოლონიის კონტაქტებს საზღვარგარეთის სხვა ქართულ სამონასტრო კოლონიებთან (ათონის მთის, ანტიოქიის, სინას მთის ქართულ მონასტრებთან) თუ საქართველოსთან.

წინამდებარე სექციაში წარმოდგენილია მოკლე ინფორმაცია ჯვრის მონასტერთან დაკავშირებული ხელნაწერების შესახებ, კერძოდ კი იმ ხელნაწერების შესახებ, რომლებიც ჯვრის მონასტერში გადაინერა, მისთვის იყო შეწირული, ან მოგვიანებით ჯვრის მონასტერში იყო რესტავრირებული (ხელმეორედ აკინძული და განახლებული), რაც ცხადი ხდება ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან.⁴⁸⁰

მათგან დიდი ნაწილი ამჟამადაც იერუსალიმში ინახება, ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, ნაწილი კი ინახება თბილისში, სანკტ-პეტერბურგში, სინას მთაზე, ვენაში, ვაშინგტონში, ოქსფორდში, ლონდონში და სხვ.

Jer. Geo. 12. იოვანე ოქროპირის „მათეს თავის თარგმანება“, XI ს-ის I ნახ.

ხელნაწერი შეიცავს „მათეს თავის თარგმანების“ ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანს. გადანერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. გადამწერი – სტეფანე თბილელი: „...დაინერა და განსრულდა ჴელითა უღირსისა

480 შესაბამისად, არ წარმოვადგენთ იმ ხელნაწერთა შესახებ ინფორმაციას, რომლებიც იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ჯვრის მონასტრის წიგნსაცავიდან გადავიდა, თუმცა არ არის ცნობილი კონკრეტულად მათი კავშირი ჯვრის მონასტერთან და ანდერძ-მინაწერები არ შეიცავს შესაბამის ცნობებს. იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ყველაზე სრული აღწერილობა შედგენილი აქვს რ. ბლეიკს: Blake R., Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarchale grecque à Jérusalem, par R. p. Blake; Revue de l' Orient Chrétien, t. III (XXIII), 1922-1923, №3-4, t. IV (XXIV), 1924, №1-2, №3-4, 1924, t.V (XXV), №1-2, 1925-1926. ხელნაწერთა დიდი ნაწილის აღწერილობა შედგენილი აქვს აგრეთვე ა. ცაგარელს: Цагарели А., Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, Православный Палестинский сборник, т. IV, вып. 10, СПб., 1888. ასევე ხელნაწერთა ერთი ნაწილის აღწერილობა შედგენილი აქვს ნ. მარს: მარი ნ. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების აღწერილობა, დასაბუთდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1955. მოკლე ცნობები ამ ხელნაწერთა შესახებ აგრეთვე შეგიძლიათ იხილოთ გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.

და ჩემ ცოდვილისა სტეფანწსითა ტფილელისათა, წმიდასა ქალაქსა იერუსალჴმსა, მონასტერსა ქართველთასა ჯუარს.“ (472v).

ხელნაწერის მომგებელია – ზაქარია: „მე, გლახაკი ზაქარია, ღირს ვიქმენ და მოვიგენ წმიდაჲ ესე წიგნი სახარებისა თარგმანი წმიდასა ქალაქსა იჴ(რუსალე)მსა საწსრად სულისა ჩემისათჴს...“ (472v).

ბოლო გვერდზე არის აღდგომელა მახარებლის მინაწერი: „აღდგომელსა მახარებელს შეუნდენ ღმერთმან.“

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№115)⁴⁸¹ და ნ. მარს (№11),⁴⁸² რ. ბლეიკს⁴⁸³ (დამონმებული ანდერძ-მინაწერები გამოქვეყნებული აქვთ ცაგარელს და მარს).

მოკლე ცნობების ხელნაწერის შესახებ აგრეთვე წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁴⁸⁴

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 156. ჰაგიოგრაფიული კრებული, 1040 წ.

გადანერის ადგილზე ცნობები არ არის, სავარაუდოდ, გადანერილი უნდა იყოს ანტიოქიაში.

გადამწერია გიორგი, რომლის მოძღვარი იყო მიქაელი: „უფალო იესუ ქრისტე... ადიდე ორთავე ცხორებათა შინა მამაჲ და მოძღუარი ჩემი მიქაელ. ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, ცოდვილისა და უღირსისა გიორგისთჴს, რომელმან ესე დაეწხრიკე უცბად სარგებელად მკითხველთა და მსმენელთათჴს. მომიწსენეთ წმიდათა ლოცვასა თქუენსა სიყუარულისათჴს ღმრთისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ საუკუნეთე და მიუკუნისამდე, ამენ. ქორონიკონი იყო სჲ, ინდიქტიონსა Ը“ (99r-101r).

ხელნაწერი ჯვრის მონასტერს შესწირა გიორგი აფხაზმა, გვარად მინინივაჲსძემ, რომელმაც ეს ნუსხა ჩამოიტანა ანტიოქიიდან, ჯვრის მონასტერში ჩამოტანილი ხელნაწერი ორი საკითხავით შეავსეს გიორგიმ და არსენმა: „მე, გლახაკმან სულითა და სანყალობელმან ქცევითა, უღირსმან გიორგი აფხაზმან შევწირე წიგნი ესე წმიდისა მართაჲს, დიდისა სჴმეონის დედისა ცხორებაჲ მონასტერსა წმიდისა ძელისა ცხორებისასა, აღშენებულსა სანატრელისა მამისა და მოძღურისა ჩუენისა გიორგი-პროხორესსა, ბრწყინავსმცა სული მათი წინაშე სამებისა წმიდისა...“; „ესე წმიდისა მართაჲს ცხორებაჲ გიორგი მინინივაჲს ძემან აფხაზმან შემოიტანა ანტიოქიათ იჴრუსალემს მონასტრისა ჯუარისათჴს, რომელი

481 Цагарели, Памятники, 176-177

482 მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, 32-34

483 Blake, Catalogue, 1922-1923, 376-377

484 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 121

ალაშენა ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან გიორგი-პროხოორე, ადიდენ ღმერთმან დიდებითა სულიერითა. და ესე წმიდისა პროკოპისი და წმიდათა ათთა მონამეთაჲ ჩუენ ჩაურთეთ, გიორგი და არსენი, და დავდევით მონასტერსა ჯუარისასა, ღმერთმან დაგაჯეროს...“ (205r-v).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ რ. ბლეიკს⁴⁸⁵ და ჟ. გარიტს.⁴⁸⁶ მეცნიერულად გამოკვლეული აქვს ე. მეტრეველს.⁴⁸⁷ ე. მეტრეველის მითითებით, ეს ხელნაწერი გვიდასტურებს კონტაქტებს, რომლებიც ჰქონიათ ანტიოქიის რეგიონში მდებარე ქართულ მონასტრებს, ათონის ქართველთა მონასტერსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტერს.

ხელნაწერის შესახებ ცნობები წარმოდგენილია ასევე გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁴⁸⁸

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი Add MS 11281, პალესტინელ მამათა „ცხოვრებების“ კრებული, XI ს. (სავარაუდოდ, 1034-1042 წწ.)

ხელნაწერი ცნობილია როგორც ე.წ. პალესტინის პატერიკი, შეიცავს 15 ტექსტს (კირილე სკითხოპოლელის, ათანასე ალექსანდრიელისა და სხვათა თხზულებებს).

გადამწერია იოანე შავი (1r, 56v, 78r, 92v, 185r, 191v, 253v, 369r-v), გადანერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, მონასტრის შენების პროცესში. მომგებელი: გიორგი-პროხოორე, ჯვრის მონასტრის აღმშენებელი (იხ. გადამწერის ანდერძი: „ღირს-ვიქმენ გლახაკი და ფრიად ცოდვილი...y(ოვ)ლისა სულისა ნათელღებულისა უსაწყალობელჴსი შავ იოვანე დაწერად წ(მიდას)ა ამას წიგნსა წმიდათა მამათასა ბრძანებითა და ლოცვითა წ(მიდ)ისა მამისა ს(უ)ლიერისა მ(ო)ძლ(უ)რისა პროხოლისითა, თავისა სიგლახაკითა, რ(ომე)ლ კ(უ)რთხ(ეულ)მან მიქაელ მეფემან ევლოგიაჲ გაყო და სადაათცა ქ(რისტე)მან მოიღის. გავასრულე და შევმოსე და დავდევე წმიდას ამას ადგილს ჯ(უა)რისასა, რომლისა შჴწნებასა თანა ვშავდებოდე, ურჩი ესე და...“ (369v).

1837 წელს ხელნაწერი შეისყიდა ბრიტანეთის მუზეუმმა ალექსანდრიელი სომეხი მღვდლისგან, სახელად კასანჯი, რასაც მოწმობს ინგლისური მინაწერი საცავ ფურცელზე ხელნაწერის დასაწყისში: (Purchased of an Armenian Priest named Casanji, of Alexandria, Nov. 11, 1837).

485 Blake, Catalogue, 1925-1926, 153

486 Garitte, Version géorgienne de la Vie de Sainte Marthe, VIII-IX

487 მეტრეველი, საზღვარგარეთის ქართული კერების ურთიერთანამშრომლობის ფაქტი, 282-286

488 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 118

ტექსტი გამოცემულია ვ. იმნაიშვილის მიერ, ამავე გამოცემაშია წარმოდგენილი ხელნაწერის აღწერილობა.⁴⁸⁹ ხელნაწერის აღწერილობა წარმოდგენილია ასევე გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ,⁴⁹⁰ მოკლე აღწერილობა წარმოდგენილია ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა დიგიტალურ მონაცემთა ბაზაში.⁴⁹¹

ხელნაწერი დაცულია ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში, ლონდონში.

სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი P3. გრიგოლ ღვთისმეტყველის და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა კრებული, 1040 წ.

ხელნაწერი შეიცავს „მათეს თავის თარგმანების“ ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანს. გადანერვილია ანტიოქიას, წმ. სვიმეონის მონასტრის სანახებში, კალიპოსის ქართველთა მონასტერში, გადამწერები არიან: ძმები გაბრიელ და იოვანე დეკანოზნი, ივანენმიდელ საფარელნი (427r-428r).

ხელნაწერი გადამწერებს შეუწირავთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის, რომლის წინამძღვარიც იყო გიორგი-პროხორე: „... დაიწერა წ(მიდა)ე ესე წიგნი დასაბამითგ(ა)ნ წელთა ხქედ, ჴელითა ჩ(უე)ნითა ც(ო)დვ(ი)ლითა და შეიმოსაცა ქ(უე)ყ(ა)ნასა ასურეთისასა, საზღვართა ანტიოქიისათა, სანახებთა წმიდისა სუმეონ საკურველთმოქმედისათა, საყოფელსა წმიდისა ღ(მრ)თის მშ(ო)ბ(ე)ლისასა, მონასტერსა ქართველთა კალიპოსს, მეფობასა ბერძენთა ზ(ედ)ა წ(მი)დისა მეფისა მიხაილისსა და აფხაზთა და ქართველთა ზ(ედ)ა ბაგრატ კურაპალატისასა, ადიდენ ღ(მერთმა)ნ მეფობაე მათი. ქრონიკონსა სე... სახელითა ყ(ოვ)ლა(ა)დ წ(მი)დისა სამების(ა)თა შევწირეთ წ(მიდა)ე ესე წიგნი ჩ(უე)ნ, გლახაკთა და ცოდვილთა გ(ა)ბრ(ი)ელ და იოვანე დიდისა გულსმოდგინებითა წმიდასა მონასტერსა ღმრთის მიერ აღშენებულსა ჯუარს, რომელი აღეშენა ჴელითა წმიდისა და სანატრელისა მამისა და მოძღურისა ჩუენისა პროხორესითა მახლობელად წ(მიდა)სა ქალაქსა იჭრუსალემსა და ესე იქმნა ზეობას(ა)ვე და წინამძღურობასა მათსა...“ (427r-428r).

ხელნაწერი აღწერილია თ. ბრეგაძის მიერ.⁴⁹² ვ. ჯობაძეს ხელნაწერი გამოყენებული აქვს ანტიოქიის რეგიონის ქართული მონასტრების შესწავლის ერთ-ერთ ნყაროდ.⁴⁹³ კრებულის შესახებ ასევე იხილეთ გამოცემა:

489 იმნაიშვილი ვ., მამათა ცხორებანი

490 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 43-44. აქვე იხ. ბიბლიოგრაფია

491 http://www.bl.uk/manuscripts/FullDisplay.aspx?ref=Add_MS_11281&index=0

492 ბრეგაძე, აღწერილობა. 70-78

493 W. Djobadze, Materials for the study of Georgian monasteries in the Western environs of Antioch on the Orontes, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 372, Subsidia, tomus 48

ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკა.⁴⁹⁴

1820 წელს ხელნაწერი იერუსალიმიდან ჩამოიტანა გიორგი ავალი-შვილმა. ამჟამად დაცულია სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში.

H 2337. თვენი, გადაწერილია გოლგოთაზე, 1049 წ.

ხელნაწერი გადაწერილია XI საუკუნის ქართველი მწიგნობრის, იოვანე გოლგოთელის დაკვეთით, ხოლო შემდგომში ის ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა, საიდანაც 1820 წელს რუსეთში წაიღო გიორგი ავალი-შვილმა.

უფრო დანვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. სტატია: უფლის საფლავის ეკლესია, სექცია: ხელნაწერები.

Jer. Geo. 7/Jer. Geo. 11. ძველი ალექსა, წინასწარმეტყველთა წიგნები, XI ს-ის II ნახევარი (ნასწორებია XII ს-ში).

ხელნაწერი ამჟამად ორ წიგნად არის აკინძული. შეიცავს ტექსტის ადრებიზანტიურ რედაქციას, რომელიც ახლოს დგას ოშკის ბიბლიასთან, თუმცა სხვაობს მისგან.

გადაწერის ადგილი – სავარაუდოდ, ჯვრის მონასტერი. გადამწერის ვინაობა ცნობილი არ არის – გადამწერის ანდერძი არ არის შემორჩენილი, ბლეიკის ვარაუდით გადამწერი უნდა ყოფილიყო სუმეონ მთაწმინდელი (ხელნაწერის Jer.Geo. 49 გადამწერი).⁴⁹⁵

ხელნაწერში შემორჩენილია მრავალი მინაწერი, რომლებშიც მოიხსენიებიან ჯვრის მონასტრის დამაარსებელი გიორგი-პროხორე და ჯვარის მამა მკარი და სხვ.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№1)⁴⁹⁶, ნ. მარს (№6 და №20)⁴⁹⁷ და რ. ბლეიკს (№7 და №11).⁴⁹⁸ მოკლე ცნობები ხელნაწერის შესახებ აგრეთვე წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁴⁹⁹

ხელნაწერი შესწავლილია, ტექსტი გათვალისწინებულია წინასწარმეტყველთა ცალკეული წიგნების გამოცემებში.⁵⁰⁰

494 მელიქიშვილი ნ., მაისურაძე მ., ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკა: ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, I, 2012, 333. იხ. ასევე: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 153

495 Blake, Catalogue, 1922-1923, 370, 374

496 Цагарели, Памятники, 143-153

497 მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, 12-13 (№6); 13-14 (№20)

498 Blake, Catalogue, 1922-1923, 370-371; 374-376

499 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 115-116

500 ბიბლიოგრაფია იხ. გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 116

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 14. ბასილი დიდის „სწავლანი“ (ეფთვიმე ათონელის თარგმანი), 1055 წ.

გადანერა და შეიმოსა იოვანე დვალისა და მისი ძის, მიქაელის მიერ, რასაც მოწმობს იოვანე დვალის ანდერძი და მინაწერები: „*დაინერა და შეიმოსა ჴელითა იოვანე დვალისაჲთა და კურთხეულისა შვილისა ჩემისა მიქაელისითა. ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო. ქორონიკონი იყო სოე*“ (487v); „*უღირსნი ამისნი მწერალნი იოვანე და მიქაელ ლოცვასა მოგკვსენენით, წმიდანო მამანო*“ (478v).

ხელნაწერი გადანერილია ჯვრის მონასტერში და შეწირულია ამავე მონასტრისთვის: „*...განსრულდა წიგნი წმიდისა ბასილისი ჯუარისათჳს. იესუ ქრისტე, ადიდჳ სულითა მამაჲ პროხორე, ჯუარისა მამენებელი, და აღუწოცენ ცოდვანი მამასა ეფთვიმეს, მომგებელსა ამისსა, კურთხეულსა სულით. ამენ*“ (478v); „*...აღვასრულჳ საჭმრითა ჩემითა და წერით და შემოსით, და შევწირე მონასტერსა ჯუარისასა იწრუსალემს, რომელსაცა აღუთქუ საწსენებლად და სალოცველად ფრიად ცოდვილისა სულისა ჩემისა და სულთა მშობელთა ჩემთასა, სულსა ფარსმანისსა...*“ (487r).

ხელნაწერის ანდერძში ჯვრის მონასტრის აღმშენებლად სახელდება გიორგი-პროხორე, ხოლო მომგებლად – ეფთვიმე: „*დაინერა და განსრულდა წმიდაჲ ესე წიგნი სულთა განმანათლებელი წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი მონასტრისათ(ჳ)ს ჯუარისა, რომელი აღაშენა წმიდამან მამამან პროხორჳ, ბრძანებითა და მოღუანებითა კურთხეულისა კაცისა მამისა ეფთვიმესითა, ქრისტემან მიეცინ მადლი კეთილი ...*“ (17r). ლ. მენაბდის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო გიორგი-პროხორეს მოძღვარი, ეფთვიმე გრძელი წყაროსთაველი.⁵⁰¹

ხელნაწერის ბოლოს დაცული ანდერძი გვანვდის ცნობას იმაზე, რომ იოვანე დვალი იყო გიორგი-პროხორეს მოწაფე: „*...ვემოწაფე ღმერთშემოსილსა და წმიდასა პროხორის, რომელმან დიდითა მოღუანებითა შუენიერად და კეთილად აღაშენა მონასტერი ცხოველსყოფელისა პატივოსნისა ჯუარისაჲ და დასხნა მას შინა ყოველნივე შუენიერნი და კეთილნი წიგნნი საღმრთონი*“ (487 r-v).

მეორედ შემკაზმველი – ბერი გერმანე ეზდაველიძე (62v).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№105),⁵⁰² ნ. მარს (№ 7),⁵⁰³ რ. ბლეიკს (№14),⁵⁰⁴ ასევე ც. ქურციკიძეს (აღნიშნული თხზულების

501 მენაბდე, კერები, II, 84

502 Цагарели, Памятники, 172-174

503 მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, 15-19

504 Blake, Catalogue, 1922-1923, 380-385

გამოცემის წინასიტყვაობაში).⁵⁰⁵

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Sin. Geo. O. 17. პარაკლიტონი, 1061 წ.

გადამწერი – გაბრიელ საყუარელი (307v); გადანერილია ჯვრის მონასტერში გიორგის მამობის დროს (იხ. გადამწერის ანდერძი): „...დაინერა წმიდაჲ ესე წიგნი წმიდასა ქალაქსა იჴ(რუსა)ლემს, მონასტერსა წმიდასა ჯუარსა, მამობასა გიორგისა. ქრისტემან ადიდენ სული მათი. ჴელით უნდოესა გაბრიელ საყუარელისითა, შეიმოსა ჴელითა მისითავე. შეუნდვენ ღმერთმან, ამენ. ქრონიკონი იყო სპა“ (307v).

შენიშნულია სინას მთის ქართველთა ეკლესიისათვის: „და შევნირენ სინას ძმათა ჩუენთა ქართველთა ეკლესიასა“ (308v).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ი. ჯავახიშვილს,⁵⁰⁶ ლ. ჯღამაიას (შესულია სინას მთის ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის მე-2 ტომში. იქვეა გამოქვეყნებული აქ მოხმობილი გადამწერის ვრცელი ანდერძის სრული ტექსტი).⁵⁰⁷ ხელნაწერი ასევე შესწავლილი აქვს პ. ინგოროყვას.⁵⁰⁸

ხელნაწერი დაცულია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში.

Jer. Geo. 48. პარაკლიტონი (გიორგი ათონელის რედაქციისა), XI ს.

გადამწერისა და გადანერის ადგილის შესახებ ცნობები არ არის. მომგებელია ჯვრის მონასტრის აღმშენებელი გიორგი-პროხოორე. ხელნაწერის ბოლოს მოთავსებული მინაწერიდან ვიგებთ, რომ გიორგი-პროხოორემ მარხვის პერიოდის საგალობელთა ეს დიდტანიანი კრებული ორ ნაწილად გაყო მისი ადვილად მოხმარების მიზნით და შესწირა მის მიერვე აღშენებულ ჯვრის მონასტერს: „სახელითა ... პატიოსნისა ჴუარისაჲთა...მე გლახაკმან პროხოორე მოვიგენ წმიდანი ესე წიგნი სულთა განმანათლებლნი პარაკლიტონი და შეექმენ ორთავად სისუბუქისათჴს, რამეთუ პირველ აღმწერელსა ამისსა რვანივე ჴმანი ერთად შეემოსნეს და მე გავყავ და ორწიგნად შეექმენ და დავსხენ წმიდასა ეკკლესიასა ჴუარისასა სალოცველად სულისა ჩემისა...“ (249v).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№89),⁵⁰⁹ რ. ბლეიკს (№48).⁵¹⁰

505 ქურციკიძე, ბასილი კესარიელის სწავლანი, 021-024.

506 ჯავახიშვილი, აღწერილობა, 39-40

507 Sin. II, 82-85

508 ინგოროყვა, ძველი ქართული პოეზია, 370, 486, 576

509 Цагарели, Памятники, 170-171

510 Blake, Catalogue, 1924/2, 390

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 24/Jer. Geo. 25. სვინაქსარი (გიორგი ათონელის რედაქციისა), ჯვრის მონასტრის ალაპები, XI ს. (Jer. Geo. 25 არის ხელნაწერის Jer. Geo. 24 გაგრძელება).

ხელნაწერში დაცული ჯვრის მონასტრის ალაპები ძვირფასი წყაროა ჯვრის მონასტრისა და ზოგადად, იერუსალიმის ქართული თემის ისტორიისათვის. ალაპები შესწავლილი და გამოცემულია ნ. მარისა⁵¹¹ და ე. მეტრეველის მიერ.⁵¹²

ხელნაწერი აღწერილი აქვს ასევე რ. ბლეიკს.⁵¹³

დიდი სვინაქსარი შესწავლილია და კრიტიკული ტექსტი გამოცემულია.⁵¹⁴

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Sin. Geo. O. 16. ოთხთავი, XI ს.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№7),⁵¹⁵ ი. ჯავახიშვილს,⁵¹⁶ ყ. გარიტს.⁵¹⁷ იხ. ასევე ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵¹⁸

ა. ცაგარელს თავის აღწერილობაში მოჰყავს გადამწერის ანდერძი, საიდანაც ირკვევა ხელნაწერის გადამწერის თარიღი, გადამწერის ვინაობა – გაბრიელ საყუარელი, მომგებლის ვინაობა – დანიელ ჯვრის დეკანოზი და გადამწერის ადგილი – ჯვრის მონასტერი: „ძალითა, მადლითა და შეწევნითა ღუთისათა ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და უნარჩეულესი ყოველთა დანიელ, მოგებად და დაწერად წმიდისა ამის სულთა განმანათლებელისა სახარებისა სადიდებელად ღმრთისა და სალოცუელად სულისა ჩემისა, სულისა მოძღვრისა ჩემისა გიორგი-პროხოვრესასა და მამისა გიორგისა, სულსა მშობელთა ჩემთა, ძმათა... სულიერისა ძმისა ჩემისა იოვანე ხუცისა და ყოველთა... დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი წმიდასა ქალაქსა იერუსალიმს, მონასტერსა წმიდასა და მამობასა გიორგისსა – ღმერთმან ადიდენ სული მათი, – ჴელითა გაბრიელ საყუარელისათა, – ღმერთმან შეუწდენ! ქორონიკონი იყო სიბ“.⁵¹⁹

511 Март, Синодикон крестного монастыря – ხელნაწერის აღწერილობა მოთავსებულია ამ გამოცემის V-XXVIII გვერდებზე

512 მეტრეველი, მასალები

513 Blake, Catalogue, 1922-1923, 405-406.

514 დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი, დიდი სვინაქსარი

515 Цагарели, Памятники, 198-199

516 ჯავახიშვილი, აღწერილობა, 36-38

517 G Garitte, Catalogue

518 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 73

519 Цагарели, Памятники, 198-199 (ტექსტი მოგვაქვს უცვლელად)

სამწუხაროდ, ხელნაწერის ბოლო ფურცელი აღნიშნული ანდერძით უკვე აღარ დახვდა ი. ჯავახიშვილს „Последний лист, на котором при А. Цагарели имелась полная запись, вырван, см. его Каталог“.⁵²⁰

სავარაუდოდ. ა. ცაგარელთან თარიღი არაზუსტად არის ამოკითხული (ქორონიკონი სიბ =992 წ.), რადგან ანდერძში მოიხსენიება გიორგი პროხოროე და ჯვარის მამა გიორგი. ანდერძში მოხსენიებული ხელნაწერის გადამწერი გაბრიელ საყუარელი არის ჯვრის მონასტერშივე 1061 წელს გადაწერილი პარაკლიტონის (Sin.Geo.O. 17) გადამწერიც. ეს ხელნაწერიც დაახლოებით მისი თანადროული უნდა იყოს.

ხელნაწერი დაცულია სინას მთის ნმ. ეკატერინეს მონასტერში.

H 2336. თვენი (გიორგი მთაწმიდელის რედაქცია), XI ს.

გადაწერის ადგილი და გადამწერის ვინაობა არ არის ცნობილი.

ხელნაწერზე დართული ანდერძიდან ვიგებთ, რომ 1570 წელს ხელნაწერი ჯვრის მონასტერში აუკინძავს ვლასი ურბნელს, ტფილელი ეპისკოპოსის, ბარნაბას ბრძანებით: „...ლირს ვიქმენ მე, ურბნელ მთავარეპისკოპოსი ვლასი შეკაზმად წმიდისა ამის წიგნისა თუცთა აპრილისათა. რამეთუ ყამთა სიგრძისგან განწყუნილ და უწმარქმნილ იყო. და ჩუცნ ახლად ბრძანებითა და ჯერჩინებითა მამისა ჩუცნისა ტფილელ მთავარეპისკოპოსისა ბარნაბისითა ჴელეყავ შეკაზმად სალოცველად ცოდვილისა სულისა ჩუცნისა... შეიკაზმა წმიდაჲ ესე წიგნი ქორონიკონსა სნც“ (262 რ).

ხელნაწერის პირველ ფურცელზე მოთავსებული მინაწერი ცხადყოფს, რომ მეფე დავითის მოძღვარს, ილარიონ ოპიზარს შეუსყიდია ეს ხელნაწერი: „ე[სე]...წმიდა დავით მეფისაჲ არის, ოპიზარმან ილარიონ იყიდა, მეფისა მოძღვარმან“ (1 რ).⁵²¹

ხელნაწერის აღწერილობა შესულია H ფონდის კოლექციის აღწერილობის V ტომში.⁵²² მოკლე აღწერილობა აგრეთვე შესულია გამოცემაში: უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები.⁵²³

1820 წელს ხელნაწერი იერუსალიმიდან ჩამოიტანა და სანკტ-პეტერ-ბურგის სააზიო მუზეუმს გადასცა გიორგი ავალიშვილმა, ხოლო 1923 წელს ხელნაწერი გადაეცა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას.

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

520 ჯავახიშვილი, აღწერილობა, 38

521 შდრ. ხელნაწერზე Jer. Geo. 21 ილარიონ ოპიზრის მინაწერი: „ესე წიგნი ჯუარისაჲ მეფეთ მეფისა დავითის ცოდვათა შესანდობელად მე, მისმან მოძღუარმან ოპიზარმან ბერმან ილარიონ დავიჭსენი სპარსთაგან მას ყამსა, ოდეს ჯუარის მონასტერი სპარსთა დაეჭირა“(332v)

522 H კოლექცია, V, 231-232. აქვე არის გამოქვეყნებული ანდერძის სრული ტექსტი

523 უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები, 40

H 2339. თენი (გიორგი ათონელის რედაქციისა), XI ს.

გადანერის ადგილი და გადამნერის ვინაობა არ სახელდება. XVII საუკუნეში და შემდგომ ხელნაწერი ჯვრის მონასტრის კუთვნილება იყო. 1649 წელს ხელნაწერი ჯვრის მონასტერში შეკაზმა დიაკვანმა გრიგოლმა: „... ქრისტესითგან ათას ექუსას ორმოცთა ცხრაჲ იყო. ჯუარო პატიოსანო, შემინყალე მე ცოდვილი ამის შემკვრელი, ფრიად ცოდვილი დიაკონი გრიგოლ, პატიოსნისაჲ ჯვარისა ქართველთ მონასტრისაჲ“ (172 r-v).

იმავე ვრცელი ანდერძიდან ირკვევა, რომ გრიგოლს ხელნაწერი შეუკაზმავს ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ბრძანებით. აღნიშნული ანდერძი შეიცავს საგულისხმო ცნობებს XVII საუკუნეში ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილის თაოსნობით ჯვრის მონასტრის განახლების შესახებ (173v-174v), ასევე მონასტრის ფინანსური სირთულეების შესახებ: „ქ. წმიდანო მამანო, ოდეს ესე წიგნი ვიმუშავე, მაშინ დიად განსაცდელში იყო წმიდა მონასტერი, ოთხი ათასი მარჩილი ვალი ეკიდა მონასტერსა, პურისა და ღვინის ფასიც არა მქონდა, უწყის უფალმან, ამის მეტი რა მოგახსენოთ, რომ ამ წიგნის სამოსიც ვერ მიშოვეს და მე არა მქონდა რა. და ერთი მღვდელი მლოცავი მოინია შავშეთით, და იმან შემოანია სამოსი ამ წიგნისა. ჯვარმან პატიოსანმან სასუფეველი ცათაჲ მისცეს ამის წილ“ (174v).

ხელნაწერის აღწერილობა შესულია H ფონდის კოლექციის აღწერილობის V ტომში.⁵²⁴ მოკლე აღწერილობა აგრეთვე შესულია გამოცემაში: უცხოეთში გადანერილი ქართული ხელნაწერები.⁵²⁵

1820 წელს ხელნაწერი იერუსალიმიდან ჩამოიტანა და სანკტ-პეტერ-ბურგის სააზიო მუზეუმს გადასცა გიორგი ავალიშვილმა, ხოლო 1923 წელს ხელნაწერი გადაეცა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას.

ამჟამად ხელნაწერი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

S 353. გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, XI ს.

ტექსტს დართული აქვს გიორგი მთაწმიდელის სახელზე დანერილი საგალობლები.

ხელნაწერში გაირჩევა რამდენიმე ხელწერა. გადამნერის ვინაობა და გადანერის ადგილი არ არის მითითებული. XVI საუკუნის 70-იან წლებში ხელნაწერი ჯვრის მონასტერშია, ის შეუკაზმავს ბარნაბა ტფილელს: „ღმერთო შეინყალე ცოდვილი ტფილელ მთ(ავარეპისკ)ო(პო)ზი, ჯვრის მამა ბარნაბაჲ, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი შეჰკაზმა და მშობელნი მისნი“ (3 r).

524 H კოლექცია, V, 233-235. აქვე არის გამოქვეყნებული ანდერძის სრული ტექსტი

525 უცხოეთში გადანერილი ქართული ხელნაწერები, 42

ხელნაწერის აღწერილობა შესულია S ფონდის კოლექციის აღწერილობის I ტომში.⁵²⁶ მოკლე აღწერილობა აგრეთვე შესულია გამოცემაში: უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები.⁵²⁷

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი E16. იოანე ოქროპირის „მარგალიტი“ და სხვა თხზულებები (ეფთვიმე ათონელის თარგმანები), XI ს.

ხელნაწერი გადაწერილია პალესტინის წმ. სამოელის მონასტერში და შეწერილია ამავე მონასტრისთვის (329r-330r).

მოგვიანებით ხელნაწერი ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა, საიდანაც 1820 წელს სანკტ-პეტერბურგში ჩაიტანა გიორგი ავალიშვილმა.

ამჟამად ხელნაწერი დაცულია სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში.

უფრო დანვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. სტატია: წმ. სამოელის მონასტერი, სექცია: ხელნაწერები.

სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი M 13. იოანე ოქროპირი, იოანეს სახარების თარგმანება, 1038 წ.; XIII-XIV სს.

აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ცნობილი ხელნაწერი, რომელიც წმ. საბა განწმედილის ლავრაში გადაწერა 1038 წელს მიქაელ ჩიხუარელმა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის აღმშენებლის, გიორგი-პროხოროს დაკვეთით (487r, 488r). მანვე (გიორგი-პროხოროს) შესწირა ხელნაწერი იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერს (488r).

ჯვრის მონასტერშივე იყო ხელნაწერი რესტავრირებული – ერთხელ XIII-XIV სს-ში, როდესაც I ნაწილის შევსების მიზნით გადაიწერა ხელნაწერის II ნაწილი; და მეორედ – 1570 წელს, ვლასი ურბნელის მიერ, ბარნაბა ტფილელის დაკვეთით, როცა იგი ხელახლა იქნა აკინძული (489r).

უფრო დანვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. სტატია: წმ. საბას მონასტერი, სექცია: ხელნაწერები.

ბოდლეს ბიბლიოთეკის ხელნაწერი MS. Georg. b. I. ჰაგიოგრაფიული კრებული, XI ს.

კრებულის პირველ ნაკვეთში წარმოდგენილია მამათა „ცხოვრებები“ (პატერიკი), მეორეში – დედათა „ცხოვრებები“ (მატერიკი).

526 S კოლექცია, I, 409-411

527 უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები, 46

გადანერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის. გადამწერი/ მომგებელი – გიორგი-პროხორო: „ღირს მყო ღმერთმან მე, გლახაკი პროხოროე დანერად ამის სულთა განმანათლებელისა წმიდათა მონამეთა წიგნისა და გავასრულე და შევმოსე და დავდევე ნებითა ღუთისაათა და შეწვევითა ყოველთა წმიდათაათა ჩემ მიერ აღწებულსა ეკლესიასა წმიდისა ჯუარისასა“ (312v).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ პ. პეეტერსს,⁵²⁸ დ. ბარეტს.⁵²⁹ ხელნაწერის აღწერილობა წარმოდგენილია ასევე გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵³⁰

ხელნაწერი დაცულია ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში.

Dumbarton Oaks MS 2. თვენი (დეკემბერ-იანვარ-თებერვლის მასალა), XI ს.

შეიცავს დეკემბრის, იანვრისა და თებერვლის მასალას.

გადამწერი: იოვანე დვალი, შემმოსველი: ნისტერეონი. გადანერილია ჯვრის მონასტრისათვის, მისი აღმშენებლის, გიორგი-პროხოროეს დავალებით: „...განსრულდა ესეცა წიგნი სამი თთუჴ, დეკენბერი, იანვარი და ფებერვალი, ბრძანებითა და მოღუანებითა ღ(მერ)თშემოსილისა მამისა და მოძღურისა გიორგი პროხოროესითა ... ლოცვასა მომიჯსენეთ ცოდვილი უცბად მჩრეკალი იოვანე დვალი...“ (377r).

1883 წლის შემდეგ ხელნაწერი გადაიტანეს ჯერ ევროპაში, შემდეგ აშშ-ში.

ხელნაწერი აღწერილი აქვს ა. ცაგარელს (№36).⁵³¹ რ. ბლეიკისა და ნ. მარის შედგენილ აღწერილობებში ეს ხელნაწერი შესული არ არის, რადგან მათ ხელნაწერი აღარ დახვდათ ადგილზე.

შემდგომში ხელნაწერი ნაკვლევი აქვთ კ. კეკელიძეს,⁵³² რ. ბლეიკს⁵³³ და ჟ. გარიტს.⁵³⁴ ხელნაწერის შესახებ ცნობები წარმოდგენილია ასევე გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵³⁵

ამჟამად ხელნაწერი დაცულია აშშ-ში, დუმბარტონ ოუქსის ბიბლიოთეკაში.

528 Peeters, De Codice Hiberico Bibliothecae Bodleianae Oxoniensis, 301-306

529 Catalogue of the Wardrop Collection, 305

530 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 60-61

531 Цагарели, Памятники, 164

532 კეკელიძე, უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუნენისა, 5-55

533 Blake, Georgian Menaion from Palestine, 97-104

534 Garitte, Le ménée géorgien de Dumbarton Oaks, 29-64

535 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 28

სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაერთა ინსტიტუტის ხელნაერი H 18. ფსალმუნთა თარგმანება, XI-XII სს.

ხელნაერი შეიცავს ფსალმუნთა თარგმანების ეფრემ მცირისეულ თარგმანს.⁵³⁶ გადამწერის ვინაობა არ არის დასახელებული. გადამწერილია კუნძულ კვიპროსზე, ჟალიას (ღალიას) ქართველთა მონასტერში, კონკრეტულად, ამ მონასტრის სოხასტერში: „ხოლო დაინერა კჳპრეს, ქართველთა მონასტერსა ჟალიას, არა ხოლო შინა, არამედ ორ მილიონ შორს მონასტრისაგან. ხოლო [ზო]გამცა გვხარის სამთავე: მე – აღწერისათჳს და ჭირით შრომისა, ხოლო მკითხველსა – შრომით და ცხადად კითხვისათჳს; ხოლო მსმენელთა – საქმით აღსრულებისათჳს წარკითხულისა, რაჟთა თქუენითა სათნოებითა მეცა ვცხოვნდე და ერთობით ყოველნი ღირს ვიქმნეთ კეთილთა მათ საუკუნეთა თავადისა ქრისტეს ღმრთისა ...მისსა დიდებაჲ ან და დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკ~ე. ა~ნ“ (389v).

როდის იქნა ჩამოტანილი ეს ხელნაერი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, ცნობილი არ არის. უდავოა, რომ XVI საუკუნიდან იგი ჯვრის მონასტერში ინახებოდა, რასაც ადასტურებს ბენეა ჩოლოყაშვილის მიწნაწერი: „ქ. ღმერთო და ჯუარო პატიოსანო, შეინყალე პატრონი მეფე მეფეთა გ(იორგ)ი და აცხოვნე ჩოლყასშვილი ჯუარის მამა ცოდვილი ბენეა. აქა იელუსალემს (sic) მოვე მე ჩემის ქრისტეს ღმრთის შეცოდებული და მემრუშე, მეძავი და ყოვლით ცოდვილი პინილად (sic) აღსავსე ქრ~კსა ს (sic). ამა წიგნსა შეკაზმა დაუპირე, მაგრა არა ღონე იქნებოდა გაკეთებისა. შენდობა მიბრძანეთ, ღმრთის მადლსა, მამანო სულიერნო. აჰა, დაუნყე (sic) კაზმა ღმრთისა შეწვენითა, მაგრა ერთობ დამაღონა. თავმან თქუენმან, დიდი ჭირი ვნახე. შენდობა მიბრძანეთ, ღმრთის მადლსა“ (95v).

ხელნაერში ასევე დაცულია პილიგრიმის, ლავრენტი ოკრიბელის 1807 წლით დათარიღებული საგულისხმო მიწნაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ იერუსალიმის წმ. საფლავის ეკლესიაში, წმ. თევდორეს, წმ. ნიკოლოზისა და წმ. აბრაამის მონასტრებში დაცული იყო ქართული წარწერები. (391r).⁵³⁷

ხელნაერი 1820 წლამდე წარმოადგენდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კოლექციის ნაწილს, საიდანაც 1820 წელს რუსეთში ჩამოიტანა გიორგი ავალიშვილმა.

536 თარგმანების ტექსტისა და მისი შედგენილობის შესახებ იხ. შანიძე, მზ., შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა (ტექსტი და შენიშვნები), საიუბილეო, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, თბილისი, 1968, 77-100; შანიძე, მზ., ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების ტექსტისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისი, 1971; შანიძე, მზ., ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბილისი, 1979

537 მიწნაწერის ტექსტი გამოქვეყნებულია, იხ. ცერაძე, ხოფერია, ქართულ ხელნაერთა აღწერილობა, 369

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№146),⁵³⁸ მ. ბროსეს,⁵³⁹ თ. ჟორდანიას,⁵⁴⁰ თ. ცერაძესა და ლ. ხოფერიას.⁵⁴¹

ამჟამად დაცულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი Georg. 28. ოთხთავი, XII ს.

ხელნაწერი შემკულია მახარებელთა მინიატურებით.

გადამწერი: მაღლავითის ძე, მომგებლები: ბასილი და დემეტრე მონაზვნები; ოთხთავი გადანერილია საქართველოში და შეწირულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრისთვის (224v).

XVI საუკუნეში ხელნაწერის ყდა ჯვრის მონასტერში განუახლებია ვლასი ურბნელს (247v).

ოთხთავს ერთვის ტამპლიერთა ორდენის წევრთა და შეჰანის მოღვაწეთა მოსახსენებლები (246v).⁵⁴²

ხელნაწერის დეტალური აღწერილობა და ზოგიერთი აღაპ-მოსახსენებელი პირველად გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა, რომელიც ხელნაწერს, პალეოგრაფიული მონაცემებით, XIII ს-ით ათარილებდა.⁵⁴³ ხელნაწერის მოსახსენებლები შესწავლილი აქვს ე. მეტრეველს, რომელიც ხელნაწერს ამ მოსახსენებლების მიხედვით XII ს-ით ათარილებს.⁵⁴⁴

ხელნაწერის მოკლე აღწერილობა აგრეთვე შესულია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵⁴⁵

ხელნაწერი დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 51. პატრიკი, XII ს.

გადამწერის ვინაობა და გადანერის ადგილი უცნობია.

XVI ს-ში წიგნი ხელახლა აუკინძავთ ჯვრის მონასტერში ჯვარის მამა ეპიფანეს დავალებით: „*მე, სულითა სანყალობელმან და ყოვლდ ცოდვილმან მღდელთმთავარმან და წმიდათ ქალაქსა იჰრუსალემსა კეთილად მსახურთა და ღმრთივდაცულთა მეფეთაგან წარმოვლინებულმან აქა წმიდისა გოლგოთისა ... პატრიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯუარისა მონასტრისა მამად და წინამძღვრად ჩინებულმან უღირსმან ეპიფანე*

538 Цагарели, Памятники, 188-191

539 Brosset, Notice des manuscrits géorgiens, 632

540 ჟორდანია, ქრონიკები, I, 128

541 ცერაძე, ხოფერია, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 356-370

542 მოსახსენებლების შესახებ იხ. მეტრეველი, ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ხელნაწერი

543 თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, 61

544 მეტრეველი, ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ხელნაწერი (აქვეა წარმოდგენილი ხელნაწერის მოკლე აღწერილობაც); ასევე იხ. მეტრეველი, შეჰანის უდაბნო, 235

545 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 211-212

მეგჰკაზმე წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი ...“ (389r). ხელნაწერის მინაწერებში მოიხსენიება ასევე შემკაზმველი იოსებ ყოფილი [ი]ონაჲ მლთდელმონაზონი ხუნტუს ძე(1r).

ხელნაწერი აღწერილი აქვს ა. ცაგარელს (№111),⁵⁴⁶ რ. ბლეიკს,⁵⁴⁷ ხელნაწერს განიხილავს ასევე ე. მეტრეველი.⁵⁴⁸ მოკლე აღწერილობა წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნისა ზღვარგარეთ.⁵⁴⁹

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

H 1661. გიორგი მთაწმიდელის დიდი სვინაქსარი (ე.წ. გოლგოთის სვინაქსარი), 1155 წ.

ჯვრის მონასტერშია გადაწერილი ცნობილი „გოლგოთის სვინაქსარი“ (338v), რომელიც აღდგომის ეკლესიას ეკუთვნოდა – ხელნაწერში დაცული XV-XVI სს. ალაპები, ასევე აღდგომელა მახარებლის მინაწერი (1401-1407 წწ., 3r) მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს იერუსალიმის ქართველთა ქრისტიანული თემის საკუთრებათა და უფლებათა შესახებ. ხელნაწერი აგრეთვე შეიცავს ჯვაროსანთა, ტამპლიერების ორდენის წევრთა მოსახსენებლებს (XII ს-ის II ნახ.).

უფრო დანვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. სტატია: უფლის საფლავის ეკლესია, სექცია: ხელნაწერები.

A 1347. თეოდორე სტუდიელი, სწავლანი (გიორგი მთაწმინდელის თარგმანი), XII ს.

გადამწერი: მიქაელ გვრგენის ძე (158v, 203r).

გადამწერილია ჯვრის მონასტერში, ვაჰანის ქვაბების წმიდა გიორგის ეკლესიისათვის: „...მე, გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან მიქაელ გვრგენისძემან, დავწხრიკენ წმიდაჲ ესე სულთა განმან(ა)თლებელი სტუდიელი, სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა, სანახებსა წმიდისა იწრუსალემისასა, მონასტერსა ჯუარისასა. სახელსა ზედა წმიდისა მთავარმონამისა გიორგისასა, ვაჰანის ქუაბთასა ...“ (203 r).

ხელნაწერის აღწერილობა შესულია A ფონდის კოლექციის აღწერილობის IV ტომში.⁵⁵⁰ მოკლე აღწერილობა აგრეთვე შესულია გამოცემაში: უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები.⁵⁵¹

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

546 Цагарели, Памятники, 174-175

547 Blake, Catalogue, 1924/2, 393-394

548 მეტრეველი, მასალები, 112, 266. მასვე აქვს გამოქვეყნებული ანდერძი

549 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 125

550 კოლექცია A, IV, 429-432. აქვეა გამოქვეყნებული ანდერძი

551 უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები, 50

Jer. Geo. 20. შერეული კრებული, XII-XIII სს.

კრებული შეიცავს იოანე სინელის კლემაქსის ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანს და ჰაგიოგრაფიულ თხზულებას.

ხელნაწერის გადამწერია იოსები (283v). გადანერის ადგილი უცნობია, თუმცა მოგვიანებით (XVI ს-ში) ხელნაწერი ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა – 1514 წ. ის ხელახლა შეუკაზმავს ჯვარის მამა ბენა ჩოლოყაშვილს, რაც ცხადი ხდება მინაწერიდან: „ამა წიგნისა მეორედ შემკაზმავსა ჩოლოყასშვილსა ბენას შეუდნეს ღმერთმან. ქორონიკონსა სბ შეიკაზმა და ამა კუირასა, დღესა სამშაბათსა, შევაბი აღდგომის კარი ნებითა ღ(მრ) თისათა.... „(2v).

ხელნაწერს აქვს კიდევ არაერთი გვიანდელი მინაწერი, რომლებშიც მოიხსენიებიან ბარნაბა ტფილელი, ბესარიონი და სხვა პირები.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№136 ან 137)⁵⁵², ნ. მარს (№14),⁵⁵³ რ. ბლეიკს (№20)⁵⁵⁴.

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 59. ლექციონარი, XII-XIII სს.

შეიცავს მთელი წლის ძველი აღთქმისა და მარხვა-აღდგომის ახალი აღთქმის საკითხავებს.

გადამწერის ვინაობა და გადანერის ადგილი მითითებული არ არის. შეიკაზმა ჯვრის მონასტერში. პირველი საცავი ფურცლის recto-ზე მინაწერიდან ვიგებთ, რომ ხელნაწერი აკინდა „მახარობელმან“ ჯვრის მონასტერში. ბოლო ფურცელზე არის არსენ ალავერდელის (სავარაუდოდ, დამკვეთის) მოსახსენებელი მინაწერი (288v).

ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ბლეიკს.⁵⁵⁵ მოკლე ცნობები ხელნაწერის შესახებ აგრეთვე წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵⁵⁶

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

552 Цагарели, Памятники, 181 (ცაგარლის აღწერილობა უკიდურესად მოკლეა, ის ხელნაწერს XIV-XVI სს-ით ათარილებს)

553 მარი, იერუსალიმის ხელნაწერების აღწერილობა, 37. მასვე აქვს გამოქვეყნებული ბენა ჩოლოყაშვილის დამონებული მინაწერი

554 Blake, Catalogue, 1922-1923, 396-397

555 Blake, Catalogue, 1924/2, 396

556 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 130

Jer. Geo. 102. ოთხთავი (გიორგი ათონელის რედაქციისა), XII-XIV სს. მახარებელთა მინიატურებით.

გადამწერი: იოანე, გადაწერის ადგილი: სავარაუდოდ, ჯვრის მონასტერი (იხ. გადამწერის ანდერძი 234r-ზე. ანდერძში გადამწერის სახელი რ. ბლეიკს ამოკითხული აქვს როგორც: „ჯვ^სწველი“ – დაინერა წმიდაჲ ესე სახარებაჲ ჳელითა ი(ოანე)ჲ ჯვსწველისაჲთა – რასაც იგი ხსნის ასე: ჯუარის ვანელისაჲთა⁵⁵⁷).

ხელნაწერი აღწერილი აქვს ა. ცაგარელს (№8),⁵⁵⁸ რ. ბლეიკს.⁵⁵⁹ მოკლე აღწერილობა წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵⁶⁰

ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 127. ჟამნი, XII-XV სს.

ხელნაწერის მოკლე აღწერილობა შედგენილი აქვთ ა. ცაგარელს (№24 – ა. ცაგარელი ხელნაწერს XII-XIV საუკუნეებით ათარიღებს),⁵⁶¹ რ. ბლეიკს,⁵⁶² ასევე შესულია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵⁶³

კრებულს ერთვის ბენა ჩოლოყაშვილის ანდერძი ყდის საცავ ფურცელზე ბოლოში. ხელნაწერს განიხილავენ ასევე ე. მეტრეველი და ლ. მენაბდე.⁵⁶⁴

ლაიფციგის უნივერსიტეტის ხელნაწერი Cod. Ms. V 1095. UB. ჯვრის მონასტრის ალაპები (ე.წ. ტიშენდორფისეული ნუსხა), XII-XXVII სს.

ამ ნომრით გატანილია ერთ საქალაქში მოქცეული სამი სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტი, რომელთაგან ერთ-ერთია ალაპები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარიდან.

ხსენებული ფრაგმენტი 4 ფურცელს მოიცავს და ორი ნაწილისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთს არ უკავშირდება: I ნაწილი მოიცავს ერთი ხელით დაწერილ ორ ფურცელს და შეიცავს მარხვისა და ზატიკის კვირებზე განწესებულ ალაპათა ნუსხას. მეორე ნაწილი შეიცავს უშუალოდ ალაპებს, დაწერილს სხვადასხვა ხელით, უმრავლესობა XV ს-შია დაწერილი, ყველაზე გვიანდელი – XVII ს-ში.

557 Blake, Catalogue, 1924/2, 418

558 Цагарели, Памятники, 254

559 Blake, Catalogue, 1924/2, 418-419

560 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 117

561 Цагарели, Памятники, 157

562 Blake, Catalogue, 1925-1926, 133

563 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 133

564 მეტრეველი, მასალები, 37, 40; მენაბდე, კერები, II, 112-113

მოკლე ცნობები ლაიფციგის ამ ფრაგმენტების შესახებ წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵⁶⁵ ჯვრის მონასტრის აღაპები შესწავლილი და გამოცემულია.⁵⁶⁶

ხელნაწერი დაცულია ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 86. დასდებულნი აღდგომისანი, XIII ს.

ხელნაწერი არ არის შესწავლილი. მოკლე აღწერილობა შედგენილი აქვს რ. ბლეიკს. მკვლევარი მიუთითებს, რომ ხელნაწერი გადანერილია ჯვრის მონასტერში.⁵⁶⁷

ამჟამად დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური სა-პატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Kut. 25. რჯულის კანონი, XIII ს.

გადამწერი – გრიგოლ ჩახრეხაძე, გადანერილია ჯვრის მონასტრისთვის: „...არარაჲს სხჳსათ(ჳ)ს მოვიჭირვე წერაჲ ამისი, თჳნიერ რომელ სიყუარული მქონდა ცალკერძ წმიდისა მონასტრისა პატიოსნისა ჯუარისაჲ და მერმე ამის წმიდისა წიგნისაჲ. და ესე დავიდევ გონებასა ჩემსა, ვითარმედ უკუჭთუ ღირს-მყოს ღმერთმან და წმიდასა მონასტერსა პატიოსნისა ჯუარისასა შინა შეინყნარონ, მაშა თჳთ კეთილ. და ვიდრე ცოცხალი ვიყო, არა დავაკლდეგი ხილვასა ამისსა...“ (296 r).

როგორც ირკვევა მეორე მინაწერიდან, 1622 წელს ეს ხელნაწერი იერუსალიმში უნახავს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს და კვლავ ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავს (300 v).

ხელნაწერის აღწერილობა შესულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში.⁵⁶⁸ მოკლე აღწერილობა აგრეთვე შესულია გამოცემაში: უცხოეთში გადანერილი ქართული ხელნაწერები.⁵⁶⁹

ხელნაწერი დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, სადაც შესულია გელათის მონასტრიდან.

Jer. Geo. 133. ფსალმუნნი, XIII-XIV სს.

გადამწერის ვინაობა და გადანერის ადგილი არ არის ცნობილი. 1532 წელს ხელახლა იყო აკინძული და ყდაში ჩასმული ბენა ჩოლოყაშვილის მიერ (1r, 5v).

ხელნაწერის ძალიან მოკლე აღწერილობა შეტანილია ა. ცაგარლის

565 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 37

566 Март, Синодикон крестного монастыря; მეტრეველი, მასალები, 72-78

567 Blake, Catalogue, 1924/2, 413

568 ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 110-116

569 უცხოეთში გადანერილი ქართული ხელნაწერები, 56

კატალოგში (№4 – იგი ხელნაწერს XIV-XVI სს-ით ათარიღებს),⁵⁷⁰ ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ბლეიკს,⁵⁷¹ მოკლე აღწერილობა ასევე წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵⁷² ტექსტი გათვალისწინებულია ფსალმუნის გამოცემაში.⁵⁷³

ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 136. ფსალმუნი, XIII-XIV სს.

ხელნაწერის გადამწერის ვინაობა და გადანერის ადგილი არ არის ცნობილი. ხელნაწერი ხელმეორედ აუკინძავს ჯვრის მონასტერში ელისე დმანელ ეპისკოპოსს: „*მე უღირსმან დმანელ ეპ(ი)სკ(ოპო)სმან ელისემ შევეკარ წმ. ესე დავითნი ჯვარის მონასტერს*“ (2r).⁵⁷⁴

ხელნაწერი აღწერილი აქვს ა. ცაგარელს (№6),⁵⁷⁵ რ. ბლეიკს,⁵⁷⁶ მოკლე აღწერილობა ასევე წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵⁷⁷

ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 65. პარაკლიტონი, XIII-XIV სს.

დევეთუბნის მონასტრის კუთვნილი ეს ხელნაწერი მალევე ჯვრის მონასტერში გადაუტანიათ, რასაც მოწმობს XIII-XIV სს-ის მინაწერი (1v).

უფრო დაწვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. სტატია: დევეთუბნის მონასტერი, სექცია: ხელნაწერები.

Jer. Geo. 87. ზატიკი, XIII -XVI სს.

გადანერილია ჯვრის მონასტერში ბერ იაკობის მიერ (186v).

ყდის პირველი საცავი ფურცლის verso-ზე ბენა ირუბაქისძე ჩოლოყაშვილის მოსახსენებელი მინაწერი: „*ქ. აცხოვნე პატრონი მეფე მეფეთა გიორგი და მაცხოვნე მე ც(ოდვილი)ი იერუბაქის ჩოლოყას შკლი ბენა, ...აქა იერუს(ალჴ)მს მოვინიე ქორონიკონსა ს*“ (=1512 წ.).⁵⁷⁸

570 Цагарели, Памятники, 154

571 Blake, Catalogue, 1925-1926, 137

572 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 117

573 შანიძე, მზ., ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები

574 მინაწერის ტექსტი მოგვყავს ა. ცაგარლის კატალოგის მიხედვით – Цагарели, Памятники, 153

575 Цагарели, Памятники, 153

576 Blake, Catalogue, 1925-1926, 138

577 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 117

578 ვუთითებთ ა. ცაგარლის გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით: Цагарели, Памятники, 167-168

ხელნაწერი აღწერილი აქვს ა. ცაგარელს (№71 – იგი ხელნაწერს XIII-XIV სს-ით ათარილებს),⁵⁷⁹ რ. ბლეიკს (ათარილებს XVI-XVII სს-ით, თუმცა ბენა ჩოლოყაშვილის მინაწერის მიხედვით, ხელნაწერის ზედა ზღვარი XVI ს-ის პირველი ნახევარია).⁵⁸⁰ მოკლე აღწერილობა წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵⁸¹

ამჟამად ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 21. ეგზეგეტიკური და ჰომილეტიკური საკითხავების კრებული, XIII-XVI სს.

ხელნაწერი იერუსალიმის კაპათას მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა, შემდეგ კი – ჯვრის მონასტრისა, რასაც მონაწილეს მისი მინაწერები (1r; 2v; 5v, 332v). როგორც მინაწერიდან ირკვევა, მონასტრიდან ხელნაწერი გაუტაციათ, ხოლო ბერ ილარიონ ოპიზარს იგი ჯვრის მონასტრისთვის დაუბრუნებია (332v).

უფრო დანვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. სტატია: კაპათას მონასტერი, სექცია: ხელნაწერები.

Jer. Geo. 120. ჰაგიოგრაფიული კრებული, XIV-XV სს. (ხელნაწერის დასაწყისში 59 ფურცელი შევსებულია XVII ს-ში).

გადამწერი – მღვდელ-მონაზონი იაკობი (მინაწერი დასაწყისში).

შემკაზმავი – ჯვარის მამა ეპიფანე, (რომელსაც ასევე შეუკაზმავს ხელნაწერი Jer.Geo.51. იგი ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იყო 1567-1593 წწ-ში: „სულსა ამა წიგნის შემმოსავსა პაპა იაკობს შს ღწ და შემკაზმავსა ჯუარის მამას ეპიფანეს...“ (239r).⁵⁸²

ხელნაწერი აღწერილი აქვს ა. ცაგარელს (№108 – იგი ხელნაწერს XIII-XV სს-ით ათარილებს),⁵⁸³ რ. ბლეიკს,⁵⁸⁴ მოკლე აღწერილობა ასევე წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵⁸⁵

ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

579 Цагарели, Памятники, 167-168

580 Blake, Catalogue, 1924/2, 413

581 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 137

582 მეტრეველი, მასალები, 37-38

583 Цагарели, Памятники, 174. მასვე აქვს გამოქვეყნებული დამონმებული მინაწერი

584 Blake, Catalogue, 1924/2, 427-429

585 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 120-121

Jer. Geo. 76. პავლენი, გიორგი ათონელის რედაქციისა, XIV ს.

ხელნაწერი იერუსალიმის წმინდა საფლავის აღდგომის ეკლესიაში გადაწერეს და შესწირეს ჯვრის მონასტერს (242r).

უფრო დანერვილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. სტატია: უფლის საფლავის ეკლესია, სექცია: ხელნაწერები.

Jer. Geo. 117. თენი (შეიცავს დეკემბრის თვის საგალობლებს), XIV-XVI სს.

გადამწერი უცნობია. პირველ საცავ ფურცელზე დასტურდება მღვდელ-მონაზონ მანასეს მინაწერი, რომელსაც შეუკაზმავს ხელნაწერი.

ხელნაწერი მეორედ შეუკაზმავს ბენა ჩოლოყაშვილს: „შე მეფეთ მეფე გიორგი და აცხოვნე ამის შემკაზმავი ბენა და მოძღვარი ჩემი ნაომ“ (160 r).

ხელნაწერი აღწერილი აქვს ა. ცაგარელს (№50),⁵⁸⁶ რ. ბლეიკს,⁵⁸⁷ მოკლე აღწერილობა ასევე წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵⁸⁸

ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Jer. Geo. 114. კონდაკი (მოიცავს მთელი წლის მასალას), XV-XVI სს.

გადაწერილია ჯვრის მონასტერში, გადამწერის სახელი არ იკითხება (რ. ბლეიკის კატალოგის მიხედვით) (25v). ყდის საცავ ფურცლებზე შემორჩენილია რამდენიმე მინაწერი, მათ შორის ბენა ჩოლოყაშვილისა, რომელსაც შეუკაზმავს ხელნაწერი.

ხელნაწერი აღწერილი აქვს ა. ცაგარელს (№100 – იგი ხელნაწერს XIII-XIV სს-ით ათარილებს),⁵⁸⁹ რ. ბლეიკს,⁵⁹⁰ მოკლე აღწერილობა წარმოდგენილია გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁵⁹¹

ხელნაწერი დაცულია იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

Q 84. ოხთავი, XVI ს.

გადამწერია ამბროსი, გადაწერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში: „და ან ესე სახარებაჲ აღიწერა ცოდვილისა ამბროსისგ(ა)ნ იწრუსალემს, მონასტერსა ჯუარისა პატიოსნისასა, სადიდებელად ღმრთისა მამისა,

586 Цагарели, Памятники, 166 (აქვეა გამოქვეყნებული დამონმებული მინაწერი)

587 Blake, Catalogue, 1924/2, 426

588 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 140, იხ. ასევე: მეტრეველი, მასალები, 37; 40

589 Цагарели, Памятники, 172

590 Blake, Catalogue, 1924/2, 425

591 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 141

ძისაჲ და სულისა წმიდისა და სალოცველად სულდიდებულისა პატრონისა ქაიხორსოსთჳს“ (52 v).


ხელნაწერის დამცავ ფურცელზე შემონახულია საირმის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის წინამძღვრის, კირილე გაბუნიას მინაწერი, რომელიც 1860 წლით თარიღდება. მინაწერიდან ცხადი ხდება, რომ ხელნაწერი განუახლებიათ და ყდაში ჩაუსვამთ კირილეს ბრძანებით.

ხელნაწერის აღწერილობა შესულია Q ფონდის კოლექციის აღწერილობის I ტომში.⁵⁹² მოკლე აღწერილობა აგრეთვე შესულია გამოცემაში: უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები.⁵⁹³

დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

592 Q კოლექცია, I, 97-98. აქვეა გამოქვეყნებული მინაწერების ტექსტები

593 უცხოეთში გადაწერილი ქართული ხელნაწერები, 62



იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი, საერთო ხედი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი, ეზო (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი, მთავარი ტაძარი, ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთისკენ (ფოტო. დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი, მთავარი ტაძარი, ინტერიერი, ხედი სამხრეთ-დასავლეთისკენ (ფოტო. დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი, მთავარი ტაძარი, ინტერიერი,
ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, 1930 (Jerusalem, C18, Rehavia SRF_113 (33/33))



იერუსალიმი, წმ, ჯვრის მონასტერი, მთავარი ტაძარი, სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯი
კედლის მხატვრობის ჩამოსხნამდე, 1930 (Jerusalem, C18, Rehavia SRF_113 (33/33))



იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი, მთავარი ტაძარი, დასავლეთი კარის ტიმპანი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილისა და ლევან დადიანის საქტიტორო ნარწერები, 1643-1644 (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი, მთავარი ტაძარი, დასავლეთი კედელი, წმ. პეტრე იბერი, 1643-1644, დეტალი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი, მთავარი ტაძარი, ჩრდილო-დასავლეთი ბურჯი, წმ. მთავარანგელოზთა კრება, 1305-1327 (ფოტო დ. ცხადაძის)




იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი, მთავარი ტაძარი, ჩრდილო-დასავლეთი ბურჯი, მარიამის და ელისაბედის შეხვედრა, 1305-1327, დეტალი (ფოტო დ. ცხადაძის)



იერუსალიმი, წმ. ჯვრის მონასტერი, მთავარი ტაძარი, სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი, შოთა რუსთაველის პორტრეტი, XVI ს.
(ფოტო დ. ცხადაძის, 2002 წ., გამოსახულების ვანდალურ დაზიანებამდე)



**ქართულ ქრისტიანულ თემთან
დაკავშირებული ეკლესია-მონასტრები
იუდეის უდაბნოში**



იუდეის უდაბნო (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. თეოდოსის მონასტერი

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. თეოდოსის მონასტერი მდებარეობს იუდეის უდაბნოში, ბეთლემის სიახლოვეს და ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

წმ. თეოდოსის მონასტრის დაარსების შესახებ ყველაზე ადრეულ ცნობებს გვანდის კირილე სკვითოპოლელის წმ. თეოდოსის ცხოვრება, რომლის თანახმადაც, თეოდოსი დიდი კენობიარქი (414-529 წწ.) 450 წელს კაბადოკიიდან პალესტინაში ჩავიდა; მცირე ხანს იმყოფებოდა დავითის კოშკთან მდებარე მონასტერში, რის შემდეგაც მიაშურა ბეთლემის აღმოსავლეთით მდებარე გამოქვაბულს. საინტერესოა, რომ გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ გამოქვაბულში იმალებოდა ახალშობილი მაცხოვრის სანახავად აღმოსავლეთიდან მოსული სამი მოგვი სამშობლოში დაბრუნებისას (მათე 2:1-2). მალე წმ. თეოდოსის სხვა ბერებიც შეუერთდნენ. კირილე სკვითოპოლელის სიტყვებით, თეოდოსი დიდის გარდაცვალების დროს მის მონასტერში 400 ბერი მოღვაწეობდა.⁵⁹⁴

თეოდოსის გარდაცვალების შემდეგ მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა ბერი სოფრონი. იგი მონასტერს 14 წლის მანძილზე ედგა სათავეში და ამ დროის მანძილზე ოთხჯერ გააფართოვა იგი. ამ საქმეში მისთვის მატერიალური დახმარება გაუწევია მის ძმისწულს, იმპერატორ ადრიანე I-ის კარის მსახურს – მამასს, რომელსაც დიდი შესანიერი გაულია და გარდაცვალების შემდეგ მთელი თავისი ქონება მონასტრისთვის დაუტოვებია. მონასტერში 542 წ. აშენდა ქალწულ მარიამის ეკლესია.⁵⁹⁵

ცნობილია, რომ IX საუკუნის დასაწყისში მონასტერში 70 ბერი ცხოვრობდა. IX-XII საუკუნეებში აქ შეიქმნა და გადაინერა არაერთი ხელნაწერი. XIV საუკუნის დამასკელი მწერალი იბნ ფადალა მოიხსენიებს მონასტერს დაარ აღ-დავაკის სახელწოდებით და აღნიშნავს, რომ ის ძალიან ცნობილი ადგილია ქრისტიანთა შორის და თავადაც არაერთხელ მოუნახულებია იგი. XV საუკუნის ცნობების თანახმად, მონასტერი უკვე ნანგრევებადაა ქცეული და ის არაბთა ხელშია.⁵⁹⁶

XIX საუკუნის ბოლო დეკადამდე მონასტრის ტერიტორია ეკავათ

594 Pringle, The churches, vol. II, 271

595 Tchekhanovets, The Caucasian Archeology of the Holy Land, 32-34

596 Pringle, The churches, vol. II, 272

არაბებს, კერძოდ, იბნ უბაიდის ტომს. ბერძნულმა მართლმადიდებლურმა საპატრიარქომ აღნიშნული ადგილი გამოისყიდა და უკვე 1896 წელს პატრიარქმა გერასიმე I-მა აქ ახალი მონასტრის აგებას ჩაუყარა საფუძველი.⁵⁹⁷

ქართველები წმ. თეოდოსის მონასტერში

„თეოდოსის ცხოვრების“ თანახმად, მონასტერში, მთავარი ეკლესიის გარდა, არსებობდა სომეხთა და ბესთა სამლოცველოებიც: „ერთში მამათა სიმრავლე ბერძნულ ენაზე სწირავს ღმერთს მსხუერპლსა ქებისასა, მეორეში ბესთა ნათესავი თავისი საკუთარი ენით აღავლენს უზენაესისადმი ვედრებას, მესამეში სომხები, გალობის დიდად მოყუარულნი, თავისი ენით წარმოსთქუამენ მას წინაშე ზოგადისა მეუფისა“.⁵⁹⁸

ბესების ვინაობასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ვარაუდია გამოთქმული. არსებობს შეხედულება, რომელიც მათ აიგივებს თრაკიელებთან.⁵⁹⁹ თუმცა, დღეისათვის სამეცნიერო წრეებში ფართოდ გაზიარებული მოსაზრების თანახმად, ბესები ქართველური წარმომავლობის ტომები უნდა ყოფილიყვნენ.

კორნელი კეკელიძის მიხედვით, ბესებში უნდა იგულისხმებოდნენ ლაზები, რომლებიც ეკლესიურად შედიოდნენ კონსტანტინოპოლისადმი დამოკიდებული ფასის/ფასიდის მიტროპოლიაში. მკვლევარი ასევე განმარტავს, რომ ბესების, ანუ ლაზების მნიგნობრულ ენად, რომელზეც ისინი ღვთისმსახურებას ასრულებდნენ, ქართული ენა უნდა ვიგულისხმობოთ.⁶⁰⁰

პლატონ იოსელიანის ვარაუდით, ბესებში უნდა იგულისხმებოდნენ

597 Pringle, The churches, vol. II, 273

598 კეკელიძე, ვინ არიან „ბესები?“, 84-85. აღსანიშნია, რომ წმ. თეოდოსი დიდის ცხოვრების ქართულმა თარგმანმა ორი რედაქციით მოაღწია – კიმენური და მეტაფრასული. კიმენური რედაქცია შემონახულია XI და XIII საუკუნეების ორ ხელნაწერში (ბრიტანეთის მუზეუმის Addit. 11281 და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ხელნაწერში A 188. გამოცემული აქვს ვ. იმნაიშვილს (იხ. იმნაიშვილი ვ., მამათა ცხოვრებანი, 184-197); „ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია დაცულია სამ ქართულ ხელნაწერში (A-79, XII-XIII სს. Kut. 3, XVI ს. და Kut. 13, XVII ს.). (იხ. კეკელიძე, ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია, 127, 176; გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, 218)

599 Festugiere, Les moines d’Orient, 124 n. 291

600 კეკელიძე, ვინ არიან „ბესები?“, 98; მკვლევარი განიხილავს მის ხელთ არსებულ წყაროებს, სადაც მოხსენიებულნი არიან „ბესები“ („ცხოვრება საბა განწმედილისა“ დაწერილი 555-6 წელს, VI საუკუნის მოგზაურის ანონინე მარტივირეს Itinerariu და VII საუკუნეში იოანე მოსხის „ლიმონარი“) და ასკვნის, რომ სახელი „ბესი“ არის ეკვივალენტი ეთნიკური ტერმინისა „ბასი“, რომელიც ჩვენს ყურადღებას წარმართავს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ, სადაც ამ ფუძისაგან შემდგარი არაერთი ტომონიმი გვხვდება.

იბერიელები.⁶⁰¹ დასავლური სამეცნიერო ტრადიციაც, დიდწილად, ბესებში სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთ, იბერიელებს მოიაზრებს. ეს შეხედულება 1907 წელს გამოთქვა ე. ნესტლემ,⁶⁰² შემდეგ გაიზიარა ჯ. მილიკმა.⁶⁰³ ამ შეხედულებას იზიარებენ აგრეთვე ნმ. მინის ცნობილი მკვლევრები: ჯ. პატრიხი,⁶⁰⁴ ლ. დე სეგნი და ი. ცაფრირი.⁶⁰⁵

ამგვარად, თეოდოსის „ცხოვრების“ ტექსტის საფუძველზე დამაჯერებლად დასტურდება, რომ, ისევე როგორც ნმ. საბას მონასტერში, ქართველებს ჰქონიათ საკუთარი სამლოცველო ნმ. თეოდოსის მონასტერშიც.

601 Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, 153

602 Nestle, „Kleine Mitteilungen“, 500-501

603 Milik, La topographie de Jérusalem, 143-145, №1

604 Patrigh, Sabas, 251, 338

605 Di Segni, Tsafirir, The Ethnic Composition, 439-440



იუდეის უდაბნო (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. საბა განწმედილის მონასტერი (საბანშიდა)

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. საბა განწმედილის სახელობის მონასტერი მდებარეობს იუდეის უდაბნოში, კედრონის (ან იოსაფატის) ხეობაში, იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 15 კილომეტრის დაშორებით. მონასტერი ეკუთვნის იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

მონასტერი დაარსებულია ერთ-ერთი უდიდესი პალესტინელი მეუდაბნოე მამის, საბა განწმედილის მიერ V საუკუნეში. წმ. საბა (+532 წ.) წარმოშობით კაპადოკიიდან (დღევანდელი თურქეთი) იყო. ასკეტი მამის ცხოვრება და მონასტრის დაარსება აღწერილია კირილე სკვითოპოლელის (522-558 წწ.) მიერ.⁶⁰⁶

თავდაპირველად, 483 წელს, წმ. საბამ კოშკი და მცირე ზომის ეკლესია ააშენა. იმ დროისთვის მასთან ერთად 70 ბერი ცხოვრობდა. განდევნილთა რაოდენობა მალევე გაორმაგდა, რის გამოც 490 წ. მეუდაბნოე მამამ ერთ-ერთი დიდი ზომის გამოქვაბული ეკლესიად აკურთხა. დედის მიერ დატოვებული ქონებით წმ. საბამ 491 წელს სასტუმრო სახლი ააშენა. რამდენიმე წელიწადში მონასტერს შეუერთდა ორი ბერი, რომლებიც დახელოვნებული არქიტექტორები იყვნენ. მათი დახმარებით აიგო ახალი დიდი ეკლესია (501 წ.), საცხოვრი, საავადმყოფო (hospital) და წყლის რეზერვუარი. VI საუკუნის დამდეგს საბანშიდა იყო ლავრის ტიპის მონასტერი, რომლის მიმდებარე ბუნებრივ და ხელოვნურ გამოქვაბულებში 250-300 განდევნილი ცხოვრობდა.⁶⁰⁷

წმ. საბას მონასტერი დაარსების პერიოდშივე გადაიქცა იუდეის უდაბნოს ერთ-ერთ უდიდეს და ავტორიტეტულ სავანედ. მონასტერში მცხოვრები საძმო გამოირჩეოდა როგორც თავისი რიცხოვრივი სიმრავლით, ისე ეთნიკური მრავალფეროვნებით.

თავისი არსებობის მანძილზე საბანშიდა არაერთხელ აოხრებულა.

606 წმ. საბა განწმედილის „ცხოვრების“ კიმენური ვერსია ქართულად არის თარგმნილი და XI ს. ორ ხელნაწერში შეტანილი, ხოლო მეტაფრასული თხზულება, რომელიც სვიმეონ ლოგოთეტს უნდა ეკუთვნოდეს, უფრო მეტ, თუმცა გვიანდელ ხელნაწერებშია შემონახული. აღსანიშნავია, რომ გაბრიელ მცირის (+1801 წ.) მიერ შედგენილ კრებულში – „მანანა“ – შეტანილი საბა განწმედილის „შესხმა“ შეიძლება ორიგინალურიც კი იყოს (ვრცლად იხ. კეკელიძე, კიმენი, II, 139-219, იმნაიშვილი ვ., მამათა ცხოვრებანი, 56-125; დოლაქიძე, სვინაქსარული საკითხავი, 5, XII).

607 Murphy-O'Connor, The Holy Land, 375-6.

614 წელს სპარსელების მიერ წმინდა მინაზე შეჭრის შემდეგ არაბულმა ტომებმა ისარგებლეს შექმნილი არეულობით, გაძარცვეს მონასტერი და დახოცეს იქ მყოფი ბერები. მიუხედავად ამ სასტიკი დარბევისა, განდეგილები კვლავ დაუბრუნდნენ ლავრას და სამონასტრო ცხოვრება გაგრძელდა, თუმცა, არასტაბილური ვითარების გამო, მეუდაბნოე მამები მუდმივად საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ. ასე, მაგალითად, 796 წლის გაზაფხულზე მონასტერს ორჯერ დაესხნენ თავს ბელუნიები, რასაც ათობით ბერი ემსხვერპლა.⁶⁰⁸ ცნობილია ასევე, რომ წმ. საბას მონასტრის დარბევა და ძარცვა IX საუკუნეშიც გაგრძელდა.⁶⁰⁹

აღსანიშნავია ასევე, რომ საბანმიდის ინტელექტუალური ოქროს ხანა წმ. მინაზე არა ბიზანტიურ, არამედ არაბთა ბატონობას ემთხვევა (640-1099 წწ.). სწორედ აღნიშნულ პერიოდში მოღვაწეობდა ლავრაში იოანე დამასკელი (+749 წ.), ღირსი კოზმა კანონმთქმელი – მაიუმელი ეპისკოპოსი (დაახლ. +787 წ.) და სხვა არაერთი ცნობილი წმ. მამა.⁶¹⁰

იერუსალიმის ლათინთა სამეფოს პერიოდში (1099-1291 წწ.) წმ. საბას მონასტრის შესახებ ცნობებს, ძირითადად, ევროპელი პილიგრიმები და მოგზაურები გვანვდიან. ირკვევა, რომ ამ პერიოდში საბანმიდაში მეტწილად იერუსალიმიდან ჩასული ბერები მოღვაწეობდნენ. როგორც ჩანს, კვლავაც ძალაში იყო წესი, რომლის მიხედვითაც ქალებს ეკრძალებოდათ ლავრის ტერიტორიაზე შესვლა.⁶¹¹

მონასტრის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდიან მომდევნო პერიოდის არაბი ავტორებიც:

იბნ ბატუტა (1304-1377 წწ.) წმ. საბას მიერ დაარსებულ ლავრას მოიხსენიებს როგორც „ახალ სიკს“⁶¹², რათა განასხვაოს იგი ხარიტონის ლავრისაგან, რომელიც „ძველი სიკის“ სახელითაა ცნობილი. პალესტინელი ისტორიკოსი მუჯირ ად-დინი (1456-1522 წწ.) კი მოგვითხრობს, რომ 1269 წელს სულტანმა ბაიბარსმა დაარს-სიკის 300 ბერის კელია დაანგრია, რათა ჯვაროსნებს ისინი ქალაქის იერიშის დროს არ გამოეყენებინათ. დაზუსტებით რთულია იმის თქმა, მუჯირ ად-დინის მიერ ნახსენები დაარს-სიკი საბას ლავრაა, თუ იუდეის უდაბნოს სხვა რომელიმე მონასტერი.⁶¹³

XIV-XV საუკუნეებში საბანმიდას სტუმრობდნენ სლავი სასულიერო პირები, რომლებიც დეტალურად აღწერენ ლავრას, მის ნაგებობებს და იქ არსებულ ვითარებას. ცნობილია, რომ XV საუკუნის ბოლოს მონასტერში

608 Pringle, The churches, vol. II, 259

609 იქვე, 259

610 Patrich, Sabas, 358

611 Pringle, The churches, vol. II, 260; Patrich, Sabas, 274

612 სიტყვა „sīq“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან seikos, რომელიც lavra-ს შესატყვისად გამოიყენებოდა

613 Pringle, The churches, vol. II, 261

მხოლოდ 6 ბერძენი ბერი ცხოვრობდა, ლავრის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი კი ადგილობრივ ბედუინებს ეკავათ. აღსანიშნავია, რომ წმ. მინაზე ოსმალთა ბატონობის დროს მდგომარეობა გარკვეულწილად, სასიკეთოდ შეიცვალა. კერძოდ, სულტანმა სულეიმან II-მ 1533 წელს გამოსცა ფირმანი, რომელიც წმ. საბას ეკლესიის აღდგენას ბრძანებდა; მოგვიანებით, 1605-1606 წლების სულტან აჰმად I-ის ფირმანი კი მთლიანად ლავრის აღდგენისა და ახალი კოშკის აგების განკარგულებას იძლეოდა. ამავე კოშკის შეკეთებას ბრძანებდა 1613 წლის ფირმანიც.⁶¹⁴

მოგვიანებით მონასტრის ტერიტორია კვლავ ბედუინებმა დაიკავეს, თუმცა 1688 წელს პატრიარქმა დოსითეოსმა (1669-1709 წწ.) მოიპოვა ნებართვა, რათა გაეთავისუფლებინა ლავრა არაბებისაგან და აღედგინა იგი. სამწუხაროდ, მომდევნო პერიოდში ადგილობრივი ბედუინების მხრიდან კვლავ გრძელდებოდა მონასტრის ტერიტორიის დაკავება, რაც XIX საუკუნეშიც არ შეწყვეტილა. ლავრა მნიშვნელოვნად დააზიანა 1834 და 1927 წლებში მომხდარმა მიწისძვრებმაც, თუმცა სამონასტრო ცხოვრება საბანშიდაში არ შეჩერებულა და ლავრა დღესაც მნიშვნელოვან სასულიერო კერას წარმოადგენს.⁶¹⁵

ქართველები წმ. საბას ლავრაში

წმ. საბას ბერებს შორის საბას ცხოვრებაშივე აქტიურად ჩანან ქართველი ბერებიც. კირილე სკვიტოპოლელის სიტყვებით, როდესაც პალესტინაში მომრავლდნენ ორიგენეს ერესის მიმდევრები, მაშინ ბესი მონაზვნები მდ. იორდანეს მახლობლად მდებარე მონასტრებიდან იერუსალიმში გაემართნენ მართლმადიდებლობის დასაცავად და აქტიურად ჩაერთნენ ორიგენეს მიმდევართა საწინააღმდეგო მოძრაობაში.⁶¹⁶ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ბესები არიან ქართველური წარმომავლობის ტომები.⁶¹⁷ წმ. მინაზე საბას „ცხოვრებიდან“ ჩვენთვის ცნობილია, რომ ორიგენეს მიმდევრებმა საბას მონასტრის ხელში ჩაგდების მიზნით ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს საბას მონასტრის ბერებს, რომლებიც მონასტერში იყვნენ ჩაკეტილნი. საბას მონასტერთან შეკრებილი მონინააღმდეგეების თავიდან მოსაგერიებლად მონასტრიდან გამოვიდა ბესი მონაზონი თეოდულოსი, რომელმაც მარტოდმარტომ გააფანტა ორიგენეს მიმდევართა გუნდი.⁶¹⁸

614 Pringle, The churches, vol. II, 261-2

615 იქვე, 262-3

616 კეკელიძე, ვინ არიან „ბესები?“, 84-98; Patrigh, Sabas, 251, 338, სქოლიო 15

617 ბესებს საკუთარი ეკლესია ჰქონიათ წმ. საბა განწმედილისა და წმ. თეოდოსისის მონასტრებში. ვრცლად ბესების შესახებ იხილეთ ზემოთ სტატია: წმ. თეოდოსის მონასტერი

618 იმნაიშვილი ვ., მამათა ცხოვრებანი, 121; Patrigh, Sabas, 338

წმ. საბა განწმედილის სახელთან დაკავშირებული ერთი ბერძნული დოკუმენტიდან, რომელიც საბას ანდერძის სახელითაა ცნობილი, დასტურდება, რომ ქართველებს ჰქონიათ საკუთარი ეკლესია, რომელშიც მათ უფლება ჰქონდათ ქართულად ელოცათ და წაეკითხათ თავიანთ მშობლიურ ენაზე სახარება და სამოციქულო: „არ ჰქონდეთ უფლება არც იბერიელებს, არც სირიელებს [და არც ფრანგებს] შეასრულონ სრული ლიტურგია თავიანთ ეკლესიებში, მაგრამ ამ უკანასკნელებში შეკრებილთ ნება ჰქონდეთ იგალობონ ჟამნი და ტიპიკები, იკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ საკუთარ ენაზე, და ამის შემდეგ შევიდენ დიდ ეკლესიაში და ეზიარონ დანარჩენ ძმობასთან ერთად ღვთაებრივ, წმინდა და ცხოველმყოფელ საიდუმლოებათ.“⁶¹⁹

ქართველებს საკუთრებაში ჰქონიათ აგრეთვე „ქუაბი“ – ქუაბი ქართველთა, ანუ გამოქვაბულში გამართული ეკლესია. ამას ადასტურებს 1052 წელს საბანშიდაში გადანერილი ხელნაწერი „მარხვანი“ (Sin. Geo. O. 5), ხელნაწერის მომგებლის, გიორგი მორკნეველის ანდერძიდან ვიგებთ, რომ „მარხვანის“ დედანი გიორგისთვის მიუცია მის მოძღვარს, მიქაელ ჩიხუარელს, საბანშიდისა და ჯვრის მონასტერში მოღვაწე მწიგნობარს. ანდერძში ვკითხულობთ: „ესე ანდერძი მე, გიორგი მორკნეველმან დავწერე სისრულესა ზედა ცნობისა ჩემისასა. ესე მარხვანი მოძღუარსა ჩემსა ჩიხუარელსა ჩემდა მოეცნეს, ან მე ღუთივ-ქმნულსა ქუაბსა ქართუჭლთასა შემინირავნ, საბა წმიდას. ვინ რაჟთამცა მიზეზითა ანუ მძღავრებით ანუ მკლავითა ანუ მოპარვით ესე მარხვანი ამას ეკლესიასა გამოაჭუნეს და წაიჭუნეს, კრულმცა არს ...“⁶²⁰

საბანშიდის მონასტერი ძალზე ავტორიტეტული იყო საქართველოშიც. საბას ლავრის ტიპიკონი გავრცელდა საქართველოში – გიორგი მერჩულის ცნობით, გრიგოლ ხანძთელმა ჩამოატანინა იერუსალიმიდან სწორედ საბას ლავრის ტიპიკონის ნუსხა, რომელიც გამოიყენა თავისი მონასტრებისთვის წესის შემუშავების დროს.⁶²¹ მოგვიანებით, დავით აღმაშენებელმა და არსენ იყალთოელმა სწორედ საბას მონასტრის ტიპიკონი განუწესეს შიომღვიმის მონასტერს.⁶²²

წერილობითი ძეგლებიდან ცნობილია, რომ საქართველოდან წმინდა მინაზე პილიგრიმები საბას მონასტერსაც მოიხილავდნენ ხოლმე. ილარიონ ქართველის (IX ს.) „ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ წმინდა მინაზე ყოფნის დროს ილარიონმა 7 წელი გაატარა „ღუანლითა და შრომითა“ საბას მონასტერში.⁶²³

619 გეორგიკა, III, 188-189; Patrich, Sabas, 274

620 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, 27

621 ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, 264-265

622 მენაბდე, კერები, II, 29, სქოლიო 36

623 ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, 13-14

საყურადღებოა XII საუკუნის ორი წყარო, რომელიც საბანშიდის ლავრაში მოღვაწე ქართველ ბერებზე მოგვითხრობს. ერთ-ერთი მათგანია ბიზანტიელი პილიგრიმის იოანე ფოკას ლავრის 1185 წლის აღწერილობა, საიდანაც ვიგებთ, რომ მონასტრის სიახლოვეს იყო სხვა ბერებისაგან გამორჩეული 40 ღვთივშთაგონებული ბერი, რომელთაგან ექვსი უშუალოდ საუბრობდა უფალთან. მათგან ერთი იყო იბერიელი (ქართველი) ბერი. მეორე ცნობა ეკუთვნის ნეოფიტოსს, კონსტანტინოპოლის ყოფილ პატრიარქს, რომელიც თავის ცნობილ ნაშრომში *Narratio de Monacho Palaestinensi* XII საუკუნეში საბანშიდაში მცხოვრებ ქართველ მესვეტე ბერ გაბრიელზე მოგვითხრობს.⁶²⁴ არქიმანდრიტ აგრეთენიოსის 1370 წლით დათარიღებულ ცნობაში კი ვკითხულობთ, რომ წმ. საბას ლავრაში არის იბერთა (ქართველთა) ეკლესია.⁶²⁵

წმ. საბას მონასტრის ქართველმა ბერ-მონაზვნებმა შექმნეს მძლავრი კულტურული კერა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებაში. გიორგი ათონელის ერთი ანდერძიდან, რომელიც ერთვის გიორგი ათონელის რედაქციის სახარების ტექსტს, ჩვენთვის ცნობილია, რომ საბანშიდაში ყოფილა შემუშავებული ქართული სახარების ერთ-ერთი ადრეული რედაქცია: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად – ხანმეტნიცა და საბანშიდურნიცა“.⁶²⁶ ამდენად, ამ ცნობის თანახმად, გიორგი ათონელის ვერსიის შექმნამდე საქართველოში გავრცელებული ყოფილა სახარების ორი ვერსია: ხანმეტი და საბანშიდური. სახელწოდებიდან გამომდინარე, უეჭველია, რომ ეს უკანასკნელი საბანშიდის მოღვაწეთა მიერ უნდა ყოფილიყო შექმნილი.⁶²⁷

ქართველი მწიგნობრების მიერ თარგმნილია მრავალი თხზულება ბერძნული, არაბული, სირიული ენებიდან, დამზადებულია მრავალი ხელნაწერი. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ არაბულიდან შესრულებული თარგმანების უმეტესობა საბანშიდის ლავრაშია შექმნილი.

საბანშიდაში გადანერილ ქართულ ხელნაწერებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია აგრეთვე უძველეს ქართულ ხელნაწერ კრებულს „სინური მრავალთავი“, რომელიც 864 წელსაა გადანერილი საბანშიდაში და შემდეგ გადატანილი სინას მთაზე.

X საუკუნის საბანშიდელი მოღვაწეების მიერაა დამზადებული ე.წ. ქილ-ეტრატის იადგარი (ხელნაწერი H 2123), რომელიც XIX საუკუნეში ჩამოიტანა საბანშიდის მონასტრიდან სანკტ-პეტერბურგში პორფირი უსპენსკიმ.

624 Pringle, *The churches*, vol. II, 261-2

625 Peradze, *Account*, 189

626 მენაბდე, *კერები*, II, 29

627 ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი ბიბლიოგრაფია იხ. მენაბდე, *კერები*, II, 29-30

საბანმიდის ქართველ მნიგნობართა შორის სრულიად გამორჩეულია იოვანე-ზოსიმე (X ს.), რომელიც, როგორც ჩანს, საბანმიდაში X ს-ის 40-60-იან წლებში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ ქართველ ბერებთან ერთად გადასულა სინას მთაზე. იოვანე-ზოსიმემ მრავალი ხელნაწერი გადაწერა, შემოსა და განაახლა ჯერ საბანმიდის ლავრაში, ხოლო შემდეგ – სინას მთაზე.

საბას მონასტერში გაატარა მრავალი წელი ჯვრის მონასტრის დამარსებელმა გიორგი-პროხორემ (+1066 წ.).⁶²⁸

XI საუკუნის საბანმიდელ მოღვაწეთაგან მნიშვნელოვანი წვლილი დატოვა მიქაელ ჩიხუარელმა, რომელსაც უკავშირდება იოანე ოქროპირის იოანეს სახარების თარგმანების ცნობილი ხელნაწერი, გადაწერილი 1038 წელს საბანმიდის ლავრაში.⁶²⁹ ხელნაწერზე დართული ანდერძიდან ჩანს, რომ მიქაელ ჩიხუარელმა ხელნაწერი გადაწერა გიორგი პროხორეს დავალებით და მასთან ერთად ხელნაწერის გადაწერაში მონაწილეობა მიუღია იოანე დვალს. ამავე პერიოდში, 1052 წელსაა შექმნილი ხელნაწერი Sin.5 (მარხვანი, გადაწერილია საბანმიდის ჯერაკუმიას 1052 წელს), რომელშიც მარხვის პერიოდისთვის განკუთვნილი საგალობლებია შეტანილი. ხელნაწერი იოანე გოლგოთელის დაკვეთითაა გადაწერილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საბანმიდელ ქართველ მოღვაწეებს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ პალესტინის სხვა კერებთან.

საბანმიდაში მოღვაწე ქართველ მნიგნობრებს შორის იყვნენ ასევე: მარტვირი საბანმიდელი, სეითი, მაკარი ლეთეთელი (რომლის გადაწერილიცაა უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერი „სინური მრავალთავი“), პიმენ კახი, ამონა, ბასილი საბანმიდელი, გიორგი თბილელი, არსენი, სვიმეონ მგალობელი.

საბას მონასტერში გადაწერილი ხელნაწერების დიდი ნაწილი სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაშია დაცული. ამის მიზეზი ისაა, რომ საბანმიდის მონასტერი შეჭირვების უამს დატოვა ქართველ ბერთა დიდმა ჯგუფმა და სინას მთის უფრო დაცულ მონასტერს შეაფარა თავი. საბანმიდელებმა თან წაიღეს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერები და სინას მთაზე გააგრძელეს მნიგნობრული მოღვაწეობა.

საგულისხმოა, რომ 1997 წელს ზაზა სხირტლადის მიერ მიკვლეულ XIX საუკუნის ერთ ქართულ ხელნაწერს, ლოცვათა კრებულს, რომელიც ამჟამად საბანმიდაშია დაცული, დართული აქვს გადაწერის, სულხან, ანუ დანიელ მალრ[ადის] მინაწერი. როგორც ზაზა სხირტლადე აღნიშნავს, ეს

628 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 345

629 სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი M 13. აღწერილობა იხ. ქვემოთ, სექციაში: ხელნაწერები

უნდა ყოფილიყო ან საბანშიდაში მოღვაწე ქართველი ბერი ან პილიგრიმი, რომელსაც ეს ლოცვანი ეკუთვნოდა.⁶³⁰

როგორც ა. ცაგარელს 1883 წელს უამბო არქიმანდრიტმა ანტონინემ, დაახლოებით 8 წლის წინ (ანუ 1875 წლის მიდამოებში) ნმ. საბას მონასტრის ერთ-ერთ გამოქვაბულში ქართველი ბერი ცხოვრობდა, რომელმაც შემდეგ, ადგილობრივ ბერებთან გარკვეული უთანხმოების გამო, დატოვა მონასტერი. მამა ანტონინეს ცნობით ეს ბერი, სავარაუდოდ, ერისთავთა გვარისა უნდა ყოფილიყო და შემდეგ ათონის მთაზე გადასულა.

ხელნაწერები

Sin. Geo. O. 32-57-33. სინური მრავალთავი, 864 წ.

პირველი თარიღიანი ქართული ხელნაწერი, მრავალთავი, შეიცავს ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკურ საკითხავებს მთელი წლისათვის. გადანერვილი საბანშიდაში და შეწერილია სინას მთისათვის.

ხელნაწერი გადანერილია რამდენიმე პირის მიერ – გაირჩევა სამი ხელი. ერთი გადამწერი, რომელსაც წიგნის დიდი ნაწილი გადაუწერია, არის მაკარი ლეთეთელი. ხელნაწერის ბოლოს დართულია მისი ანდერძი, რომელიც გვანჯდის ცნობებს ხელნაწერის გადანერვის ადგილისა და თარიღის შესახებ:

„...მე, მაკარი ლეთეთელი, ძჳ გიორგი გრძელისაჲ, ცოდვილი ფრიად, ღირს-მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთავისა თანაშენეწითა ძმისა ჩუენისა სულიერად პიმენ კახისაჲთა და ჳელთ-წერითა დედის ძმისწულისა ჩემისა ამონა ვახთანგ მოძარღულისა ძისაჲთა.... დაიწერა ესე წიგნი იერუსალემს, ლავრასა დიდსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა დღეთა ღმრთისა მოყუარისა თევდოსი პატრეაქისათა და საბანშიდას პატიოსნის და სანატრელისა სოლომონ მამასახლისისათა. და დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დასაბამითგანთა წელთა ხჳჳ, ქრონიკონი იყო პდ“ [=864 წ.].⁶³¹

მეორე გადამწერი უნდა იყოს ხსენებული ამონა, რომელიც ერთ-ერთ მინაწერში „მჩხრეკალად“ მოიხსენიებს თავს: „ლოცვა-ყავთ ამონა მჩხრეკალისათჳს ცოდვილისა ფრიად, წმიდანო“ (274va).⁶³²

ამონას მოსახსენებელ მინაწერს მოსდევს მაკარი ლეთეთელის შეწირვის საბუთი, საიდანაც აშკარა ხდება, რომ მას ხელნაწერი სინას მთისთვის შეუწირავს (სადაც იმხანად ახალი დაწყებული უნდა ყოფილიყო ქართული თემის მოღვაწეობა): „და მე, გლახაკმან მაკარი, შევწირე წმიდაჲ

630 Skhirtladze, Georgian Manuscripts in the Lavra of St. Sabas

631 იხ. შანიძე ა., სინური მრავალთავი, 294-295; Март, Описание, 22-24

632 შანიძე ა., სინური მრავალთავი, 299

ესე მრავალთავი წ(მიდა)თ წმიდასა მთასა სინას, საჯსენებელად და სარგებელად თავთა ჩუენთა და სულთა ჩუენთათჳს“ (274rv).⁶³³

ხელნაწერი ხელახლა (მესამედ) ჩაუსვამს ყდაში იოვანე-ზოსიმეს უკვე სინას მთაზე 981 წელს, მისი ანდერძიდან ირკვევა: „შეიმოსა მესამედ წმიდაჲ ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისათა სინაწმიდას ჳელითა იოვანე ფრიად ცოდვილისა ზოსიმესითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებულობისა ჩემისათა, ბრძანებითა და ფრიად მოსწრაფედ მოლუანებითა მიქაელ და მიქაელ პატიოსანთა მღვდელთაჲთა, დასაბამითგანთა წელთა ქართულად – ხფჳე-სა და ქრონიკონსა სა-სა.... ქრისტე, შეინყალე მიქაელ და მიქაელ, გაბრიელ, კურიკე, გიორგი, იოანე-ზოსიმე და ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტეანენი და უფროის ყოველთასა ყოველნი ქართველნი“ (274v).⁶³⁴

იოვანე-ზოსიმეს აგრეთვე ხელნაწერის ბოლოს დაუმატებია საკუთარი თხზულება „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ (275r).

ხელნაწერი არაერთგზის არის აღწერილი. პირველი აღწერილობა ეკუთვნის ა. ცაგარელს (ცაგარლის დროს ხელნაწერი უკვე სამ ნაწილად ყოფილა დაშლილი. მან №83 ნომრად გაიტანა პირველი და მეორე ნაწილები, ხოლო მესამე ნაწილი მას გატანილი აქვს №86 ნომრად, თუმცა ვერ დაუკავშირა ის პირველ და მეორე ნაწილებს).⁶³⁵ შემდეგ ხელნაწერი აღწერა ნ. მარმა (№32-33, №57).⁶³⁶ ყველაზე სრულყოფილი აღწერილობა ეკუთვნის ფ. გარიტს.⁶³⁷ ტექსტი გამოცემული აქვს ა. შანიძეს⁶³⁸ – აღნიშნული გამოცემა ასევე შეიცავს ხელნაწერის დეტალურ აღწერას (გვ. 294-302). ხელნაწერზე მსჯელობს ასევე მ. კარანაძე.⁶³⁹

ხელნაწერი ამჟამად ინახება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში.

H 2123. იადგარი (ე.წ. ჭილ-ეტრატის იადგარი), X საუკუნის დასაწყისი.

ხელნაწერი აკინძულია სამ ტომად, გადაწერილია ერთი ხელით, გადამწერი – იოვანე (1v). გადაწერილია საბანშიდაში.

XIX საუკუნის შუა წლებში პორფირი უსპენსკიმ ხელნაწერი წამოიღო

633 Март, Описание, 24

634 იქვე, 25

635 Цагарели, Памятники, (№ 83 და 86) 234-237

636 Март, Описание, 1-26 (№ 32, №33), 93-97 (№57). მარმა № 32 და №33 ერთად აღწერა, მესამე ნაწილი (№57) კი – ცალკე.

637 Garitte, Catalogue, 72-97. მას გამოვლენილი აქვს, რომ მარის და ცაგარლის მიერ ცალკე ნომრად აღწერილი ხელნაწერი (ცაგ. №86; მარი №57) მრავალთავის შუა ნაწილს წარმოადგენს.

638 სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, აკ. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1959. მისი პუბლიკაციის მიხედვით მოგვყავს დამოწმებული ანდერძები.

639 კარანაძე, ქართული წიგნის ყდის ისტორია, 9-16.

საბანშიდის მონასტრიდან და ჩაიტანა სანკტ-პეტერბურგში, ხოლო 1923 წელს ხელნაწერი გადაეცა საქართველოს.

ხელნაწერისაფუძვლიანადარისშესწავლილი⁶⁴⁰, ტექსტი გამოცემულია.⁶⁴¹ ხელნაწერის თარიღის შესახებ მეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებები არის გამოთქმული.⁶⁴²

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს,⁶⁴³ კ. კეკელიძეს,⁶⁴⁴ ი. აბულაძეს,⁶⁴⁵ ა. შანიძეს.⁶⁴⁶ ხელნაწერის აღწერილობა შესულია H ფონდის კოლექციის აღწერილობის V ტომში,⁶⁴⁷ ასევე სინური კოლექციის აღწერილობის I ტომში.⁶⁴⁸

ამჟამად ხელნაწერი ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

Sin. Geo. O. 36. ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებული, 925 წ.

კრებული შეიცავს მამათა სწავლანისა და იოვანე მოსხის ლიმონარის ადრებიზანტიური რედაქციების თარგმანებს.

გადაწერილია საბანშიდის მონასტერში. გადამწერის ანდერძი არ არის შემორჩენილი, თუმცა ის ნანახი და გამოქვეყნებული აქვს ა. ცაგარელს – სწორედ ამ ანდერძის მიხედვით დგინდება ხელნაწერის თარიღი და გადამწერის ადგილი: „ბრძანებითა და შეწვევითა სახიერისა ღ(მრ)თისაათა... მე გლახაკმან სულითა და ჴორციითა ღირს-ვიქმენ დაწერად ნმ. ამის წიგნისა ჩემ მიერ ლავრასა შინა ნმ. საბასასა, თანაშენეწვითა სულიერისა შკლისა ჩემისა ტიმოთესათა... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ჩემ მიერ პატრიარქობასა ლეონისასა და საბან(შიდა)ს მამასახლისობასა იოანე რაკისასა, დასაბამიდგან წელნი იყუნეს ხვკჴ, ქ(ორონი)კ(ო)ნი რმე.“(=925წ.)⁶⁴⁹

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№82),⁶⁵⁰ ი. ჯავახიშვილს (№36 – ჯავახიშვილს ზემოთ მოტანილი ანდერძი უკვე აღარ დახვედრია – როგორც ის აღნიშნავს, ხელნაწერის ბოლო ფურცლები ამოხეულია).⁶⁵¹

640 ბიბლიოგრაფია იხ. სინური კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობაში: Sin. I, 238 – 239

641 ჭილ-ეტრატის იადგარი, 1977

642 უფრო დაწვრილებით იხ. Sin. I, 239. ხელნაწერის თარიღისთვის იხ. ასევე: ალექსიძე, Sin. 50-ის ანდერძ-მინაწერები, 205-213.

643 Цагарели, Памятники, 159-163

644 Кекелидзе, Литургические грузинские памятники, 350-372

645 აბულაძე, პალეოგრაფიული ალბომი, 338 (ტაბ. 15,16);

646 ჭილ-ეტრატის იადგარი, 1977, 213-219

647 H კოლექცია, V, 76

648 Sin. I, 229-239

649 Цагарели, Памятники, 234.

650 იქვე, 233-234

651 ჯავახიშვილი, აღწერილობა, 74-83

მოკლე აღწერილობა წარმოდგენილია აგრეთვე გამოცემაში: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ.⁶⁵² კრიტიკული ტექსტი გამოქვეყნებული აქვს ი. აბულაძეს.⁶⁵³

ხელნაწერი დაცულია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში.

Sin. Geo. O.5. მარხვანი, 1052 წ.

ხელნაწერი გადაწერილია საბანშიდის ჯერაკუმიას 1052 წ. იოვანე გოლგოთელის შენეებით, რაც ჩანს გადამწერის ანდერძიდან: „...ამათ ყოველთა ოხითა და შენეებითა მოძღურისა ჩემისა იოვანე გოლგოთელისაჲთა ღირს მყო სახიერმან მღდელი ცოდვილი იოვანე აღწერად წმიდისა ამას წიგნისა... დაინერა ქორონიკონსა ობ ჯერაკუმიას. და შეიმოსა ჴელითა ნისტერეონისითა, ღმერთმან აკურთხენ სული მათი, ამენ“ (414r).

ხელნაწერს ახლავს აგრეთვე მომგებლის, გიორგი მორკნეველის ანდერძი, რომელმაც აღნიშნული ხელნაწერი მიიღო თავისი მოძღვრის, მიქაელ ჩიხუარელისაგან და შესწირა საბანშიდის ქართველთა ქვაბს (1v).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს, ი. ჯავახიშვილს, ხელნაწერის სრულ სამეცნიერო აღწერილობას აგრეთვე შეიცავს „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია“.⁶⁵⁴

ამჟამად ინახება სინას მთაზე (ეგვიპტე), წმ. ეკატერინეს მონასტერში.

Sin. Geo. O. 34. ლიტურგიკული კრებული, X ს-ის შუა წლები

კრებული მრავალფეროვანი შედგენილობისაა, შეიცავს სხვადასხვა ლიტურგიკულ წიგნს: იადგარი, ჟამნი, კალენდარი და სხვ.

ხელნაწერი გადაწერილია საბანშიდის მონასტერში. ხელნაწერში გაირჩევა 7 სხვადასხვა ხელი, მათგან 3 გადამწერის ვინაობა ცნობილია, ესენი არიან: იოვანე ხუცი, თომა და იოვანე-ზოსიმე. კრებულის რედაქტორია იოვანე-ზოსიმე (რაც დასტურდება ანდერძ-მინაწერებიდან).

ხელნაწერს ერთვის მრავალი ანდერძ-მინაწერი და განმარტებითი ხასიათის მითითება.

ხელნაწერი აღწერილი აქვს ი. ჯავახიშვილს (№34).⁶⁵⁵ მისი ვრცელი

652 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 77

653 აბულაძე, მამათა სწავლანი; აბულაძე, იოანე მოსხის ლიმონარი

654 Цагарели, Памятники, 222, N 56; ჯავახიშვილი, აღწერილობა, 1947, 14-16; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, II, 8-27. იხ, ასევე ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 101

655 ჯავახიშვილი, აღწერილობა, 54-59. ამავე გამოცემაში ჯავახიშვილს გამოქვეყნებული აქვს ხელნაწერში დაცული კალენდარი (გვ. 200-226)

სამეცნიერო აღწერილობა ასევე შესულია სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში.⁶⁵⁶

ხელნაწერი საფუძვლიანადაა შესწავლილი.⁶⁵⁷ გამოქვეყნებულია ცალკეული ნაწილები – მაგალითად: კალენდარი, ჟამნი.⁶⁵⁸

ხელნაწერი ინახება სინას მთის ნმ. ეკატერინეს მონასტერში. კრებულის ცალკეული ფურცლები ასევე დაცულია რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.⁶⁵⁹

Sin. Geo. O. 26. იადგარი (ე.წ. მცირე იადგარი), X ს. შუა წლები

ხელნაწერი ნაწილობრივ პალიმფსესტია. გაირჩევა 5 ხელი, ერთი – იოვანე-ზოსიმესი. მეორე გადამწერია – ივანე/იოვანე (164v; 184v). მეორე გადამწერის მინაწერში მითითებულია თარიღი: „ქრისტე, შეიწყალე ივანე, ცოდვილი ამის მწერალი. რომელი დამეკლოს, შემინდვე და ლოცვასა მომივსენე. ქრონიკონი როდ“ (=954 წ.) (184v). სხვა გადამწერთა სახელები უცნობია.

ხელნაწერში არ არის მითითებული გადამწერის ადგილი, თუმცა, როგორც აღნიშნულია, კრებული საბანშიდური ნუსხაა, რომლის ერთ-ერთი გადამწერი და რედაქტორი იოვანე-ზოსიმეა⁶⁶⁰ (როგორც ცნობილია, იოვანე-ზოსიმე X ს-ის 70-იან წლებამდე საბანშიდის ლავრაში მოღვაწეობდა).

ხელნაწერი აღწერილი აქვს ი. ჯავახიშვილს (№26).⁶⁶¹ მისი აღწერილობა ასევე შესულია სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში.⁶⁶²

კრებული გამოკვლეული და გათვალისწინებულია უძველესი იადგარის გამოცემაში.⁶⁶³

ხელნაწერი ინახება სინას მთის ნმ. ეკატერინეს მონასტერში.

Sin. Geo. O. 40. იადგარი, X ს.

გადამწერის ადგილი: საბანშიდის მონასტერი. გადამწერი: სუმეონ მაგალობელი, მომგებელი: თეოდორე პალაგრელი (153r).

656 Sin. I, 94-131; 132-143 (დამატება)

657 უძველესი იადგარი, 557, 703-705. ხევსურიანი, Sin 34-ის შედგენილობის საკითხისათვის. 88-122; მეტრეველი, ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი, 0107-0108

658 კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი, 242-294; Garitte, Le calendrier palestinogéorgien; Frøyskov, L'horloge „georgien“ და სხვა. სრული ბიბლიოგრაფია იხ. აღწერილობაში: Sin. I, 94-143

659 იხ. Sin. I, 132-143 (დამატება)

660 Sin. I, 93

661 ჯავახიშვილი, აღწერილობა, 48-50

662 Sin. I, 77-93

663 უძველესი იადგარი, იხ. 6, 557, 711. იხ. ასევე: მეტრეველი, ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი, 014-016

ხელნაწერს ახლავს გადამწერისა და მომგებლების ანდერძები. გადამწერის ანდერძიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ პალავრაში მოღვაწე თეოდორე დაყუდებულმა სვიმეონ მაგალობელს დაანერჩინა იადგარი: „ესე იადგარანი დაჩხრეკილანი თევდორე პალავრელმან დაყუდებულმან დამაწერინა ცოდვილსა მე, სვმეონს მაგალობელსა... დაინერჩეს საბანშიდას შინა“ (253r).

მეორე მომგებლის ანდერძში ვკითხულობთ: „...მე, გლაბაკი და ცოდვილი გრიგოლ და უნარჩევცსი ყოველთა მღვდელთაჲ, ღირს-მყო ღმერთმან წმიდასა ამას მთასა შემოსლვად და დაჯდომად, სადა მოსე უფალი იხილა, და მუნ შინა მოვიგენ წმიდანი ესე იადგარნი გამოკრებულნი, სასწავლელად ჩემდა უცბისადა რომელმან ამათი შრომაჲ თავს იღვა და მომიგნა, ივანე კუმურდოელი ქრისტემან შეიწყალენ“ (253v-254r).

კრებული აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№67),⁶⁶⁴ ი. ჯავახიშვილს (№40),⁶⁶⁵ ხელნაწერის აღწერილობა ასევე შესულია სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში.⁶⁶⁶ ტექსტი გამოცემულია.⁶⁶⁷

ხელნაწერი ამჟამად ინახება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში.

H 1664. მაქსიმე აღმსარებელი, „ცხოვრება ღვთისმშობლისა“, XI ს.

გადამწერი: იოვანე ყია (57v. ასევე: 102v, 110v, 120v). გადამწერილია საბანშიდის მონასტერში: „დაინერა ნ(მიდა)ჲ ესე ღ(მრ)თისმშობ(ე)ლისა ცხოვრებაჲ, ს(უ)ლთა გ(ა)ნმანათლებელი, ჯერაკუმიას, მონასტერსა წმიდისა საბაჲსს“ (165v).

ხელნაწერი ინახებოდა ჯრუჭის მონასტერში, საიდანაც ექვთიმე თაყაიშვილმა ჩამოიტანა თბილისში 1919 წელს.

ხელნაწერის აღწერილობა შესულია H ფონდის კოლექციის აღწერილობის IV ტომში,⁶⁶⁸ ასევე სინური კოლექციის აღწერილობის III ტომში.⁶⁶⁹ ტექსტი გამოქვეყნებულია.⁶⁷⁰

ამჟამად ხელნაწერი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

664 Цагарели, Памятники, 225

665 ჯავახიშვილი, აღწერილობა, 107-109

666 Sin. I, 143-152. აქვეა გამოქვეყნებული დამონმებული ანდერძები

667 უძველესი იადგარი: აღნიშნულ გამოცემაში აგრეთვე წარმოდგენილია ხელნაწერის აღწერილობა – 701-702

668 H კოლექცია, IV, 91-92

669 Sin. III, 204-206

670 Maxime le Confesseur, Vie de la Vierge. ცნობები ხელნაწერის H 1664 შესახებ აღნიშნულ გამოცემაში იხ. vol. 478, გვ. X-XI

სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაერთა ინსტიტუტის ხელნაერი M 13. იოანე ოქროპირი, იოანეს სახარების თარგმანება. 1038 წ.; XIII-XIV სს.

მთარგმნელი: ეფთვიმე ათონელი.

ხელნაერი შედგება ორი ნაწილისაგან: I ნაწილი, რომელიც ხელნაერთის თავდაპირველ, ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, გადაწერილია მიქაელ ჩიხუარელის მიერ პალესტინაში, ნმ. საბა განწმედილის ლავრაში 1038 წელს, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის აღმშენებლის, გიორგი-პროხოზეს დაკვეთით (487r, 488r). მანვე (გიორგი-პროხოზემ) შესწირა ხელნაერი იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერს (488r).

იხ. მიხაელ ჩიხუარელის და გიორგი-პროხოზეს ანდერძები:

„ხოლო დაინერა ჴელითა გლახაკისა და მწარედ ცოდვილისა მიქაელ ჩიხუარელისაჲთა ლავრასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა, ბრძანებითა ღმერთშემოსილისა წმიდისა მამისა და მოძღურისა ჩემისა გ(იორგ)ი ჯ(უა)რ(ე)ლისაჲთა, მეფობასა ბერძენთა ზედა მიხაელის(ა)სა, ხოლო ქართველთა ზედა ბაგრატ კურაპალატისსა, ამას წმიდასა ლავრასა ზედა მამასახლისობასა ფ~დ ბერისა (!) ელიაჲსსა.“ (487r).

„.....ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გ(იორგ)ი-პროხოზე, სახელად ოდენ მღდელი, ხოლო საქმით არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდასა ამას ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ადგილსა და თანა წმიდათა ამათ წიგნთა თარგმანთა სახარებისათა იოვანეს თავისასა და მათესსა სრულებით....და დავსხენ ამასვე წმიდასა მონასტერსა ჯუარს...“ (487v-488r).⁶⁷¹

II ნაწილი გადაინერა XIII-XIV სს-ში (პალეოგრაფიული მონაცემებით) I ნაწილის შევსების მიზნით. ეს ნაწილი, ძირითადად, წარმოადგენს პალიმფსესტს (გამოყენებულია 3 სხვადასხვა ხელნაერთის ნაწილები). ზედა ფენა დაწერილია ხელნაერთის რესტავრატორების: ნიკოლოზ/ ნიკოლაოზ მწერლისა (40v, 68r, 74r და სხვ.) და დანიელის (66v) მიერ.

ხელნაერს ჩაუტარდა რესტავრაცია 1570 წელს ვლასი ურბნელის მიერ ბარნაბა ტფილელის დაკვეთით, როცა იგი ხელახლა იქნა აკინძული (489r).

ხელნაერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (№45),⁶⁷² მ. ბროსეს (№2)⁶⁷³, თ. ცერაძესა და ლ. ხოფერიას.⁶⁷⁴

„თარგმანების“ ტექსტი გამოქვეყნებულია.⁶⁷⁵ პალიმფსესტური ფურ-

671 ანდერძების ტექსტი სრულად იხ. გამოცემაში: ცერაძე, ხოფერია, ქართულ ხელნაერთა აღწერილობა, 353-354

672 Цагарели, Памятники, 186-188

673 Brosset, Notice des manuscrits géorgiennes, 622-641

674 ცერაძე, ხოფერია, ქართულ ხელნაერთა აღწერილობა, 306-356 (აქვე იხ. ბიბლიოგრაფია, 350)

675 სარჯველაძე, შანიძე, იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა (ხელნაერი M 13 გათვალისწინებულია გამოცემაში).

ცლები შესწავლილი აქვს მ. ვან ესბროკს⁶⁷⁶. ხელნაწერი და მასში დაცული ტექსტი და ანდერძ-მინაწერები ასევე შესწავლილი აქვს რ. ორბელს.⁶⁷⁷

1820 წელს ხელნაწერი იერუსალიმიდან სანკტ-პეტერბურგში ჩაიტანა გიორგი ავალიშვილმა (პირველი საცავი ფურცლის v-ზე). ამჟამად დაცულია სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში.

Jer. Geo. 106. ეფრემ ასური. „ასკეტიკონი“, XIII-XIV სს.

მთარგმნელი: ეფრემ მცირე, გადამწერი: სტეფანე დიაკვანი (93r). კრებულის უკანა ყდაზე გაკეთებული ბერძნული მინაწერის თანახმად, ხელნაწერი საბანშიდის მონასტერს ეკუთვნოდა, საიდანაც 1888 წელს გადაუტანიათ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წიგნსაცავში.

ამჟამად ხელნაწერი ინახება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

ხელნაწერი აღწერილი აქვს რ. ბლეიკს.⁶⁷⁸

Jer. Geo. 99. ლექციონარი, XIII-XIV სს.

ლექციონარი შეიცავს ძველი აღთქმის საკითხავებს. ხელნაწერი საბანშიდის მონასტერს ეკუთვნოდა, საიდანაც შეტანილია ჯვრის მონასტრის საცავში. კრებული არ არის შესწავლილი, მისი ძალიან მოკლე აღწერილობა წარმოდგენილია რ. ბლეიკის კატალოგში.⁶⁷⁹

ამჟამად ხელნაწერი ინახება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

საბანშიდის მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერები

ამჟამად საბანშიდაში დაცულია ორი ქართული ხელნაწერი ფრაგმენტი და ერთი მცირე მოცულობის ქართული ხელნაწერი, რომლებიც ზაზა სხირტლაძემ გამოავლინა 1997 წელს.⁶⁸⁰

ორივე ფრაგმენტი თითო-თითო ხელნაწერი ფურცელია, რომლებიც ჩაკერებულია XIX საუკუნის ბერძნული ნაბეჭდი წიგნების ყდაში.

ფრაგმენტი 1: პერგამენტის ფურცელი, ტექსტი ნაწერია ნუსხურით, პალეოგრაფიული მონაცემებით X-XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს

676 ესბროკი, ლენინგრადის პალიმფსესტური მრავალთავი, 81-87

677 Орбели, К исследованию одного грузинского палимпсеста, 125-135

678 Blake, Catalogue, 1924/2, 420-422. იხ. ასევე: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 127

679 Blake, Catalogue, 1924/2, 417. იხ. ასევე: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ (სადაც გამეორებულია ბლეიკის კატალოგში წარმოდგენილი ცნობები), 130-131

680 Skhirtladze, Georgian Manuscripts in the Lavra of St. Sabas, 217-230

გადანერილი. შეიცავს წმ. ელევთერის წამების დავით ტბელისეული თარგმანის ფრაგმენტს.⁶⁸¹

ფრაგმენტი 2: პერგამენტის ფურცელი, რომელიც ორად არის გაჭრილი და წინა და უკანა ყდაში ჩაკერებული, ძლიერ დაზიანებული. ტექსტი ნაწერია ნუსხურით, სავარაუდოდ, XII საუკუნის ხელით. შეიცავს გრიგოლ რომის პაპის სვინაქსარული ცხოვრების ფრაგმენტს (ტექსტი ემთხვევა გიორგი ათონელის სვინაქსარის ყველაზე ადრეულ ხელნაწერებში დაცულ ტექსტს).⁶⁸²

მესამე ქართული ხელნაწერი სრულად არის შემონახული. ეს არის მცირე ზომის, 6 ფურცლის შემცველი XIX საუკუნის ხელნაწერი, ნაწერი ქალაქდზე, მხედრულით (ბოლო გვერდზე რუსული ტექსტია). ხელნაწერი შეიცავს ლოცვებს, ბოლოს ახლავს სულხან ანუ დანიელ მალრ[ადის] სავედრებელი მინაწერი.⁶⁸³

წმ. საბას მონასტერთან დაკავშირებული ქართული სინმიდეები⁶⁸⁴

კათოლიკოს დომენტი III-ის საბეჭდავი წმ. საბა განწმედილის მონასტრიდან, 1661/1662 წწ.

წმ. საბა განწმედილის მონასტერში ინახება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დომენტი III-ის (1659-1676 წწ.) სპილენძის საბეჭდავი.⁶⁸⁵ საბეჭდავი ნაწვეტებული დისკოს ფორმის სპილენძის ფირფიტაა, რომელსაც უკანა მხარეს ცილინდრული სახელური აქვს მირჩილული.

დისკოზე ამოკვეთილია სვეტიცხოვლის აღმართვის კომპოზიცია: ცენტრში გამოსახულია სვეტი, რომლის თავზეც მაცხოვრის ნახევარფიგურაა, მაცხოვრის ფიგურის ორსავე მხარეს თითო ასომთავრული გრაფემაა: ღბ – ლ(ვთაე)ბ(ა).⁶⁸⁶ სვეტის ძირში მწოლიარე სიდონიაა, სვეტის ორსავე მხარეს წმ. ნინოსა და წმ. ნანა დედოფლის ფეხზე მდგომი ფიგურებია. სიდონიას გამოსახულების ქვემოთ არაბული ციფრებით საბეჭდავის დამზადების თარიღია ამოკვეთილი – ჰიჯრით 1072, რაც 1661/1662 წლებს შეესატყვისება.

ქართული და ბერძნული სარკისებური წარწერა ამოჭრილია საბეჭდავის კიდეზე. ქართული ასომთავრული წარწერა ამონარიდია მათეს სახარებიდან (მათე: 16.19); განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია ორი წერტილი.

681 Skhirtladze, Georgian Manuscripts in the Lavra of St. Sabas, 218-222

682 იქვე, 222-225

683 იქვე, 225-226

684 ვრცლად წმ. საბა განწმედილის მონასტერთან დაკავშირებული ქართული სინმიდეების შესახებ იხ. დანართი

685 საბეჭდავის შესახებ დანვრილებით იხ. გაგოშიძე ი., კათალიკოს დომენტი III-ის საბეჭდავი, 58-60; Gagoshidze I. A Replica of the Seal of Catholicos Domenti III, 105-110

686 გაგოშიძე ი., კათალიკოს დომენტი III-ის საბეჭდავი, 58

„*რ(ომელ)ი გ(ა)ნ(ჰ)ჰსენათ ქ(უე)ყ(ა)ნ(ა)სა [ზედა] ჰსნილ იყოს იგი ცათა შ(ინ)ა*“

ბერძნული ტექსტი არ არის ქართულის შესატყვისი, აქ, როგორც ჩანს, საბეჭდავის პატრონი დომენტი კათალიკოსია მოხსენიებული, რომლის ვინაობას აზუსტებს არაბული ციფრებით მოცემული თარიღიც.

ამ საბეჭდავის ორეული ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურში (საინვენტარო №3202), იგი მთის ბროლისგანაა გამოკვეთილი.⁶⁸⁷ ბროლის საბეჭდავი სპილენძის საბეჭდავის ანალოგიურია, გამოსახულებები მხოლოდ უმნიშვნელო შტრიხებით განსხვავდება ერთმანეთისგან. წარწერები და თარიღი იდენტურია, განსხვავებაა ერთ ასო-ნიშანში ბერძნულსა და ქართულ წარწერებში. ბროლის საბეჭდავის ქართულ წარწერაში სიტყვა „გ(ა)ნ(ჰ)ჰსენათ“ სწორად წერია, ზედმეტი „ე“-ს გარეშე, სპილენძის საბეჭდავზე კი ეს სიტყვა წერია ასე – „გ(ა)ნ(ჰ)ჰსენათ“. ამკარაა, რომ სპილენძის საბეჭდავი ბროლის საბეჭდავის ასლია და მას აკეთებს ქართულის უცოდინარი ხელოსანი; ორი მსგავსი საბეჭდავის არსებობა მრავალ კითხვას აღძრავს და ვფიქრობ, მართალია იულონ გაგოშიძე, რომელსაც მიაჩნია, რომ სპილენძის საბეჭდავი, სავარაუდოდ, გაყალბებული დოკუმენტების დასამონუმებლად იყო განკუთვნილი, რაც შეიძლება გარკვეულად კავშირში იყოს XVII საუკუნეში წმ. მინაზე ქართველების უძრავი ქონების დაკარგვასთან.⁶⁸⁸

ხარების ხატი წმ. საბას მონასტრიდან, XVI-XVII სს.

წმ. საბა განწმედილის მონასტერში ინახება ომოფორის ტოტების გადაკერებით მიღებული ხარების ხატი. ქართული წარწერით კომპოზიციას ახლავს ოქროს ძაფით ნაქარგი განმარტებითი წარწერები. ასოების სიმაღლე: 0,8-2,2 სმ. ქარაგმის ნიშანი – მოკლე განივი ხაზია.

ხატის შუაში წერია: „*ხ(ა)რ | |(ე)ბა)ე*“

გაბრიელ მთავარანგელოზის თავს ზევით: „*გ(ა)ბრ(ი)ლ მთ(ავარანგელო)ზი*“
ღმრთისმშობლის ფიგურის ორსავე მხარეს: „*დ(ე)და | | ღ(მრთი)ს(ა)ე*“

ენქერი წმ. საბა განწმედილის ლავრიდან, XVII ს.

ენქერი (ზომა: 34X34 სმ.) ქართული შენიაღებული ასომთავრული წარწერებით ინახება წმ. საბა განწმედილის მონასტერში. ოქრომკედით ნაქარგი წარწერა ზედა მარცხენა კუთხეში იწყება და ენქერის ქობას შემოუყვება. ასოების სიმაღლე: 0,8 - 2,5 სმ. განკვეთილობის ნიშანი სამი წერტილია.

687 ბარნაველი, საქართველოს საბეჭდავები, 123-141, ტაბ. XXI-XXXII

688 Gagoshidze I. A Replica of the Seal of Catholicos Domenti III, 110

„შეიბ მ(ა)ხვილი შენი წ(ე)ლთა შენთა ზედა ძლიერო შევნიერებითა შენითა და სიკეთითა შენითა გარდააცვ და წარუმართე და სუფევად ჭ(ეშმარი)ტ(ად).“

ენქერის ცენტრში მედალიონში სამღვდელმთავრო სამოსში გამონ-
ყობილი და ორივე ხელით მაკურთხეველი მაცხოვარია გამოსახული,
მედალიონის კიდეზე მაცხოვრის ბერძნული, არაბული და ქართული ასო-
მთავრულით შესრულებული ინიციალებია დაქარგული.

„ი(სუ)ს ქ(რისტო)ს“

მაცხოვრის ამგვარი მოხსენიება აშკარა ბერძნულ გავლენას უნდა
მივანეროთ.



წმ. საბა განწმედლის მონასტერი იუდეის უდაბნოში (ფოტო დ. ცხადაძის)



ნმ. საბა განწმედლის მონასტერი იუდეის უდაბნოში, საერთო ხედი (ფოტო დ. ცხადაძის)



ნმ. საბა განწმედლის მონასტერი იუდეის უდაბნოში, ეზო (ფოტო დ. ცხადაძის)



წმ. საბა განწმედლის მონასტერი იუდეის უდაბნოში (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. ხარიტონის ლავრა (პალავრა)

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. ხარიტონის მონასტერი მდებარეობს იუდეის უდაბნოში, ბეთლემის სამხრეთით. ამჟამად შემორჩენილია რამდენიმე გამოქვაბული და მონასტრის საგუმბაგო კოშკის ნანგრევები.

ისტორია

ტრადიციის თანახმად, წმ. ხარიტონის ლავრის დაარსება უკავშირდება IV საუკუნეში მოღვაწე უდიდეს ქრისტიან ასკეტსა და სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთ ორგანიზატორს პალესტინაში, წმ. ხარიტონს.

როგორც წმ. ხარიტონის „ცხოვრებაში“ მოთხრობილი, ასკეტ მამას წმინდა მინაზე რამდენიმე ლავრა დაუარსებია, ესენია: ფარანის, დუკასა და სუკის ლავრა, იგივე პალავრა (ბერძ. ნიშნავს „ძველ ლავრას“). სუკის ლავრას ხშირად „ხარიტონის ლავრასაც“ უწოდებდნენ დამაარსებლის პატივსაცემად.⁶⁸⁹

როგორც წყაროებიდან და მოგზაურთა გადმოცემებიდან ჩანს, სამონასტრო ცხოვრება ლავრაში მუსლიმთა დაპყრობის შემდეგაც არ შეწყვეტილა, თუმცა სავანე არაერთხელ გამხდარა ბედუინთა დარბევის მსხვერპლი (788 და 796 წელს). მონასტრის არსებობა დასტურდება შემდგომი პერიოდის წერილობითი წყაროებითა და პილიგრიმთა გადმოცემებით. XVII საუკუნეში ლავრა უკვე დანგრეული იყო.⁶⁹⁰

ქართველები წმ. ხარიტონის ლავრაში

ქართულ წერილობით წყაროებში წმინდა ხარიტონის ლავრა მოიხსენიება როგორც „ძველი ლავრა“, პალავრა და ხარიტონწმინდა. ყველაზე ადრეულ დოკუმენტურ მონობას პალავრაში ქართველების მოღვაწეობის შესახებ გვანვდის X საუკუნის ხელნაწერი კრებული Sin.Geo.O.11, რომელიც უფრო ადრეულ თარგმანებს უნდა შეიცავდეს.⁶⁹¹

ხელნაწერში დაცულია გადამწერის ანდერძი, რომელშიც ვკითხულობთ: „ითარგმნა ივრუსალემს ჭელითა სეთ თარგმანისაჲთა და დაინერა

689 Pringle, The churches, vol. II, 221; Murphy _ O'Connor, The Holy Land, 276-7

690 Pringle, The churches, vol. II, 221-222

691 ივანე იმნაიშვილის დასკვნით, ხელნაწერში დაცულ ტექსტებში არსებული არქაიზმები იმაზე მიგვითითებს, რომ მასში შესული თხზულებები VIII საუკუნეში, ან უფრო ადრეულ ეპოქაში უნდა იყოს ნათარგმნი, თუმცა გადამწერის დროდ X საუკუნე უნდა მივიჩნიოთ (იმნაიშვილი ივ., ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. II, 188-211)

პალავრას ჯელითა პავლესითა“ (240r). სხვა ანდერძებიდან ჩანს, რომ კრებულის გადაწერაში მონაწილეობდნენ აგრეთვე გადამწერები – დავითი და იოანე „მწარე ცოდვილი.“⁶⁹²

ქართველები განსაკუთრებით აქტიურად ჩანან პალავრაში X-XI სს-ში, რასაც ადასტურებს ხარიტონის ლავრაში იოანე საფარელის, გრიგოლ ხარიტონწმინდელისა და სტეფანე პალავრელის მიერ გადამწერილი ხელნაწერები (იხ. ქვემოთ, სექცია: ხელნაწერები).

პალავრელ მოღვაწეებს აქტიური და ნაყოფიერი ურთიერთობა ჰქონიათ სხვა კერებში მოღვაწე თანამოძმეებთან. X საუკუნის იადგარის – Sin. 40-ის ანდერძიდან ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ პალავრაში მოღვაწე თეოდორე დაყუდებულმა საბანშიდის მონასტრის ბერს, სვიმეონ მაგლობელს იადგარი დააწერინა.⁶⁹³ ამგვარი კონტაქტები გაგრძელებულა XI საუკუნეშიც, რასაც ადასტურებს ხელნაწერში Jer.Geo.32 დაცული ანდერძი. მისი ტექსტიდან ჩანს, რომ ხელნაწერის გადამწერია ხახულში მოღვაწე დავით თბილელი, რომელმაც ეს ხელნაწერი საგანგებოდ დაამზადა პალავრისათვის (შემდგომში ის დელტავის მონასტერში ინახებოდა).⁶⁹⁴ XI საუკუნეში გრიგოლ ხარიტონწმინდელს გადაუწერია ორი ხელნაწერი, რომელთაგან ერთი (H 1662) დერტავის მონასტრისთვის შეუწირავს, ხოლო მეორე (Kut. 181) – დერთუფას მონასტრისთვის. (იხ. ქვემოთ, სექცია: ხელნაწერები).

XI საუკუნის შემდგომ პერიოდში ჩვენთვის უცნობია პალავრაში გადამწერილი ხელნაწერების არსებობის შესახებ.

ხელნაწერები

H 2124. გიორგი ალექსანდრიელის „იოანე ოქროპირის ცხოვრება“, 968 წ.

ხელნაწერი გადამწერილია წმ. ხარიტონის ლავრაში, გადამწერი – ივანე საფარელი. ხელნაწერის დამკვეთს, მიქაელ ფანასკერტელს, რომელიც სინას მთაზე იმყოფებოდა, ეს ხელნაწერი სინას მთისთვის შეუწირავს (იხ. გადამწერის და დამკვეთის ანდერძები: 256r-v; 257r-v). XIX საუკუნეში ხელნაწერი სინას მთიდან სანკტ-პეტერბურგში ჩამოიტანა პორფირი უსპენსკიმ, ხოლო 1923 წელს ხელნაწერი საქართველოს გადასცეს. ამჟამად ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ხელნაწერის აღწერილობა შესულია H ფონდის კოლექციის აღწერილობის V ტომში.⁶⁹⁵

692 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 79

693 Цагарели, Памятники, 225, ჯავახიშვილი, აღწერილობა, 109

694 Blake, Catalogue, 1922-1923, 411-412

695 H კოლექცია, V, 77-79. იხ. ასევე: უცხოეთში გადამწერილი ქართული ხელნაწერები, 30

Sin. Geo. O. 11, ჰაგიოგრაფიული კრებული, X ს.

ხელნაწერი შეიცავს კიმენური რედაქციის ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს სექტემბერ-იანვრისა და ივნის-ივლისის თვეებისთვის.

გადაწერილია ხარიტონის ლავრაში: „ითარგმნა იწრუსალემს ჴელითა სეთ თარგმანისაჲთა და დაინერა პალავრას, ჴელითა პავლესითა“, (240r), სხვა ანდერძებიდან ჩანს, რომ კრებულის გადაწერაში მოღვაწეობდნენ სხვა გადამწერებიც – დავითი და იოანე.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს, ი. ჯავახიშვილს.⁶⁹⁶ ამჟამად ინახება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში.

Jer. Geo. 32. იოანე ოქროპირი. „იოანეს თავის თარგმანება“, XI ს.

ხელნაწერი გადაწერილია XI ს-ის 30-იან წლებში დავით ტფილელის მიერ საგანგებოდ პალავრისთვის და წარმოადგენს ეფთვიმე ათონელის თარგმანს. შემდგომში ხელნაწერი ინახებოდა დერტავის მონასტერში.

უფრო დანვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. სტატია: დერტავის მონასტერი, სექცია: ხელნაწერები.

Sin. Geo. O. 40. იადგარი, X ს.

ხელნაწერი ხარიტონის ლავრის მოღვაწის, თეოდორე პალავრელის დავალებით გადაუწერია სვიმეონ მაგალობელს საბანშიდის მონასტერში.

უფრო დანვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ იხ. სტატია: წმ. საბა განწმედილის მონასტერი, სექცია: ხელნაწერები.

ხარიტონის ლავრაშია აგრეთვე გადაწერილი ხელნაწერები **H 1662, ჰომილიათა კრებული, 1040 წ.** და **Kut. 181, მაკარი მეგვიპტელის ეპისტოლენი და სწავლანი** (XI ს.). ორივე ხელნაწერის გადამწერია გრიგოლ ხარიტონმინდელი. გრიგოლს ხელნაწერი Kut. 181 დერთუფას მონასტრისთვის შეუწირავს, ხოლო ხელნაწერი H 1662 – დერტავის მონასტრისთვის (შესაბამისად, ამ ხელნაწერთა შესახებ იხ. ზემოთ, დერტავის და დერთუფას შესახებ სტატიების შესაბამის სექციებში).

H 1741. ოთხთავი, 1028 წ.

ხელნაწერი ხარიტონის ლავრისათვის არის გადაწერილი ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში (გეთსამანიაში), მისი მომგებელია პალავრელი მოღვაწე სტეფანე ხუცესი (უფრო დანვრილებით ამ ხელნაწერის შესახებ

696 Цагарели, Памятники, 216-217, №50; ჯავახიშვილი, აღწერილობა, 23-31. იხ ასევე: ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, 79.

იხ. სტატია: ღვთისმშობლის საფლავის ეკლესია ზეთისხილის მთასთან, სექცია: ხელნაწერები).

Sin. Geo. N. 93, X ს.

1975 წელს სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილ კოლექციაში (ახალი სინური კოლექცია) დაცულია უცნობი ხელნაწერის ერთი ფურცელი, რომელზეც ორი მოსახსენებელი მინაწერი დასტურდება. ერთ-ერთი მინაწერიდან ცხადი ხდება, რომ აღნიშნული ფრაგმენტი არის ნაწილი ხარიტონის ლავრაში გადაწერილი ხელნაწერისა: „დაინერა წმიდაჲ ესე წიგნი ლავრასა შინა წმიდისა ხარიტონისა პალავრას“ და მეორე მინაწერი იქვე: „ლოცვა-ყავთ. თევდორეს და მისთა მშობელთა შეუწდოს ღმერთმან, ამენ“.

ხელნაწერი ფრაგმენტის აღწერილობა შესულია სინას მთის ახალი კოლექციის აღწერილობაში.⁶⁹⁷


697 Sin. New, 2005, 309




ნმ. ხარიტონის ლავრა იუდეის უდაბნოში, არქეოლოგიური ნაშთები (ფოტო დ. ცხადაძის)



ნმ. ხარიტონის ლავრა იუდეის უდაბნოში, არქეოლოგიური ნაშთები (ფოტო დ. ცხადაძის)



წმ. ხარიტონის ლავრა იუდეის უდაბნოში, სამლოცველო მღვიმე (ფოტო დ. ცხადაძის)



**ქართულ ქრისტიანულ თემთან
დაკავშირებული ეკლესია-მონასტრები
იერიქონის მახლობლად**



გზა იეროქონისკენ, 1900-1920 (LC-DIG-matpc-05118)

წმ. გერასიმეს მონასტერი

მდებარეობა

წმ. გერასიმეს მონასტერი მდებარეობდა ქალაქ იერიქონის აღმოსავლეთით, მდ. იორდანეს ხეობაში, მკვდარი ზღვის ჩრდილოეთით. წმ. გერასიმეს (არაბ. დაარ. ჰაჯლას) სახელით ცნობილი მონასტრის ამჟამად არსებული ნაგებობა აშენებულია 1885 წელს.

ისტორიული წმ. გერასიმეს მონასტრის მდებარეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, დღეს წმ. გერასიმეს სახელით ცნობილი მონასტერი (დაარ. ჰაჯლა) უნდა გაიგივდეს ისტორიულ კალამონის მონასტერთან, სადაც საეკლესიო ტრადიციით შეჩერდა ეგვიპტედ ლტოლვისას წმინდა ოჯახი.⁶⁹⁸ თუმცა, სამეცნიერო წრეებში უფრო სარწმუნოდ მიიჩნევა მოსაზრება, რომ თანამედროვე დაარ. ჰაჯლა ისტორიული გერასიმეს მემკვიდრეა, ხოლო კალამონი – იქვე ახლოს, აინ ჰაჯლაში მდებარეობდა, კერძოდ, დღევანდელი დაარ. ჰაჯლას მონასტრის აღმოსავლეთით 350 მეტრის დაშორებით აღმოჩენილია ძველი მონასტრის ნაშთები. ლ. ფედერლინმა, რომელმაც აღმოაჩინა აღნიშნული ნანგრევები, ისინი ისტორიული წმ. გერასიმეს მონასტრის ნაშთად მიიჩნია. მკვლევარი თვლიდა, რომ დაარ. ჰაჯლას არსებული მონასტერი აშენებულია გერასიმეს მონასტრის ქვებით.⁶⁹⁹ ფედერლინის მიერ შემოთავაზებული გერასიმეს მონასტრის ლოკალიზაცია გაიზიარა ი. ჰირშფელდმა.⁷⁰⁰ საგულისხმოა, რომ დ. პრინგლი დღევანდელი დაარ. ჰაჯლას მონასტერს აიგივებს კალამონის მონასტერთან, ხოლო ისტორიული წმ. გერასიმეს მონასტრის მდებარეობას ცოტა მოშორებით ვარაუდობს.⁷⁰¹

XII საუკუნის დასაწყისის რუსი მოგზაური იღუმენი დანიელი (1106-1107 წწ.) წერს, რომ წმ. გერასიმეს მონასტერი მდებარეობდა იორდანესთან, წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერსა და წმ. მარიაშის სახელობის კალამონის მონასტერს შორის. მისივე თქმით, წმ. გერასიმეს მონასტერი ამ მონასტრებიდან დაახლოებით თითო-თითო კილომეტრით იყო დაშორებული.⁷⁰²

698 Vaillhé, Les laures de saint Gerasime et de Calamon, 106-119; Marti, Mittheilungen von Baurath C. Schick in Jerusalem 1-43

699 Federlin, Recherches, 132- 134

700 Hirschfeld, The Judean Desert Monasteries, 28-29

701 Pringle, The churches, vol. II, , 239

702 Житие и хождение Даниила, 49

ისტორია

წმ. გერასიმეს მონასტერი დაარსებულია ერთ-ერთი უდიდესი პალესტინელი ასკეტის, გერასიმეს მიერ დაახლ. 455 წელს. წმ. გერასიმე (+475 წ.) წარმოშობით იყო ლიკიიდან (თანამედროვე ანატოლია, თურქეთი). გარდაცვალების შემდეგ იგი ამავე მონასტერში დაუკრძალავთ.

ცნობილია, რომ IX საუკუნეში მონასტერი მოქმედი იყო,⁷⁰³ სავანემ არსებობა, სავარაუდოდ, XII საუკუნის დასასრულისთვის შეწყვიტა.⁷⁰⁴ 1187 წლის მომდევნო პერიოდის ანონიმი ბერძენი მოგზაური ჯერ კიდევ იხსენიებს წმ. გერასიმეს მონასტერს, თუმცა უკვე XIII საუკუნის უცნობი სლავი პილიგრიმის ცნობით, ამ ადგილზე ნანგრევები იყო დარჩენილი.⁷⁰⁵

ქართველები წმ. გერასიმეს მონასტერში

1185 წელს ბიზანტიელი მოგზაური იოანე ფოკა წერს, რომ ადიდებულმა მდინარემ მონასტრის უდიდესი ნაწილი წაიღო, დარჩა მხოლოდ ეკლესიის ნანგრევები, სვეტების ნაშთები და ორი გამოქვაბული, რომელშიც მოხუცებული ქართველი ბერი ცხოვრობდა.⁷⁰⁶ მისი ცნობით, ქართველ ბერს, წმ. გერასიმეს მსგავსად, ორი ლომი ჰყავდა მოთვინიერებული, რომლებსაც ხის რტოები მოჰქონდათ მასთან, ხოლო ქართველი ბერი ამ ტოტებისაგან ხის ჯვრებს ამზადებდა პილიგრიმებისათვის.⁷⁰⁷

როგორც ჩანს, ეს ერთადერთი წყაროა, რომელიც წმ. გერასიმეს მონასტერში ქართველი ბერების ყოფნას ადასტურებს.

703 Commemoratorium de Casis Dei vel monasteriis, 138

704 Vailhe, Les laures de saint Gerasime et de Calamon, 118

705 Pringle, vol. II, N 207, 238-239

706 იქვე, 238

707 Wilkinson, Hill, Ryan, Jerusalem Pilgrimage, 330-331



ნმ. გერასიმეს მონასტერი იერიქონის მახლობლად (დავრ ჰაჯლა),
საერთო ხედი (ფოტო დ. ცხადაძის)



ნმ. გერასიმეს მონასტერი იერიქონის მახლობლად (ფოტო დ. ცხადაძის)



წმ. გერასიმეს მონასტერი იერიქონის მახლობლად, ეზო (ფოტო დ. ცხადაძის)

წმ. იოანე ოქროპირის მონასტერი

მდებარეობა

წმ. იოანე ოქროპირის სახელობის მონასტერი იერიქონის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა. ამჟამად დარჩენილია მხოლოდ მისი ნანგრევები.

ისტორია

მონასტრის შესახებ ცნობები საკმაოდ მწირია. ტრადიციის თანახმად, წმ. იოანე ოქროპირის სახელობის მონასტერი იმ ადგილას დაარსდა, სადაც ელიამ, შემდგომში იერუსალიმის პატრიარქმა, 475 წელს ორი მონასტერი ააგო, რომელთაც, ელიას ანდერძის თანახმად, ერთი წინამძღვარი ჰყავდა.⁷⁰⁸ 528 წელს ერთ-ერთი მონასტერი კონსტანტინოპოლელ საჭურისთა ხელში გადავიდა: დენის პრინგლის ვარაუდით, აღნიშნული მონასტერი არქიმანდრიტმა ალექსანდრემ ბიზანტიის საიმპერატორო გვარის ოჯახის წევრის – იულიანას საჭურისებს უბოძა,⁷⁰⁹ ხოლო ი. ჰირშფელდის მოსაზრებით, მონასტერი კონსტანტინოპოლელმა საჭურისებმა შეიძინეს.⁷¹⁰ ამის შემდგომ ის საჭურისთა მონატრის სახელწოდებით იყო ცნობილი. მეორე მონასტერი კი IX საუკუნის დოკუმენტის „Commemoratorium“-ის მიხედვით, წმ. სტეფანეს მონასტრის სახელით მოიხსენიება.⁷¹¹

XII საუკუნიდან მონასტერი ცნობილია წმ. იოანე ოქროპირის სახელობის მონასტრად. ილუმენი დანიელის ცნობით (1106-1107 წლები), ეს იყო გალავნით გარშემორტყმული მდიდარი მონასტერი. სავანეს იხსენიებს XIV საუკუნის ანონიმი სლავი პილიგრიმიც, თუმცა რთულია დაზუსტებით იმის თქმა, ამ პერიოდში მონასტერი კვლავაც მოქმედი იყო თუ არა. ცნობილია, რომ უკვე 1874 წელს რუსები იერიქონში საკუთარი სასტუმრო სახლის მშენებლობისას მონასტრის ნანგრევებს სამშენებლო მასალად იყენებდნენ. ზოგიერთ მათგანს ფრესკების ნაშთიც ეტყობოდა.⁷¹²

708 Hirschfeld, The Judean Desert Monasteries, 242

709 Pringle, The churches, vol. II, 200

710 Hirschfeld, The Judean Desert Monasteries, 242

711 Commemoratorium De Casis Dei Vel Monasteriis, 26

712 Pringle, The churches, vol. II, 200

ქართველები წმ. იოანე ოქროპირის მონასტერში

ჯვაროსანთა პერიოდში (1099-1291 წწ.) წმ. იოანე ოქროპირის სახელობის მონასტერში ქართველი ბერები ცხოვრობდნენ.⁷¹³ 1200-1308 წწ-ით დათარიღებული ბერძნული საპატრიარქოს ოფიციალურ ანგარიშებში წმ. იოანე ოქროპირის მონასტერი დასახელებულია იმ მონასტერთა შორის, რომელთაც სხვადასხვა დროს ფლობდნენ ქართველები.⁷¹⁴ მონასტერში ქართველი ბერის ყოფნაზე მოგვითხრობს ასევე ბიზანტიელი პილიგრიმი იოანე ფოკა (1185 წლის ცნობა), მას მონასტრის მახლობლად ქართველი მესვეტე ასკეტი უნახავს, რომელიც სვეტზე ცხოვრობდა.⁷¹⁵

713 The Latin Kingdom of Jerusalem, 222; Peradze, Account, 209, 228

714 Peradze, Account, 230

715 Pringle, The churches, vol. II, 200

ცთუნების მთის მონასტარი

მდებარეობა და კუთვნილება

ცთუნების მთა მდებარეობს ქალაქ იერიქონის აღმოსავლეთით. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 380 მეტრია. ცთუნების მთის მონასტერი ამჟამად ეკუთვნის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

ტრადიციის თანახმად, მონასტერი აგებულია იმ ადგილას, სადაც იესო ქრისტემ მდინარე იორდანეში ნათლისღების შემდეგ იმარხულა ორმოცი დღე-ღამის განმავლობაში და სადაც ეშმაკი შეეცადა მის ცთუნებას (მათე, 4: 1-11; ლუკა, 4: 1-11). სწორედ აქედან მომდინარეობს ამ მთის არაბული სახელიც – „ჯაბალ კურუნტულ“ – „ორმოცის მთა“ წარმომდგარია ლათინური სიტყვიდან „Quarantena“ (ორმოცი). ცთუნების მთა ცნობილია ასევე ბერძნული სახელწოდებითაც – „Sarandarion“ (saranda ბერძნულად ორმოცს ნიშნავს).

იესო ქრისტეს ცთუნების ადგილის გაიგივება იერიქონთან მდებარე ამ მთასთან იწყება XI-XII საუკუნეებიდან. IV-VII სს. პილიგრიმები არაფერს ამბობენ ამის შესახებ.⁷¹⁶

XI-XII სს-იდან მოყოლებული იერიქონის სიახლოვეს მდებარე ამ მთას უკავშირებენ იესოს პირველ და მესამე ცთუნებას – პირველი ცთუნების (მათე 4: 1-4;) ადგილად მიჩნეულია მთის ერთ-ერთი ფერდობის შუაწელზე მდებარე მღვიმე, რომელიც ახლა ბერძნული მართლმადიდებლური მონასტრის ეკლესიის ინტერიერშია მოქცეული; მესამე ცთუნების (მათე 4: 8-11) ადგილად კი მიჩნეულია მთის მწვერვალი.

ცთუნების მთის მწვერვალზე დღემდე არის შემონახული დუკას ციხე-სიმაგრის ნაშთები, რომელიც აშენდა ძვ.წ.აღ. II საუკუნეში სირიელი მხედართმთავრის, ბაკიდეს მიერ.⁷¹⁷ IV საუკუნეში დუკას ციხე-სიმაგრის ნანგრევებსა და მის შემოგარენში არსებულ ბუნებრივ მღვიმეებში დამკვიდრდნენ ქრისტიანი ბერები. 340 წელს აქ საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ მონასტერს, რომელსაც დუკას ლავრა ეწოდა.

ლავრის მკვიდრი ბერები სამლოცველოებად, საცხოვრებელ სენაკებად და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებად იყენებდნენ ამ ადგილზე მრავლად არსებულ ბუნებრივ გამოქვაბულებს, აგრეთვე მთის მწვერვალზე მდგარ ძველი ციხე-სიმაგრის ნაშთებს.⁷¹⁸

716 Murphy-O'Connor, The Holy Land, 411

717 იქვე, 411-412

718 Gonen, Biblical Holy Places, 198

IV ს-ის 80-იან წლებში ამ მთის სამონასტრო დასახლება მოინახულა პალადიუსმა, რომლის სიტყვებით აქ იმდენი ბერი ცხოვრობდა, რომ მთა ქალაქს ჰგავდა.⁷¹⁹

დუკას მონასტრის ისტორია მოიცავს IV-VII საუკუნეებს. მონასტერმა არსებობა შეწყვიტა 614 წელს, სპარსელების შემოსევის დროს, როცა ბერ-მონაზვნებმა მიატოვეს სავანე და სხვადასხვა ადგილებში დაიფანტნენ. ცთუნების მთაზე ახალი სამონასტრო დასახლება ჩნდება ჯვაროსანთა ხანაში – XI-XII საუკუნეებიდან.⁷²⁰

XII საუკუნის პილიგრიმთა ჩანაწერები გვამცნობენ, რომ ამ პერიოდისათვის იერიქონთან მდებარე ეს მთა უკვე მყარად იყო გაიგივებული იმ ადგილთან, საიდანაც სატანამ უჩვენა „ქვეყნის ყველა სამეფო და დიდება მათი“ იესოს (მათე, 4:8). ჩანს ისიც, რომ მთასა და მის გამოქვაბულებში, ყოფილი დუკას მონასტრის ადგილას, დამკვიდრებულები იყვნენ ლათინი ბერები, რომლებიც მასპინძლობას უწევდნენ მრავალრიცხოვან პილიგრიმებს.

ერთ-ერთი პილიგრიმის, თეოდორიკის მიხედვით, მთის მწვერვალის გარშემო არსებულ მიწისქვეშა მღვიმეებში იერუსალიმის ტაძრის ორდენის რაინდები – ტამპლიერები ინახავდნენ სურსათ-სანოვავესა და იარაღს. ამავე ცნობის თანახმად, მთის ძირას იყო ე.წ. აბრაამის ბაღი, სადაც მდებარეობდა ბანაკი პილიგრიმთათვის, რომლებიც მოისწრაფოდნენ ამ წმინდა ადგილზე სალოცავად და მდ. იორდანეში განსაბანად, მათ უსაფრთხოებაზე კი ტამპლიერებისა და ჰოსპიტალიერების რაზმები ზრუნავდნენ.⁷²¹

1187 წელს იერიქონი აიღეს აიუბიდთა რაზმებმა და ცთუნების მთის ლათინი ბერები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ ეს ადგილი.⁷²²

მიჩნეულია, რომ სალადინის გამარჯვების (1187 წ.) შემდეგ, „ორმოცის მთის“ მონასტერი ქართველებს გადაეცათ ლათინების ნაცვლად.⁷²³ როგორც ჩანს, ამ ადგილას ქართველი ბერები ცხოვრობდნენ XIV საუკუნის ჩათვლით – პილიგრიმი გილელმუს ბალდენსელელი, რომელმაც 1336 წელს მოინახულა წმინდა მიწა, მოგვითხრობს, რომ ცთუნების მთა ეკუთვნოდათ ქართველ ბერებს, რომელთაც ძალზე სტუმართმოყვრულად მიუღიათ ევროპელი მოგზაური.⁷²⁴ ცთუნების მთაზე მოსახლე ქართველ ბერებს მოიხსენიებენ სხვა ევროპელი პილიგრიმებიც: ლუდოლფ ზუდჰაიმი (1336-1341 წწ.) და ჯონ მანდევილი (1356-1366 წწ.). ლუდოლფ ზუდჰაიმი დასძენს იმასაც, რომ ქართველ ბერებს თავად სულტანი უწევდა მფარველობას.⁷²⁵

719 Murphy-O'Connor, The Holy Land, 412

720 Gonen, Biblical Holy Places, 198; Murphy-O'Connor, The Holy Land, 412

721 Pringle, The churches, vol. I, №104-107, 253

722 იქვე, 253

723 Peradze, Account, 228

724 იქვე, 188

725 Pringle, The churches, vol. I, №104-107, 254

ქართველი ბერ-მონაზვნების ყოფნას ცთუნების მთაზე ამონმბენ ბერძნული წყაროებიც. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ანგარიშების მიხედვით, ცთუნების მთის მონასტერს ფლობდნენ ქართველები.⁷²⁶

როგორც ჩანს, ცთუნების მთის სამონასტრო დასახლებას XIV ს-ის შემდგომ აღარ უარსებია. XV-XVIII სს-ში უკვე ვეღარ ვხვდებით რაიმე ცნობას ამ მთაზე მოღვაწე ბერ-მონაზვნების შესახებ. XIX ს-ის ზოგიერთი პილიგრიმის ცნობების თანახმად, ამ ადგილზე არსებულ ზოგიერთ გამოქვაბულში ეთიოპელი ბერები ცხოვრობდნენ.⁷²⁷

ბერძნულმა მართლმადიდებლურმა საპატრიარქომ 1874 წელს შეიძინა ადგილი მთის შუანელზე მონასტრის ასაშენებლად. თვით მონასტერი კი, დღევანდელი სახით, აშენდა 1875-1904 წწ-ში რუსეთის საპატრიარქოს დახმარებით. მონასტრის მშენებლობა დასრულდა 1895 წელს, ხარების ეკლესიის მშენებლობა კი 1904 წელს.⁷²⁸

არქიტექტურა

ცთუნების მთასა და მის მწვერვალზე გაირჩევა სხვადასხვა პერიოდებიდან მომდინარე ნაგებობათა ნაშთები. მწვერვალზე კლდეში გამოკვეთილი დამცავი თხრილის ფრაგმენტია, ასევე გალავნისა და კოშკების საძირკვლების ნაშთები; აქვია აკვედუკი – წყლის არხი, რომელიც დასავლეთიდან მოემართება და ცხრა დიდი ზომის ცისტერნა, რომლებიც შეროდეს პერიოდით შეიძლება დათარიღდეს. ცთუნების მთის შუანელზე ბერძნული მართლმადიდებლური მონასტრის ეკლესია შემკულია კედლის მხატვრობით, აქვს მოზაიკური იატაკი. ეკლესია ორსართულიანია: ეკლესიის სამხრეთ ნაწილში, იკონოსტასისაგან ხელმარჯვნივ, მაღლა მიემართება ცამეტსაფეხურიანი კიბე, რომელიც ადის ქრისტეს ცთუნების ადგილად მიჩნეულ პატარა სამლოცველოში. სამლოცველოს ერთ ნიშაში დევს ლოდი, რომელზეც, გადმოცემის თანახმად, იჯდა თავად მაცხოვარი, როდესაც მას სატანა გამოეცხადა. ეკლესიიდან გასასვლელია ღია აივანზე, საიდანაც იშლება შესანიშნავი ხედი იერიქონის დაბლობზე, მოაბისა და გილეადის მთებზე. სამხრეთით მოჩანს მკვდარი ზღვა, დასავლეთის მიმართულებით კი – ზეთისხილის მთის ეკლესიების გუმბათები.⁷²⁹

ცთუნების მთის მონასტრიდან 40 მ-ის დაშორებით მდებარეობს წმ. ელიას მღვიმე, სადაც შუა საუკუნეებში მარიამ ღვთისმშობლის სამლოცველო იყო. დღევანდელი წმ. ელიას მღვიმის სამლოცველო 1949-1964 წლებშია განახლებული.⁷³⁰

726 Peradze, Account, 230

727 Gonen, Biblical Holy Places, 198-199


728 Murphy-O'Connor, The Holy Land, 411

729 Pringle, The churches, vol. I, №104-107, 252-258

730 Murphy-O'Connor, The Holy Land, 411



ცოუნების მთა, საერთო ხედი (ფოტო დ. ცხადაძის)



ცოუნების მთის მონასტრისკენ მიმავალი გზა (ფოტო დ. ცხადაძის)




ცუუნების მთის მონასტერი (ფოტო დ. ცხადაძის)



ცოუნების მთა (ფოტო დ. ცხადაძის)



**ქართულ ქრისტიანულ თემთან
დაკავშირებული ეკლესია-მონასტრები
იორდანეს მახლობლად**



მდინარე იორდანე, 1870-1920 (LC-USZ62-119407)

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტარი

მდებარეობა და კუთვნილება

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი მდებარეობს მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, მდინარიდან 600 მეტრის დაშორებით. მონასტერი ეკუთვნის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს.

ისტორია

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი დაარსდა იმპერატორ ანასტასის მიერ (491-518) მდ. იორდანეს სანაპიროზე, იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც, გადმოცემის თანახმად, მაცხოვარი მოინათლა. მოგვიანებით იმპერატორმა იუსტინიანემ მონასტრის სიახლოვეს ჭა გაათხრევინა, როგორც ამას პროკოპი კესარიელი მოგვითხრობს. VI საუკუნის პილიგრიმის ცნობით, ეს იყო დიდი ნაგებობა, რომელსაც ორი სასტუმრო სახლი ჰქონდა.⁷³¹

ცნობილია, რომ მონასტერი სერიოზულად დაზიანდა სხვადასხვა დროს მიწისძვრების, მდინარე იორდანეს ადიდებისა და თავდასხმების შედეგად. მიუხედავად ამისა, სამონასტრო კომპლექსი იზრდებოდა, იზრდებოდა იქ მოღვაწე ბერთა რაოდენობაც: ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, VIII საუკუნეში სავანეში 20 ბერი ცხოვრობდა, ხოლო IX საუკუნის დასაწყისში მათი რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. მონასტრის ცხოვრებაში განსაკუთრებით მძიმე XII საუკუნე აღმოჩნდა, როცა სავანეს თავს დაესხნენ მუსლიმები, რასაც მალევე მოჰყვა ძლიერი მიწისძვრა.⁷³²

XIV საუკუნეში ევროპელი პილიგრიმების ცნობების თანახმად მონასტერში მხოლოდ რამდენიმე ბერი ცხოვრობდა: ძირითადად ბერძნები და სირიელები, მათ მთავარ სინმინდეს კი წარმოადგენდა იოანე ნათლისმცემლის ხელის მტევანი და მკლავი. არაუგვიანეს XVII საუკუნისა სამონასტრო კომპლექსი უკვე ნანგრევებად იყო ქცეული. XIX საუკუნის ბოლოს მონასტრის ნანგრევებზე აშენდა რუსული მართლმადიდებლური მონასტერი, რომლის ნაგებობები მნიშვნელოვნად დაზიანდა 1927 წლის მიწისძვრის დროს. რამდენიმე წელიწადში მონასტერი ბერძნულმა საპატრიარქომ აღადგინა.⁷³³

731 Pringle, The churches, vol. II, 240-241

732 იქვე, 241

733 იქვე, 242

ქართველები წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში

ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ლათინთა მმართველობის დროს წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ ქართველი და ბერძენი ბერები.⁷³⁴

საგულისხმოა ისიც, რომ ათონის ალაპებში შეტანილია მდ. იორდანეზე მდებარე ნათლისმცემლის მონასტრის ქართველი ბერების მოსახსენებელი.⁷³⁵ 1883 წელს ალექსანდრე ცაგარელმა ნათლისმცემლის ნახევრად დანგრეულ მონასტერში ნახა 3 ქართული წარწერა, რომლებშიც მოიხსენიებოდნენ იოანე ოსანასძე და ნიკოლოზი.⁷³⁶ ა. ცაგარლის მითითებით, კუთხის ქვაზე, რომელზედაც ნიკოლოზის წარწერა იყო მოთავსებული, ქვედა მხარეს ამოკვეთილი იყო წარწერა, რომელშიც ღუზისმაგვარ ჯვრის გამოსახულებასთან ერთად გაირჩეოდა 2 ქართული ასო „ნ“ და „შ“.⁷³⁷ ა. ცაგარელი დამატებით აღნიშნავს, რომ მონასტრის ფარგლებს გარეთ, ნაგვისა და კედლის ნანგრევების გროვაში მიაკვლია ქვას, რომელზედაც მოთავსებული იყო ქართული და სირიული წარწერები. დაზიანების გამო გაირჩეოდა მხოლოდ ცალკეული ასოები.⁷³⁸

1936 წელს მონასტრის ტერიტორიაზე იმყოფებოდა გრიგოლ ფერაძე. იგი აღნიშნავს, რომ ა. ცაგარლის მიერ ნანახი წარწერებიდან მას ადგილზე დახვდა მხოლოდ ერთი. სამწუხაროდ, მკვლევარი არ აკონკრეტებს, თუ სახელდობრ, რომელი წარწერა იხილა.⁷³⁹ დღეისათვის გრიგოლ ფერაძის მიერ ნანახი წარწერა ადგილზე აღარ დასტურდება.

734 The Latin Kingdom of Jerusalem, 76

735 Цагарели, Памятники, 126

736 იქვე, 251-252, XXV, XXVI

737 იქვე, 252, XXXVII

738 იქვე, 252

739 ფერაძე, იერიქონის ვარდები, 151



მდაბას მოზაიკური რუკა, VI ს. დეტალი, წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, იერიქონი (ფოტო დ. ცხადაძის)



იუდეის უდაბნო (ფოტო დ. ცხადაძის)



**ქართულ ქრისტიანულ თემთან
დაკავშირებული ეკლესია-მონასტრები
ბეთლემში**



ბეთლემი, ხედი შობის ეკლესიიდან, 1900-1920 (LC-DIG-matpc-00973)

შობის ეკლესია

მდებარეობა და კუთვნილება

შობის ეკლესია მდებარეობს ქალაქ ბეთლემში, იერუსალიმიდან სამ-ბრეთით, 8-10 კმ-ის დაშორებით.

შობის ტაძარი ეკუთვნის რამდენიმე ეკლესიას: იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს, იერუსალიმის სომხურ საპატრიარქოსა და რომის კათოლიკურ ეკლესიას (ფრანცისკელთა ორდენს). ამასთანავე, კოპტურ და სირიულ ეკლესიებს აქვთ ღვთისმსახურების უფლება ეკლესიაში სომხური საპატრიარქოს კუთვნილ სივრცესა და შობის მღვიმეში.

ისტორია

ბიბლიური ტრადიციით, ამ ქალაქში იშვა იესო ქრისტე, როგორც ეს ნაწინასწარმეტყველები ჰქონდათ მიქიას (მიქია, 5: 1-3) და ესაიას (მათე: 2:6). ბეთლემს უწოდებენ აგრეთვე დავითის ქალაქსაც, რადგან, ბიბლიური ტრადიციით, აქ იესო ქრისტეს შობამდე 1000 წლით ადრე დაიბადა ებრაელთა მეფე დავითი. წინასწარმეტყველმა სამუელმა აქვე, ბეთლემში სცხო მირონი ჭაბუკ დავითს, რომელიც ისრაელის მეფე გახდა (1 სამუელი, 16:13).

ბეთლემში შობის ბაზილიკის აგება დაკავშირებულია ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდისა და მისი დედის, ელენე დედოფლის სახელთან. ბაზილიკა აიგო 333-339 წწ-ში იმ ადგილას, სადაც გადმოცემის თანახმად მაცხოვარი იშვა; მოგვიანებით, 386 წ. ეკლესიის მახლობლად დედათა და მამათა მონასტრები დაარსდა.⁷⁴⁰

VI საუკუნეში შობის ეკლესია ხანძარმა დააზიანა. მისი განახლება ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე დიდის სახელს უკავშირდება. განახლების დროს ტაძარიც განავრცეს.

აღსანიშნავია, რომ ეკლესია სასწაულებრივად გადაურჩა დაზიანებასა და ნგრევას სპარსელთა დაპყრობის დროს (614-629 წწ.), ასევე არაბთა ბატონობის პერიოდში (640-1099 წწ.). ცნობილია ისიც, რომ ეკლესიის ნაწილს მუსლიმები სალოცავადაც იყენებდნენ. მიუხედავად ამისა, ეკლესიასთან არსებული სამონასტრო ნაგებობები არაერთხელ დაზიანებულია მუსლიმთა მმართველობისას. მას შემდეგ, რაც წმინდა მიწა ჯვაროსნებმა დაიკავეს (1099-1291 წწ.), მონასტერში სულ რამდენიმე ბერი ცხოვრობდა, რომელთაც შემდგომში ბენედიქტელთა ორდენის ბერები შეუერთდნენ.

740 Pringle, The churches, vol. I, 138

ამავე პერიოდში სამონასტრო კომპლექსს ახალი შენობა-ნაგებობები შეემატა, შობის ეკლესიაც შეიმკო.⁷⁴¹

მამლუქთა და ოსმალთა მმართველობის დროს ეკლესიის შეკეთების ნებართვა იშვიათად გაიცემოდა. ტაძრის მდგომარეობას ამძიმებდა ძარცვის ხშირი შემთხვევებიც, რამაც XVI საუკუნიდან სისტემატური ხასიათი მიიღო. მიუხედავად 1834 წელს მომხდარი ძლიერი მიწისძვრისა და 1869 წლის ხანძრისა, შობის ეკლესია განადგურებას გადაურჩა.⁷⁴²

ქართველები შობის ეკლესიაში

ბეთლემის შობის ეკლესიაში ქართველების ყოფნის შესახებ წერილობით ცნობებს ვხვდებით უცხოენოვან და ქართულ წყაროებში. 1200-1308 წწ-ის ბერძნული საპატრიარქოს ოფიციალური ანგარიშების თანახმად, ქართველებს ჰქონიათ საკურთხეველი ბეთლემში.⁷⁴³

1335 წ. ავგუსტინელი ბერი იაკობ ვერონელი წერდა, რომ ქართველებს ჰქონდათ საკურთხეველი ბეთლემის ბაზილიკაში, შობის მღვიმის გარეთ.⁷⁴⁴

1514 წლის ზაფხულში წმ. მიწაზე მოსალოცად მყოფი ვენეციელი პილიგრიმის – ბარბონე მოროზინის ცნობის თანახმად, ქართველები ბეთლემის შობის ეკლესიის მთავარ საკურთხეველში ღვთისმსახურებას ბერძნებთან ერთად აღავლენდნენ, ხოლო წინადაცვეთის საკურთხეველში – დამოუკიდებლად.⁷⁴⁵

ბეთლემის ეკლესიაში ქართველები საკუთარ საკურთხეველს ინარჩუნებდნენ XVIII საუკუნეშიც. შობის ეკლესიაში ქართველების ყოფნის შესახებ ცნობას გვანდის ტიმოთე გაბაშვილი, რომელიც აღნიშნავს: „ბეთლემს და გეთსამანიას სამწირუტლო არს საქართუტლოთა“.⁷⁴⁶

ბეთლემში მოღვაწე ქართველ მნიგნობართაგან ცნობილია ქართველი ჰიმნოგრაფი ფილიპე ბეთლემელი (XI ს.). ერთ-ერთი ქართული ლეგენდის თანახმად, ფილიპე განდევნილად ცხოვრობდა ბეთლემში. ჩვენამდე მოღწეულია მის მიერ შეთხზული საგალობელი „ქებაჲ ბეთლემისაჲ, ქალწულისა და ძისაჲ“. ესაა აკროსტიქული იამბიკო, რომლის კიდურწერილობაა „ფილიპე ბეთლემელი“. ფილიპეს საგალობელი იმავე საზომით (16-მარცვლიანი სალექსო ფორმით) არის დანერილი, როგორითაც „ვეფხისტყაოსანი“, ასე რომ საეკლესიო პოეზიის დარგში ფილიპე ბეთლემელი წინამორბედი შოთა რუსთაველისა.⁷⁴⁷

741 Pringle, The churches, vol. I, 139

742 Murphy – O'Connor, The Holy Land, 234

743 Peradze, Account, 230

744 Peradze, Account, 188, 229; The churches, vol. I, 139-140

745 ნანობაშვილი, ბორბონე მოროზინის „მოგზაურობა წმინდა მიწაზე“, 150, 152

746 გაბაშვილი, მიმოსლვა, 82, 123

747 კეკელიძე, ძველი ქართული ლიტურგატურის ისტორია, ტ. I, 178

ეპიგრაფიკული წარწერები⁷⁴⁸

ბეთლემის ბაზილიკის სვეტებზე დაცულია ქართველ მომლოცველთა მრავალრიცხოვანი გრაფიტები. მათი უმრავლესობა XIV-XVII საუკუნეებით თარიღდება და პილიგრიმთა მიერაა შესრულებული. ამ წარწერებში მოიხსენიებიან იოაკიმე ქართლელი, შიო, ნიკოლოზ გრძელი და სხვა მომლოცველები. აღნიშნული გრაფიტები, ძირითადად, ბეთლემის ტაძრის სამხრეთ სვეტნარზე გვხვდება ამოკანრული. გიორგი გაგოშიძის მითითებით, ეკლესიის ამ მხარეს დაცული ქართული წარწერების სიმრავლე შეიძლება იმით აიხსნას, რომ ქართველების საკურთხეველი ამავე მხარეს მდებარეობდა.⁷⁴⁹

გრაფიტებს შორის გვხვდება დასავლეთ საქართველოს კათალიკოს მაქსიმე მაჭუტაძის (1639-1657) წარწერა. ცნობილია, რომ მაქსიმემ სამჯერ იმოგზაურა წმინდა მინაზე და გულუხვი შესაწირავი გაიღო წმინდა მინის ქართული მონასტრებისთვის. ტიმოთე გაბაშვილის ცნობის თანახმად, მაქსიმეს გამოსახულება ყოფილა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლებზე, როგორც ჯვრის მონასტრის ერთ-ერთი შემწირველისა: „*მუნ ხატია... მაქსიმე პირუჭლი, განმგე იმერეთის ეკკლესიისა 1630 წელსა. ესე მაქსიმე იყო იერუსალიმსა და მუნ გარდაიცუალა*“.⁷⁵⁰

748 ვრცლად ბეთლემის შობის ეკლესიის ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ იხ. დანართი

749 Gagoshidze G., Georgian inscriptions in the Holy Land, 73-74

750 გაბაშვილი, მიმოსლვა, 113



ბეთლემი, შობის ეკლესია (ფოტო დ. ცხადაძის)



ბეთლემი, შობის ეკლესია, ინტერიერი (ფოტო დ. ცხადაძის)



ბეთლემი, შობის ეკლესია, შობის მღვიმე (ფოტო დ. ცხადაძის)



ბეთლემი, შობის ეკლესია, ინტერიერი (ფოტო დ. ცხადაძის)



**ქართულ ქრისტიანულ თემთან
დაკავშირებული ეკლესია-მონასტრები
ნაზარეთში**



ნაზარეთი, საერთო ხედი, 1898-1946 (LC-DIG-matpc-09026)

სარების ეკლესია

მდებარეობა და კუთვნილება

ნაზარეთის ხარების ეკლესია მდებარეობს ქალაქ ნაზარეთში, გალილეის რეგიონში, ისრაელის ჩრდილოეთში და ეკუთვნის რომის კათოლიკურ ეკლესიას.

ისტორია

ახალი აღთქმის თანახმად, ნაზარეთში ახარა გაბრიელ მთავარანგელოზმა ღვთისმშობელს მაცხოვრის მუცლადღებისა და შობის შესახებ (ლუკა, 1:26-38). ლუკას სახარებაში ნაზარეთი მოიხსენიება როგორც გალილეის ქალაქი და მარიამ ღვთისმშობლის საცხოვრებელი ადგილი (ლუკა, 1:26-27).

ადრებიზანტიური ხანიდან მოყოლებული ნაზარეთის ყველაზე ნმინდა ადგილად ხარების ეკლესიაა მიჩნეული. იმპერატორ კონსტანტინეს „ცხოვრებაში“ (Vita Constantini) დადასტურებული ცნობის თანახმად, კონსტანტინეს ეპოქაში ეკლესია უკვე აგებული იყო,⁷⁵¹ თუმცა პირველი პილიგრიმი ქალი ეგერია (384 წ.) მოგვითხრობს მხოლოდ დიდ გამოქვაბულზე, რომელშიც ღვთისმშობელი ცხოვრობდა და რომელშიც საკურთხეველი იყო აღმართული.⁷⁵²

მომდევნო პერიოდში ნაზარეთის ხარების ეკლესიის შესახებ ცნობებს უკვე არაერთ წყაროში ვხვდებით. კერძოდ, ხარების ბაზილიკას მოიხსენიებს პილიგრიმი პიაჩენცადან 570 წლით დათარიღებულ მოგზაურობაში.⁷⁵³ 670 წლის ცნობაში, რომელიც ეკუთვნის ირლანდიელ მომლოცველ ადომნანს, საუბარია უკვე ორ ეკლესიაზე.⁷⁵⁴ 808 წლით დათარიღებული წყარო, „Commemoratorium“ გვამცნობს, რომ ნაზარეთის ეკლესიაში მსახურობდა 12 ბერი.⁷⁵⁵

ვილჰელმ ტვიროსელის ცნობით, XI საუკუნის ბოლოს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა და მონაწილემ, ტანკრედ დე ოტვილმა, რომელიც შემდგომში გალილეის მმართველი გახდა, განაახლა ტაძარი და მდიდრულად შეამკო იგი. ნმინდა ადგილი დეტალურად აქვს აღწერილი იღუმენ დანიელსაც, რომელმაც 1106-1107 წლებში მოილოცა ნაზარეთი.⁷⁵⁶

751 Vita Constantini, 204

752 Egeria's Travels, 96

753 Wilkinson, Jerusalem pilgrims before the Crusades, 79

754 იქვე, 109

755 Commemoratorium De Casis Dei Vel Monasteriis, 26

756 Pringle, The churches, vol. II, 118

ცნობილია, რომ 1183 წელს, როცა სალაჰ ად-დინის ჯარმა დალაშქრა ქალაქი და დაიკავა მის გარშემო ყველა მაღლობი, ნაზარეთის მოსახლეობამ თავი შეაფარა ხარების ეკლესიას, როგორც ყველაზე გამაგრებულ და დაცულ ადგილს. იგივე მოხდა 1187 წელსაც, თუმცა სალაჰ ად-დინის ამირა მუზაფარ ად-დინ ქუქურმა ქალაქი აიღო და ეკლესიაში შეხიზნული მოსახლეობა დახოცა, ტაძარი კი ააოხრა. 1229 წლიდან, მუსლიმ მმართველებთან გაფორმებული შეთანხმების შედეგად, ნაზარეთი და ქალაქ აკრამდე მისასვლელი გზა, ფორმალურად ქრისტიანებს გადაეცათ, თუმცა ქრისტიანთათვის ქალაქში ცხოვრება და გადაადგილება უსაფრთხო მაინც არ იყო.⁷⁵⁷

მოგვიანებით, XIV საუკუნეში, ფრანცისკელმა ბერებმა დააარსეს „სახლი“ ნაზარეთში, XV საუკუნიდან კი არსებობდა საავადმყოფო, სადაც კათოლიკე მონაზვნები მსახურობდნენ. ცნობილია, რომ 1546 წელს ხარების ეკლესიის განახლების ნებართვა გასცა სულტანმა სულეიმან დიდმა. ტაძრის აღდგენა მოხერხდა, თუმცა ფრანცისკელთა ყოფნა ნაზარეთში დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული – XVII საუკუნეში ისინი რამდენჯერმე გააძევეს, მათი მონასტერი კი დაარბიეს და გაძარცვეს. 1730 წელს მუსლიმი მმართველის ნებართვით, ფრანცისკელებმა ახალი ტაძარი ააგეს. ეს ეკლესია 1955 წელს დაანგრიეს, რათა ჯვაროსანთა ტაძრის ნაშთებზე ხარების ახალი ტაძარი აეგოთ. ახალი ეკლესია 1969 წელს იკურთხა.⁷⁵⁸

ქართველები ხარების ეკლესიაში

ხარების ეკლესიაში ქართველთა ყოფნის შესახებ ცნობები ძალზედ მწირია. ტიმოთე გაბაშვილი გადმოგვცემს ლეგენდას, რომლის თანახმადაც, ნაზარეთში ქართველებს ჰქონდათ 4 ეკლესია ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ვახტანგ გორგასალმა აიღო იერუსალიმი.⁷⁵⁹ ტიმოთეს გადმოცემას იმეორებს ალექსანდრე ცაგარელიც ისე, რომ არ უთითებს სხვა დამატებით წყაროს ან ცნობას.⁷⁶⁰ ქართველთა კვალზე ხარების ეკლესიაში მიუთითებს Custodia Terrae Sanctae-ს ნაზარეთის მუზეუმში დაცული პილიგრიმთა არაერთი ნაკანრი წარწერა (გრაფიტი).

ეპიგრაფიკული წარწერები⁷⁶¹

Custodia Terrae Sanctae-ს ნაზარეთის მუზეუმში დაცულია ქართველ პილიგრიმთა ოთხი გრაფიტი, რომლებიც IV-V საუკუნეებით თარიღდება.⁷⁶²

757 Pringle, The churches, vol. II., 120

758 იქვე, 122-123, Murphy _ O'Connor, The Holy Land, 424-425

759 გაბაშვილი, მიმოსლვა, 67

760 Цагарели, Памятники, 130

761 ვრცლად ხარების ეკლესიის ეპიგრაფიკული წარწერების შესახებ იხ. დანართი

762 Gagoshidze G., Georgians in the Holy Land, 89

სამწუხაროდ, წარწერები ძლიერაა დაზიანებული და მათი ამოკითხვა
ჭირს. ნაზარეთის ქართული გრაფიტები პირველად აკადემიკოსმა ზაზა
ალექსიძემ გამოაქვეყნა.⁷⁶³ წარწერები ადგილზე შეისწავლა და მათი
ასლები გადმოიღო გიორგი გაგოშიძემ.

ერთ-ერთი შედარებით ვრცელი და უკეთ დაცული წარწერა წარმოადგენს
მინანერს ნალესობაზე:

„შ[ეინყალ]ე ი[ეს]უ ქ[რისტ]ე გ(?)“

ზაზა ალექსიძის აზრით, აქ იგულისხმება ვინმე გიორგი, თუმცა „გ“
ასოს ამოკითხვა სრული უეჭველობით რთულია. თუკი შემოთავაზებული
აღდგენა სწორია, ამ წარწერის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ქართულ ენაზე
აღნიშნული სახელის პირველ წერილობით გამოყენებასთან.⁷⁶⁴

სხვა გრაფიტებში მოხსენიებულნი არიან: „პავლე მოციქული“, „აეტი?“
და „ლ(?)ინ კ“.

763 ალექსიძე, ეპიგრაფიკული ეტიუდები 2000, 10-24; იხ. ასევე ალექსიძე, ეპიგრაფი-
კული ეტიუდები 2011, 13-25

764 Gagoshidze G., Georgians in the Holy Land, 89



ნაზარეთი, ხარების ეკლესია (ფოტო დ. ცხადაძის)



ნაზარეთი, ხარების ეკლესია, ინტერიერი (ფოტო დ. ცხადაძის)



**ქართულ ქრისტიანულ თემთან
დაკავშირებული ეკლესია-მონასტრები
იორდანიაში**



იორდანია, არნონის უდაბნო (ფოტო დ. ცხადაძის)

შეჰანის მონასტარი

მდებარეობა და ისტორია

შეჰანის (შიჰანის) მონასტრის შესახებ ცნობებს XI-XII საუკუნეების სამი ქართული ხელნაწერი გვანდის, ესენია: პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი Georg. 28 (ოთხთავი, შეწერილი ჯვრის მონასტრისათვის – ხელნაწერზე დართულ მოსახსენებლებში მოიხსენიებიან შეჰანელი მოღვაწეები) და ორი იერუსალიმური ხელნაწერი: Jer.Geo.42 (თვენი, გადანერილია ჯვრის მონასტერში, მის ანდერძში მოიხსენიება შეჰანის დამაარსებელი გაბრიელ შეჰანელი) და Jer.Geo.50 (ჰაგიოგრაფიული კრებული, გადანერილი შეჰანის უდანოში იოანე შეჰანელის მიერ).

XI საუკუნის ხელნაწერს Jer.Geo.50 ახლავს გადამწერის – იოვანე შეჰანელის ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ ხელნაწერი გადაწერა შეჰანის უდაბნოში, როდესაც მონასტრის წინამძღვარი იყო გაბრიელ ტფილელი, მისი მაშენებელი, იგივე გაბრიელ შეჰანელი: *„დაინერა წმიდასა უდაბნოსა შეჰანს, მამობასა გაბრიელ ტფილელისსა, რომელმან აღაშენა უდაბნოჲ შეჰანი.“*

ამავე ანდერძიდან ირკვევა, რომ შეჰანის მონასტერი ხელნაწერის გადამწერის დროს ახალი აშენებული იყო და ჯერ კიდევ მწირი წიგნსაცავი ჰქონდა: *„და ვაიძულე თავსა ჩემსა და კადნიერ ვიქმენ ამისთვის, რომელ ახალშენი და გლახაკი იყო წიგნითა.“*⁷⁶⁵

2 ექსპედიციის წევრები: თამილა მგალობლიშვილი (ხელმძღვანელი), ცისანა აბულაძე, მზია სურგულაძე, ლილი ხევსურიანი, თინათინ ცერაძე, ლელა ხოფერია, მარიამ დიდებულიძე, მზია ჯანჯალია, იულონ გაგოშიძე, დავით ცხადაძე, დავით ხოშტარია, ნიკოლოზ ვაჩიშვილი, გიორგი გაგოშიძე. სამეცნიერო ჯგუფს ახლდა ორი მონაზონი: დედა ევგენია (მახარაძე) და დედა თეკლა (სიხარულიძე).

3 C. R. Conder, H. H. Kitchener-ს გამოქვეყნებული აქვთ მდ. იორდანესთან მდებარე იოანე ნათლისმცემლის ნანგრევად ქცეული მონასტრის ქართული წარწერის მონახაზი „ჩი ოც ყრყ(?)ზი ზი ოსტაჩ(?)ლქი – „წ(მიდაო) ლ(მერთო) შ(ეი)წყ(?)ა(ლე) ი(ოა)ნე ოსანაისძე“, მათ ეს წარწერა სომხურად მიიჩნიეს [Conder C., Kitchener H. 1883: 217-219]; წარწერა ნაკითხული აქვს ალ. ცაგარელსაც, რომელიც იოანეს გვარსახელს კითხულობს – „ოსანაისძე“ [Цагарели А. 1888: 250, 251]; ასონიშნები შეწინააღმდეგებულია, გრაფემათა დუქტუსი დაგრძელებული, წარწერა სტილით სავარაუდოდ XIV-XVI საუკუნეებს განეკუთვნება.

საქტიტორო წარწერა, სადაც ჯვარის მამა ქაიხოსრო ზედგინიძის მიერ მონასტრის ზღუდისა და სენაკის მშენებლობაზეა საუბარი და რომელიც XX საუკუნის 70-იან წლებამდე ჯერ კიდევ იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ერთ-ერთი შენობის კედელში იყო ჩამონტაჟებული [მიქაძე გ. 1973]. ყველაზე დიდი „ზარალი“ განიცადა ჯვრის მონასტერმა, საიდანაც უამრავი ლაპიდარული, საღებავით შესრულებული წარწერა, საქტიტორო გამოსახულება თუ საეკლესიო ნივთია დაკარგულ-განადგურებული. ჩვენს მიერ აღინუსხა და დაფიქსირდა ოთხმოცდათვრამეტი წარწერა ამათგან ორმოცამდე წარწერა ჩვენი ექსპედიციის მიერაა აღმოჩენილი. მნიშვნელოვანი იყო ქართული წარწერების შესწავლა ბეთლემის შობის ტაძრის სვეტებზე. ბეთლემში 2001 წლის 30 დეკემბერს ვიყავით. აღმოვაჩინეთ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის მაქსიმე I მაჭუტაძის (1639-1657 წწ.) მელნით ნაწერი წარწერა, რამდენიმე ნაკვეთი წარწერა ეკლესიის ტრანსეპტის სიახლოვეს მდგარ სვეტებზე.

განსაკუთრებულია ბერძნული საპატრიარქოს სივრცეში, წმ. თეკლას მონასტრის ტერიტორიაზე ქაიხოსრო ზედგინიძის წარწერა, რომელიც თავქვეა ჩადგმული კედელში. ექსპედიციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია ჯვრის მონასტრის საღებავით შესრულებული წარწერების დიდი ნაწილის სრულფასოვანი ფიქსაცია, მათ შორის ზოგიერთი საქტიტორო შინაარსისა, მაგრამ უმეტესობა კედლის მხატვრობის განმარტებითი წარწერებია. პოლიეთილენის ფურცელზე ვერ დავიტანე მხოლოდ ის წარწერები, რომლებიც ეკლესიის კამარებსა და მოხატულობის ზედა რეგისტრშია, მაგრამ ყველა ეს წარწერა ფოტოფირზეა აღბეჭდილი. თამილა მაგალობლიშვილთან ერთად, ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით, ტალანების თვალთვლებისას (08. 02. 2002) აღმოვაჩინეთ კედლიდან ჩამოხსნილი მხატვრობის რამდენიმე ფრაგმენტი და მარმარილოს ფილები ასომთავრული წარწერებით. ეს ფილები ეკლესიის დასავლეთი კარის ნირთხლთან იატაკში იყო ჩამონტაჟებული, ისინი, XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ან 80-იანი წლების დასაწყისში მონასტრის რემონტის დროს ამოიღეს. ფილები მონასტრის მუზეუმში გადავიტანეთ. დღეს ისინი უკვალოდ გამქრალია. სავარაუდოდ, ამავე რემონტის დროს, მსგავსი ბედი ეწია 1643 წლით დათარიღებულ ასომთავრულწარწერიან სპილენძის რგოლს, რომელიც ეკლესიის ცენტრში, იატაკში იყო ჩამაგრებული [აბაშიძე ირ. 1989: 66], იგი მონასტრის მუზეუმში გადაიტანეს. წარწერის ასლი 2002 წლის 9 იანვარს გავაკეთე, დღეს ეს წარწერიანი რგოლი დაკარგულია.

კატამონის მონასტრის ქართული წარწერა, 1859 წელს ბერძნების მიერ მონასტრის სარემონტო სამუშაოს დროს აღმოჩნდა. გრიგოლ ფერაძე წერს, რომ ვერც მე და ვერც ცაგარელმა ეს წარწერა ვერ წავიკითხეთო [Цагарели А. 1888: 123, 124; ფერაძე გ. 1995: 110, 141]. წარწერის

ფრაგმენტის ასლი გადმოვიღე 2001 წლის 25 დეკემბერს, იგი ეკლესიის ჩრდილო ნაგებობის დასავლეთ ბოლოში მაგიდაზე იდო. დღეს წარწერის ადგილმდებარეობა უცნობია.

წმ. ნიკოლოზის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, რომელიც საპატრიარქოს ყველა მხრიდან მოზღვდულ ბაღში გამოდის, ქვაფენილიდან 108 სმ-ის სიმაღლეზე კედელში ჩასმული იყო კახთა დედოფლის ელენე ყოფილი ელისაბედის დიდი ასომთარული, რელიეფური წარწერა (XVII ს.). 2002 წლის 3 იანვარს გავაკეთე ამ წარწერის ასლი. 2002 წლის 21 მარტს, როდესაც წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ქვეშ არსებულ საპატრიარქოს მუზეუმში, ქართული საეკლესიო ნივთების სანახავად შევდიოდით, აღმოვაჩინეთ, რომ ეს წარწერა სრულად განადგურებული იყო, წარწერის გრაფიკა თითის სისქის ფრაგმენტები ქვაფენილზე ეყარა. ამ წარწერის აღდგენის მიზნით 2002 წლის 16 სექტემბრიდან – 30 სექტემბრამდე იერუსალიმში ვიმყოფებოდით: თ. მგალობლიშვილი, დ. ცხადაძე, მოქანდაკე – პ. გიგაური და მე [მგალობლიშვილი თ. 2003: 8], ჩვენი მისია წარმატებით განხორციელდა – პ. გიგაურმა ჩემი ასლის გამოყენებით და დ. ცხადაძის ფოტოების დახმარებით ხუთ დღეში, კედელში დარჩენილ იმავს ქვაზე ამოკვეთა აღნიშნული წარწერა. ამ ექსპედიციის დროს, 19 სექტემბერს, ისრაელელმა არქეოლოგმა ჯონ ზელიგმანმა გვთხოვა წაგვეკითხა, ადრეული შუა საუკუნეების სარკოფგის ხუფზე არსებული ქართული წარწერა, რომელიც ადგილ უმლეიზუნიდან იერუსალიმის როკფელერის არქეოლოგიურ მუზეუმში იყო გადატანილი [Seligman J. 2014: 129-146; Seligman J. 2015: 145-179]. ამ წარწერამ, რომელშიც ქართველი ეპისკოპოსი იოჰანე ფურტაველი იხსენიება, წმინდა მიწის, საქართველოს და კავკასიის ისტორიის მრავალი საინტერესო საკითხი აღძრა.

წმინდა მიწის ქართული წარწერების კვლევას სხვა დროსაც ვაგრძელებდით, 2014 წელს (ექსპედიცია – 30 მარტი – 10 აპრილი; თ. მგალობლიშვილი, გ. გაგოშიძე, ზ. ცერცვაძე – ფოტოგრაფი), ხურვათ ბურგინის ცისტერნიის ინტერიერში, კედელზე არსებული ორი ასომთავრული წარწერის ასლი და ფოტოები გადავიღეთ, წარწერათაგან ერთ-ერთი ძლიერ დაზიანებული დაგვხვდა.

2001-2002 წლების ექსპედიციის დროს საშუალება მიქონდა რამდენიმე დღით დავრჩენილიყავი საბა განწმენდილის მონასტერში, რომელიც იუდეის უდაბნოში მდებარეობს.⁴ აქ საშუალება მოგვეცა შეგვესწავლა ლიტურგიული დანიშნულების ქართული ნაქარგობის ნიმუშები, კათალიკოსი დომენტი III-ის (1659-1676 წწ.) საბეჭდავი. ამ მონასტრის ღმრთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძრის გუმბათზე არ დადასტურდა ა. ცაგარლის

4 წმ. საბას ლავრაში ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ: არქეოლოგი – იულონ გაგოშიძე და ფოტოგრაფი – ხელოვნებათმცოდნე დავით ცხადაძე.

მითითებული ქართველ პილიგრიმთა წარწერების კვალი [Цагарели А. 1888: 127]. ვერ ვიპოვნე ქართული წარწერები იერუსალიმის ღმრთისმშობლის საფლავის ეკლესიის კედლებსა თუ მისი პორტალის მარმარილოს სვეტებზე, რომლებიც დაფარულია სხვადასხვა ანბანზე შესრულებული ნაკანრი წარწერებით. ევროპელი მოგზაურის იოანე პოლონერის (1421 წ.) ცნობით ამ ეკლესიაში ქართველებს საკუთარი საკურთხეველი ჰქონდათ [ფერაძე გ. 1995: 41]. ბერნარდინო ამიკო (XVI ს-ის ბოლო), ღმრთისმშობლის საფლავის ეკლესიაში ქართველთა საკურთხეველს უთითებს მრავალსაფეხურიანი კიბის შუა ნაწილზე, მარჯვენა მხარეს – წმ. იოაკიმესა და წმ. ანას სამლოცველოს აღმოსავლეთ კედელთან [Bernardino Amico 1997: 124, 125]. ქართულ წარწერათა კვალი არ დადასტურდა ზეთისხილის მთის ამალღების ოქტაგონის ფასადებსა და სვეტებზე.

ჩვენი ექსპედიციების შედეგად წმინდა მიწის ქართულ ეპიგრაფიკას მიეძღვნა რამდენიმე ნაშრომში [გაგოშიძე გ. 1992; გაგოშიძე გ. 2003; გაგოშიძე ი. 2003; გაგოშიძე გ. 2005; Gagoshidze G. 2014; Gagoshidze G. 2014a; Gagoshidze I. 2014; Tseradze T. 2014; Gagoshidze G. 2015.], რომლებშიც შეძლებისდაგვარად სრულადაა გადმოცემული შესწავლილი მასალა. წინამდებარე პუბლიკაციაში შეკრებილია, წმინდა მიწის ჩემთვის ცნობილი ყველა ქართული ლაპიდარული და საღებავით შესრულებული წარწერა.

წიგნს ახლავს დამატება, რომელშიც იერუსალიმში დაცულ საეკლესიო ნივთებზე არსებული ქართული წარწერებია წარმოდგენილი. წარწერათა დიდი უმეტესობა საეკლესიო ქსოვილებზეა. საეკლესიო ქსოვილების წარწერათა ნაწილი ადგილზე მაქვს შესწავლილი, სათანადოდ ისინი სრულფასოვნადაა ფიქსირებული – გაკეთებულია წარწერათა ასლები, გადაღებულია ფოტოსურათები; საეკლესიო ნაქარგობათა დიდი უმეტესობა, არ მინახავს და მათი წარწერები ფოტოსურათებიდან ილუსტრაციებიდან მაქვს ამოკითხული [Ολυμπιου Ν. 2006].

წარწერათა გამოსაცემად გამოყენებული ნიშნები:

- () – დაქარაგმებული ასონიშნის აღდგენა.
- [] – წარწერის დაკარგული გრაფემის ან მონაკვეთის აღდგენა.
- ... – სტრიქონის დაკარგული მონაკვეთი.
- | – სტრიქონის დასასრული.
- ::: – განკვეთილობის ნიშნები.
- ~ – ქარაგმის ნიშანი.

ბეთლემი

ბეთლემის მაცხოვრის შობის ტაძარი

II-III საუკუნეების ქრისტიან მლოცველთა თავშეყრის ადგილი იყო მაცხოვრის შობის მღვიმე ქ. ბეთლემში. იმპერატორ კონსტანტინე დიდის (†337 წ.) და მისი დედის ელენე დედოფლის დროს შობის მღვიმე ხუთნავიანი ბაზილიკის ოქტაგონის ფორმის საკურთხევლის ქვეშ მოექცა. ეკლესია 339 წელს აკურთხეს. 529 წელს სამარიტელთა აჯანყების შედეგად დაქცეული და ნახანძრალი ეკლესიის აღდგენის ბრძანება იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527-565 წწ.) გასცა. ძველი ეკლესიის საკურთხევლის ოქტაგონალური სივრცე შეიცვალა ტრიკონქული სტრუქტურით, რომლის ცენტრალური ნაწილის – აფსიდებიანი ტრანსეპტის ქვეშ მაცხოვრის შობის მღვიმეა განთავსებული. მღვიმეში ჩასასლელი ორი კარი ტრანსეპტის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილში მოეწყო. ტრანსეპტის დასავლეთით ბაზილიკის დიდი სივრცე, ოთხი რიგი თერთმეტ-თერთმეტი სვეტით ხუთ ნავად დაიყო. სვეტების წითელი კირქვა, ბეთლემის სიახლოვეს არსებულ კარიერზეა მოპოვებული. ეს ეკლესია, ისევე როგორც კონსტანტინეს აგებული შობის ტაძარი ხით, ძელურად არის გადახურული (სურ. 1).

614 წელს სპარსელების დამარბეველ ლაშქრობას შობის ტაძარი გადაურჩა, რადგანაც სპარსელმა დამპყრობლებმა ეკლესიის ფასადზე შენიშნეს მოზაიკური მხატვრობით შესრულებული „მოგვთა თაყვანისცემის“ კომპოზიცია; მოგვების სამოსმა სპარსელებს მათი სასულიერო პირები გაახსენა, ამ ფაქტმა იხსნა ტაძარი დანგრევას.

ჯვაროსნების მიერ წმინდა მიწის დაპყრობის შემდგომ, XII საუკუნის შუა ხანებში (1130-1165/69 წწ.) ბაზილიკის სვეტები მოიხატა წმინდანთა გამოსახულებებით, სვეტების ზევით არსებული კედლები და ტრანსეპტის კედლები კი შეიმკო მოზაიკური მხატვრობით [Pringle D. 1993: 137-157; Murphy-O'Connor J. 1998: 200-205].

დღეს არსებული ტაძარი, დიდწილად იმპერატორ იუსტინიანეს მიერ VI საუკუნეში აგებული ეკლესიაა.

ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ შუა საუკუნეებში ამ ეკლესიაში ქართველებსაც ჰქონდათ თავისი საკურთხეველი [ფერაძე გ. 1995: 113; გაბაშვილი ტ. 1956: 123; ნანობაშვილი მ. 2011: 147, 152],


ეკლესიის ინტერიერში მუქი წითელი კირქვის სვეტები სხვადასხვა ეროვნების პილიგრიმთა ნაკანრი თუ მელნით ნანერი წარწერებითაა და-

ფარული. ამ წარწერებს შორის რამდენიმე ქართული მინაწერიცაა.

წარწერების ადგილმდებარეობას აღვნიშნავ შემდგომი თანამიმდევრობით: სვეტების პირველი და მეორე რიგი – ცენტრალური ნავის მარცხნივ (ჩრდილოეთით) და მარჯვნივ (სამხრეთით), სვეტის მდებარეობა ითვლება დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.

„თევდორე“ (XI ს.)

ერთსტრიქონიანი ნუსხახუცურიდან მხედრულზე გარდამავალი ხელით შესრულებული მინაწერი, შობის ტაძრის ჩრდილოეთი სვეტნარის პირველი რიგის დასავლეთიდან მეხუთე სვეტის სამხრეთ მხარეს, იატაკიდან 142 სმ სიმაღლეზე. წარწერის ფართობია 3,2 X 2,2 სმ, ასოების სიმაღლე 2,2–0,4 სმ. (ნახ. 1. სურ. 2)



ნახ. 1

ქე Te

ქ(რისტ)ე თ(ევდორ)ე [შეინყალე]


„კათალიკოზი მაქსიმე“ (1639-1657 წწ.)

შავი მელნით შესრულებული ერთსტრიქონიანი მხედრული წარწერა დაწერილია შობის ტაძრის ჩრდილოეთი სვეტნარის, პირველი რიგის დასავლეთიდან მეშვიდე სვეტის სამხრეთ მხარეს, იატაკიდან 183 სმ. წარწერის ფართობია 12,6 X 2,5 სმ, ასოების სიმაღლე: 1,4–0,3 სმ. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი წერტილი და სამი წერტილი. წარწერის ასლი გაკეთებულია 2002 წლის 21 თებერვალს. (ნახ. 2. სურ. 3).

გამოცემა: [გაგოშიძე გ. 2003: 35; Gagoshidze G. 2014: 69,71].

ლმერთო. მოიხსენე. კ(ათალიკო)ზი. მაქსიმე

დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა მაქსიმე I-მა მაჭუტაძემ (1639-1657 წწ.) სამჯერ იმოგზაურა იერუსალიმში და დიდი შეწირულობა გაიღო იქაური ქართული მონასტრებისთვის, 1657 წელს იერუსალიმშივე გარდაიცვალა [ლომინაძე ბ. 1954: 130-132]. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით ღირსი მაქსიმეს ფრესკული გამოსახულება წმ. ჯვრის მონასტრის კედელზე იყო გამოსახული [გაბაშვილი ტ. 1956: 82, 123].



ნახ. 2

„შოშლა“ (XIV-XV სს.)

შობის ტაძრის ჩრდილოეთი სვეტნარის მეორე რიგის დასავლეთიდან მეათე სვეტის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, იატაკიდან 165 სმ-ის სიმაღლეზე ნუსხურნარევი მხედრული ასოებით ამოკანრულია ერთი სიტყვა. წარწერის ფართობია: 8 X 3,3 სმ, ასოების სიმაღლე – 2,6–0,5 სმ. წარწერა აღმოჩნდა და ასლი გაკეთდა 2019 წლის 20 მაისს. (ნახ. 3, სურ. 4).




ნახ. 3

შიში a (?) შოშლა (?)

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარში 30 ნომბერს დადებულია დეკანოზის იობ შოშილელის ალაპი, მას ათასი დრამა გადაუხდია მონასტრისთვის. ე. მეტრეველის ვარაუდით ეს ალაპი ხელის მიხედვით XIV-XV საუკუნეებით თარიღდება [მეტრეველი ე. 1962: 86 -N86, 128- N39, ტაბ. XL]. ნასოფლარი შოშილეთი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, მდ. ხრამის ხეობაში, თეთრინყაროს მუნიციპალიტეტში.

„გიორგი“ (?) (XI ს.)

ერთსტრიქონიანი ნუსხურ შერეული გაკუთხოვნებული ასომთავრული წარწერა შობის ტაძრის სამხრეთი სვეტნარის, პირველი რიგის, მეცხრე სვეტის ჩრდილოეთ მხარეს, იატაკიდან – 144 სმ. წარწერის ფართობია: 2,8 X 1,9 სმ; გრაფემების სიმაღლე: 1,7–0,7 სმ. ქარაგმა – განივი მოკლე ხაზი. „გ“ – „გ“ – გრაფემაზე მოგვიანო ხანის სომხური ასონიშანია გადაკანრული. ასლი გაკეთებულია 2001 წლის 30 იანვარს. (ნახ. 4, სურ. 5).



ნახ. 4

ქ1 ყ1 გ ქ(რისტ)ე შ(ეინყალ)ე გ(იორგი)?

„მიქაელი“ (?) (XVI-XVII სს.)

ერთსტრიქონიანი ზერეულედ ამოკანრული გაკუთხოვნებული ასომთავრული წარწერა ბეთლემის ეკლესიის სამხრეთი სვეტნარის, პირველი რიგის, დასავლეთიდან მეთერთმეტე სვეტის დასავლეთ მხარეს, იატაკიდან 135 სმ. ნიკოლოზ გ(რ)ძელის წარწერის ზევით; წარწერის ფართობი:



ნახ. 5

20,4 X 4,5 სმ; ასოების სიმაღლე; 3,3–1,5 სმ; ქარაგმის ნიშანი მოკლე ხაზი. წარწერის წაკითხვა ჰიპოთეტურია. შესაძლებელია, წარწერის თავში არსებული გრაფემა „ხ“ – „კ“, სხვა წარწერის ნაშთი იყოს. (ნახ. 5, სურ. 6).

ხ ი(?)ჰ(?) ჰქხ(?) ყწ იწ კ... ღ(?)მ(?) მ(ი)ქ(ა)ლ(ს)(?) შ(ე)უნდვენ ღ(მერთმან)

„ნიკოლოზ გრძელი“ (XIV-XVI სს.)

ერთსტრიქონიანი გაკუთხოვნებული ასომთავრული წარწერა ბეთლემის ეკლესიის სამხრეთი სვეტნარის, პირველი რიგის, დასავლეთიდან მეთერთმეტე სვეტის დასავლეთ მხარეს, იატაკიდან 133 სმ. წარწერის ფართობი: 12,5 X 3 სმ; ასოების სიმაღლე: 2,6–1 სმ. (ნახ. 6, სურ. 7).



ნახ. 6

ჩჰს ლქს ყწ იწ

ნ(ი)კ(ო)ლ(ოზ)ს გ(რ)ძ(ელ)ს შ(ე)უნდვენ ღ(მერთმან)

ნიკოლოზ გრძელის სხვა წარწერები იხ.: ბეთლემის შობის და ქრისტეს საფლავის ეკლესია.

„ნიკოლოზ გრძელი“ (XIV-XVI სს.)

ერთსტრიქონიანი გაკუთხოვნებული ასომთავრული პალიმფსესტური წარწერა. ბეთლემის ეკლესიის სამხრეთი სვეტნარის მეორე რიგის, დასავლეთიდან მეთერთმეტე სვეტის დასავლეთ მხარეს, იატაკიდან: 124 სმ. წარწერის ფართობია: 10,5 X 4 სმ. გრაფემების სიმაღლე: 2–1,2 სმ, (ნახ. 7, სურ. 8).

ჩჰს ლქხს

ნ(ი)კ(ო)ლ[ოზ] გ(რ)ძ(ელ)ს [შეუნდვენ ღმერთმან]

ნიკოლოზ გ(რ)ძელის ამ მინაწერზე გადაწერილია იოაკიმ ქართლის წარწერა. ნიკოლოზ გ(რ)ძელის მინაწერები ამოკვეთილია, როგორც ბეთლემის ასევე ქრისტეს საფლავის ეკლესიაზე. ამ წარწერათა გრაფემების მოხაზულობის მსგავსება მიგვანიშნებს, რომ წარწერებს თვით ნიკოლოზი ასრულებდა. აღსანიშნავია,




ნახ. 7

რომ ქრისტეს საფლავის კარიბჭის ნიკოლოზის წარწერაში ასონიშანი „ხ“- „კ“ შებრუნებითაა დაწერილი.

„შეიწყალე მონა შენი“ (XVI-XVII ს-ის პირვ. ნახ.)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ბეთლემის ტაძრის სამხრეთი სვეტნარის მეორე რიგის, დასავლეთიდან მეთერთმეტე სვეტის დასავლეთ მხარეს, მიწიდან – 143 სმ. წარწერის ფართობი: 12.7 X 3,2 სმ; ასოების სიმაღლე: 3–0,9 სმ. ქარაგმის ნიშანი – მოკლე კლაკნილი ხაზი. (ნახ. 8, სურ. 9).




ნახ. 8

+ იღ ყუჲ ჩნ ყუ ჩლ(მერთ)ო შეიწყალე მ(ო)ნ(ა) შე(ნი)

მინაწერს თავში წაგრძელებული ჯვარი უზის. წარწერა სავარაუდოდ მას შემდგომაა ამოკვეთილი რაც სვეტი ტრანსეპტისა და ნავების გამყოფ კედელში მოექცა (ამაზე ვრცლად იხ. იოაკიმ ქართლელის წარწერა). წარწერა მთლიანად ჩანს, ბოლო ასონიშანი „ე“ ძალიან ახლოსაა კედლის კიდესთან

„შო“ (XVI-XVII ს-ის პირველი ნახევარი).

გაკუთხოვნებული, წაგრძელებული ასომთავრული გრაფემებით შედგენილი ერთსტრიქონიანი მინაწერი ამოკვეთილია ბეთლემის სამხრეთი სვეტნარის მეორე რიგის დასავლეთიდან მეთერთმეტე სვეტის დასავლეთ ნაწილზე, იატაკიდან – 136 სმ. წარწერის ფართობი: 13,8 X 6,8 სმ; ასოების სიმაღლე: 5,5–3,7 სმ. (ნახ. 9, სურ. 10)



იღ ყუჲ ყუ

ლ(მერთ)ო შო შეიწყალე


ნახ. 9

წარწერის ასლის გადმოღების დროს (2001 წ-ს 30 დეკემბერი), სვეტის მარჯვენა (სამხრეთი) კიდე საღებავით იყო დაფარული. წარწერის ბოლო გრაფემა „წ“ – „ე“, გამოვლინდა ეკლესიაში 2013-2019 წლებში წარმოებული რესტავრაციის შემდგომ. წარწერა ბოლოს ვნახე 2018 წელს, გადავიღე ფოტო, ასლი ველარ გავაკეთე. ამდენად ამ გრაფემას ვამატებ წარწერაში. მართალია წარწერა მთლიანად ჩანს, მაგრამ ბოლო ასონიშანი „ე“ ძალიან ახლოსაა კედლის კიდესთან. მინაწერის ამოკვეთის დროს

კედელი სავარაუდოდ უკვე აშენებული იყო (ამაზე ვრცლად იხ. „იოაკიმ ქართლელის“ წარწერა). ბაადურ ჩოლოყაშვილის ყმა შიო, იხსენიებოდა იერუსალიმის წმ. თევდორეს მონასტრის დასავლეთი კარის თავზე არსებულ დღეს დაკარგულ წარწერაში – „ჩოლოყაშვილსა ბაადურსა და მათთა ძმათა და ძმისწულთა ცოდვანი მათნი შეუნდოს ღმერთმან ამინ. წმიდაო თეოდორე, შეინყალენ ჩოლაყაანი, ამინ, მათსა ყმასა შიოს შეუნდოს ღმერთმან, ამინ.“ წარწერა, 1845 წელს ამოიკითხა ნიკო ჩუბინაშვილმა [Цагарели А. 1894: 47].

„იოაკიმ ქართლელი“ (XVI-XVII ს-ის პირვ. ნახ.)

ორსტრიქონიანი გაკუთხოვნილი ასომთავრული მინანერი შენიშნა ჩვენი ექსპედიციის (2001-2002 წწ.) წევრმა ხელოვნებათმცოდნე დავით ხოშტარიამ. წარწერა ღრმადაა ამოკანრული სამხრეთი სვეტნარის მეორე რიგის დასავლეთიდან მეთერთმეტე სვეტის დასავლეთ ნაწილზე, იატაკიდან – 120 სმ. წარწერის ფართობი – 17,2 X 8 სმ. ასოების სიმაღლე: 4,3–0,5 სმ. განკვეთილობის ნიშანი: სამი წერტილი. ქარაგმის ნიშანი მოკლე კლაკნილი ხაზი წარწერის დასაწყისში წაგრძელებული ჯვარია ამოკანრული (ნახ. 10, სურ. 11)



ნახ. 10

გამოცემები: [გაგოშიძე გ. 2003: 35; Gagoshidze G. 2014: 70,74; Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 402, 403].

ქ ი მ დ ყ ი : ა დ რ ყ : ქ ა

ზ უ ზ ყ

ქ ღ(მერთო) შ(ეინყალ)ე იო(ა)კ(იმ)ი ქ(ა)რთლ(ე)ლი

წარწერიანი სვეტი ნაწილობრივ დაფარულია კედლით (სურ. 12), რომელიც გამოყოფს შობის ბაზილიკის ტრანსეპტსა და ხუთნავიან სივრცეს, მარფი-ო'კონორს მიაჩნია, რომ ეს კედელი შუა საუკუნეებშია აგებული [Murphy-O'Connor J. 1998: 203]. ბერნარდინო ამიკოს ნახაზებში, რომლებიც XVI საუკუნის მინურულსაა შესრულებული, ჩანს, რომ ბეთლემის ბაზილიკის საკურთხეველი და ტრანსეპტი უკვე ნაწილობრივ მოზღუდუ-

ლია, ჩრდილოეთი და სამხრეთი სვეტების კიდურა რიგების უკიდურესი აღმოსავლეთი მე-11 კოლონები კედლის სისქეშია მოქცეული და ხუთნავიანი სივრციდან ტრანსეპტი შემავალი ხუთი კარია გაჭრილი [Bernardino Amico 1997: 51]. მიქელე ბაჩის კვლევით დადგინდა, რომ XVII საუკუნის ბოლოს, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოს II-ის (1669-1707 წწ.) დროს, არსებული ტიხრები აამალლეს და მასში სამი კარი დაატანეს, რომელებიც ღამით იკეტებოდა [Bacci M. 2015: 48; Bacci M. 2017: 242-245, fig. 74]. გუსტავ კუნელი იზიარებს რობერტ ჰამილტონის შეხედულებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ტრანსეპტის მომზლუდავი დასავლეთი კედელი ჯვაროსნების შემდგომ ასი ან ორასი წლის შემდგომ აღიმართა და ნანილობრივ დაფარა ნახსენებ სვეტზე (სამხრეთი სვეტნარის მეორე მწკრივის დასავლეთიდან მეთერთმეტე სვეტი) 1130 წელს დახატული ოდიჰიტრიის ტიპის ღმრთისმშობლის გამოსახულება [Kühnel G. 1988: 26, 128, fig. 3 N8, 18]. ტიხარი სავარაუდოდ XIV საუკუნეშია აგებული.

წარწერა აშკარად ტიხრის აგების შემდგომია ამოკვეთილი. წარწერის ასლის გადმოღების დროს (2001 წ-ს 30 დეკემბერი), სვეტის მარჯვენა (სამხრეთი) კიდე საღებავით იყო დაფარული. წარწერის პირველი სტრიქონის ბოლო გრაფემა „Ⲙ“ – „თ“, ნანილობრივ გამოვლინდა ეკლესიაში 2013-2019 წლებში ჩატარებული რესტავრაციის შემდგომ. წარწერა ბოლოს ვნახე 2018 წელს, გადავიღე ფოტო, სამწუხაროდ ასლი ვეღარ გავაკეთე. ამდენად ამ გრაფემას ვამატებ წარწერაში.

თ. პატარიძეს და ი. ჩეხანოვეცს, მიაჩნიათ, რომ დაქარაგმებული ასოთშეთანხმება „იოკი“ არ შეიძლება გაიხსნას, როგორც „იოაკიმი“, რადგანაც იგი ბოლოთანხმოვნის სახელია [Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 402, 403]; ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ დღესაც ხშირად ვხვდებით ბოლოთანხმოვნის სახელების ვულგარიზებული – ბოლოხმოვნის ფორმით გამოცემას, ვფიქრობ ბეთლემის წარწერაშიც ამ ვითარებასთან გვაქვს საქმე. „იოკი“ უაჭველად „იოაკიმის“ შემოკლებული ფორმა უნდა იყოს. ავტორები გაურკვეველად ხსნიან მომდევნო გრაფემებსაც „ქ... ლელიძ“, ასონიშან „ქ“-ს შემდეგ გარკვევით მოჩანს გრაფემა „რ“, რაც დაფიქსირებულია როგორც ფოტოზე ასევე წარწერის ასლზე; სათანადოდ ვფიქრობ სიტყვა „ქართლელი“-ს გახსნა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ხოლო ასონიშანი „ძ“ წარწერის ბოლოს, რომელიც სხვა გრაფემებთან შედარებით ზედაპირულადაა ამოკვეთილი, პალიმფსესტად ქცეული „ნიკოლოზ გრძელის“ წარწერის გრაფემა (იხ. ნიკოლოზ გრძელის წარწერა). ამდაგვარი, ერთმანეთზე გადაწერილი წარწერები ბეთლემში მრავლადაა შემორჩენილი.

ბეთლემის შობის ტაძრის იოკი ქართლელი და ქრისტეს საფლავის სვეტზე ნახსენები იოვაკიმ ჯვარაძე არ უნდა იყოს ერთი და იგივე პირი; ამ წარწერებში სახელი „იოვაკიმ“ სხვადასხვაგვარადაა დაქარაგმებული.

მინაწერები მცხოვრის შობის მღვიმის ჩასასვლელთან (XVII სს.) (?)

ბეთლემის შობის მღვიმეში ჩასასვლელი სამხრეთი კარის თალის მარცხნივ (დასავლეთით) არსებულ მარმარილოს ფილაზე, იატაკიდან 179 სმ-ის სიმაღლეზე შემორჩენილია რამდენიმე ასომთავრული და ნუსხური გრაფემა. ასოების სიმაღლე; 1,5–0,2 სმ. (ნახ. 11).

ნახ. 11

ႁ ႁ(?) ႁ ႁ ႁ ႁ

ა ა(?) ნ(მიდა)ო აშ (?) მ ლ

დღეს ეს ფილა ქსოვილითაა დაფარული. ცნობილია, რომ ბეთლემის შობის ბაზილიკის მღვიმის ორივე ჩასასვლელის კედლები მარამრილოს ფილებით მოაპირკეთეს იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოს II-ის (1669-1707 წწ.) დროს, XVII საუკუნის 70-იან წლებში [Bacci M. 2015: 48].

ნაზარეთი

ნაზარეთის უძველესი ქართული წარწერები

ნაზარეთის ხარების ეკლესიაში 1955-1960 წლებში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ფრანცისკანელი ბერი და არქეოლოგი ბელარმინო ბაგატი (სურ. 13). ბიზანტიური ეკლესიის ნანგრევების ქვეშ აღმოჩნდა ნაგებობის ნაშთი, რომელიც სავარაუდოდ უნდა იყოს IV საუკუნის პილიგრიმის ეგერიას მოგზაურობაში დამონმებული „ღმრთისმშობლის სახლი“ [Wilkinson J. 1971: 193], რომელიც დიდი სიწმინდე და პირველი ქრისტიანი პილიგრიმების მოსალოცი ადგილი იყო. ამ შენობის კედლების შელესილობაზე სხვადასხვა ენაზე შესრულებულ მრავალ პილიგრიმულ მინაწერს შორის რამდენიმე ქართული მინაწერიც გამოვლინდა. მინაწერთა დათარიღების ზედა ქრონოლოგიური მიჯნა ბიზანტიური ეკლესიის მოზაიკურ იატაკზე დატანილი ჯვრებია. ჯვრის გამოსახვა იატაკზე, იმპერატორ თეოდოსი II-ის (408-450 წწ.) მიერ 427 წელს გამოცემული საგანგებო ედიქტით აიკრძალა [Israeli Y. 2000: 127]. ამ ლოგიკით ნაზარეთის ეკლესიის იატაკი 427 წელზე ადრეული ხანისაა, და კიდევ უფრო ძველია ამ იატაკის ქვეშ არსებული ნაგებობის ნაშთი, რომლის ნაღესობაზეც გამოვლინდა პილიგრიმთა მინაწერები. ამ ძველ ნაგებობას ბ. ბაგატი IV-V საუკუნის დასაწყისით ათარიღებს [Bagatti B. 1969: 213-218]. ეკლესიის მოზაიკური იატაკის ასეთი ადრეული ხანით დათარიღების სანინააღმდეგო მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ იმპერიის ცენტრში გამოცემული კანონები პერიფერიებში, როგორც წესი, გვიან აღწევდა; ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებში შემორჩენილ VI საუკუნის ზოგიერთი ეკლესიის მოზაიკურ იატაკზე, ჯერ კიდევ, ძველი ტრადიციით გამოსახულია ჯვრები [Taylor J. 1993 239-242]. მიუხედავად ამისა, აღმოჩენილი ნაგებობა და მის ნაღესობაზე შემორჩენილი პილიგრიმული წარწერები ძალზედ ძველია და მათი ყველაზე მოგვიანო თარიღი ალბათ V საუკუნის პირველ ნახევარს ვერ გადმოსცდება.

ნაზარეთის ოთხი ქართული წარწერა პირველად აკადემიკოსმა ზაზა ალექსიძემ გამოაქვეყნა [ალექსიძე ზ. 2000: 10-25; ალექსიძე ზ. 2011: 13-25]. 2002 წლის 1 მარტს წარწერები ადგილზე შევისწავლე, გადმოვიღე ასლები. პუბლიკაციებში ამ წარწერებს გაკვრით ვეხები [გაგოშიძე გ. 2003: 43; Gagohidze G. 2014: 89]. ნაზარეთის წარწერებს იხილავს ი. ჩეხანოვეცი [Tchekhanovets Y. 2011: 457-460; Tchekhanovets Y. 2018: 193-195], ბ. ხურცილავა [ხურცილავა ბ. 2014a: 24-31].

„აეტი“ (?) (IV ს-ის ბოლო – V ს-ის დასაწყისი)

ასომთავრული წარწერა ამოკანრულია სვეტის ბაზაზე არსებულ შელესილობაზე, სვეტის ბაზა გამოფენილია ნაზარეთის Custodia Terrae Sanctae-ს მუზეუმში; წარწერის ფართობი: 9,8 X 6 სმ. ასოების სიმაღლე: 5,6 –2,5 სმ. (ნახ. 12, სურ. 14).



ნახ. 12


აეტი

ზ. ალექსიძე სრული უტყუარობით წარწერის პირველ „ა“ გრაფემას კითხულობს [ალექსიძე ზ. 2000: 21,24; ალექსიძე ზ. 2011: 13-25]. ი. ჩეხანოვეცი იმეორებს ზ. ალექსიძის წაკითხულს [Tchekhanovets Y. 2011: 457-460].

წარწერაზე გარკვევით მოჩანს ოთხი გრაფემა, მეორე გრაფემა უნდა იყოს ან „ა“-“ე“ ან „ა“ – „ე“. ვფიქრობ წარწერაზე იხსენიება პილიგრიმის სახელი – აეტი.

გიორგი (?) (IV ს-ის ბოლო – V ს-ის დასაწყისი)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული მინაწერი ნაღესობაზე; დაცულია ნაზარეთისCustodia Terrae Sanctae-ს მუზეუმში. წარწერის ფართობი; 11,4 X 2 სმ. ასოების სიმაღლე: 2–0,7 სმ; ქარაგმა – განივი ხაზი (ნახ. 13, სურ. 15).



ნახ. 13

აეტი (?) შ(ეინყალ)ე ი(ეს)უ ქ(რისტ)ე გ (?)

აქ მოგვაქვს ამ წარწერის პირველგამომქვეყნებლის ზ. ალექსიძის სავარაუდო წაკითხვა [ალექსიძე ზ. 2000: 10-25; ალექსიძე ზ. 2011: 22], თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გრაფემა „გ“-ს ამოკითხვა სრული უეჭველობით ჭირს, სათანადოდ სახელი – „გიორგიც“ კითხვებს აჩენს. ამ გრაფემას აღენიშნება მარცხნივ განზიდული ხაზი, და ვერტიკალური ბუნი, ამგვარი ფორმა შეიძლება ჰქონდეს „ა“ – „ე“ ასოსაც. პალეოგრაფიული მონაცემებით წარწერა არ ჰგავს ადრეულ ძეგლს, მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი არქეოლოგიური კონტექსტი, რითიც იგი ადრეული ხანით თარიღდება. ზ. ალექსიძის წაკითხვას ემხრობა ი. ჩეხანოვეცი [Tchekhanovets Y. 2011: 459].

„ლ(?)ინ კ“ (IV ს-ის ბოლო – V ს-ის დასაწყისი)

ასომთავრული სამი გრაფემა, ამოკანრული ნალესობაზე, რომელიც დაცულია ნაზარეთის Custodia Terrae Sanctae-ს მუზეუმის ექსპოზიციაში. ეს წარწერა, გიორგის (?) წარწერის ზევითაა ამოკანრული. წარწერის ფართობი: 6,4 X 2,3 სმ; გრაფემათა სიმაღლე: 2–0,5 სმ; (ნახ. 14, სურ. 16).



ლ(?)ინ კ


ნახ. 14

ზ. ალექსიძე კითხულობს „ლივნ კ“; ავტორის აზრით ეს წაკითხვა არ არის უეჭველი [ალექსიძე ზ. 2000, 10-25; ალექსიძე ზ. 2011: 22]. ი. ჩეხანოვეცი ამ წარწერიდან მხოლოდ გრაფემა „კ“-ს არჩევს [Tchekhanovets Y. 2011: 457].

ჩვენი წაკითხვაც სავარაუდოა, დაბეჯითებით ვერ ვამტკიცებ, მაგრამ შედარებით გარკვევით ჩანს ასონიშნები „ი, ნ, კ“, პირველი გრაფემის მხოლოდ მუცელია მოჩანს.

„პავლე მოციქული“ (IV ს-ის ბოლო – V ს-ის დასაწყ.)

ორსტრიქონიანი გაკუთხოვნებული ასომთავრული ნაკანრი წარწერის ფრაგმენტი ნალესობაზე. დაცულია ნაზარეთის Custodia Terrae Sanctae-ს მუზეუმში. წარწერის ფართობი: 5,4 X 3,1 სმ; ასოების სიმაღლე: 1,9–1,5 სმ (ნახ. 15, სურ. 17).



ჩ'ნ'ი [პავლე
 ზ'ე [მოციქული

ნახ. 15

პირველად გამოქვეყნდა ზ. ალექსიძის მიერ, ვიზიარებ მის სავარაუდო წაკითხვას [ალექსიძე ზ. 2000: 21; ალექსიძე ზ. 2011: 13 – 25]. იხ. ასევე [Tchekhanovets Y. 2011: 459].

იერუსალიმი

ქრისტეს საფლავის ეკლესია

ქრისტეს საფლავის (მაცხოვრის საფლავი, უფლის საფლავი, წმინდა საფლავი, აღდგომა, გოლგოთა) ეკლესია, ძველი იერუსალიმის შუაგულში მდებარეობს (სურ. 18). ეს დიდი შენობაა, რომელიც საერთო სახურავის ქვეშ აერთიანებს მაცხოვრის ჯვარცმის, საფლავად დადების, ძელი ჭეშმარიტის აღმოჩენის წმინდა ადგილებს და სხვა მრავალ სამლოცველოს. აქ უდიდესი სიწმინდე ქრისტეს საფლავი – კუფუკლია და გოლგოთას ნიშია (სურ. 19, სურ. 20).

ეს ადგილი I საუკუნეში ქალაქის გალავნის მიღმა მდებარეობდა, აქ იერუსალიმელი პირველი ქრისტიანები სალოცავად რეგულარულად იკრიბებოდნენ. სწორედ ამ ადგილას 135 წელს, ქრისტიანთა დამცირების მიზნით, იმპერატორ ადრიანეს ბრძანებით აიგო წარმართული ღვთაების – ვენერას ტაძარი.

325 წელს იმპერატორ კონსტანტინეს (+ 337 წ.) დედის, ელენე დედოფლის თაოსნობით აქ დაიწყო გათხრები მაცხოვრის ჯვრის აღმოსაჩენად. გათხრების დროს გამოვლინდა კლდეში ნაკვეთი მაცხოვრის საფლავი, შორიახლოს, ღრმად მიწისქვეშ კი აღმოჩნდა მაცხოვრის ჯვარი – ძელი ჭეშმარიტი და იმ ორი ავაზაკის ჯვრები, რომლებიც მაცხოვართან ერთად აწამეს.

326 წელს, ამ ადგილას ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინეს გადაწყვეტილებით დაიწყო დიდი კომპლექსის მშენებლობა. მშენებლობა 335 წელს დასრულდა. ქრისტეს საფლავი – აკლდამა (კუფუკლია), რომელსაც შესასვლელი აღმოსავლეთიდან ჰქონდა, სვეტებზე დამყარებული სალხინებლით შეამკეს. საფლავის აღმოსავლეთით აიგო დიდი ხუთნავიანი ბაზილიკა. ბაზილიკასა და კუფუკლიას შორის, რომელიც დიდ მრგვალ შენობაში – როტონდაში მოექცა, სამი მხრიდან კარიბჭეებით გაფორმებული შიდა ეზო იყო, მას ტრიპორტიკოს უწოდებდნენ. ბაზილიკის სამხრეთი კედლის სიახლოვეს, ღია ცის ქვეშ წამომართულ კლდეზე – გოლგოთაზე, მაცხოვრის ჯვარი იდგა.

614 წელს სპარსელებმა ააოხრეს იერუსალიმი და დაანგრეს კონსტანტინეს აგებული ქრისტეს საფლავის კომპლექსი. ამ დროს სპარსელებმა გაიტაცეს ქრისტეს ჯვარი – ძელი ჭეშმარიტი, რომელიც 629 წელს უკან დააბრუნა ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ.

ქრისტეს საფლავის ეკლესია VII საუკუნის ოციან წლებში ააშენა წმ. თეოდოსის მონასტრის წინამძღვარმა მოდესტიმ. ახალი ნაგებობა ზომით დიდად ჩამოუვარდებოდა კონსტანტინეს აგებულ ეკლესიას.

1009 წელს ეკლესია მთლიანად დაანგრია ეგვიპტის მმართველმა ალ-ჰაქიმმა (996-1021 წწ.).

ქრისტეს საფლავი ააგეს ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) დროს – 1048 წელს, როგორც ჩანს, ამ საქმეს ქართველებიც არ გამოკლებიან.

1099 წელს იერუსალიმი აიღეს ჯაროსნებმა. იერუსალიმის აღებიდან ორმოცდაათი წლის თავზე – 1149 წელს ჯვაროსნებმა ქრისტეს საფლავის ახლი კომპლექსი დაასრულეს. ტაძარმა თითქმის უცვლელი სახით მოაღწია ჩვენამდე. ეკლესიის მთავარი – სამხრეთი ფასადი მოკირწყლულ შიდა ეზოს უკავშირდება, ამ კედელში გაჭრილია ორი ფართო კარი, რომელთაგან აღმოსავლეთისა 1187 წელს – სალაჰ ად-დინის მიერ ჯვაროსნების დამარცხების შემდგომ ამოქოლეს [Murphy-O'Connor J. 1998: 50; ცერაძე თ., გაგომიძე გ. 2007: 21].

უძველესი მოწმობა იმისა, რომ ქართველი ბერმონაზვნები დაფუძნებული იყვნენ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში, X საუკუნის სამოცდაათიან წლებს განეკუთვნება [მეტრეველი ე. 1984: 79, 80]. XI საუკუნის ორმოციანი წლებიდან ქართული თემი, ქრისტეს საფლავის ეკლესიაში, ერთ-ერთ უდიდეს სინმინდეს გოლგოთას სამლოცველოს ფლობს [ცერაძე თ., გაგომიძე გ. 2007: 18]. ქართული საძმო ქრისტეს საფლავზე განსაკუთრებით XIII-XVI საუკუნეებში მოძლიერდა, როდესაც წმინდა მინას ეგვიპტელი მამლუქები ფლობდნენ. იტალიელი მისიონერი ბერნარდინო ამიკო თავის წიგნში, რომელშიც წმინდა მინის ტაძრების აღწერა და ნახაზებია მოცემული (1593-1597 წწ.), უთითებს ქრისტეს საფლავის იმ წმინდა ადგილებს, რომლებიც ქართველებს ეკუთვნოდა [Bernardino Amico 1997: 88-90, 102].

კახეთის მეფე ლეონის (1520-1574 წწ.) დაფინანსებით 1533-1536 წლებში წმინდა საფლავის ეკლესიაში დიდი აღდგენითი სამუშაო ჩაუტარებიათ. ამ ფაქტის აღსანიშნავად გოლგოთის საპატრიარქო ტახტის მარმარილოს საფეხურზე ამოკვეთილი იყო ქართული წარწერა რომელიც გვამცნობდა – კახთა მეფე ლეონის იერუსალიმში გაგზავნილი ჯვარის მამა იოაკიმეს მიერ დაქვეყნებული უფლის საფლავის სამლოცველოს და გოლგოთას აშენებას [Цагарели А. 1888: 247]. პატრიარქის ტახტი ქართული წარწერით და ქრისტეს საფლავის სამლოცველო 1808 წლის დიდ ხანძარს შეეწირა.

ქრისტეს საფლავის ეკლესიის მთავარი კარი სამხრეთ კედელშია გაჭრილი, კარის ორსავე მხარეს, რუხი და მუქი მწვანე ფერის მარმარილოს სვეტებია განლაგებული. ეს სვეტები სპოლიას წარმოადგენს და ძველი

ნაგებობის ნაწილებია; ამგვარადვეა გაფორმებული კარის აღმოსავლეთით მდებარე ამოქოლილი შესასვლელიც. კარისპირა სვეტები დაფარულია მლოცველთა წარწერებით. აქ ბერძნულ, ლათინურ, სირიულ, არაბულ, სომხურ ნაკანრ და საღებავით შესრულებულ წარწერებს შორის ჩვიდმეტი ქართული ასომთავრული და ნუსხახუცური მინაწერიც არის. ქართული წარწერები ამოქოლილი კარის მახლობელ სვეტებზე ვერ შევნიშნე და როგორც ჩანს არც არის. წარწერები ნვეტიანი იარაღით არის ამოკანრული, არც ერთს არ აქვს თარიღი, მათი ამოკვეთის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი XII საუკუნის ორმოციანი წლებია (ეკლესია ეკურთხა 1149 წ.), როდესაც ძველი ნაგებობის მარმარილოს სვეტებით ახლად აგებული ეკლესიის კარი შეამკეს. მინაწერთა არსებობა მხოლოდ კარის მახლობელ სვეტებზე მიუთითებს, რომ ისინი დატანილია მას შემდეგ, რაც სვეტები კარის შემამკობელ ელემენტებად იქცნენ. ეკლესიის კარი და მისი მიმდებარე კედლები მლოცველთათვის წარწერათა შესასრულებლად პრესტიჟული ადგილი იყო. სტილით წარწერათა ასონიშნები ერთმანეთს ჰგავს („C“–„ა“-ს ჰორიზონტალური ხაზი ტანსაა დაშორებული, „I“–„ი“, „შ“–„მ“ გრაფემებს ზედა ჰორიზონტალის მარცხენა ბოლო ზევითაა აშვერილი, „Q“–„ო“-ს ფეხი ქვევით მიდრეკილია) და XIII-XVII საუკუნეებით ისაზღვრება. ქრისტეს საფლავის ეკლესიის კედლებზე წარწერის ამოკვეთას ყველა მსურველი ვერ შეძლებდა, უნდა გქონოდა გარკვეული პრიორიტეტი და უფლება ამის გასაკეთებლად. წარწერათა პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები სრულად ეთანხმება ისტორიულ მონაცემებს. ქრისტეს საფლავზე ქართული წარწერები ამოკვეთილია იმ დროს როდესაც ქართველები სალოცავ ადგილებს ფლობდნენ ამ ეკლესიაში.

წარწერებს განვიხილავ შემდეგი თანამიმდევრობით: კარის მარცხნივ (დასავლეთით) და კარის მარჯვნივ (აღმოსავლეთით) სვეტების რიგი.

„სოფრონი“ (XIII ს-ის ბოლო – XIV ს.)

სამსტრიქონიანი ასომთავრული მინაწერი ქრისტეს საფლავის კარის მარცხენა (დასავლეთი) წირთხლზე, მიწიდან 290 სმ. წარწერის ფართობი: 22,5 X 12 სმ. ასოების სიმაღლე 6–3 სმ. ქარაგმის ნიშანი ჰორიზონტალური ბოლოებაკეცილი მოკლე ხაზი. „P“ – „ფ“ და „K“ – „რ“ გრაფემები შეწინააღმდეგებულია (ნახ. 16, სურ. 21).

გამოცემები: [გაგოშიძე გ. 1992: 138,139; გაგოშიძე გ. 2003: 36; Gagoshidze G. 2014: 71; Pataridze T., Tchekhnovets Y. 2016: 406, 407].


სფზ

ქჩო ყი

სქჩ

ს(აფლავ)ო | ქ(რისტ)ე(სა)ო შ(ეინყალ)ე | ს(ო)ფრ(ო)ნ

იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცულია იოანე ოქროპირის იოანეს სახარების განმარტებანის ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, რომელსაც აქვს გვიანდელი ხანის მინანერი: „ცოდვილი სოფრონ, შეგირდი ყოველთა“ [მარი ნ. 1955: 68]. წინა გამოკვლევებში შესაძლებლად მიმაჩნდა ამ წარწერის სოფრონის გაიგივება იერუსალიმის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე ამოკვეთილ წარწერაში ნახსენებ საბა ყოფილ სოფრონთან, ეს უკანასკნელი – XV-XVI საუკუნეებში, იერუსალიმში მოღვაწე წიგნების ცნობილი „შემმოსველი“ იყო [გაგოშიძე გ. 2003: 36; Gagoshidze G. 2014: 71, 72, 74] (იხ. წმ. ნიკოლოზის მონასტრის ქართული წარწერები). ამჯერად ვფიქრობ, რომ ქრისტეს საფლავის კედელზე ამოკვეთილ წარწერაში ნახსენები „სოფრონ“ და წმ.



ნახ. 16

ნიკოლოზის წარწერის „საბა ყოფილი სოფრონ“ სხვადასხვა პირია, და წარწერებიც განსხვავებული დროით უნდა დათარიღდეს. წარწერები ერთმანეთისგან განსხვავდება გრაფემათა მოხაზულობით – წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წარწერის ასონიმნებს აღენიშნებათ XV-XVI საუკუნეებისთვის მახასიათებელი უტრირებული მოყვანილობა; ქრისტეს საფლავის წარწერა კი გრაფემათა სადა მოხაზულობით და დაგრძელებული დუქტუსით უფრო XIII საუკუნის მინურულით ან XIV საუკუნით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ XV-XVI საუკუნეში მოღვაწე, წიგნების ცნობილი შემმოსველი ყველგან იხსენიება, როგორც – „საბა ყოფილი სოფრონ“; ქრისტეს საფლავის წარწერაში კი მხოლოდ – სოფრონი დასტურდება.


პატარიძე-ჩეხანოვეცს მიაჩნიათ, რომ ქრისტეს საფლავის წარწერაში ნახსენები „სოფრონი“ და წმ. ნიკოლოზის ეკლესიის „საბა ყოფილი სოფრონ“ ერთი და იგივე პირია [Pataridze T., Tchekhnovets Y. 2016: 406, 407].

ქრისტეს საფლავის კარის წირთხლზე ამოკვეთილ წარწერაში ნახსენები სოფრონ, როგორც ჩანს გამორჩეული პიროვნება იყო, იგი თავის წარწერას სვეტებზე კი არ კვეთს სადაც უამრავი სხვა მლოცველის წარწერაცაა, არამედ, განსაკუთრებულ ადგილს არჩევს.

„ბართლომე“ (XV ს-ის ბოლო XVI ს-ის დასაწყისი)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა კარის მარცხნივ (სამხრეთით) პირველ სვეტზე. სვეტის მარჯვენა მხარეს, ფილაქნიდან – 199 სმ. წარწერა-

ის ფართობი: 8,5 X 3 სმ. ასოების სიმაღლე: 1,4–0,7 სმ. ქარაგმის ნიშანი: მოკლე კლაკნილი ხაზი (ნახ. 17, სურ. 22).



ნახ. 17


გამოცემა: [გაგოშიძე გ. 1992: 144; Pataridze T., Tchekhnovets Y. 2016: 401].
ჟღერდეს ყნ იწ

ბა(რ)თლომ(ე)ს შ(ეუნდენე)ს ღ(მერთმა)ნ

XV საუკუნის ბოლოთი და XVI საუკუნით თარიღდება „ჯვრის მონასტრის ყოფილი ბერი ბართლომე“-ს წერილი [ბერძნიშვილი მ. 1989: 26,111]. ქრისტეს საფლავის ბერი – „აღდგომელი ბართლომე“ იხსენიება პეტერ-ბურგში დაცული ხელნაწერის – იოანე ოქროპირის მარგალიტის E16 (E113; G150b) ანდერძ-მინაწერში. ა. ცაგარელის ვარაუდით ეს მინაწერი XIV-XVII საუკუნეებით თარიღდება [Цагарели А. 1888: 192; ცერაძე თ., ხოფერია ლ. 2016: 683]. ბერი ბართლომე ჯვრის მონასტრის დატოვების შემდგომ ქრისტეს საფლავის ქართული საძმოს წევრი გახდარა.

„გიორგი“ (XIV-XVI სს.)

ერთსტრიქონიანი ნუსხური წარწერა კარის მარცხნივ პირველ სვეტზე. ფილაქნიდან – 146 სმ; წარწერის ფართობი: 2,5 X 2 სმ. ასოების სიმაღლე: 1,8–0,5 სმ. ქარაგმის ნიშანი არ არის ნახმარი (ნახ. 18, სურ. 23).



გამოცემა: [გაგოშიძე გ. 1992: 144]


ქე Se gY

ქ(რისტე)ე შ(ეინყალ)ე გ(იორგ)ე

ნახ. 18

„საფლავო ქრისტესაო“ (XIV-XVI სს.)

ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, ამოკვეთილია კარის მარცხნივ პირველ სვეტზე მინიდან – 100 სმ. წარწერის ფართობი 9,5 X 6,3 სმ. ასონიშნების სიმაღლე: 1,5–0,9 სმ. პირველ სიტყვას ჰყოფს ჩაკვეთილი ჯვარი ორკაპა ბოლოებით. ქარაგმის ნიშანი: ბოლოწერტილოვანი კლაკნილი ხაზია (ნახ. 19, სურ. 24).



ნახ. 19

გამოცემა: [გაგოშიძე გ. 1992: 143; Pataridze T., Tchekhnovets Y. 2016: 406].


სქუნდ ქუ

ყუ სუ ხუ

ს(ა)ფლ(ავო ქ(რისტე)ე(სა)ო | შ(ეინყალ)ე ს(ულ)ი ჩ(ე)მი

„ნიკოლოზ გრძელი“ (XIV-XVI სს.)

ერთსტრიქონიანი, გაკუთხოვნილი ასომთავრული წარწერა კარის მარცხნივ, პირველი სვეტის ბაზის აღმოსავლეთ ნახნაგზე. ქვაფენილიდან – 46 სმ. წარწერის ფართობი: 14,5 X 2,5 სმ. ასონიშნების სიმაღლე: 2,3 – 0,5 სმ. ასონიშანი „ხ“ – „კ“ შებრუნებულია (ნახ. 20, სურ. 25).



ნახ. 20

გამოცემები: [გაგოშიძე გ. 1992: 140; გაგოშიძე გ. 2003: 35, 36; Gagoshidze G. 2014: 74,75; Pataridze T., Tchekhnovets Y. 2016: 405].

ხუ სუსუქი

ნიკ(ო)ლ[ოზ] გ(რ)ძ(ე)ლს შ(ე)უნდვენ ღ(მ)ერთმან

ეს მინაწერი სვეტზე გაჩენილი ღრმა ნაპრალის გამო დაზიანებულია. ამავე პირის ორი მინაწერია ბეთლემის შობის ეკლესიის სვეტებზე.

„იოსები“ (XIV – XV სს.)

ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ქრისტეს საფლავის კარის მარცხნივ მეორე (შუა) სვეტზე, მიწიდან – 190 სმ. წარწერის ფართობი:


7 X 6 სმ, ასოების სიმაღლეა 4–1,5 სმ; ქარაგმის ნიშანი – ბოლონერტილოვანი მოკლე განივი ხაზია, გრაფემებს ბოლოები ნერტილებით აქვს გაფორმებული (ნახ. 21, სურ. 26).

გამოცემა: [გაგოშიძე გ. 1992: 142, 143; Pataridze T., Tchekhnovets Y. 2016: 403-405].

ႠႡႢႣ

ჟნ ინ

იოს(ე)ბს | შ(ე)უნდვენ ღ(მერთმა)ნ



ნახ. 21

იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა შორის სახელი იოსები მრავალ პირს ერქვა. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვართაგან სამი იოსები იყო: პირველი XIV საუკუნის მიწურულს ან XV საუკუნის დასაწყისში ხელმძღვანელობდა მონასტერს, მეორე – იოსებ არქიმანდრიტი XVI საუკუნის მიწურულის ჯვარის მამა იყო, მესამე იოსები – 1666 წელს ჩანს [მეტრეველი ე. 1962: 37, 40].

ხელნაწერთა მინაწერებიდან ვიგებთ, რომ იერუსალიმში ქრისტეს საფლავის (აღდგომელი) ბერი ყოფილა წიგნების ცნობილი მკაზმავი იოსებ ხუნტუსძე [Цагарели А. 1888: 153, 174], იგი რ. ბლეიკს XVII საუკუნის პირი ჰგონია [Blake R. 1924: 400], პატარიძე-ჩეხანოვეცის კვლევით იოსებ ხუნტუსძე XV საუკუნეში მოღვაწეობდა [Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 405].

„ქრისტეო“ (XIV-XVI სს.)

ასომთავრული დაუსრულებელი მინაწერი კარის მარცხნივ მეორე (შუა) სვეტზე. მიწიდან 112 სმ. წარწერის ფართობი: 3 X 2,5 სმ. ასო-ნიშნების სიმაღლე 2,5–1,7 სმ. ეს მინაწერი შესრულებულია „თომა ყოფილი იოვაკიმ ჯვარაძის“ წარწერის მარცხნივ (ნახ. 22, სურ. 27).

გამოცემა: [გაგოშიძე გ. 1992: 141].

ქႠ ქ(რისტე)ო




ნახ. 22

„შოთა“ (XII(?)-XIII სს.)

ორი ასომთავრული გრაფემით შედგენილი სიტყვა, კარის მარცხნივ მეორე სვეტზე, მიწიდან 156 სმ; ფართობი: 1,7 X 1,2 სმ. ასოების სიმაღლე: 1,2–1 სმ. ქარაგმა განივი ხაზი სიტყვის მარცხნივ ამოკვეთილია გოლგოთის ჯვარი ორი სხვიით (ნახ. 23, სურ. 28).

† ყ̣ღ † შ(ო)თ(ა)

წარწერა მოგვიანო ხანის ნაკანრითაა გადაჩხა-
ბნილი. შესაძლებელია, სახელი „შოთა“ დავეუკავ-
შროთ ჯვრის მონასტრის სააღაპე ნიგნში ჩანერილ
შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპს, რომელიც XII
საუკუნეში ან XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზეა დაწერ-
ილი [მეტრეველი ე. 1962: 108, 109, 178, 179] და
ჯვრის მონასტერში სამხრეთ-დასავლეთ სვეტზე
გამოსახულ შოთა რუსთველის ფერწერულ გამო-
სახულებას.



ნახ. 23

„თომა ყოფილი იოვაკიმ ჯვარიძე“ (XIV-XVI სს.)



შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, კარის მარცხნივ მეორე
(შუა) სვეტზე⁵, მიწიდან 106 სმ. წარწერის ფართობი: 23,5 X 16 სმ. გრა-
ფემათა სიმაღლე: 5,5 – 0,3 სმ. ქარაგმის ნიშანი სწორი და კლაკნილი
ხაზი. წარწერის შუაში ერთი ბოლონერტილოვანი და ორი ორკაპა ბო-
ლოებით დასრულებული ჯვარია ჩაკვეთილი. განკვეთილობის ნიშანი სამი
წერტილია. რამდენიმე სიტყვას აღენიშნება ბოლო მარცვალთა დაქარაგ-
მება (ნახ. 24, სურ. 29).

გამოცემები: [გაგოშიძე გ.
1992: 140-142; გაგოშიძე გ. 2003:
37; Gagoshidze G., 2014: 75-77; Pa-
taridze T., Tchekhanovets Y. 2016:
401-403]

ა̣ჟ
ჩ̣ს ზ̣ც ს̣ჟ
ჩ̣რ̣ს̣ც̣ ყ̣რ̣ ა̣რ̣ც̣ა̣
ღ̣რ̣გ̣ ყ̣ფ̣ნი̣ რ̣ნი̣
რ̣ნი̣
ღ̣ა̣ა̣
ყ̣რ̣ ი̣რ̣

ჯ(უა)როი ქ(რისტი)ს(აო) და
ს(ა)ფ(ლავ)ოი ქ(რისტი)ესაო შ(ე-
ინყალ)ე ჯვარ(ი)ძე| თომ(ა)

5 ის სვეტია, რომელსაც ქვედა ნაწილ-
ში დიდი ნახეთქი აქვს. გადმოცემის
მიხედვით, სვეტის გახეთქვა 1579
წლის დიდ შაბათს მომხდარ სას-
წაულს უკავშირდება [ცერაძე თ., გა-
გოშიძე გ. 2007: 7,9].



ნახ. 24

ყ(ო)ფ(ი)ლი ი(ო)ვ(ა)კ(იმ) | ვ(ი)ნც | ბრძ(ა)ნ(ოს) | შ(ე)უნდ(ე)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ


პირველ პუბლიკაციაში [გაგოშიძე გ. 1992: 140-142] წარწერა გამოვაქვეყნე როგორც ორი დამოუკიდებელი გრაფიტი (N4, N5), თუმცა იქვე განვმარტე, რომ შესაძლებელია ეს ერთი წარწერა იყოს, რადგანაც თუ „ჯვარიძე“-ზე გავწყვიტავთ ტექსტს და ჩავთვლით რომ იგი დამოუკიდებელი წარწერაა, ხოლო „თომა ყოფილი იოვაკიმ“-ი დამოუკიდებელი, ამ შემთხვევაში მეორეს – „თომა ყოფილ იოვაკიმ“-ეს, თითქოს დასაწყისი აკლია – არ ჩანს მიმართვის ობიექტი, გაურკვეველია ვის და რას შესთხოვს იგი, როდესაც მომხსენიებლისთვის უფლისგან შენდობას ითხოვს. ამ გარემოებამ და ასონიშნების დიდმა მსგავსებამ დამარწმუნა, რომ საქმე გვაქვს ერთ წარწერასთან, იგი ერთი მწერლის მიერაა ამოკანონული და აქ როგორც ერთ წარწერას ისე ვაქვეყნებ.

პ. კონჭოშვილი ამ წარწერას ასე კითხულობს „ქრისტე მაცხოვარ, შეიწყალე ჯარვარ...“ [კონჭოშვილი პ. 1901: 48]; თ. პატარიძე, ი. ჩეხანოვეცი „ჯეაძე“-ს კითხულობენ, ასონიშნად „ვ“-ს მარჯვნივ გაშვერილ მოკაუჭებულ ფეხს ვერ ამჩნევენ, თუმცა ეს კარგად ჩანს, როგორც ფოტოზე ასევე, ჩემს მიერ გადმოღებულ ასლზეც. მოკლედ, დიდი ალბათობით აქ გვარი „ჯვარ(ი)ძე“ წერია. (გვარი ჯვარიძის შესახებ იხ.: [მაისურაძე ი. 1990: 244]).

მკვლევრებს – პატარიძე-ჩეხანოვეცს მიაჩნიათ, რომ აქ ორი სხვადასხვა წარწერაა – „თომა-ყოფილ იოვაკიმეს“ წარწერას განცალკევებით განიხილავენ; მათი აზრით იოვაკიმე შესაძლებელია ჯვრის მონასტრის წინამძღვარი ყოფილიყო 1538 წ. [Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 401-403]; წარწერაში დამონშებული თომა ყოფილი იოვაკიმეს, იოვაკიმ ჯვარის მამასთან იდენტიფიკაციის შესაძლებლობა ჩემს კვლევებშიცაა განხილული [გაგოშიძე გ. 2003: 37; Gagoshidze G., 2014: 75-77], მართლაც, ამ წარწერაში შესაძლებელია, ცნობილ იოვაკიმე ჯვარის მამასთან გვექონდეს საქმე, რომელიც ლევან კახთა მეფის (1520-1574 წწ.) დავალებით ჩამოვიდა წმინდა მინაზე [Цагарели А. 1888: 247], თუმცა სახელი – იოვაკიმე-ს გარდა, ამგვარი იდენტიფიკაციისთვის სხვა მონაცემები არ გვაქვს; ვფიქრობ, გრაფემათა მოხაზულობით, წარწერა მითითებული ქრონოლოგიური მონაკვეთის (XIV-XVI სს.), უფრო ადრეული ეტაპისკენ იხრება.

„ქრისტე შეიწყალე“ (XIII-XIV სს.)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა კარის მარჯვნივ პირველის სვეტის ბაზაზე (დასავლეთ ნახნაგზე), მიწიდან – 56 სმ. წარწერის ფართობი: 3,3 X 2,7 სმ; გრაფემების სიმაღლე: 2–1,3 სმ; ქვარაგმის ნიშანი მოკლე ხაზი (ნახ. 25, სურ. 30).



ნახ. 25

გამოცემა: [გაგოშიძე გ. 1992: 144].

ქ⁷ ყ⁷

ქ(რისტ)ე შ(ეინყალ)ე

„გ“ (XIV-XVI სს.)

ასომთავრული „გ“ გრაფემა ამოკვეთილია კარის მარჯვნივ პირველი სვეტის ბაზის ლილვზე, „დავითის“ მინაწერის მარცხნივ ფილაქნიდან 71 სმ. ასო-ნიშნის სიმაღლე – 1,4 სმ. (ნახ. 26, სურ. 31).




ნახ. 26

ღ გ

„დავითი“ (XIV-XVI სს.)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა კარის მარჯვნივ პირველი სვეტის ბაზაზე, მიწიდან – 67 სმ. წარწერის ფართობი: 11 X 2,5 სმ. ასოების სიმაღლე: 1,8–0,9 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორი წერტილი. ქარაგმის ნიშანი არ არის ნახმარი (ნახ. 27, სურ. 32).



ნახ. 27

გამოცემა: [გაგოშიძე გ. 1992: 145; Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 407]

ღღ: ყნ: ინ ნ

დ(ავი)თ(ს) შ(ეუნდვე)ნ ლ(მერთმ)ან [ა](მე)ნ

„იოსებ“ (XIV-XVI სს.)

ერთსტრიქონიანი ნუსხურწარევი გაკუთხოვნილი ასომთავრული მინაწერი კარის მარჯვნივ პირველი სვეტის ბაზის ლილვზე, ფილაქნიდან – 63 სმ. წარწერის ფართობი: 7 X 4,5 სმ. გრაფემათა სიმაღლე: 2,5–0,7 სმ. ქარაგმის ნიშანი მოკლე სწორი ხაზი. ასონიშანი „ო“ ნუსხურადაა დანერილი (ნახ. 28, სურ. 33).



ნახ. 28

გამოცემა: [გაგოშიძე გ. 1992: 144,145; Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 407]

ქ⁷ ყ⁷ ო⁷ ს ქ(რისტ)ე შ(ეინყალ)ე იოს[ებ]

პატარიძე-ჩახანოვეცი არ გამორიცხავენ, რომ აქ სახელი „იოს(ია)“ იყოს დაქარაგმებული [Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 407].

„ეკლესია „ (XIV-XVI სს.)

ორი ასომთავრული გრაფემა კარის მარჯვნივ მეორე სვეტზე, ფილაქნიდან – 136 სმ. ფართობი: 2,5 X 1,8 სმ; გრაფემა-თა სიმაღლე: 2,3–1,5 სმ, (ნახ. 29, სურ. 34).

ⴒⴓ ეკ(ლესია)

ნახ. 29



„გერმანოზ“ (XIV ს.)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული დაგრძელებული გრაფემებით შესრულებული წარწერა კარის მარჯვნივ მეორე სვეტზე მინიდან – 120 სმ. წარწერის ფართობი: 7 X 4,5 სმ. ასოების სიმაღლე: 4,5–3 სმ. ეს მინაწერი დაუსრულებელია, სახელი მიცემით ბრუნვაშია (ნახ. 30, სურ. 35).


გამოცემები: [გაგოშიძე გ. 1992: 145,146; Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 410]

ⴒⴓⴓⴓ

გ(ე)რ(მანო)ზს

იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოღვაწე რამდენიმე პირია ამ სახელით ცნობილი: XIV საუკუნის მეორე ნახევარში ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იყო გერმანოზი, მას Jer. N 44 ხელნაწერზე შეუსრულებია მხედრული წარწერა: „ქრისტეს საფლავო მილხინე მე ცოდვილსა ჯუარის მამას და ცოდვები შეუნდვენ“ [მეტრეველი ე. 1962: 36,37]. ჯვრის მონასტრის წიგნი – ბასილი დიდის ცხოვრება (1056 წ.) მოგვიანებით შეუკაზმავს ვინმე გერმანე ეზდაველიძეს [Цагарели А. 1888: 173, 174; მარი ნ. 1955: 19.]. ა. ცაგარელს აღდგომის ეკლესიის სალაროში უნახავს ოლარი (წარწერაში „სამხრეთი“), რომელიც ჯვრის მონასტრის მღვდელ-მონაზონ გერმანეს შეუკერვინებია და ქრისტეს საფლავისა და ჯვრის მონასტრისთვის შეუწირავს [Цагарели А. 1888: 250].


დახვეწილი, წაგრძელებული დუქტუსის ასონიშნებით შედგენილი ეს წარწერა ვფიქრობ, XIV საუკუნეში უნდა იყოს ამოკვეთილი. წარწერაში ნახსენები სახელისა და XIV საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ჯვრის მონასტრის წინამძღვრის სახელის მსგავსი ფორმა – „გერმანოზ“ მაფიქრებინებს, რომ ერთი და იგივე პირთან გვაქვს საქმე. ჯვარის მამა გერმანოზის მოსახსენებელია სინას მთის ქართველთა ეკლესიის სულთა მაციაზეში [კლდიაშვილი დ. 2008: 165].



ნახ. 30

„ამოტ“ (XIV-XV სს.)

ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, მდებარეობს კარის მარჯვნივ მეორე სვეტზე, ფილაქნიდან 135 სმ. წარწერის ფართობი: 11 X 5,5 სმ. ასოების სიმაღლე; 2-1,5 სმ. წარწერას განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ აქვს. სიტყვები არ არის ერთმანეთს დაცილებული. წარწერის დასაწყისში ჯვარია ამოკვეთილი (ნახ. 31, სურ. 36).



ნახ. 31

გამოცემები: [გაგოშიძე გ. 1992: 147; Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 409,410]

† ოცდრჳნს
ორ

† ამოტ(ს) შ(ეუნდვ)ნ(ე)ს | შ(ეენი)ნ

პირველ გამოცემაში ამ წარწერას ასე ვკითხულობ: „ამოტ შ(ეუ)ნ(დო)ს შნ...“ [გაგოშიძე გ. 1992: 147].

პატარიძე – ჩეხანოვეცი წარწერას კითხულობენ: „ამ(ო)ტ შ(ე)ნს(ა) შ(ე)ენი(ე)ნ“, მათი აზრით ამოტი აშკარად სომხური სახელია და სავარაუდოდ ეს პირი სომეხი ქალკედონიტი უნდა ყოფილიყო [Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 409].

„მათე-გრიგოლ“ (XIV-XVI სს.)

ორსტრიქონიანი კუთხოვანი ასომთავრული წარწერა, ნუსხური „ა“ გრაფემით, ამოკვეთილია კარის მარჯვნივ მეორე სვეტზე. ფილაქანიდან – 123 სმ. წარწერის ფართობი: 10,5 X 5,5 სმ. ასოების სიმაღლე: 2,5-0.7 სმ. (ნახ. 32, სურ. 37).



ნახ. 32

გამოცემები: [გაგოშიძე გ. 1992: 146,147; Pataridze T., Tchekhanovets Y., 2016: 408, 409]

მათე ირ ორ
ორ

მათე ლ(მერთმან) შ(ეუნდვე)ნ | გ(რი)გ(ო)ლს

ვფიქრობ ტექსტი უფრო გამართული იქნება თუ ასე წავიკითხავთ:

მათე გ(რი)გ(ო)ლს ლ(მერთმან) შ(ეუნდვე)ნ

მათე გრიგოლი ჩვენთვის უცნობი პირია. სინას მთის XII-XIV სს.

ლიტურგიული კრებულის (Sin. 76) ანდერძ-მინანერში ამავე სახელებით ორი სხვადასხვა პირია დამონმებული: გამზრდელი გრიგოლ და მისი შეგირდი მათე, „ამისსა დამწერელსა მათეს, გაზრდილსა გრიგოლისი შეუნდვენ ღმერთმან, ამენ“ [გვარამია რ., მეტრეველი ე., ჭანკიევი ც., ხევსურისანი ლ., ჯღამაია ლ. 1987: 149].

პატარიძე-ჩახანოვეცს მიაჩნიათ, რომ ეს ორი სხვადასხვა წარწერაა, რადგანაც განსხვავებული ხელითაა ნაწერიო, შესაძლებელია ასეცაა, თუმცა სტრიქონები ერთმანეთთან მიჯრითაა ამოკვეთილი, ქვედა სტრიქონი ზედას უსწორდება, რაც მაფიქრებინებს, რომ ეს ერთი წარწერაა.

აბრაამის მონასტერი

ეს მცირე მონასტერი მდებარეობს ქრისტეს საფლავის სამხრეთი ეზოს აღმოსავლეთით. ეზოს აღმოსავლეთი კედლის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში გაჭრილი კარით ავდივართ და ვხვდებით ტერასაზე, როომლის ჩრდილოეთ ნაწილში აბრაამის მონასტერია. აბრაამის ეკლესია გარედან ემიჯნება გოლგოთას, მახლობლადვეა დიდი სატრაპეზოც, ირგვლივ ბერების სენაკებია. ეკლესია დასავლეთ აღმოსავლეთის ღერძზე განზიდული სწორკუთხა, დიდი სივრცეა, რომელიც სამი ჯვრული კამართაა გადახურული. აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხეველია, იგი სამი სარკმლითაა განათებული; საკურთხევის წინ დიდი იკონოსტასია აღმართული (სურ. 38). ეკლესიაში, სამხრეთ კედელში გაჭრილი კარით და რამდენიმე საფეხურით ჩავდივართ, ოდესღაც ეს კარი სარკმლის ღიობი იყო. ძველად ეკლესიის კარი დასავლეთ კედელში იყო გამართული, დღეს დასავლეთი კარი დავინროვებულია და სარკმლადაა გადაკეთებული. ეკლესიის სარკმლები საკმაოდ მალაა და შეტეხილი თაღებითაა დასრულებული. ინტერიერში კედლები XIX საუკუნის მხატვრობითაა დაფარული. ძველად ეკლესია უშუალოდ უკავშირდებოდა გოლგოთას ნიშს.


გიორგი ავალიშვილს (იერუსალიმში იმოგზაურა 1819-1820 წწ-ში), აბრაამის ეკლესიის კარიბჭეზე, სავარაუდოდ დასავლეთი კარის თავზე ამოუკითხავს 1599 წლის 11 სექტემბრით დათარიღებული ქართული, მხედრული წარწერა, რომელიც ვერცერთ სხვა მკვლევარს ვეღარ შეუნიშნავს. დღეს ეს წარწერა აღარ არსებობს. პეტრე კონჭოშვილი რომელიც 1899 წელს იმყოფებოდა იერუსალიმში, წერს: „ეხლა ამ მონასტერს (აბრაამის გ. გ.) ჰფლობენ ბერძნები და სრულიად მოუსპიათ ეს ქართული წარწერა, ვითარცა სხვა ეკლესიებშიაც, რომელნიც ოდესმე ქართველებს აღუშენებიათ პალესტინაში“ [კონჭოშვილი პ. 1901: 28]. წარწერის ტექსტი გვატყობინებდა, რომ თავად იოანე აბაშიძეს აზნაური გიორგი ჩიკოიძე გამოუგზავნია იერუსალიმში

გარკვეული საფასით, მამამთავარ აბრაამის მონასტრის განსაახლებლად. გიორგი ჩიკოიძეს შეუსრულებია ეს დავალება, რისთვისაც წამკითხველისგან ითხოვდა ლოცვას [ავალიშვილი გ. 1967: 045, 046, 211]. აბაშიძეების საგვარეულო, სულ გვიან XVI საუკუნიდან მაინც პატრონობდა იერუსალიმის მამათავარ აბრაამის ამ მონასტერს [ხურცილავა ბ. 2016 a: 12-19].

გიორგი აბაშიძის საქტიტორო წარწერა (1700 წ.)

ორსტრიქონიანი მხედრული წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის სამხრეთ კედელზე, კარის მარცხნივ (დასავლეთით) მოთავსებულ გათლილი ქვის ფილაზე, ქვაფენილიდან – 83 სმ-ის სიმაღლეზე ამავე ქვათლილზე, ქართული წარწერის თავზე მსგავსი შინაარსის ოთხსტრიქონიანი ბერძნული წარწერაა. ქართული წარწერის ფართობია: 84 X 17 სმ; ასოების სიმაღლეა: 6,3–0,9 სმ. წარწერის ასონიშნები გადაბმულია – ე. წ. „გაკრული ხელითა“ ნაწერი. ქარაგმის ნიშნად ნახმარია მოკლე განივი ხაზი, მრცხენა ბოლოში ორკაპათი დაბოლოებული. განკვეთილობის ნიშანი – სამი წერტილია. წარწერა ნაკითხული აქვთ ნ. ჩუბინაშვილს [Цагарели А. 1894: 47] და ალ. ცაგარელს [Цагарели А. 1888: 250]. წარწერა 2015 წელს მიმდინარე სარემონტო სამუშაოს დროს კედლიდან ჩამოხსნეს. დღესდღეობით წარწერა თავის ძველ ადგილასაა დაბრუნებული. წარწერის ასლი გადმოვიღე 2002 წლის 4 იანვარს (ნახ. 33, სურ. 39).

ახალი გამოცემები: [გაგოშიძე გ. 2003: 42; Gagoshidze G. 2014: 80]



ნახ. 33

ქ. ეს.: აბრჰმის.: მნასტრი.: განვახლე.: აბაშიძე.:
 გრგი.: იმერელმა.: იმის.: თეთრით.: ქქს.: ჩლ.:
 ქ(რისტე) ეს აბრ(ა)ჰ(ა)მის მ(ო)ნასტ(ე)რი განვა(ა)ხლე აბ(ა)შიძე | გ(იო)
 რგი იმერელმა იმის თეთრით. ქ(ორონი)კ(ონ)ს ჩლ (1700)

გიორგი აბაშიძე (+ 1722 წ.), საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი და გავლენიანი თავადი იყო, რომელიც აქტიურ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ეწეოდა [სოსელია ო. 1973: 153-209], ამავე დროს გიორგი აბაშიძე კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობასაც არ ივიწყებდა. იერუსალიმში აბრაამის ეკლესიის შეკეთების გარდა გიორგი აბაშიძემ ქრისტეს საფლავს


უსახსოვრა მინიატურებით მდიდრულად შემკული სახარება (XV-XVI სს.) – ანდერძში იხსენიება: გიორგი აბაშიძე, თანამეცხედრე გულქან ლორთქიფანიძე, შვილები – ლევან, ბეჟან და მალაქია. ამ სახარებას შემწირველები „ოქროს ოთხთავს“ უწოდებენ [ცერაძე თ., ცხადაძე დ. 2013].

წმ. თეკლას მონასტერი

მდებარეობს უფლის საფლავის ეკლესიის დასავლეთით, ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ტერიტორიაზე. ეკლესიის დარბაზული სივრცე წყვილ პილასტრზე დაფუძნებული ორი ჯვრული კამართაა გადახურული. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდაა, რომელსაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ორი მცირე აფსიდა აკრავს. ეკლესიის მთავარი კარი დასავლეთ კედელშია. სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების დასავლეთ კიდეებში თითო კარია გაჭრილი, რომელთაგან სამხრეთისა დღეს ამოქოლილია. ჩრდილოეთ კარს შემორჩენილი აქვს ძველი ფორმები, იგი არქიტრავითაა გადახურული, თავზე კი ამჟამად ამოქოლილი ლუნეტია. ლუნეტს ევლება მუზარადისებრი მოყვანილობის დეკორატიული თალი. დენის პრინგლის მოსაზრებით ეკლესიას შემორჩენილი აქვს ძველი ფორმები, შუა საუკუნეებში იგი ტრომპებზე დამყარებული გუმბათით ისევე ყოფილა გადახურული როგორც ამას უფლის საფლავის კომპლექსის სამების ეკლესიაში ვხედავთ (Pringle D. 2007: 382, 383). ამ მონასტერს ქართველები სავარაუდოდ XIII-XIV საუკუნეებიდან ფლობენ [ჟანენ რ. 1921: 17, 18]. აღსანიშნავია, რომ ადგილზე შემორჩენილია მონასტერში ქართველთა ცხოვრების და აღმშენებლობის ფაქტები. წმ. თეკლას ეკლესიის აღმოსავლეთით (?) ზღუდის კედელზე მდებარეობდა ასომთავრული წარწერა, რომელშიც იხსენიებოდა, ამ ზღუდისა და სენაკის აღმშენებელი ქაიხოსრო ზედგინიძე (XV-XVI სს-ის მიჯნა). ეს ზღუდე დღევანდელი ქრისტიანთა უბნის ქუჩის კედელს წარმოადგენს, დაახლოებით ის ადგილია საიდანაც მცირე ჩასახვევითა და კიბეებით ქრისტეს საფლავის სამხრეთ კარიბჭესთან შეიძლება მოხვედრა. ვფიქრობ, წარწერაც ამ კედელზე უნდა ყოფილიყო: **„ქ მე, ზედგინისძემან ჯუარის მამამან ქაიხოსრო აღვაშენე ზღუდე ესე და სენაკი. წმიდაო მწევალ ქალწულ მონამეო თეკლა მეოხ და მცველ ექმენ ქაიხოსროს და მისთა დედა-მამათა შეუნდვნეს ღმერთმან, ამენ“** [მიქაძე გ. 1971: 236-241] (სურ. 40). დღეს წარწერა აღარ არსებობს, როგორც ჩანს იგი ბერძნულ საპატრიარქოში წარმოებულ ერთ-ერთ რემონტს შეეწირა. კირქვის ფილაზე ამოკვეთილი მეორე ქართული ასომთავრული წარწერა, საპატრიარქოს ტერიტორიაზე, წმ. თეკლას მონასტრის სიახლოვეს მდებარე ერთ-ერთი სენაკის სარკმლის წირთხლშია ჩადგმული.

**წმ. თეკლას მონასტრის ქაიხოსრო ზედგინიძის
სამშენებლო წარწერა (XV-XVI სს-ის მიჯნა)**

კირქვის ფილაზე (ზომა: 54,2X25,8 სმ) ამოკვეთილი შვიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, კედლის წყობაში თავქვე ჩადგმული, მდებარეობს წმ. თეკლას ეკლესიის გვერდით, ბერძნული საპატრიარქოს ტერიტორიაზე, ერთ-ერთი სენაკის სარკმელთან, მიწიდან 313 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერა 2002 წლის 3 იანვარს შენიშნა ჩვენი ექსპედიციის (2001-2002 წწ.) წევრმა, ხელოვნებათმცოდნე ნიკოლოზ ვაჩიიშვილმა. წარწერის ასლი გავაკეთე 2002 წლის 16 თებერვალს. წარწერა განთავსებულია ფიგურულ მოჩარჩოებაში, რომელიც გვახსენებს ამავე მონასტრის, დღეს დაკარგული, ასომთავრული წარწერის მოჩარჩოებას [მიქაძე გ. 1971; Стовбун II: 1979] (სურ. 40) წარწერის დასაწყისში წაგრძელებული ჯვარია დასმული. წარწერის ფართობია: 37,3 X 19,2 სმ; ასოების სიმაღლე; 3,4–0,6 სმ. პირველი და მეორე სტრიქონის შუაში ქვის ზედაპირი ოთხკუთხადაა ამოჭრილი. განკვეთილობის ნიშანი ორი და სამი წერტილია. ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი ხაზია (ნახ. 34, სურ. 41).



ნახ. 34

გამოცემები: [გაგოშიძე გ. 2003: 38,39; Gagoshidze G. 2014: 73,80]

† სიიყრე. ხუღღ
 რსტუბ ზიღსტსრუ
 ს ყრუხჳნ: სრღს ჳრს
 სხრს ზც ხჳტ ჳყღ ს ს
 ხრს: ჳყს: ხრს სრუ ზც
 ჳღღს ხრს ჳტსტს რრს
 ყრღღს ჳჳჳს ორღღს: ყრღღს ორღღს

† აღვ(ა)შენე ზედგი|ნისძემ დოლარსნ(ა)ლ|(ი)ს შვილმ(ა)ნ [ქ]აიხოს[რომ] [ჩ]ემისა| ს(უ)ლისა და ჩ(ე)მთა მშო[ბელთ]ა ს|[უ]ლისა თვს რვა ს(ა)ხლი და| ოცდარვა კ(ა)მარა ვინც| შ(ე)ნდ(ო)ბა ბრძ(ა)ნ(ო)ს [თ]უქ(უ)ენცა შ(ე)გინდ(ვ) ნეს ღ(მერთმა)ნ

წარწერიდან ვიგებთ, რომ დოლარსნალ ზედგინიძის შვილმა ქაიხოსრომ წმ. თეკლას მონასტერში ან მის სიახლოვეს ააგო რვა სახლი და ოცდარვა კამარა. კამარა აქ, ვფიქრობ, სავაჭრო ნაგებობების – ქულბაგების შესატყვისი ტერმინია; ძველი იერუსალიმის მოზღუდული ქუჩების კედლებზე მრავალი ამოშენებული თაღოვანი ნაგებობის კვალია, რაც უეჭველად ქულბაგების ნაშთები უნდა იყოს. დ. კლდიაშვილის ვარაუდით წარწერაში ნახსენები „რვა სახლი“ შესაძლებელია მონასტერთან არსებულ სასტუმროს აღნიშნავდეს [კლდიაშვილი 2008: 128].⁶ სიტყვა სახლს შუა საუკუნეებში ზოგჯერ ხმარობენ ბერთა სენაკების აღსანიშნავადაც [გაგომიძე გ. 2010: 60, სურ. 9].

ჯვარის მამა ქაიხოსრო ზედგინიძე იხსენიება დაკარგულ ასომთავრულ წარწერაშიც, რომელიც წმ. თეკლას მონასტრის ზღუდის აღმოსავლეთ კედელზე იყო, იგი ადგილზე ჩანს გურამ პატარაიას დოკუმენტურ ფილმში (1966 წ.) – „პალესტინის სიძველეთა საიდუმლოება“ (39 წუთი 33-56 წამები); ეს წარწერა (ტექსტი იხ., ზემოთ) სავარაუდოდ მონასტერში მიმდინარე რემონტს შეეწირა; თეკლას მონასტერი ქრისტეს საფლავის სიახლოვეს, მის დასავლეთით მდებარეობს, მათ ჰყოფს ქრისტიანთა უბნის ქუჩა, წმ. თეკლას მონასტრის ზღუდე სწორედ ამ ქუჩის პირასაა. მონასტერს ჩრდილოეთიდან საზღვრავს ბერძნული ორთოდოქსული საპატრიარქოს ქუჩა. წმ. თეკლას მონასტრის დაკარგულ წარწერაში ქაიხოსრო ზედგინიძე ჯვარის მამად, (ჯვრის მონასტრის წინამძღვრი) იხსენიება. ორივე წარწერაში ერთი და იგივე პირზე – ქაიხოსრო ზედგინიძეზეა ლაპარაკი. დაკარგულ წარწერაში ქაიხოსროს ჯვარის მამის წოდება აქვს; რადგან, ჩვენს წარწერაში ქაიხოსროს ეს პატივი ჯერ არ აქვს, ვფიქრობთ იგი დაკარგულ წარწერაზე უფრო ადრეა შესრულებული. როგორც ჩანს, ქაიხოსრო ზედგინიძე ჯვრის მონასტრის წინამძღვრის პოზიციაზეც არ აკლებდა ზრუნვას ზედგინიძეთა საგვარეულო მონასტერს. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატეანში მოხსენიებულ ქაიხოსრო დოლარსნალიშვილს ისტორიკოსი დარეჯან კლდიაშვილი სრულიად მართებულად აიგივებს ქაიხოსრო ზედგინიძესთან, ასევე მას დასაშვებად მიაჩნია ტიმოთე გაბაშვილთან ნახსენები წმ. თეკლას მონასტრის მაშენებლის ჯვარის მამა ქრისტეფორე ზედგინიძისა და ქაიხოსრო ზედგინიძის

6 XVII ს-ში წმ. თეკლას მონასტრის გამართულობაზე, პილიგრიმთათვის დასარჩენ ადგილებსა და მონასტერში წყლის სიუხვეზე წერენ რუსი მოგზაურები [Панченко К. А. 2012: 212].

იგივეობის საკითხი, რადგანაც შესაძლებელია ქაიხსოროს საბერო სახელი სწორედ ქრისტიანულ ეოფილიყო. მკვლევარი, ქაიხსორო ზედგინიძის იერუსალიმში ჩასვლას და მისი ჯვარის მამობის პერიოდს დაახლოებით XV-XVI საუკუნეების მიჯნით ან XVI საუკუნის 10-იანი წლების მეორე ნახევრით, უფრო კი 20-30-იანი წლებით საზღვრავს [კლდიაშვილი დ. 2008: 119, 127, 128, 130, 131].

წმ. ნიკოლოზის მონასტერი

წმ. ნიკოლოზ მთრონლუკიელის სახელზე აგებული მონასტერი ეკუთვნის ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს და ძველი ქალაქის ქრისტიანულ უბანში მდებარეობს (ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ქ. 4).

გადმოცემის თანახმად, მონასტერი აგებულია იმ ადგილას, სადაც ცხოვრობდა იერუსალიმში მოსალოცად ჩასული წმ. ნიკოლოზი.

1189 წლით დათარიღებული არაბული წყარო – სალაჰ ად-დინის ვაკუფია ადასტურებს, რომ მონასტერი ქართველებს ეკუთვნით; 1453 წლის ბრძანებულებაში წმ. ნიკოლოზის მონასტერი წმინდა მიწის შვიდ ქართულ მონასტერს შორისაა დასახელებული [ჯაფარიძე გ. 2018: 102, 103]. ქართველები ამ მონასტერს სავარაუდოდ XVII საუკუნეშიც ფლობდნენ, რაზეც აქ არსებული ქართული ლაპიდარული წარწერები მეტყველებენ.

მართლმადიდებლური საპატრიარქოს ქუჩის გასწრივ კედელში დატანებული კარის თავზე წარწერა მიგვანიშნებს, რომ კარის მიღმა წმ. ნიკოლოზის მონასტერია. პირველად მონასტრის, სწორკუთხა გეგმის შიდა ეზოში შევდივართ, ეზოს აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეს საცხოვრებელი ბინებია. ძველად, შიდა ეზოს პერიმეტრი მუზარადისებრი ფორმის თალებით იყო გახსნილი. წმ. ნიკოლოზის ეკლესიას ეზოს ჩრდილოეთი მხარე უკავია. ეკლესია ორსართულიანი ნაგებობაა, ქვედა სართულზე დღეს სხვადასხვა სათავსი და საპატრიარქოს მუზეუმის შენობაა, ეკლესია მეორე სართულზე მდებარეობს, ეკლესიაში შესასვლელად სამხრეთ კედელთან მიშენებული დიდი ქვის კიბით ავდივართ, კარი დასავლეთ კედელშია დატანებული (სურ. 42, 43).

ეკლესიის ორსართულიანი შენობის აღმოსავლეთი ფასადი საპატრიარქოს შიდა ეზოში გამოდის (სურ. 44), აქ დღეს ბაღია გაშენებული და ანტიკური თუ შუა საუკუნეების ქვის და კერამიკის ნაკეთობათა ფრაგმენტებია გამოფენილი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია საპატრიარქოს ბაღს დასავლეთიდან საზღვრავს. ეკლესიის ქვედა სართულის აღმოსავლეთი კედელი გამაგრების მიზნით დამატებითი წყობით გაუძლიერებიათ, კედ-

ლის ეს გასქელება ერთგვარი კონტრფორსის მოვალეობას ასრულებს. ამ კედელში ორი დიდი სარკმელი და კარია დატანებული, სწორედ აქედანაა შესაძლებელი საპატრიარქოს მუზეუმში შესვლა. მუზეუმში შუა საუკუნეების ქართული ნაქარგობის და ოქრომჭედლობის ნიმუშებია დაცული. კარის მარცხნივ (სამხრეთით), სარკმლის ქვეშ, კედელში ჩამონტაჟებულია ქვის ფილა, რომელზეც კახთა დედოფლის ელენე ყოფილი ელისაბედის ასომთავრული წარწერაა.

ეკლესიის დასავლეთი კარის წინ ნახევართალის ფორმის კამარით გადახურული გალერეაა, ეკლესიის დასავლეთი ფასადი ძველად მუზარადისებრი ორი თაღით იყო გახსნილი, რომელიც მოგვიანებით ამოუქოლავთ. ეკლესიაში შესასვლელი კარი ჩრდილოეთ ამოქოლილ თაღშია დატანებული. გეგმით – ჩანერილი ჯვრის ტიპის ეკლესიის ინტერიერი განივად განვითარებული სივრცეა. თაღებით მოსაზღვრული ცენტრალური მონაკვეთი დღეს ჯვრული კამართაა გადახურული, სავარაუდოდ ძველად აქ გუმბათი უნდა ყოფილიყო აღმართული [ვაჩიშვილი ნ., ხოშტარია დ. 2003: 19; Khoshtaria D., Vacheishvili N. 2014: 30]. XVIII-XIX საუკუნეების დეკორირებული ოქროსფერი იკონოსტასი ფარავს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდსა და მის ორსავე მხარეს არსებულ ორ პატარა აფსიდიან სადგომს, რომელთაგან ჩრდილოეთისა – წმ. ბარბარეს სახელობისაა. მისი სუფთად ნათალი ქვით ნაგები აფსიდა და კონქის ქუსლის გაყოლებაზე არსებული პროფილირებული სარტყელი, იერუსალის ჯვაროსანთა ხუროთმოძღვრულ დეტალებს გვახსენებს. ამ ბოლო ხანებში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოს დროს გამოვლინდა ეკლესიის ინტერიერის ქვის წყობა, ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილის სამივე აფსიდის ქვის წყობა მსგავსია სამხრეთი და აღმოსავლეთი ფასადების წყობისა; ამ კედლების ქვათილებზე საკვეთი იარაღის ირიბად დატანილი კვალი და ოსტატთა მიერ ქვების მარკირებისთვის ამოკვეთილი ლათინური ასოები [Pringle D. 2007: 340] მიგვანიშნებს, რომ ეკლესიის ეს ნაწილი ჯვაროსნების მიერ XII საუკუნეშია აგებული.


ქართული წარწერები (XIV-XVII სს.) უმეტესად ეკლესიის დასავლეთ კედელზეა ამოკვეთილი. წარწერათა ნაწილი კედლის თაღების ქვებზეა განთავსებული. არც ერთი წარწერა არ არის ამოქოლილ ნაწილებზე მიწერილი, რაც იმის დასტურია, რომ დასავლეთი კედლის თაღები მოგვიანო ხანაშია დაგმანული [Gagoshidze G. 2014: 78,79]. ეკლესიის დასავლეთი გალერეის დასავლეთი კედელიც, რომელშიც ბერ-მონაზონთა სენაკებში შესასვლელი რამდენიმე კარია განთავსებული, აუთენტუკური უნდა იყოს, მას ებჯინება გალერეის გადახურვის კონსტრუქცია, ამ კედლის სამხრეთ ნაწილში, სენაკის კარის მარჯვნივ ქვათილზე – ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერაა, რომელშიც „ფარემუზაშვილი საბა“ (XVII ს.) იხსენიება.

ჯვრის მონასტრის სვინაქსარში დაცულია ცნობა, რომ XVII საუკუნეში წმ. ნიკოლოზის მონასტერში სმშენებლო საქმიანობა დაუფინანსებია ქაიხოსრო წულუკიძეს, კერძოდ მას აუშენებია წმ. ნიკოლოზის ეკლესია და, ასევე ქვითკირით აუგია სამოცი სახლი... ამ საქმიანობის გამო ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა დაახატვინა მისი გამოსახულება ჯვრის მონასტერში [მეტრეველი ე. 1962: 88. 144, 145].

„კახთა დედოფალი ელენე ყოფილი ელისაბედი“ (XVII ს-ის ბოლო)

ორსტრიქონიანი რელიეფური ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე – ეკლესიის პირველ სართულზე, საპატრიარქოს მუზეუმის შესასვლელის მარცხნივ (სამხრეთით), ქვაფენილიდან 108 სმ-ის სიმაღლეზე. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი გამოდის საპატრიარქოს ყოველმხრივ მოსაზღვრულ შიდა ეზოში (სურ. 44). წარწერის ასლი გავაკეთე 2002 წლის 3 იანვარს, 2002 წლის მარტში წარწერა ვანდალურად იქნა მომტვრეული. 2002 წლის 18-23 სექტემბერს, მოქანდაკე პაატა გიგაურმა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის კედელში არსებულ ამავე ქვაზე – წარწერის ნაადგილეზე, ჩემი გაკეთებული ასლის და დავით ცხადაძის ფოტოების გამოყენებით ამოკვეთა ამ ისტორიული წარწერის ზუსტი ასლი (სურ. 45, 46, 47).

წარწერის დასაწყისში ჯვარია. გრაფემები ერთმანეთშია შენიალებული. წარწერის ფართობი: 118 X 31,5 სმ; ასოების სიმაღლე; 11,5–6 სმ; განკვეთილობის ნიშნებად წერტილებია ნახმარი, ქარაგმა კი ბოლოწერტილოვანი კლაკნილი ხაზია, რომელიც მოჩარჩოებაშია ჩართული (ნახ. 35, სურ. 45).



ნახ. 35

გამოცემები: [Цагарели А. 1888: 120, 250; მეტრეველი ე. 1962a: 235; გაგოშიძე გ. 2003: 36,37; Gagoshidze G. 2014: 73, 77]

† ԲՁ ԸԴՆ ԳՆ ԺԷ ԴԺ ԴԻ ԲԴ ԲԴ ԲԴ ԲԴ ԲԴ
 ԸԷԾ ԾԾԾ ԾԾԾ ԾԾԾ ԾԾԾ ԾԾԾ ԾԾԾ ԾԾԾ ԾԾԾ ԾԾԾ

† წ(მინდა)ო ნიკ(ოლო)ზ მ(ეო)ხ ე(ქ)მ(ე)ნ წ(ინაშ)ე ქ(რი)ს(ტეს)ა კ(ახთა) დედ(ო)ფ(ა)ლსა ელენე ყ(ო)ფ(ილ)სა ელისაბ(ედ)ს

წარწერაში პირდაპირ მითითებას ვერ ვხედავთ, რა პირობით მოხდა ამხელა წარწერის ამოკვეთა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაზე, აშკარაა, რომ „კახთა დედოფალ ელენეს“ გარკვეული ღვანწლი მიუძღვის წმ. ნიკოლოზის მონასტრის წინაშე.

ა. ცაგარლის ვარაუდით, კახთა დედოფალი ელენე ყოფილი ელისაბედი კახეთის მეფე თეიმურაზის (1605-1663 წწ.) და არის, რომელიც ჯერ სპარსეთში იყო, შემდეგ კი ჩავიდა იერუსალიმში, ელისაბედის სახელით აღიკვეცა მონაზვნად და ააგო წმ. ნიკოლოზის ეკლესია [Цагарели А. 1888: 120]. სავარაუდოდ აქ იგულისხმება თეიმურაზ I (კახეთის მეფე – 1606-1616 წწ. ქართლ-კახეთის მეფე – 1623-1632 წწ. [სურგულაძე მ. 1995: 61]), თუმცა ძნელი დასადგენია რა საბუთიანობას ემყარება ალ. ცაგარლის მოსაზრება.

თეიმურაზ II-ს (კახეთის მეფე 1709-1715 წწ., კახეთის გამგებელი 1733-1744 წწ., ქართლის მეფე 1744-1762 წწ.) ჰყავდა და ელენე (ბანჯანუმ-ბეგუმი), ერეკლე I-ის (ნაზარალი ხანი – † 1710 წ.) ქალიშვილი, იესეს (ალიყული-ხანი – † 1727 წ.) მეუღლე [სურგულაძე მზ. 1995: 61], რომელიც 1737 წლის მახლობელ ხანაში მონაზვნად აღიკვეცა და ეწოდა ელისაბედი. ელენე ყოფილი ელისაბედი 1749 წლის 27 აპრილს გარდაიცვალა მოსკოვში, დაკრძალეს დონის მონასტერში [ლომიძე დ. 1986: 33,34]. ელენეს იერუსალიმის გოლგოთის ჯვრისთვის შეუწირავს „კვარცხლბეკი“ – ნაქარგი ქსოვილი წარწერით: „ქ. ჩუჴნ მეფეთ მეფის ერეკლეს ასულმან ელენე, შევამკე კვარცხლბეკი ესე ადგილისა წმიდისა გოლგოთისა, რომელსა ზედა აღემართა ძელი ჯვარისა, რათა მეოხ და მფარველ გვეყოს მეუღლით, ძით და ასულით. ქრისტეს აქეთ ჩღკვ“ (1723 წ.) [Цагарели А. 1888: 248; ლომიძე 1986: 32]. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული „ელენე ყოფილი ელისაბედი“ ვერ იქნება – ბანჯანუმ ბეგუმი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბანჯანუმ-ბეგუმი ქართლის ბაგატიონთა შტოს წარმომადგენლის – იესეს ცოლი იყო და მამასადავე კახეთის დედოფლის პატივი ვერ ექნებოდა.

ვფიქრობ, ე. მეტრეველი მართალია, რომელიც მიიჩნევს, რომ წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული კახთა დედოფალი ელენე – კახეთის მეფის დავითის († 1648) მეუღლე, დიასამიძის ასული ელენე († 1695) – ერეკლე I-ის (ნაზარალი ხანი – † 1710 წ.) დედაა. მან, წმ. მიწის ქართული მონასტრების ვალებისგან დასახსნელად, იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს, ორჯერ დიდძალი თანხა გადაუგზავნა [მეტრეველი ე. 1962a: 235]. სავარაუდოდ, დედოფლის ამ ქმედების დაფასებაა, წმ. ნიკოლოზის მონასტრის აღნიშნული წარწერა. ამ მოსაზრების სუსტი მხარე არის ის, რომ არაფერი ვიცით ელენე დედოფლის შემონაზვნების შესახებ.

წარწერის ასო-ნიშნების მოყვანილობა გვახსენებს სვეტიცხოვლის გუმბათის კარნიზის 1656 წლის წარწერას სადაც როსტომ მეფე (1632-1658 წწ.) და მარიამ დედოფალი (+ 1684 წ.) იხსენიება [ოთხმეზური გ. 2010: 113] და ასევე აფხაზეთის კათალიკოს მაქსიმეს (1639-1657 წწ.) წარწერას შემოქმედის მონასტერში [Бакрадзе Д. 1878: 115,116].

„საბა ყოფილი სოფრონი“ (XV-XVI სს. მიჯნა)

ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის დასავლეთ ფასადის სამხრეთ კიდეში, კედლის თაღზე, ქვაფენილიდან 286 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის დასაწყისში წაგრძელებული ჯვარია. რამდენიმე ასონიშანი შენიაღვრულია. ქარაგმად მოკლე განივი და კლაკნილი ხაზია ნახმარი. განკვეთილობის ნიშანია – ორი წერტილი. წარწერის ფართობია: 36,6 X 18 სმ; ასოების სიმაღლე: 8 – 2,5 სმ (ნახ. 36, სურ. 48).

ნახ. 36

გამოცემები: [გაგოშიძე გ. 2003: 36; Gagoshidze G. 2014: 72,75; Pataridze T., Tchekhnovets Y. 2016: 406, 407]

† ႠႡႢႣႤ ႥႦႧ ႨႩ ႪႫႬ

სႠႡႢ ႣႤ ႥႦ Ⴇ

† ცოდვ(ი)ლს ს(ა)ბა ყოფ(ი)ლს | სოფრ(ო)ნს შ(ე)უნდვ(ე)ნ(ე)ს ლ(მ)ერთმან


„საბა ყოფილი სოფრონი XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე იერუსალიმში მოღვაწე ცნობილი წიგნების „შემმოსველი“ და „შემკაზმველი“ იყო: მისი მინაწერები მსგავსი ფორმულირებით დაცულია Jer. N119 და Jer. N77 ხელნაწერებში და ორივეგან იგი მოიხსენიება ასე: „ცოდვილი საბა ყოფილი სოფრონი“ (Jer. N77 – ის მინაწერი დღეს დაკარგულია) [კარანაძე მ. 2002: 41, 42, 44]. მოხმობილი მასალა უეჭველად ადასტურებს, რომ წარწერის „საბა ყოფილი სოფრონი“ და ცნობილი წიგნების „შემმოსველი“ ერთი და იგივე პირია.

ადრეულ პუბლიკაციებში შესაძლებლად მიმაჩნდა „საბა ყოფილი სოფრონის“ გაიგივება ქრისტეს საფლავის კარის წირთხლზე ამოკვეთილ წარწერაში ნახსენებ „სოფრონთან“ [გაგოშიძე გ. 2003: 36; Gagoshidze G. 2014: 75]. დღეს ასე აღარ ვფიქრობ რადგანაც – 1. ამ ორი წარწერის ასოთა მოხაზულობა სტილით განსხვავებულია, სათანადოდ წარწერები სხვადასვა დროისაა, 2. წიგნების ცნობილი „შემმოსველი“ ყველა მინაწერში თავის ძველსა და ახალ სახელს ახსენებს – „საბა ყოფილი სოფრონი“ – ქრისტეს საფლავის წარწერაში კი მხოლოდ „სოფრონი“ დასტურდება.

პატარიძე-ჩეხანოვეცს მიაჩნიათ, რომ ქრისტეს საფლავის წარწერაში ნახსენები „სოფრონი“ და წმ. ნიკოლოზის ეკლესიის „საბა ყოფილი სოფრონი“ ერთი და იგივე პირია [Pataridze T., Tchekhnovets Y. 2016: 406, 407].

„ნიკოდიმოს კანდელაკი“ (XVI ს-ის ბოლო – XVII ს-ის დასაწყ.)

სუტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის დასავლეთ კედელზე, კარის მარჯვნივ (სამხრეთით), მარმარილოს ფილაზე გამოსახული წმ. ნიკოლოზის რელიეფის მახლობლად, ქვაფენილიდან 193 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის ფართობია: 39,5 X 23,5 სმ, ასოების სიმაღლე: 6,5–1,9 სმ. ქარაგმის ნიშანი მოკლე, განივი კლაკნილი ხაზი. განკვეთილობის ნიშნებია: ერთი, ორი და სამი წერტილი (ნახ. 37, სურ. 49).



ნახ. 37

გამოცემები: [გაგოშიძე გ. 2003: 37, 38; Gagoshidze G. 2014: 72, 79, 80]

ՇԻԿՈՒՆԸ ՈՒՇԻ

ԶԿՈՂՆԻՆԸ: ԿՆԾՊՆԻՆԸ

ԲՆՆԻՆԸ: ԲԻԿՈՇՊՈՒՆ

ՄԻՆ: ՈՒՆ: ԾՆ: ԶԻՇԻՆ: ԾՊԾ

: ԶԶԻՆ ՄԻՆ ՈՒՆ.


ანუურისა ღ(მრ)თის|მშობლისა კ(ან)დელ(ა)კსა| ნას(ი)ძესა ნიკოდი-
მოს(ს)| შ(ე)უნდე(ნ)ეს ღ(მერთ)მან და მ(ი)სთა დედ| მ(ა)მ(ა)თა შ(ე)უნდე(ნ)ე
ს ღ(მერთ)მან.

ნიკოდიმოს კანდელაკის გვარი „ნასძე“, შესაძლებელია, გაიხსნას ან როგორც: „ნაუასძე“ [სილოგავა ვ. 1994: 35] ან, რაც უფრო მართებუ-
ლი მგონია, „ნასიძე“-დ. ანუურის ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე გელათშია დასვენებული და მისი მოჭედულობა იმერეთის მეფე გიორგი II-ის (1565-1583 წწ.) დროს –

1578-1583 წლებშია შესრულებული [საყვარელიძე თ. 1987: 147]. როგორც ჩანს, კანდელაკ ნიკოდიმოსს XVI საუკუნის მიწურულს ან XVII საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში მოუხდა ჩასვლა: ჯვრის მონასტრის ალაპებში დაცულია ცნობა ნიკოდიმე კანდელაკის შესახებ, რომელსაც მათესა და ანტონთან ერთად ჯვრის მონასტრისთვის შეუწირავს ამბროსაული ვენახის ზედა ვენახი – ალაპის ჩანაწერებს ე. მეტრეველი პალეოგრაფიულად XVI საუკუნით ათარიღებს [მეტრეველი ე. 1962: 94, N161, 158 N161].

„ვაჟინარი მათე“ (XIV-XVII სს.)

ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, კარის სამხრეთით, წმ. ნიკოლოზის რელიეფური გამოსახულების ქვემოთ, იატაკიდან – 220 სმ. წარწერის ფართობი: 45,3 X 11,5 სმ; გრაფემათა სიმაღლე: 5,5–1,7 სმ; ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი ხაზი. განკვეთილობის ნიშანი – სამი წერტილია (ნახ. 38, სურ. 50).



ნახ. 38

გამოცემები: [გაგოშიძე გ. 2003: 38; [Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 408]

† ოსტრიქონიანი

...ასომთავრული წარწერა

† ვ(ა)ჟინ(ა)რსა მ(ა)თეს მ(ის)თ[ა დედა-მამასა... ...] ღვთის(ა)ვ(ა)რსა შ(ე)უნდ(ე)ნ(ე)ს ღ(მ)ერთმან ამენ

ტერმინი ვაჟინარი ბერძნული სიტყვისგან არის ნაწარმოები და ნიშნავს მემარნეს, ღვინის მწდეს, მერიქიფეს. ვაჟინარი იხსენიება გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ შედგენილ პეტრინონის მონასტრის ტიპიკონში (1083 წ.) ხოლო იოვანეს და ექვთიმეს ცხოვრებაში ეს ტერმინი „მევაჟინე“–ს ფორმით დასტურდება [შანიძე ა. 1971: გვ. 82, 166, 167; აბულაძე ი. 1973: 229]. სულხან საბა ორბელიანის განმარტებით – მევაჟინე – სასმელებთ მნე, რომელს შაქრითა და თაფლითა წყალთა და ხილის წუწნთა შეაზავებენ ვაჟინად უწოდებენ. ხოლო მევაჟინეთა – მისთა მოქმედთა [სულხან-საბა ორბელიანი 1949: 370-371]. ვაჟინარის – მევაჟინეს თანამდებობა, დიდი

მონასტრის რთულ სტრუქტურას ასახავს. სავარაუდოდ, თუ ვაჟინარი მათე წმინდა მიწაზე პილიგრიმად არ არის ჩასული, ირუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერი უნდა იყოს, რომელსაც მონასტერში მეღვინის, მერიქი ფეს ფუნქცია ჰქონდა.

მეორე სტრიქონის დასაწყისში – სიტყვის ფრაგმენტი „ისვრსა“ შესაძლებელია იყოს სახელი „ღვთისავარის“ ბოლო ნაწილი და ვფიქრობ ეს, „ვაჟინარი მათეს“ მამის სახელია.

ამ წარწერის ზევით, წმ. ნიკოლოზის რელიეფის კედელზე დამონტაჟების დროს დაუზიანებიათ ასომთავრული წარწერა, რომლისგან მხოლოდ ბოლო, დაქარაგმებული ოთხი ასონიშნის კვალიღაა შემორჩენილი, იკითხება: „ჴნ იწ“ – „შს ღწ“ – შ(ეუნდგნე)ს ღ(მერთმა)ნ.

„ვაჟინარი მათეს“ წარწერა პირველ პუბლიკაციაში შეცდომით მაქვს წაკითხული [გაგოშიძე გ. 2003: 38].

ამ წარწერაში სიტყვა „ვაჟინარს“ ვერ კითხულობს პატარიძე-ჩეხანოვეცი [Pataridze T., Tchekhanovets Y. 2016: 408].

„ფარემუზ თაგღირიძე“ (XVII ს.)

ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, კარის მარჯვნივ (სამხრეთით), ქვაფენილიდან 236 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის ფართობია: 37 X 23 სმ; ასოების სიმაღლეა: 5–0,8 სმ; წარწერის რამდენიმე გრაფემა შეწინააღმდეგებულია; ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ჩანს. წარწერას თავში ქანწილი უზის (ნახ. 39, სურ. 51).

თავსადასტოვან
წმინდა მიხის
წმინდა მიხის
წმინდა მიხის
წმინდა მიხის

† ԳՂԾԴԻՍԻՍԻ ՓԻՒՂԸ
 ԾԸ ԲՆ ԲԴԸԻՆՏ ԴԻ...ԸԸ
 ՄԸ ՈՆ
 ԿՆ (?) ԿԲԴՆՆ
 Ո

ქ(რისტე), თ(ავ)გდირისძეს ფ(ა)რემუ[ზს] | და მ(ი)ს მეუღლ(ე)სა ეკ[ატე-
 რი]ნეს | შ(ეუნდვენ) ღ(მერთმა)ნ ... | კს(?) რმელსს (?) ... | ღ


თავგდირიძე | თავდგირიძე | თაუდგირიძე – თავდგირიძე ფარემუზ
 იხსენიება 1660-იანი წლების ერთ საბუთში (Hd-2179), როგორც მონმე
 სეხნია ჩხეიძის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული ყმა-მამულის
 „დანებების“ წიგნისა [კლდიაშვილი დ., სურგულაძე მ. 1993: 267].

წარწერით დგინდება ფარემუზ თავგდირიძის (თავდგირიძე) ცოლის
 სახელი ეკატერინე.

თავდგირიძე ფოცხვერას ალაპია (XIV ს.) იერუსალიმის ჯვრის მონას-
 ტრის სვინაქსარში [მეტრეველი ე. 1962: 84, 133].

„ვარძელი“ (XVI-XVII სს.)

ნაკვეთი სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი შემორჩე-
 ნილია ეკლესიის დასავლეთი ფასადის სამხრეთ კიდეში, კედლის თალზე, ქვაფე-
 ნილიდან 135 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერის ფართობია 35,5 X 16 სმ; ასოების
 სიმაღლე: 5–1,5სმ; წარწერის თავში ამოკვეთილია ბოლოებორკაპა გოლგოთის
 ჯვარი; ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ აქვს (ნახ. 40, სურ. 52).



ნახ. 40

† ԴԿԿ
 ԿՆ ԾԸ ԲԴԸԻՆՏ
 ԲԿԿ

† ვ(ა)რძ(ი)ელს | [თა]ყ(ა)ს (?) და მ(ე)უღლ(ე)ს[ა] | მ(ა)რ(ი)ა[მ]ს შეუნდვენ
 ღმერთმან]

მეორე სტრიქონის დასაწყისში აღვადგენთ სახელ – „[თა]ყა“-ს
 „ვარძელი“ მესხეთში გავრცელებული სახელი ყოფილა, ამ სახელი-

დან არის წარმომდგარი გვარი – ვარძელაშვილი, ვარძელაძე [ბერიძე მ. 2010: 65, 177]. შესაძლებელია, თაყა ვარძიელი სასულიერო პირია. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის სულთა მატრიანეში იხსენიება სოხასტრის დეკანოზი გრიგოლ ვარძ(ი)ელი [კლდიაშვილი დ. 2008: 173].

მაყა ვარძელის და მისი მეუღლე ანუსიას ალაპია (XV-XVI სს.) იერუსლიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარში [მეტრეველი ე. 1962: 105, 174].

„ნიკოლოზ“ (XIV-XVI სს.)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი, ამოკვეთილია წმ. ნიკოლოზის ტაძრის სამხრეთი ფასადის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან, მიწიდან – 134 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის ფართობი: 12 X 3,5 სმ; ასოების სიმაღლე: 3,5–2,1 სმ, (ნახ. 41, სურ. 53).




ნახ. 41

ნიკოლოზ

ნ(ი)კოლ(ო)ზს [შეუწდვენ ღმერთმან]

„წმინდაო ნიკოლოზ“ (XIV-XVI სს.)

ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი, ამოკვეთილია წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, კარის მარჯვნივ (სამხრეთით), „ნიკოდიმოს კანდელაკის“ წარწერის ქვემოთ, მიწიდან – 150 სმ; წარწერის ფართობი: 20,5 X 11,5 სმ; ასოების სიმაღლე 6,2–3,7 სმ; ქარაგმის ნიშანი ბოლოწერტილოვანი მოკლე განივი ხაზი. წარწერის მეორე სტიქონის გრაფემები არ განირჩევა (ნახ. 42, სურ. 54).



ნახ. 42

წმინდაო ნიკოლოზ

წ(მინდა)ო [ნი]კ(ო)ლ(ო)ზ შ(ეინყალ)ე

„ი(ოან)ე“ (XIV-XVI სს.)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, კარის მარჯვნივ (სამხრეთით) „ნიკოდიმოს კანდელაკის“ წარწერის ქვემოთ, იატაკიდან: 161,7 სმ; წარწერის ფართობი: 11 X 4 სმ; გრაფემების სიმაღლე: 3,2–1 სმ, (ნახ. 43, სურ. 55)




ნახ. 43

71 ყ1 ი0

ი(ოანე) შ(ეინყალ)ე ღ(მერთ)ო

„იოის“ (XIV-XVI სს.)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთ კედელზე, ქვაფენილიდან 162 სმ. წარწერის ფართობი: 2 X 4 სმ; ასოების სიმაღლე: 2 X 0,9 სმ; (ნახ. 44, სურ. 56).




ნახ. 44

707 ს(?)7

იოის ს(?)ე

„მალ... შვილის“ წარწერა (XV-XVI სს.)

ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი ამოკვეთილია წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან, მიწიდან – 139 სმ; წარწერის ფართობი: 11 X 8,7 სმ; გრაფემათა სიმაღლე; 2,7–0,5სმ. ქარაგმის ნიშანი – მოკლე კლაკნილი ხაზი (ნახ. 45, სურ. 57)



...ჭჯზ

ყ(?)ჩზ

ს ყს

იჩ

მალ... | შ(?)ვ(ი)ლ | ს შ(ეუნდვნე)ს | ღ(მერთ)მან

ნახ. 45

„საბა ფარემუზაშვილი“ (XVII ს.)

ორსტრიქონიანი გაკუთხოვებული ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთი გალერეის დასავლეთ კედელზე, სენაკის კარის ზედა ნაწილის მარჯვნივ, ფილაქანიდან 172 სმ. წარწერის ფართობი: 39,5 X 16 სმ; ასოების სიმაღლე – 7,3



ნახ. 46

– 4,5 სმ. წარწერის ასონიშნები ცოტა ხნის წინ წითელი ფერით შეღებეს. ქარაგმა – მოკლე ჰორიზონტალური ხაზი. ეს წარწერა შენიშნა ხელოვნებათმცოდნე გიორგი ქანიშვილმა 2015 წლის ნოემბერს. ასლი გადმოვიღე 2018 წლის 20 ნოემბერს, (ნახ. 46, სურ. 58).

ქ ა ჯ ზ ყ უ ზ ს

ს ლ ს ყ წ ს ი წ

ფ(ა)რ(ე)მ(უ)ზ(ა)შე(ი)ლს | ს(ა)ბ(ა)ს შ(ე)ნ(დენე)ს ლ(მერთმა)ნ

ფარემუზაშვილები იხსენიება XVII საუკუნით დათარიღებულ დოკუმენტებში [სურგულაძე მ., კლდიაშვილი დ. 2007: 292]. ფარემუზა თავდირიძე და მისი მეუღლე ეკატერინე ნახსენებია ამავე ეკლესიის დასავლეთი ფასადის წარწერაში.

ჯვრის მონასტერი

ჯვრის მონასტერი ძველი იერუსალიმის იაფოს კარიბჭიდან სამხრეთ დასავლეთით ორი კილომეტრის მანძილზე, ახალ იერუსალიმში მდებარეობს (სურ. 59). მის სიახლოვეს ისრაელის სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი დანესებულებებია – ჩრდილოეთით კნესეტის შენობა, დასავლეთით კი ისრაელის მუზეუმი.

ჯვრის მონასტერი, წმინდა მიწაზე ქართველთა სამონასტრო კოლონიის ცენტრი – მაღალი გალავნით მოზღუდული ციხე-სიმაგრის მსგავსი კომპლექსია. გალავნის აღმოსავლეთ კედელში არსებული დაბალი კარით შევდივართ სამონასტრო სივრცეში, სადაც მთავარი ტაძარი, მცირე სამლოცველოები, სატრაპეზო, სამრეკლო, სემინარიის შენობა და რამდენიმე სართულად განლაგებული სენაკებია (სურ. 60). გადმოცემით ჯვრის მონასტრის გუმბათოვანი ტაძარი დგას იმ ადგილას სადაც აღმოცენდა ბიბლიური მამამთავრის ლოტის მიერ დარგული ხე, რომლისგანაც მაცხოვრის წამების იარაღი – ჯვარი გამოითალა. ჯვრის ძირი ეკლესიის საკურთხეველში, ტრაპეზის ქვეშ, ჯვრისებრ ღრმულში – ენკენიონშია აღნიშნული [Pringle D. 1998: 35, XIX, 36], მრევლი ამ სინმინდეს, საკურთხეველის აფსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სათავსოს იატაკში დატანებულ ღრმულთან სცემს თავყანს.

გუმბათოვანი ეკლესია ჩაწერილი ჯვრის ტიპის დიდი ნაგებობაა (სურ. 60). ორი წყვილი სვეტითი ეკლესიის სივრცე სამ მონაკვეთად იყოფა. გუმბათი საკურთხეველის შვერილებსა და დასავლეთით მდგარ ორ მასიურ სწორკუთხა ბურჯს ეყრდნობა. გუმბათქვეშა თალებს მუზარადისებრი ფორმა აქვთ. სავარაუდოდ ეკლესიის ჯვრისებრი კამარები მოგვიანო ხანის უნდა იყოს. გარედან შენობა, წმინდა მიხის სხვა ეკლესიების მს-

გავსად გუმბათით დასრულებულ, დაუნანევრებელ კუბურ მოცულობას წარმოადგენს [ვაჩიშვილი ნ., ხოშტარია დ. 2003: 18; Khoshtaria D., Vachishvili N. 2014: 25, 26]. დ. პრინგლს მიაჩნია და ვფიქრობ სრულიად მართებულად, რომ ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძარი, ისევე, როგორც ეინ ქერემის იოანე ნათლისმცელის შობის ადგილას აგებული ეკლესია, წმინდა მიწის ის ნაგებობებია, რომლებიც 1099 წლამდე (ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღება) აგებული და სტრუქტურით შუა ბიზანტიური ხანის არქიტექტურულ ტიპს წარმოადგენს [Pringle D. 1982: 10-13].

ჯვრის ქართველთა მონასტერი 1038-1056 წლებში ააგო ქართველმა ბერმა პროხორე შავშელმა. იმ დროს წმინდა მიწაზე გაბატონებული არაბული კანონმდებლობით, ქრისტიანებს შეეძლოთ მხოლოდ დანგრეული ეკლესიის აღდგენა, ხოლო ახალი ეკლესია-მონასტრების აგება შეუძლებელი იყო [Schik R. 1995: 161-163; ჯაფარიძე გ. 2018: 48,49]. ჯვრის მონასტერი პროხორე შავშელმა ძველი მონასტრის ნანგრევებზე ააშენა. ვფიქრობ, სამშენებლო პროექტის განხორციელებამდე ბერ პროხორეს დასჭირდებოდა არაბ ხელისუფალთათვის დაემტკიცებინა, რომ ჯვრის მონასტრის ადგილას არსებული ნანგრევები ძველი ქართული მონასტრის ნაშთებს წარმოადგენდა. ქართული ტრადიციით იერუსალიმის მახლობლად მდებარე წმ. ჯვრის ადგილი IV საუკუნეში მირიან მეფეს მოუპოვებია, ხოლო V საუკუნეში მონასტერი ვახტანგ გორგასალმა დააარსა [გაბაშვილი ტ. 1956: 138, 140; Цагарели А. 1888: 90], ამ მეფეთა გამოსახულებები ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის დასავლეთ კედელზე იყო დახატული [დიდებულიძე მ., ჯანჯალია მ. 2003: 31; Mgaloblishvili T. 2014 b: 33; Didebulidze M., Janjalia M. 2014: 58]. ჯვრის მონასტრის მთავარ ტაძარში 1969-1971 წლებში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ბერძენმა მკვლევარმა ა. იკონომოპულოსმა. აღმოჩნდა ძველი ბაზილიკის ნაშთები, რასაც იგი IV საუკუნის დასასრულით ან V საუკუნის დასაწყისით ათარილებს. იკონომოპულოსის აზრით ეს ბაზილიკა 614 წელს სპარსელთა შემოსევის დროს დაქცეულა, მეორე ეკლესია აქ ბიზანტიური ხანის დასასრულს (VII ს-ის 40-იან წწ-მდე გ. გ.) აუშენებიათ [Economopoulos A. 1984: 388, 390; სხირტლაძე ზ., ხუციშვილი ნ. 1999: 279]. ვ. ცაფერისის აზრით, ჯვრის მონასტრის ადგილას მდებარე სამნავიანი ბაზილიკა V-VI საუკუნისაა, ხოლო კარგად შემორჩენილ მოზაიკას იგი XI საუკუნეს მკუთვნებს [Tzaferis V. 1993: 145]. ჯვრის მონასტრის მოზაიკას ნ. კონდაკოვი, ვფიქრობ, სრულიად მართებულად, VII საუკუნით ათარილებს [Кондаков Н. 1904: 266]. რ. შიკს ეს კარგად შემორჩენილი მოზაიკა აფიქრებინებს, რომ ჯვრის მონასტერი ხატმებრძოლეობის დაწყებამდე (726 წ.) უკვე მიტოვებული და დაქცეული უნდა ყოფილიყო [Schik R. 1995: 341]. არის მოსაზრება, რომ შესაძლებელია ეკლესია ალ-ჰაქიმის (996-1021წწ.) გამანადგურებელი

ლაშქრობის დროს დაინგრა [Pringle. D. 1998: 33], თუმცა ამის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს.

ჯვრის მონასტრის მშენებლობის (1038-1056 წწ.) დროს, იერუსალიმშივე ქრისტეს საფლავის ეკლესიის რეკონსტრუქციის პროცესი მიმდინარეობდა, რომელიც 1048 წელს დასრულდა.

XIII საუკუნის სამოცდაათიან წლებში მამლუქებმა ჯვრის მონასტერი ქართველებს ჩამოართვეს და მეჩეთად აქციეს, ამ პროცესს ჯვარის მამა ლუკას წამება მოჰყვა (1272 წ.). 1310-1311 წლების მიჯნაზე ჯვრის მონასტერი ისევ ქართველთა ხელში გადავიდა [ჯაფარიძე გ. 2018: 68, 73].

ინგლისელი პილიგრიმი (1344-1345 წწ.) აღნიშნავს, რომ ჯვრის მონასტერში საუკეთესო ღვინო აქვთ, რომელსაც დიდ ჭურჭლებში (ქვევრებში გ. გ.) ინახავენ. ერთი იტალიელი პილიგრიმის (1384 წ.) განმარტებით – ჯვრის მონასტერი მდიდარი სავანეა, იქ მისულ პილიგრიმებს პური და ღვინო უმასპინძლებიან [Pringle D. 1998: 34].

1643-1649 წლებში, ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იყო ნიკოლოზ-ნიკიფორე ჩოლოყაშვილი [მეტრეველი ე. 1962: 39] აქტიური, განათლებული, მრავალი ენის მცოდნე კაცი; მან მოახერხა დიდი რესურსის მობილიზება და სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) დახმარებით შეძლო ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის გუმბათის და საკურთხევლის აღდგენა-შეკეთება, ეკლესიის მხატვრობის განახლება.

ეკლესიის ინტერიერში დაცული კედლის მხატვრობის სტილისტურმა ანალიზმა აჩვენა სამი ქრონოლოგიური ფენა – ერთი პალეოლოგოსური სტილის მხატვრობა (XIV ს.), მეორე ფენა – XVI საუკუნით თარიღდება, მესამე კი ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროინდელია (XVII ს.) [დიდებულიძე მ. ჯანჯალია მ. 2003: 27-29; Didebulidze M., Janjalía M. 2014: 50, 51] სათანადოდ კედლის მხატვრობის დროინდელია განმარტებითი წარწერებიც. ზოგიერთი წარწერა მოგვიანებით ქართულის უცოდინარი პირის მიერაა განახლებული. აღსანიშნავია, რომ XIV საუკუნის განმარტებითი წარწერები მხოლოდ ქართულია. ქართული წარწერებია XVI საუკუნის მოხატულობაზეც, XVII საუკუნიდან ვხვდებით ორენოვან – ქართულ-ბერძნულ განმარტებით წარწერებს, ქართულად დაწერილი წმინდანთა სახელები ხშირად ბერძნულის გავლენით, ბერძნული ფორმითაა გადმოცემული (წმ. ევთიმოს, იოანე დამასკინოს, წმ. ხრისტინა). XVII საუკუნის ქართული წარწერები, რომ უნიგნურადაა ნაწერი ამას ე. მეტრეველი აღნიშნავს [მეტრეველი ელ. 1962: 67].

ოსმალების მიერ პალესტინის დაპყრობის (1517 წ.) შემდგომ, წმინდა მინაზე ქართული თემის მდგომარეობა დამძიმდა, საქართველოში არსებული მძიმე ვითარების გამო ქართველებს ოსმალების მიერ მონასტრებისთვის დანესებული გადასახადების გადახდა გაუჭირდათ.

XVII საუკუნის მიწურულს ჯვრის მონასტერი დაცარიელდა და ვალებით დაიტვირთა. 1681 წლის დოკუმენტის მიხედვით ქართლის მეფე გიორგი XI (1676-1688 წწ., 1703-1709 წწ.) იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოს II-სთან (1669-1707 წწ.) შეთანხმების საფუძველზე ფარავდა წმინდა მიწის ქართული მონასტრების, მათ შორის ჯვრის მონასტრის ვალებს, პატრიარქი კი კისრულობდა მონასტრების საქმეების მოგვარებას [Акты 1866: 26,27].

1706 წლის საბუთი გვატყობინებს, რომ ქართველთა ფინანსებით და იერუსალიმის საპატრიარქოს მცდელობით მოხერხდა ჯვრის მონასტრის და წმინდა მიწის სხვა ქართული მონასტრების გამოსყიდვა და შეკეთება [Цагарели А. 1888: 80, 81].

ვალებიდან დახსნის შემდგომ – XVIII საუკუნის დასაწყისში, იერუსალიმის ბერძნულმა მართლმადიდებლურმა საპატრიარქომ პატრიარქ დოსითეოსის ხელმძღვანელობით ჯვრის მონასტერი და წმინდა მიწის სხვა ქართული სავანეები თავის უწყებას დაუქვემდებარა [მამისთვალიშვილი ე. 2008: 127].

1885-1908 წლებში იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ძალისხმევით ჯვრის მონასტერში ფუნქციონირებდა სასულიერო სემინარია [Pringle D. 1998: 35], XIX საუკუნეშია აგებული მონასტრის მაღალი სამრეკლო.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიას ნათელი მოეფინება საფუძვლიანი არქეოლოგიური კვლევის, ასევე მისი ხუროთმოძღვრების და მხატვრობის შესწავლის შემდგომ; ვფიქრობ, მომავალში ეს პრობლემა ქართველი, ებრაელი და ბერძენი სპეციალისტების თანამშრომლობით უნდა გადაწყდეს.

ჯვრის მონასტრის საღებავით ნაწერი წარწერები

ნიკიფორე ჩოლოყაშვილის საქტიტორო წარწერა (1643 წ.)

თორმეტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, ეკლესიის ინტერიერში, დასავლეთი კარის თავზეა; ნაწერია შავი საღებავით თეთრ ფონზე და დატანილია ნაცრისფერი საღებავით დახატულ გრაგნილზე. გრაფემები ერთმანეთშია შენიაღვრული. წარწერის ფართობი: 85 X 71,5სმ; ასოების სიმაღლე 7,6–2,4 სმ. განკვეთილობის ნიშნები: ორი და სამი წერტილი. ქარაგმის ნიშანი – ბოლოებგაფართოებული განივი მოკლე ხაზია. წარწერის თავში წაგრძელებული ჯვარია დასმული. მსგავსი ჯვარია მეთორმეტე სტრიქონის დასაწყისშიც. წარწერის შემსრულებელი, როგორც ჩანს დიაკვანი გრიგოლია, მისი სავედრებელი ტექსტი წარწერის ბოლო სტრიქონზეა დაწერილი (ნახ. 47, სურ. 62).

გამოცემები: [Цагарели А. 1888: 242, 243; Такаишвили Е. 1913: 155-158;

ასა: ორბენი: ღობედა: თანა: სახობი
 ღონე: ღონედა: ხობი: ანაზი: ს
 ფასი: ქობიდა: ენი: სნი:
 თ: ონი: ონი: ონი: ონი: ონი: ანი:

ქ: დაიხ(ა)ტა: და გ(ა)ნ(ა)თლდა: ნ(მინ)და: ესე: და ყ(ოვლა)დ: პ(ა)ტ(იო)სანი: ტადა | რი: ჯ(უა)რისა: ც(ხო)ველს: მყოფ(ე)ლისა: ჯერ: ჩინებ(ი)თა: | და შენევენითა: ყ(ოვლა)დ: სახელ(ო)ვ(ა)ნისა: და ბრწყ(ი)ნვ(ა)ლისა: | დადიანისა: ლეონისათა: ჴელითა: და ფ(რია)დ. ჴირ: | გ(ა)ნ(ა)ტ(ი)ლ(ე)ბ(ი)თა: ყ(ოვლა)დ: უღირსისა: ჯ(უარ)ისა: და ნ(მინდი)სა: გოლგოთისა: მამისა: ნიკიფორესითა: ჩოლ(ა)ყას: შვილისა: ომ(ა)ნის: ძისათა: მსასოე | ბ(ე)ლისა: დ(ა) სარწმუნოსა: ამის: მონასტრის | ასა: რომ(ელ)მ(ა)ნ: გუმბადი: და ნ(მინ)და: საკურთ | ხეველი: გავაკეთე: ჩემის: ალალითა: სა | ფასითა: ქორანიკ(ო)ნსა: ტკია: (1643 წ.) ა(მე)ნ: ქ: ჯ(უარ)ო: შ(ე)ნ(ა)ლ(ე)ც(ო)დ(ე)ილ(ე)ი: დ(ი)კ(ვ)ანი: გრიგოლ: ა(მე)ნ:

ბოლო სტრიქონზე დაქარაგმებული სიტყვა – „დკნი“ ვფიქრობ „დიაკვანი“-ა, რადგანაც, აქ მწერალს „დეკანოზი“ რომ ეგულისხმა, როგორც თვლის ა. ცაგარელი [Цагарели А. 1888: 241], მაშინ ქარაგმა უნდა ყოფილიყო „დკნი“.

კარის ტიპანი, რომელზეც ასომთავრული წარწერაა შესრულებული სამ ნაწილადაა გაყოფილი, კიდურა ნაწილები ქართულ და ბერძნულ ტექსტებს ეთმობა (სურ. 63). ცენტრში მედალიონში ჩანერილი ოდიჰიტრიის ღმრთისმშობლის ნახევარფიგურაა გამოსახული, მის ქვემოთ კი „უფლის ხელი მართალთა სულებით“. ბერძნული საქტიტორო წარწერა შინაარსით ქართულის ანალოგიურია [Цагарели А. 1888: 242, 243], თუმცა მასში ლეონ (ტექსტში ლეონტი) დადიანისა და მღვდელმონაზონ და არქიმანდრიტ ნიკიფორეს (ჩოლოყაშვილი) გარდა, დამატებით, იხსენიება მღვდელმონაზვნები: მოსე, ნეოფიტეს შვილი გრიგოლი და მთავარდიაკონი მინას შვილი გერასიმე, რომელთაც ჯვრის მონასტერში შეუსრულებიათ აღნიშნული სამუშაო. წარწერის ბოლოს თარიღია – 1644 წლის 11 იანვარი. ქართული წარწერის „დიაკვანი გრიგოლი“, რომელიც უეჭველად წარწერის შემსრულებელია და ქართველი უნდა იყოს, ბერძნულ ტექსტში არ იხსენიება. სავარაუდოდ, ბერძნულ საქტიტორო წარწერაში მთავარი ქტიტორების (ლევან დადიანი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი) გარდა მოხსენიებული პირები – ბერძნები იყვნენ.

ე. თაყაიშვილს მიაჩნია, რომ ქართული წარწერა, ქართულის არმცოდნე პირების, ბერძნების შესრულებულია; იგი აღნიშნავს, რომ ასომთავრული „ა“ გრაფემის ნაცვლად ყველგან მხედრული „ა“ არის ნახმარი. შემდგომ ტექსტის დაზუსტებული ვარიანტი მოაქვს და ამატებს, რომ ცაგარლის

ტექსტს ზოგიერთი სიტყვა აკლიაო. ბოლო სტრიქონის დაქარაგმებულ სიტყვას ცაგარლის მსგავსად ხსნის – „დეკანოზი“ [Такаишвили Е. 1913: 155-158].

ე. მამისთვალიშვილის აზრით ბერძნულ ტექსტში მოხსენიებული პირები ჯვრის მონასტრის მომხატველები უნდა იყვნენ [მამისთვალიშვილი ე. 2002: 66].

წარწერაში მხედრული „ა“ გრაფემა ასომთავრულ ანთან ერთადაა ნახმარი. მსგავსი დეტალი ახასიათებს ჯვრის მონასტრის XVII საუკუნის განმარტებით წარწერებს; ერთდროულად მხედრულ და ასომთავრულ „ა“ გრაფემას ვხვდებით XVII-XVIII საუკუნეების სხვა წარწერებშიც, მაგალითად: მცხეთის სამთავროს ეკლესიის სატრიუმფო თაღის წარწერაში [სილოგავა ვ. 2011: 21,22].

წარწერა „ჭეშმარიტი ბერის“ გამოსახულებასთან (XVII ს)

თეთრი საღებავით დაწერილი რვასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა დასაველეთი კარის სამხრეთ ნიროთხლზე, „ჭეშმარიტი ბერის“ სიმბოლური გამოსახულების ორსავე მხარეს, მიწიდან – 230 სმ-ის სიმაღლეზე დაწერილია შეწიაღებული ასოებით. წარწერა პირველიდან მეორე სვეტზე გაბმით იკითხება; წარწერის მეორე (მარჯვენა) სვეტი მეხუთე სტრიქონამდეა დაზიანებული, შემდგომ წარწერა ისევ პირველ (მარცხენა) სვეტზე გრძელდება. წარწერის შემორჩენილი ნაწილის ფართობია: 1) 73,5 X 18 სმ 2) 29 X 7,6 სმ. ქარაგმის ნიშანია: ბოლოწერტილოვანი განივი მოკლე ხაზი; განკვეთილობის ნიშანია სამი წერტილი (ნახ. 48, სურ. 64).

გამოცემა: [Цагарели А. 1894: 46]

ԿՊՈՒՄ ԲԿ

ՆԻ

Օ՛ՒԻ Կ (?)


ԲԿԶՕ

ՅԸ.: Լ

ԲԹ

ԲԷ.: ՇՈԲ

ԳՂԼԿ



ნახ. 48

იყუნენ ნელნი [თქ] | [უ(ე)ნნი [მორ] | [ცემულ] | და ს[ა] | [ნთ] | [ელ] | [ნი აღნ] | [თებ(უ)ლ]“ (ლუკა 12: 35)

ლუკას სახარების ეს მუხლი, ყველა რედაქციაში იწყება სიტყვით – „იყვნედ“, ჯვრის მონასტრის ამ წარწერაში კი გვხვდება ფორმა „იყუნენ“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს წარწერა ისევე როგორც ჯვრის მონასტრის მოხატულობის სხვა წარწერები, განახლებულ-გაცხოველებულია, როგორც ჩანს, არაქართველი მხატვრის მიერ, რადგანაც ასონიშნების ნაწილი დამახინჯებულია; მაგალითად პირველი სიტყვის მეოთხე ასონიშნად „ჩ“ – „წ“-ს განახლებისას თავი არ დაუტანეს, შესაძლებელია პირველი სიტყვის არასწორი ფორმაც ამ „განახლების“ შედეგი იყოს.

წარწერა პირველად წაიკითხა ნ. ჩუბინაშვილმა, მისი აზრით ეს ფიგურა – დიდი სქემის სიმბოლური გამოსახულებაა [Цагарели А. 1894: 46], ს. ყაუხჩიშვილს აქ გამოსახული ბერი ჰგონია, პეტრე იბერის თანამოსაგრე იოანე ლაზი [Вирсаладзе Т. 1974: 40].

წმ. პეტრე ქართველი – განმარტებითი წარწერა (XVII ს.)

დასავლეთი კარის მომიჯნავედ, მარჯვნივ (ჩრდილოეთით) გამოსახულია ფრონტალურად წარმოდგენილი მამაკაცი წმინდანის ფიგურა, რომელსაც მარჯვენა ხელში პატარა ჯვარი უპყრია. თავის ორსავე მხარეს მოლურჯო მონაცრისფრო ფონის ქვემოდან გამოსჭვივის სამტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, შედარებით გარკვევით მოჩანს სამი გრაფემა, დანარჩენი ასონიშნების მხოლოდ კონტურთა ნაწილები ჩანს. წარწერა მოლურჯო-მონაცრისფრო საღებავით სპეციალურადაა გადაფარული. წარწერა განმარტებითია და აქ ამ წმინდანის სახელია ფიქსირებული (სურ. 65)

გამოცემა: [Цагарели А. 1894: 46]

წარწერა ასე იკითხება:

წ~ა შ~ი


ქ~ბ ც~რ~ზ

წ(მინდა)ჟ | პ(ეტრ)ე | ქ(ა)რთვ(ე)ლ | [ი]

წმ. ექვთიმე ქართველი და წმ. გიორგი ქართველი (XVII ს.)

თეთრი ფერის სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მდებარეობს ეკლესიის დასავლეთ კედელზე, კარის მარცხნივ (სამხრეთით), პილასტრზე გამოსახული წმ. ექვთიმე და წმ. გიორგი ათონელების ფიგურების თავების ორსავე მხარეს, ოთხ მონაკვეთად, იატაკიდან – 330 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის ფართობი: 1) 13 X 10 სმ; 2) 23 X 20 სმ; 3) 11,5 X 10 სმ;

4) 26 X 13,5 სმ. ასოების სიმაღლე: 11,5–2,2 სმ. განკვეთილობის ნიშანი ორი წერტილია. ქარაგმა – მოკლე, განივი, კლაკნილი ხაზი. გრაფემები შეწიალებულია. ქართული წარწერების ქვემოთ ბერძნული განმარტებითი წარწერებია (ნახ. 49. სურ. 66)



ნახ. 49

წა უფუნილი: ქაუ

უ

წ(მიდა)ე ვეთიმოს ქ(ა)რთველ(ი)

წა უ უნი ქაუ

უ

უ

წ(მიდა)ე გ(იორ)გი ქ(ა)რთველი

ყურადსაღებია, რომ წმ. მამის ექვთიმე ათონელის სახელი წარწერაში ბერძნული გახმოვანებითაა დაწერილი, რაც ვფიქრობ მიგვანიშნებს იმას, რომ XVII საუკუნის კედლის მხატვრობის შემსრულებლები ბერძნები ან ბერძნულ გარემოში ჩამოყალიბებული მხატვრები იყვნენ.

წმ. პეტრე, წმ. პავლე (XVI ს.)

ასომთავრული განმარტებითი წარწერები მოციქულების პეტრესა და პავლეს გამოსახულებებთან. სამხრეთი პირველი ბურჯის დასავლეთ ნახნაგზე (სურ. 67, 68).

წმ. პეტრეს მარჯვენა მხართან ორსტრიქონიანი წარწერა – იატაკიდან – 310 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის ბოლოში სამი წერტილია.

სუე პეტრე

ქა:


წმ. პავლე მოციქულის მარცხენა მხართან ერთსტრიქონიანი წარწერა – იატაკიდან – 325 სმ-ის სიმაღლეზე.

სუ უნი პავლე

დრანდელი მთავარეპისკოპოსი გაბრიელ პატრადე (XVI ს.)

თეთრი საღებავით შესრულებული თორმეტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის დასავლეთ ნახნაგზე, მოციქულების წმ პეტრესა და წმ. პავლეს ფიგურებს შორის, იატაკიდან – 205 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერის ქვეშ დრანდელი მთავარეპისკოპოსის მცირე ვოტივური გამოსახულებაა. წარწერის ფართობია: 44 X 18 სმ; ასოების სიმაღლე: 5–1,2 სმ. ქარაგმის ნიშანი – მოკლე კლაკნილი განივი ხაზია; განკვეთილობის ნიშნად სამი წერტილია ნახმარი. მეშვიდე სტრიქონის ბოლოს მხედრული „ა“ გრაფემაა ნახმარი (ნახ. 50, სურ. 69)

- ԸԺԻՏ:.
- ԾԸԺԷԸ
- ԸԸԻՏ:.
- ՄԸԷԻԸ
- ԺԻՏ: ԺԻ
- ԸԻԾՄԻ:.
- ԺԳ՝ԿՆՏա:.
- ՂԳՆ՝: ԾԸ
- ԺՏԳԸ: ԾՄԾ
- ԸԺ՝ԺԸԳԸ: ՎԻ
- ՈԻ:.
- Ը՛Ի:.



ნახ. 50

ამისა| დამხა|ტავსა| პატრა|ძესა დრ|ან-
დელი| მთ(ავარეპის)კ(ოპო)ზსა| გ(ა)ბ(რიე)
ლს და| მ(ი)სთა დედ|ა მ(ა)მათა შ(ე)უნდვე)
ნი| ღ(მერთმან)| ა(მე)ნ


დრანდელი მთავარეპისკოპოსი გაბრიელის ალაპი ჯვრის მონასტრის სვინაქსარში არ გვხვდება, XIII საუკუნის მიწურულით და XIV საუკუნის დასაწყისით თარიღდება სვინაქსარში ჩანერილი გრიგოლ დრანდელი ეპისკოპოსის ალაპი [მეტრეველი ე. 1962: 16, 17, 72, 107, 174, 177]. ე. მეტრეველი ვარაუდობს, რომ სვეტზე გამოსახული გაბრიელ დრანდელი და ალაპში ნახსენები გრიგოლ დრანდელი შესაძლებელია ერთი და იგივე პირი იყოს. მისი აზრით, კედლის მხატვრობის წარწერის გვიანდელ (XVI ს.) გან-

მახლებელს შეიძლება დაეშვა შეცდომა და დრო-ჟამისგან დაზიანებულ წარწერაზე გზლის მაგივრად წაეკითხა გზლ და ამდაგვარადვე აღედგინა იგი [მეტრეველი ე. 1962: 54,55]. ამ საინტერესო მოსაზრების გასაზიარებლად უნდა დადგინდეს რეალურად არის თუ არა დრანდელი მთავარეპისკოპოს პატრადის გამოსახულების ქვეშ ადრეული – XIV საუკუნის მხატვრობის ფენა.

მ. დიდებულიძე და მ. ჯანჯალია გაბრიელ პატრადეს XIV საუკუნის დრანდელ ეპისკოპოსად მიიჩნევენ, მის გამოსახულებას კი XVI საუკუნით ათარიღებენ [Didebulidze M., Janjalia M. 2014: 61].

„თეოდოსე მანგლელი რევისშვილი“ (XVII ს.)

თეთრი საღებავით ნანერი სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის სამხრეთ ნახნაგზე, მოხატულობის ქვედა რეგისტრში, თეოდოსე მანგლელის ფიგურის ორსავ მხარეს, იატაკიდან – 156 სმ-ზე. წარწერის ფართობი: 1) 14,6 X 11,3 სმ; 2) 26 X 23სმ. ასოების სიმაღლე: 10–2,5 სმ. ქარაგმის ნიშანი – მოკლე განივი კლაკნილი ხაზი; განკვეთილობის ნიშნად სამი წერტილია ნახმარი, ასონიშნები შენიალებულია (ნახ. 51, სურ. 70)



ნახ. 51

თეოდოსე მანგლელი რევის შვილი
თეოდოსე მანგლელი რევის შვილი
ნიკოფორე ჩოლოყაშვილის დროს
მოღვაწეობდა ჯვრის მონასტერში [მეტრეველი ე. 1962: 113].

სამშენებლო წარწერა (1643 წ.)

თეთრი ფერის საღებავით ნანერი ათსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთი ნახნაგის ზედა მონაკვეთზე, წმ. ნიკიტას გამოსახულების ზევით მდებარეობს. ქარაგმის ნიშანი მოკლე, განივი კლაკნილი ხაზია; განკვეთილობის ნიშანი – სამი წერტილია. გრაფემები ერთმანეთშია შენიალებული. წარწერა გამოქვეყნებული აქვს ა. ცაგარელს [Цагарели А. 1888, 243], მის დროს წარწერა სრულად იყო შემორჩენილი; დაკარგულია წარწერის დასაწყისი; ქვემოთ მხედრული გრაფემებით ტექსტის დაკარგული ნაწილიც მომაქვს (სურ. 71).

ზრჳიღი
 ლიქლცხი: ზც
 ლიქიჭიღი
 კი: ცცსი: ც
 სჩიხი: ზც ო
 ქსი: ცფას
 ხჳი: ზცუ
 ქსი:
 ქსი: ლი
 ლ: ლი:


[დადიანმან ლეონ მიბოძა და გა]ვაკეთე | გუმბადი და | გუერდები | ორი ათასი აქსნალი და ექსუი ათასი ჩ(ე)მი დავ|ხარჯე | ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკ|ია ნიკ(ოლოზ)

აღსანიშნავია, რომ ამ ტექსტშიც, ისევე როგორც, ჯვრის მონასტრის XVII საუკუნის სხვა წარწერებშიც ასომთავრულ „ტ“ – „ა“-სთან ერთად იხმარება მხედრული „ა“ გრაფემაც (იხ. წარწერის VI და IX სტრიქონები).

უკანასკნელ სამ ასონიშანს „ჩი“ – ა. ცაგარელი ხსნის ამგვარად (ნიკიფორე=ნიკოლოზ) [Цагарели А. 1888, 243]. ამ სამასიონ სიტყვაში მეორე და მესამე ასონიშანი შენიაღებულია, ჩანს „ხ“ – „კ“ და მის თავზე მარცხნივ განზიდული ხაზი, რაც, „კ“-ს მუცელთან ერთიანობაში ასახავს „ხ“ – „ზ“ გრაფემას; აქ, რომ „ღ“ – „ი“ გრაფემა ეწეროს, ასონიშნის ვერტიკალური ბუნი უნდა ჩაცდენილი იყოს „გრაფემა „კ“-ს მუცელს. ამდენად მიმაჩნია, რომ აქ შემოკლებით წერია სახელი „ჩიხ – ნკზ – ნიკოლოზ.

მაქსიმე აღმსარებლი, იოანე დამასკელი (XVI ს.)

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ ნახნაგზე, მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის წყვილი გამოსახულების შარავანდის ორსავე მხარეს, იატაკიდან 300 სმ სიმაღლეზე, თეთრი ფერის საღებავით ოთხ მონაკვეთად დაწერილია ასომთავრული, განმარტებითი წარწერები; მეოთხე მონაკვეთი ორსტრიქონიანია. წარწერების ფართობი: 1) 10,4 X 7 სმ; 2) 9 X 6 სმ; 3) 7 X 6 სმ; 4) 15 X 11,4 სმ; ასოების სიმაღლე: 7–3,5 სმ. ქარაგმის ნიშანი მოკლე კლაკნილი განივი ხაზია; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია – სამი წერტილი. ქართული წარწერების თავზე ბერძნული განმარტებითი წარწერებია. (ნახ. 52, სურ. 72, 73).



ნახ. 52

ႵႵႵ ႵႵႵ. ႵႵႵႵႵ

ႵႵႵ. ႵႵႵႵႵ

ႵႵႵႵ. ႵႵႵႵႵႵ ႵႵႵႵႵႵႵႵႵ

„ႵႵႵႵႵႵႵႵ“ – ႵႵႵႵႵႵႵႵ ႵႵႵႵႵႵႵႵ.

შოთა რუსთველი (XVI ს., XVII ს.)

თეთრი საღებავით შესრულებული ხუთ-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა დატანილია სამხრეთ დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ ნახნაგზე, იატაკიდან – 183 სმ-ის სიმაღლეზე. მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფიგურებს შორის – შოთა რუსთველის ვოტივური გამოსახულების თავზე. წარწერის ფართობია: 38,5 X 26 სმ; ასოების სიმაღლე: 8,5–2,5სმ. განკვეთილობის ნიშნები: ორი წერტილი და სამი წერტილი, ქარაგმის ნიშანი – მოკლე განივი ხაზია (ნახ. 53, სურ. 74)

ႵႵႵ ႵႵႵႵႵ

ႵႵႵႵႵ. ႵႵႵႵ

:ႵႵႵ. ႵႵႵႵ. ႵႵႵ

ႵႵ ႵႵႵႵ

ႵႵ

ამ(ი)სა დამხ(ა)ტ|ავსა შოთა(ს)| შ(ე)უნ-დვნეს ღ(მერთმა)ნ ა(მე)ნ| რუსთვ(ე)ლი ასომთავრულ წარწერაში ნახმარია მხედრული „ა“ გრაფემა.

წარწერა პალიმფსესტურია, XVI ს-ში დაუნერიათ ეს ტექსტი ისეთივე კალიგრაფიითა და წვრილი გრაფემებით, როგორსაც ამას ვხედავთ „არსენის და გრიგოლის“, „გაბრიელ პატრადის“ წარწერებზე. XVII საუკუნეში, ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროს, ეს წარწერაც განუახლებიათ მსხვილი უხეში ფუნჯით ნაწერი ასო-ნიშნებით, ძველი წარწერის დასაწყისი ჩანს მოგვიანო წარწერის პირველი სტრიქონის ქვეშ: ႵႵႵႵ Ⴕ... – ამ(ი)სა დ[ამხატავსა]... ამ წარწერის ძველი ფენა (“ამის დამხატავსა“) ასოთა მოხაზულობით ზედმიწევნით გავს „არსენის და გრიგოლის“ და „გაბრიელ დრანდელის“


ႵႵႵႵႵႵႵႵ

ႵႵႵႵႵႵႵႵ

:ႵႵႵႵႵႵႵႵ

ႵႵ ႵႵႵႵ

ႵႵႵ



ნახ. 53

წარწერებს. ვფიქრობ ეს სამივე წარწერა ერთი ოსტატის მიერ XVI საუკუნეშია დაწერილი [გაგოშიძე გ. 2003: 40; Gagoshidze G. 2014: 83; Didebulidze M., Janjalia M. 2014: 51].

ჯვრის მონასტერში გამოსახული შოთა რუსთველის⁷ და ამავე მონასტრის სვინაქსარის ერთ-ერთ ალაბში (XII-XIII სს.) დადასტურებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობის საკითხი ვრცლადაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. ე. მეტრეველის ვარაუდით შოთა რუსთველის იგივე შოთა მეჭურჭლეთუხუცესის გამოსახულება მისსავე სიცოცხლეში (XII ს-ის მიწურული – XIII ს-ის დამდეგი) უნდა იყოს შესრულებული [მეტრეველი ე. 1962: 67, 68]. შოთა რუსთველის გამოსახულებასა და მხატვრობის სხვადასხვა ფენაზე დაკვირვებით მ. დიდებულიძეს და მ. ჯანჯალიას შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ჯვრის მონასტერში, შოთა რუსთველი სიცოცხლეშივე დაეხატათ [Didebulidze M., Janjalia M. 2014: 51]. სახელი „შოთა“ ამოკვეთილია უფლის საფლავის კარიბჭის სვეტზეც.

წარწერა ეკლესიის მოხატვის შესახებ (XVII ს.)

თეთრი საღებავით შესრულებული ცხრასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა დატანილია სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის დასავლეთი ნახნაგის ზედა ნაწილში. ასონიშნები შეწიალებულია, ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი კლაკნილი ხაზია, განკვეთილობის ნიშნად სამი წერტილია ნახმარი. ა. ცაგარელს წარწერა გამოქვეყნებული აქვს [Цагарели А. 1888: 243], დღეს წარწერა დაზიანებულია, წარწერის მოხსნის მიზნით მასზე მიკრულია დოლბანდი, რის გამოც გრაფემათა გარჩევა გართულებულია. ასომთავრული წარწერის მხედრულ ტრანლიტერაციას სრული სახით ვაქვეყნებთ, ისე როგორც იგი ა. ცაგარელს აქვს გადმოწერილი (სურ. 75).

ჟ

ОИУСҔИ ԶԸ

ᲘᲗᲗᲗᲗᲗᲗ ᲗᲗ Თ

სტ.: ᲘᲒᲗᲗᲗᲗ

სჟᲗᲗᲗᲗ ᲗᲗᲗ

ᲘᲗᲗᲗᲗ

ᲗᲗᲗᲗᲗᲗ

ᲗᲗᲗᲗᲗ

ᲗᲗ ᲗᲗᲗᲗᲗ Თ

7 შოთა რუსთველის ფიგურა 1902 წელს საღებავის სქელი ფენით დაფარეს [Вирсаладзе Т. 1974: 15,17,სქ. 18]. საღებავის ფენა მოიხსნა 1960 წელს [აბაშიძე ი. 1961]. 2004 წლის ივნისში რუსთველის სახე ვანდალურად იქნა დაზიანებული; გამოსახულება აღადგინეს 2005 წელს [Mgaloblishvili T. 2014: 18; Didebulidze M., Janjalia M. 2014: 51].

მ[ე ყოვლად] | უღი(რ)სმ(ა)ნ მამამან | ჯ(უ)არ(ი)სა და წ|(მიდი)სა გოლგ(ო)თი|ს(ა)მან დავ(ა)ხ|ატვინე | მრ(ა)ვლითა | ჭირითა | და შრ(ო) მითა ა[მენ]


ამ წარწერაშიც, ისევე როგორც ჯვრის მონასტრის XVII საუკუნეების სხვა წარწერებშიც, ნახმარია მხედრული ასონიშანი – „ა“.

არსენის და გრიგოლის წარწერა (XVI ს. განახლებული XVII ს-ში)

თეთრი საღებავით შესრულებული ცამეტ-სტრიქონიანი ასომთვრული წარწერა სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის დასავლეთი ნახნაგიდან მოხსნილი კედლის მხატვრობის ფრაგმენტზე, რომელიც მოჩარჩოებულია და ეკლესიის სამხრეთ კედელზე კიდია. კედლის მხატვრობის ფრაგმენტზე გამოსახულია წმ. ექვთიმესა და წმ. საბას ფიგურები. მათ შორის, ფერხითთ ორი მუხლმოყრილი პირია: ყრმა და ზრდასრული მამაკაცი. წარწერა წმ ექვთიმეს მარცხნივაა დაწერილი. შეიმჩნევა, რომ წარწერა ორფენიანია, პირველად შეუსრულებიათ ცხრა სტრიქონიანი წარწერა, რომელთა ასონიშნები მცირე ზომისაა; ამ წარწერის ფართობია: 39 X 17,6 სმ; ასოების სიმაღლე: 5–2,5 სმ. ქარაგმის ნიშანი მოკლე კლაკნილი ხაზია. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია – ორი და სამი წერტილი (ნახ. 54, სურ. 76)

- ტჰუს ტჯ
- ეტეტჲს
- ც: ტახუნს (?)
- ჲუს: ლ
- ახუნს:
- ყნ: იწ ტწ:
- ჰუსტ ზოშ
- ჰტჰტტ:
- ყნ: იწ

ამისა და [მ]ხატავს|ა არსენას(?) | [მისსა შ] ვ(ი)ლსა გ(რ)იგოლს | შ(ე)უნდვე)ნ ლ(მერთმა) ნ ა(მ)ენ. | მისთა დედ| მამათა| შ(ე)უნდვე)ნ ლ(მერთმა)ნ



ნახ. 54

ნ. ჩუბინაშვილი ამ წარწერას ასე კითხულობს: „ამისა დამხატავსა არსენ აერის (?) გრიგოლს და მისთა დედა-მამათა შეუნდოს ღმერთმან ამენ“ [Цагарели А. 1894: 45].

ა. ცაგარელი ასე კითხულობს: „ამისა დამხატავსა არსენი[ს], ვ̄რს (ვარლამს), გრიგოლს და მისთა (მათთა) დედა-მამათა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ [Цагарели А. 1888. 244]

თ. ვირსალაძე მართებულად მიიჩნევს ნ. ჩუბინაშვილის წაკითხვას [Вирсаладзе Т. 1974: 56]

მოგვიანებით ეს წარწერა თეთრი საღებავით, მსხვილი ფუნჯით ნაწერი უხეში მოყვანილობის ასომთავრული გრაფემებით გადაუნერიათ. გვიანი წარწერა, ძლიერ დაზიანებულია, ფაქტობრივად მთლიანად დაკარგულია, მისი კვალი ჩანს ძველი წარწერის პირველ, მეშვიდე, მეცხრე სტრიქონებზე; ძველი წარწერის დასასრულს მოგვიანო წარწერა გრძელდება, შემორჩენილია ოთხი სტრიქონი. მიმაჩნია, რომ არსენისა და გრიგოლის წარწერა ისევე განაახლეს, სავარაუდოდ XVII ს-ში, როგორც ამას ვხედავთ შოთა რუსთაველის წარწერაზე, ამიტომ გვიანი წარწერის ფართობს ვთვლი ასე: ძველ წარწერას (ცხრა სტრიქონი) დამატებული ოთხი სტრიქონი, და მაშ, მოგვიანო წარწერის ფართობია: 67,8 X 17,6 სმ; ასოების სიმაღლე: 7,2–2,8 სმ; განკვეთილობის ნიშანი შემორჩენილია ერთგან – ორი წერტილი; წარწერის ბოლო ოთხი სტრიქონის ნარჩენი ასე იკითხება:

ჯა (?) ჯა

(?) ჳა

ჟს იწ

რწ

დე(?)დე

(?)თა:

შ(ეუნდვნე)ს ლ(მერთმა)ნ

ა[მენ]

ამგვარად ნათელია, რომ წარწერასთან გამოსახული მამაკაცი და ყრმა – არსენი და მისი შვილი გრიგოლი უნდა იყოს; აქვე, არსენის დედ-მამის შეწვევაზეა ლაპარაკი. არსენს, რომელიც ჩვენთვის უცნობი პირია, როგორც ჩანს, ჯვრის მონასტრისთვის გარკვეული დახმარება გაუწევია, შესაძლებელია მან კედლის მხატვრობით შემკობის დროს ხარჯი გაიღო, ამის გამო არსენის და მისი შვილის გრიგოლის ვოტივური გამოსახულებები დაიხატა ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯზე.

შალვა შობასშვილის საქტიტორო წარწერა წმ. ელიას და წმ. ელისეს გამოსახულებებთან (XVIII ს.)

წმ. ელია და წმ. ელისეს წყვილი გამოსახულება დღეს მოხსნილია კედლიდან ჩარჩოშია ჩასმული და თბილისის სიონის სამკვეთლოს შესასვლელის თავზეა ჩამოკიდებული [დიდებულიძე მ., ჯანჯალია მ. 2003: 31; Didebulidze M., Janjalia M. 2014: 61], ჯვრის მონასტერში იგი სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის ჩრდილოეთ ნახნაგზე მდებარეობდა, მას ფარავდა სამღვდელმთავრო ტახტი.

წინასწარმეტყველთა გამოსახულებებს შორის დარჩენილ არეზე თეთრი საღებავით შესრულებულია შვიდ სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. წარწერა ძლიერ დაზიანებულია. განკვეთილობის ნიშანი სამი წერტილია. რამდენჯერმე ნახმარია მხედრული „ა“ გრაფემა, რაც მახასიათებელია ჯვრის მონასტრის XVII საუკუნის საღებავით ნაწერი განმარტებითი წარწერებისთვის. ჩანს ასონიშანთა შენიალება (სურ. 77).

Q Ⴆ Ⴆ... ႦC ႦႦႦ
...ႦႦC Ⴆ ႦႦ...ႦႦ
ႦႦႦ.: ႦCႦ... .. ႦႦႦ
ႦႦႦა.: ႦC ...: ႦC
ႦႦႦႦ (?) ႦႦႦ (?) ... ႦႦ
ႦႦႦაႦ: ... ႦႦ
ႦႦႦ

[წ]ო ელია და ელის[ე] | ... ყლა... ზ... ძეს... შ(ო)ბ[ას] | [შ]ვ(ი)ლი: შალ[ვა] ... ძღვ | ენ(ი)რა: და... . და |... იქლვი (?) ღთი(?)... . ღი | დიდად: ... თი... | იყო

ამ ძალიან დაზიანებულ წარწერაში რამდენიმე სიტყვის გარჩევა მოხერხდა. წარწერაში იხსენიება “შობასშვილი შალვა”, რომელსაც, როგორც ჩანს გარკვეული შესანიშნავი აქვს გაღებული მონასტრისთვის. მეექვსე სტრიქონზე იკითხება სიტყვა – „დიდად“, შესაძლებელია ეს სიტყვა განმარტავდეს იმ საქმიანობის სირთულეს (დიდად დაშვრა, დიდად შეიჭირვა), რის შესრულებაც შესძლო შალვამ. როგორც ჩანს შალვა შობასშვილმა დაიმსახურა კრებულის მადლობა, რისი აღმნიშვნელიც უნდა იყოს მეოთხე სტრიქონის დასაწყისში არსებული სიტყვა – „ენირა“, ვფიქრობ აქ საქმე ეხება, შალვას სახელის წირვაში მოხსენიებას. შალვა შობასშვილის ექვსსტრიქონიანი ლაპიდარული წარწერა, ამავე მონასტრის წართექსის შესასვლელთან, კედელშია ჩამაგრებული. ამ წარწერიდან ნათელია შობასშვილის საქმიანობა, მას მონასტრისთვის კამარები აუშენებია. სავარაუდოდ, მსგავსი ინფორმაცია უნდა აღენიშნათ ეკლესიის ინტერიერში კედელზეც.

საღებავით შესრულებული წარწერა უეჭველს ხდის, რომ შალვა დონორი იყო და არა ხელოსანი.


წმ. პროხორე, წმ. ლუკა (XVII ს.)

ჯვრის მონასტრის წინამძღვრების – მონასტრის მაშენებლის წმ. პროხორეს (+1066 წ.) და მოწამე წმ. ლუკას (+1273 წ.) ფრონტალური გამოსახულებები მდებარეობდა ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ ნახნაგზე [Didebulidze M., Janjalia M. 2014: 61]. დღეს შელესილობა, რომელზეც ეს წყვილი ფიგურაა გამოსახული კედლიდან ჩამოხსნილია და ხატის მსგავსად მოჩარჩოებაში ჩასმული, ჩამაგრებულია სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ კედელზე, წმ. ნიკოლოზის სამლოცველოს შესასვლელის მახლობლად. ფიგურების თავებთან ბერძნული განმარტებითი წარწერებია. ქართული ასომთავრული წარწერები, რომლებიც წინამძღვართა გამოსახულებებს შორისაა, მუქი საღებავითაა გადაფარული. ქართული წარწერები ბერძნულთან ერთად იყო წარმოდგენილი, ისევე, როგორც ამას ჯვრის ეკლესიის კედლის მხატვრობის სხვა გამოსახულებებზე ვხვდებით. მოგვიანებით ქართული წარწერები საღებავით დაუფარავთ.

წმ. პროხორეს თავის მარჯვნივ ძლივს მოჩანს ორი ასომთავრული გრაფემა: ԲՂ – წ(მინდა)ა. წმ. ლუკას გამოსახულების მარცხნივ ბუნდოვნად განირჩევა ორი ასომთავრული გრაფემა ԶԿ – ლ(უ)კ[ა].

„მარიამის და ელისაბედის შეხვედრა“, კომპოზიციის განმარტებითი წარწერა (XIV ს.)

თეთრი საღებავით შესრულებული ორსტრიქონიანი და ორ ნაწილად გაყოფილი ასომთავრული ფრაგმენტული წარწერა – მარიამისა და ელისაბედის შეხვედრის კომპოზიციაზე, ჩრდილო-დასავლეთი ბურჯის დასავლეთ ნახნაგზე, იატაკიდან – 410 სმ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. წარწერის ერთი ნაწილი ღმრთისმშობლის თავის მარცხნივაა, მეორე ნაწილი კი ელისაბედის თავის მარჯვნივ. წარწერის შემორჩენილი ნაწილის ფართობია: 1) 20 X 13 სმ, 2) 28,5 X 15,3 სმ; ასოების სიმაღლე: 5,9–3,5 სმ; ქარაგმის ნიშანი ბოლონერტილოვანი განივი კლაკნილი ხაზია. განკვეთილობის ნიშანი სამი წერტილია (ნახ. 55, სურ. 78).



ნახ. 55

იძს უზუსტულს
ზსა კაჟ

[მოკითხვა] ღ(მრ)თ(ი)ს | მშობ[ლის(ა)ჲ ელისაბედის მ(ა)რთ[ლისაჲ]
ეს წარწერა ისევე, როგორც ჯვრის მონასტრის სხვა ფრესკული
წარწერები მოგვიანო ხანაში განახლებულია.

„უძილი თვალი“ – განმარტებითი წარწერა (XIV ს.)

კომპოზიცია „უძილი თვალი“ გამოსახულია ჩრდილო-დასავლეთი ბურ-
ჯის სამხრეთი ნახნაგის ზედა რეგისტრზე, მთავარანგელოზთა ფიგურებს
ზემოთ. თეთრი საღებავით შესრულებული სამსტრიქონიანი ასომთავრუ-
ლი განმარტებითი წარწერა განთავსებულია კომპოზიციის ზედა ნაწილ-
ში. ქარაგმის ნიშანი – ბოლოწერტილოვანი, კლაკნილი, განივი ხაზია;
განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი და სამი წერტილი (სურ. 79).

ᲠᲙ: ᲠᲚ:
ᲘᲠᲘᲠᲚ: ᲚᲚ:
ზᲘᲘᲘᲚ

ი(ეს)უ ქ(რისტ)ე | მიიძინა ვ(ითარც)ა | ლომმ(ა)ნ
(დაბადება 49: 9).

წარწერის მეორე და მესამე სტრიქონი მოგვიანებით, სავარაუდოდ XVII
საუკუნეში განახლებულ-გაცხოველებულია; ასო-ნიშნების „ი“ და „მ“-ს
მარცხნივ მიმართული „ცხვირები“ ზევითკენ არის აშვერილი.

**განმარტებითი წარწერები მთავარანგელოზთა
გამოსახულებებთან (ქვედა ფენა XIV ს.)**

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი ბურჯის სამხრეთ ნახნაგზე მთავარან-
გელოზთა კრებაა გამოსახული. თეთრი ფერის საღებავით ნაწერი ორი
ასომთავრული განმარტებითი წარწერა მთავარანგელოზთა თავებს ზე-
მოთ, იატაკიდან 415 სმ-ის სიმაღლეზეა. წარწერების ფართობია: 1) 34,3
X 9 სმ; 2) 33 X 8,5 სმ. ასოების სიამღლეა: 6,8–2,2 სმ. ქარაგმის ნი-
შანი ბოლოწერტილოვანი განივი ხაზია, განკვეთილობის ნიშანი – ორი
წერტილია. წარწერა XIX საუკუნის ბოლოს გადაღებეს და მათ ნაცვლად
ბერძნული განმარტებითი წარწერა დაწერეს, შემდგომ ქართული წარწერე-
ბი ისევ გამოავლინეს და განახლეს; წარწერები პალიმფსესტებია, ქვედა
ფენა, რომელსაც XIV საუკუნის ნიშნები აქვს სავარაუდოდ XVII საუკუნეში
კვლავ განუახლებია ქართულის არმცოდნე პირს (ნახ. 56, სურ. 80)

ქვედა ფენის წარწერა: 1) Რ – [მი]ქ[აელ]; 2) Კ Ლ ᲘᲚ – ბ გ[აბ]რი(ე)ლ.
ზედა ფენის წარწერა

ბუნე ბუნე ბუნე ბუნე ბუნე :

ნახ. 56

- 1) ბუნე ბუნე დ(იდე)ბ(უ)ლი მიხ(ე)ილ
- 2) ბ ლკ(?)ზ დ(იდებული) (?) გა(ბ)რი(?)ელ

ომან ჩოლოყაშვილი, მოურავი ქაიხოსრო, ბარბარა (XVII ს.)

შავი საღებავით ნაწერი სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ჩრდილო-დასავლეთი ბურჯის სამხრეთ ნახნაგზე, იატაკიდან 160 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის ფართობი: 135 X 26,5 სმ; ასოების სიმაღლე: 9,5-1,6 სმ; გრაფემები შენიაღებულია. ქარაგმის ნიშანი მოკლე კლაკნილი ხაზია, განკვეთილობის ნიშანი სამი წერტილია. წარწერის დასწყისში ჯვარია დასმული. წარწერაში ასომთავრულ „ტ“ – „ა“ გრაფემასთან ერთად მხედრული „ა“ – ასონიშანიცაა ნახმარი. ასლი გაკეთდა – 2002 წლის 5 იანვარს. (ნახ. 57, სურ. 81)

†. ზღ. სქიღღ. ტ. წიღ. ჯგუჟნუღწი. ჯჩხ
ტ. ლწიურ. ყფუჭ. ხიზყწყურ. იჭ. ტ. ჯა. †
შღ. ჯგუჟ. ჩიღღ. ტ. წა. ჯგუჟ. ჯ. ლწიურ.

ნახ. 57

†. ზღ. სქიღღ. ტ. წიღ. ჯგუჟნუღწი. ჯჩხ
ტ. ლწიურ. ყფუჭ. ხიზყწყურ. იჭ. ტ. ჯა.
შღ. ჯგუჟ. ჩიღღ. ტ. წა. ჯგუჟ. ჯ. ლწიურ.

† ჯ(უარ)ო პ(ა)ტიოს(ა)ნო და ნ(მინდა)ნო მთავარანგელოზნო მიქა(ე)ლ და გაბრიელ შეინყ(ა)ლეთ ჩოლაყასშვილი ომ(ა)ნ და ძე მათი მო(უ)რავი ქეიხოსრო და თ(ან)ა მეცხედრე მ(ა)თი ბარბარა ა(მე)ნ

ომან ჩოლოყაშვილი და ბარბარე – ჯვრის მონასტრის წინამძღვრის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მშობლებია, ქაიხოსრო კი ნიკოფორეს ძმაა, რომელიც ცნობილი მხედართმთავარი იყო. მათთვის და ასევე ქაიხოსროს ძმის იოვანესათვის ბარბარობა დღეს ჯვრის მონასტერში განუწესებიათ აღაპი. აღაპის განწესების დროისთვის ბარბარე მონაზონია. [მეტრეველი ე. 1962: 87, 143].

წმ. კვირილე და წმ. ათანასე (XIV ს.)

თეთრი საღებავით ნანერი ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ ნახნაგზე, წმ. კვირილესა და წმ. ათანასეს ფიგურული გამოსახულების თავების ორსავე მხარეს, იატაკიდან – 396 სმ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. წარწერა სამ მონაკვეთადაა განაწილებული. წარწერის ფართობი; 1) 9 X 6 სმ; 2) 35 X 7,5 სმ; 3) 19,8 X 7,4 სმ; ასოების სიმაღლე: 6,2–1,3 სმ. ქარაგმის ნიშანი მოკლე, განივი კლაკნილი ხაზი. განკვეთილობის ნიშანი – ერთი და სამი წერტილია. წარწერა სავარაუდოდ განახლებულია XVII საუკუნეში (ნახ. 58, სურ. 82)



ნახ. 58

წა ზჳჳჳჳ. წა ჳაჳა ოცწა.

წ(მიდა)ჲ კვირილე წ(მიდა)ჲ დედე ათან(ა)სჲ

წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი, წინასწარმეტყველი დანიელი (XIV ს)

თეთრი საღებავით შესრულებული ერთსტრიქონიანი ასომთავრული განმარტებითი წარწერა მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის დასავლეთ ნახნაგზე, წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და წმ. დანიელ წინასწარმეტყველის ფრონტალური ფიგურების თავების ორსავე მხარეს, იატაკიდან – 395 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის ფართობია; 1) 13 X 7,7 სმ; 2) 21 X 7 სმ; 3) 12,3 X 7,1 სმ; 4) 15,7 X 6 სმ. ასოების სიმაღლე: 6,5–3,7 სმ. ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი კლაკნილი ხაზია, განკვეთილობის ნიშანი წერტილია (ნახ. 59, სურ. 83)



ნახ. 59

1) წა ႁႁႁ ႁႁႁႁ

წ(მინდა)ჲ გ(რი)გ(ო)ლი ღ(მრთ)ისმ(ე)ტყ(უ)ელი

2) წა ႁႁႁ ႁႁႁ

წ(ინას)წ(არმეტ)ყ(უ)ელი დანიელ

დანიელ წინასწარმეტყველს ხელში უკავია გადაშლილი წიგნი, რომლის ორივე გვერდზე შავი საღებავით ნანერი ხუთსტრიქონიანი ასომთავრული

წარწერა (XIV ს.). ქარაგმის ნიშანი განივი კლაკნილი ხაზია. განკვეთილობის ნიშნად ორი წერტილია ნახმარი (სურ. 84)

3) მარცხენა გვერდი: † ႠႢႮႷ მარჯვენა გვერდი: ႮႨႠႫ
 ႮႨႠ: ႨႨ: ႠႮ:
 ႠႮႫႮ:

მარცხენა გვერდი: † ალადგ | ინოს ლ(მერთმა)ნი | მე(უ)ფე |
 მარჯვენა გვერდი: ზეცათ | აი

ეს ტექსტი არასრული ამონარიდია დანიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან (დანიელი 2: 44), და როგორც ჩანს შეცდომითაც არის მოტანილი. ბიბლიის ტექსტი ასეთია: „და დღეთა შინა მათ მეფესათასა **ალადგინოს ღმერთმან ცისამან მეფობა** რომელი საუკუნეთადმი არა განიხრნას, და მეფობაჲ მისი ერსა სხუასა არა დაუშეთს და დაანულოლნეს და განფილნეს მეფობანი ყოველნი, და იგი აღდგეს საუკუნეთადმი.“

წმ. სერაპიონი (XVII ს.)

ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის დასავლეთ ნახნაგზე, წმ. სერაპიონის გამოსახულების ზემოთ, რეგისტრის გამყოფ ხაზში თეთრი საღებავით დანერილია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. წარწერა იატაკიდან – 160 სმ-ის სიმაღლეზეა და ორ მონაკვეთადაა გაყოფილი, შუაში ბერძნული განმარტებითი წარწერაა. წარწერის ფართობი: 1) 5,8 X 4,5სმ; 2) 26,5 X 4,9სმ. ასოების სიმაღლე: 5–3,5 სმ. ქარაგმა – მოკლე გაღუნული განივი ხაზი. წარწერის ასლი გაკეთდა 2002 წლის 1 იანვარს. (ნახ. 60, სურ. 85).



ნახ. 60

წ ა სერაპიონ
 წ(მინდა)ე სერაპიონ

აბრაამის მსხვერპლშენიშვნა.

კომპოზიციის განმარტებითი წარწერა (XIV ს.)

აბრაამის მსხვერპლშენიშვნის სცენა ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის სამხრეთ ნახნაგზე, წინასწარმეტყველების დავითისა და სოლომონის ზევეითაა გამოსახული. თეთრი საღებავით შესრულებული ოთხსტრიქონიანი ასომთავრული განმარტებითი წარწერა – კომპოზიციის ზედა ნაწილის შუაშია დანერილი. ქარაგმის ნიშანი ბოლოწერტილოვანი განივი ხაზია. განკვეთილობის ნიშნად სამი წერტილია ნახმარი (სურ. 86)

სტატი: სტატ

ნაწილი: ნაწილი

წესი: ყაბსს

პლატი:

აბრ(ა)ჰ(ა)მ აბრა[ჰამ] | ნუ მიჰყოფ [ხ] | ელსა ყრმასა მაგას

ამონარიდი ძველი ალთქმიდან – უფლის ანგელოზის მიმართვაა აბრაამისადმი. (დაბადება 22: 11, 12)

წარწერა წინასწარმეტყველების დავითისა და სოლომონის გამოსახულებასთან (XIV ს., გვიან გადაწერილია შეცდომით)

თეთრი საღებავით შესრულებული ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, ოთხ მონკვეთად, ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის სამხრეთ ნახნაგზე, წინასწარმეტყველთა თავებთან, იატაკიდან – 400 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის ფართობია: 1) 16 X 8 სმ; 2) 28,4–7,6 სმ; 3) 4,8 X 1 სმ. ასოების სიმაღლე: 6–4,3 სმ. ქარაგმის ნიშანია ბოლოწერტილოვანი განივი, კლაკნილი ხაზი. განკვეთილობის ნიშანი – ორი და სამი წერტილი. წარწერა განახლებულია შეცდომით, ქართულის არმცოდნე ოსტატის მიერ, გრაფემები შეცდომითაა შემოხაზული (ნახ. 61, სურ. 87)



წყუნი: აბსს. (?) წყუნი (?)

ნახ. 61

წ(ინას)წ(არმეტყუე)ლი როსე (?) წ(ინას)წ(არმეტყუე)ლი (?)
ძველი წარწერის ფრაგმენტი არის – „წინასწარმეტყველი“.

„აბსს“- „როსე“-ს ქვეშ მოჩანს ორი გრაფემის მონახაზი, ერთი შეიძლება იყოს „ს“ – „ა“ გრაფემა.

გადაწერილია სავარაუდოდ XVII-XVIII საუკუნეში, მას შემდგომ, რაც ჯვრის მონასტერი ბერძნების ხელში გადავიდა.

„მამისიმედი“ (XVII ს.)

შავი საღებავით შესრულებული ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის სამხრეთ ნახნაგზე, იატაკიდან 104 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის ფართობი: 128 X 16,5 სმ; ასოების სიმაღლე: 15–2,8 სმ. ქარაგმის ნიშანი განივი მოკლე კლაკნილი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი სამი წერტილი. რამდენიმე გრაფემა შენიღბულია. ერთხელ ნახმარია მხედრული ასონიშანი „ა“, ასეთი შემთხვევა

ჯვრის მონასტრის XVII საუკუნის სხვა საღებავით ნაწერ ნარწერებშიც დასტურდება. ასლი გაკეთდა 2002 წლის 1 იანვარს. (ნახ. 62, სურ. 88)

ბიზანტიური წიგნი

ნახ. 62

ბიზანტიური. უცხოური. კლასიციზმის. ყველაზე. კლასიციზმი

მიქელ გ(ა)ბრ(ი)ელ მთ(ავა)რან(გ)ელოზნო შ(ე)ნყ(ა)ლ(ე)თ მამისიმედი [Цагарели А. 1888: 246].

მამისიმედის იდენტიფიცირებას ამ ეტაპზე ვერ ვახერხებ. ჩოლოყაშვილების გვარში მსგავსი სახელით არავინ არ იძებნება. ჩოლოყაშვილებთან დაკავშირებულია ვინმე მამისიმედი, რომელიც იყო მოწმე სამადავლეს მიერ ანდერმან [ჩოლოყაშვილისათვის] მიცემული ნასყიდობის წიგნისა (XVII ს-ის II ნახ.) [კლდიაშვილი დ., სურგულაძე მ. 2004: 30].

იოანე ნათლისმცემლის შობა. კომპოზიციის განმარტებითი ნარწერა (XIV ს.)

ეს კომპოზიცია გამოსახულია ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის აღმოსავლეთი ნახნაგის ზედა მონაკვეთზე. წმ. ზაქარია და წმ. იოანე ნათლისმცემლის ფიგურული გამოსახულებების ზემოთ. თეთრი საღებავით ნაწერი სამსტრიქონიანი განმარტებითი ასომთავრული ნარწერა კომპოზიციის ზედა ნაწილშია. ქარაგმის ნიშანი განივი მოკლე გაზნექილი ხაზია, განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი და სამი წერტილი (სურ. 89).

ყველა: ქს: ო

ნახსენებ

ხს

შობ(ა)ე წ(მ)ი(ნდი)სა ი(ოან)ე | ნ(ა)თლისმც(ე)მ|ლისა

წინასწარმეტყველი ზაქარია, წმ. იოანე ნათლისმცემლი (XIV ს.)

წინასწარმეტყველი ზაქარია და წმ. იოანე ნათლისმცემლის ფრონტალური ფიგურები გამოსახულია ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ ნახნაგზე. ორივე ფიგურას ახლავს თეთრი საღებავით შესრულებული ასომთავრული განმარტებითი ნარწერები.

წინასწარმეტყველი ზაქარიას შარავანდის ორსავე მხარეს დაწერილია ერთსტრიქონიანი ნარწერა. ქარაგმის ნიშანი კიდურწერტილოვანი განივი კლაკნილი ხაზია. განკვეთილობის ნიშანი –ერთი და ორი წერტილი (სურ. 90).

წ წ ო ხ ს ქ ს ქ ს:

წ(ინას)წ(არმეტყვე)[ლ]ი ზაქარია

წმ. იოანე ნათლიმცემლის შარავანდის ორსავ მხარეს ორსტრიქონიანი წარწერაა. ქარაგმის ნიშანი – კიდურწერტილოვანი კლაკნილი ხაზია; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია: ერთი და ორი წერტილი.

წ: ო. ჩ. ჩ. ჩ. ჩ.

კ. ლ. ზ. ა.

წ(მინდა)ღ ი(ოან)ე წინამორბედა

წმ. ქრისტინე, წმ. მარიამ მაგდალინელი (XVII ს.).

წმ. ქრისტინესა და წმ. მარიამ მაგდალინელის ნახევარფიგურული გამოსახულებები ეკლესიის ჩრდილო-ღმოსავლეთი ბურჯის ჩრდილოეთი ნახნაგის ზედა ნაწილზეა. წარწერები წმინდანთა შარავანდედის ორსავ მხარესაა განაწილებული.

წმ. ქრისტინეს შარავანდის ორსავ მხარეს თეთრის საღებავით შესრულებულია ერთსტრიქონიანი განმარტებითი ასომთავრული წარწერა. ქარაგმის ნიშანი მოკლე, განივი კლაკნილი ხაზია (სურ. 91).

წ: ქ. ქ. ქ. ქ.

წ(მიდა)ღ ხრისტ(ი)ნა

წმ. მარიამ მაგდალინელი, წმ. ქრისტინეს მარჯვნივ – დასავლეთითაა გამოსახული, მას ახლავს თეთრი საღებავით შესრულებული ხუთსტრიქონიანი განმარტებითი ასომთავრული წარწერა. ქარაგმის ნიშანი ბოლოწერტილოვანი კლაკნილი ხაზია (სურ. 92).

წ: მ. მ. მ. მ.

კ. ლ. ზ. ა.

წ. წ.

1

წ(მიდა)ღ | მ(ა)რი(ა)მ | მ(ა)გდა|ნილ|ი

ბერძნული ენის გავლენა აშკარად ჩანს.

ნახმარია მხედრული „ა“ გრაფემა.

ჯვრის მონასტრის ნაკვეთი და ნაკანრი წარწერები


„შალვა შობასშვილი“ (XVII ს.)

ქვის ფილაზე ამოკვეთილი ექვს სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მოთავსებულია ეკლესიის დასავლეთი ნართექსის სამხრეთი შესასვლელის დიდ თაღთან, კედელში, მიწიდან – 285 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის ფართობია – 46,5 X 36 სმ; ასოების სიმაღლეა – 9,3–2,8 სმ; ქარაგმის ნიშანი განივი კლაკნილი ხაზია. განკვეთილობის ნიშანი – ერთი ან ორი

წერტილია. წარწერის დასაწყისში ამოკვეთილია წაგრძელებული ჯვარი, რომელიც პირველი ორი სტრიქონის ზომისაა (ნახ. 63, სურ. 93).

†: ს[~]ს[~]ს[~] ო[~]კ[~]
 ყ[~]დ[~]ღ[~]ს[~]: ყ[~]რ[~]ს[~]
 ყ[~]რ[~]ს[~]: ზ[~] ზ[~]ღ[~]
 ჰ[~]ჰ[~]ჰ[~] ჰ[~]ს[~]ჰ[~] ყ[~]ს[~]

†: ს(უ)ლსა ამა.
 კამ(ა)რათა
 აღმშენ(ე)ბლისა:
 შობ(ა)ს: შვ(ი)ლს:
 შ(ა)ლვ(ა)ს: და დედა
 მამათ(ა) მ(ი)სთ(ა) შ(ე)უნდენ(ე)ს ღ(მერთმ)ან



ნახ. 63

სავარაუდოდ, მონასტრის ერთ-ერთი გვიანდელი რემონტის დროს წარწერისთვის ადგილი შეუცვლიათ, რადგანაც ის სტრუქტურა, რომელშიც წარწერიანი ფილაა ჩაშენებული მონასტერში სემინარიის მოქმედების დროს – XIX საუკუნეში უნდა იყოს აშენებული. ამავე დროს წარწერაში დამონებული ობიექტი – „ამა კამარათა“ მიგვითითებს, რომ წარწერაც შალვას მიერ აგებული კამარების სიახლოვეს უნდა ყოფილიყო ჩამონტაჟებული; შალვა შობაშვილის მეორე წარწერა ეკლესიის ინტერიერში, ელია და ელისე წინასწარმეტყველებს შორისაა საღებავით დაწერილი (იხ. წარწერა).

შალვა შობაშვილი კამარების მშენებლობის დამფინანსებელია და არა ოსტატი. იგი საერო პირია, რადგანაც საბერძნო-სომხურ ხარისხით არ არის მოხსენიებული.

ა. ცაგარელი ამ წარწერას ასე კითხულობს: „სულსა ამა კამარათა აღმამშენებელსა შობის (შობის ?) შვილს შალვას და დედა [მამას და] ძამათა მისთა – შეუნდოს ღმერთმან“ [Цагарели А. 1888: 247]

წმ. თეკლას მონასტრის ზედგინიძის წარწერაშიც (XV-XVI სს.) კამარების მშენებლობაზეა ლაპარაკი (იხ. წმ. თეკლას მონასტრის წარწერა).

წარწერის ფრაგმენტები იატაკის მარმარილოს ფილებზე (XIV-XVI სს.)

2002 წლის 8 თებერვალს, ჯვრის მონასტრის დათვალიერების დროს, ეკლესიის ჩრდილოეთით, ერთ-ერთი მიტოვებული სენაკის წინ, სამშენებლო ნაგავში, ექსპედიციის წევრებმა მივაგენით მარმარილოს ფილის

ორ ნამტვრევს ძლიერ დაზიანებული ასომთავრული წარწერებით. წარწერიანი ქვები გამოვიტანეთ მონასტრის შიდა ეზოში და სათანადო ფიქსაციის შემდგომ, ეკლესიის მესვეურებთან შეთანხმებით გადავიტანეთ მონასტრის მუზეუმში. ეს ფრაგმენტები ნაწილია იმ წარწერიანი ოთხი ფილისა, რომლებიც ალ. ცაგარელს დახვედრია *in situ* ეკლესიაში შესასვლელი კარის ზღურბლთან, იატაკში ჩამონტაჟებული. ა. ცაგარლის განმარტებით ამ ქვათლილებზე (საერთო ზომა: 2¹/₂ არშინის სიგრძისა და 1¹/₂ არშინის სიგანის) წარწერა ძლიერ იყო გადაცვეთილი, მან ამოიკითხა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა: „... ეკლესია... საუკუნოსა წირვითა... მისსა სულსა“. მეცნიერს წარწერა XVII ს-ზე უფრო ადრეული (XI-XVI სს.) ჰგონია [Цагарели А. 1888: 108, 246]

1960 წელს ირ. აბაშიძეს, აკ. შანიძეს და გ. წერეთელს ადგილზე დახვდათ სამ დიდ ქვაზე შემორჩენილი ძლიერ დაზიანებული წარწერა [აბაშიძე ი. 1989: 16]. აკად. ა. შანიძეს ამოუკითხავს სიტყვა: „მზგეფსს“ [აბაშიძე ი. 1989: 27].

ებრაელი მეცნიერის ჯოშუა პროერის სტატიაში (1967 წ.), გამოქვეყნებულია აღნიშნული წარწერის შედარებით უკეთ შემორჩენილი ნაწილის ფოტოსურათი [Prawer J. 1967]; ფოტოზე კარგად ჩანს, იატაკში ჩამაგრებული უკიდურესი მარჯვენა მარმარილოს ფილა (მთლიანად) და მასთან მარცხნიდან მიჯრით მდებარე ფილის ნაწილი. ეს სურათი გამოვიყენე დღეს შემორჩენილი წარწერის ფრაგმენტული ტექსტის აღსადგენად (სურ. 94).


ივან სტოვბუნის 1979 წელს გამოცემულ ბროშურაში, მხოლოდ ერთი – უკიდურესი მარჯვენა ფილა ჩანს [Стовбун 1979], მის მარცხნივ არსებული ფილა უკვე, ამოგდებულია ნართექსის იატაკიდან. მარმარილოს ფილა, რომლის ფრაგმენტილაც შემორჩენილი, ჩემი ვარაუდით, XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს ან 80-იანი წლების დასაწყისში ამოიღეს. 1990 წლის 16 აგვისტოს პირველად ვიყავი ჯვრის მონასტერში და ნართექსში უკვე ახალი იატაკი იყო დაგებული. აღნიშნული მარმარილოს ფილა *in situ* ჩანს გურამ პატარაიას დოკუმენტურ ფილმში (1966 წ.) „პალესტინის სიძველეთა საიდუმლოება“ (4 წუთი 57 წამი).

სავარაუდოდ მარმარილოს ამ ფილებს ახსენებს გრიგოლ ფერაძე თავის მოგზაურობის (1936 წ.) დღიურში – „იერიქონის ვარდები“; გ. ფერაძეს წარწერები ვერ ამოუკითხავს, მას გარკვეული ეჭვით, ისინი საფლავის ქვები ჰგონია [ფერაძე გ. 2016: 80]

თავდაპირველად წარწერა ოთხივე ფილაზე გაბმით იკითხებოდა, ამდენად დღეს ჩვენ შემორჩენილი გვაქვს ვრცელი წარწერის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი

№1. მარმარილოს ფილის ნამტვრევი (ზომა: 52,2 X 33 სმ) წარმოადგენს ნართექსის იატაკში ჩადგმული, მარჯვნივ მდებარე ქვათლილის ნაწილს. ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა მაღალი დონის ოს-

ტატის მიერაა ამოკვეთილი; ნატ-
იფი, წაგრძელებული ასონიშნები
შენიადებულია. წარწერის ფართო-
ბია: 54,3 X 31 სმ; ასოების სიმაღ-
ლეა: 9,2-3,4 სმ. ქარაგმის ნიშანი
– ბოლოწერტილოვანი კლაკნილი
ხაზია. განკვეთილობის ნიშანი –
ორი წერტილი. თუ შევადარებთ
ჯ. პროერის მიერ გამოქვეყნებული
მარმარილოს ფილის ზომას ჩვენს
მიერ დაფიქსირებულ ქვათილს
დავინახავთ, რომ მას მარჯვენა
მხარეს, მთელს სიგრძეზე მნიშ-
ვნელოვანი ნაწილი აკლია: პირველი
სტრიქონზე – სამი ასონიშანი, მეო-
რე სტრიქონზე – ხუთი ასონიშანი,
მესამე სტრიქონზე – ოთხი ასონი-
შანი, მეოთხე სტრიქონზე – ოთხი
ასონიშანი, მეხუთე სტრიქონზე –
ხუთი ასონიშანი. ასომთავრული
წარწერა შევსებულია ჯ. პროერის
ფოტოს დახმარებით, ეს ნაწილები
კვადრატულ ფრჩხილშია ჩასმული (ნახ. 64, სურ. 95)



ნახ. 64

სტოჟიჟი[უს]
ს. ზც ზც უს[ც უჰს]
[ზც] სუჟუსს. უს[უჰს]
[ჟჰს] ჟჰს[ჟჰს] ჟჰს[ჟჰს]
ჟჰს[ჟჰს] ჟჰს[ჟჰს] ჟჰს[ჟჰს]


... საუკუნის... | ... ს. და და ისაც ეტ[ყო]დ(ე)ს... | ... და სერ(ო)ბისასა.
ესე. ყ(ოვე)ლი... | ... ძ(ვ)?ელი მემსგეფსე წირვიდ(ე)ს... | ... მოეხმარებოდა
მისსა ს(უ)ლსა...

წარწერის ყველაზე ნათელი და გარკვეული მონაკვეთი მეოთხე
სტრიქონია სადაც საუბარია მემსგეფსის (მორიგეს) წირვის შესახებ, მესა-
მე სტრიქონში სერობაზეა (ტრაპეზობაზეა) საუბარი, ბოლო სტრიქონი კი
სულის ცხონებას შეეხება; ამ კონტექსტიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ
აღნიშნული წარწერა როგორც ჩანს საქტიტორო, საალაპე შინაარსისაა,
და სავარაუდოდ 1310-1311 წლების შემდგომ, როდესაც ქართველებმა
მაჰმდიანებისგან დაიბრუნეს ჯვრის მონასტერი [ჯაფარიძე გ. 2018: 72,

73], იატაკის განახლების დროსაა იატაკში ჩამონტაჟებული (?). წარწერა XVII საუკუნეზე ადრეული ჩანს, აქ ასონიშანი „უ“, ორი გრაფემით აღინიშნება „ღჟ“, რასაც ვერ ვხედავთ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროინდელ წარწერებში, ასევე გრაფემათა მოხაზულობა უფრო არქაული იერისაა ვიდრე ჯვრის მონასტრის XVII საუკუნეების წარწერათა გრაფემები.

დანამდვილებით ვიცით, რომ XVII საუკუნეში ჩატარებული სარემონტო სამუშაოს დროს, ნიკიფორე ჩოლოყაშვილს ნართექსის იატაკი არ შეუკეთებია, ამ დროს შეკეთდა ეკლესიის გუმბათი, მოწესრიგდა საკურთხევლის იატაკი და მოიხატა ეკლესია. (იხ. აქვე: ნიკიფორეს საქტიტორო წარწერა – „გუმბადი და წმინდა საკურთხეველი გავაკეთე“).

№2. მარმარილოს ფილის ნამტვრევი (ზომა: 23,5 X 19,2 სმ) წარმოადგენს ეკლესიის ზღურბლთან იატაკში ჩადგმული, ერთ-ერთი ფილის ქვედა ნაწილს. შემორჩენილია ორი სტრიქონის ფრაგმენტი, წარწერა იმავე ოსტატის ამოკვეთილია რომელმაც №1 ფილაზე იმუშავა. წარწერის ფართობია: 22,5X16 სმ, ასოების სიმაღლეა: 5,5–4,7სმ. (ნახ. 65, სურ. 96)



ნახ. 65

სტღჟღჟღჟ

ჟჟღჟ (?)იღ სტ


საუკუნ... | ... წყონ ლ(მერთმა)ნ სა...

სპილენძის რგოლის წარწერა (1643 წ.)

ასომთავრული წარწერა ამოკვეთილი სპილენძის რგოლისებრ ფირფიტაზე (რგოლის გარე დიამეტრი – 47 სმ, შიდა დიამეტრი – 31 სმ), რომელიც ეკლესიის ცენტრში, იატაკში იყო ჩამონტაჟებული. ვ. ცაფერიის ცნობით ეს რგოლი 1900 წელს იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს მესვეურებს ამოუღიათ იატაკიდან და ჯვრის მონასტრის მუზეუმში გადაუტანიათ [Tzaferis V. 1987: 20]. ეს ცნობა არასწორია, რადგანაც 1960 წელს, როდესაც ქართველი მეცნიერები ეწვივნენ ჯვრის მონასტერს, რგოლი ჯერ კიდევ თავის თავდაპირველ ადგილას, იატაკში იყო [აბაშიძე ი. 1989: 66]. წარწერის ასლი ცელოფანზე გადმოვიტანე 2002 წლის 9 იანვარს. დღეს წარწერიანი რგოლი დაკარგულია.⁸ წარწერის ასონიშ-

8 2021 წელს ჩემი გაკეთებული ასლისა და დ. ცხადაძის ფოტოების საშუალებით, ფერადი ლითონებისა და ძვირფასი მეტალების ტექნოლოგ-რესტავრატორმა ერმინე მალრაძემ სპილენძის მასალით, თავისივე ხარჯებით, უსასყიდლოდ გააკეთა ძველი წარწერიანი რგოლის ზუსტი ასლი და გადასცა საქართველოს სრულუფლებიან ელჩს ისრაელში ლაშა ყვანიას.

ნების ზომა: 7,3–0,5 სმ. ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი კლაკნილი ხაზია; განკვეთილობის ნიშნად სამი წერტილია გამოყენებული. ასონიშნები შენიღბულია. ერთ შემთხვევაში ნახმარია მხედრული „ა“ გრაფემა, მსგავსი მიდგომაა ჯვრის მონასტრის XVII საუკუნით დათარიღებულ სხვა წარწერებშიც. წარწერის დასაწყისში ჯვარია დასმული, მის მოპირდაპირედ წარწერის ქვეშ, მარცხნივ ასომთავრული გარაფემებით ამოკვეთილია **† Ⴁ Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ** – ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკია (331), ხოლო მარჯვნივ არაბული ციფრებით 1643. აღსანიშნავია, რომ ეკლესიაში სარემონტო სამუშაოების ქორონიკონით აღნიშნული თარიღი რამდენიმე ადგილასაა ფიქსირებული (**† Ⴂ Ⴃ** – ტკია) და ყოველი მათგანი მსგავსადაა დაწერილი: რიცხვი 30 იწერება არა გრაფემა – „ზ“ – „ლ“-ს გამოყენებით, არამედ 20-ის და 10-ის აღმნიშვნელი „ხ“ – „კ“ და „ლ“ – „ი“ ასონიშნებით. წარწერის დასაწყისში ჯვარია დასმული (ნახ. 66, სურ. 97-103)



ნახ. 66


† კჳჩღ ႠႣႤႥ: კჳჩღႣႥ: ႠႣ: ႣႣႤႥႣႦႧႩ: ႠႣ: კႣႤႣႤႦႣ კႣ ႤႣ ႠႣ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ

† Ⴁ Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ 1643

† მ(ა)მ(ა)ნო დეგით მტკიცედ და შეურყევლად და მომიჯსენ(ე)თ მე ც(ოდვილ)ი ჯ(უარი)ს მ(ა)მ(ა) ნიკ(ოლო)ზ

ნესტანდარეჯანის წარწერა (XVII ს.)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა გამოკვეთილია სამკვეთლოს თაღოვანი კარის თავზე დამონტაჟებული ვედრების რიგის სამი ხატის ხის მოჩარჩოების ქვედა ნაწილზე, იატაკიდან – 321 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერა ჩართულია მოჩარჩოების დეკორატიულ გაფორმებაში რომელზეც ვაზის რტოს რელიეფური კომპოზიციაა გამოკვეთილი. მოჩარჩოების ცენტრალურ ნაწილზე წარმოდგენილია პირგამლილი ჭურჭელი, რომლის ცენტრში ჯვარია, მარცხნივ და მარჯვნივ კი ფოთლებითა და მტევნებით გაფორმებული ვაზის რტოს მოქნილი ღერო იშლება. ამ ჭურჭლის ორსავე მხარეს ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა. წარწერა და მოჩარჩოების დეკორი ერთიანადაა გააზრებული და თანადროულია. წარწერის ასონიმნები შენიალებულია და ისევე როგორც ვაზის რტო ოქროსფერი საღებავითაა დაფერილი. წარწერის ფართობია 1) 13,3 X 5 სმ; 2) 10,5 X 3,2 სმ. ასოების სიმაღლე; 3,2–1,5 სმ. განკვეთილობის ნიშანი – წერტილია. ეს წარწერა პირველად ამოიკითხა ნიკო ჩუბინაშვილმა, თუმცა წარწერის მდებარეობა მას შეცდომით აქვს მითითებული: „სამხრეთის საკურთხევლის კარი“ [Цагарели А. 1894, 44]. ეს წარწერა, რომელიც პორფირი უსპენსკის უნახავს, ველარ უპოვნია ა. ცაგარელს [Цагарели А. 1888, 246, 247]. (ნახ. 68, სურ. 105, 106)



ნახ. 68

ნესტანდარეჯან. ქაფი

ნესტანდ(ა)რ(ე)ჯ(ა)ნ დ(ედო)ფ(ა)ლი

გერასიმე გიჟიყრელის მინაწერი (XVI-XVII სს.)

ერთსტრიქონიანი მხედრული ნაკანრი წარწერა სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის დასავლეთ ნახნაგზე, გაბრიელ პატრადის გამოსახულების მარჯვნივ, იატაკიდან – 175 სმ-ზე. წარწერის ფართობი: 45,8 X 7 სმ; ასოების სიმაღლე: 5,2–0,3 სმ. სახელი გერასიმე შუაზეა გაყოფილი გოლგოთის ჯვრის ნაკანრი გამოსახულებით. ასლი გაკეთდა 2002 წლის 9 იანვარს (ნახ. 69, სურ. 107)

ქაიო იყრელის გერ(ა)ს(ი)ქმეს შეუნდ(ვენ) ლ(მერ)თ(მან)ი

ნახ. 69

ქ ა გიჟიყრელის(?) გერ(ა)ს(ი)ქმეს შეუნდ(ვენ) ლ(მერ)თ(მან)ი
გიჟიყრელი (ვარიანტი – გიჟიყრელი) კახელი აზნაურების გვარია, მათ
შესახებ იხ.: [კლდიაშვილი დ., სურგულაძე მ., ცაგარეიშვილი ე., ჯანდ-
იერი გ. 1991: 668,669].

მულლიბეგის მინაწერი (XVI-XVII სს.)

ერთსტრიქონიანი მხედრული ნაკაწრი წარწერა ჯვრის მონასტრის
მთავარი ტაძრის ინტერიერში, სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის დასავლეთ
წახნაგზე, პავლე მოციქულის გამოსახულების ტერფზე. წარწერის ფარ-
თობი: 20,4 X 5 სმ; ასოების სიმაღლე: 3,3–0,6 სმ. წარწერა ბოლოვდება
ჩაკანრული გოლგოთის ჯვრის გამოსახულებით (ნახ. 70, სურ. 108).

ქ მულ(ი)ბეგს შეუნდ(ო)ს ლ(მერ)თ(მან) †

ნახ. 70

უნეტარესი (XVI-XVII სს.)

ერთსტრიქონიანი ნაკაწრი მხედრული წარწერა ორი ნუსხური გრა-
ფემით, ამოკანრულია ჩრდილო-
დასავლეთი ბურჯის აღმოსავლეთ
წახნაგზე, იატაკიდან – 201 სმ-ის
სიმაღლეზე. წარწერის ფართობი:
9,8 X 2,9 სმ; გრაფემათა სიმაღლე:
2–0,2 სმ (ნახ. 71).

უნეტარესი მოდისო

ნახ. 71

უნეტარეს მიდისო
უნეტარეს(ი) მოდისო

წა (XVII ს.)

ასომთავრული ნაკაწრი წარწერის ფრაგმენტი გუმბათქვეშა
ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის დასავლეთ წახნაგზე, წმ სე-
რაპიონის საღებავით შესრულებული განმარტებითი წარწერ-
ის – სიტყვა წ(მინდა)ჲ-ს მარჯვნივ, იატაკიდან – 164 სმ-ზე;

წა

ნახ. 72

წარწერის ფართობი: 2,9 X 2,8 სმ; ასოების სიმაღლე: სმ 2,4–1,8 სმ; ქარაგმის ნიშანი – განივი მოკლე კლაკნილი ხაზი (ნახ. 72, სურ. 109).

𐤏𐤍𐤌𐤁

მოსეს შვილის წარწერა – (XVI-XVII სს.)

ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის დასავლეთ ნახნაგზე, გრიგოლ ღმრთისმეტყველის სამოსზე, იატაკიდან 193 სმ-ზე ამოკანრულ ორსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში ნუსხური გრაფემებიცაა შერეული. წარწერის ფართობი: 6 X 5,2 სმ, ასოების სიმაღლე: 1.9–0,7 სმ; ქარაგმა – მოკლე ჰორიზონტალური ხაზია (ნახ. 73, სურ. 110).

𐤏𐤍𐤌𐤁
𐤏𐤍𐤌𐤁

𐤏𐤍𐤌𐤁

ნახ. 73

𐤏𐤍𐤌𐤁

მოსეს შ(ვილს)ა | შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ

იოანეს წარწერა (XVI-XVII სს.)

ერთსტრიქონიანი ასომთავრული ნაკანრი წარწერა ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის სამხრეთ ნახნაგზე, დავით წინასწარმეტყველის გამოსახულებაზე, იატაკიდან – 163 სმ-ის სიმაღლეზე. წარწერის ფართობი: 9 X 3 სმ; ასოების სიმაღლე: 3–0,4 სმ, (ნახ. 74, სურ. 111)

𐤏𐤍𐤌𐤁

𐤏𐤍𐤌𐤁

ნახ. 74

† ი(ო)ანეს შ(ეუნდვე)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ

ნა ხრისიგნა (XVII ს.)

ერთსტრიქონიანი ნაკანრი ასომთავრული წარწერა ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯის ჩრდილოეთ ნახნაგზე, იატაკიდან 151 სმ-ის სიმაღლეზე. ამავე სვეტის ზედა ნაწილში არის წმ. ქრისტინეს (წარწერაში ხრისტინა) და წმ. მარიამ მაგდალინელის წელსზეითი გამოსახულებები, მათ ქვემოთ წმ. ათანასეს და წმ. ისიდორეს ფიგურებია. წარწერა ამოკვეთილია წმ. ათანასეს ფეხებთან, კომპოზიციის მომსაზღვრელ წითელ ზოლზე. ქარაგმა მოკლე ჰორიზონტალური ხაზია. (წარწერის ზომებია: 8,9 X 2,1 სმ, ასოების სიმაღლეა 1.5–0.8 სმ.

𐤏𐤍𐤌𐤁

ნახ. 75


ბოლო გრაფემა „ა“ მხედრულადაა ნაწერი, რაც მახასიათებელია ჯვრის მონასტრის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროინდელი ასომთავრული წარწერებისთვის (XVII ს.). (ნახ. 75, სურ.112)

წ ა ჟ კ ლ ე წ ა წ (მიდა) ჯ ხ რ ის ტ ი ნ ა

კატამონის მონასტრის წარწერა „ქუთათელი“ (XII ს-ის მეორე ნახევარი -XIII ს.)

კატამონის სვიმეონ მიმრქმელის მონასტერი, ახალ იერუსალიმში, გონენის უბანში, ძველი იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით 2 კმ-ის მანძილზე მდებარეობს (სურ. 113). ეკლესია ე. წ. გუმბათოვანი დარბაზის ტიპისაა, იგი ძველი ქართული მონასტრის ადგილას დგას და XIX საუკუნის მეორე ნახევარში – 1880 წლამდეა აგებული. დღეს ძველი მონასტრის ნანგრევი აღარ ჩანს ის ახალმშენებლობას შეეწირა. ახალ ეკლესიას ჩრდილოეთიდან მცირე სათავსი აქვს, რომლის იატაკში სწორკუთხა ღრმულია, მასზე სალხინებელი დგას, გადმოცემით ეს არის სვიმეონ მიმრქმელის საფლავი; კატამონში ჩვენი პირველი ვიზიტისას (25 დეკემბერს, 2001 წ.), ამავე სათავსის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, მაგიდაზე, იდო მოზრდილი კირქვის ლოდი ქართული წარწერით. ეს წარწერა აღმოჩნდა მას შემდგომ რაც ბერძნულმა მართლმადიდებლურმა საპატრიარქომ 1859 წელს შეიძინა ეს ადგილი და დაიწყო ახალი მონასტრის ასაგებად მიწის სამუშაო [Pringle D. 1998: 167]. 1883 წელს იგი უკვე ახალი ეკლესიის საკურთხეველში უნახავს ა. ცაგარელს [Цагарели А. 1888: 123,124], თუმცა მისი დაზიანებულობის გამო წაკითხვა არ უცდია. გ. ფერაძემ 1936 წლის აგვისტოში კატამონში წარწერიანი ქვის ორი – მოზრდილი და მომცრო ფრაგმენტის ფოტოგრაფირება შეძლო და მხოლოდ ერთი სიტყვა – „ყ(ო)ფ(ი)ლ(ი)“ ამოიკითხა, მისი აზრით ეს საფლავის ქვის წარწერაა [ფერაძე გ. 1995: 110, სქ. 334; 141; სურ. III]. ჩვენი ექსპედიციის წევრებს კატამონში მხოლოდ წარწერის მოზრდილი ფრაგმენტი დაგვხვდა. კატამონში სამჯერ ვიყავით 25. 12. 2001, 16. 01. 2002, 21. 02. 2002; წარწერის ასლი 2001 წლის 25 დეკემბერს გადმოვიღე. დღეს წარწერა თავის ძველ ადგილზე აღარ დევს და მისი ადგილმდებარეობა უცნობია. ჩაკვეთილი სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი შემორჩენილია იერუსალიმური კირქვის სპეციალურად გასწორებულ ბლოკზე. წარწერის ფართობია: 57,5 X 30,2 სმ; ასოების სიმაღლე: 9–3,2 სმ; ქარაგმა განივი ბოლოწერტილოვანი მოკლე ხაზია. განკვეთილობის ნიშანი ორი და სამი წერტილია. წარწერაში ნახმარია ერთი ნუსხური „ც“ გრაფემა; რამდენიმე ასონიშანი შენიალებულია. ასონიშანი „ტ“ – „ა“-ს უღელი ტანს აქვს მოცილებული, რაც ქართულ ასომთავრულში XII საუკუნიდან დასტურდება. შენიალებული ასონიშნები,

გრაფემათა დაგრძელებული დუქტუსი წარწერას XII საუკუნის მეორე ნახევრით ან XIII საუკუნით ათარიღებს (ნახ. 76, სურ. 114).



ნახ. 76

ზԾ: ცԽს: კჳფუხს: ჯ ԳԾ
 Գზჳნ: ჳ ԾԾზჳნ ჳჳ(?)
 ი (?)ნს: ხნს: ზ 1

... [ძა]ლ(ი)თა ცხ(ოვე)ლს მყ(ო)ფლისა ჯუ(არისაჲ)თა... |... [დიდე]ბ(უ)ლმ(ა)ნ ქ(უ)თათ(ე)ლმ(ა)ნ ქრ(?)... |... ლ(?)უთ)ისა ჩ(უენ)ისა დი

წარწერა ლამაზი, დახვეწილი ასომთავრულითაა შესრულებული, ოფიციალური ხასიათისაა და მონასტრის კედელში უნდა ყოფილიყო ჩადგმული. ქუთათელი – ქუთაისის ეპისკოპოსის წოდებაა, ჯვრის მონასტრის სვინაქსარში ჩანერილია მიქაელ ქუთათელის ალაპი, რომელსაც ხელის მიხედვით ე. მეტრეველი XIII და არაუგვიანეს XIV საუკუნით ათარიღებს. XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწენი უნდა ყოფილიყვნენ ქუთათელი ოქროპირი და მისი ძმისწული ქუთათელი მახარებელი, მათი ალაპიც ამავე სვინაქსარშია [მეტრეველი ე. 1962: 79, 103, 119, 173].

კატამონის წარწერის „დიდებული (?) ქუთათელი“, ქუთაისის ეპისკოპოსია, რომელიც გარკვეულად შენეგნია კატამონის ქართველთა მონასტერს, რაც წარწერაში იქნებოდა აღიშნული. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მეფე ბაგრატ III-მ (975-1014 წწ.) ახლად აშენებულ ბაგრატის ტაძარში „დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი იმერეთისა და გურიისა“ [ვახუშტი 1941: 157], მაგრამ ეს ცნობა არ დასტურდება „მატიანე ქართლისაში“, სადაც ბაგრატ მეფის მიერ მხოლოდ ბედიის საეპისკოპოსო დაარსებაზეა საუბარი [ქართლის ცხოვრება 1955: 281]. მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, ქუთაისის საეპისკოპოსო შეიძლება დაარსებულიყო აფხაზთა რომელიმე პირველი მეფის დროს [ლორთქიფანიძე მ. 2002: 53]. სოფ. გოდოგნის ეკლესიის წარწერაში იხსენიება ანტონ ქუთათელი, რომელიც X-XI საუკუ-

ნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა, იგივე პირი უნდა იყოს ბაგრატის ტაძრის ანტიფეიქსის წარწერის „ანტონი“ [სილოგავა ვ. 1990: 94, 95; სილოგავა ვ. 1995: 62-64]. კატამონის წარწერა ქუთაისის საეპისკოპოსოს არსებობის ერთ-ერთი ადრეული დოკუმენტური დადასტურებაა.

ისტორიული წყაროს ცნობით, კატამონის მონასტერი ჯერ კიდევ X საუკუნიდან ქართველთა ხელში იყო – სინას ოთხთავის 983 წლის მინან-ერში დასტურდება ვინმე მღვდელმონაზონი მიქელ კატამონელი. იერუსალიმში ჯვაროსნების ბატონობის დროს – 1169 წელს ჯვრის ქართველთა მონასტრის წინამძღვარს კატამუნში შეუძენია მიწის ნაკვეთი. 1386/87 წწ-ის დოკუმენტებით კატამონი ქართველებს ეკუთვნით. სავარაუდოდ XVI-XVII საუკუნეებში ეს მონასტერი ქართველთაგან დაიცალა და გაპარტახდა [ჯაფარიძე გ. 2018: 104-106].

კატამონის წარწერა რეალური დასტურია იმისა რომ XII-XIII საუკუნეებში ეს მონასტერი ქართველთა კუთვნილი იყო.

ბირ ელ კუთის ქართული მონასტრის ასომთავრული წარწერები

1952-1953 წწ-ში იტალიელმა არქეოლოგმა და ფრანცისკანელმა ბერმა ვირჯილიო კორბომ (1918-1991 წწ.), ქ. ბეთლემის ჩრდილოეთით 1 კმ-ის მანძილზე, მწყემსთა ველის მახლობლად, ადგილ ბირ ელ-კუთში (ბირ ელ ყათი ან ბირ ელ კატი)⁹, რომელიც დღეს ქ. იერუსალიმის ერთ-ერთი საცხოვრებელი უბნის Har Homa-ს განაპირას მდებარეობს, აღმოაჩინა ქართული მონასტრის ნანგრევები (სურ. 115, 116). არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა შიდა ეზოს ირგვლივ თავმოყრილი ნაგებობები, მონასტრის ჩრდილოეთ კიდეში წმ. თეოდორეს სახელობის დარბაზული ეკლესიის გეგმის დონეზე შემორჩენილი ნაშთებია, მას სამხრეთიდან ეკვრის ეკვდერი, ეკლესიის საკურთხეველის და ეკვდერის აღმოსავლეთი ნაწილის ქვეშ კლდეში გამოკვეთილია მონასტრის საძვალე. ეკლესიის ქვეშ არსებული საფლავები ვირჯილიო კორბოს აზრით მონასტრის წინამძღვართა განსასვენებელია [Corbo V. 1955: 125]. სატრაპეზო და სამზარეულო შიდა ეზოს დასავლეთიდან ემიჯნებოდა. მონასტრის სამხრეთი ნაწილი საცხოვრებელ სენაკებს, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს – სანახელს, ზეთსახდელს და ბოსელს ეთმობოდა. შიდა ეზოს ქვეშ, თალოვან-კამაროვანი დიდი ცისტერნაა, რომელიც ეზოში ორ ადგილას ჭისებრი ლიობით იხსნება (სურ. 117). შიდა ეზოს პერიმეტრზე შემოუყვებოდა სვეტნარი გალერეა [Corbo V. 1955: 112; tab. 35]. მეცნიერთა და-

9 ბირ ელ ყათ-ს უთითებს მიქელ თარხნიშვილი [თარხნიშვილი მ. 1994: 336].

კვირვებით ესაა ტიპური, სასოფლო-სამეურნეო კოინობია. მსგავსი მონასტრები იერუსალიმისა და ბეთლემის სიახლოვეს და იუდეის უდაბნოში საკმაო რაოდენობითაა შესწავლილი – [Hirschfeld I. 1992; Seligman J. 2015: 171, 172]. ბირ ელ კუთის მონასტერს ვირჯილიო კორბო არქეოლოგიური მონაცემებით VI საუკუნით ათარილებს [Corbo V. 1955: 130; ჩაჩანიძე ვ. 1974: 85]; დათარილების საფუძველი მონასტრის მშენებლობის დროს გამოყენებული ერთგვარად ნათალი ქვებია, რომლებიც ვ. კორბოს აზრით მომდინარეობს ბეთლემის შობის პირველი (იუსტინიანამდელი) ტაძრის ნანგრევებიდან. მონასტრის მთავარი მათარილებელი დეტალი მოზაიკის კენჭებით გამოყვანილი ქართული ასომთავრული წარწერებია, რომლებიც შიდა ეზოსა და სატრაპეზოს მოზაიკურ იატაკში იყო განთავსებული.

გათხრების შედეგად გამოვლენილი ოთხი წარწერიდან ორი (A და B)¹⁰, გათხრების დასრულების შემდგომ ამოჭრეს იატაკიდან, ჩასვეს ჩარჩოებში და იერუსალიმში Studium Biblicum Franciscanum-ის მუზეუმში გადაიტანეს. წარწერა – C, რომელიც ექსპედიციის ბოლო დღეს შიდა ეზოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა [Corbo V. 1955: 122; ჩაჩანიძე ვ. 1974: 72] და ხუთსტრიქონიანი ლათინური (?) [წერეთელი გ. 1960: 12, 14] წარწერის ფრაგმენტი (D), შიდა ეზოს გალერეის ჩრდილოეთი ნაწილიდან, [Corbo V. 1955: 138, 139, ფ. 118; ჩაჩანიძე ვ. 1974: 97 ფ. 118], მუზეუმის ლაპიდარიუმში არ იძებნება. ეს საკითხი თამილა მაგალობლიშვილმა და მე, 2002 წლის 11 თებერვალს განვიხილეთ მუზეუმის დირექტორთან, ან გარდაცვლილ, ფრანცისკანელ ბერსა და არქეოლოგ მიქელ პიჩირილოსთან (1944-2008 წწ.), მან ვერ გვითხრა თუ რა ბედი ენია ამ წარწერებს. მსგავსი კითხვები დაუსვა ისტორიკოსმა ბესიკ ხურცილავამ 2012 წელს მუზეუმის დირექტორს ეუჯენიო ალიატას [ხურცილავა ბ., 2014: 60, 61] და მანაც ვერ მიიღო გარკვეული პასუხი.¹¹

ვფიქრობ, ეს ძლიერ ფრაგმენტირებული წარწერები ვ. კორბომ არქეოლოგიურ ველზე დატოვა. დღეს, ლექითა და ბალახით დაფარულ მოზაიკაზე ვეღარ ვამჩნევთ ამ წარწერათა კონტურებს, არ არის გამორიცხული, რომ ისინი ღია ცის ქვეშ მნიშვნელოვნად დაზიანებულიყო.

წარწერებში ნახსენებ პირებს: მარუანს, ბუზმირს, ბაკურს, მ. თარხნიშვილი აკავშირებს დიდ ქართველ საეკლესიო მოღვაწეს, მაიუმის ეპისკოპოსს პეტრე იბერს (411-491 წწ.), მის მამას და პაპას, მაგრამ, იგი არ ამტკიცებს, რომ წარწერებში პეტრე და მისი წინაპრებია ნახსენები,

10 ეს წარწერები ლათინური ასოებით მ. თარხნიშვილის მიხედვით არის აღნიშნული.

11 კინორეჯისორ გურამ პატარაიას, რომელიც 1966 წლის მაისში იმყოფებოდა ბირ ელ-კუთში, ქართული წარწერები ადგილზე აღარ დახვდრია, მისი გადმოცემით „ისინი გრუნტიურთ ამოუჭრიათ, შეუმაგრებიათ წიდახსნარით და ფილების სახით გადაუტანიათ იერუსალიმის მუზეუმში [ჩაჩანიძე ვ. 1974: 50].“

არამედ აღნიშნავს – ამგვარი სახელები ცოტა განსხვავებული ფორმით ცნობილი იყო საქართველოში [Corbo V. 1955: 135-139; ჩაჩანიძე ვ. 1974: 90-98; თარხნიშვილი მ. 1994: 336-344]. აქედან გამომდინარე გ. წერეთელი ასკვნის, რომ მ. თარხნიშვილმა ეს საკითხი, როგორც ჩანს, არ მიიჩნია დამაჯერებლად და სათანადოდ ძეგლიც VI საუკუნით დაათარილა [წერეთელი გ. 1960: 19], ნაცვლად V საუკუნისა, როდესაც მოღვაწეობდა პეტრე იბერი.

ბირ ელ-კუთის წარწერების აღმოჩენის შემდგომ, საქართველოს მეცნიერთა შორის ეჭვი არ გაჩენილა, რომ საქმე ეხებოდა პეტრე იბერის მოღვაწეობას წმ. მიწაზე. გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი, რომელთა შორის გნსაკუთრებული სისრულით გიორგი წერეთლის კვლევა გამოირჩევა [წერეთელი გ. 1960]. გ. წერეთლის შეხედულებით, მონასტრის შიდა ეზოს სამხრეთ-დასავლეთ კიდეში არსებულ წარწერაში (C) ნახსენები „მარუანი“ – უნდა იყოს პეტრე იბერის საერო სახელი, რომელიც ქართლის ცხოვრებაში, მცირედ შეცვლილი ფორმითაა ფიქსირებული – „მურვანოს“ [ქართლის ცხოვრება 1955: 132], ხოლო – „ბურზენ“ პეტრეს მამის სახელია [წერეთელი გ. 1960: 23, 24]; პეტრე იბერის ცხოვრების სირიულ ვერსიის მიხედვით, პეტრეს მამას „ბოზმარი“ ერქვა [ლოლაშვილი ი. 1988: 80], ამკარაა ამ ორი სახელის მსგავსება (სურ. 118).

მონასტრის შიდა ეზოს გალერეის დასავლეთ ნაწილის იატაკზე გამოვლენილ წარწერის ფრაგმენტზე (B), იხსენიება „ბაკური და გრიორმიზდი“ (სურ. 119, 120). გ. წერეთლის აზრით, „ბაკური“ – პეტრე იბერის პაპა დედის მხრიდან – ქართლის მეფე – დიდი ბაკურია (397/402-422 წწ. [მუსხელიშვილი დ. 2003: 83]) [წერეთელი გ. 1960: 23, 24].

მონასტრის სატრაპეზოს ხუთსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში (A) ნახსენებ „ანტონი აბაჰს“ შესახებ სამეცნიერო საზოგადოება შეთანხმებულია (სურ. 121). ჯერ კიდევ მ. თარხნიშვილმა განსაზღვრა მისი პიროვნება, ეს არის ბირ ელ-კუთის წმ. თეოდორეს მონასტრის წინამძღვარი (აბბა სირიულად მამას ნიშნავს, რომელიც პატივისცემის აღმნიშვნელ გამოთქმად იქცა [წერეთელი გ. 1960: 37]), იგი ცნობილია წმ. სვიმეონ მესვეტე უმცროსის – საკვირველთმოქმედის (521-592 წწ.) დედის – წმ. მართას ცხოვრებიდან. იერუსალიმიდან წამოსულ აბა ანტონს წმ. ნაწილები მიუტანია სვიმეონ მესვეტესთვის 552 წელს. წმ. მართას გარდაცვალებისა და წმ. სვიმეონის სვეტზე ასვლიდან ერთი წლის შემდეგ – 553 წელს ანტონი სელევკიის ეპისკოპოსად აკურთხეს. წმ. მართას ცხოვრების მიხედვით 532 წელს ანტონი ჯერ კიდევ საქართველოში იყო, ე. ი. ბირ ელ-კუთის ეს წარწერა (A) 532-552 წლებით თარიღდება [წერეთელი გ. 1960: 17]. ეს რეალიაც იქცა ვირჯილიო კორბოსთვის ბირ ელ-კუთის მონასტრის მათარილებელ მყარ წერტილად (VI ს.).

გ. წერეთელს მიაჩნია, რომ ბირ ელ-კუთის მონასტერი პეტრე იბერის ცხოვრებაში დადასტურებული სავანეა, რომელიც მან V საუკუნის ოცდაათიან წლებში, იორდანეს უდაბნოში ააშენა [წერეთელი გ. 1960: 26-28]. ბირ ელ-კუთის წარწერებში არსებული ქრონოლოგიური განსხვავებები (პეტრე იბერის და მისი წინაპრების წარწერები – V ს; აბა ანტონის წარწერა – 532-552 წწ.) კი ძლიერ მინისძვრას დაუკავშირა, რომელსაც, როგორც ჩანს, პეტრე იბერის აგებული მონასტერი დაუქცევია; VI საუკუნეში ანტონის მონასტერი განუახლებია [წერეთელი გ. 1960: 28].

კ. დანელიას და ზ. სარჯველაძეს ძნელად დასაშვებად მიაჩნიათ, რომ შემონახვებულ პეტრე იბერს – წარწერაში თავისი თავი საერო სახელით მოეხსენებინა. ამგვარად, მათი აზრით, ბირ ელ-კუთის მონასტრის წარწერაში მოხსენიებული მარუანის პეტრე იბერად მიჩნევა „დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება“ [დანელია კ., სარჯველაძე ზ. 1997: 30, 31].

ი. ჩეხანოვეცი ემხრობა დანელია-სარჯველაძის მოსაზრებას და მიაჩნია, რომ წარწერაში ნახსენები მარუანი არ შეიძლება პეტრე იბერი იყოს. იგი იზიარებს „ანტონი აბაჲს“ წარწერის დათარიღებას – 532-552 წწ., და ბირ ელ-კუთის სხვა წარწერებსაც, იმ მიზეზით, რომ პალეოგრაფიული მონაცემებით ისინი მსგავსია, ამავე პერიოდით (VI ს.) ათარიღებს [Tchekhanovets Y. 2018: 148], სათანადოდ მისი აზრით მონასტერიც ამ ხნით თარიღდება.

ცხოვრებიდან ჩანს, რომ იერუსალიმში ჩასული უფლისწული მალევე შედგა ბერად და მიიღო საბერო სახელი პეტრე, რასაკვირველია, უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ მის მიერ აგებულ მონასტრის წარწერაში სახელი პეტრე ყოფილიყო აღნიშნული, მაგრამ ბირ ელ-კუთის წარწერებში პეტრე იბერთან დაკავშირებული იმდენი სხვა სახელია ნახსენები (მარუან, ბურზენ, ბაკურ), რომ, ამ მონასტერთან პეტრეს კავშირს უეჭველს ხდის.

ჟურნალ „ბედი ქართლისა“-ში (№16, პარიზი, 1954 წ.) გამოქვეყნებულ სტატიაში – მ. თარხნიშვილი „ანტონი აბაჲ“-სა (A) და „ბაკურ და გრიორმიზდ“-ის (B) წარწერების შედარებისას აღნიშნავს ამ უკანასკნელის მეტ სიძველეს, თუმცა იქვე ამატებს, რომ ეს შესაძლებელია მინის მიერ გამოწვეული რღვევის, ანდაც სხვა ოსტატის ხელწერის შედეგი ყოფილიყოსო [თარხნიშვილი მ. 1994: 339]. 1955 წელს, ვ. კორბოსთან ერთად გამოცემულ ნაშრომში, მ. თარხნიშვილი ისევ იმეორებს ამ წარწერების შესახებ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას [Corbo V. 1955: 137; ჩაჩანიძე ვ. 1974: 95].

გ. წერეთელი მიიჩნევს, რომ „ბაკურისა და გრიორმიზდის“ ასევე „მარუანის“ წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავდება „აბა ანტონის“ წარწერისგან. მარუანის წარწერაზე, რადგან ფოტო რაკურსითაა გადაღებული, მეცნიერი არ ამახვილებს ყურადღებას. „ბაკურის“ წარწერის ასონიშნებზე საუბრისას კი გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ „საერთო

სახე და დუქტუსი დამწერლობისა გაცილებით უფრო არქაულია, ვიდრე აბა ანტონის წარწერაში. ასოები არ არის თანაბარი და ერთგვარი, არამედ სხვადასხვა ადგილას განსხვავებულადაა ნაწერი. მეტად თვალსაჩინოა ზოგიერთი ასოს კუთხოვანი ხასიათი, განსხვავებით „აბა ანტონის“ წარწერისა, სადაც ამავე ასოებს მგრგლოანი მოხაზულობა ახასიათებს“ [წერეთელი გ. 1960: 43].

უძველეს ქართულ ასომთავრულ წარწერებში ქარაგმის ნიშნები და დაქარაგმებული სიტყვები ნაკლებად გვხვდება, სიტყვები, როგორც წესი სრულად და გაბმითაა დანერილი. არცერთი სიტყვა არ არის დაქარაგმებული ბოლნისის სიონის სამხრეთი კარის ოთხსტრიქონიანი დიდი წარწერის ფრაგმენტზე (V ს.), არ გვხვდება, ანდაც თითოჯერაა ნახმარი ქარაგმა V-VI საუკუნეების ეპიტაფიებზეც [შოშიაშვილი ნ. 1980: 66, 81-84], ქარაგმები არ ჩანს ბირ ელ-კუთის „ბაკურის და გრიორმიზდის“ და „მარუანის“ წარწერებში, „აბა ანტონის“ წარწერაში კი ქარაგმის ნიშანი სამჯერაა ნახმარი; აქ მონასტრის მთავარი წმინდანის სახელი – თეოდორეც – დაქარაგმებულია, იგივე წმინდანის სახელი „მარუანის“ წარწერაში სრულადაა გადმოცემული. „აბა ანტონის“ წარწერაში შენიალებული ასონიშანი ერთხელ გვხვდება, აქვე ორჯერაა ნახმარი შედარებით მომცრო გრაფემა; ეს დეტალები უძველეს ქართულ ასომთავრულ წარწერებს არ ახასიათებს, „ბაკურის“ და „მარუანის“ წარწერებში ვერ ვხვდებით შენიალებას, აქ ყველა ასონიშანი თანაბარია, ამკარაა – „ბაკურის“ და „მარუანის“ წარწერებს მეტად არქაული სახე აქვს ვიდრე „აბა ანტონის“ წარწერას და ეს უკანასკნელი მათზე მოგვიანო ხანის უნდა იყოს.

ვ. კორბოს გამოქვეყნებულ მონასტრის გეგმაზე [Corbo V. 1955: 112; ჩაჩანიძე ვ. 1974: 59], შიდა ეზოს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე – ასონიშან d-თი აღნიშნულ „მარუანის“ წარწერას, რომელიც *tabula ansata*-შია (ერთგვარი მოჩარჩოება) ჩანერილი „სახელური“ მარცხნიდან (ჩრდილოეთიდან) აქვს შემორჩენილი; ამ წარწერის ფოტო [Corbo V. 1955: T. 35, F. 107; ჩაჩანიძე ვ. 1974: ფ. 107] მიგვანიშნებს, რომ წარწერა იკითხებოდა იმ პოზიციაში, როდესაც მკითხველი პირით დასავლეთისკენ იდგა. სატრაპეზოს იატაკის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე „ანტონი აბაჲს“ წარწერაც *tabula ansata*-შია ჩანერილი და იგი პირით აღმოსავლეთისკენ მიმართული მკითხველისთვის იყო მისაწვდომი. ამკარაა, რომ აქ დარღვეულია იტაკზე წარწერათა განაწილების და მათი ორიენტაციის ერთიანი გეგმა. განსხვავებაა ამ ორი წარწერის *tabula ansata*-ების „სახელურთა“ გაფორმებაშიც. „ანტონი აბაჲს“ წარწერის მოჩარჩოების „სახელურები“, მოზაიკის შავი კენჭებით შედგენილი სამკუთხედებითაა გაფორმებული [Corbo V. 1955: T. 34, F. 104; ჩაჩანიძე ვ. 1974: ფ. 104], „მარუანის“ წარწერის *tabula ansata*-ს „სახელურს“ კი ტოლმკლავა ჯვარი ამკობდა [Corbo V. 1955: 122, T. 35, F.

107; ჩაჩანიძე ვ. 1974: 72, ფ. 107]. წარწერათა მოჩარჩოების გაფორმების ეს განსხვავება უფრო თვალსაჩინოა, როდესაც საქმე იატაკზე გამოსახულ ჯვარს ეხება. იმპერატორ თეოდოსი II-ის (408-450 წწ.) საგანგებო ედიქტით (427 წ.) აიკრძალა ჯვრის გამოსახულების გამოყენება იატაკის გაფორმებაში [Israeli Y. 2000: 127], რათა ფეხით არ გათელილიყო და მლოცველს უნებურად შეურაცხყოფა არ მიეყენებინა ცხოველმყოფელი ჯვრისთვის. მართალია, იმპერიის ცენტრში გამოცემული კანონები პერიფერიებში, გვიან აღწევდა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებში შემორჩენილ VI საუკუნის ზოგიერთი ეკლესიის მოზაიკურ იატაკზე, ჯერ კიდევ, ძველი ტრადიციით გამოსახულია ჯვრები [Taylor J. 1993 239-242; გაგოშიძე გ. 2005: 12], მაგრამ ბირ ელ-კუთის „მარუანის“ წარწერაში ჯვრის გამოსახულების გამოყენება სავარაუდოდ მაინც, მისი სიძველის მანიშნებელია. ამ მცირე მიმოხილვით, ნათელია, რომ ბირ ელ-კუთის „მარუანის“ და „ბაკურის“ წარწერები უფრო ადრეული ხანისაა ვიდრე „აბა ანტონის“ წარწერა, ეს უკანასკნელი კი სატრაპეზოს იატაკის ღმოსავლეთ ნაწილზე, რთული გეომეტრიული ფიგურებით შემკული იატაკის მოზაიკაში იყო ჩართული; აღსანიშნავია, რომ სატრაპეზოს იატაკი თავისი ინტენსიური გაფორმებით განსხვავდება ბირ ელ კუთის მონასტრის სხვა ადგილებში შემორჩენილი სადად გადაწყვეტილი მოზაიკური დეკორისგან, რაც ასევე განსხვავებული ქრონოლოგიური ეტაპის მანიშნებელი უნდა იყოს.

ვფიქრობ, ბირ ელ-კუთის მონასტერი აშენდა პეტრე იბერის მიერ, რაც ქრონოლოგიურად თავსდება პეტრეს იერუსალიმში ჩასვლასა (437 წ.) და მის ბერად აღკვეცას შორის (445/446 წ.) (დაზუსტებული თარიღები იხ.: Horn C., Phenix Jr. 2008: xxxvi, xxxvii), სათანადოდ „მარუანის“ და „ბაკურის“ წარწერებიც ამ დროსაა შესრულებული. „ანტონი აბაჲს“ წარწერა კი 532-552 წწ-ით თარიღდება.

„მარუან და ბურზენ“ (437 – 445/446 წწ)

ოთხსტრიქონიანი ძლიერ ფრაგმენტირებული მოზაიკური წარწერა (სურ. 118), გათხრების ბოლო დღეს აღმოჩნდა მონასტრის შიდა ეზოს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე, ვ. კორბოს გამოქვეყნებულ მონასტრის გეგმაზე იგი d გრაფემითაა აღნიშნული [Corbo V. 1955: 112, fig. 30, 122; ჩაჩანიძე ვ. 1974: 59, სურ. 30, 72]. წარწერა, იერუსალიმის Studium Biblicum Franciscanum-ის მუზეუმში არ იძებნება, სავარაუდოდ გათხრების შემდგომ მისი კონსერვაცია ვერ მოხერხდა და იგი არქეოლოგიურ ველზევე დარჩა. წარწერას ევლებოდა მუქი კენჭებისგან გაკეთებული მოჩარჩოება, ე. წ. tabula ansata ერთი მხრიდან შემორჩენილი „სახელურით“, რომელშიც მუქი კენჭებითვე ტოლმკლავა ჯვარი იყო გამოსახული [Corbo V. 1955: 122,

f. 107; ჩაჩანიძე ვ. 1974: 72, ფ. 107], წარწერის ყოველი სტრიქონი ასევე შავი კენჭებით შექმნილი ხაზით იყო გამოყოფილი. წარწერის წაკითხვა შესაძლებელი იქნებოდა, თუ მკითხველი იდგა პირით დასავლეთისკენ. წარწერის მოჩარჩოების სიგრძეა („სახელურის“ გარეშე) – 132 სმ; „სახელურის“ სიგრძეა – 21 სმ; პნკარების სიმაღლეა: 11,5 სმ, 10,5 სმ, 9 სმ; [Corbo V. 1955: 121, 122; ჩაჩანიძე ვ. 1974: 72]. ასონიშნები წითელი ფერის კენჭებითაა გამოყვანილი. წარწერის სიტყვები ერთამნეთისგან არ არის გამოყოფილი. ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ჩანს. წარწერა ერთი ზომის დიდი მრგვლოვანი გრაფემებითაა შედგენილი.

ႵႵႵႵႵ ႵႵႵႵႵ

Ⴕ ႵႵႵႵႵႵႵ ႵႵ ႵႵ

Ⴕ (?)ႵႵ ႵႵႵႵ

Ⴕ

წმიდაო თეოდორ|ე მარუან და ბუ(?)|რზენ... ენამი |...ე

აქ წარმოვადგენ წარწერის ბოლო გრაფემების გახსნის ერთ ვარიანტს: წმიდაო თეოდორ|ე მარუან და ბუ|რზენ [შეიწყალ|ენ ამი|/სა]... ე...

წარწერაში ნახსენები „მარუანი“, გ. წერეთლის აზრით [წერეთელი გ. 1960: 23, 24] უნდა იყოს პეტრე იბერის საერო სახელი, რომელიც ქართულ წარწერულ წყაროში „მურვანოსის“ ფორმითაა მოცემული [ქართლის ცხოვრება 1955: 132], ხოლო „ბურზენი“, რომელიც პეტრეს მამის სახელია, მცირედ შეცვლილი ფორმით „ბოზმარი“=„ბოზმარიოს“ ფიქსირებულია პეტრე იბერის ცხოვრების სირიულ ვერსიაში [Horn C., Phenix Jr. 2008: 7; ლოლაშვილი ი. 1988: 80]. ვფიქრობ ამ სახელების მსგავსება აშკარაა.

„ბაკურ და გრიორმიზდ“ (437 – 445/446 წწ)

ორ კვადრატულ ჩარჩოში შავი კენჭებით შედგენილი რვასტრიქონიანი ასომთავრული მოზაიკური წარწერა მდებარეობდა მონასტრის შიდა ეზოს გალერეის დასავლეთ ნაწილში. წარწერა ფრაგმენტულია, იგი ამოღებულია იატაკიდან და გადატანილია იერუსალიმის Studium Biblicum Franciscanum-ის მუზეუმის ლაპიდარიუმში (ნახ. 77, სურ. 119, 120). წარწერაში ორ კვადრატს შორის მოზაიკით წნული – ორნამენტი გამოსახული. წარწერის ფართობია 1) 42 X 41 სმ; 2) 41 X 40 სმ; ასოების სიმაღლე: 9 სმ; განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ გააჩნია; გრაფემები ერთი ზომისაა, სიტყვები ერთამნეთისგან არ არის გამოყოფილი. წარწერის ყოველი სტრიქონი მუქი ყვითელი კენჭებით შედგენილი ზოლითაა გამოყოფილი. წარწერის ფრაგმენტი დიდი წარწერის ბოლო ნაწილია, სავარაუდოდ, ტექტის დასაწყისიც ამგვარ კვადრატულ ჩარჩოებში იქნებოდა განაწილებული. ვფიქრობ, წარწერას მინიმუმ ორი კვადრატი აკია მარცხენა მხრიდან. აღსანიშნავია, რომ მოზაიკური წარწერის მუზეუმში გადატანისა და

მისი მონტაჟის შემდგომ წარწერის ქვედა, მერვე სტრიქონის ბოლო სამი დაზიანებული ასონიშნის მოზაიკის კენჭები როგორც ჩანს ხელახლა ჩასვეს დულაბში, რის გამოც გრაფემათა მონახაზი შეიცვალა, ჩვენი ასლი სწორედ ამგვარ შეცდომას ასახავს. დღეს, წარწერის მოზაიკის კენჭები შავი საღებავითაა გაცხოველებული. ვირჯილიო კორბოს გათხრების ანგარიშში მითითებულია, რომ იყო აღმოჩენილი წარწერიანი მესამე კვადრანტიც, რომელიც ძლიერ ფრაგმენტული სახითაა აღბეჭდილი ფოტოზეც. ტექსტს. კორბოს ფოტოების მიხედვით აღვადგენთ. აღსანიშნავია, რომ წარწერის ბოლო ნაწილი სადაც წერია „შეინყ-ალენ ამენ“ (იხ. გ. წერეთელი, ტაბ. XI) დღეს აღარ არსებობს. სავარაუდოდ, იგი არქეოლოგიური ველიდან მუზეუმში არ გადმოუტანიათ. წარწერის ასლი გავაკეთე, 2002 წლის 11 თებერვალს.



ნახ. 77

1) בְּ כֹ חֵ י

יְ הוָ ה אֱ

שָׁ מַר אֶ

אֶ ת אֲ

2) יְ הוָ ה אֱ

שָׁ מַר אֶ

אֶ ת אֲ

נָ שֵׁ י

და ძუძ|ეულნი მ|ათნი ბა|კურ და | გრიორმ|იზდ და ნ|აშობნ[ი] მათნი ქ(რისტ)ე| [შეინყალენ ამენ]

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით ამ წარწერაში ნახსენები ბაკური არის პეტრე იბერის პაპა დედის მხრიდან – ქართლის მეფე (397/402-422 წწ.) [მუსხელიშვილი დ. 2003: 83].

„ანტონი აბაჲ და იოსია“ (532-552 წწ.)

მოზაიკის კენჭებით შედგენილი ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (მიქ. თარხნიშვილის მიხედვით წარწერა-A) მონასტრის სატრაპეზოს იატაკის აღმოსავლეთ მონაკვეთზე იყო. წარწერა მუქი ფერის კენჭებით შედგენილი ორი ხაზითაა მოჩარჩოებული და ე. წ. tabula ansata-ში იყო ჩანერილი, რომლის „სახელურები“ მუქი ფერის კენჭებით შედგენილი სამკუთხედებით იყო გაფორმებული (სურ. 121).

წარწერის იატაკიდან ამოჭრის და ჩარჩოში ჩასმის დროს, ვფიქრობ, საქმის გაიოლების მიზნით, სპეციალისტებს *tabula ansata*-ს „სახელურები“ არ ამოუჭრიათ მოზაიკური იატაკიდან. დღეს წარწერა იერუსალიმის Studium Biblicum Franciscanum-ის მუზეუმში „ბირ ელ-კუთის“ დარბაზშია გამოფენილი (ნახ. 78, სურ. 122). წარწერის ფართობია: 159,2 X 68,5 სმ; ასოების სიმაღლე: 11,8–5 სმ; ქარაგმის ნიშანი ჰორიზონტალური ხაზი. განკვეთილობის ნიშნები არ აქვს; გრეფემა „ნ“, „ა“-ს ნიაღშია გამოსახული, სიტყვები ერთმანეთს არ არის დაშორებული. მეხუთე სტრიქონში ბოლოდან მესამე გრაფემა „მ“-ს არ აღენიშნება მარცხნივ მიმართული „ცხვირი“ და ასო-ნიშან „ძ“-ს გავს, ვფიქრობთ „მ“-ს აღნიშნული ნაკვთი ამ წარწერის ადგილიდან მოხსნისა და გამოსაფენად მომზადების პროცესშია დაკარგული. წარწერის ასლი გავაკეთე 2002 წლის 23 იანვარს.



ნახ. 78

ყუყუყუყუყუ ყუყუყუყუყუ
 უყუყუყუყუყუ უყუყუყუყუყუ
 ყუყუყუყუყუყუ ყუყუყუყუყუ
 უყუყუყუყუყუ უყუყუყუყუყუ
 ყუყუყუყუყუყუ ყუყუყუყუყუ

შენვენითა ქ(რისტ)ჴ(ს)ითა და მიეოხებითა წმიდისა თე(ოდორე)ესითა | შ(ეინყალე)ნ ანტონი აბაჲ და იოსია მო|მსხმელი ამის სეფისაჲ და მა|მა დედაჲ იოსიაჲსი ამენ.

წარწერაში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია პირველად მიქ. თარხნიშვილმა სცადა. მისი აზრით „ანტონი“ აბაჲ ბირ ელ-კუთის წმ. თეოდორეს მონასტრის წინამძღვარია და იგივე პირია, რომელიც წმ. სვიმეონ მესვეტე უმცროსის (521-592 წწ.) დედის წმ. მართას ცხოვრებაშია დამონშებული [Corbo V. 1955: 136; ჩაჩანიძე ვ. 1974: 93], იერუსალიმიდან წამოსულ ანტონს წმინდა ნაწილები მიუტანია სვიმეონ მესვეტესთან –

